


ზიგმუნდ ფროიდი

ფსიქოანალიზი

თარგმანი გერმანულიდან

გამომცემლობა „სიახლე“
თბილისი 2010

UDC (უდკ) 159.964.2
ფ – 952

ზიგმუნდ ფროიდი. ფსიქოანალიზი. თარგმანი გერმანულიდან. თბილისი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე", 2010, 476 გვ.

მთარგმნელი და რედაქტორი **ვიტალი კაკაბაძე** – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ზიგმუნდ ფროიდის წინამდებარე ნაშრომებში განხილულია ფსიქოანალიზის თეორიული და გამოყენებითი ასპექტები, ასევე ფსიქოანალიზის აღმოცენებისა და განვითარების გზები. ფსიქოანალიზური თეორია XX საუკუნის ფსიქოლოგიური აზროვნების პირმშოა. მასში მოცემულია სხვადასხვა პრობლემის ფსიქოანალიზური განხილვისა და გადაჭრის მცდელობა. მკითხველი ამ ნაშრომებში ეცნობა წინააღმდეგობრივი რეალობის ერთგვარ ასახვასაც დაინახავს.

წიგნი განკუთვნილია მკითხველის ფართო წრისათვის.

რეცენზენტები: **ირაკლი ოქუჯავა** — ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
არჩილ ბაქრაძე — ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

საგამომცემლო ფირმა „სიახლე" 2010

ISBN 5-520-01590-2

წინასიტყვაობა

დღეს ზედმეტიც კი არის ვიმსჯელოთ და ვამტკიცოთ ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზური თეორიის – "ფსიქოანალიზის" გაცნობის საჭიროების შესახებ. გერმანიაში ერთ-ერთ საიუბილეო შეკრებაზე სიამაყით აღინიშნა, რომ მე-20 საუკუნე ძნელი წარმოსადგენია ფროიდის გარეშეო. მართლაც, დიდი პოპულარობა მოიპოვა ფსიქოანალიზმა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე. ფსიქოანალიზი მძლავრ ინტერნაციონალურ მოძრაობად იქცა, ვინაიდან ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვა მსოფლიო ცივილიზაციაში ადამიანისა და მისი ქცევის ახსნის პრობლემასთან დაკავშირებით.

ფროიდის ნაწერები მსოფლიო კულტურული ხალხების ყველა ენაზეა თარგმნილი. ლონდონში ფროიდის მემკვიდრეებმა 50-იან წლებში გამოსცეს ფროიდის თხზულებათა კრებულის 18 ტომეული. სამწუხაროა, რომ დღემდე არ არსებობს ფროიდის ნაწერების ქართული თარგმანი. უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში ტოტალიტარული რეჟიმის დროს ფსიქოანალიზური თეორიისა და მისი ავტორის მისამართით ლანძღვა-გინების მეტი არაფერი გვსმენია. თარგმანების გამოცემა საშუალებას გვაძლევს მშობლიურ ენაზე გავეცნოთ ფსიქოანალიზის საინტერესო თეორიასა და პრაქტიკას. რა თქმა უნდა, სხვადასხვა ორიენტაციის მეცნიერული მიმართულებანი გარკვეული ასპექტებით კრიტიკულადაა განწყობილი ცნობილი პრობლემების ფსიქოანალიზური გადაჭრის მიმართ, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ადამიანის რაობის პრობლემის გაანალიზების საქმეში ფსიქოანალიზური თეორია გარკვეულ დახმარებასაც გვიწევს.

აღსანიშნავია, რომ ქართველ მეცნიერთა ინიციატივით არაცნობიერის პრობლემასთან დაკავშირებით თბილისში 1979 წელს გაიმართა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი (პირველი სიმპოზიუმი გაიმართა 1910 წელს ბოსტონში, აშშ), სადაც რამდენიმე დღის

განმავლობაში ურთიერთდაპირისპირებაში განიხილებოდა ზ. ფროიდისა და დ. უზნაძის არაცნობიერის კატეგორია. ამ სიმპოზიუმის მასალები გამოქვეყნებულია ოთხ სქელტანიან წიგნად.

წინამდებარე კრებულში მოთავსდა ზოგიერთ იმ ნაწარმოებთა თარგმანი, რომლებიც, ვფიქრობთ, ყველაზე უფრო პასუხობს მიზანს – მკითხველთა ფართო წრეს მისცეს საშუალება გაეცნოს ფსიქოანალიზის თეორიასა და გამოყენებით ასპექტს (ფსიქოთერაპიას), ფსიქოანალიზის აღმოცენებისა და მისი რამდენადმე საბოლოოდ ჩამოყალიბების ისტორიას.

ქართული ტექსტის გამართვაში დახმარება გამიწია ქალბატონმა ლეილა უკლებამ, ამისთვის მას დიდ მადლობას მოვახსენებ.

თარგმანი შესრულებულია გერმანული გამომცემლობის – Fischer – Taschenbuch – Verlag – მიერ გამოცემული კრებულებიდან.

გოტალი კაკაბაძე
თბილისი, 1995 წელი.

ფროიდის ფსიქოანალიზური მეთოდი
(1904)

ფსიქოთერაპიის საკუთარი მეთოდი, რომელსაც ფროიდი იყენებს და მას ფსიქოანალიზს უწოდებს, წარმოდგება ე.წ. კათარზული მეთოდისაგან, რომლის შესახებაც ის თავის დროზე, 1895 წელს, ი. ბროიერთან ერთად მოგვახსენებს "ისტერიის შესახებ შტუდიებში". კათარზული თერაპია ი. ბროიერის აღმოჩენა იყო, რომელმაც ამ მეთოდის დახმარებით პირველად რალაც ათწლეულით ადრე ისტერიული ავადმყოფი განკურნა და თანაც მისი სიმპტომების პათოგენეზი გაგვაგებინა. **ბროიერის** პიროვნული ბიძგის შედეგად **ფროიდმა** ისევ აიღო მეთოდი და ის შეამოწმა ავადმყოფთა დიდ რიცხვზე.

კათარზული მეთოდი გულისხმობს იმას, რომ პაციენტი გადადის ჰიპნოზურ მდგომარეობაში და ემყარება ჰიპნოზში შემავალი ცნობიერების გაფართოებას. ეს მეთოდი მიზნად ისახავდა ავადმყოფური სიმპტომების მოშორებას და ამას აღწევდა იმით, რომ პაციენტი გადაჰყავდა ადრინდელ ფსიქიკურ მდგომარეობაში, როცა კი სიმპტომი პირველად ჩნდებოდა. ჰიპნოტიზირებულ ავადმყოფებთან აღმოცენდებოდა მოგონებები, აზრები და იმპულსები, რომლებიც მანამდე მის ცნობიერებაში არ იყო და როცა კი პაციენტი ამ მის სულიერ პროცესებს ინტენსიური აფექტური გამოსახვით მკურნალს უზიარებდა, სიმპტომი დაიძლეოდა, ის უკანვე აღარ ბრუნდებოდა. ამ კანონზომიერად განმეორებად გამოცდილებას მათ საერთო მუშაობაში ორივე ავტორი ხსნიდა იმით, რომ სიმპტომი იდგა დათრგუნვილი და გაუცნობიერებელი ფსიქიკური პროცესის ადგილზე, მაშასადამე, წარმოადგენდა უკანასკნელის გარდაქმნას ("კონვერსიას"). მათი მეთოდის თერაპევტულ ეფექტურობას ისინი ხსნიდნენ თითქოსდა მანამდე "მოწეწკვილი" აფექტის მოგერიებით, რომელიცაა მიტმასნილი დათრგუნვილ სულიერ აქტივობასთან ("რეაგირება"). მარტივი სქემა თერაპევტული ჩარევისა რთულდებოდა თით-

ქმის ფოველთვის, როცა კი ჩანდა, რომ სიმპტომის აღმოცენებაში მონაწილეობას ღებულობდნენ არა ერთეული ("ტრავმატული") შთაბეჭდილებანი, არამედ, უმრავლეს შემთხვევაში, ძნელად თუ თვალის მოსავლები რიგი ასეთებისა.

კათარზული მეთოდის ძირითადი ბუნება ფსიქოთერაპიის სხვა მეთოდების საპირისპიროდ იმაშია, რომ მასთან თერაპევტული ზემოქმედება არ გადაიტანება ექიმის სუგესტიურ აკრძალვაზე. პირიქით, ის მოელის, რომ სიმპტომები თვითონვე ქრებიან, როცა კი მაიღწევა ჩარევა, რომელიც ემყარება ფსიქიკური შექანიზმის გარკვეულ წანამძღვრებს – სულიერი პროცესები სხვამდე მივიყვანოთ, ვიდრე აქამდე მიმდინარეობდა, რასაც საბოლოოდ სიმპტომის ფორმირებამდე მივყავართ.

ცვლილებანი, რომელიც ფროიდმა შეიტანა ბროიერის კათარზულ მეთოდში, ეს იყო უპირველეს ყოვლისა, ცვლილებანი ტექნიკაში; მათ მოიტანეს ახალი შედეგები და დაისაჭიროეს შემდგომ სხვაგვარი, თუმცა წინანდელთა არადაპირისპირებული გაგება თერაპევტული მუშაობისა.

კათარზულმა მეთოდმა უკვე გაშორიცხა რა შთაგონება, ფროიდმა გადადგა შემდგომი ნაბიჯი – უარყო ჰიპნოზიც. ამჟამად ფროიდი თავის ავადმყოფებს ექცევა ასე: ის ათავსებს მათ მოხერხებულად ზურგით მიყრდნობილთ სავარძელზე ისე, რომ ყოველგვარი სხვა ზემოქმედებისაგან იყოს დაცულნი, თვითონ კი ზის უკან სკამზე, მათი მზერისაგან თავისუფალი. ფროიდი პაციენტებისაგან არც თვალების დახუჭვას მოითხოვს და ერიდება ყოველგვარ შეზღუდვას. ასევე სხვა პროცედურასაც, რაც ჰიპნოზს მოგვაგონებს. ასეთი ურთიერთობა მიმდინარეობს საუბრის სახით ორ ერთნაირად ფხიზელ პირს შორის, რომელთაგან ერთი თავს არიდებს კუნთების დაძაბულობასა და ყოველ გადამხრელ გრძნობად შთაბეჭდილებას, რომელსაც შეუძლია ხელის შეშლა საკუთარ სულიერ მოქმედებაზე ყურადღების კონცენტრაციაში.

რამდენადაც დაჰიპნოზება, მიუხედავად მკურნალის დახელოვნებისა, დამოკიდებულია პაციენტის ნებაზე და დიდი რიცხვი ნევროტული პირებისა ვერაკითარი მეთოდით ვერ გადაიყვანება ჰიპნოზში, ჰიპნოზის უარყოფით უზრუნველყოფილი იქნა მეთოდის გამოყენება ავადმყოფთა შეუზღუდველ რაოდენობაზე. მეორე მხრივ, ცნობიერების გაფართოება უქმდება, რასაც მკურნალისთვის ის ფსიქიკური მასალა მოაქვს მოგონებებთან და წარმოდგენებთან, რომელთა დახმარებით ხორციელდება სიმპტომების გარდაქმნა და აფექტების განთავისუფლება. თუკი არ იქნებოდა შექმნილი შემნაცვლებელი ამ ამოვარდნისა, მაშინ არც იქნებოდა შესაძლებელი ლაპარაკი თერაპევტულ ზემოქმედებაზე.

ასეთი სავსებით საკმაო შემნაცვლებელი ნახა ფროიდმა ავადმყოფებთან უეცრად მოსული აზრების სახით, ე. ი. არასასურველი, ხშირად ხელშემშლელად შეგრძნობილი და ამიტომ ჩვეულებრივ ღამოკიდებულებებში ჩამოშორებული აზრები, რომლებიც განზრახული გადმოცემის კავშირს ჩვეულებისამებრ წაშლის ხოლმე. თავში უეცრად მოსული აზრების გაძლიერებისათვის ავადმყოფებს მოუწოდებს მიყვნენ გადმოცემას, "როგორც ეს ლაპარაკში ხდება ხოლმე, სადაც ასიდან ათასს მიხვდებიან". ის ამ აზრებს ამკვეთრებს, მანამ სანამ პაციენტს საკუთარი ავადმყოფობის ისტორიის ღეტალურ მოყოლას შთააგონებდეს – ყველაფერი თქვას, რაც კი თავში აქვს, კიდევაც რომ ფიქრობდეს, რომ ის უმნიშვნელოა, საკითხს არ ეხება, ანდა უაზრობაა. ამიტომაც მისგან განსაკუთრებული ხაზგასმით მოითხოვება, რომ არც ერთი აზრი, ანდა უეცრად მოსული აზრი არ გამორიცხოს შეტყობინებიდან, თუნდაც ის სირცხვო ან არასასიამოვნოც იყოს. საგულისხმოა, რომ ამ უარყოფილი, უცებ მოსული აზრების მასალის შეგროვებისას ფროიდმა გამოცდილება შეიძინა, რაც შემდეგში მისი მთელი გაგების განმსაზღვრელი გახდა. ამიერიდან ავადმყოფებთან დაავადების ისტორიის მოყოლისას აღმოჩნდება ხარვეზები მოგონებაში, რაც იმის გამომხატველია, ფაქტიური პროცესები დავიწყებულია თუ არეულია დროითი მიმართებანი, ანდა დარღვეულია მიზეზობრივი დაკავშირებანი. ასე რომ, გაუგებარი ეფექტები გაქრება. რომელიღაც სახის ამნეზიის გარეშე არაა ნევროტული ავადმყოფობის ისტორია. თუ ვაიძულებთ ამბის მომყოლს მეხსიერების ამ ხარვეზების ამოვსებას ყურადღების დაძაბული მუშაობით, შეიძნევა, რომ ამისთვის მოტანილი უეცრად თავში მოსული აზრები მისგან კრიტიკის ყველა საშუალებით განიდევნება, სანამ საბოლოოდ პირდაპირ შეუძ-

ლოდ არ იგრძნობს თავს, თუკი მოგონება ნამდვილადაა. ამ გამოცდილებიდან ფროიდი ასკვნის, რომ ამნეზიები იმ პროცესის შედეგია, რომელსაც **განდევნა** ეწოდება და რომლის მოტივად აღიარებულია უსიამოვნების გრძნობა. ფსიქიკური ძალები, რომლებითაც განიდევნება, ფროიდის მიხედვით, არის **წინააღმდეგობა**, რომელიც წინ ეღობება ხელახლა აღდგენას.

წინააღმდეგობის გაწევის მომენტი ფროიდის თეორიის ერთი საფუძველთაგანი გახდა. გარდა ამისა, ყოველგვარ პირობათა ქვეშ (როგორც ამას ზემორე ფორმულა ითვლის) მოშორებულ თავში უეცრად მოსულ აზრებს ის განიხილავს როგორც განდევნილი ფსიქიკური წარმონაქმნების (აზრთა და წაქეზებათა) მემკვიდრეს, როგორც მათ დამახინჯებებს, წარმოქმნილთ რეპროდუქციის საპირისპიროდ არსებული წინააღმდეგობის გაწევის შედეგად.

რაც უფრო დიდია წინააღმდეგობა, მით უფრო ეფექტურია აღნიშნული განწყობა. განდევნილი ფსიქიკური მასალისადმი ამ მიმართებაშია განუზრახველი უეცარი აზრების ღირებულება თერაპევტული ტექნიკისათვის. თუკი ვფლობთ მეთოდს, რომელიც შესაძლებლობას ქმნის უეცრად შობილი აზრებიდან მივაღწიოთ განდევნილამდე, დამახინჯებულიდან დამამახინჯებლამდე, ასევე შეგვიძლია, ჰიპნოზის გარეშე, სულიერ ცხოვრებაში ადრეული არაცნობიერი მისაწვდომი გავხადოთ ცნობიერებისათვის.

ამის შემდეგ ფროიდმა შექმნა **ინტერპრეტაციის** ხელოვნება, რომლის წილად მოდის – თითქოს განუზრახველი უეცარი აზრების მადნიდან განდევნილ აზრებთან როგორ უნდა წარმოადგინოს სინჯი. ამ ინტერპრეტაციის სამუშაო ობიექტებია არა მხოლოდ ავადმყოფთა უეცრად მოქმედებანიც, როგორიცაა დაუგეგმავი (სიმპტომური) მოქმედებანი და შეცდომები მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში (წამოცდენები მეტყველებაში, შეცდომითი მოქმედებანი და მისთ.), რომლებიც გვიხსნიან პირდაპირ გზას არაცნობიერის გასაცნობად. ამ ინტერპრეტაციისა ანდა თარგმნის ტექნიკის დეტალები ფროიდის მიერ ჯერ კიდევ არაა გამოქვეყნებული. ესაა, მისი მითითებით, რიგი ემპირიულად მიღებული წესებისა, როგორც უეცარი აზრებიდან არაცნობიერი მასალის კონსტრუირება, მითითებანი, როგორ უნდა გაეიგოთ, როცა პაციენტის უეცარი აზრები არ აღმოცენდებიან, აგრეთვე გამოცდილებანი მნიშვნელოვან ტიპიურ წინააღმდეგობათა შესახებ, რომლებიც ასეთი დამუშავების მიმდინარეობის დროსაა ნიშანდობლივი. კრცელი წიგნი "სიზმრის ინტერპრეტაციის შესახებ", 1900 წელს გამოცემული ფროიდის მიერ, უნდა განიხილებოდეს როგორც წინამორბედი ასეთი შესაველისა ტექნიკაში.

ფსიქოანალიზური მეთოდის ტექნიკის შესახებ ამ მითითებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისი აღმომჩენი ზედმეტად გაისარჯა და არასწორად მოიქცა, დატოვა რა ნაკლებად რთული ჰიპნოზური მეთოდი. მაგრამ, ერთი მხრით, ფსიქოანალიზის ტექნიკა გაცილებით ადვილია ჩასატარებლად, როცა კი მას შეისწავლი, ვიდრე ეს აღწერისას მოჩანს, მეორე მხრით, სხვა გზას არ მივყავართ მიზნამდე და ამიტომაა მძიმე გზა უფრო უმოკლესი. ჰიპნოზი უარსაყოფია იმდენად, რამდენადაც წინააღმდეგობას ფარავს და ამით მკურნალს ფსიქიკურ ძალთა თამაშში ჩახედვას უკრძალავს. ის არ უკეთებს ლიკვიდირებას წინააღმდეგობას, არამედ მას მხოლოდ გზას აძლევს და ამიტომაც გეძლევა მისი გამოყენებით მხოლოდ არასრული ცნობები და მხოლოდ წარმავალი წარმატებანი.

ამოცანა, რომლის გადაწყვეტისაკენაც ისწრაფის ფსიქოანალიზური მეთოდი, სხვადასხვა ფორმულით გამოიხატება, მაგრამ არსის მიხედვით ისინი ეკვივალენტურნია. შეიძლება თქვან: ამოცანა მდგომარეობს მკურნალობაში ამნეზიის მოსახსნელად, თუკი ამოვსებულია მოგონების ყოველი ხარვეზი, ახსნილია ფსიქიკური ცხოვრების იდუმალი ეფექტები, შეუძლებლადაა ქცეული ავადმყოფობის შემდგომი არსებობა, ასე ვთქვათ ახალი წარმონაქმნი. შეგვიძლია პირობა სხვაგვარადაც გავიგოთ: ყოველი განდევნა შებრუნებადი უნდა გახდეს; მაშინ ფსიქიკური მდგომარეობა იგივეა, რომელშიაც ყველა ამნეზიაა განხორციელებული. მრავალმნიშვნელოვანია სხვა გაგება – ილაპარაკო იმაზე, რომ არაცნობიერი მისაწვდომი გახდეს ცნობიერებისათვის, რაც კიდეცაც ხდება წინააღმდეგობათა გადალახვის გზით. მაგრამ ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასეთი იდეალური მდგომარეობა ნორმალურ ადამიანებთან არცაა და რომ მხოლოდ იშვიათადაა ასე შორს წასული. ისე როგორც ჯანმრთელობა და ავადმყოფობა პრინციპულად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ მხოლოდ პრაქტიკულად განსაზღვრებადი სუმაცი-

ის საზღვრებით არიან გამოყოფილნი, ასევე არასდროს არ დაისახება მკურნალობის სხვა მიზანი, თუ არა ავადმყოფის პრაქტიკული გამოჯანმრთელება, მისი შრომისა და მოხმარების უნარიანობის აღდგენა. არასრული მკურნალობისა, ანდა არასრულყოფილი შედეგის შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ვაღწევთ საერთო ფსიქიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან ამაღლებას, როცა სიმპტომები ავადმყოფისთვის შეიძლება არსებობდეს შემცირებული მნიშვნელობით, მაგრამ ისინი ავადმყოფურს დაღს ვერ დაამჩნევენ.

თერაპევტული მეთოდი იგივე რჩება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე მოდიფიკაციას, სახელდობრ, მრავალნაირი ისტერიის სიმპტომის ყოველი სურათისა და ასევე იძულების ნევროზის ყოველი წარმონაქმნისათვის. ლაპარაკი არაა მათი შეუზღუდავი გამოყენების შესახებ. ფსიქოანალიზური მეთოდის ბუნება ქმნის ჩვენებებსა და საპირისპირო ჩვენებებს როგორც განსაკურნავი პირების მხრით, ისე ავადმყოფობის სურათის მხედველობაში მიღებით. ფსიქოანალიზისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია ფსიქონევროზების ქრონიკული შემთხვევები მცირეოდენი მძაფრი და საშიში მუქარის სიმპტომებით. მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა, ყოველი სახე იძულებითი ნევროზისა, იძულებითი აზროვნებისა და იძულებით მოქმედებათა და ისტერიის შემთხვევები, სადაც მთავარ როლს თამაშობენ ფობიები და აბულიები; შემდეგ ასევე ისტერიის ყველა სომატური გამოვლენა, რამდენადაც, როგორც მადის დაკარგვისას მკურნალის მთავარი ამოცანა არაა სიმპტომის სწრაფი მოშორება. ისტერიის წვეტილ შემთხვევებში ელოდებიან წარმატებული სტადიის დაწყებას; ყველა შემთხვევაში, სადაც კი ნერვული გამოფიტვა თავშივე დგას, ისეთ მეთოდს არ იყენებენ რომელიც თვითონ მოითხოვს ძალისხმევას, მხოლოდ ნელი სვლა აჩვენებს დადებითს და სიმპტომების ხანგრძლივობა დროის მონაკვეთს ანგარიშს არ უწევს.

პირს, რომლის მიმართაც ფსიქოანალიზი უნდა გამოვიყენოთ მრავალგზისი მოთხოვნები წაეყენება. ჯერ ერთი, ის უნდა იყოს ნორმალური ფსიქიკური მდგომარეობის უნარის მქონე; აშლილობის ანდა მელანქოლიური დეპრესიის დროს ისტერიასთან არაფერია გასასწორებელი. შემდეგ მას მოეთხოვება გარკვეული ზომის ბუნებრივი ინტელექტი და ეთიკური განვითარება; არაღირებულ პირებთან მკურნალი უმალ ბედის ანაბარა ტოვებს ინტერესს, რომელიც მას ავადმყოფის სულიერ ცხოვრებაში ჩასაღრმავებლად გარგისად გახდიდა. ხასიათის გამოკვეთილი კავშირები, ნამდვილად დეგენერაციული კონსტიტუციის თვისებები მკურნალობისას ვლინდებიან როგორც წყარო ძნელად დასაძლევი წინააღმდეგობისა, ვინაიდან, საერთოდ, კონსტიტუცია დებს ზღვარს ფსიქოთერაპიის გზით განკურნებისას. მეხუთე ათეულს მიახლოებული ასაკის საფეხურიც არა ხელსაყრელ პირობებს ქმნის ფსიქოანალიზისათვის. ფსიქიკური მასალის რაოდენობა მაშინ ვეღარ გადაილახება, აღდგენისთვის საჭირო დრო ხანგრძლივი ხდება და უნარი – ფსიქიკური პროცესები გახალონ უკუქცევადი – იწყებს გამოფიტვას.

ყველა ამ შეზღუდვის მიუხედავად, რიცხვი ფსიქოანალიზისთვის ვარგისი პირებისა განსაკუთრებით დიდია და განვრცობა ჩვენი თერაპევტული შესაძლებლობისა ამ მეთოდის საშუალებით, ფროიდის მტკიცებით, ძალზე მნიშვნელოვანია. ქმედითი მკურნალობისათვის ფროიდი მოითხოვს ხანგრძლივი დროის მონაკვეთს. ნახევარი წლიდან სამ წლამდე, მაგრამ გვაძლევს ცნობებს, რომ ის მანამდე განსხვავებულ ადვილად მისახვედრ გარემოებთა შედეგად ხშირად მხოლოდ იმ მდგომარეობაში აღმოჩენილა, როცა მისი მკურნალობა ძალზე ძნელ შემთხვევებზე უცდია. პირები მრავალწლიანი ავადმყოფობის ხანგრძლივობით საკვებით ქმედითუუნაროები – ყველა მკურნალობით გაწბილებულნი – თითქოსდა უკანასკნელ თავშესაფარს თავიანთ ახალ და მრავალგზის დაეჭვებულ მეთოდში ეძიებდნენ. მსუბუქი დაავადების შემთხვევებში კი მკურნალობის ხანგრძლივობა ძალზე მოკლდება და მომავალში მიღწეული უნდა იქნეს უკუწვენების აღკვეთის განსაკუთრებული მომგებიანობა.

ფსიქიკური მკურნალობა

(სულის მკურნალობა)

(1905)

"ფსიქე" ბერძნული სიტყვაა და გერმანულად ნიშნავს სულს. აქის მიხედვით ფსიქიკურ მკურნალობას ეწოდება **სულის მკურნალობა**. მაშ, შეიძლება იფიქრონ, რომ მასში იგულისხმება სულიერი ცხოვრების ავადმყოფური მოვლენების მკურნალობა. მაგრამ ეს არაა ამ სიტყვის მნიშვნელობა. პირიქით, ფსიქიკური მკურნალობა ნიშნავს მკურნალობას ამოსულს სულიდან, სულიერი ანდა სხეულებრივი დარღვევების მკურნალობას იმ საშუალებებით, რომლებიც უპირველეს ყოვლისა და უშუალოდ ადამიანის სულზე ზემოქმედებენ.

უპირველეს ყოვლისა, ასეთი საშუალებაა სიტყვა და სიტყვებია სულის მკურნალობის არსებითი იარაღიც. მოყვარული ძნელად თუ გაიგებს, რომ სხეულისა და სულის ავადმყოფური დარღვევები ექიმის "უბრალო" სიტყვებით თავიდან მოიშორება. მას ჰგონია მისგან მოითხოვდნენ ჯადოქრობის რწმენას. ამაში ის არც მთლად უმართებულოა; ყოველდღიურ მეტყველებაში გამოყენებული ჩვენი სიტყვები სხვა არაფერია, თუ არა მოხმობილი ჯადოქრები. მაგრამ აუცილებელია ვეძებოთ შემოვლითი გზა, რათა გასაგები გახდეს, როგორ ახერხებს მეცნიერება სიტყვას, ყოველ შემთხვევაში მის ნაწილს, დაუბრუნოს ადრეული გრძნეული ძალა.

ახალ დროში მეცნიერულად განსწავლულმა ექიმებმა ისწავლეს სულის მკურნალობის დაფასება. უკანასკნელი აღვილად აიხსნება, თუკი მედიცინის განვითარების გზას გავსდევთ ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე. საკმაოდ უნაყოფო პერიოდის (ე. წ. ნატურფილოსოფიასთან დამოკიდებულების) შემდეგ მედიცინამ, როგორც მეცნიერებამ, ისე დაბეჯითებამ ბუნებისმეტყველების ბეჯნიერი ზეგავლენის წყალობით, უდიდეს წარმატებას მიაღწია. იკვლია ორგანიზმის აგებულება მიკროსკოპიულად მცირე ერთიანობებით (უჯრედებით); გვასწავლა ცალკეულ სასიცოცხლო მოქმედებათა (ფუნქციების) ფიზიკურად და ქიმიურად გაგება; განასხვავა სხეულის ნაწილების თვალსაჩინო და ხელშესახები ცვლილებანი, რომლებიც არიან სხვადასხვა ავადმყოფური პროცესების შედეგები; სხვა მხრივ ნიშნებიც ნახა, რითაც ღრმად მდებარე ავადმყოფური პროცესები საკუთარ თავს აცნობენ ცოცხლებთან; მოგვიანოდ აღმოაჩინა ავადმყოფობის გამომწვევთა დიდი რიცხვი და ახლადმიღებულ შეხედულებათა დახმარებით მძიმე ოპერაციული ჩარევის საშიშროება განსაკუთრებით შეამცირა. ყველა აღნიშნული წარმატება და აღმოჩენა ეხება ადამიანის სხეულს და ასე მივიდა ის არასწორ, მაგრამ ადვილად გასაგები მსჯელობის წარმაროვის შედეგად იქამდე, რომ ექიმები თავიანთ ინტერესს შემოზღუდავდნენ სხეულებრივით, ხოლო სულიერით დასაქმება სიამოვნებით გადასცეს მათ მიერ უგულებელყოფილ ფილოსოფოსებს.

თუმცა თანამედროვე მედიცინას საკმაო საბაბი ჰქონდა, რომ უდავოდ არსებული კავშირი სხეულებრივსა და სულიერს შორის შეესწავლა. მაგრამ არასდროს არ გაუშვია ხელიდან სულიერი წარმოდგენა როგორც სხეულებრივით განსაზღვრული და მასზე დამოკიდებული. ასე გაესვა ხაზი, რომ სულიერი მოქმედებანი ნორმალურად განვითარებულ და საკმაოდ გამოკვებილ ტვინის არსებობას უკავშირდება და ამ ორგანოს ყოველი დაავადება გადადის დარღვევებში; რომ მომწამვლელ ნივთიერებათა შემოყვანით ცირკულაციაში, გამოიწვევა სულიერ დაავადებათა გარკვეული მდგომარეობანი. ანდა, სულ ცოტა, მძიმარის სიზმრები იცვლება გაღიზიანებათა შედეგად, რომელთაც ცდის მიზნით მასზე ამოქმედებენ.

დამოკიდებულება სხეულებრივსა და სულიერს შორს (ცხოველებთან და ადამიანებთან) ურთიერთზემოქმედების მიმართებაა, მაგრამ იმ დამოკიდებულების მეორე მხარე – სულიერის ზემოქმედება სხეულზე – ადრეულ დროში ექიმებისაგან არ იმსახურებდა მოწყალებას. ჩანდა, აშინებდათ სულიერი ცხოვრებისათვის გარკვეული დამოუკიდებლობის მინიჭება, თითქოს ამით მეცნიერული ნიადაგი ხელიდან გვეცლებოდა.

სხეულებრივზე მედიცინის აღნიშნულმა ცალმხრივმა მიმართულებამ უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში თანდათანო-

ბით განიცადა ცვლილება, რაც უშუალოდ მომდინარეობდა საქმიო საქმიანობიდან. სახელდობრ, არსებობს მსუბუქ და მძიმე ავადმყოფთა დიდი რაოდენობა, რომლებიც ექიმების დახელოვნებას დიდ მოთხოვნებს უყენებენ მათი აშლილობითა და ჩივილებით, მაგრამ რომლებთანაც თვალსაჩინო და ხელშესახები ნიშნები ავადმყოფობის პროცესისა არც მათ სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ არ შეიმჩნევა, მიუხედავად მეცნიერულ მედიცინაში კვლევის მეთოდებში წარმატებებისა. აღნიშნულ ავადმყოფთა ერთი ჯგუფი საკარია ავადმყოფობის სურათის შინაარსის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით; მათ არ შეუძლიათ ვონივრული მუშაობა თავის ტკივილის, ანდა ყურადღების უუნარობის გამო, კითხვისას თვლები ტკივათ, ხოლო სიარულისას ქვედა კიდურები ეღლებათ, არიან ავადმყოფურად ჩრუნი და ენაჩავარდნილები, მათი საჭმლის გადამუშავება დარღვეულია შეგრძნებებით, ბოყინით ან ძუცლის ჭვალით, კუჭის მოქმედება საჭიროებს დახმარებას, ძილი დარღვეულია და ა. შ. შეიძლება ყველა ეს სნეულება იყოს ერთდროულად ან ერთმანეთის მიყოლებით ანდა იყოს მხოლოდ ზოგიერთი მათგანი; ცხადია, კერძოდ, ავადმყოფობა ერთი და იგივეა ყველა შემთხვევაში. ამასთან ავადმყოფობის ნიშნები ხშირად ცვალებადია, ისინი ცვლიან და ენაცვლებიან ერთმანეთს. იგივე ავადმყოფი რომელიც აქამდე თავის ტკივილის გამო შრომისუუნარო იყო, მაგრამ ჰქონდა კარგი საჭმლის მონელება, შეიძლება მომდევნო დღეს მას აღარ ჰქონდეს თავის ტკივილი, მაგრამ აქედან დაწყებული ის უმრავლეს საჭმელს ცუდად იტანს; ასევე დაავადება წყდება მისი ცხოვრების დამოკიდებულებათა სულშესახები შეცვლის დროს; შეიძლება გასეირნებისას თავს საკვებით კარგად გრძნობდეს და სხვადასხვა საჭმლით ზიანის მიუყენებლად დატკბეს. სახლში დაბრუნებისას კი ალბათ ისევ მაწვნით უნდა შემოიფარგლოს. ამ ავადმყოფებიდან ზოგიერთთან დარღვევას – ტკივილს ან დამბლის მსგავს სისუსტეს – შეუძლია უცებ სხეულის მხარე შეიცვალოს, მარჯვნიდან გადაინაცვლოს მარცხნივ. მაგრამ ყველასთან შეიძლება შევნიშნოთ, რომ ავადმყოფობის ნიშნები ძალზე შესამჩნევად დგანან აგზნებათა, ემოციათა, მღელვარებათა ზემოქმედების ქვეშ და მათი გაჭრობის შემთხვევაში ადგილს უთმობენ სრულ ჯანმრთელობას ისე, რომ დიდხანს

მნიშვნელოვან კვალს არ ტოვებენ.

საექიმო გამოკვლევამ საბოლოოდ დაგვანახა, რომ ასეთი პირები არ უნდა განვიხილოთ და ვუმკურნალოთ როგორც, კუჭით ან თავლებით დაავადებულთ და მისთანათ, არამედ უნდა მივუდგეთ როგორც მთლიანი ნერვული სისტემით დაავადებულთ. ასეთ ავადმყოფთა ტკივილსა და ნერვების გამოკვლევამ დღემდე ვერავითარი ხელშესახები ცვლილება ვერ პოვა, თუმცა ავადმყოფობის სურათის ზოგიერთი თვისება მოლოდინსაც გვთავაზობს, რომ ისეთი ცვლილებები, რომლებითაც უნდა აიხსნას ავადმყოფობა, ოდესმე შეიძლებოდა დაგვედასტურებინა გამოკვლევის უფაქიზესი საშუალებებით. ამ მდგომარეობას უწოდეს ნევროზულობა (ნევრასთენია, ისტერია) და ისინი აღნიშნეს როგორც ნერვული სისტემის უბრალო "ფუნქციონალური" დაავადება. გარდა ამისა, ასევე მრავალ უცვლელ ნერვულ დაავადებებთან და ისეთთანაც, რომლებიც მხოლოდ სულიერი ავადმყოფობის ნიშნებს აჩვენებენ (ეგრეთწოდებული იძულებითი იდეები, ბოდვითი იდეები, ჭკუიდან შეშლილობა), ტკივილის დაწვრილებით გამოკვლევებს (ავადმყოფის სიკვდილის შემდეგ) შედეგი არ მოუცია.

ექიმთა წინაშე დადგა ამოცანა, გამოეკვლიათ ამ ნევროზულებთან თუ ნევროტიკებთან ავადმყოფურ გამოვლინებათა ბუნება და წარმოშობა. ამასთან, შემდგომ აღმოჩენაც გაკეთდა, რომ, ყველა შემთხვევაში, ამ ავადმყოფთა ერთ ნაწილს ავადმყოფობის ნიშანი სხვაგვარად არ შეხებია, თუ არა მათი **სულიერი ცხოვრების შეცვლილი ზეგავლენით სხეულზე**, რომ, მათი აშლილობის უახლოესი ძიძეა მოსაძებნია სულიერში. კერძოდ ამ აშლილობის შორეული მიზეზი რომელია, რაც სულიერს შეეხო და თავის მხრივ სხეულებრივზე ზემოქმედებს ხელშემშლელად. ეს სხვა საკითხია და აქ შეიძლება სულაც არ შევხებოდით, მაგრამ საექიმო მეცნიერებამ მათ შორის მაინც ნახა კავშირი, რამდენადაც დღემდე უგულვებელყოფილ მხარეს სხეულსა და სულს შორის ურთიერთდამოკიდებულებისას მთელი ყურადღება მიაპყრო.

უწინარეს ყოვლისა, როცა ავადმყოფურს ვსწავლობთ, ვგებულობთ ნორმალურს. სულიერი ზემოქმედების შესახებ სხეულზე ადრე ბევრი რამ იყო ცნობილი, რამაც მხოლოდ ახლა ჰპოვა სწორი განმარტება. ყოველდღიურ, წესზომიერ და ყველასთან დაკ-

ვირველად მაგალითს სხეულზე სულიერი ზემოქმედებისას გვთავაზობს ეგრეთწოდებული "გრძნობათა მოძრაობის გამოხატვა". ადამიანის თითქმის ყველა სულიერი მდგომარეობანი ვლინდებიან მისი სახის კუნთების დაძაბულობასა და მოდუნებაში, გამოხედვაში, კანის სისხლით ავსებაში, სახმო აპარატის დაძაბულობაში და სხეულის ნაწილების უპირველეს ყოვლისა, ხელების დაჭერაში. აღნიშნული თანმხლები სხეულებრივი ცვლილებანი ავადმყოფისათვის ხშირად არავითარი სარგებლობის მომტანი არაა. პირიქით, ხშირად ისინი ხელს უშლიან განზრახვას, როცა სხვების წინაშე თავისი სულიერი პროცესების დაფარვა უნდათ, მაგრამ სხვებს კი აჩვენებენ და მიანიშნებენ, რომელთა დაყრდნობითაც შეიძლება დასკვნის გამოტანა სულიერ პროცესებზე და რომელნიც უფრო ინტიმურია, ვიდრე სიტყვებით განცხადებული გამონათქვამები. თუკი ადამიანს გარკვეული სულიერი აქტივობის დროს ზუსტად გამოვიკვლევთ, მაშინვე ვნახავთ მის შემდგომ სხეულებრივ შედეგებს გულის მუშაობის ცვლილებაში, მისი სხეულის სისხლის მოძრაობის მონაცვლეობაში და მისთ. გარკვეულ სულიერ მდგომარეობებთან, რომელთაც "აფექტებს" უწოდებენ, სხეულის თანამონაწილეობა ისე თვალშისაცემი და გრანდიოზულია, ზოგიერთმა სულის მკვლევარმა კიდევაც იფიქრა, რომ აფექტის არსი მდგომარეობს მხოლოდ ამ მის სხეულებრივ გამოხატულებაში. საერთოდ ცნობილია, როგორი განსაკუთრებული ცვლილებები ხდება სახის გამომეტყველებაში, სისხლის მიმოქცევაში, გამოყოფაში თუ ნებისმიერი კუნთების აგზნების მდგომარეობებში. მაგ., შიშის, რისხვის, სულიერი ტკივილის, სქესობრივი ექსტაზის ზეგავლენის შედეგად. ნაკლებადაა ცნობილი, მაგრამ სავსებით უზრუნველყოფილია აფექტის სხვა სხეულებრივი ზემოქმედებანიც, რომლებიც აღარ ეკუთვნიან მათივე გამოხატვას არასასიამოვნო, ანდა, როგორც ამბობენ "დეპრესიული" ბუნების ხანგრძლივი აფექტური მდგომარეობანი, როგორიცაა სევდა, მღელვარება და მწუხარება მთლიანად ასუსტებს სხეულის კეებას, ისინი განაპირობებენ თმის გაოეთრებას, სიმსუქნის გაქრობასა და სისხლძარღვების ავადმყოფურად შეცვლას. პირიქით, სიხარულით აღსავსე აგზნების დროს, "ბედნიერების" დროს, ვხედავთ აყვავებულ სხეულს და პიროვნება ისევ იბრუნებს ახალგაზრდობის ზოგიერთ

სიმპტომს. ძლიერი აფექტები დიდადაა დაკავშირებული ავადმყოფობის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის ინფექციასთან; ამის საუკეთესო მაგალითია, როცა შეიკოსი-დამკვირვებელი გვამცნობს, რომ მიღრეკილება ბანაკის დაავადებებისადმი და სისხლიანი ფაღარათისადმი (დიზენტერია) დამარცხებულთა არმიაში უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე გამარჯვებულთა შორის. აფექტები, სახელდობრ თითქმის განსაკუთრებით დეპრესიულები, ხშირად თავისთავად საკმარისიცაა ავადმყოფობის მიზეზად გამოვიდეს, როგორც სხვა ორგანოების ასევე ნერვული სისტემის დაავადებათათვის ანატომიური ცვლილებებით, ამასთან დაშვებულია, რომ შესატყვის პირსონს აღნიშნულ დაავადებისადმი მიდრეკილება მანამდე ჰქონდა.

უკვე ჩამოყალიბებული ავადმყოფობის მდგომარეობანი შეიძლება შემტევი აფექტების გზით ძალზე ამაღლდეს უფრო ხშირად გაუარესების ნიშნით. მაგრამ იმის მაგალითებიცაა, როცა დიდი შიში, უეცარი სევდა, ორგანიზმის საკუთარი მომართვით, განმკურნავად ზემოქმედებს კარგად ჩამოყალიბებულ ავადმყოფურ მდგომარეობაზე, ანდა თვითონ ისპობა. დაბოლოს, საეჭვო არაა, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა დეპრესიული აფექტებით შეიძლება მნიშვნელოვნად შემოკლდეს იმავე, როგორც ძლიერმა შიშმა, ცეცხლისშიშებმა **"შეურაცხყოფამ"**, ანდა სირცხვილმა შეიძლება უეცრად სიცოცხლე შეწყვიტოს. საოცარია, რომ ეს უკანასკნელი ზოგჯერ ასევე შედეგია მოულოდნელი დიდი სიხარულისა.

ყურო გაგებით, აფექტები გამოიყოფა სავსებით განსაკუთრებული მიმართებით სხეულებრივ პროცესებთან, მაგრამ მკაცრად ალებული ყველა სულიერი მდგომარეობა, ისეთნიც კი, რომელთაც წმინდებრივ განვიხილავთ როგორც "აზროვნების პროცესებს", გარკვეულწილად **"აფექტურია"**, და არც ერთ მათგანს არ აკლია სხეულებრივი გამოსახვა და უნარი შეცვალოს სხეულებრივი პროცესები. თუთ ჩემ აზროვნებასთან "წარმოდგენებით" მათი შინაარსის შესატყვისად წარმოიქმნება გლუვ და შვეულ კუნთებთან მუდმივი აგზნებები, რომლებიც შესტყვისი გაძლიერებით შეიძლება გახდნენ ცხადნი და გვიხსნიან ზოგიერთ საკვირველ, დიახაც, თითქოსდა "ზებუნებრივ" მოვლენას. ასე, მაგალითად, ეგრეთწოდებული აზრთა მიხვედრა აიხსნება მცირე, უნებური კუნთების მოძრაობებით, რო-

სსრკ-ში რკინიგზების სახელმწიფო ბიბლიოთეკა

მელთაც ანხორციელებს "შედიუმი", თუკი მასზე ცდას ატარებენ, რათა დამალული საგანი იპოვონ. მთელი მოვლენა ალბათ იმსახურებს **აზრთა მიხვედრის** სახელს.

ნებისყოფის პროცესებსა და ყურადღების შეუძლიათ სხეულებრივ პროცესებზეც მოახდინონ ღრმა ზეგავლენა და დიდი როლი ითამაშონ სხეულით დაავადებულებთან როგორც დამცველებმა ანდა შემკავებლებმა. დიდი ინგლისელი ექიმი საკუთარი თავის შესახებ გვაძცნობს, რომ მას შეუძლია სხეულის ყოველ ადგილზე, რაზედაც ყურადღების მიმართავს, გამოიწვიოს მრავალსახეირი შეგრძნება და ტკივილი; ჩანს, ადამიანთა დიდი რაოდენობა ძსგავსადვე იქცევა. ტკივილის შეფასებისას, რომელსაც ჩვეულებრივ აკუთვნებენ სხეულებრივ მოვლენებს, საერთოდ არის მათი განსაკუთრებულად ნაოელი დამოკიდებულება სულიერი პირობების მხედველობაში მიღებით. მოყვარულნი, რომლებიც ასეთ სულიერ ზეგავლენებს სიამოვნებით მიიჩნევენ ფანტაზიად, ჩვეულნი არიან წარმოსახვით მიღებულ ტკივილს, საპირისპიროდ გამოწვეულისა დაჭრით, ავადმყოფობით ანდა ანომებით, ნაკლებად სცენ პატივი. მაგრამ ესაა ცხადი უსამართლობა; ტკივილის მიზეზი, რომელიც ყოველთვისაა, წარმოსახვაც შეიძლება იყოს. ამიტომ ასეთი ტკივილი არანაკლებ რეალური და არანაკლებ ძლიერია.

როგორც ტკივილი გამოიწვევა ან ძლიერდება ყურადღების მიპყრობით, ისე ის ქრება ყურადღების გადახრისას. ეს გამოცდილება შესაძლებელია გამოვიყენოთ ბავშვების დასაწყნარებლად; მებრძოლი ვერ შეიგრძნობს ჭრილობის ტკივილს ბრძოლის ქარცეცხლში. ალბათ მოწაფე რელიგიური გრძნობის აგზნებისას, ყოველი მისი აზრის მიმართვაში მასზე მოქმედ ზეციურ ჯილდოზე, ხდება სრულიად შეუგრძნობელი მტანჯავი ტკივილის მიმართ. ნებისყოფის გავლენა სხეულის ავადმყოფურ პროცესებზე მაგალითებით უფრო ნაკლებ დასტურდება, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ განზრახვა ჯანმრთელად გახდომისა, ანდა ნება სიკვდილისა, მნიშვნელობას მოკლებული არაა თვით მძიმე და საეჭვო ავადმყოფობის შემთხვევების შედეგისათვის.

უდიდესი პრეტენზია ჩვენი ინტერესის მიმართ აქვს **ძოლოდინის** მდგომარეობას, რომლის საშუალებით მოქმედი სულიერი ძალებს რიგი დაავადებისათვის და სხეულებრივი ტკივილების გამოჯანმრთელებისათვის ქმედითნი შეიძლება გახდნენ. **საშიში** მოლოდინი, რა თქმა უნდა შედეგისათვის გაურჩეველი არაა; მნიშვნელოვანი იქნებოდა სანდოდ გვცოდნოდა, ის მართლა ისე დიდ როლს ითამაშობს დაავადებაში, როგორც მას თვლიან, თუ ის, მაგალითად, ჭეშმარიტებას ეძყარება, რომ ეპიდემიის ბატონობის დროს ყველაზე ხშირად ისინი ვარდებიან საფრთხეში, ვისაც დაავადებისა ეშინია. საპირისპირო მდგომარეობა – იმედით სავსე და **სარწმუნო მოლოდინი** – ზემოქმედი ძალაა, რომელსაც მკაცრად აღებული, ყველა ჩვენს დამოკიდებულებებსა და მკურნალობის ცდებთან ანგარიშს უწევეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ავხსნიდით შედეგების თავისებურებას, რასაც ვაკვირდებით მედიკამენტებისა და მკურნალობის ჩარევისას. მაგრამ ყველაზე ხელშესახები ხდება **სარწმუნო მოლოდინის** ზეგავლენა ეგრეთწოდებულ სასწაულებრივ მკურნალობებთან, რაც დღესაც ხდება ჩვენს თვალწინ ექიმის ხელოვნების თანამოქმედების გარეშე. სწორი, საკვირველი მკურნალობანი მორწმუნეებთან ხორციელდება ღონისძიებათა ზეგავლენით, რომელნიც ვარგისია რელიგიური გრძნობების ამაღლებისათვის. მაშ, იქ, სადაც სასწაულმოქმედ მოწყალების ხატს მიეგება პატივისცემა, სადაც წმინდა ან ღვთიური პირი ადამიანებს ეჩვენება და მათ მდგომარეობის შემსუბუქებას პირდება როგორც სამაგიეროს თაყვანისცემისათვის, ანდა იქ, სადაც წმინდანის რელიქვიები განძის სახით ინახება, ჩანს მარტოდმარტო რელიგიურ რწმენას იოლად არ ხელეწიფება, მოლოდინის გზაზე დაავადება გაწიდეკნოს, ვინაიდან ჭრილობის მკურნალობებთან ხშირად კიდევ სხვა ღონისძიებანი მიიწყილეობენ. ჟამი, რომელთანაც ღვთიურ მოწყალებას ეძიებენ, განსაკუთრებული დამოკიდებულებებით უნდა აღინიშნოს; სხეულებრივი საზრუნავი, რომელსაც ავადმყოფი თავზე იდებს, სალოცავებში სელის სიძნელეებმა და მსხვერპლმა უნდა მოწყალებისათვის განსაკუთრებით დაუფასოს.

მოხერხებული, მაგრამ ფრიად არასწორი იქნებოდა, თუკი სასწაულებრივი მკურნალობის რწმენაზე უბრალოდ უარს ვიტყოდით და მის შესახებ დამოკიდებულებას აგხსნიდით ჩუმ თაღლითობასა და არასწორ დაკვირვებას შორის დამთხვევით. ახსნის ამ მცდელო-

ბას, როგორი სწორიც შეიძლება იყოს ის, მაინც არ გააჩნია ძალა საერთოდ უარყოს სასწაულებრივი მკურნალობის ფაქტი. ეს ნამდვილად ხდება ყველა დროში და ეხება არა მხოლოდ სულიერი წარმოშობის ტკივილებს, რომელთაც, საფუძვლები აქვს "წარმოსახვაში", რომელზედაც სწორედ რომ განსაკუთრებულად შეუძლიათ იმოქმედონ რელიგიურმა ვითარებებმა, არამედ ეხება ორგანულად დაფუძნებულ ავადმყოფურ მდგომარეობებსაც, ეწინააღმდეგებიან რა მანამდე ყველა სამკურნალო მცდელობებს.

მაინც საჭიროება არაა სასწაულებრივი მკურნალობის ახსნისათვის მოვუხმოთ სხვას, თუ არა სულიერ ძალებს. შედეგები, რომლებიც ჩვენი შემეცნებისათვის გაუგებარია, ასეთ პირობებშიც არ ჩანს. ყველაფერი ბუნებრივად ხდება. დიახ, რელიგიური რწმენის ძალა აქ ძლიერდება მრავალი ნამდვილად ადამიანური ლტოლვითი ძალებით. ცალკეულის ღვთისმოსაგი რწმენა მაღლდება ადამიანთა მასების აღფრთოვანებით, რომლის შუაშიდაც ის წმინდა ადგილს უახლოვდება. მასების ასეთი ზემოქმედებით შეიძლება ცალკეული ადამიანის ყველა სულიერი აგზნება ამაღლდეს არამისიურში, სადაც ერთეული ეძიებს განკურნებას მოწყალების ადგილზე. იქაა მოწოდება, ადგილის დათვალიერება, რომელიც ენაცვლება ადამიანთა მასების ზემოქმედებას. აქ ისევ მოქმედებს მხოლოდ ბრბოს ძალა; აღნიშნული ზემოქმედება სხვა გზითაც გამოიყენება. ვინაიდან ცნობილია, რომ ღვთიური მოწყალება მუდამ მხოლოდ მრავალთა შორის ზოგიერთს გაძოარჩევს, თითოეულს შეუძლია ამ წარჩინებულთა და რჩეულთა შორის იყოს; ცალკეულში მთვლემარე პატივმოყვარეობა მოდის დამხმარედ ღვთისმოსავი რწმენისა, ხოლო სადაც ასე მრავალი ძლიერი ძალა თანამოქმედებს, არ უნდა გაგიკვირდეს, თუკი ზოგჯერ მიზანი ნამდვილად მიიღწევა.

არც რელიგიურად ურწმუნონი უარყოფენ საკვირველ მკურნალობას. ავტორიტეტი და მასების ზემოქმედება საკმაოდ ენაცვლებიან მათ რელიგიურ რწმენას. ყოველ დროს არსებობენ მოღვაწე მკურნალობანი და მოღვაწე ექიმები, რომლებიც განსაკუთრებით წარჩინებულ საზოგადოებას ეუფლებიან, სადაც უძლიერეს სულიერ მამოძრავებელ ძალებს წარმოადგენს მისწრაფება ერთმანეთს ავუბობონ და კეთილშობილს მიბაძონ. ასეთი მოღვაწე მკურნალობანი

ასეთარებენ სამკურნალო ზემოქმედებებს, რომლებიც არაა მისი ძალის სფეროში და მითითებული საშუალებანი მოღვაწე ექიმის ხელში აღწევენ, რომელიც ცნობილი გახდა როგორც გამოჩენილი პიროვნების დამხმარე უფრო მეტს, ვიდრე მას მიაღწევდნენ სხვა ექიმები. ასე რომ, არსებობენ როგორც ღვთიური, ისე ადამიანური საკვირველთმქმნელები. მოდისა და წაბაძვის წყალობით კი სწრაფად იცვლება წარჩინებული ადამიანის ავტორიტეტი. როგორც ეს შეესატყვისება მისთვის მოქმედი ძალების ბუნებას.

გასაგები უკმაყოფილება საექიმო ხელოვნების ხშირად არასაკმარი დახმარებით, ალბათ ასევე შინაგანი აღშფოთება მეცნიერული ორაზროვნების იძულების მიმართ, რომელიც ასაზავს ბუნების ულმობელობას, ყველა დროში და ჩვენ დღეებშიც ახლებურად ქმნის ხალხურ პირობას და საშუალებებს პიროვნებათა სამკურნალო ძალისათვის. სარწმუნო მოლოდინი მაშინ აღდგება, როცა დამხმარე ექიმი არაა და შეუძლია დაიკვეხნოს, რომ არაფერი ესმის სამკურნალო ხელოვნების მეცნიერული დასაბუთებისა, როცა საშუალება არაა შემოწმებული ზუსტი გამოცდით, არამედ რეკომენდირებულია პოპულარული მიკერძოებით. აქედან მომდინარეა ბუნებრივი სამკურნალო დახელოვნებისა და ბუნებრივ მკურნალ მოღვაწეთა სიძულვილი, რომლებიც ახლაც ისევ სადავოდ ხდიან ექიმების მიერ მათი პროცესიის გამოყენებას და რომელთა შესახებ ჩვენ მაინც რალაც სარწმუნო შეგვიძლია ვთქვათ. რომ ისინი გამოჯანსაღების მაძიებელთათვის უფრო ხშირად ვნების მომტანია, ვიდრე სიკეთისა. გვაქვს რა საფუძველი სარწმუნო მოლოდინზე ავადმყოფები გავაკეხოთ, მაინც არ უნდა მოვიქცეთ უგუნურად – დავივიწყოთ, რომ დასახელებული ძალა უწყვეტლივ ასევე ჩვენ საკუთარ სამკურნალო მცდელობებს ეხმარება. ალბათ ყველა საშუალებათა ზემოქმედება, რომელსაც ექიმი გვთავაზობს, ყოველი ჩარევა. რასაც ის მიმართავს, შედგება ორი ნაწილისაგან. ერთი, ხან მეტად, ხან ნაკლებად, არასდროს არაა სავსებით უგულებელსაყოფი, რადგანაც ავადმყოფის სულიერ ქცევას ახლავს. სარწმუნო მოლოდინი, რომელითაც ის უპირისპირდება საექიმო ღონისძიებათა უშუალო ზეგავლენას, დამოკიდებულია, ერთი მხრით, მისი საკუთარი გამოჯანმრთელებისაკენ მისწრაფების სიდიდეზე, მეორე მხრივ, მის ნდობა-

ზე, რომ მან ამისთვის სწორი ნაბიჯი გადადგა, მაშასადამე, დამოკიდებულია მის ყურადღებაზე საექიმო ხელოვნების მიმართ საერთოდ; შემდეგ ძალაზე, რომელსაც ის თავისი ექიმის პიროვნებას აკუთვნებს და თვითონ წმინდა ადამიანურ სიმპათიაზე, მასში მკურნალი რომ აღვიძებს. არიან ექიმები, რომელნიც ავადმყოფთა ნდობას უფრო იმსახურებენ სხვებთან შედარებით.. ავადმყოფი ხშირად უკეთ გრძნობს თავს. როგორც კი ექიმს დაინახავს თავის ოთახში შემოსულს.

ძველთაგანვე, ძველ დროში სულის მკურნალობის ხაზით ექიმებს ჰქონდათ გაცილებით მეტი ეფექტურობა, ვიდრე დღესაა. შესაბამისად, როცა სულის მკურნალობაში გესმის მცდელობა ავადმყოფებში გამოიწვიოთ მკურნალობისათვის ხელსაყრელი სულიერი მდგომარეობანი და პირობები. საექიმო მკურნალობის ეს სახე ისტორიულად უძველესია. ძველი ხალხების განკარგულებაში სხვა არაფერი იყო, თუ არა ფსიქიკური მკურნალობა; ისინი ასევე ხელიდან არ უშვებდნენ სამკურნალო სასმელებისა და სამკურნალო საშუალებათა სულის მკურნალობის გზით გამოყენებას. ჯადოსნური ფორმულების, ცნობილ გამოყენებას განწმენდის გაბანვებს. წინასწარმეტყველური სიზმრების გამოძალვას ტაძარში ძილის საშუალებით და ა. შ. შეუძლიათ განმკურნავად იმოქმედონ მხოლოდ სულიერი გზით. თვითონ ექიმის პიროვნებამ შექმნა ავტორიტეტი, რომელიც პირდაპირ ღვთიური ძალისაგან მომდინარეობდა, ვინაიდან თავდაპირველად მკურნალობის ხელოვნება სასულიერო პირის ხელში იყო. ასე იყო ექიმის პიროვნება მაშინაც და ახლაც ერთი ძირითადი გარემოებათაგანი ავადმყოფებთან სულიერი მდგომარეობის განკურნების საქმეში.

ახლა ჩვენ ვიწყებთ სიტყვის "მოშხიბვლელობის" გაგებასაც დიახაც, სიტყვები მნიშვნელოვანი გამაშუალებელია იმ ზეგავლენისა, რომლითაც ადამიანები სხვებზე მოქმედებენ; სიტყვები კარგი საშუალებაა, რათა ადამიანზე მიმართულმა გამოიწვიოს სულიერი ცვლილებები, და არაა ამოუხსნელი გამოცანა, როცა ამტკიცებენ, რომ სიტყვის ხიბლს შეუძლია ავადმყოფური მოვლენების თავიდან მოშორება, განსაკუთრებით ისეთებისა, თვითონ სულიერ მდგომარეობებში რომაა მოტივირებულნი.

ცვლა სულიერ ზემოქმედებას, რომლებზეც მიეთითა, როგორც ავადმყოფობათა მოხსნის საშუალებაზე, აქვს რაღაც გაუთვალისწინებელი ობიექტები, ნებაზე მიმართვა, ყურადღების გადახრა, რწმენითი მოლოდინი, ყველა ეს ძალა, რომლებიც შემთხვევისდა მიხედვით დადებულებას სპობენ სხვა შემთხვევებში ამას ვერ აღწევენ. ალბათ ავადმყოფობის ბუნება განაპირობებს განსხვავებულ შედეგს. ეტყობა, სულიერად ასე განსხვავებულ პიროვნებათა სიდიადეა ის, რაც ხელს უშლის განკურნების რეგულირებას. მას შემდეგ, რაც ექიმებმა ნათლად გააცნობიერეს სულიერი მდგომარეობის მნიშვნელობა მკურნალობისათვის, შეეცადნენ ავადმყოფთათვის ალარ გადაეცათ სულიერი გამაფრთხილებელი ზომების ის შედეგი, რაც შეიძლებოდა მასში აღდგენილიყო, არამედ სულიერი მდგომარეობა მიზანშეწონილად შესატყვისი საშუალებებით გვეიძულებინა. სწორედ ამ მცდელობიდან იღებს დასაბამს თანამედროვე **სულის მკურნალობა.**

აღმოჩნდა დიდი რაოდენობა მკურნალობის წესებისა. მათ შორის ზოგიერთი თავისთავად გასაგები, სხვები მხოლოდ დახლართული წახაძღვრების გაცნობიერების შემდეგ მისაწვდომი. გასაგებია, არის რაღაც, რომ ექიმი, რომელსაც დღეს ალარ შეუძლია როგორც მღვდელს, ანდა საიდუმლო მეცნიერების მფლობელს განცდოცვა შთააგონოს, საკუთარ თავს აჩვენებს ისე, რომ ის იძენს ავადმყოფების მხრიდან ნდობასა და კეთილ განწყობილების მოპოვებას. ეს ემსახურება მიზანშეწონილ დაფიქრებას, როცა ექიმს ასეთი წარმატება მხოლოდ ავადმყოფთა შეზღუდულ რაოდენობაზე აქვს, მაშინ როცა სხვებს მათი განათლების დონისა და სიმპათიების გამო ექიმთა სხვა პიროვნებები იზიდავს. **ექიმთა თავისუფალი არჩევანის გაუქმებით იხსნება მნიშვნელოვანი პირობა ავადმყოფთა სულიერი ზემოქმედებისთვის.**

ექიმმა გვერდი უნდა აუაროს ინტენსიურად ზემოქმედ სულიერ საშუალებათა მთელ რიგს. მას ან ძალა არ შესწევს, ანდა უფლება არ აქვს გაბედოს მათი გამოყენება. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ძლიერი ობიექტების გამოწვევას, მაშასადამე, უმნიშვნელოვანეს საშუალებებს, რითაც, სულიერი ზემოქმედება სხეულებრივზე. ბედისწერა ხშირად კურნავს ავადმყოფებს ინტენსიური მხიარული აგზნებით, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით, სურვილების ასრუ-

ლებით. ექიმს, რომელიც თავისი ხელოვნების მიღმა ხშირად თვითონაც უძლურია, არ შეუძლია ასეთ ფაქტებს კონკურენცია გაუწიოს. შიში და შეშინება, განკურნების მიზნებით გამოწვეულნი, ძალას ფლობენ, მაგრამ ბავშვების გარდა ძალზე საეჭვო უნდა იყოს ასეთი ორლესული ღონისძიებისათვის მიმართვა. სხვა მხრივ ყოველი დამოკიდებულება ავადმყოფთან, რომლებიც უკავშირდებიან ნაზ გრძნობებს, ამ სულიერ მდგომარეობათა ცხოვრებისეული მნიშვნელობის გამო, ექიმისათვის გამორიცხულია. და ამით იმდენად შემოიფარგლება მისი შესაძლებლობა ავადმყოფის სულიერი ცვლილებისათვის, რომ განზრახ წარმართულ სულის მკურნალობას ადრინდელთან შედარებით არავითარი უპირატესობა არ ენიჭება.

ექიმს შეუძლია ავადმყოფის ნების მოქმედება და ყურადღება წარმართოს, და, სხვადასხვა ავადმყოფურ მდგომარეობასთან კიდევაც აქვს ამის კარგი საბაბი. როცა ექიმი მას, ვინც საკუთარ თავზე ფიქრობს, რომ პარალიზებულია, ამისათვის საჭიროებს შეუპოვრად მოძრაობის განხორციელებას, რაც ავადმყოფს მოჩვენებითად არ შეუძლია ანდა მშიშრებთან, რომელნიც ნამდვილად არარსებული დაავადების გამო მოითხოვენ გამოკვლევას, გამოკვლევას უარყოფენ, ექიმი სწორ მკურნალობის გზას ირჩევს, მაგრამ აღნიშნული ცალკეული ვითარება მაინც არ გვაძლევს უფლებას სულიერი მკურნალობა წარმოვიდგინოთ განსაკუთრებული მკურნალობის მეთოდად. ამის საპირისპიროდ ექიმს შესაძლებლობა ეძლევა საკუთარი და გაუკვალავი გზით ღრმა, თუმცა დროებითი ზეგავლენა სულიერ ცხოვრებაზე მიიღოს და ის გამოიყენოს სამკურნალო მიზნებისათვის.

დიდი ხნიდანაა ცნობილი, მაგრამ მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულში ეჭვის გარეშე დადგა, რომ შესაძლებელია ადამიანი გარკვეული მსუბუქი ზემოქმედების გზით სავსებით თავისებურ სულიერ მდგომარეობაში გადავიყვანოთ, რომელსაც ძილთან ბევრი მსგავსება აქვს და ამიტომ აღნიშნეს როგორც **ჰიპნოზი**. ჰიპნოზის გამომწვევ მეთოდებს ერთი შეხედვით ერთმანეთთან ბევრი არაფერი აქვთ საერთო. დაჰიპნოზება შესაძლებელია მაშინ, როცა მბრწყინავ საგანს უცვლელად რამდენიმე წუთით თვალწინ ვათავსებთ, ანდა მაშინ, როცა ჯიბის საათს იმავე დროით ცდის პირს ყურზე ვადებთ, ანდა იმით, რომ რამდენიმეჯერ მის სახესა და სხეულზე

ხელის გულს მცირე მანძილით დაშორებით ვატარებთ. შეუძლიათ იმავეს მიაღწიონ, როცა დასაჰიპნოტიზირებელ პიროვნებას ჰიპნოზური მდგომარეობისა და მისი განსაკუთრებულობის დაწყებას წყნარად აცნობებენ, მაშ, "შთააგონებენ" ჰიპნოზს. შესაძლებელია ამ ორივე მეთოდის ერთმანეთთან დაკავშირებაც. პიროვნებას ადგილს მიუჩენენ, თვალწინ თითს უჭვენებენ, ავალებენ მას მიაშტერდეს და ეუბნებიან, თავს დაღლილად გრძნობთ, თვალები გეხუჭებათ, არ შეგიძლიათ მათი ღიად დატოვება; სხეულის ნაწილები მძიმდება, მათი ამოძრავება არ შეგიძლიათ, თქვენ უკვე ჩაიძინეთ და ა. შ. შეამჩნიეს, რომ ყველა ამ მეთოდს აქვს საერთო მომენტი, ესაა ყურადღების მიჯაჭვა, პირველთან ლაპარაკია ყურადღების დაღლაზე სუსტი და ერთგვაროვანი შეგრძნების გამოიზიანებლით, როგორც ეს ხდება ხოლმე, როცა უბრალო შთაგონება ზუსტად იგივე მდგომარეობას იწვევს, რასაც სხვა მეთოდები; ეს ვითარება ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად არაა ახსნილი. გამოცდილი ჰიპნოტიზიორი გვამცნობს, რომ ამ წესით ცდისპირთა 80 პროცენტი ცხად ჰიპნოზურ ცვლილებას აღწევს. მაგრამ არ გაგვაჩნია არავითარი ნიშანი, რითაც წინასწარ შეიძლებოდა მიხვედრა, რომელი ექვემდებარება ჰიპნოზს და რომელი არა. ავადმყოფობის მდგომარეობა არ განეკუთვნება ჰიპნოზის პირობებს, ნორმალური ადამიანები განსაკუთრებით ადვილად უნდა დაჰიპნოზდნენ, ხოლო ნევროტულებთან ნაწილი ძნელად თუ ჰიპნოტიზირდება; სულიერად ავადმყოფნი, სრულ ჯანუტობას ამყლავნებენ. ჰიპნოზურ მდგომარეობას მრავალი საფეხური აქვს. მის მსუბუქ ფორმაში დაჰიპნოტიზირებული მიახლოებით გრძნობს მხოლოდ მცირე გაბრუებას; უმაღლესი და განსაკუთრებული თავისებურებით აღნიშნული ფორმა იწოდება, **სომნაბულიზმად**, მისი მსგავსების გამო ბუნებრივ მდგომარეობაში ნანახ **მთვარეულთან**. მაგრამ ჰიპნოზი არავითარ შემთხვევაში არაა ჩვენი ბუნებრივი ძილი ან ხელოვნური ძილის საშუალებით გამოწვეული. მასშია ცვლილებები და შენარჩუნებულია სულიერი მოქმედებანი, რომლებიც ნორმალურ ძილს არ გააჩნია.

ჰიპნოზის ზოგიერთ მოვლენას, მაგალ., კუნთური მოქმედების ცვლილებებს მხოლოდ მეცნიერული ინტერესი აქვს. მაგრამ ჰიპნოზის უმნიშვნელოვანესი და ჩვენთვის საყურადღებო ნიშანი ესაა

დაჰიპნოტიზირებულის ქცევა ჰიპნოტიზიორის მიმართ; მაშინ, როცა დაჰიპნოტიზირებული გარე სამყაროს მიმართ ისე იქცევა, როგორც მძინარე, მაშასადამე, ყველა მისი შეგრძნება მისგან ზურგშექცეულია, **შეგძარეა** პერსონისადმი, რომელმაც ის ჰიპნოზში გადაიყვანა, ესმის მისი და ხედავს მხოლოდ მას, მას იგებს და პასუხობს. ეს მოვლენა, რასაც უწოდებენ ჰიპნოზში **რაპორტს**, საპირისპიროა ზოგიერთი ადამიანის, მაგ., ბავშვის მკვებავი დედის ძილისა, ის ისეთი საკვირველი რამაა, რომ ხელი უნდა შეგვიწყოს ჰიპნოტიზირებულსა და ჰიპნოტიზიორს შორის დამოკიდებულების გაგებაში.

რომ დაჰიპნოტიზირებულის სამყარო, ასე რომ ვთქვათ, შემოფარგლულია ჰიპნოტიზიორით, არაა ერთადერთი. საქმე იქამდის მიდის, რომ პირველი სავსებით მორჩილი ხდება უკანასკნელისა, **გამხონე და რწმენის შქონე**, სახელდობრ, ღრმა ჰიპნოზში თითქმის სავსებით ასეა და ამ დამკვირებლობისა და რწმენის განხორციელებაში ჩანს ჰიპნოზური მდგომარეობის ბუნება, რომ დაჰიპნოტიზირებულთან სულიერი ცხოვრების ზეგავლენა სხეულზე საგანგებოდ ამაღლებულია, როცა ჰიპნოტიზიორი ამბობს: თქვენ არ შეგიძლიათ ხელის მოძრაობა, მაშინ ხელი ჩამოეშვება და უმოძრაო ხდება. ცხადია, დაჰიპნოტიზირებული ძაბავს მთელ ძალას, მაგრამ ხელს ვერ ამოძრავებს. როცა ჰიპნოტიზიორი ეუბნება თქვენი ხელი თავისთავად ამოძრავდებაო, დაჰიპნოზებულს აღარ შეუძლია მისი შეჩერება, ხელა ამოძრავდება და ჩანს დაჰიპნოზებულის უსარგებლო ძალისხმევა, ხელი უმოძრაოდ ჰქონდეს. წარმოდგენამ, რომელიც, ჰიპნოტიზიორმა სიტყვით გადასცა დაჰიპნოტიზირებულს, მასთან გამოიწვია ზუსტად ის სულიერ-სხეულებრივი ქცევა, რაც სიტყვის შინაარსს შეესატყვისება. ერთის მხრივ, მასშია დაჯერება, მეორე მხრივ, იდეის სხეულზე ზეგავლენის ამაღლება. აქ სიტყვა ნამდვილად ისევ იქცა ჯადოქრად.

იგივეა შეგრძნებითი აღქმების სფეროში. ჰიპნოტიზიორი ამბობს: თქვენ ხედავთ გველს, ცოსავთ და შეიგრძნობთ ვარდს, ისმენთ მშვენიერ მუსიკას, და დაჰიპნოზებული ხედავს, შეიგრძნობს, ისმენს, როგორც ამას მოითხოვს მისთვის მიცემული წარმოდგენა. საიდან იციან, რომ დაჰიპნოტიზირებულს ეს აღქმები ნამდვილად აქვს? შეგვეძლო გვეფიქრა, ის მხოლოდ ასე აკეთებს მოჩვენებითად, მაგრამ ეს მაინც არაა საფუძველი, მასში ეჭვი შევიტანოთ, ვინაიდან ის იქცევა სავსებით ისე, თითქოს მას ის ნამდვილად ჰქონდეს, გამოსახავს ყველა მისთვის დამახასიათებელ აფექტს, შეუძლია ასევე გარკვეულ პირობებში, ჰიპნოზის გაკლის შემდეგ, მისი წარმოსახული აღქმები და განცდები მოგახსენოთ. შემდეგ ამჩნევენ, რომ მან დაინახა და მოისმინა ისე, როგორც ჩვენ სიზმარში ვხედავთ და გვესმის, ე.ი. მას აქვს **ჰალუცინაცია**. ის, ცხადია, ჰიპნოტიზიორის მიმართ ისეთი რწმენითაა განშსჭვალული, რომ **დარწმუნებულია** გველი უნდა დაინახოს, რაკი ჰიპნოტიზიორი, მას ამას ატყობინებს და ეს დარწმუნებულობა ისე ძლიერად ზემოქმედებს სხეულებრივზე, რომ ის გველს ნამდვილად ხედავს, როგორც ეს მოხდებოდა შემთხვევისდა მიხედვით არადაჰიპნოზებულ პირებთანაც.

გარდა ამისა, ასეთი დარწმუნებულობა, როგორიც აქვს დაჰიპნოტიზირებულს ჰიპნოტიზიორის მიმართ, ჰიპნოზის გარდა გვხვდება რეალურ ცხოვრებაშიც, მხოლოდ **ბავშვებთან საყვარელი შვობლების** მიმართ. აგრეთვე ასეთ განწყობას საკუთარი სულიერი ცხოვრების მსგავსი დაქვემდებარებით სხვა პერსონის მიმართ აქვს ერთადერთი, მაგრამ შემდგომ სრულფასოვანი დაპირისპირება ზოგიერთ სასიცარულო ურთიერთობებში სრული მიცემით. დამთხვევა შეფასებისა და რწმენითი მორჩილებისა საერთოდ სიყვარულის ნიშანია.

ჰიპნოზური მდგომარეობის თაობაზე მოგახსენებთ კიდევ ზოგიერთ რაიმეს. ჰიპნოტიზიორის საუბარს, რომელიც გამოხატავს აღწერილ ჯადოსნურ ეფექტს, უწოდებენ **შთაგონებას** (სუგესტიას), და მიჩვეულნი არიან ეს სახელი იქაც გამოიყენონ, სადაც უპირველეს ყოვლისა, უბრალო განზრახვაა, მსგავსი შედეგები გამოიწვიონ. როგორც მოძრაობა და შეგრძნება, ასევე დაჰიპნოზებულის ყველა სხვა სულიერი მოქმედება, ეკუთვნის ალნიშნულ შთაგონებას, საკუთარი სტიმულებიდან კი ის ვერაფერს ვერ აღწევს. შეუძლიათ ჰიპნოზური მორჩილება გამოიყენონ რიგი ფრიად საოცარი მცდელობისათვის, რომელიც ღრმად ჩაგვახედებს სულიერ მოძრაობებში და მაყურებელს ძვალ-რბილში გამჯდარ დარწმუნებულობას უქმნის სხეულებრივზე სულიერი ზემოქმედების წარმოუდგენელი ძალის თაობაზე. როგორც დაჰიპნოტიზირებულები შეიძლება აიძულონ დაიხახონ ის, რაც რეალურად არაა, ასევე შეუძლიათ მათ აუკრძალონ რაღაც,

რაც არის და თავისი შეგრძნებებით თავს ეხვევა, მაგალ., გარკვეული პირი დაანახოს (ე. წ. ნეგატიური ჰალუცინაცია) და შემდეგ შეუძლებელი აღმოჩნდება დაჰიპნოტიზირებულისათვის რაღაც გაღიზიანებებით ეს პირი შესამჩნევი გახადოს. ის მას ეპყრობა როგორც "ჰაერს" (ჰაეროვანს). შესაძლებელია დაჰიპნოტიზირებულს შთააგონო, გარკვეული მოქმედება შეასრულებინო ჰიპნოზიდან გამოსვლის შემდეგ განსაზღვრულ დროს (პოსტჰიპნოზური შთაგონება). დაჰიპნოტიზირებული იცავს დროს და ანხორციელებს შთაგონებულ მოქმედებას ცხად მდგომარეობაშიც ისე, რომ არ შეუძლია რაიმე გვითხრას მის საფუძველზე. მას თუ ეკითხებიან, რატომ განახორციელა ახლა აღნიშნული მოქმედება, ის მოუხმობს ბნელ დრანგს*, რომლის შეწინააღმდეგება მას არ შეეძლო, ანდა თხზავს ნახევრად სარწმუნო საბაბს, შთაგონების ნამდვილ საფუძველს კი ვერ იგონებს.

ჰიპნოზის მდგომარეობიდან გამოსვლა ხდება ოლოდ ჰიპნოტიზიორის ავტორიტეტული სიტყვით – გაიღვიძეთ! ღრმა ჰიპნოზთან ქრება ყველაფრის მოგონება, რაც კი განცდილი იყო ჰიპნოზში ჰიპნოტიზიორის ზემოქმედებით. სულიერი ცხოვრების ეს მომენტი თითქოს რჩება გამოცალკევებულად დანარჩენისაგან, სხვა დაჰიპნოტიზირებულებს აქვთ სიზმრისმაგვარი მოგონება; კიდევ სხვები, თუმცა იგონებენ ყველაფერს, მაგრამ მოგვახსენებენ, რომ დგანან სულიერი იძულების ქვეშ, რომელსაც წინააღმდეგობას ვერ უწევენ.

მეცნიერული შენაძენი, რომელმაც ჰიპნოზური ფაქტები გააცნო ექიმებსა და სულის მკვლევარებს, არ შეიძლება ადვილად გადაფასდეს. მაგრამ ახალი შემეცნების პრაქტიკული მნიშვნელობის შეფასებისათვის უნდა ჰიპნოტიზიორის ადგილზე ექიმი, ხოლო დაჰიპნოტიზირებულის ადგილზე ავადმყოფი მოთავსდეს. ვინაიდან ჰიპნოზი აღიარებული არაა, გეკმაყოფილება თუ არა ექიმის ყველა მოთხოვნილება, რამდენადაც ავადმყოფების მიმართ მას სურს იყოს "სულის მკურნალი"? ჰიპნოზი ექიმს ავტორიტეტს უქმნის, რაც ალბათ არასდროს არ ჰქონია მღვდელს ანდა საოცრებათა მომხდენს, როცა დაჰიპნოტიზირებულთა მთელ სულიერ ინტერესს ექიმის პიროვნებასთან აერთიანებს. ავადმყოფთან ის აუქმებს სულიერი ცხოვრების

* Drang – ლტოლვა, სწრაფვა, აღტკინება; მოთხოვნილების უმდაბლესი საფეხური (რედ. შენიშვნა).

თვითნებობას, რომელშიც ჩვენ ვალიარეთ თვითნება შეკავება სულიერი ზემოქმედების გამოხატვით სხეულზე. ის აღადგენს თავისთავად სხეულებრივზე სულის ბატონობის ამაღლებას, რომელიც ჩვეულებრივ მხოლოდ უძლიერესი აფექტური ზემოქმედების დროს შეიმჩნევა და მხოლოდ ამის შემდეგ ჰიპნოზში ავადმყოფისათვის შთაგონებული შესაძლებლობით, ნორმალურ მდგომარეობაში გვეჩვენება (პოსტჰიპნოზური შთაგონება), ის ექიმს ხელში უდებს საშუალებას, რათა თავისი დიდი ძალა ჰიპნოზის დროს ავადმყოფის ცხად მდგომარეობაში გამოიყენოს. ასე მიიღება მარტივი წესი განკურნებისა სულის მკურნალობის გზით. ექიმს გადაჰყავს ავადმყოფი ჰიპნოზის მდგომარეობაში, მას აძლევს შესატყვისი სიტუაციების მიხედვით შეცვლილ შთაგონებას, თითქოს ის ავად აღარაა, რომ ის გაღვიძების შემდეგ არაფერს იგრძნობს თავისი დაავადების ნიშნების შესახებ; შემდეგ აღვიძებს მას იმ მოლოდინით, რომ შთაგონებამ ავადმყოფობის წინააღმდეგ თავისი მოვალეობა შეასრულა. ეს მეთოდი, თუკი მისი მხოლოდ ერთი გამოყენება საკმარისი არაა, საჭირო რაოდენობით უნდა გავიმეოროთ.

ერთადერთ ეჭვს შეეძლო შეეკავებინა ექიმი და პაციენტი თვითონ მკურნალობის ასე დიდი იმედების მომცემი მეთოდის გამოყენებისაგან. სახელდობრ, თუკი აღმოჩნდებოდა, რომ ჰიპნოზში გატარება მის საჭიროებას მეორე მხრით ზიანს აყენებს, მაგალ., ხანგრძლივ დარღვევას ანდა დაჰიპნოტიზირებულის სულიერი ცხოვრების დასუსტებას განაპირობებს, აქამდე არსებული გამოცდილება უკვე საკმარისია, ეს ეჭვი გაიფანტოს; ცალკეული ჰიპნოტიზირება საკმაოდ უწყინარია, თვითონ ჰიპნოზები ხშირად განმეორებული, მოლიანობაში უვნებელია, მხოლოდ ერთია გამოსაყოფი; ჰიპნოზის ხანგრძლივი გამოყენებისას ხდება შეჩვევა და მაჰიპნოტიზირებელ ექიმთან ისეთი დამოკიდებულება იქმნება, რომელიც არ შეიძლება ჩაღებული იყოს მკურნალობის მეთოდის განზრახვაში.

ჰიპნოზური მკურნალობა ნამდვილად ნიშნავს სამკურნალო ძალის სფეროს დიდ განვრცობას და ამით მკურნალობის ხელოვნების წარმატებას. შეიძლება ყოველ გასაჭირში მყოფს ვურჩიოთ, ნდობა ჰქონდეს ჰიპნოზური მკურნალობისა, როცა ის გამოცდილ და სანდო ექიმთან მიდის. მაგრამ ჰიპნოზი სხვანაირად უნდა გამოიყენონ,

ვიდრე ეს ღღეს ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე. ავადმყოფი უკვე სასოწარკვეთაშია ჩავარდნილი და ცუდ განწყობილებაზეა, ყველა სხვა საშუალებამ იკი ბედის ანაბარა დატოვა. ასეთ შემთხვევაში ავადმყოფები ტოვებენ თავის მანამდელ მკურნალს, რომელიც ჰიპნოზს არ მიმართავს ანდა დაჰიპნოზება არ შეუძლია და მიდიან უცხო ექიმთან, რომელიც დაჰიპნოზების გარდა ხშირად სხვას არაფერს ეწევა და სხვა არც არაფერი შეუძლია. ორივე ვითარება დაავადებულისთვის არახელსაყრელია. ოჯახის ექიმი თვითონ უნდა ენდობოდეს ჰიპნოზური მკურნალობის მეთოდს და მას დასაწყისიდანვე იყენებდეს, თუკი ის შემთხვევასა და პირს ამისთვის ჩათვლიდა ვარგისად. ჰიპნოზი უპრიანია იქ, სადაც ის საერთოდ მოსახმარია, სხვა მკურნალობის მეთოდებთან ეკვივალენტურად გვერდით იდგეს, ნიშნავს არა უკანასკნელ თავშესაფარს, ანდა მეცნიერულობისაგან ნარჩენს ექიმშაშობისათვის. მკურნალობის ჰიპნოზური მეთოდი გამოიყენება არა მხოლოდ ნევროზულ მდგომარეობათა შემთხვევებში და "წარმოსახვის" გზით აღმოცენებული დარღვევების დროს, ასევე ავადმყოფურ ჩვეულებათა (ლოთობა, მორფინიზმი, სქესობრივი გაუკუღმართებანი) გადაჩვევისას არამედ აგრეთვე მრავალ ორგანულ დაავადებასთან, მათ შორის, ანთებით შემთხვევებთანაც, სადაც პერსპექტივაა ჩამოვაშოროთ ავადმყოფებს ძირითადი დაავადების შემაწუხებელი ნიშნები, როგორიცაა ტკივილები, მოძრაობითი შეკავებანი და მისთანანი. ჰიპნოზური მეთოდის გამოყენებისათვის შემთხვევების შერჩევა მთლიანადაა დამოკიდებული ექიმის გადაწყვეტილებაზე.

ახლა დროა შთაბეჭდილება გავაქარვოთ, თითქოს ჰიპნოზის დამხმარე საშუალებით მკურნალისათვის იწყებოდეს მოსახერხებელი სასწაულმოქმედების დრო. მხედველობაშია მისაღები კიდევ მრავალნაირი შესაფერი გარემოება – ჩვენი პრეტენზიები ჰიპნოზური მკურნალობის მეთოდზე მნიშვნელოვანწილად შევკვეცოთ და ავადმყოფების გამოცოცხლებული იმედები უფლებამოსილ ზომაზე დავიყვანოთ. უწინარეს ყოვლისა, ძირითადი დაშვება მერყევი აღმოჩნდება, თითქოს ჰიპნოზის გზით მიიღწეოდეს სულიერ ქცევაში ავადმყოფებთან ხელისშემშლელი თვითნებობის მოშორება. ისინი მას ინარჩუნებენ და ამტკიცებენ უკვე თავიანთი პოზიციის დაჭერით დაჰიპნოზების მცდელობის წინააღმდეგ. ზემოთ რომ ითქვა ჰიპნოტიზირდება ადამიანთა დაახლოებით 80 პროცენტიო, ეს დიდი სიმრავლე მხოლოდ იმით არსებობს, რომ ყოველი შემთხვევა, რომელებიც აჩვენებენ ზემოქმედების თავისებურ კვალს, ჩათვლილია დადებით შემთხვევად. ნამდვილად ღრმა ჰიპნოზი სრული მორჩილებით, როგორც ამას გვიხატავენ, იშვიათია, ყოველ შემთხვევაში არა ისე ხშირი, როგორც ამას მკურნალობის ინტერესი მოითხოვს, შეუძლიათ ამ ფაქტის შთაბეჭდილება მაინც შეასუსტონ, როცა ხაზს უსვამენ, რომ ჰიპნოზის სიღრმე და მორჩილება ერთმანეთის გვერდით პარალელურად არ მიმდინარეობენ; ასე რომ, ხშირად ზერელე ჰიპნოზური ნარკოზის შემთხვევაში შეიძლება დავაკვირდეთ დაჰიპნოზების კარგ შედეგს. მაგრამ ასევე, როცა ჰიპნოზურ მორჩილებას როგორც მდგომარეობის არსებით მომენტს თავისთავად ვიღებთ, უნდა ვალიაროთ, რომ ცალკეული ადამიანები თავიანთ თავისებურებას იმით აჩვენებენ, რომ ისინი გარკვეულ დონემდე უმორჩილდებიან ზემოქმედებას და შემდეგ ჩერდებიან. მაშასადამე, ცალკეული პირები აჩვენებენ მეტად განსხვავებულ დონეს ჰიპნოზური მკურნალობის მეთოდის ვარგისიანობისას. რომ გვენახა საშუალება, რომლითაც მოხდებოდა ჰიპნოზური მდგომარეობის ყველა განსაკუთრებული საფეხურის სრულყოფილ ჰიპნოზამდე ამაღლება, მაშინ ავადმყოფთა თავისებურება კიდეც გაუქმდებოდა, სულს მკურნალობის იდეალი განხორციელდებოდა; მაგრამ აქამდე ამ წარმატების ბედნიერება არ გვქონია. უფრო მეტი ჯერ კიდევ დამოკიდებულია ავადმყოფზე, ვიდრე ექიმზე, თუ მორჩილების რომელი დონე გამოდგება შთაგონების განხორციელებისათვის, ე. ი. ყველაფერი ავადმყოფის კეთილ ნებაში ძევს.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სხვა თვალსაზრისი. როცა ჰიპნოზურ მდგომარეობაში შთაგონების საოცრად უმალლეს შედეგს აღწერენ, ადვილად ივიწყებენ იმას, რომ მასთან, ისე როგორც ყველა სულიერ ზემოქმედებასთან, მსჯელობაა დიდ ანდა მძლავრ დამოკიდებულებებზე, როცა ჯანმრთელი ადამიანი ღრმა ჰიპნოზში გადაჰყავთ და მას ავალებენ კარტოფილს უკბიჩოს, რომელიც მას მსხლად წარმოუდგინეს, ანდა ეუბნებიან, რომ დაინახოს ნაცნობი, რომელსაც უნდა მიესალმოს, მაშინ ადვილად ვხედავთ სრულ მორ-

ჩილებას, ვინაიდან არ არსებობს სერიოზული საფუძველი ჰიპნოტიზირებისა, რომელსაც შეეძლებოდა შთაგონებას წინ გადაღგომოდა. მაგრამ უკვე სხვა დავალებისას, როცა, მაგალ., ჩვეულებრივი მორცხვი ქალიშვილისაგან მოითხოვენ გაშიშვლებას, ანდა პატივცემული მამაკაცისაგან – ღირებული ნივთის ქურდობით მისაკუთრებას, დაჰიპნოზებულთან შეიმჩნევა წინააღმდეგობის გაწევა, რომელიც, შეიძლება, ისე შორს წავიდეს, რომ მორჩილებაზე უარი თქვას. აქედან ვსწავლობთ, რომ საუკეთესო ჰიპნოზის შემთხვევაში შთაგონებას არ აქვს შეუზღუდავი ძალაუფლება, არამედ აქვს მხოლოდ განსაზღვრული სიძლიერის ძალაუფლება. მცირედი მსხვერპლი იმორჩილებს დაჰიპნოტიზირებულს, დიდის შემთხვევაში – იქცევა სავსებით ისევე, როგორც ცხადში. თუკი დაკავებული ვართ ავადმყოფით და მისგან დაჟინებით მოვითხოვთ შთაგონებით ავადმყოფობის თავიდან მოშორებას, შეიმჩნევა, რომ ეს მისთვის ნაშრომს არა მცირე, არამედ დიდ მსხვერპლს. შთაგონების ძალა თუმცა შემდგომ იმ ძალის გარეშეა, რამაც შექმნა ავადმყოფური მოვლენები და მას აკავებს, მაგრამ გამოცდილება აჩვენებს, რომ უკანასკნელი სრულიად სხვა სიდიდის წყობაა, ვიდრე ჰიპნოზური ზეგავლენა. იგივე ავადმყოფი, რომელიც ყოველ – არა პირდაპირ უხამს – სიზმრის მდგომარეობას, რომელსაც შთააგონებენ, სავსებით დამჯერედ ეგუება, შეიძლება დარჩეს სავსებით ჭირვეული შთაგონების მიმართ, რომელიც მას, რაღაც თავის წარმოსახულ დამბლას, სადავოს ხდის. პრაქტიკაში გვხვდება, რომ სწორედ ნევროზული ავადმყოფები ხშირად ცუდად ჰიპნოტიზირდებიან, ასე რომ, არა სრული ჰიპნოზური ზეგავლენა, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი იღებს თავზე ძლიერი ძალების წინააღმდეგ ბრძოლას, რომლითაცაა ავადმყოფობა განპირობებული სულიერ ცხოვრებაში.

მაშასადამე, შთაგონება თავიდანვე არაა აუცილებლად გამარჯვება ავადმყოფობაზე, როცა ჰიპნოზი და თვით ღრმა ჰიპნოზიც კი მიღწეულია. შემდგომ კვლავ ბრძოლაა საჭირო და გამოსავალი ძალზე ხშირად უცნობია. ამიტომ სულიერი წარმოშობის სერიოზული დარღვევების საწინააღმდეგოდ მიმართული ერთჯერადი ჰიპნოზი ვერაფერს აღწევს. ჰიპნოზის განმეორებით დაბლა იწევს საკვირველების შთაბეჭდილება, რისთვისაც ავადმყოფი ალბათ მზადაა.

შემდეგ შეუძლიათ მიაღწიონ იმას, რომ განმეორებულ ჰიპნოზთან დასაწყისში არასაკმარისი ზემოქმედება ავადმყოფობაზე სულ უფრო ცხადი ხდება, სანამ აღდგებოდეს დამაკმაყოფილებელი შედეგი. მაგრამ ასეთი ჰიპნოზური მკურნალობა შეიძლება ისე მძიმედ და დიდი ხანგრძლივობით მიმდინარეობდეს, როგორც რაგინდარა სხვა.

სხვა სახე, თუ როგორ აჩვენებს თავის თავს შთაგონების შეფარდებითი სისუსტე შედარებით შებრძოლებულ ავადმყოფობასთან, ისაა, რომ შთაგონება თუმცა ავადმყოფურ მოვლენათა შეცვლას ახორციელებს, მაგრამ მხოლოდ მცირე დროით. ამ დროის გაელის შემდეგ ავადმყოფობის ნიშნები ისევ ჩნდება და უნდა განიცდიდეს ჰიპნოზში ახალი შთაგონების გზით. თუკი მეორდება ეს მიმდინარეობა ხშირად საკმაოდ, ის ჩვეულებრივ ამოწურავს ავადმყოფის მოთმინებას ისევე, როგორც ექიმისას და ჰიპნოზური მკურნალობის შეწყვეტა. ესენიც ის შემთხვევებია, რომლებშიც ავადმყოფებთან დამოკიდებულება ექიმისა და ჰიპნოზისაკენ სწრაფა აღდგება.

კარგია, თუკი ავადმყოფი იცნობს ჰიპნოზური მკურნალობის მეთოდის ამ ნაკლოვანებას და მის გამოყენებასთან დაკავშირებით იძედის გაცრუების შესაძლებლობებს. ჰიპნოზური შთაგონების სამკურნალო ძალა ფაქტიურია, ის არ მოითხოვს გაზვიადებულ ხოტბის შესხმას, მეორეს მხრივ, ადვილი გასაგებია, თუკი ექიმები, რომლებიც გვპირდებიან სულის ჰიპნოზური მკურნალობით იმდენად მეტს, ვიდრე მას შეძლებდნენ, არ დაიზარებენ სხვა მეთოდების ძიებას, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა ავადმყოფის სულზე გაბატონებულ ნაკლებ გაუთვალისწინებელ ზემოქმედებას. გავბედავდით მივცემოდეთ საიმედო მოლოდინს, რომ მიზანგაცნობიერებული თანამედროვე სულის მკურნალობა, რომელიც წარმოადგენს, დიახაც, ძველი მკურნალობის მეთოდების სავსებით უახლეს გაცოცხლებას, ექიმებს ხელში აძლევს ძლიერ იარაღს ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ღრმად ჩაწვდომა სულიერი ცხოვრების პროცესებში, რომელთა პირველი საწყისები სწორედ რომ ეყარებიან ჰიპნოზურ გამოცდილებას, აღნიშნულისათვის საშუალებებსა და გზებზე მიუთითებენ.

ფსიქოთერაპიის შესახებ

(1905)

ბატონებო! დაახლოებით რვა წელიწადია მას შემდეგ, რაც თქვენი გარდაცვლილი თავმჯდომარის პროფესორ რედნერის მოწვევით უფლება მაქვს ვილაპარაკო ისტერიის თემაზე თქვენს წრეში. მანამდე, ცოტა ადრე (1905წ.), დოქტორ იოზეფ ბროიერთან თანამშრომლობით გამოვაქვეყნე "შტუდიები ისტერიის შესახებ" და შევეცადე ახალი გაგების საფუძველზე, რომელსაც ვუმადლით ამ მკვლევარს, ნევროზის მკურნალობის ახლებური წესი შემომეტანა. საბედნიეროდ, შემიძლია ვთქვა, ჩვენი "შტუდიების" მცდელობამ შედეგი მოგვცა. მასში გადმოცემული იდეები ფსიქიკური ტრავმების აფექტური ზემოქმედების შესახებ და ისტერიული სიმპტომების გაგება როგორც შედეგი სულიერიდან სხეულებრივში გადატანილი აგზნებისა, იდეები, რომლისთვისაც შეუქმნიათ ტერმინები "რეაგირება" და "კონვერსია" – დღეს საზოგადოდაა ცნობილი და გაგებული. არ არსებობს ისტერიის გადმოცემა, ყოველ შემთხვევაში გერმანულ ქვეყნებში მაინც, რომ მათ ანგარიში არ გაწეოდათ გარკვეულ წილად და სპეციალისტი მოკლედ მაინც არ შეხებოდა ამ მოძღვრებას. და მაინც, ეს დებულებები და ტერმინები, სანამ ისინი ჯერ კიდევ ახალი იყვნენ, საკმაოდ უცხოდ ჟღერდნენ!

თერაპევტული მეთოდის შესახებ არ შემიძლია იგივე ვთქვა, რაც იმავდროულად ჩვენი მოძღვრებით სპეციალისტებს შევთავაზეთ. იგი დღესაც იბრძვის აღიარებისათვის, შეიძლება მისთვის მოვუხმოთ სპეციალურ საფუძვლებს. მაშინ მეთოდის ტექნიკა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული; მე არ შემიძლია წიგნის მკითხველ ექიმთა წრეს ის მითითებანი მივცე, რომლებიც მათ შეაძლებინებდა ამგვარი მკურნალობა სრულყოფილად ჩაეტარებინათ. მაგრამ, რა თქმა უნდა ამასთან ერთად მოქმედებენ ზოგადი ბუნების მქონე საფუძვლებიც. მრავალ მკურნალს დღესაც ეჩვენება ფსიქოთერაპია, როგორც ახალი მისტიციზმის პროდუქტი და ჩვენი ფიზიკალური-

ქიმიური მკურნალობის საშუალებებთან შედარებით, რომელთა გამოყენებაც ეფუძნება ფიზიოლოგიურ შეხედულებებს, გადაჭრით არამეცნიერულია, ბუნების მკვლევარის ინტერესისადმი არასაკადრისი. ახლა ნება მომეცით, თქვენს წინაშე ფსიქოთერაპიის საქმე წარვმართო და გამოვყო ის, რაც ამ დაგმობაში შეიძლება აღინიშნოს როგორც არამართებული, ანდა მცდარი.

თავდაპირველად საშუალება მომეცით მოგახსენოთ, რომ ფსიქოთერაპია არაა მკურნალობის ახალი მეთოდი. პირიქით, ისაა უძველესი თერაპია, რომელიც მედიცინას ემსახურებოდა. ლევენფელდის (Levonfeld) ყურადსაღებ ნაშრომში (ზოგადი ფსიქოთერაპიის სახელმძღვანელო) შეიძლება წაიკითხოთ, თუ რომელ მეთოდებს იყენებდა პრიმიტიული და ანტიკური მედიცინა. ისინი უნდა მივაკუთვნოთ უმეტეს წილად ფსიქოთერაპიას. ავადმყოფები გადაჰყავთ განკურნების მიზნით "სარწმუნო მოლოდინის" მდგომარეობაში, რომელიც დღესაც იგივე შედეგებს აღწევს. მას შემდეგაც, რაც ექიმებმა მკურნალობის სხვა საშუალებანი აღმოაჩინეს, ამა თუ იმ სახის ფსიქოთერაპევტული მისწრაფებანი მედიცინაში არასდროს არ გამქრალა.

მეორეც, ყურადღებას იმაზე მიგაქცევინებთ, რომ ჩვენ, ექიმებს ფსიქოთერაპია უკვე იმიტომ არ შეგვიძლია უარვყოთ, რომ სხვას, მკურნალობის პროცესში მხედველობაში მისაღებ მხარეს – სახელდობრ ავადმყოფებს – არ გააჩნიათ მისი უარყოფის განზრახვა. თქვენ იცით, თუ აქ ნანსის სკოლის (ლიბო, ბერნჰაიმი) რომელ განმარტებებს ვუმადლით. ბევრ შემთხვევაში ავადმყოფის ფსიქიკურ დისპოზიციაზე დამოკიდებული ფაქტორი ემატება ჩვენი განზრახვის გარეშე ექიმის მიერ შემოთავაზებულ მკურნალობის მეთოდის ზემოქმედებას ხელშემწყობად ხშირად ასევე შემაკავებლად. ჩვენ ამ ფაქტისათვის გამოვიყენეთ სიტყვა "შთაგონება" და მობიუსმა გვასწავლა, რომ არასაიმედობა, რასაც ვუჩივით ჩვენი მკურნალობის ზოგიერთ მეთოდს, სწორედ დაიყვანება ამ უძლიერესი მომენტის დაძრღვევ ზემოქმედებაზე. მაშ ასე, ჩვენ, ექიმები და თქვენც ყველანი, მუდამ ვატარებთ ფსიქოთერაპიას იქ, სადაც კი ის ჩვენ არ ვიცით და არც განგვიზრახავს; აღნიშნული მხოლოდ იმ ნაკლის მქონეა, რომ ავადმყოფზე ფსიქიკური ფაქტორის განვითარებას ჩვენ მთლი-

ანად ავადმყოფს გადავცემთ. ამდენად ის არაკონტროლირებადი, არადოზირებადი, გაძლიერების უუნარო ხდება. ამის შემდეგ გაუმართლებელია ექიმის სწრაფვა ამ ფაქტორის გაძლიერებისა – ემსახუროს განზრახვას – ის მართოს და გააძლიეროს. ეს სხვა არაფერია, თუ არა აღნიშნული, კერძოდ ის, რასაც მეცნიერული ფსიქოთერაპია მისგან მოითხოვს.

მესამეც, ჩემო ბატონო კოლეგებო, მინდა თქვენ მიგითითოთ ძველთაგანვე ცნობილ გამოცდილებაზე, რომ გარკვეული დაავადება და, განსაკუთრებით ფსიქონევროზები ექვემდებარება სულიერ ზემოქმედებებს და არა რომელიმე სხვა წამლის დანიშნულებას. ეს არაა ახალი დებულება, არამედ ძველ მკურნალთა გამონათქვამია, რომ აღნიშნულ დაავადებებს ჰკურნავს არა მედიკამენტი, არამედ ექიმი, ე.ი. ალბათ ექიმის პიროვნება, რამდენადაც ის ავადმყოფზე ფსიქიკურ გავლენას ახდენს. მე კარგად ვიცი, ჩემო ბატონებო, რომ თქვენთან ძალზე მოსაწონია თვალსაზრისი, რომელიც ესთეტიკოსმა ფიშერმა თავის ფაუსტურ პაროდიაში (ფაუსტი, ტრაგედია III ნაწილი) კლისიკური გამოთქმით აღნიშნა – "ვიცი, ხშირად ფიზიკური ზემოქმედებს მორალურზე", მაგრამ უფრო ადეკვატური არ იქნებოდა და უფრო ხშირადაც შემხვედრია, რომ ადამიანის მორალური ისევ მორალურით, ე.ი., ფსიქიკური საშუალებებით გაგვეკითარებინა?

არსებობს მრავალი სახე და გზა ფსიქოთერაპიისა, ყველა კარგია, რომელსაც კი მოვყავართ განკურნების მიზნამდე, ჩვენთვის ჩვეულებრივი ნუგეშის მომცემია: ისევ კარგად ვიქნებით! რომლითაც ავადმყოფობის პირისპირ ასეთი უხვი ვართ და რომელიც შეესატყვისება ერთ-ერთ ფსიქოთერაპიულ მეთოდს, მხოლოდ ნევროზების არსში ღრმად ჩახედვის დროს არ გვჭირდება ნუგეშით შემოფარგვლა. ჩვენ განვავითარეთ ჰიპნოზური შთაგონების, ფსიქოთერაპიის ტექნიკა მიზანშეწონილი აფექტების გადახრით, ვარჯიშით, გამომჟღავნებით, მე არც ერთ მათგანს არ უგულვებელვყოფ და ყველა მათგანს ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში ვანხორციელებ. თუკი სინამდვილეში მე ერთადერთი მკურნალობის მეთოდით შემოვიფარგლები, ბროიერის მიერ წოდებული, "კათარზული" მეთოდით, რომელსაც მე სიამოვნებით "ალიზურს" ვუწოდებდი, მაშინ მხოლოდ სუბიექტური მოტივებია ჩემთვის სახელმძღვანელო.

ამ თერაპიის შექმნაში ჩემი მონაწილეობის შეღეგად ვგრძნობ პიროვნულ ვალდებულებას, რათა ასევე მონაწილეობა მივიღო მის ცვლილებასა და ტექნიკის გამომუშავებაში. უფლება მაქვს ვამტკიცო, რომ ფსიქოთერაპიის ანალიზური მეთოდი ასეთია, რომელიც დამაკმაყოფილებლად ზემოქმედებს, შორს მწვდომია, რითაც უმიზნებს ავადმყოფის ეფექტურ ცვლილებას. თუკი მე ერთ მომენტში თერაპევტულ თვალსაზრისს ვტოვებ, ამის საპასუხოდ შემიძლია განვაცხადო, რომ ის ყველაზე საინტერესოა, მხოლოდ ის გვასწავლის ავადმყოფური მოვლენების აღმოცენებასა და დაკავშირებას, სულიერი ავადმყოფობის მექანიზმის გაგების შედეგდ, რომელიც ჩვენ თვალწინ გადაგვეშალა, მხოლოდ ამ მეთოდს შეეძლო საკუთარი თავის მიღმა გასულიყო და ჩვენთვის გზა მიეთითებინა თერაპევტული ზემოქმედების კიდევ სხვა საბუთებისაკენ.

ახლა ნება მომეცით ფსიქოთერაპიის ამ კათარზული ანუ ანალიზური მეთოდის თაობაზე ზოგიეროი შეცდომა გავასწორო და განმარტებანი მოგცეთ.

ა) შეინიშნება, რომ ეს მეთოდი ძალზე ხშირად ირევა ხოლმე ჰიპნოზური შთაგონებით მკურნალობაში, ამას ვამჩნევ იმით, რომ პერიოდულად კოლეგებიც, რომელთა ნდობით აღჭურვილი პირი ჩვეულებრივ არ გახლავართ, მიგზავნიან ავადმყოფებს, ბუნებრივია, ძველად თუ ზემოქმედ განკურნებადებს, დაკვეთით – იხინი უნდა დაეჰიპნოზო. ახლა უკვე რვა წელია თერაპიის მიზნით (ცალკეული ცდის გამოკლებით) ჰიპნოზს არ ვიყენებ და ასეთ დამკვეთს ვურჩევ, ვინც ჰიპნოზით მუშაობს, თვითონვე შეუძლია დაიბრუნოს გამოგზავნილი, სინამდვილეში კი შთაგონებით ტექნიკასა და ანალიზურს შორის მაქსიმალურად შესაძლო დაპირისპირებაა, ის დაპირისპირება, რომელიც დიდმა ლეონარდო და ვინჩიმ ხელოვნებათაეის ფორმულაში მოაქცია – per via di porre* და per via di levare** ლეონარდოს მიხედვით, მხატვრობა მუშაობს per via di porre-ით; ის ფერთა გროვას ათავსებს სახელდობრ იქ, სადაც წინათ უფერულ ტილოზე არ იყო. სკულპტურა, საპირისპიროდ, იქცევა per via di levare-ს შესაბამისად, ის ქვას აცლის იმდენს,

* per via di porre = დამატების გზა (რედ. შენიშვნა).

** per via di levare = მოშორების გზა (რედ. შენიშვნა).

რამდენიც ფარავს მის მიერ მოხაზულ ქანდაკების ზედაპირს. საკუთარ მსგავსად, ჩემო ბატონებო, შთაგონების ტექნიკა ცდილობს per via di porre-ს გზით ხელოვნებას, ის არ ზრუნავს ავადმყოფობის სიმპტომების წარმოშობის, ძალასა და მნიშვნელობის თაობაზე, არამედ აკისრებს სახელდობრ შთაგონებას, რომლისგანაც ის მოელის, რომ საკმაოდ ძლიერი იქნება, რათა გამოვლენისათვის მზა პათოგენური იდეა დათრგუნოს, ამის საპირისპიროდ ანალიზური თერაპია არ კისრულობს შემოიტანოს რაიმე ახალი, არამედ ჩამოართვას, გამოდეკნოს და ამ თვალსაზრისით ზრუნავს ავადმყოფური სიმპტომების გენეზისისა და პათოგენური იდეის ფსიქიკური კავშირისათვის, რომელთა თავიდან მოცილება მისი მიზანია. კვლევა-ძიების გზაზე მან ჩვენს გაგებას ფრიად მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

შთაგონების ტექნიკა და მასთან ერთად ჰიპნოზი მე ასე ადრეულად უარვყავი, რადგანაც ვეჭვობდი – შთაგონება ისე ძლიერი და მტკიცე ვერ იქნებოდა, რაც საჭიროა ხანგრძლივი მკურნალობისათვის. ყოველი მძიმე შემთხვევისათვის გამოყენებულ შთაგონებაში მე ვხედავდი "აკუწვას", რომლის შემდეგ ავადმყოფობა, ანდა მისი შემნაცვლებელი ისევე აღსდგებოდა. გარდა ამისა, ამ ტექნიკას ვსაყვედურობ, რომ ის ჩვენს ფსიქიკურ ძალთა თამაშის გაგებას ჩქმალავს, მაგ., **წინააღმდეგობის გაწევას** ვერ გვამცნობს, რითაც ავადმყოფები საკუთარ ავადმყოფობას ეჭიდებიან. ამგვარად, ისინი ასევე გამოუკანძრთელობას უპირისპირდებიან. მიუხედავად ამისა მაინც ცალკეულ შემთხვევაში ეს მეთოდი შესაძლებელს ხდის ცხოვრებაში ასეთ დაავადებულთა ქცევის გაგებას.

ბ) მეწვენება, რომ კოლეგებს შორის ფართოდაა გავრცელებული მცდარი აზრი – "ავადმყოფობის წაკითხვის კვლევის ტექნიკა და მოვლენათა თავიდან აცილება ალნიშნული გამოკვლევით ადვილი და თავისთავად გასაგებია". შეცდომას იქიდან ვადასტურებ, რომ მრავალთა შორის ისინი, რომელთაც აინტერესებთ ჩემი თერაპია და იძლევიან მათ შესახებ სარწმუნო მსჯელობებს, არ შეკითხებიან, თუ როგორ ვახერხებ ამას. ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ ერთადერთი საფუძვლით, კერძოდ, ისინი ფიქრობენ – "არაფერია შესაკითხი, თავისთავადაა სავსებით გასაგები". ზოგჯერ ისიც მესმის განცვიფრებით, რომ ჰოსპიტლის ამა თუ იმ განყოფილებაში ახალგაზრდა ექიმი თავის ხელმძღვანელისაგან იღებს დავალებას, რათა ისტერიულ ქალთან მიმართოს "ფსიქოანალიზს". მჯერა, რომ მას არ გადასცემენ გამოსაკვლევად ამოკვთილ სიმსივნეს, თუ დარწმუნებული არ არიან, იცნობს თუ არა ანალიზატორი ჰისტოლოგიურ ტექნიკას. ასევე ჩემამდე აღწევს ცნობა, რომ ესა თუ ის კოლეგა მიმართავს პაციენტის მიღებას ფსიქიკური მკურნალობისათვის, როცა დარწმუნებული ვარ, რომ ის ასეთ ტექნიკას მკურნალობისას არ იცნობს, მან უნდა უცადოს, თუ როდის გაუმჟღავნებს მას ავადმყოფი საკუთარ საიდუმლოს, ანდა განკურნებას ეძიებს რაღაცნაირი სახის აღსარებასთან ან ნდობასთან. მე არ მაოცებს, თუკი ასე დამუშავებული ავადმყოფი უფრო ზიანდება, ვიდრე სარგებლობას იღებს. სულიერი ინსტრუმენტი სრულიადაც არაა ადვილი დასაკრავი. ასეთ შემთხვევებთან უნდა მოვიგონო საყოველთაოდ ცნობილი სცენოტიკის სიტყვა, რომელიც, რა თქმა უნდა, არასოდეს არ ყოფილა ექიმის მკურნალობის ქვეშ, ივი მხოლოდ პოეტის ფანტაზიაში ცხოვრობდა. მე ვგულისხმობ დანიის პრინცს ჰამლეტს. მეფემ მასთან გაგზავნა ორი კარისკაცი როზენკრანცი და გულდენსტერნი, რათა ჰამლეტი გაეგოთ, მისი პირქუშობის იდუმალება გაერკვიათ. მას ისინი არ მიიკარა, სცენაზე შემოდიან ფლეიტის დამკვრელები. ჰამლეტი იღებს ხელში ფლეიტას და თხოვს მის ერთ მწვალებელს მასზე დაუკრას, ეს ხომ სიცრუის თქმასავით ადვილიაო. კარისკაცი არ ეთანხმება, ვინაიდან არ იცის დაკვრა და რადგანაც მან არ იცის ფლეიტის აჟღერება, ბოლოს ჰამლეტი იწყებს: ახლა ხომ ჰხედავთ, თქვენ როგორ უღირს საგნად მაქცევთ? თქვენ გინდათ ჩემზე დაუკრათ, თქვენ გინდათ ჩემი საიდუმლოს გულში შეაღწიოთ; თქვენ გსურთ მე ჩემი უღრმესი ნოტიდან დაწყებული ჩემი ხმის აპოგეამდე შემამოწმოთ. აქ, ამ პატარა საკრავში ბევრი მუსიკაა, დიდებული ხმაა, მაინც არ შეგიძლიათ მას ხმა ამოაღებინოთ. თქვენ გგონიათ, მე ამ პატარა სალამურზე უფრო ადვილი დასაკრავი ვიყო? მიწოდეთ მე, რა საკრავის ხმაც გინდათ, მაგრამ ესეც იცოდეთ, შეგიძლიათ ამშალოთ, მაგრამ ჩემზე დაკვრას კი ვერ მოახერხებთ", (III მოქმედება, მეორე სურათი).

გ) ჩემი გარკვეული შეწიშვნებიდან მიხვდებით, რომ ანალიზურ მკურნალობას რომელიღაც თვისებები ეკვრის, რომლებიც მას თე-

რაპიის იდეალისაგან შორს აყენებენ. Tuto, cito, incunde*. კვლევა და ძიება მიუთითებს არა სწორედ შედეგის სისწრაფეზე. წინააღმდეგობის მოხსნიერება გამზადებთ თქვენ უსიამოვნების მოლოდინისათვის. რა თქმა უნდა, ფსიქოანალიზური საქმიანობა სვამს ავადმყოფების მიმართ, ისევე როგორც მკურნალის მიმართ, მაღალ მოთხოვნებს. პირველისაგან ის მოითხოვს სავსებით, გულწრფელ შეწირვას, მიაქვს ბევრი დრო და, აქდან გამომდინარე, ძვირადღირებულია. ექიმისთვისაც ის დიდ დროს ითხოვს და ტექნიკის გამო, რომელიც მან შეისწავლა და იყენებს, საკმაოდ ძნელია. მე საკსებით გამართლებულად მიჩვენება, რომ იყენებენ უფრო მოსახერხებელ მკურნალობის მეთოდს, რამდენადაც სწორედ პერსპექტივა აქვთ ამ უკანასკნელით რაღაცას მიაღწიონ. საქმე სწორედ ამაშია. თუკი აღწევენ ძნელი და ხანგრძლივი მეთოდით მნიშვნელოვნად მეტს, ვიდრე ადვილითა და ხანმოკლით, მაშინ პირველი, ყველაფრისდა მიუხედავად, გამართლებულია. იფიქრეთ, ბატონებო, კანის ტუბერკულიოზის თერაპია (Tinsentherapie) რაოდენ უხერხული და ძვირდღირებულია, ვიდრე ადრე გამოყენებული ამოწვა და ფხეკა და მაინც ის ნიშნავს წინ გადადგმულ დიდ ნაბიჯს მარტო იმიტომ, რომ, უფრო კარგი შედეგი აქვს; ის რადიკალურად არჩენს კანის ტუბერკულიოზს (Lupus). ახლა მინდა არაპირდაპირი შედარება მოვახდინო, მაგრამ ფსიქოანალიზურ მეთოდს მსგავსი უპირატესობის უფლება აქვს მაინც, რათა მასზე პრეტენზია განაცხადოს. სინამდვილეში ჩემი თერაპევტული მეთოდი გამოვიმუშავე და შევამოწმე მხოლოდ მძიმე და უმძიმეს შემთხვევებზე. პირველად ჩემი მასალა იყო მხოლოდ ისეთი ავადმყოფები, რომლებიც ყველაფერს ეცადნენ უშედეგოდ და წლების განმავლობაში საავადმყოფოში გაატარეს ცხოვრება. მე საკმაო გამოცდილება დავაგროვე, რათა მათთვის შეთქვა, თუ ჩემი თერაპია როგორ დამოკიდებულებაშია იოლ, ეპიზოდურად გამოვლენილ დაავადებებთან, რომელთაც ვხედავთ განსხვავებული სახის ზემოქმედებების შემთხვევაში და ასევე სპონტანურ მორჩენისას. ფსიქოანალიზური თერაპია შეიქმნა ხანგრძლივი არსებობისათვის ავადმყოფებზე და ასეთებისათვის. მისი ტრიუმფი ისაა, რომ დაავადებულთა საკმაო რაოდენობას ხანგრძლივ არსებობისუნარის მქონედ აქცევს. ასეთი წარმატების მიმართ ყოველგვარი ხარჯი უმნიშვნელოა. არ შეგვიძლია ჩვენ თავს დავუმალოთ, რომ გვჩვევია ავადმყოფის წინაშე უარვყოთ, რომ მძიმე ნევროზი თავისი არსით დაავადებული ინდივიდისათვის ძალთა გამოფიტვაზე, საშიშ საყოველთაო ტკივილებზე უფრო ცუდი არ არის.

* მთლიანად, სწრაფად, სახიამოვნოდ. (რედ. შენიშვნა)

დ) აღნიშნული მკურნალობის ჩვენებანი და საპირისპირო ჩვენებანი მრავალი პრაქტიკული შეზღუდვის შედეგად, რასაც წააწყდა ჩემი საქმიანობა, ძლივსთუა საბოლოოდ მითითებული, მაინც მინდა თქვენთან ერთად შევეცადო ზოგიერთი მომენტის განმარტებას.

1) მხედველობიდან არ უშვებენ ავადმყოფობაზე პერსონის სხვა ღირებულებას და ავადმყოფს უარით ისტუმრებენ, თუკი ის არ ფლობს გარკვეული განათლების დონესა და გარკვეული ხარისხის საიმედო ხასიათს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისეთი ჯანმრთელებიც იპოვებიან, რომლებიც არაფრად არ ვარგიან და ძალზე ადვილად არიან მიდრეკილნი ამ ნაკლებღირებულ პირებთან. ყველაფრი, რაც კი მათ არსებობისათვის უუნაროს ხდის, ავადმყოფობაზე გადიტანონ, თუკი ისინი აწევნებენ ნევროზის რაღაცნაირ ელფერს. მე ვდგევარ თვალსაზრისზე, რომ ნევროზი მის მატარებელს არ ასვამს სახეშეცვლილის დალს, მაგრამ ეს კია, რომ ის საკმაოდ ხშირად ნახულობს იმავე ინდივიდთან დეგენერაციის მოვლენებით განსაზოგადოებას. ანალიზური ფსიქოთერაპია არ წარმოადგენს ნევროპათიული დეგენერაციის მკურნალობის მეთოდს, პირიქით, ის მას ეხაზღვრება. ის არც იმ პირებთან გამოიყენება, რომლებიც თავიანთი დაავადებით არ გრძნობენ საკუთარ თავს თერაპიისათვის განკუთვნილად, არამედ ასეთად მხოლოდ თავს განიცდიან თავიანთი ნათესავების ძალისმიერი ბრძანების შედეგად. თვისებას, რასაც ეხება ფსიქოანალიზის მკურნალობის ვარგისიანობა – აღმზრდელობას – ჩვენ კიდევ სხვა თვალსაზრისითაც შევაფასებთ.

2) ვისაც სურს შეუცდომლად იმოქმედოს, მისი არჩევანი უნდა შემოიფარგლოს იმ პირებით, რომლებიც ნორმალური მდგომარეობისანი არიან, ვინაიდან აქედან ამოსულნი ფსიქოანალიზურ მეთოდში ავადმყოფურს ეუფლებიან. ფსიქოზები, არეულობისა და ღრმად-მიმავალი (ვიტყოდი, ტოქსიკური) ცუდი განწყობილებათა მდგომარეობანი არიან, როგორადაც დღემდე ხდება ხოლმე, ფსიქოანალი-

ზისათვის ყოველ შემთხვევაში შეუსატყვისი. მე მთლიანად არ გამოვრიცხავ, რომ მეთოდის შესატყვის შეცვლასთან ერთად ამ საწინააღმდეგო ჩვენებას დავშორდებით და ამგვარად შეგვეძლება ფსიქოზების ფსიქოთერაპიაც.

3) ავადმყოფთა ასაკი იმდენად თამაშობს როლს ფსიქოანალიზური მკურნალობის არჩევისას, რომ ორმოცდაათ წელს მიახლოებულებთან ან მის ზევით, ერთი მხრივ, სულიერი პროცესების პლასტიკურობა აღარაა, რასაც თერაპია ემყარება – ხანშიშესული ადამიანები ველარ აღიზრდებიან – და, მეორე მხრივ, დასამუშავებელი მასალა მკურნალობის ხანგრძლივობას უსაზღვროდ ზრდის. ასაკის მიჯნა ქვემოთ ინდივიდუალურად განისაზღვრება. ახალგაზრდა პირები მოძწიფებამდეც ხშირად საუცხოო შემთხვევაა მაზე ზემოქმედებისათვის.

4) ფსიქოანალიზს ვერ გამოვიყენებთ იქ, სადაც ლაპარაკია საშიში მოვლენების სწრაფ ლიკვიდაციაზე, მაგალითად, ისტერიულ უმადობაზე (Anorexie).

ალბათ დაგრჩებოდათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ანალიზური ფსიქოთერაპიის გამოყენების სფერო ძალზე შეზღუდულია, ვინაიდან ჩემგან სხვა არაფერი მოგისმენიათ, თუ არა საწინააღმდეგო ჩვენებანი. მიუხედავად ამისა, საკმაოდ რჩება სხვა შემთხვევები და ავადმყოფობის ფორმები, რომლებზედაც შეიძლება ამ თერაპიის გასინჯვა. ესენია: ისტერიის ყველა ქრონიკული ფორმა ნარჩენი მოვლენებით, იძულებით მდგომარეობათა დიდი სფერო, აბულიები და მისთ.

სასიხარულოა, რომ სწორედ მაღალღირებულ და ჩვეულებრივ მაღალგანვითარებულ პირებს ხშირად შეიძლება ამნაირი დახმარება გაეწიოთ. მაგრამ, სადაც კი ანალიზური ფსიქოთერაპიით მხოლოდ ცოტაოდენი მიიღწევა, უფლება გვაქვს დარწმუნებით ვამტკიცოთ, რომ რომელიმე სხვა მკურნალობა, უეჭველია, ვერაფერს მოიტანს.

5) ალბათ გინდათ შემეკითხოთ, როგორაა ფსიქოანალიზის გამოყენებისას ზიანის მიყენების შესაძლებლობა. ამაზე შემიძლია გიპასუხოთ, თუკი თქვენ მხოლოდ სამართლიანი მსჯელობა გინდათ, ამ მეთოდს იგივე კრიტიკული კეთილმოსურნეობა ენიჭება, რაც უკვე გაქვთ ჩვენი სხვა თერაპევტული მეთოდებისათვის, მაშინ თქვენ უნდა დაეთანხმოთ ჩემს შეხედულებას, რომ ცოდნით წარმართული ანალიზური მკურნალობისას ავადმყოფისთვის ზიანის მიყენებისა არ უნდა გვეშინოდეს. სხვაგვარად იმსჯელებს ალბათ ის, ვინც დილეტანტია – ყველაფერი რაც კი ავადმყოფობის შემთხვევაში ხდება, ტვირთად დაადოს მკურნალობას. დიახ, დიდი ხანი არაა, რომ ჩვენი წყლით მკურნალობის დაწესებულებანი მსგავს საყვედურს აწყდებოდნენ. ზოგიერთი, ვინც ასეთ დაწესებულებაში გამოსაკვლევად მოჰყავდათ, ეჭვობდა, ვინაიდან მას ნაცნობი ნევროტიკი ჰყავდა, რომელიც ნევროზული მოვიდა დაწესებულებაში, იქ კი ჭკუაზე შეიშალა. ლაპარაკია, როგორც მიხვდით, საერთო დამბლის დასაწყისის შემთხვევაზე, რომელიც წყლით მკურნალობის დაწესებულებაში თავის შეუკავებელ მიმდინარეობაში მანიფესტურ სულიერ დარღვევამდე მივიდა; დილეტანტებისათვის წყალი იყო მიზეზი და დამნაშავე ამ სამწუხარო ცვლილების, სადაც კი მსჯელობაა ახლებურ ზეგავლენაზე, იქ ექიმები ყოველთვის არ არიან განთავისუფლებულნი ასეთი შეცდომებისაგან. მახსოვს, ერთხელ ერთ ქალს ჩაუტარე ფსიქოთერაპია, რომელთანაც კარგა დიდი ნაწილი მკურნალობისა მანიისა და მელანქოლიის მონაცვლეობით მიედინებოდა. საბოლოოდ ის მე გადმომეცა, როგორც მელანქოლიკოსი. ორი კვირის მანძილზე საქმეს კარგი პირი არ უჩანდა. შესამეში კი – უკვე დიდება ახალი მანიის დასაწყისში. უეჭველია ეს იყო ავადმყოფობის სერიათა სპონტანური ცვლილება, ვინაიდან ორი კვირა ძალზე ცოტაა იმისათვის, რომ ამ ხნის მანძილზე ანალიზურ ფსიქოთერაპიას რამესთვის მიეღწია; გამოჩენილ, ახლადგარდაცვლილ ექიმს კი, რომელმაც ავადმყოფი ნახა, არ შეეძლო მიეღო შენიშვნა, თითქოს ამ "გაუგებრობაში" ბრალი მიუძღვის ფსიქოთერაპიას. მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ შელეგი სხვა პირობებში უფრო კრიტიკული აღმოჩნდებოდა.

6) საბოლოოდ, ჩემო ბატონო კოლეგებო, ჩემ თავს უნდა ვუთხრა, თუ რატომ შევაჩერე ასე ხანგრძლივად თქვენი ყურადღება ანალიზურ ფსიქოთერაპიაზე, და რატომ არ გითხარით, რაში მდგომარეობს ეს მკურნალობა და რას ემყარება ის. თუმცა შემიძლია ამაზე მოკლედ მივუთითო. ეს თერაპია, მაშ, ემყარება გაგებას, რომ

არაცნობიერი წარმოდგენები – უკეთ: გარკვეული სულიერი პროცესების არაცნობიერება – უახლოესი მიზეზია ავადმყოფური სიმპტომებისა. ასეთი რწმენით გამოვდივარ ფრანგულ სკოლასთან ერთად (ჟანე), რომელსაც თუმცა ცუდი სქემატიზაციით ისტერიული სიმპტომები დაჰყავს არაცნობიერ idee fixe*-ზე, მაგრამ ნუ შეშინდებით, თუკი ალმოვჩნდებით უბნელეს ფილოსოფიაში, ჩვენი არაცნობიერი სრულებით არაა იგივე, რაც ფილოსოფოსთა არაცნობიერი და ამასთან ფილოსოფოსთა უმეტეს ნაწილს არაფერი არ უნდათ იცოდნენ "არაცნობიერი ფსიქიკურის" შესახებ. მაგრამ თუკი დაგებოდით ჩვენს თვალსაზრისზე, მაშინ ნახავდით, რომ ავადმყოფის სულიერ ცხოვრებაში ამ არაცნობიერის გადაყვანას ცნობიერად შედეგად უნდა მოჰყვეს ნორმალური ვითარებიდან გადახრის გასწორება და მათ სულიერ ცხოვრებაში იძულების მოხსნა, ვინაიდან ცნობიერი ნების გავრცელება ემთხვევა ცნობიერ ფსიქიკურ პროცესებს და ყოველი ფსიქიკური იძულება არაცნობიერი გზითაა დაფუძნებული. ნურასდროს ნუ შეგეშინდებათ, თითქოს ავადმყოფი ზიანდებოდეს შერყევით, რომელიც თან მოაქვს არაცნობიერის შემოსვლას ცნობიერებაში, ვინაიდან შეგიძლიათ თეორიულად იფიქროთ, რომ სიმპტური და აფექტური შედეგი ცნობიერად ქცეული წაქეზებისა ისე დიდი ვერ გახდება, როგორც არაცნობიერი. ჩვენ ვფლობთ ყველა ჩვენს წაქეზებას მაინც მხოლოდ იმით, რომ უმაღლეს, ცნობიერებასთან დაკავშირებულ სულის მიღწევებს მასზე მივმართავთ.

მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ასევე სხვა თვალსაზრისი აირჩიოთ ფსიქოანალიზური მკურნალობის გაგებისათვის. არაცნობიერის აღმოჩენა და თარგმნა მიმდინარეობს მუდმივი წინააღმდეგობის გაწევით ავადმყოფის მხრიდან, ამ არაცნობიერის გამოჩენა დაკავშირებულია უსიამოვნებასთან რის გამოც ავადმყოფისგან სულ მუდამ წინააღმდეგობას ვაწყდებით. თქვენ ერევით ავადმყოფის სულიერი ცხოვრების ამ კონფლიქტში და თუკი აღწევთ, რომ ავადმყოფი მიიყვანოთ უკეთესი გაგების მოტივებიდან რაღაცის დათანხმებამდე, რაც ავტომატური უსიამოვნების რეგულირების გამო აქამდე უკუგდებული იყო, თქვენ მასთან მიგიღწევიათ ალზრდითი მუშაობის მომენტისათვის. დიახ, უკვე ალზრდაა ის, თუ ადამიანი, რომელიც

* ფიქსირებული იდეა (რედ. შენიშვნა)

ადრე დილით საწოლს ვერ შორდებოდა, ისე აამოძრავეთ, რომ ეს შეძლო. როგორც ასეთ შინაგან წინააღმდეგობათა დაძლევისათვის ალზრდას, ასევე შეგიძლიათ ფსიქოანალიზურ მკურნალობასაც ზოგადად სწვდეთ. მაგრამ არც ერთ პუნქტში ასეთი ალზრდა ნევროზების მიმართ უფრო მეტად აუცილებელი არაა, ვიდრე მათ სექსუალურ ცხოვრებაში სულიერი ელემენტის მიმართ. დიახ, კულტურასა და ალზრდას არსად არ აქვს ისეთი ზიანი მიყენებული, როგორც სწორედ აქ და აგრეთვე აქვე ნახავთ, როგორც ამას გამოცდილება გაჩვენებთ, ნევროზების გაბატონებულ ეტიოლოგიებს; სხვა ეტიოლოგიური ელემენტი, კონსტიტუციონალური წვლილი, ჩვენთვის მოცემულია როგორც რაღაც უცვლელი. აქედან მომდინარეობს ექიმისადმი წაყენებული მნიშვნელოვანი მოთხოვნები. ეს არ უნდა იყოს თვითონ ძალზე ინტეგრირებული ხასიათი – "მორალური იგებს, დიახაც, თავის თავს" – როგორც ამას ამბობს თ. ფიშერის ნაწარმოების "ერთიც" მთავარი პირი; მან უნდა საკუთარი პერსონისათვის დაძლიოს ავხორცობისა და პრანჭვა-გრეხის ნაზავი, რომლითაც, სამწუხაროდ, ჩვენვად აქვს ამდენი სხვა დაუპირისპირის სექსუალურ პრობლემებს.

აქ ალბათ უპრიანია შემდეგი შენიშვნა: ვიცი, ჩემი ხაზგასმა სექსუალურის როლზე ფსიქონევროზების წარმოშობაში ცნობილია ფართო წრეებისათვის. მაგრამ ისიც ვიცი, რომ შეზღუდვები და ახლო განსაზღვრა ფართო მასისათვის ნაკლებადაა საჭირო, ამისთვის ბრბოს ცოტა ადგილი რჩება მეხსიერებაში და მტკიცებაში იხარჯებს მაინც მხოლოდ შიშველ გულს, ქმნის რა ადვილად შესამჩნევ უკიდურესობას, ასევე შეიძლება ზოგიერთ ექიმში ისიც მოხდეს, რომ მათ ჩემი მოძღვრების შინაარსში ეჩვენოთ, თითქოს მე ნევროზები საბოლოოდ დამყავდეს სექსუალურ უკმარისობაზე. ჩვენი საზოგადოების ცხოვრების პირობებს აღნიშნული არ აკლია, როგორ შეიძლება მისაღები ყოფილიყო ფსიქიკური მკურნალობის მცელი ეკლიანი გზის უარყოფა და პირდაპირ გადასვლა სექსუალური მოქმედებით განკურნებაზე, როგორც საშუალებაზე! ახლა არ ვიცი რას შეეძლო ვემოქმედებინე აღნიშნული დანასკვის დათრგუნვისათვის, ის სწორი რომ ყოფილიყო. მაგრამ საქმე სხვაგვარადაა. სექსუალური მოთხოვნილება და საჭიროება ეს მხოლოდ ერთი

ფაქტორია, რომელიც ნევროზის მექანიზმთანაა ჩართული; ის რომ მარტოდმარტო ყოფილიყო, ავადმყოფობა არ გვექნებოდა, შედეგად გარყვნილებას მივიღებდით. სხვა, ასევე აუცილებელი ფაქტორი, რასაც ზედმეტად იოლად ივიწყებენ, ესაა ნევროტიკების მხრიდან სექსუალობისადმი ანტიპათია, მისი უუნარობა სიყვარულისადმი, ის ფსიქიკური თვისება, რასაც "განდევნა" ვუწოდე. ნევროტული დაავადება გამომდინარეობს მხოლოდ ორივე მისწრაფების კონფლიქტიდან და ამიტომ ფსიქონევროზებთან სექსუალური მოქმედებისთვის რჩევა შეიძლება მხოლოდ იშვიათად იყოს გამართლებული.

ნება მომეცით ამ დაცვითი შენიშვნით დავამთავრო. გვინდა ვიმედოვნებდეთ, რომ თქვენ ყოველი მტრული ცრურწმენისაგან განწმენდილი ინტერესით ფსიქოთერაპიისათვის ჩვენ იმღენად დაგვიჭერთ მხარს, რომ ფსიქონევროზების მძიმე ფორმების მკურნალობაშიც მივაღწიოთ რაღაც სანუგეშოს.

ინტერესი ფსიქოანალიზისადმი
(1913)
პირველი ნაწილი
ფსიქოლოგიური ინტერესი

ფსიქოანალიზი სამკურნალო მეთოდია, რომელიც ესწრაფის ნევროზულობის (ნევროზების) გარკვეული ფორმების ფსიქოლოგიური ტექნიკის საშუალებით განკურნებას. 1910 წელს გამოქვეყნებულ პატარა წერილში გადმოვეცი ი. ბროიერის **კათარზული** მეთოდიდან ფსიქოანალიზის განვითარება და მისი დამოკიდებულება შარკოსა და პ. ჟანეს მოძღვრებებთან*

ავადმყოფობის ფორმებად, რომელსაც მიესადაგება ფსიქოანალიზური თერაპია, ასახელებენ ისტერიულ სპაზმებსა და შეკავების მოყვანებს ისევე, როგორც იძულების ნევროზების (იძულებითი წარმოდგენების, იძულებითი მოქმედებების) მრავალნაირ სიმპტომებს. ყოველთვისაა მდგომარეობანი, რომლებიც შემთხვევით, სპონტანურად განიკურნებიან და დროდადრო, აქამდე გამოუცნობი სახით, მკურნალის პიროვნულ ზეგავლენას ექვემდებარებიან, საკუთრივ სულიერი დარღვევების მძიმე ფორმებთან ფსიქოანალიზი თერაპევტულად ვერაფერს ვერ აღწევს. სამაგიეროდ როგორც ფსიქოზებთან, ისე ნევროზებთან ის არკვევს – პირველად მედიცინის ისტორიაში – ამ დაავადებათა წარმოშობასა და მექანიზმს.

ფსიქოანალიზის ეს სამკურნალო მნიშვნელობა ამასობაში ვერ ამართლებს მცდელობას მოპოვებული წარუდგინოს სწავლულთა წრეს, რომელიც დაინტერესებულია მეცნიერებათა სინთეზით. მეტაღრე მანამ, სანამ საქმე ნაადრევი ჩანს, ჯერ კიდევ დიდი ნაწილი ფსიქიატრებისა და ნევროლოგებისა უარყოფითად ეპყრობა მკურნალობის ახალ მეთოდს და მის წანამძღვრებსა და შედეგებს უკუაგდებს. თუკი მე მაინც ამ ცდას კანონიერად ვთვლი, მოვუწოდებ

* Ueber Psychoanalise. G. W. VIII.

ჩემს თავს, სხვებსაც, როგორც ფსიქიატრებს, ფსიქოანალიზისადმი ინტერესი გავუღვივებ მაშინ, როცა ის განსხვავებულ ცოდნის სფეროებს ეხება და მოულოდნელ დამოკიდებულებებს ალაგებს მასსა და სულიერი ცხოვრების პათოლოგიას შორის.

ახლა მე ფსიქოანალიზთან სამკურნალო ინტერესებს გერდზე გადავდებ და რასაც ამ ახალგაზრდა მეცნიერების შესახებ ვამტკიცებდი, განვმარტავ მაგალითებით.

არსებობს მიმიკური და ენობრივი გამოსახვის დიდი რიცხვი, ასევე აზრთა წარმონაქმნები – როგორც ნორმალურ, ისე ავადმყოფ ადამიანებთან – რომლებიც დღემდე ფსიქოლოგიის საგანი არ გამხდარა, ვინაიდან მათთან სხვას ვერაფერს ხედავდნენ, თუ არა ორგანული დარღვევების შედეგებს, ანდა სულიერი აპარატის ფუნქციობის არანორმალურ შედეგებს. მე ვგულისხმობ შეცდომებს (წამოცდენას, შეცდომით დაწერას, დავიწყებას და ა. შ.), უნებლიე მოქმედებებს და სიზმრებს ნორმალურებთან, კრუნჩხვის შემთხვევებს, ბოდვებს, ზმანებებს, იძულებით იდეებსა და იძულებით მოქმედებებს ნევროტულ ადამიანებთან. ეს ფენომენები – რამდენადაც ისინი საერთოდ არ დარჩენილან შეუმჩნეველნი შეცდომითი მოქმედებების მსგავსად – მიაკუთვნეს პათოლოგიას და ისწრაფოდნენ მათთვის **ფიზიოლოგიური** ახსნა მიეცათ, რაც არავითარ შემთხვევაში არ იყო დამაკმაყოფილებელი. ამის საპირისპიროდ ფსიქოანალიზმა დაასაბუთა, რომ ყველაფერი ეს გასაგებია წმინდა ფსიქოლოგიურად და შეიძლება ისინი ჩაირთოს ჩვენთვის ცნობილ ფსიქიკურ მოვლენათა კავშირში, ფსიქოანალიზმა ასე შეზღუდა, ერთი, მხრით, ფიზიოლოგიური აზროვნების წესი და, მეორე მხრით, დიდი ნაწილი პათოლოგიისა დაუმორჩილა ფსიქოლოგიას. უფრო ძლიერი საბუთების ძალა აქ ნორმალურ ფენომენებზე მოდის. ფსიქოანალიზს არ შეიძლება უსაყვედურონ, რომ მას პათოლოგიურ მასალაზე მოპოვებული თვალსაზრისი გადააქვს ნორმალურზე, ის დასაბუთებას ეწევა აქაც და იქაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და აჩვენებს, რომ ნორმალური და ე. წ. პათოლოგიური პროცესები ემორჩილებიან ერთსა და იმავე კანონებს.

აქ მხედველობაში მიღებული ნორმალური ფენომენებიდან, ე. ი. ნორმალურ ადამიანებთან დაკვირვებადი ფენომენებიდან დაწვრილებით, განვიხილავთ ორს – შეცდომით მოქმედებებსა და სიზმრებს.

შეცდომითი მოქმედებანი, როგორიცაა დავიწყება ჩვეულებრივ კარგად ცნობილი სიტყვებისა და სახელებისა, განზრახვებისა, წამოცდენები მეტყველებაში, მცდარი წაკითხვები, შეცდომები დაწერაში, ნივთების შენახვა, რომლებსაც ვეღარ პოულობენ, დაკარგვა, შეცდომები ცოდნის, ზოგიერთი ჩვეული ქცევებისა და მოძრაობებისა – ყველაფერ ამას, რასაც მე ვაერთიანებ როგორც ჯანმრთელი და ნორმალური ადამიანის შეცდომით მოქმედებებს, ფსიქოლოგიის მიერ მიღებულია. ის დაჯგუფეს როგორც "გაუფრთხილებლობა" და გამოიყვანეს დაღლილობიდან, ყურადღების გადახრიდან, ავადმყოფურ მდგომარეობათა გარკვეული მსუბუქი გვერდითი ზემოქმედებიდან. მაგრამ ანალიზური გამოკვლევა ყველა მოთხოვნის დამაკმაყოფილებელი საიმედობით გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ხელშემწყობი ღირებულება აქვთ ამ უკანასკნელად დასახელებულ მომენტებს, რომლებიც ასევე შეიძლება გაუქმდეს. შეცდომითი მოქმედებები სრულყოფილი ფსიქიკური ფენომენებია და ყოველთვის აქვთ საზრისი და ტენდენცია. ისინი ემსახურებიან განსაზღვრულ განზრახვებს, რომელთაც შესატყვისი ფსიქოლოგიური სიტუაციის გამო სხვაგვარად არ შეეძლოთ გამოსახულიყვნენ. ეს სიტუაციები, როგორც წესი, ფსიქიკური კონფლიქტის სიტუაციებია, რომლითაც ქვემდებარე ტენდენცია პირდაპირი გამოსახვით განიდევნება და ის არაპირდაპირი გზით მიეძინება. ინდივიდს, რომელიც შეცდომით მოქმედებას ჩადის, შეუძლია ის შეამჩნიოს, ანდა ვერ შეამჩნიოს. საფუძველში მდებარე დათრგუნული ტენდენცია მისთვის შესაძლებელია კარგად ცნობილი იყოს, მაგრამ მან ის, ჩვეულებრივ, ანალიზის გარეშე არ იცის, რომ შესატყვისი შეცდომით მოქმედება ამ ტენდენციითაა გამოწვეული. შეცდომით მოქმედებათა ანალიზები ხშირად ძალზე ადვილად და სწრაფად ხდება, თუკი ყურადღება მიექცევა შეცდომას, მის ახსნას შემდეგი შემთხვევა იძლევა.

შეცდომითი მოქმედებები მშვენიერი მასალაა ყველასათვის, ვისაც კი ნებავს დარწმუნდეს ანალიზური წვდომის სიმართლეში. 1904 წელს გამოცემულ პატარა წიგნში პირველად გადმოვეცი დიდი რაოდენობა ასეთი მაგალითებისა მათს ინტერპრეტაციასთან ერთად და ეს კრებული მას შემდეგ გამდიდრდა სხვა დამკვირვე-

ბელთა უამრავი მონაცემით*.

ყველაზე ხშირი მოტივი განზრახვის დათრგუნვისა, რომელიც შემდეგ საჭიროა დაკმაყოფილდეს მცდარი მოქმედების გადმოცემით, უსიამოვნების მოშორებაში ვლინდება. ასე ავიწყდებათ სისხლხორცში გამჯდარი საკუთარი სახელები, თუკი იგივე სახელის მქონე სხვა ინდივიდის მიმართ დაფარული ღვარძლი აქვთ; ივიწყებენ განზრახვების შესრულებას, თუკი მას პრინციპულად უსიამოვნოდ შეასრულებდა როგორიცაა, მაგალითად, მხოლოდ შეთანხმებული იძულების მიყოლა; ველარ იხსენებენ საგნებს, თუკი მასთან, ვისაც ეს საგნები აგონებს, მტრულად არიან განწყობილნი, ვისგანაც ის, მაგ., ნაჩუქარია. ეშლებათ მატარებლით მგზავრობაც, თუკი ეს მგზავრობა მათივის არასასიამოვნოა და უფრო ძვირფასია სხვაგან დარჩენა. ყველაზე ნათლად ვლინდება უსიამოვნებისაგან თავის არიდების მოტივი შთაბეჭდილებათა და განცდათა დავიწყებასთან, როგორც ეს უკვე შენიშნულია ფსიქოანალიზამდე მრავალი ავტორის მიერ. მეხსიერება პარტიულია და მზადაა გამოირიცხოს რეპროდუქციისაგან ყველა ის შთაბეჭდილება, რომელსაც აჩლავს შემაწუხებელი აფექტი, თუმცა შესაძლებელია ეს ტენდენცია ყველა შემთხვევაში არ ხორციელდებოდეს.

შეცდომითი მოქმედების ანალიზი სხვა შემთხვევაში ნაკლებად მარტივია და მივყევართ ნაკლებად გამჭვირვალე გადაწყვეტასთან იმ პროცესის ჩარევის შედეგად, რომელსაც ვუწოდებთ **გადაწევას**. ივიწყებენ, მაგ., პიროვნების სახელს, რომლის მიმართაც არაფერი საწინააღმდეგო არ აქვთ. მაგრამ ანალიზი მიუთითებს, რომ ეს სახელი ასოციაციურად აღვიძებს მოგონებას სხვა პერსონის იგივე ან მსგავსად მჟღერ სახელთან, რომელიც ჩვენს ანტიპატიას სამართლიან მოთხოვნად აქცევს. ამ კავშირის შედეგად დავიწყებას ეძლევა უწყინარი პერსონის სახელი. განზრახვის დავიწყება თითქოს გარკვეული ასოციაციური გზის გასწვრივ გადაიწევა.

განზრახვა უსიამოვნების არიდებისა არაა ერთადერთი, რაც შეცდომითი მოქმედებებით ხორციელდება. მრავალ შემთხვევაში ანალიზი აღმოაჩენს სხვა ტენდენციებს, რომლებიც შესატყვის სიტუაციაში ითრგუნებიან და თითქოს უკანა საფუძვლიდან დარღვევების სახით ვლინდებიან. წამოცდენა ხშირად შეხედულებათა გაცემაა, რომელიც საიდუმლოდ უნდა დამალულიყო პარტნიორის წინაშე. წამოცდენები დიდ მწერლებს ამ აზრით აქვთ გაგებული და თავიანთ ნაწარმოებებში, გამოყენებული. ღირებული საგნის დაკარგვა ხშირად აღმოჩნდება როგორც შეწირვა, რათა მოსალოდნელი უბედურება თავიდან იქნას აცილებული და სხვა ცრურწმენა განათლებულებთან ჯერ კიდევ აღიარებულია როგორც შეცდომითი მოქმედება. ნიუთების დამალვა ჩვეულებრივ სხვა არაფერია, თუ არა მათი ლიკვიდაცია. საგნების გაფუჭება ვითომც განუზრახველად ხდება, რათა შენაცვლებას საჭიროებს უკეთესით და ა.შ.

შეცდომით მოქმედებათა ფსიქოანალიზურ ახსნას თან მოაქვს მაინც რამდენიმე ოდნავ შესამჩნევი ცვლილება სამყაროს სურათში, რა უმნიშვნელოც შეიძლება იყოს განხილული მოვლენები. ასევე ვნახულობთ ნორმალურ ადამიანებს ფრიად ხშირი საპირისპირო ტენდენციებით, ვიდრე ველოდით. ხდომილებათა რიცხვი, რასაც ვუწოდეთ "შემთხვევითი", განიცდის მნიშვნელოვან შეზღუდვას. თითქმის სანუგეშოა, რომ საგნების დაკარგვა ხშირად მოიხსნება ცხოვრების შემთხვევითობათაგან. ჩვენი მოუქნელობა ხშირად საკმარისი ხდება საიდუმლო განზრახვათა შენიღბვისათვის. მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ბევრი მძიმე უბედური შემთხვევა, რომელთაც მაინც მთლიანად მივაწერთ შემთხვევითობას, ანალიზში აშკარავდება როგორც საკუთარი, თუმცა ასევე არაცხადი ცნობიერი ნების ნაწილი. პრაქტიკაში ხშირად ასე ძნელი განსხვავება შემთხვევითი ავარიისა გამიზნული სიკვდილისაგან ანალიზური განხილვით უფრო მეტად საეჭვო ხდება.

უმაღლის რა შეცდომითი მოქმედებათა ახსნა თეორიულ ღირებულებას ნორმალურ ადამიანებთან ამ ფენომენის გადაწყვეტის სიაღვილესა და არსებობის სიხშირეს, ფსიქოანალიზის ეს წარმატება მნიშვნელობით მაინც ადგილს უთმობს შემდგომს, რომელიც ჯანმრთელის სულიერი ცხოვრების სხვა ფენომენმა მიიღო. მე ვფიქრობ **სიზმრის** ინტერპრეტაციაზე, რომლითაც მხოლოდ ფსიქოანალიზის ბედი იღებს თავის დასაწყისს. სამედიცინო გამოკვლევა სიზმარს ხსნის წმინდა სომატურ ფენომენად საზრისისა და მნიშ-

---

* Zur Psychologie des Alltagslebens (G. W. IV), გარდა ამისა, ასევე, ნაშრომები: შელერისა, ა. ბრილისა, ე. ჯონსისა, ო. რანკისა და სხვ.

ვნელობის გარეშე, მასში ხედავს ძილის მდგომარეობაში ჩაძირული სულიერი ორგანოს სხეულებრივ გაღიზიანებაზე პასუხს, რომელიც აიძულებს მას ნაწილობრივ გაღვიძებას. ფსიქოანალიზი კი სიზმარს აცხადებს ფსიქიკურ ფაქტად, რომელსაც ინდივიდის სულიერ ცხოვრებაში აქვს აზრი, განზრახვა და ადგილი და ამასთან სიზმრის უწყეულობას, დაუკავშირებლობასა და აბსურდულობას უკუაგდებს. ამასთან სხეულებრივი გაღიზიანება მხოლოდ მასალაა, რომელიც გადამუშავდება სიზმრის შექმნით. სიზმრის ამ ორ გაგებას შორის არაა გამაშუალებელი. ფიზიოლოგიური გაგების წინააღმდეგ ლაპარაკობს მისი უნაყოფობა; ფსიქოანალიზური გაგების სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ ის მრავალ ათას სიზმარს აზრის მქონედ აცხადებს და მას იყენებს ინტიმური ადამიანური სულიერი ცხოვრების ცოდნისათვის.

მნიშვნელოვანი თემა "სიზმრის ინტერპრეტაციისა", განვიხილე 1900 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში და კმაყოფილი ვარ, რომ თითქმის ყველა თანამშრომელმა ფსიქოანალიზს მასში მოცემული მოძღვრება დაუდასტურეს და მას ხელი შეუწყვეს*. საერთო თანხმობით მტკიცდება, რომ სიზმრის ინტერპრეტაცია ფსიქოანალიზური მუშაობის ქვაკუთხედია და რომ მისი შედეგები მნიშვნელოვანი წვლილია ფსიქოლოგიაში შეტანილი ფსიქოანალიზის მიერ.

მე აქ არ შემიძლია არც ტექნიკის გადმოცემა, რითაც ვლებულობთ სიზმრის ინტერპრეტაციას და არც შედეგების დაფუძნება, რასთანაც მივყავართ სიზმრის ფსიქოანალიზურ დამუშავებას. უნდა შემოვიზღუდო ზოგიერთი ახალი ცნების წამოყენებით, შედეგების მოხსენებითა და ნორმალური ფსიქოლოგიისათვის მათი მნიშვნელობის ხაზგასმით. მაშასადამე, ფსიქოანალიზი გვასწავლის: ყოველი სიზმარი აზრით სავსეა, მისი თავისებურება წარმოსდგება დამახინჯებისაგან, აზრის გამოხატვისას რომ ხდება, მისი აბსურდულობა განზრახვითია და გამოხატავს ირონიას, დაცინვასა და წინააღმდეგობას, მისი დაუკავშირებლობა ინტერპრეტაციისათვის გა-

---

* Die Traumdeutung (G. W. II–III), ასევე პატარა სტატია: Ueber den Traum (G. W. II–III).

სხვა პუბლიკაციები: ო. რანკისა, ვ. შტეკელისა, ე. ჯონსონისა, ჰ. ზილბერგერისა, ა. ბრილისა, კ. შედერისა, კ. აბრაჰამისა, შ. ფურუნცისა და სხვ.

ნურჩეველია. სიზმარს, როგორადაც ვიგონებთ მას გაღვიძების შემდეგ, უნდა ეწოდოს მანიფესტური სიზმრის შინაარსი. მასზე ინტერპრეტაციის საშუალოს ჩატარების გზით მივდივართ სიზმრის ლატენტურ აზრებთან, რომლებიც მანიფესტური შინაარსის უკანაა დამალული და მისით შენაცვლებული, ლატენტური სიზმრის ეს აზრები მეტად ადრ არიან უცხონი, დაუკავშირებელნი, ანდა აბურდულნი; ესაა ჩვენი ცხადი, აზროვნების სრულფასოვანი შემადგენელი ნაწილი. პროცესს, რომელიც სიზმრის ლატენტურ აზრებს გადააქცევს სიზმრის მანიფესტურ შინაარსად, ვუწოდებთ **სიზმრის მუშაობას**; ის განაპირობებს დამახინჯებას, რომლის შედეგადაც სიზმრის შინაარსში ვეღარ ვცნობთ სიზმრის აზრებს.

სიზმრის მუშაობა ის ფსიქოლოგიური პროცესია, რომლის მსგავსი ფსიქოლოგიაში აქამდე ცნობილი არ იყო. ის ჩვენს ინტერესს ორი მთავარი მიმართულებით წარმართავს: ერთი, როცა ის თავისებურ პროცესებს, როგორიცაა **შემჭიდროვება** (წარმოდგენებისა), ანდა **გადაწევა** (ფსიქოლოგიური მახვილისა ერთი წარმოდგენიდან მეორეზე), აღმოაჩენს, რომელთაც ცხად აზროვნებაში საერთოდ ვერ ვხვდებით, ანდა მხოლოდ როგორც ე. წ. აზროვნების შეცდომის საფუძველად ვაცხადებთ; მეორე, როცა ის შესაძლებლობას გვაძლევს, სულიერ ცხოვრებაში ძალთა თამაშს მივხვდეთ, რომლის მოქმედება დაფარული იყო ჩვენი ცნობიერი აღქმისათვის. გამოცდილებაში ვადასტურებთ, რომ **ცენზორი** ჩვენში მაკონტროლებელი ინსტანციაა, რომელიც წყვეტს, აღმოცენებულ წარმოდგენას უფლება აქვს თუ არა ცნობიერებამდე მიაღწიოს და უმოწყალოდ გამორიცხავს მას, რამდენადაც მისი ძალა ვრცელდება მასზე, რაც შეძლებდა უსიამოვნების გამოწვევას, ანდა ისევ გაღვიძებას. ჩვენ აქ მოვიგონებთ, რომ არც ამ ტენდენციიდან – მოგონებიდან უსიამოვნების მოშორება – და არც კონფლიქტებიდან სულიერი ცხოვრების ტენდენციებს შორის ძითითებები შეცდომითი მოქმედების ანალიზთან არ მიგეცია.

სიზმრის მუშაობის შესწავლა, რომელიც ფსიქოლოგიის სადაო საკითხებს წყვეტს, უცილობლად გვიბიძგებს სულიერი ცხოვრების გაგებისაკენ. სიზმრის მუშაობა გვაიძულებს დავუშვათ **არაცნობიერი** ფსიქიკური მოსაზრება, რომელიც უფრო მომცველია და მნიშვნელოვანი, ვიდრე ჩვენთვის ცნობილი ცნობიერებასთან დაკავ-

შირებული ფსიქიკური მოქმედება (ამაზე რამდენიმე სიტყვით მეტს ვიტყვით ფსიქოანალიზთან ფილოსოფიური ინტერესის განმარტებისას). ის ნებას გვრთავს დავყოთ ფსიქიკური აპარატი განსხვავებულ ინსტანციებად, ანდა სისტემებად და ვჩვენებს, რომ არაცნობიერი სულიერი მოქმედების სისტემაში პროცესები სულ სხვა სახით მიედინებიან, ვიდრე ცნობიერებაში აღიქმებიან.

სიზმრის მუშაობის ფუნქცია მხოლოდ ძილის შენარჩუნებაა მუდამ, "სიზმარი ძილის დარაჯია". თვითონ სიზმრის აზრები შეიძლება იდგნენ განსხვავებული სულიერი ფუნქციების სამსახურში. სიზმრის მუშაობა მაშინ ასრულებს თავის დავალებას, როცა ის სიზმრის აზრებიდან ამოსულ სურვილს ჰალუცინაციური გზით შესრულებულად წარმოადგენს.

ალბათ უფლება აქვთ თქვან, რომ სიზმრების ფსიქოანალიზურმა შესწავლამ აქამდე გუმანით მიუწვდომელი **სიღრმის ფსიქოლოგიის** პირველ ნაცნობობასთან გვაზიარა*. აუცილებელია ნორმალური ფსიქოლოგიის რადიკალური ცლილება, რათა ის მოვიდეს თანხმობაში ამ ახალ შეხედულებასთან.

სრულიად შეუძლებელია ამ გადმოცემის ფარგლებში ამოიწუროს ფსიქოლოგიური ინტერესი სიზმრის ფსიქოლოგიისადმი. არ დავკავიწყდეს, განვიზრახეთ მხოლოდ გამოგვეყო, რომ სიზმარი **აზრით სავსეა** და **ფსიქოლოგიის ობიექტია**, ამასთან ვაგრძელებთ ფსიქოლოგიისათვის ახალ შენაძენთა მოპოვებას პათოლოგიის სფეროში.

სიზმრიდან და შეცდომითი მოქმედებებიდან ამოჩენილი ფსიქოლოგიური სიახლენი უნდა გამოყენებული იქნან სხვა ფენომენების ახსნისათვის, თუკი მათი ღირებულება, მათი არსებობა გვჯერა. ახლა ფსიქოანალიზმა ნამდვილად გვიჩვენა, რომ არაცნობიერი სულიერი მოქმედების, ცენზურისა და განდევნების, დამახინჯებისა და შენაცვლებითი წარმოქმნის დაშვება, რაც მიღებული გვაქვს ნორმალური ფენომენების ანალიზით, შესაძლებელს ხდის პათოლოგიური ფენომენების რიგის პირველ გაგებას, რათა, ასე რომ ვთქვათ, ხელმა მოგვცეს ნევროზების ფსიქოლოგიის ყველა გამოცანის გასაღები. ასე გამოკლინდება სიზმარი როგორც ყველა **ფსიქოპათოლოგიური** წარ-

* მაშინ დაკავშირება ფსიქიკური ტოპიკისა ანატომიურ განლაგებაზე ანდა პისტოლოგიურ ფენებზე ფსიქოანალიზის მიერ უარიყოფოდა.

მოქმნის ნორმალური ნიმუში. ვინც სიზმარს გაიგებს, მას შეუძლია ნევროზებისა და ფსიქოზების ფსიქიკური მექანიზმების დანახვაც.

სიზმრიდან ამოსული თავისი გამოკვლევებით ფსიქოანალიზი იმ მდგომარეობაშია, რომ ააგოს ნევროზების ფსიქოლოგია, რომელთანაც მუდმივად წარმართული მუშაობით მას ნაწილ-ნაწილ რალაც მიემატება. მაინც ფსიქოლოგიური ინტერესი მოითხოვს, რასაც აქ მივსდევთ კიდევაც, ამ დიდი კავშირის ორი შემადგენელი ნაწილის დაწვრილებით განხილვას: დადასტურებას, რომ პათოლოგიის მრავალი ფენომენი, რომლის ფიზიოლოგიურ ახსნაზე უნდა ვფიქრათ, ფსიქიკური აქტებია და რომ პროცესები, რომლებიც არანორმალურ შედეგებს გვაწვდიან, დაყვანილ იქნან ლტოლვის ფსიქიკურ ძალებზე.

მინდა პირველი მტკიცება რამდენიმე მაგალითით განვმარტო: ისტერიული შეტევები დიდხანს აღიარებული იყო, როგორც ზეაწეული ემოციური აგზნების ნიშანი და გათანაბრებული იყო აფექტის აფეიქებასთან. შარკო შეეცადა მათი გამოვლენის ფორმების მრავალფეროვნება მოეთავსებინა დესკრიფციულ ფორმულებში; პ. ჟანემ აღიარა არაცნობიერი წარმოდგენა, რომელიც მოქმედებს ამ შეტევების უკან; ფსიქოანალიზმა იხილი გაიგო, როგორც მიმიკური გადმოცემა განცდილი და შემჭიდროებული სცენებისა, რომლებიც გაუცნობიერებლადაა დაკავშირებული ავადმყოფის ფანტაზიასთან. შემჭიდროებისა და დამახინჯების გზით გადმოცემული მოქმედებები ამ ფანტომიმებს მაყურებლისთვის გაუმჭვირვალედ ხდის. იმავე თვალსაზრისში თავსდებიან სხვა ე.წ. ისტერიული ავადმყოფების ხანგრძლივობის სიმპტომები. ესენი მუდამ არიან მიმიკური ანდა ჰალუცინატორული გადმოცემები ფანტაზიებისა, რომლებიც მათ გრძნობათა ცხოვრებას არაცნობიერად ფლობენ და მათი საიდუმლო განდევნილი სურვილების აღსრულებას ნიშნავს. ამ სიმპტომების აუტანელი ხასიათი შინაგანი კონფლიქტებიდან მომდინარეობს, რომელშიც ამ ავადმყოფის სულიერი ცხოვრება შენაცვლებულია ასეთი არაცნობიერი სურვილის აგზნებათა დათრგუნვის აუცილებლობით.

სხვა ნევროტულ აგზნებასთან, იძულების ნევროზთან, ავადმყოფები ვარდებიან პედანტურად გამოყენებულ, მოჩვენებითად უაზრო ცერემონიალის მდგომარეობაში, რომელიც ვლინდება განურჩეველ

მოქმედებათა განმეორებასა და რითმიზირებაში, როგორიცაა რეცხვა, ჩაცმა, ანდა უაზრო მითითებათა შესრულებაში, იდუმალი აკრძალვების დაცვაში. სწორედ ფსიქოანალიზური მუშაობის ტრიუმფი იყო, როცა მან დაასაბუთა, თუ როგორ აზრით სავსეა ყველა ეს იძულებითი მოქმედება, მათ შორის თვით ნაკლებმნიშვნელოვანიც კი, როგორიცაა: ცხოვრების კონფლიქტები, ბრძოლა ცდუნებებსა და მორალურ შეკავებათა შორის; თვითონ არაკანონიერ სურვილს მისთვის ჯარიმებსა და სასჯელს ის ასახავს ინდივიდუალურ მასალაზე. იმავე დაავადების სხვა ფორმასთან ავადმყოფები იტანჯებიან გამაწამებელი წარმოდგენებით, იძულებითი იდეებით, რომელთა შინაარსი მათ მბრძანებლურად აკეკიატებათ და აფექტების თანმხლებია, რომელიც სახესა და ინტენსივობაში თვითონ იძულებითი იდეების ზუსტი ტექსტით ხშირად მხოლოდ ძალზე ნაკლებად ცხადდება. ანალიზურმა გამოკვლევამ აქ აჩვენა, რომ აფექტები სავსებით გამართლებულია, როცა ისინი შეესატყვისებიან სიუჟეტებს, რომელთაც ყოველ შემთხვევაში საფუძვლად უდევთ **ფსიქიკური რეალობა**. ამ აფექტზე დამოკიდებული წარმოდგენები აღარ არიან თავდაპირველადნი, არამედ რაღაც განდევნილის გადაწევით (შენაცვლებით, სუბსტიტუციით) ამ დაკავშირებაში ხვდებიან. ამ გადაწევების რედუქცია (უკანსვლა) გზას გვიკვლევს განდევნილი იდეების შემეცნებისაკენ და შესაძლებლობას გვაძლევს აფექტისა და წარმოდგენის დაკავშირება სავსებით შეთანხმებულად მოვგვაჩვენოს.

სხვა ნევროტულ დაზიანებასთან, საკუთრივ განუკურნავ Dementia praecox-თან (პარაფრენია, შიზოფრენია), რომელიც თავის უარყოფით შედეგებში ავადმყოფებს თავს სავსებით არამონაწილედ და ხშირად ზედმეტად აჩვენებს, როგორც ერთადერთ მოქმედებებს, გარკვეული ერთნაირი ფორმით განმეორებულ მოძრაობებსა და ჟესტებს, აღინიშნებიან სტერეოტიპებად. ასეთი ნაშთები ანალიზურმა გამოკვლევამ (კ. გ. იუნგი) გაიგო როგორც აზრით სავსე მიმიკური აქტების ნარჩენები, რომლებშიც ინდივიდის მფლობელი სურვილი აგზნებები ერთხელაც გამოხატვას ნახულობენ. ამ ავადმყოფთა შეშლილი სიტყვიერი გამოსვლები და ყველაზე უფრო უცნაური პოზები და მანერები უფლებას გვაძლევს იმისი გავიგოთ და სულიერი ცხოვრების კავშირში ჩავრთოთ მას შემდეგ, რაც მათ მივადგებით ფსიქოანალიზური წანამძღვრებით.

სავსებით ერთნაირად ეხება ეს თეთრ ცხელებას, ჰალუცინაციებსა და სხვადასხვა სულით ავადმყოფთა ბოდვით სისტემებს. ყველგან, სადაც კი აქამდე მხოლოდ ახირებული განწყობილების ბატონობა ჩანდა, ფსიქოანალიზურმა მუშაობამ კანონი, წესრიგი და კავშირი აჩვენა, ანდა, ყოველ შემთხვევაში, გვაგრძნობინა, რამდენადაა ეს სამუშაო ჯერ კიდევ დაუმთავრებელი. მაგრამ განსხვავებული სახის ავადმყოფობის ფსიქიკური ფორმები ითვლება იმ პროცესების შედეგად, რომლებიც არსებითად იდენტურია და შესაძლებელს ხდის ფსიქოლოგიური ცნებებით მათ წვდომასა და აღწერას, ცხელგან მოქმედებს უკვე სიზმრის წარმოქმნასთან აღმოჩენილი **ფსიქიკური კონფლიქტი**, გარკვეულ ლტოლვათა აგზნებების **განდევნა**, რომლებიც სხვა სულიერი ძალებით არაცნობიერში უკუიგდება, განმდევნელი ძალების **რეაქციის წარმონაქმნები** და განდევნილთა **შენაცვლების წარმონაქმნები**, მაგრამ მათი ენერგიით არა საკუთრივ დაცდილი ლტოლვები. ყველგან, ამ პროცესებთან, ცხინდება სიზმრიდან ცნობიერი პროცესები **შეშფოთებისა** და **გადაწევისა**. ფსიქიატრიულ კლინიკაში დაკვირვებული ავადმყოფობის მრავალნაირი ფორმები დამოკიდებულია კიდევ ორ სხვადასხვაობაზე, ფსიქიკური მექანიზმების სიმრავლეზე, რომლებიც განდევნის მუშაობის განკარგულებაშია და განვითარების ისტორიული დისპოზიციების სიმრავლეზე, რომლებიც განდევნილ აგზნებებს გარღვევის შესაძლებლობას უქმნიან შემნაცვლებელი წარმონაქმნებისათვის.

კარგა დიდი ნაწილი ფსიქიატრიული ამოცანის გადაწყვეტისა ფსიქოანალიზის მიერ მითითებულია ფსიქოლოგიასთან. მაინც ეს იქნებოდა უხეში შეცდომა, თუკი დავუშვებდით, რომ ანალიზი მიისწრაფის ანდა იცავს სულიერ დარღვევათა წმინდა ფსიქოლოგიურ გაგებას. მას არ შეუძლია არ გააცნობიეროს, რომ ფსიქიატრიული სამუშაოს მეორე ნახევრის შინაარსია ორგანული ფაქტორების (შექსიკური, ტოქსიკური, ინფექციური) ზეგავლენა სულიერ აპარატზე. ის სულიერ აშლილობათა ეტიოლოგიაში სარგებლობს არა მათი მსუბუქი აშლილობით, ნევროზებისათვის წმინდა ფსიქოგენური საწყისით, არამედ ეძიებს სულიერი ცხოვრების ზეგავლენაში მოგვიანებულ მოხსენებულ უეჭველ ორგანულ მომენტს.

ფსიქონალიზის დეტალური მონაცემები, რომლებიც ზოგადი ფსიქოლოგიისათვის მნიშვნელოვანი უნდა გახდნენ, ფრიად მდიდა-

რია, ვიდრე აქ შემეძლო მომეყვანა. მე მინდა კიდევ მხოლოდ ორ მომენტს შევეხო: კერძოდ, არაორაზროვნად ფსიქონალიზი სულიერ ცხოვრებაში პრიმატს თუ როგორ მიაწერს აფექტურ პროცესებს და აგრეთვე იმას, რომ დასაბუთება აფექტურ დარღვევათა გაუთვალისწინებელი მცდელობისა და ინტელექტის დაბრმავება ნორმალურებთან სხვაგვარად არ ხდება, ვიდრე ავადმყოფ ადამიანებთან.

მეორე ნაწილი

არაფსიქოლოგიურ მეცნიერებათა ინტერესი ფსიქოანალიზისადმი

ა) ენათმეცნიერული ინტერესი.

მე უეჭველად ვცილდები სიტყვის გამოყენებულ მნიშვნელობას, როცა ენის მკვლევარის ინტერესს ვადასტურებ ფსიქოანალიზისდმი. აქ ენაში არა მხოლოდ სიტყვებით აზრების გამოხატვა უნდა ვიგულისხმოთ, არამედ ასევე ყუსტ-მიმიკის ენა და ყოველი სხვა სახე სულიერი საზრიანობის გამოსახვისა, როგორიცაა შრიფტი. უფლება აქვთ წამოაყენონ, რომ ფსიქოანალიზის ინტერპრეტაცია, უპირველეს ყოვლისა, კარგად ცნობილი გადმოთარგმნაა ჩვენთვის უცხო გამოსახვის წესიდან ჩვენს აზროვნებაში. როცა სიზმრის ინტერპრეტაციას ვიძლევით, მაშინ ვთარგმნით მხოლოდ გარკვეული აზრის შინაარსს (სიზმრის ლატენტურ აზრებს) "სიზმრის ენიდან" ჩვენი ცხადი ცხოვრების ენაზე. ამასთან ვეცნობით ამ სიზმრის ენის თავისებურებას და ვიღებთ შთაბეჭდილებას, რომ ის უპირატესად განკუთვნება არქაული გამოსახვის სისტემას. ასე მაგალითად, სიზმრის ენაში უარყოფა არასდროს განსაკუთრებით არ აღინიშნება. დაპირისპირებულობანი სიზმრის შინაარსში ერთმანეთის გვერდით არიან და გადმოიცემიან იგივე ელემენტებით. ანდა ისიც შეიძლება ითქვას, რომ სიზმრის ენაში ცნებები ჯერ კიდევ გალენტურია, თავის თავში აერთიანებენ საპირისპირო მნიშვნელობებს, როგორც ესაა ენის მკვლევართა დაშვებით ისტორიული ენების უძველეს ძირებში*.

* შეად. Abel, Ueber den Gegensinn der Urworte (ნაშრომის რეფერატი იხ. G. W. VIII).

ჩვენი სიზმრის ენის სხვა, თვალში საცემი ბუნება ესაა უკიდურესად ხშირი გამოყენება სიმბოლოებისა, რომელიც გარკვეულწილად ინდივიდუალური ასოციაციებისაგან დამოუკიდებლად სიზმრის შინაარსის თარგმანია, კვლევა-ძიების მიერ ამ სიმბოლოს არსი ჯერ კიდევ საკმაოდ ნათლად არაა გაგებული; მსგავსების საფუძველზე არიან შეწაცვლებანი და შედარებანი, რომლებიც ნაწილობრივაა ცხადად თვალსაჩინო; მაგრამ ამ სიმბოლოს სხვა ნაწილებთან ჩვენი ცნობიერი ცოდნის საკარაუდო Tertium comparationis აკარგება. სწორედ ეს სიმბოლოები წარმოსდგებიან ენის განვითარებისა და ცნებათა წარმოქმნის უძველესი ფაზებიდან, სიზმარში უპირატესად განიცდებიან სქესობრივი ორგანოები და სექსუალური განხორციელებანი, რომელიც სიმბოლური გადმოცემაა, ვიდრე პირდაპირი, ენის მკვლევარი ჰანს შპერბერი (უპსალა) შეეცადა მოკლედ დაესაბუთებინა, რომ სიტყვებმა, რომლებიც თავდაპირველად ნიშნავდნენ სექსუალურ მოქმედებებს, ასეთი შედარების საფუძველზე მიაღწიეს განსაკუთრებული მნიშვნელობის მდიდარ ცვლილებას*.

თუკი ჩვენ იმაზე ვფიქრობთ, რომ სიზმრის გადმოცემის უმთავრესი საშუალებანია ვიზუალური სურათები და არა სიტყვები, მაშინ გვეიმედება, რომ სიზმრის შედარება დამწერლობის სისტემასთან კიდევ უფრო შესატყვისია, ვიდრე ენასთან, ფაქტიურად სიზმრის ინტერპრეტაცია სავსებით ანალოგიურია ძველი სურათებით დამწერლობის გაშიფრვასთან, როგორიცაა ეგვიპტური იეროგლიფები. აქაცა და იქაცაა ელემენტები, რომლებიც არაა განსაზღვრული ინტერპრეტაციისათვის, რესპექტული კითხვისათვის. სიზმრის განსხვაებულ ელემენტთა მრავალმნიშვნელობა თავის საპირისპიროს სახულობს ამ დამწერლობის ძველ სისტემებში ისეცა, როგორც განსხვავებულ მიმართებათა გამოტოვება, რომელიც აქა-იქ უნდა გამთლიანდეს კავშირებიდან. როცა სიზმრის გადმოცემის ასეთი გაგება ჯერ კიდევ ვერ ნახულობს შემდგომ განხორციელებას, ის უბრუნდება ადვილად გასაგებ ვითარებას, რომ ფსიქოანალიტიკოსი იმ თვალსაზრისსა და ცოდნას გამოეყოფა მთლიანად, რომლითაც ენის მკვლევარი სიზმრის თემასთან მიდის.

* Ueber den Einfluss sexuller Momente auf Entstehung und Entwicklung der Sprache (Imago, I, 1912).

შეიძლება ითქვას, სიზმრის ენა არის არაცნობიერი სულიერი მოღვაწეობის გამოსახვის სახე, მაგრამ არაცნობიერი უფრო მეტად ლაპარაკობს მხოლოდ დიალექტზე. ცვალებად ფსიქოლოგიურ პირობებში, რომლებიც ნევროზების ცალკეულ ფორმებს ახასიათებენ და ერთმანეთისაგან ჰყოფს, გვეძლევა ასევე გამოსახვის კონსტანტური ცვლილებები არაცნობიერ სულიერ წაქეზებათათვის. მაშინ, როცა ისტერიის ჟესტ-მიმიკის ენა მთლიანად ემთხვევა სიზმრის, ზმანებისა და ა. შ. ხატოვან ენას, გვეძლევიან განსაკუთრებული იდიომატური წარმონაქმნები იძულებითი ნევროზისა და პარაფრენიების (Dementia praecox და Paranoia) აზროვნების ენისათვის, რომლებიც ჩვენ შემთხვევათა რიგში შეგვიძლია გავიგოთ და ერთმანეთთან მიმართებაში მოვიყვანოთ. რასაც მაგალ., ისტერიკა წარმოადგენს ღებინებით, ეს იძულებით ავადმყოფთან პედანტური დაცვითი ღონისძიების გზით ინფექციის საწინააღმდეგოდ გამოიხატება და პარაფრენიკოსან საქვედურს ანდა ეჭვს, რომ ის იწამლება, განაპირობებს. აქ, რაც ასე განსხვავებულ გამოხატულებას ნახულობს, არის არაცნობიერში განდევნილი სურვილი განაყოფიერებისა, ანდა დაავადებული პერსონის დაცვა მისგან.

ბ) ფილოსოფიური ინტერესი.

რამდენადაც ფილოსოფია დაშენებულია ფსიქოლოგიაზე, მას სხვაგვარად არ შეუძლია, თუ არა ფსიქოანალიზური წვლილი ფსიქოლოგიაში ეფექტურად მიიღოს მხედველობაში და ჩვენი ცოდნის ამ ახალ გამდიდრებაზე მოახდინოს მსგავსი რეაგირება, როგორც მან ეს აჩვენა სპეციალურ მეცნიერების ყველა მნიშვნელოვან წინსვლაზე. განსაკუთრებით არაცნობიერი სულიერი მოქმედების წამოყენებით მან უნდა აიძულოს ფილოსოფია მისადმი პოზიცია დაიჭიროს და დათანხმების შემთხვევაში მისი ჰიპოთეზის – სულიერის სხეულთან დამოკიდებულების შესახებ, მოდიფიცირება მოახდინოს, სანამ ის ახალ ცოდნას შეესატყვისებოდეს. ფილოსოფია, რა თქმა უნდა, მრავალგზისაა დაკავებული არაცნობიერის პრობლემით, მაგრამ ამასთან, მისმა წარმომადგენლებმა მცირეოდენი გამონაკლისით ერთი მიიღეს ორი პოზიციიდან, რომელსაც ახლა მოვიყვანთ. მათი არაცნობიერი ან იყო რაღაც მისტიკური, რაღაც მიუწვდომელი და არა საჭიროებელი, რომლის მიმართება სულიერისადმი ბნელში დარჩა, ანდა სულიერი ცნობიერებასთან იგივდებოდა და შემდეგ ამ დეფინიციიდან გამოიყვანებოდა, რომ რაღაც არაცნობიერი არაა სულიერი და ის არ შეიძლება იყოს ფსიქოლოგიის საგანი. გამოხმაურება იმისგან ხდება, რომ ფილოსოფოსები ისე აფასებენ არაცნობიერს, არ იცნობენ არაცნობიერი სულიერი მოქმედების ფენომენებს. მაშასადამე, წინასწარი ცოდნის გარეშე, თუ რამდენად უახლოვდება ის ცნობიერ ფენომენებს და რით განსხვავდება მისგან. თუკი ვინმეს ნებავს მიუხედავად ამ გაცნობისა შეთანხმებაზე დარჩეს, რომელიც ცნობიერსა და ფსიქიკურს აიგივებს და, ამდენად, არაცნობიერ ფსიქიკურ ბუნებაზე დავობს, მაშინ ამის საწინააღმდეგოდ, ბუნებრივია, არაფერია სათქმელი გარდა იმისა, რომ ასეთი გაიშვა ძალზე არაპრაქტიკულია. ვინაიდან არაცნობიერი ცნობიერებასთან მიმართების მხრიდან, რომელთანაც მას ბევრი საერთო აქვს, ადვილად აღწერადია და თავის განვითარებაში თვალი მიეცევება; ფიზიკური პროცესის მხრიდან მასთან მიახლოვება ახლა საკუთარი საშუალებით გამორიცხული ჩანს. მაშ, ის უნდა დარჩეს როგორც ფსიქოლოგიის ობიექტი.

კიდევ სხვა სახით შეუძლია ფილოსოფიას ბიძგი მიიღოს ფსიქოანალიზიდან, სახელდობრ, როცა თვითონ ის ხდება ფსიქოანალიზის ობიექტი. ფილოსოფიური მოძღვრებანი და სისტემები შექმნილია გამოჩენილი ინდივიდუალური გამოკვეთილობის მქონე პერსონების მცირე რიცხვის მიერ. არც ერთ სხვა მეცნიერებაში არ თამაშობს მეცნიერული მკვლევარის პიროვნება ისე დიდ როლს, როგორც სწორედ რომ ფილოსოფიაში. ახლა მხოლოდ ფსიქოანალიზი გვაძლევს პიროვნების ფსიქოგრაფიას (შეად., ქვემოთ, სოციოლოგიური ინტერესი). ის ჩვენ გვაცნობს აფექტურ ერთიანობებს – ლტოლვებზე დამოკიდებულ კომპლექსებს – რომელიც სავარაუდოა ყველ ინდივიდში და მივყავართ გარდაქმნისა და საბოლოო შედეგების შესწავლისაკენ, რომლებიც ამ ლტოლვის ძალებისაგან გამომდინარეობენ. ფსიქოანალიზი აღმოაჩენს დამოკიდებულებებს, რომელიცაა კონსტიტუციურ მიდრეკილებასა და პერსონის ცხოვრების ხვედრს შორის და, განსაკუთრებული ნიჭის წყალობით, მასთან შესაძლო წარმატებებს. ხელოვანი ინტიმურ პიროვნულობას, რომელიც იმალება მისი შემოქმედების უკან, შეიძლება მივხვდეთ მეტი

თუ ნაკლები სიზუსტით. ფსიქოანალიზს ასევე შეუძლია აჩვენოს ფილოსოფიურ მოძღვრებათა სუბიექტური და ინდივიდუალური მოტივები, რომელიც თითქოსდა უპარტიო ლოგიკური მუშაობიდან ამოცენდება და კრიტიკას თვითონ სისტემის სუსტ წერტილებს ამცნობს. ამ კრიტიკისათვის ზრუნვა არაა ფსიქოანალიზის საქმე, ვინაიდან გასაგებია, რომ მოძღვრების დეტერმინირება არასგზით არ გამორიცხავს მეცნიერულ სიზუსტეს.

გ) ბიოლოგიური ინტერესი

სხვა ახალგაზრდა მეცნიერებათა დარად ფსიქოანალიზს არ დაჰყოლია ბედი შემეცნების წინსვლით დაინტერესებულთა მხრიდან მას მისალმებოდნენ. დიდი ხნით მას არ უსმენდნენ. და ბოლოს, როცა აღარ შეიძლებოდა მისი უგულებელყოფა, აფექტური საფუძვლებიდან გახდა მძაფრი მტრობის ობიექტი და თანაც იმათი მხრიდან, ვისაც კი უცდია მისი გაცნობა. ამ არამეგობრულ მიღებას ის უმადლის იმ გარემოებას, რომ მან თავის კვლევის ობიექტებთან ადრიდანვე აღმოაჩინა ნევროზული დაავადებანი – არიან სექსუალური ფუნქციის დარღვევის გამოხატულებანი – და ამიტომ საფუძველი ჰქონდა საკუთარი თავი მიეძღვნა დიდი ხნით უგულვებელყოფილი სექსუალური ფუნქციის კვლევისათვის. მაგრამ ვინც იცავს მოთხოვნას, რომ მეცნიერულ მსჯელობაზე არ შეიძლება აფექტური განწყობით ზეგავლენის მოხდენა, ფსიქოანალიზი კვლევის ასეთი მიმართულების გამო აღიარებს მაღალ ბიოლოგიურ ინტერესს და მის მიმართ წინააღმდეგობებს სწორედ რომ თავისი მტკიცების დასაბუთებად გამოიყენებს.

ფსიქოანალიზმა ადამიანის სექსუალური ფუნქცია ჯეროვნად დააფასა, როცა მან მრავალი პოეტისა და ზოგიერთი ფილოსოფოსის მიერ ხაზგასმულ, ხოლო მეცნიერების მიერ არასდროს არ აღიარებულ, მის მნიშვნელობას სულიერი და პრაქტიკული ცხოვრებისათვის ცალკეულობამდე მისდია, ამ განზრახვისათვის, უპირველეს ყოვლისა, სექსუალობის არავეროვნად შევიწროებულმა ცნებამ უნდა განიცადოს გაფართოება, რომელიც უნდა გამართლდეს სექსუალობის (ე. წ. პერვერსიების) გადალახვის მოხმობითა და ბავშვის ქცევით. უსუსური ჩანდა ხანგრძლივი მტკიცება, რომ ბავშვობა არასექსუალურია და მხოლოდ მომწიფების დროისთვის უეცრად

შემოიჭრება სექსუალური წაქეზებანი. პირიქით, დაკვირვებას, თუკი ის არ იქნებოდა დაბრმავებული ინტერესითა და ცრურწმენით, ადვილად შეეძლო დაემტკიცებინა, რომ ბავშვებთან სექსუალური ინტერესები და მოქმედებანი თითქმის ცხოვრების ყოველ დროს და დასაწყისიდანვე არსებობენ. აღნიშნული ინფანტილური სექსუალობა თავის მნიშვნელობას არ ვნებს იმით, რომ მისი საზღვრები ბავშვის არასექსუალური მოქმედების მიმართ ყველა ადგილზე სრული საიმედობით არ აღინიშნება. ის რაღაც სხვაა, ვიდრე "ნორმალურად" წოდებული სექსუალობა ზრდადასრულებულისა. მისი მოცულობა მოიცავს ყველა იმ სექსუალურ ქმედებათა ჩანასახს, რომელიც მოგვიანებით, როგორც პერვერსიები* მკვეთრად უპირისპირდება ნორმალურ სექსუალურ ცხოვრებას, რა გაუგებრადაც და უზნეოდაც უნდა მოგეჩვენოს ეს. ინფანტილური სექსუალობიდან გამომდინარეობს ზრდადასრულებულის ნორმალური სექსუალობა რიგი განვითარების პროცესის წარმოქმნის, გამოყოფისა და დათრგუნვის გზით, რომლებიც თითქმის არასდროს იდეალური სრულყოფით არ ხდებიან და ამიტომ ავადმყოფობის მდგომარეობებში ტოვებენ დისპოზიციებს ფუნქციის უკუფორმირებისათვის.

ინფანტილური სექსუალობა შესაძლებლობას გვაძლევს ვაღიაროთ ბიოლოგიური გაგებისათვის მნიშვნელოვანი ორი შემდეგი ფაქტი. ის მათ წარმოქმნას ასაბუთებს დამატებითი ლტოლვების რიგისაგან, რომლებიც სხეულის გარკვეულ რეგიონებთან – ეროგენულ ზონებთან – ჩანან დაკავშირებული და ცალკეული მათგანი თავიდანვე საპირისპირო წყვილითან გამოდის – ლტოლვა აქტიური და პასიური მიზნით. როგორც გვიან, სექსუალური ჟინის მდგომარეობაში, არა მხოლოდ საყვარელი პერსონის სასქესო ორგანოები, არამედ მისი მთელი სხეული ხდება სექსუალობის ობიექტი, ისე თავიდანვე არა მხოლოდ გენიტალიები, არამედ სხეულის სხვა განსხვავებული ადგილებიც სექსუალური აგზნების საწყისი კერაა და სათანადო გაღიზიანებასთან იძლევიან სექსუალურ სიამოვნებას. ამასთან მჭიდრო კავშირშია ინფანტლური სექსუალობის მეორე ბუნება, მისი საწყისი დაკავშირება თვითშენახვის მომსახურე საკვების მიღების და გამოყოფის ფუნქციებთან; ალბათ ასევეა კუნთე-

* აშლილობა, გაუკუღმართება. (მთარგმნელის შენიშვნა).

ბის აგზნებასა და შეგრძნებათა მოქმედებასთანაც.

როცა ფსიქოანალიზის დახმარებით ჩვენ ვსწავლობთ სექსუალობას მომწიფებულ ინდივიდებთან და ბავშვის ცხოვრებას განვიხილავთ მიღებული თვალსაზრისის შუქზე, სექსუალობა გვეჩვენება არა როგორც უბრალო გამრავლების მოსამსახურე, საშვილის გადამამუშავებელი, სუნთქვის და ა. შ. ტოლფასოვანი ფუნქცია, არამედ როგორც რაღაც უფრო თვითმყოფადი, რაც, პირიქით, ინდივიდის ყველა სხვა საქიანობას უპირისპირდება და იძულებული ხდება შეეცადოს მხოლოდ რთულ, შეზღუდვით მდიდარი განვითარების ინდივიდუალური ეკონომიკის კავშირში. თეორიულად ძალზე ადვილად დასაშვები შემთხვევა, რომ ამ სექსუალური მისწრაფებების ინტერესები არ ემთხვეოდეს ინდივიდუალური თვითშენახვის ინტერესებს, ნევროზების ავადმყოფობის ჯგუფში ჩანან განხორციელებულნი, ვინაიდან უკანასკნელი ფორმულა, რომელსაც გვაძლევს ფსიქოანალიზი ნევროზების რაობის შესახებ, მიუთითებს: საწყისი კონფლიქტიდან ამოსული ნევროზები ესაა კონფლიქტი "მე"-ს შემანარჩუნებელ ლტოლვებსა და სექსუალურ ლტოლვებს შორის. მას შემდეგ რაც, ნევროზები შეესატყვისებიან "მე"-ს მეტად თუ ნაკლებად პარტიულ დაძლევას სექსუალობით, "მე" სექსუალობის დათრგუნვას ვერ ახერხებს,

ჩვენ საჭიროდ ვცანით, ფსიქოანალიზური მუშაობის დროს, ბიოლოგიური თვალსაზრისების დაცვა და ასეთი ევრისტული მიზნებისათვის არც გამოგვიყენებია, რათა ჩვენ წინ არსებული ფსიქოანალიზური ფაქტიური საქმის ვითარების არაპარტიულ შეფასებაში არ შევშცდარიყავით. განხორციელებული ფსიქოანალიზური მუშაობის მიხედვით ჩვენ უნდა გაგაცნოთ ბიოლოგიას და კმაყოფილნი ვიქნებით, თუ კი ის უკვე ახლა ამა თუ იმ არსებით წერტილში გარანტირებულია. დაპირისპირება "მე"-ლტოლვებსა და სექსუალურ ლტოლვებს შორის, რომელზედაც უნდა გადაგვეყვანა ნერვოზების აღმოცენება. ბიოლოგიურ სფეროში გრძელდება ლტოლვებს შორის დაპირისპირებაში ინდივიდის შენარჩუნებასა და სახის გაგრძელებას რომ ემსახურებიან. ბიოლოგიაში ჩვენ გვიპირისპირდება უკვდავი ჩანასახოვანი პლაზმის ფართო წარმოდგენა, რომელზედაც, როგორც სუქცესიურად განვითარებული ორგანოები, დაკიდებულია

ცალკეული წარმავალი ინდივიდები; მხოლოდ ამისგან შეგვიძლია სწორად გავიგოთ ცალკეული არსების ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიაში მამოძრავებელი სექსუალური ძალები.

მიუხედავად ყველა მცდელობისა, ბიოლოგიური ტერმინები და თვალსაზრისები ფსიქოანალიზურ სამყაროში არ უნდა გავაბატონოთ; არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ მათ, რომელთაც გამოვიყენებთ ჩვენ მიერ შესწავლილი ფენომენების აღწერაში. ჩვენ გვერდი არ უნდა ავუაროთ, როგორც ფსიქოლოგიურ და ბიოლოგიურ გაგებათა შორის ზღვრულ ცნებას, და ვლაპარაკობთ "მამაკაცურ" და "ქალურ" თვისებათა და მისწრაფებათა შესახებ, თუმცა სქესთა განსხვავებანი, მკაცრად ალებული, განსაკუთრებულ ფსიქიკურ დახასიათებას არ მოითხოვს. რასაც ჩვენ ვუწოდებთ ცხოვრებაში მამაკაცურსა და ქალურს, დაიყვანება ფსიქოლოგიური განხილვისათვის აქტივობისა და პასივობის ბუნებაზე, ე. ი. იმ თვისებებზე, რომლებიც არა თვითონ ლტოლვებზე მიუთითებს, არამედ მათ მიზნებზე. სულიერ ცხოვრებაში ასეთი აქტიური და პასიური ლტოლვების წესზომიერ გაერთიანებაში აისახება ინდივიდთა ბისექსუალობა, რომელიც ეკუთვნის ფსიქოანალიზის კლინიკურ წანამძღვრებს.

მე დაკმაყოფილებული ვიქნები თუკი ეს მცირედი შენიშვნები გაგვამახვილებინებს ყურადღებას მასზე, თუ როგორ აღსდგება ფსიქოანალიზით ბიოლოგიასა და ფსიქოლოგიას შორის ეფექტური შუამდგომლობა.

ც) განვითარების ისტორიული ინტერესი.

ფსიქოლოგიური ფენომენების არა ყოველი ანალიზი იმსახურებს ფსიქოანალიზის სახელს. უკანასკნელი ნიშნავს უფრო მეტს, ვიდრე რთული მოვლენების დაყოფას მარტივებად. ის მდგომარეობს ფსიქიკური წარმონაქმნის დაყვანაში სხვაზე, რომელიც დროში წინ უსწრებს მას და მისგან ვითარდება. სამკურნალო ფსიქოანალიზურ მეთოდს არ შეუძლია ავადმყოფური სიმპტომის მოცილება, თუკი ის მის აღმოცენებასა და განვითარებას არ მიაკვლევს. დასაწყისიდანვე ფსიქოანალიზი მიუთითებს განვითარების პროცესების თანმიმდევრობაზე. პირველად მან აღმოაჩინა ნევროტული სიმპტომების გენეზისი. შემდგომ წარმატებაში მას სხვა ფსიქიური წარმონაქმნებისათვის უნდა მიემართა და მათზე გენეტური ფსიქო-

ლოგიის საშუშაო ჩაეტარებინა.

ფსიქოანალიზს დასჭირდა ბავშვიდან გამოეყვანა ზრდადასრულებულის სულიერი ცხოვრება და სერიოზულად მიეღო დებულება: ბავშვი მამაკაცის მამაა. მან გასდია ინფანტილური ფსიქიკის უწყვეტლობას ზრდადასრულებულის ფსიქიკასთან და ასევე შეამჩნია გარდაქმნა და წყობის ცვლილება, რომელიც ამ გზაზე ხდება. ჩვენთაგან უმრავლესს აქვს პირველი ბავშვობის წლების მოგონებების ხარვეზი, გვაგონდება მხოლოდ ცალკეული ნაწყვეტები. უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ფსიქოანალიზმა ეს ხარვეზი აშოავსო, ადამიანთა ბავშვობის ეს აძნეზია ჩამოგვაშორა (შეად. პედაგოგიური ინტერესი).

ინფანტილურ სულიერ ცხოვრებაში ჩაღრმავებისას აღმოჩნდა რამდენიმე შესანიშნავი მონაპოვარი. დადასტურდა, რასაც ხშირად მანამდე გრძნობდნენ, როგორი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ადამიანის მთელი შემდგომი მიმართულებისათვის მისი ბავშვობის შთაბეჭდილებანი, განსაკუთრებით კი მისი პირველი ბავშვობის წლები. ამასთან ვაწყდებით ფსიქოლოგიურ პარადოქსს, რომელიც მნიშვნელოვანია მხოლოდ ფსიქოანალიზური გაგებისათვის, რომ სწორედ ეს უმნიშვნელოვანესი შთაბეჭდილებანი არ რჩება მოგვიანო წლების მეხსიერებაში. ფსიქოანალიზს შეუძლია ნათლად დაადგინოს სწორედ სექსუალური ცხოვრებისათვის უაღრესი განცდების სანიმუშობა და დაუვიწყარობა. "On revient toujours a ses premiers amours"* – წარმოადგენს საღ ჭეშმარიტებას. ზრდადასრულებულის სასიყვარულო ცხოვრების გამოცანა აიხსნება მხოლოდ სიყვარულში ინფანტილური მოძენტის წამოწევით. აღნიშნული შედეგების თეორიისათვის მხედველობაშია მისაღები, რომ ბავშვის პირველი განცდები ინდივიდთან არა მხოლოდ როგორც შემთხვევითობა ხდება, არამედ შეესატყვისება მისგან კონსტიტუციონალურად მოტანილ ლტოლვათა მიდრეკილების პირველ მოქმედებებს.

სხვა, მეტად მოულოდნელი, აღმოჩენის შინაარსი ისაა, რომ ინფანტილური ძლიერი ფორმაციებისაგან ზრდადასრულებულებთან, მიუხედავად ყველა მოგვიანო განვითარებისა, არაფერი არ ისპობა. ბავშვის ყველა სურვილი, ლტოლვითი წაქეზება, რეაქციის წესი, განწყობა მოწიფულ ადამიანთან სარწმუნო წყაროს მიხედვით ისევ

* ყოველთვის უბრუნდებიან ძველ სიყვარულს (რედ. შენიშვნა).

არსებულია და შეუძლია შესატყვისი კონსტელაციის დროს ისევ გამოვლინდეს. ისინი არ ნადგურდებიან, არამედ მხოლოდ დანაშრევად რჩებიან, როგორც ეს უნდა თქვას ფსიქოანალიზურმა ფსიქოლოგიამ თავისი სივრცობრივი გადმოცემის წესის მიხედვით. ასე ხდება ის სულიერი წარსულის ხასიათად, რომ ის, როგორც არა ისტორიული, მისი მემკვიდრეობით კი არ ისპობა, არამედ მის გვერდით არსებობს, მისგან ქცეულა ან მხოლოდ ვირტუალურ, ანდა რეალურ ერთდროულობაში. მის მტკიცების საბუთია ის, რომ ნორმალური ადამიანის სიზმარი ღამით მისი ბავშვობის ხასიათს აცოცხლებს და მისი მთელი სულიერ ცხოვრება დაჰყავს ინფანტილურ საფეხურზე. ეს დაბრუნება ფსიქიკურ ინფანტილიზმთან (რეგრესია) ვლინდება ნევროზებთან და ფსიქოზებთან, რომელია თავისებურებანი უმთავრეს ნაწილში აღიწერება როგორც ფსიქიკური არქაიზმი. სულიერ ცხოვრებაში დატოვებული ინფანტილური ნარჩენების სიძლიერეში ვხედავთ ავადმყოფობის დისპოზიციის საზომს; ასე რომ, ჩვენთვის აღნიშნული ხდება განვითარების შეკავების გამოხატულება. ინფანტილურად დარჩენილი, როგორც გამოუყენებელი განდვნილი ადამიანის ფსიქიკურ მასალაში, ახლა ქმნის თავისი არაცნობიერის გულს და გვწამს, შეგვიძლია მივყვეთ ავადმყოფთა ცხოვრების ისტორიას, რამდენადაც ეს განდევნილი ძალების მიერ შეკავებულ არაცნობიერ მოქმედებას დარაჯობს და შესაძლებლობას იყენებს. როცა მოგვიანო და მაღალი ფსიქიკური წარმონაქმნები ვერ აღწევენ მიზანს – რეალურ სამყაროს სიძნელეთა ბატონ-პატრონი გახდნენ.

უკანასკნელ წლებში ფსიქოანალიზური მუშაობა მიმართულია მასზე, რომ დებულება – "ონტოგენეზი განმეორებაა ფილოგენეზისა" – გამოყენებული იქნეს სულიერი ცხოვრების სფეროშიც* და სწორედ აქედან წარმოსდგა ფსიქოანალიზური ინტერესის ახალი გაფართოება.

ე) კულტურის ისტორიული ინტერესი

ცალკეული ადამიანის ბავშვობის შედარება ხალხთა ადრეულ ისტორიასთან უკვე ნაყოფიერი აღმოჩნდა მრავალი მიმართულებით მიუხედავად იმისა, რომ ეს სამუშაო ეს ესაა დაწყებულია. ამასთან ფსიქოანალიზური აზროვნების წესი იქცევა კვლევა-ძიების ახალ

* აბრაჰამი, შპილრაინი, იუნგი.

ინსტრუმენტად. ხალხთა ფსიქოლოგიაზე მისი წანამძღვრების გა-
მოყენება უშვებს როგორც ახალი პრობლემების დაყენებას, ის
უკვე დამუშავებულთა ახალ ჭრილში დანახვას და მათ გადაწყვე-
ტაში წვლილის შეტანას.

უპირველეს ყოვლისა, საშუალებით შესაძლებელი ჩანს, სიზმართან
მიღებული ფსიქოანალიზური გაგება გადავიტანოთ ხალხთა ფანტა-
ზიის პროდუქტებზე, როგორიცაა მითი და ზღაპარი*. ამ წარმონაქ-
მნთა ინტერპრეტაციის ამოცანა დიდი ხანია არსებობს; გრძნობდნენ
მათ "საიდუმლო აზრს", მზად იყვნენ ცვლილებების და გარდაქმნე-
ბისათვის მათ საპირისპიროდ, რომელნიც იმ აზრს მალავდნენ.
სიზმართან და ნეიროზთან მუშაობიდან ფსიქოანალიზი შეიძუშა-
ვებს თვალსაზრისს, რომელსაც შეუძლია მიხვდეს ამ დამახინჯებე-
ბის ტექნიკურ გზებს, მაგრამ მას ასევე შეუძლია შემოხვევათა
რიგში აღმოაჩინოს დაფარული მოტივები, რომლებიც თავდაპირვე-
ლი აზრისაგან მითის ცვლილების მიზეზი გახდნენ. საწყის ბიძგს
მითების შექმნის საქმეში ის არ შეიძლება ხედავდეს თეორიულ
მოთხოვნილებაში, რათა ახსნას ბუნების მოვლენები და ანგარიში
მისცეს გაუგებრად ქცეულ კულტის დანიშნულებასა და ჩვეულე-
ბებს, არამედ მას ეძიებს მითითებულ ფსიქიკურ "კომპლექსებში",
იმავე აფექტურ მისწრაფებებში, რომლებიც მან სიზმრებისა და
სიმპტომის წარმონაქმნების საფუძველში მიუთითა.

თვალსაზრისების, წანამძღვრებისა და შემეცნების გადატანით
ფსიქოანალიზს უნარი შესწევს გააშუქოს ჩვენი დიდი კულტურუ-
ლი ინსტიტუტების – რელიგიის, ზნეობის, სამართლის, ფილოსოფი-
ის წარმოშობა**, პრიმიტიული ფსიქოლოგიური სიტუაციების მოკ-
ვლევისას, რომლებიც შეიძლება ბიძგი აღმოჩენილიყო ასეთ ქმნი-
ლებათათვის, ის ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ სხვა ახსნის
მცდელობა, რაც ეფუძნებოდა ფსიქოლოგიურად სავარაუდოს, უნდა
უარეყო და ის შეენაცვლებინა ღრმად მწვდომი თვალსაზრისებით.

ფსიქოანალიზი აღადგენს შინაგან დამოკიდებულებას ცალკეუ-
ლისა და საზოგადოების ყველა ამ ფსიქიკურ მინაღწევართა შორის

* აბრაჰამი, რანკი, იუნგი.

** ამასთან დაკავშირებით საწყისი იუნგთან Wandlungen und Symbole der Libido, 1912 და ფროიდთანაა Totem und Tabu (G. W. IX).

იმით, რომ ის უშვებს ორთავესათვის ერთსა და იმავე დინამიკურ წყაროს, ის უკავშირდება ძირითად წარმოდგენას, რომ სულიერი მექანიზმის ძირითადი ფუნქციაა შექმნილის განთავისუფლება დაძაბულობათაგან, რომლებიც მასში მოთხოვნილებითაა წარმოქმნილი. ამ ამოცანის ერთი ნაწილი გადაიჭრება გარესამყაროდან მომდინარე დაკმაყოფილებით; ამისთვის რეალური სამყაროს დაუფლება მოგვთხოვება. ამ მოთხოვნილების მეორე ნაწილს – არსებითად გარკვეულ აფექტურ მისწრაფებებს – რეალობა უარს ეუბნება კანონზომიერ დაკმაყოფილებაზე. აქედან მომდინარეობს ამოცანის მეორე ნაწილი – დაუკმაყოფილებელ მისწრაფებათათვის მიაღწიოს სხვანაირ განხორციელებას. ყველა კულტურის ისტორია გვიჩვენებს, რომელ გზებს იკვლევენ ადამიანები მათი დაუკმაყოფილებელი სურვილების შებოჭვისათვის ცვალებადი და ტექნიკური წარმატებით შეცვლილი რეალობის მხრიდან დაკმაკოფილებისა და უარის თქმის პირობებში.

პრიმიტიული ხალხების გამოკვლევა აჩვენებს, რომ ადამიანები უპირველეს ყოვლისა, შეპყრობილი არიან ბავშვური ყოვლადძლიერების რწმენით* და, ამდენად, სულიერ წარმონაქმნთა დიდი რაოდენობა უნდა გავიგოთ როგორც მცდელობა ამ ყოვლადძლიერების დარღვევათა უარყოფისა და, ამგვარად, აფექტურ ცხოვრებაზე რეალობის ზემოქმედებისაგან დაცვა, სანამ რეალობის უკეთესად დაეუფლებოდნენ და დაკმაყოფილებისათვის გამოიყენებდნენ. უსიამოვნების თავიდან მოშორების პრინციპი ბატონობს ადამიანის ქცევაზე მანამ, სანამ ის გარესამყაროსადმი შეიცვლებოდეს უკეთესი შეგუებით. ადამიანის სამყაროს პროგრესული დაუფლების პარალელურად ხდება მისი მსოფლმხედველობის განვითარება, რომელიც სულ უფრო და უფრო შემობრუნდება საწყისი ყოვლადძლიერების რწმენისაგან და ანიმისტური ფაზიდან რელიგიურის გზით მეცნიერულზე ადის. ამ დაკავშირებაში ერთიანდებიან მითოსი, რელიგია და ხსოვნა, როგორც მცდელობანი შექმნას კომპენსაცია ნაკლოვანი სურვილის დაკმაყოფილებისათვის.

ცალკეული ადამიანის ნეიროტულ დაავადებათა ცოდნამ კარგი სამსახური გაუწია დიდი სოციალური ინსტიტუტების გაგების საქ-

* ფერენჩი, Entwicklungsstufen des Wirklichkeitssinnes, Intern. Zeitschrift fur Arzt. Psyxoanalise I, 1913; ფროიდი, Totem und Tabu, G. W. IX).

მეს, ვინაიდან თვითონ ნევროზები ააშკარავებენ საკუთარ თავს, როგორც მცდელობას სურვილის კომპენსაციის პრობლემები ინდივიდუალურად გადაწყვიტოს ნაცვლად მათი ინსტიტუტების სოციალურად გადაწყვეტისა. სოციალური ფაქტორის უკან დაწევა და სექსუალურობის სიჭარბე ქმნის ამ ფსიქოლოგიური ამოცანის ნევროტულ გადაწყვეტებს კარიკატურად, რაც გამოუყენებელია ამ მნიშვნელოვანი პრობლემების ახსნისათვის.

გ) ხელოვნებათმეცნიერული ინტერესი.

პრობლემათაგან ზოგიერთზე, რომლებიც უკავშირდებიან ხელოვნებასა და ხელოვან, ფსიქოანალიზური განხილვა დამაკმაყოფილებელ ახსნას იძლევა. სხვები მას სავსებით უვლიან გვერდს. ის ხედავს ასევე ხელოვნების ვარჯიშში იმ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს განუხორციელებელი სურვილების ღაწყნარებას, უპირველეს ყოვლისა, თვითონ შემოქმედ ხელოვანთან, შემდეგ მსმენელთან და მაყურებელთან ხელოვნების მამოძრავებელი ძალა იგივე კონფლიქტებია, რომლებსაც სხვა ინდივიდები ნევროზში მიჰყავს, საზოგადოების ინსტიტუტების ასაგებად ამოძრავებს. საიდან მოდის ხელოვანთან შემოქმედების უნარი, ფსიქოლოგიის საკითხი არაა. უპირველეს ყოვლისა, ხელოვანი ეძიებს თვითგანთავისუფლებას და ამას აკეთებს სხვებისთვის თავისი ნაწარმოების შეტყობინებით, რომელთაც მსგავსი მალული სურვილები ტანჯავთ*, თუმცა ხელოვანი გადმოსცემს თავის პიროვნული სურვილის ფანტაზიებს შესრულებულად, მაგრამ ესენი ხელოვნების ნაწარმოებად იქცევიან მხოლოდ გარდაქმნით, რაც ამ სურვილთა უხამსობას ამსუბუქებს, მათ პიროვნულ საწყისს ფარავს და მშვენიერების კანონების დაცვით სხვებს თავაზობს გულისმოსაგებ სიამოვნების ჯილდოდ. ფსიქოანალიზისთვის ძნელი არაა აჩვენოს ხელოვნებით ტკბობის მანიფესტური ნაწილის გვერდით ლატენტური, თუმცა ბევრად უფრო ეფექტური, ლტოლვათა განთავისუფლების ფარული წყაროებიდან მომდინარე ნაწილი. ბავშვობის შთაბეჭდილებათა, ხელოვანის ცხოვრების ხვედრსა და მის ნაწარმოებებს შორის კაუშირი როგორც რეაქციები აღნიშნულ იმპულსებზე, ეკუთვნის ანალიზური განხილვის ყველაზე მიმზიდველ ობიექტებს*.

* შეად. ო. რანკი, Der Kunstler, ვენა, 1907.

თუმცა ხელოვანების შემოქმედებისა და ხელოვნებით ტკბობის ირგვლივ ბევრი საკითხი ჯერაც ელოდება დამუშავებას, რომელიც ანალიზური შემეცნების სინათლეს მათზე მიიპყრობს და მათ თავიანთ ადგილს მიუჩენს ადამიანის სურვილის კომპენსაციების რთულ წყობაში, როგორც კონვენციალურად აღიარებული რეალობა, რომელშიც ხელოვნური ილუზიის წყალობით სიმბოლოები და შენაცვლებითი წარმონაქმნები ნამდვილ აფექტებს წარმოშობს, ხელოვნება სურვილის უარმყოფელ რეალობას და სურვილის აღმსრულებელ ფანტაზიურ სამყაროს შორის ქმნის შუასამყაროს, რომელშიც პრიმიტიული საზოგადოების ყოლადძლიერი მისწრაფებანი თითქოსდა ძალაში რჩებიან.

ზ) სოციოლოგიური ინტერესი.

თუმცა ფსიქოანალიზმა ობიექტად აიღო ინდივიდუალური ფსიქეა, მაგრამ მისი კვლევის დროს გვერდი ვერ აუარა ერთეულის საზოგადოებასთან დამოკიდებულების აფექტურ საფუძვლებს. მან ნახა, რომ სოციალურ გრძნობებს ეროტიკის მხრიდან წესზომიერად შეაქვს წვლილი, რომელთა ზედმეტად ხაზგასმა და შემდგომი განცდება იქცევა სულიერ აშლილობათა გარკვეული ჯგუფის მახასიათებლად. მან საერთოდ აღიარა ნევროზების ასოციალური ბუნება, რომელიც საერთოდ იქითკენ მიისწრაფვის, რომ ინდივიდი საზოგადოებიდან განდევნოს და მას ადრეული დროის მონანტრის საქმელი შეუსაცვლოს დაავადების იზოლაციით. ბრალის ინტენსიური გრძნობა, რომელიც მრავალ ნევროზთანაა, აღმოჩნდა ნევროტული შიშის სოციალური მოდიფიკაცია.

მეორე მხრით, ფსიქოანალიზი ნევროზების მიზეზში სოციალური დამოკიდებულებებისა და მოთხოვნების ფართო მასშტაბით მონაწილეობას აღმოაჩენს. ძალები, რომლებიც "მე"-ს მხრიდან იწვევს ლტოლვათა შეზღუდვასა და განდევნას, გამომდინარეობენ არსებითად სოციალური კულტურის მოთხოვნათა მიმართ მოქნილობიდან. იგივე კონსტიტუცია და იგივე ბავშვობის განცდები, რომლებსაც წინააღმდეგ შემთხვევაში, ნევროზთან უნდა მივყვანეთ, ამ შედეგს

* ნახე ო. რანკი, Das Incesmotiv in Dichtung und Sage, ვენა, 1912. – ასევე ესთეტიკური პრობლემების გამოყენებაზე: ფროიდი, Der Witz und seine Beziehung zum Unbewussten, 1905. (G. W. VI).

არ იწვევს, თუკი ასეთი დამთმობი არა ჩანს, ანდა ასეთი მოთხოვნები სოციალური წრის მხრიდან, რომლისთვისაც ინდივიდი ცხოვრობს, დასმული არაა. ძველი მტკიცება, რომ პროგრესული ნევროზულობა კულტურის პროდუქტია, მოიცავს, ყოველ შემთხვევაში, ჭეშმარიტი საქმის ვითარების ნახევარს. აღზრდასა და მაგალითს მოაქვს ახალგაზრდა ინდივიდებთან კულტურის მოთხოვნები; ამათთან, როგორც კი, ლტოლვის განდევნა ორივესაგან დამოუკიდებლად წარიმართება, გამომდინარეობს დაშვება, რომ პირველდროინდელი მოთხოვნა საბოლოოდ იქცეს ადამიანთა ორგანიზებულ მემკვიდრეობად. ბავშვი, რომელიც სპონტანურად ახდენს ლტოლვათა განდევნებს, ამით, ასევე, მხოლოდ კულტურის ისტორიის ერთ ნაწილს იმეორებს; რაც დღეს შინაგანი შეფოთებაა, ერთ დროს მხოლოდ გარეგანი იყო, ალბათ, დროთა საჭიროებით შემოთავაზებული, და ასე შეიძლება ერთხელაც გახდეს შინაგანი განდევნის მიდრეკილებად ის, რაც დღეს კიდევ როგორც კულტურის გარეგანი მოთხოვნა ყოველ მომწიფებულ ინდივიდთანაა.

ო) ჰედაგოგიური ინტერესი.

ფსიქოანალიზთან აღზრდის მოძღვრების მნიშვნელოვანი ინტერესი ემყარება ევიდენტურად გამხლარ დებულებას: აღმზრდელი შეიძლება მხოლოდ ის იყოს, ვისაც შეუძლია ბავშვის სულიერ ცხოვრებაში შთაგრძნობა; ჩვენ, ზრდადასრულებულები, ვერ ვგებულობთ ბავშვებს, ვინაიდან თვითონ ჩვენ საკუთარ ბავშვობას ვეღარ ვიგებთ. ჩვენი ბავშვობის ამნეზია იმის საბუთია, თუ როგორ ვართ მისადმი გაუცხოებულნი. მართალია, ფსიქოანალიზმა აღმოაჩინა ბავშვობის სურვილები, აზრთა წარმონაქმნები, განვითარების პროცესები, მაგრამ ყველა ადრეული მცდელობა იყო ფრიად არასრულყოფილი და შეცდომაში შემყვანი, ვინაიდან მათ სრულიად შეუფასებლად განზე დატოვეს მნიშვნელოვანი ფაქტორი სექსუალობისა სხეულებრივ და სულიერ გამოვლენებში. სკეპტიკური განცვიფრება, რომლითაც მიიღეს ფსიქოანალიზის გარანტირებული ცნობები ბავშვობის თაობაზე – ოიდიპოსის კომპლექსი, საკუთარი თავის შეყვარება (ნარცისიზმი), პერვერსიული მიდრეკილებანი, ანალეროტიკა, სექსუალური ცნობისმოყვარეობა – უყურადღებოდ ტოვებს დისტანციას, რომელიც ჩვენს სულიერ ცხოვრებას, ჩვენს შეფასებებს, დიახ, ჩვენს სულიერ პროცესებს ითშავს ასევე ნორმალური ბავშვისაგან.

როცა აღმზრდელი ეცნობა ფსიქოანალიზის შედეგებს, უფრო ადვილად ურიგდება ბავშვობის განვითარების გარკვეულ ფაზებს და სხვებსავით არ ეშინია ბავშვთან გადააფასოს არსებული სოციალურად უვარგისი და პერვერსიული ლტოლვის წაქეზებანი. ისინი უფრო თავს იკავებენ აღნიშნულ წაქეზებათა ძალითი დათრგუნვის მცდელობისაგან, როცა გებულობენ, რომ ასეთი ზეგავლენა ხშირად არასაკლებ სასურველ შედეგს იძლევა, ვიდრე აღზრდისაგან დაშინებული ბავშვური სისაძაგლის თავისუფალი მოქმედება. ბავშვებთან გარეგან უხეშ დათრგუნვას ძლიერი ლტოლვებისას არასდროს არ მოაქვს მათი ჩაქრობა ანდა დაუფლება, არამედ ახდენს განდევნას, რომელიც მოგვიანო ნევროტული დაავადების მიდრეკილებას ქმნის. ფსიქოანალიზს ხშირად ეძლევა გამოცდილების შესაძლებლობა – რა მონაწილეობას ღებულობს ნევროზული დაავადების გამოწვევაში აღზრდის მიზანშეუწონელი არაგონივრული სიმკაცრე, ანდა ზრდილობისუნარიანობისა და ტკბობის უნარის რა დანაკარგით შეიძინება მოთხოვნილი ნორმალურობა. ფსიქოანალიზი ასევე გვასწავლის, თუ რა ღირებული წვლილი შეაქვს ხასიათის ფორმირებაში ბავშვის ასოციალურ და გაუკუღმართებულ ლტოლვებს, როცა ისინი განდევნას არ ექვემდებარებიან, არამედ ეგრეთწოდებული **სუბლიმაციის** პროცესით წარიმართებიან მათი საწყისი მიზნებიდან უფრო ღირებულისაკენ. ჩვენი საუკეთესო სათნოებანი ამოზრდილია უბრალოდ მიდრეკილებათა ნიადაგზე, როგორც რეაქციის წარმონაქმნები და სუბლიმირებანი. აღზრდას წინდახედულად უნდა გაუფრთხილდეთ, ეს ძვირფასი ძალის წყაროები არ დაიღვაროს და იმით შემოვიფარგლოთ, პროცესებს ხელი შევუწყოთ, რომლითაც აღნიშნული ენერგიები მისაღები გზით წაიყვანება. ფსიქოანალიზურად საქმეში ჩახედული აღზრდის ხელშია ის, რასაც ველოდებით ნევროზების ინდივიდუალური პროფილაქტიკისაგან (შეად. ციურიხელი მღვდლის დოქტ. ოსკარ პფისტერის ნაშრომები).

ამ სტატიაში ამოცანად არ ვისახავდი მეცნიერებით დაინტერესებული საზოგადოებისათვის შეჩვენებინა ფსიქოანალიზის მოცულობა და შინაარსი, მისი წანამძღვრები, პრობლემები და შედეგები. ჩემი განზრახვა შესრულებულად ჩაითვლება, თუკი ცხადი გახდა, რადენ საინტერესოა ის მეცნიერების მრავალი სფეროსათვის და მათ შორის რა მდიდარი კავშირების აღდგენას იწყებს.

ფსიქოანალიზის სიძნელე

(1917)

შესავალშივე მინდა აღვნიშნო, რომ აქ არ ვგულისხმობ ინტელექტუალურ სიძნელეს, ისეთ რაიმეს, რაც აღმქმელში ფსიქოანალიზს აქცევდა გაგებისათვის მიუწვდომელს (მსმენელის ან მკითხველისათვის), არამედ – აფექტურ სიძნელეს, ისეთ რაიმეს, რითაც ფსიქოანალიზი მიძღებლის გრძნობებს აუცხოებს; ასე რომ, ეს უკანასკნელი ნაკლებადაა მიდრეკილი მისით დაინტერესდეს, ანდა მისი ირწმუნოს. როგორც შენიშნავენ, სხვა სიძნელეებიც მასზეც დაიყვანება. რაიმესთვის ვისაც არ გააჩნია საკმაო სიმპათია, ის მას ადვილად ვერ გაიგებს.

მხედველობაში მყავს რა ჯერ კიდევ სავსებით მიუკერძოებელი მკითხველი, შორიდან უნდა დავიწყო: ცალკეულ დაკვირვებათა და შთაბეჭდილებათა დიდი რიცხვიდან ფსიქოანალიზში საბოლოოდ ჩამოყალიბდა თეორიის მსგავსი რაღაც, რომელიც ცნობილია ლიბიდოს თეორიის სახელწოდებით. ცნობილია, რომ ფსიქოანალიზი ეწევა ეგრეთწოდებულ ნერვულ აშლილობათა შესწავლასა და აღმოფხვრას, ამ პრობლემისათვის უნდა მონახულიყო შეხების წერტილი. გადაწყდა ის მონახულიყო სულის ლტოლვათა ცხოვრებაში. ნევროზულობის ჩვენი გაგების საფუძვლები გახდა ადამიანის ლტოლვითი ცხოვრების შესახებ დაშვებები.

ჩვენი სასკოლო ფსიქოლოგია ნაკლებად დამაკმაყოფილებელ პასუხებს იძლევა, როცა მას მივმართავთ სულიერი ცხოვრების პრობლემების შესახებ, არც ერთ სხვა სფეროში საქმის ვითარების ცოდნა არაა ისეთი უბადრუკი, როგორც ლტოლვების სფეროში.

აქ ჩვენზეა დამოკიდებული პირველი ორიენტაცია. პოპულარული გაგება ერთმანეთისაგან თიშავს შიმშილსა და სიყვარულს, ვითარცა ლტოლვის წარმომადგენლებს, რომელთაგან ერთი ინდივიდის შენარჩუნებისაკენ მიისწრაფის და მეორე – გამრავლებისაკენ. ვუერთდებით რა ამ განაგებ დაყოფას, ფსიქოანალიზში ჩვენ ისევ

განვსაზღვრავთ თვითშენახვას, ან "შ"-ლტოლვებს სექსუალური ლტოლვებისაგან და იმ ძალას, რომლითაც სექსუალური ლტოლვა ვლინდება სულიერ ცხოვრებაში, ვუწოდებთ **ლიბიდოს** – სექსუალურ სურვილს – რომელიც როგორღაც ანალოგიურია მე-ლტოლვებთან შიმშილისა, ძალუფლების ნებისა და მისთ.

ამ დაშვების ნიადაგზე დგომით ვაკეთებთ პირველი მნიშვნელობის მქონე აღმოჩენას. გამოცდილებით ვადასტურებთ, რომ ნევრულ დაავადებათა გაგებისათვის სექსუალურ ლტოლვებს მიეწერებათ გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა, რომ ნევროზები, ასე რომ ვთქვათ, სექსუალური ფუნქციის სპეციფიკური დაავადებაა: რომ ლიბიდოს რაოდენობაზე, მის დაკმაყოფილებასა და დაკმაყოფილებით განტვირთვის შესაძლებლობაზეა დამოკიდებული ადამიანი საერთოდ დაავადდება თუ არა ნევროზით, რომ დაავადების ფორმა განისაზღვრება იმ სახით, თუ ინდივიდმა სექსუალური ფუნქციის განვითარების როგორი გზა გაიარა, ანდა, როგორც ჩვენ ვიტყოდით, მისმა ლიბიდომ განვითარების მსვლელობაში განიცადა ფიქსირებით. და რომ ჩვენ გარკვეულ, ფსიქიკური ზეგავლენის არც თუ მარტივ ტექნიკაში საშუალება გვაქვს ზოგიერთი ჯგუფი ნერვოზებისა შევისწავლოთ და აღვკვეთოთ, საუკეთესო შედეგები აქვს ჩვენს თერაპიულ მცდელობას ნევროზების გარკვეულ კლასთან, რომელიც წარმოსდგება მე-ლტოლვებსა და სექსუალურ ლტოლვებს შორის კონფლიქტიდან. ადამიანებთან გვხვდება, სახელდობრ, რომ სექსუალური ლტოლვების მოთხოვნები, რომლებიც შორს გადიან ცალკეული არსებათა მიღმა, "შ"-ს ეჩვენებიან საშიშროებად, ემუქრებიან მის თვითშენახვასა ან თვითპატივისცემას, მაშინ "შ" თავს იცავს, სექსუალურ ლტოლვებს უარს ეუბნება სასურველ დაკმაყოფილებაზე, მათ აიძულებს შემოვლილი გზით შენაცვლებით დაკმაყოფილებას, რომლებიც ვლინდებიან ნევროზული სიმპტომების სახით.

ფსიქოანალიზური თერაპია აღწევს განდევნის პროცესის რევიზიასა და კონფლიქტის უკეთეს გამოსავალს ჯანმრთელობის შენარჩუნებით. უგუნური მოწინააღმდეგე გვსაყვედურობს სექსუალური ლტოლვების შეფასების ცალმხრივობაში: ადამიანს სხვა ინტერესებიც აქვთ, ვიდრე სექსუალური. ეს ჩვენ ერთი წუთითაც არ დაგვიწყნია, არც უარგვიყვია. ჩვენი ცალმხრივობა ისეთივეა, რო-

გორც ქიმიკოსისა, რომელსაც ყოველი სტრუქტურა დაჰყავს ქიმიური მსგავსების ძალაზე. ამიტომ ის არ უარყოფს მიზიდულობის ძალას, მის შეფასებას ფიზიკოსს გადასცემს.

ავადმყოფთან თერაპევტული მუშაობისას ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ ლიბიდოს განაწილებაზე. ჩვენ ვარკვევთ, თუ რომელი თაობის წარმოდგენებთანაა დაკავშირებული მისი ლიბიდო და მას ვათავისუფლებთ, რათა ის "მე"-ს განკარგულებაში გადაეცეს. ამასთან ჩვენ იქამდე მივედით, რომ შევქმენით ძალზე საკვირველი სურათი ადამიანთან ლიბიდოს საწყისი, პირველადი განაწილებისა. ჩვენ უნდა დაგვეშვა, რომ ინდივიდუალური განვითარების დასაწყისისათვის მთელი ლიბიდო (მთელი ეროტული სწრაფვანი, მთელი სიყვარულის უნარი) დაკავშირებულია საკუთარ პიროვნებასთან, როგორც ჩვენ ვამბობთ, იკავებს საკუთარ "მე"-ს. მხოლოდ მოგვიანებით ცხოვრებისეულ მნიშვნელოვან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან კავშირში ხდება ის, რომ ლიბიდო "მე"-დან მიედინება გარე ობიექტზე, რითაც შესაძლებლობას ვღებულობთ შევიცნოთ ლიბიდონოზური ლტოლვები, როგორც ასეთნი, და ისინი განვასხვავოთ "მე"-ლტოლვებისაგან. ამ ობიექტებიდან შესაძლებელია ლიბიდო ისევ გამოიყოს და უკანვე "მე"-ში დაბრუნდეს.

მდგომარეობას, რომელშიც "მე" თავისთან ინარჩუნებს ლიბიდოს, ვუწოდებთ **ნარციზმს**, ვიგონებთ რა ბერძნულ თქმულებას ჭაბუკი ნარცისის შესახებ, რომელსაც წყალში ასახული საკუთარი თავი შეუყვარდა.

მაშასადამე, ჩვენ ინდივიდს მივაწერთ განვითარებას ნაციზმიდან ობიექტის სიყვარულისაკენ, მაგრამ არ ვფიქრობთ, რომ ოდესმე "მე"-ს, მთელი ლიბიდო ობიექტზე გადავიდა. გარკვეული რაოდენობა ლიბიდოსი მუდამ რჩება "მე"-სთან, გარკვეული ხარისხი ნარციზმისა არსებობას განაგრძობს მიუხედავად დიდად განვითარებული ობიექტის სიყვარულისა. "მე" დიდი რეზერვუარია, რომლიდანაც ობიექტისათვის განსაზღვრული ლიბიდო მიედინება და მასთანვე ობიექტების მხრიდან ისევ ბრუნდება. ობიექტის ლიბიდო პირველად იყო "მე"-ლიბიდო და ისევ შეუძლია "მე"-ლიბიდოდ გადაიქცეს. პიროვნების სრული ჯანმრთელობისათვის არსებითია, რომ მისმა ლიბიდომ არ დაჰკარგოს მთელი მოძრაობის უნარი. ამ დამოკიდებულების თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ პროტოპლაზმურ არსებას, რომლის ბლანტი ნივთიერება გამოყოფს ფსევდოპოდიებს (წამოსაზარდებს), მორჩებს, რომლებითაც ცოცხალი სუბსტანცია შეიწოვება, მას ყოველ დროს შეუძლია ისევ უკან დაბრუნდეს, ასე რომ, პროტოპლაზმის ბირთვის გუნდა ისევ ალსდგება.

ის, რაც ამ მითითებებით ვცდილობდი აღმეწერა, არის ნევროზების ლიბიდოთეორია, რომელზეც ეფუძნება ამ ავადმყოფურ მდგომარეობათა არსის ყველა ჩვენი გაგება და თერაპევტული ღონისძიებანი მათ წინააღმდეგ. თავისთავად გასაგებია, რომ ჩვენი ლიბიდოთეორიის წანამძღვრები მნიშვნელობის მქონეა ნორმალური ქცევებისათვისაც. ჩვენ ვლაპარაკობთ პატარა ბავშვის ნარციზმის თაობაზე და მას მივაწერთ პრიმიტიული ადამიანის განსაკუთრებით ძლიერ ნარციზმს, რომ მას სჯერა თავისი აზრების ყოვლადძლიერება და ამიტომ ნებავს გარესამყაროში მოვლენათა მსვლელობაზე მოახდინოს ზეგავლენა მაგიის ტექნიკით.

ამ შესავლის შემდეგ მინდა მივუთითო, რომ ზოგადმა ნარციზმმა, კაცობრიობის თვითსიყვარულმა, აქამდე მეცნიერული კვლევის მხრიდან სამი მძიმე შეურაცხყოფა განიცადა:

ა) თავდაპირველად თავისი კვლევის დასაწყისში ადამიანს სწამდა, რომ მისი საცხოვრებელი ადგილი, დედამიწა, სამყაროს ცენტრში იდგა წუნარად, მაშინ როცა მზე, მთვარე და პლანეტები მოძრაობდნენ დედამიწის გარშემო ორბიტული გზით. ამასთან ის გულუბრყვილოდ მისდევდა თავისი გრძნობადი აღქმების მთაბეჭდილებას, ვინაიდან ვერ შეიგრძნობდი დედამიწის მოძრაობას და თავისუფლად, საითაც არ უნდა მიემართა მზერა, თავის თავს ხედავდა იმ წრის ცენტრში, რომელიც გარექვეყანას აკრავდა. დედამიწის ცენტრალური ადგილი მისთვის გარანტია იყო სამყაროში მისი მბრძანებლური როლისა და, ჩანს, სავსებით ემთხვეოდა მის მიღრეკილებას ეგრძნო თავი ამ ქვეყნის ბატონად.

ამ ნარცისტული ილუზიის დამთხვევა ჩვენთვის დაკავშირებულია ნიკ. კოპერნიკის სახელსა და შრომებთან მე-16 საუკუნეში. მასამდე, დიდი ხნით ადრე, პითაგორელებმა ეჭვი გამოთქვეს დედამიწის უპირატეს ადგილზე და მესამე საუკუნეში, ქრისტეს დაბადებამდე, არისტარხმა სამოსიდან გამოთქვა შეხედულება, რომ დედა-

მიწა ბევრად პატარაა მზეზე და მოძრაობს ამ ციური სხეულის გარშემო. ასე რომ, კოპერნიკის დიდი აღმოჩენა ფაქტიურად უკვე მანამდე იყო მომხდარი, მაგრამ როცა მან მოიპოვა საყოველთაო აღიარება, ადამიანის თავმოყვარეობამ განიცადა პირველი, **კოსმოლოგიური** შეურაცხყოფა.

ბ) ადამიანი მისი კულტურული განვითარების მსვლელობაში გახდა თავის ცხოველ თანაარსებათა ბატონი. მაგრამ ამ ბატონობით უკმაყოფილომ, მან უფსკრულის გათხრა დაიწყო მათსა და საკუთარ არსებას შორის. მან წაართვა ცხოველებს გონები, თვითონ კი უკვლავი სული მიისაკუთრა, თავისთვის მოუხმო მაღალ ღვთიურ წარმომავლობას, რომელმაც ერთობის კავშირი გაწყვიტა ცხოველთა სამყაროსთან. აღსანიშნავია, რომ ეს ქედმაღლობა უცხოა როგორც პატარა ბავშვისათვის, ისე პრიმიტივსა და პირველყოფილი ადამიანისათვის. ისაა შედეგი გვიანი მომთხოვნი განვითარებისა. ტოტემიზმის საფეხურზე პრიმიტიული ადამიანი საძრახისად არ თვლიდა თავისი ტომის წინაპრად ცხოველი ჩაეთვალა. მითი, რომელიც შეიცავს ამ ძველი აზროვნების ნაშთს, უშვებს ღმერთების მიერ ცხოველთა სახის მიღებას და ადრეული დროის ხელოვნებაც გამოსახავს ღმერთებს ცხოველთა თავებით. ბავშვი ვერაკითარ განსხვავებას ვერ გრძნობს საკუთარსა და ცხოველის არსებას შორის. ზღაპარში ბავშვი ცხოველს განცვიფრების გარეშე მიაწერს აზროვნებასა და მეტყველებას. მამისადმი მიწერილ შიშის აფექტს გადაწევს ძაღლზე, ანდა ცხენზე მამის დამცირების განზრახვის გარეშე, მხოლოდ როცა გაიზრდება, ცხოველისაგან ისე უცხოვდება, რომ შეუძლია დაამციროს სხვა, უწოდებს რა მას ცხოველის სახელს.

ცნობილია, რომ ჩ. დარვინის, მის თანამშრომელთა და წინამორბედთა გამოკვლევებმა ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნით ადრე შეაშზადეს ადამიანის ქედმაღლობის დასასრული. ადამიანი არ წარმოადგენს სხვა არაფერსა და უკეთესს, თუ არა ცხოველს, თვითონ ის წარმოიშვა ცხოველთა რიგიდან და მეტნაკლებად ენათესავება მათ სხვადასხვა სახეობას. ადამიანის შესახებ მოგვიანო მონაპოვარმა ვერ შეძლოი წაეშალა ტოლფასოვნობის მაჩვენებლები, რომლებიც მოცემულია როგორც მისი სხეულის წყობაში, ისე

მის სულიერ ნასახებში. ესაა ადამიანის ნარცისმის მეორე, **ბიოლოგიური** შეურაცხყოფა.

გ) ალბათ ყველაზე მგრძნობიარეა მესამე შეურაცხყოფა – **ფსიქოლოგიური** ბუნების მქონე. ადამიანი, თუმცა გარედან დამცირებული, თავს გრძნობს სუვერენულად მის საკუთარ სახლში. მან სადღაც მისი "მე"-ს გულში შექმნა მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც თვალყურს ადევნებს საკუთარ სულიერ მოძრაობებსა და ქცევებს, ეთანხმებიან თუ არა ისინი მის მოთხოვნებს. თუკი ისინი ამას არ აკეთებენ, უმძიმყალოდ შეკავდებიან და ითრგუნებიან. თავისი მიზანი აღქმა, ცნობიერება მოახსენებს "მე"-ს ყველა მნიშვნელოვანი საქმე პროცესების შესახებ სულიერ ფუსფუსში და ამ ცნობების წარმართული ნება განახორციელებს მას, რასაც "მე" ბრძანებს, ცდილობს მას, რაც თვითონ მისგან დამოუკიდებლად მოხდებოდა. ცხადია, ეს სული მარტივი არაა, პირიქით, ზემდგომი და დაქვემდებარებული იერარქიების წყობაა, იმპულსების არევ-დარევაა, რომელიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განხორციელებას ესწრაფვის შესატყვისად ლტოლვებისა და გარესამყაროსთან დამოკიდებულების სიმრავლისა. მათ შორის მრავალია ერთმანეთის საპირისპირონიც და ერთმანეთისადმი აუტანელნიც. ფუნქციონერებისათვის საჭიროა, რომ უმაღლესი ინსტანცია ღებულობდეს ყველა ცნობას, რაც კი მზადდება, ასევე მის ნებას შეეძლოს ყველგან შეღწევა და თავისი ზეგავლენის მოხდენა. მაგრამ "მე" თავს გრძნობს საიმედოდ, როგორც მიღებული უწყებების ცნობების სისრულესა და სისწორეში, ისე მისი ბრძანებების გამიზნულ ადგილზე მისვლაში.

გარკვეულ დაავადებებში, რა თქმა უნდა, სწორედ ჩვენს მიერ შესწავლილ ნერვოზებში სხვაგვარადაა. "მე" თავს გრძნობს უხერხულად; თავის საკუთარ სახლში, სულში, მისი ძალაუფლება საზღვრებს აწყდება. უცებ აღმოცენდებიან აზრები, რომლის შესახებაც არ იცის, თუ საიდან მოდიან; არც არაფრის გაკეთება შეიძლება მისი განდევნისათვის, ეს უცხო სტუმრები უფრო ძლიერნი ჩანან, ვიდრე სხვანი, "მე"-ს დაქვემდებარებულნი; ისინი უპირისპირდებიან ნების ყველა ჩვეულებრივ მოსინჯული ძალის საშუალებებს, ჩვენებით. ანდა ჩნდებიან იმპულსები, თითქოს ისინი უცხონი იყვნენ, ასე რომ "მე" მათ უარყოფს, მაგრამ "მე"-ს მაინც მისი უნდა ეშინოდეს

და მის წინააღმდეგ იღებდეს სიფრთხილის ღონისძიებებს. "მე" ეუბნება თავის თავს, რომ ესაა ავადმყოფობა, უცხოს შემოჭრა; "მე" თავის სიფხიზლეს აძლიერებს, მაგრამ არ შეუძლია გაიგიოს, თუ რატომ გრძნობს თავს ასე უცნაურად დამბლადაცემულად.

თუმცა ფსიქიატრია დავობს ასეთ შემთხვევებზე, რომ სულიერ ცხოვრებაში შეიჭრნენ ბოროტი, უცხო სულები, მაგრამ ჩვეულებრივ ის მხოლოდ მხრების აჩეჩვით ამბობს: დეგენერაცია, მემკვიდრებითი დისპოზიცია, კონსტიტუციონალური ნაკლებღირებულება! ფსიქოანალიზი ხელს ჰკიდებს აღნიშნული შემზარავი დაავადების შემთხვევების ახსნას, მიმართავს გულმოდგინე და ხანგრძლივ გამოკვლევებს, ქმნის დაძხმარე ცნებებსა და მეცნიერულ კონსტრუქციებს და ბოლოს შეუძლია "მე"-ს უთხრას: შენში არაფერი უცხო არ მომხდარა; შენი საკუთარი სულიერი ცხორების ერთი ნაწილი ხელიდან გაუსხლტა შენ ცოდნასა და ნების ბატონობას. ამიტომ ხარ ასე სუსტი დაცვაში; შენი ძალის ერთი ნაწილით იბრძვი სხვა ნაწილის წინააღმდეგ, არ შეგიძლია ისე, როგორც გარე მტრის წინააღმდეგ, შეიძოიკრიბო მთელი შენი ძალა. არაა ერთი შემთხვევა, რომ უცუდესი, ანდა არაუმნიშვნელოვანესი ნაწილი სულიერი ძალებისა, შენთან ასე დაპირისპირებით რომ გამოვიდნენ და შენგან დამოუკიდებლად გახდნენ. ბრალი, უნდა ვთქვა, თვითონვე შენშია. შენ გადააფასე შენი ძალა, როცა ირწმუნე, რომ შეგეძლო შენი სექსუალური ლტოლვებისათვის ის გაგეკეთებინა, რაც გნებავდა და მათ განზრახვებს ოდნავადაც არ უწევდი ანგარიშს. ამიტომაც ისინი ავჯანყდნენ და წავიდნენ საკუთარი ბნელი გზით, რათა განთავისუფლებულივნენ დათრგუნვისაგან, მოიპოვეს თავიანთი უფლება იმნაირად, რომ შენთვის ის უკვე უფლება არ შეძლება იყოს. თუ როგორ მიაღწიეს ამას და რა გზით წავიდნენ, ეს შენთვის უცნობია; მხოლოდ ამ მუშაობის შედეგი, სიმპტომი, რასაც შენ განიცდი ავადმყოფობის სახით, დადის შენს გაგებამდე. შენ ვერ იცნობ მათ, როგორც შენი საკუთარი განდევნილი ლტოლვების ნაწარმოებს და არ იცი, რომ ისაა მათი შემნაცვლებელი დაკმაყოფილება.

მაგრამ მთელი პროცესი შესაძლებელი გახდა მხოლოდ ერთი ვითარებით, რომ შენ შეცდომაში ხარ შეყვანილი სხვა მნიშვნელოვან მომენტშიც. დარწმუნებული ხარ, რომ ყველაფერი იცი, რაც

შენ სულში ხდება, რახან ის მხოლოდ მნიშვნელოვნად საკმარისია, ვიდრე შენი ცნობიერება შენ მოგაბსენებს მის შესახებ. თუკი შენ რაიმეს შესახებ ცნობა სულში არ მიგიღია, მაშინ დარწმუნებით უშვებ, რომ მასში არაფერია. დიახ, შენ ისე შორს მიდიხარ, რომ "სულიერს" თვლი იდენტურად "ცნობიერთან", ე. ი. შენთვის ცნობიერთან, მიუხედავად თვალსაჩინო დასაბუთებისა, რომ შენ სულიერ ცხოვრებაში მუდამ უფრო მეტი უნდა ხდებოდეს, ვიდრე ეს შენი ცნობიერებისათვის შეიძლება ცნობილი გახდეს. ნება დამრთე მაინც, ამ მიმართულებით ერთ პუნქტში გასწავლო! შენში სულიერი არ ემთხვევა ცნობიერს; რაღაც სხვანაირადაა, ვიდრე ის, რომ შენ სულში რაიმე ხდებოდეს და მას შენ ასევე გამოცდილებაში ადასტურებდე. ჩვეულებრივ, მინდა დავუმატო – საკმარისია შენს ცნობიერებასთან ცნობების სამსახური შენს მოთხოვნილებათათვის. უფლება გაქვს ილუზიაში იყო, რომ ყველაფრ მნიშვნელოვანს განიცდი. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად ლტოლვათა კომპლექტის შემთხვევაში, შენი სამსახური უარს ამბობს და მაშინ შენი ნება არ ვრცელდება ცოდნის მიღმა. მაგრამ ყველა შემთხვევაში შენი ცნობიერების მოწმობა არაა სრულყოფილი და ხშირად არა სარწმუნოცაა; ასევე, საკმაოდ ხშირად გვხვდება, რომ პროცესთა შესახებ მხოლოდ მაშინ ღებულობ ცნობებს, როცა ისინი უკვე განხორციელებულია და მათთან არაფრის შეცვლა უკვე აღარ შეგიძლია. როგორ შეიძლება თუკი თვითონ ავად არა ხარ, განსაზღვრო ყველაფერი, რაც შენს სულში ირხევა, რის შესახებაც გამოცდილებაში არაფერი გეძლევა, ანდა რის შესახებაც შენ მცდარად მოგეხსენება. აბსოლუტურ მბრძანებელივით იქცევი, რომელიც კმაყოფილდები მაღალი კარის მსახურთა ინფორმაციით და არ ეშვები ხალხამდე, რათა მათი ხმა გაიგონო. "შედი შენში, შენს სიღრმეში და გაიცანი პირველად საკუთარი თავი, შემდეგ გაიგებ, თუ რატომ უნდა ღაავადდე, და ალბათ თავიდან აიშორებ დაავადებას".

ასე ნებავდა ფსიქოანალიზს "მე"-ს დამოძღვრა. მაგრამ ორივე განმარტება, რომ ჩვენში სექსუალობის ლტოლვითი ცხოვრება მთლიანად არაა მოთოკილი, რომ სულიერი პროცესები ჩვენში თავისთავად არაცნობიერია და მხოლოდ არასრულყოფილი, არაზუსტი აღქმითაა "მე"-სთვის მისაწვდომი და მას ექვემდებარება, ტოლ-

ფასოვანია მტკიცებისა, რომ **"მე" არაა ბატონი თავის საკუთარ სახლში**. ესაა მესამე დარტყმა თვითმოყვარეობისა, რომლისთვისაც შემეძლო მეწოდებინა ფსიქოლოგიური. აქედან გამომდინარე არაფერია გასაკვირი, რომ "მე" არ მიმართავს ფსიქოანალიზს თავისი კეთილმოსურნეობით და ჯიუტად უარყოფს მის რწმენას.

ადამიანთა მცირეოდენი რიცხვი მიხვდა, რა მნიშვნელობა ექნებოდა საბედისწერო ნაბიჯს – მეცნიერებისა და ცხოვრებისათვის არაცნობიერი ძლიერი პროცესების დაშვებას. მაგრამ ვიჩქარით დავუმატოთ, რომ პირველად ფსიქოანალიზს არ გადაუდგამს ეს ნაბიჯი, არამედ ესენია ცნობილი ფილოსოფოსები, როგორც წინამორბედნი, უპირველეს ყოვლისა, დიდი მოაზროვნე შოპენჰაუერი, რომლის არაცნობიერი "ნება" უტოლდება ფსიქოანალიზის სულიერ ლტოლვებს. თუმცა იმავე მოაზროვნემ თავის სიტყვებში დაუვიწყარი მახვილით ადამიანებს მოაგონა თავიანთი სექსუალური მისწრაფების ჯერ კიდევ არაჯეროვნად შეფასებული მნიშვნელობა. ფსიქოანალიზის უპირატესობა მხოლოდ ერთია, რომ ის ნარცისმის ასეთ ორ მტანჯავ დებულებას – სექსუალობის ფსიქიკურ მნიშვნელობასა და სულიერი ცხოვრების არაცნობიერობას –აბსტრაქტულად არ ამტიცებს, არამედ მასალებით ასაბუთებს, რომელიც ყოველ ცალკეულს პიროვნულად ეხება და მის პოზიციას ამ პრობლემების მიმართ აიძულებს, მაგრამ სწორედ ამიტომ წარმოშობს ის საკუთარი თავის მიმართ სიძულვილს, წინააღმდეგობებს და ფილოსოფოსის დიდ სახელს ჯერ კიდევ მხდალად თავს არიდებს.

ფსიქოანალიზის მოკლე ნარკვევი

(1923)*

I

ფსიქოანალიზი, ასე რომ ვთქვათ, მეოცე საუკუნესთან ერთად დაიბადა. პუბლიკაცია, რითაც ის ქვეყანას მოევლინა სიახლის სახით, ჩემი – "სიზმრის ინტერპრეტაცია", – 1900 წლით თარიღდება, მაგრამ ის, თავისთავად გასაგებია, ქვესკნელიდან არ ამოხეთქილა, ან ზეციდან არ ჩამოვარდნილა. ის დაკავშირებულია ძველთან და მისი გაგრძელებაა, ამოდის ბიძგიდან, რომელსაც ამუშავებს. მისი ისტორია უნდა დაიწყოს იმ ზეგავლენათა გადმოცემით, რომლებიც მისი აღმოცენებისათვის სახელმძღვანელონი იყვნენ და ასევე არ უნდა იქნეს დაივიწყებული მისი შექმნის წინა დრო და ვითარება.

ფსიქოანალიზი აღმოცენდა მჭიდროდ შემოსაზღვრულ ნიადაგზე. თავდაპირველად მას ჰქონდა მხოლოდ ერთი მიზანი, რაიმე გზით ეგრეთწოდებულ "ფუნქციონალურ" ნერვულ დაავადებათა ბუნების შესახებ, რათა დაეძლია მის მკურნალობაში დღემდე არსებული სამედიცინო უძლურება. ამ დროის ნევროლოგები აღზრდილნი ქიმიურ–ფიზიკური და პათოლოგიურ–ანატომიური ფაქტებისადმი დიდი პატივისცემით, იმყოფებოდნენ ჰიტციგისა და ფრიჩის, უერარის, გოლცისა და სხვათა მონაპოვართა შთაბეჭდილების ქვეშ, რომლებიც ასაბუთებდნენ გარკვეული ფუნქციების შინაგან, ალბათ განსაკუთრებულ დაკავშირებას ტვინის განსაზღვრულ ნაწილებთან. ფსიქიკური მომენტით არაფერს იწყებდნენ, მათ არ შეეძლოთ მისი წვდომა, ის გადასცეს ფილოსოფოსებს, მისტიკოსებს და შარლატანებს; არამეცნიერულად თვლიდნენ მისთვის ხელის მოკიდებას. ამის-

* ზ. ფროიდის აღნიშნული ნაშრომი დაიწერა 1923 წლის ოქტომბერ–ნოემბერში "ენციკლოპედია ბრიტანიკას" თხოვნის საპასუხოდ – მოეცა ავტორს ფსიქოანალიზის შემაჯამებელი გადმოცემა. ამ ნაშრომის ავტორიზებული თარგმანი პირველად გამოქვეყნდა ინგლისურად 1924 წელს სათაურით "Psyxoanalysis", გერმანულად გამოქვეყნდა 1928 წელს "ფსიქოანალიზის მოკლე ნარკვევის" სახელწოდებით.

დაშესატყვისად არ იყო გახსნილი მისასვლელი ნევროზების საიდუმლოებებთან, უპირველესად ყოვლისა, საიდუმლოებით მოცულ "ისტერიასთან", რომელიც დიახაც იყო მთელი გვარის ნიშუში. ჯერ კიდევ 1885 წელს, როცა მე სალპეტრიერში პრაქტიკაზე ვიფავი, გავიგე, რომ ისტერიული დამბლების მიმართ კმაყოფილდებოდნენ ფორმულით – ისინი არიან ოლი ფუნქციონალური დარღვევები იმავე ტვინის ნაწილებისა, რომელთა მძიმე დაზიანება იწვევს შესატყვის ორგანულ დამბლას.

ბუნებრივია, გაგების ნაკლოვანებით განპირობებული წარმართებოდა ავადმყოფური მდგომარეობის თერაპიაც. ის მდგომარეობდა საერთო გამაძლიერებელ ღონისძიებებში, ჭამლების მიცემაში და ხშირად ძალზე მიზანშეუწონელ, არათავაზიანად წატარებულ სულიერი ზემოქმედების ცდებში, როგორიცაა დაშინება, დაცინვა, გაფრთხილება, პაციენტის ნების შობილიზაცია, იძულება საკუთარი თავის ხელში აღებისა. ნევროზული მდგომარეობის სპეციფიკურ თერაპიად ელექტრონული მკურნალობანიც იყო მოწოდებული, მაგრამ ვისაც ოდესმე აღნიშნული დეტალური დანიშნულება მიუღია W. Erb–ისა, განცვიფრებულა რა დიდი ალგილი ეთმობა ფანტაზიას თითქოსდა ზუსტ მეცნიერებაში. გადამწყვეტი შემობრუნება მოხდა, როდესაც, ოთხმოციან წლებში, ჰიპნოტიზმის ფენომენი ისევ შემოვიდა მედიცინის მეცნიერებაში. ამჯერად ლიბოს (Liebeault), ბერნჰაიმის (Bernheim), ჰაიდენჰაინის (Heidenhein), ფორელის (Forel) ნაშრომების წყალობით, უკეთესი შედეგებით, ვიდრე მანამდე იყო. უპირველეს ყოვლისა, ამ მოვლენების უტყუარობა აღიარეს. აღიარეს რა ეს, ჰიპნოტიზმიდან ორი ფუძემდებლური და დაუვიწყარი დებულება უნდა გამოეყვანათ: ჯერ ერთი, დარწმუნდნენ, რომ საკვირველი სხეულებრივი ცვლილებები მაინც მხოლოდ ძლიერი ზემოქმედების შედეგი იყო, რომელთაც ამ შემთხვევაში თვითონ იწვევდნენ; მეორეც, განსაკუთრებით ჰიპნოზის შემდეგ, ცდის პირების ქცევიდან იღებდნენ ისეთი სულიერი პროცესების არსებობის ნათელ შთაბეჭდილებას, რომელთაც შეიძლება ეწოდოთ მხოლოდ "არაცნობიერი". "არაცნობიერი" თუმცა დიდი ხნიდან, როგორც თეორიული ცნება, სადისკუსიო იყო ფილოსოფოსებთან, მაგრამ აქ, ჰიპნოტიზმის მოვლენებში, პირველად გახდა ცოცხალი, ხელშესახები და ექსპერიმენტის საგანი; ამასთან ერთად ჰიპნოტური ფენომენები აჩვენებდნენ აღიარებულ მსგავსებას ზოგირთი ნევროზის გამოვლინებებთან.

აღვილი არაა გადააფასო ჰიპნოტიზმის მნიშვნელობა ფსიქოანალიზის აღმოცენების ისტორიისათვის. როგორც თეორიული, ისე თერაპევტული თვალსაზრისით ფსიქოანალიზს აქვს მემკვიდრეობა, რომელიც მან გაღმოიღო ჰიპნოტიზმიდან.

ჰიპნოზი აღმოჩნდა ძვირფასი დამხმარე საშუალება ნევროზების შესწავლისათვის, პირველ რიგში ისევ ისტერიისათვის. დიდ მოაბეჭდილებას ახდენდა შარკოს (Charcot) ცდები, რომელიც ვარაუდობდა, რომ ტრამვის (უბედური შემთხვევის) შემდეგ გაჩენილი გარკვეული დამბლები უნდა ყოფილიყვნენ ისტერიული ბუნებისა და ჰიპნოზში, ტრავმის შთაგონების გზით, ხელოვნურად შეეძლო გამოეწვია მითითებული ბუნების მქონე დამბლები. მას შემდეგ ცნობილია, რომ ტრავმატული ზემოქმედებები საერთოდ შეიძლება მონაწილეობდნენ ისტერიული სიმპტომების აღმოცენებაში. თვითონ შარკო არ ცდილა ისტერიული ნევროზის ფსიქოლოგიურ გაგებას, მაგრამ მისმა მოწაფემ პ. ჟანემ (P. Janet) ეს შეხედულებები მიიღო და ჰიპნოზის დახმარებით შეძლო ეჩვენებინა, რომ ისტერიის ავადმყოფობის გამოვლენანი მყარ დამოკიდებულებაშია გარკვეულ არაცნობიერ აზრებთან (idnes fixes). ჟანე ისტერიას ახასიათებდა მის მიერ დაშვებული კონსტიტუციონალური უუნარობით, რათა სულიერ პროცესებს ერთად მოუყაროს თავი, რისგანაც წარმოსდგება სულიერი ცხოვრების დაშლა (დისოციაცია).

ფსიქოანალიზი არასგზით არ უკავშირდება ჟანეს ამ გამოკვლევებს. ძისთვის ბიძგის მიმცემი გახდა ვენელი ექიმის, დოქტორ იოზეფ ბროიერის (Breuer) გამოცდილება, რომელმაც, უცხო ზეგავლენისაგან დამოუკიდებლად, 1881 წელს ისტერიით დაავადებული მაღალნიჭიერი გოგონა ჰიპნოზის გამოყენებით შეისწავლა და მოარჩინა. ბროიერის შედეგები მხოლოდ თხუთმეტი წლის შემდეგ გამოქვეყნდა, რაც რომ მან ფროიდი მიიღო თანამშრომლად. მის მიერ განხილულ შემთხვევას აქვს ერთადერთი მნიშვნელობა ჩვენ მიერ ნევროზების გაგებისათვის, რასაც დღემდე ვინარჩუნებთ. ასე რომ, აუცილებელია მასზე, ბროიერის შემთხვევაზე უფრო ხანგრძლივად შეჩერება. აუცილებელია წათლად ვწვდეთ იმას, თუ

რაში მდგომარეობს ამ შემთხვევის თავისებურება. გოგონა დაავადდა საყვარელი მამის მოკვლის დროს. ბროიერმა აჩვენა, რომ დაავადების ყველა სიმპტომი უკავშირდებოდა ამ ავადმყოფის მოკვლას და მისით აიხსნებოდნენ. მაშასადამე, პირველად მოხდა იდუმალი ნევროზის შემთხვევის სრული გამოცნობა და ავადმყოფობის ყველა მოვლენა აზრიანი აღმოჩნდა. შემდეგ საერთო ბუნება სიმპტომების ის იყო, რომ ისინი ამ სიტუაციაში იყვნენ აღმოცენებული, რომლებიც მოქმედებისადმი იმპულსს შეიცავდნენ, მაგრამ ვერ ხორციელდებოდნენ, სხვა მოტივების შედეგად ითრგუნებოდნენ. ამ განუხორციელებელი აქციების ადგილზე სწორედ რომ სიმპტომები გამოვიდნენ. ამით ისტერიული სიმპტომების ეტიოლოგიისათვის მიეთითა გრძნობათა ცხოვრებაზე (აფექტურობა) და სულიერი ძალების მოქმედებაზე (დინამიზმი). და ეს ორივე თვალსაზრისი მას შემდეგ არასდროს არ უარგვიყვია.

სიმპტომების აღმოცენების მიზეზი ბროიერმა შარკოს ტრავმებს გაუტოლა. ყურადღების ღირსია, რომ აღნიშნული ტრავმული მიზეზები და ყველა მასთან დაკავშირებული ძლიერი წაქეზებანი ავადმყოფის მოგონებისათვის დაკარგულია, თითქოს ისინი არასდროს არ ყოფილიყვნენ. ეს მაშინ, როცა მათი შედეგები, სწორედ რომ სიმპტომები, უცვლელად განაგრძობენ არსებობას, თითქოს მათზე ზემოქმედება არ მოეხდინოს დროს. აქ, მაშ, მოინახა ახალი დასაბუთება არაცნობიერი და სწორედ ამიტომ განსაკუთრებით ძლიერი სულიერი პროცესების არსებობისათვის, როგორც ამას პირველად გავეცანით პოსტჰიპნოზურ შთაგონებასთან. ბროიერის მიერ ჩატარებული თერაპია იმაში მდგომარეობდა, რომ მას ავადმყოფები ჰიპნოზში გადაჰყავდა, რათა დაეწყებული ტრავმები მოეგონებინათ და მათზე ეპასუხათ ძლიერი აფექტური გამოვლინებებით. მაშინ ქრებოდა სიმპტომი, რომელიც მანამდე ასეთი გრძნობითი გამოვლინების ადგილზე იდგა. იგივე მეთოდი ემსახურება, მაშ, იმავდროულად ვნების კვლევასა და ლიკვიდაციას და ასეთი ეს არაჩვეულებრივი შეერთება მოახდინა გვიანდელმა ფსიქოანალიზმა.

მას შემდეგ, რაც ფროიდმა ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში ბროიერის შედეგები ავადმყოფთა დიდ რიცხვზე დაადასტურა, ბროიერმა და ფროიდმა გადაწყვიტეს პუბლიკაცია, რომელიც შეიცავდა მათ გამოცდილებას და მასზე დაფუძნებული თეორიის ცდას (Studien ueber Histerie, 1895). აღნიშნული მიუთითებდა, რომ ისტერიული სიმპტომი აღმოცენდება მაშინ, როცა ძალზე აფექტურად დამუხტული სულიერი პროცესის აფექტი განიცდება ნორმალური ცნობიერი დამუშავებით და ამით მცდარ გზაზე მიეთითება. ისტერიის შემთხვევაში ის გადადის არაჩვეულებრივ სხეულის ინვერციაში (კონვერსია), მაგრამ შეუძლია ჰიპნოზში განცდის გაცოცხლების გზით სხვაგვარად წარიმართოს და ამოიწუროს (რეაგირება). თავიანთ მეთოდს ავტორები უწოდებენ კათარზისს (განწმენდა, შელაზული აფექტებისაგან განთავისუფლება).

კათარზული მეთოდი უშუალო წინამორბედია ფსიქოანალიზისა და მიუხედავად გამოცდილების ყოველგვარი გაფართოებისა და თეორიის ყოველგვარი მოდიფიკაციისა, მაინც მუდამ რჩება მის გულად. მაგრამ ის სხვა არაფერი იყო, თუ არა ახალი გზა გარკვეული ნეიროზული დაავადების სამკურნალო ზეგავლენისა და არაფერია საეჭვო, რომ ის შეიძლება გამხდარიყო საგანი საერთო ინტერესისა და მძაფრი წინააღმდეგობისა.

II

მალე "Studien ueber Histerie"-ს გამოქვეყნების შემდეგ ბროიერსა და ფროიდს შორის თანამშრომლობა შეწყდა. ბროიერმა, რომელიც საკუთრივ ინტერნისტი იყო, ნერვულ ავადმყოფთა მკურნალობაზე უარი თქვა; ფროიდი ცდილობდა ძველი კოლეგიდან გადმოეცემული ინსტრუმენტი შემდგომ დაეხვეწა; მის მიერ შემოტანილმა ტექნიკურმა სიახლეებმა და მონაპოვარმა გადააქციეს კათარზული მეთოდი ფსიქოანალიზურად. საბედისწერო ნაბიჯი ის იყო, რომ ფროიდმა გადაწყვიტა უარეყო ჰიპნოზის ტექნიკური დამხმარე საშუალება. ეს მან გააკეთა ორი მოტივით: პირველი, ვინაიდან მიუხედავად სასწავლი კურსისა, მან ბერნჰაიმთან ნანსში ვერ მიაღწია ჰიპნოზურ მდგომარეობაში გადაეყვანა პაციენტების საკმაოდ დიდი რიცხვი; და მეორე – ჰიპნოზზე დამყარებული კათარზისის თერაპევტული შედეგით უკმაყოფილებისა გამო, აღნიშნული შედეგები თუმცა ძალზე საცემია თვალში და მკურნალობის მოკლე დროს მოითხოვს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისინი მტკიცე არაა და დიდადაა

დამოკიდებული ექიმისა და პაციენტის პიროვნულ ურთიერთდამოკიდებულებაზე. ჰიპნოზისადმი უარის თქმა ნიშნავს მეთოდის აქამომდელ განვითარებაში გარდატეხას და სიახლის დასაწყისს.

მაგრამ ჰიპნოზმა სამსახური გაწია ავადმყოფის მიერ დავიწყებულის ცნობიერ მოგონებამდე მიყვანით; ის უნდა შენაცვლებულიყო სხვა ტექნიკით. მაშინ ფროიდს აზრად მოუვიდა ჰიპნოზის ადგილზე დაესვა თავისუფალი ასოციაციის მეთოდი, ე.ი. ის ავადმყოფებს ავალდებულებდა უკუეგდოთ ყველა ცნობიერი ფიქრი და მისცემოდნენ მშვიდ კონცენტრაციას მათი სპონტანური (არანებისმიერი) აზრების მდინარებისას ("მათი ცნობიერების ზედაპირის მოსასინჯად"). თავში უეცრად მოსული აზრები მათ უნდა გაეზიარებინათ მკურნალისათვის მაშინაც კი, როცა გრძნობდნენ მათ მიმართ შეპასუხებას, როგორც მაგალ., არასასიამოვნო, უაზრო, უმნიშვნელი აზრი ან ისეთი რამ, რაც საქმეს არ ეხება. თავისუფალი ასოციაციის არჩევა დავიწყებული არაცნობიერის კვლევისათვის დამხმარე საშუალებად ისე საკვირველად ჩანს, რომ არ იქნება ზედმეტი მისი გამართლებისათვის ცოტა რამ ითქვას. ფროიდი ვარაუდობდა, რომ ე. წ. თავისუფალი ასოციაცია სინამდვილეში აღმოჩნდება როგორც არათავისუფალი მაშინ, როცა ყველა ცნობიერი განზრახვის დათრგუნვა ვლინდება არაცნობიერი მასალის გზით თავში უეცრად მოსული აზრების დეტერმინაციაში. აღნიშნული მოლოდინი გამართლებულია გამოცდილებით. ზემოთ მოცემული "ანალიზური ძირითადი წესის" დაცვითა და თავისუფალი ასოციაციის გატარების გზით ვიღებთ მდიდარ მასალას უეცრად მოსული აზრებისას, რომლებმაც უნდა მიგვიყვანონ ავადმყოფის მიერ დავიწყებულის კვალთან. ამ მასალას თუმცა თვითონ დავიწყებული არ მოაქვს, მაგრამ მასზე ისეთი ნათელი და მდიდარი მითითებებია, რომ მკურნალს შეუძლია გარკვეული შევსებითა და ინტერპრეტაციებით მისგან დავიწყებულს მიხვდეს (მისი რეკონსტრუქცია გააკეთოს). თავისუფალი ასოციაცია და ინტერპრეტაციის ხელოვნება ანხორციელებს იმავეს, რასაც აკეთებდა ადრე ჰიპნოზში გადაყვანა. როგორც ჩანს, სამუშაო ძალზე გავიძნელეთ და გაეირთულეთ. მაგრამ ფასდაუდებელი სარგებლობა ის იყო, რომ მივიღეთ შესაძლებლობა გავცნობოდით ძალთა მოძრაობას, რომელიც დამკვირვებელს

ჰიპნოზური მდგომარეობის გზით დახშული ჰქონდა. გავიგეთ, რომ პათოგენური დავიწყებულის აღმოჩენისათვის გაწეულ მუშაობას მუდმივი და ძალზე ინტენსიური წინააღმდეგობისაგან უნდა დაეცვა თავი. უკვე კრიტიკული შეპასუხებანი, რომლითაც პაციენტებს უნდათ მათში აღმოცენებული აზრები არ გაგვიზიარონ და რომლის წინააღმდეგაცაა მიმართული ანალიზური ძირითადი წესი, ამ წინააღმდეგობის გაწევის გამოვლინებებია. წინააღმდეგობის გაწევის ფენომენის აღიარებიდან გამომდინარეობს ნევროზების ფსიქოანალიზური მოძღვრების ქვაკუთხედი – განდევნის თეორია. ახლოს ვიცნობთ დაშვებასთან, რომ იგივე ძალები, რომლებიც აწმყოში ეწინააღმდეგებოდნენ პათოგენური მასალის გაცნობიერებას, აგრეთვე იგივე მისწრაფებანი თავის დროზე წარმატებით ვლინდებიან; ნევროტული სიმპტომის ეტიოლოგიაში ამოსავლები იყო ხარვეზი. შთაბეჭდილებანი და სულიერი წაქეზებანი, რომლისთვისაც ამჯერად სიმპტომები შემნაცვლებელს წარმოადგენდა, არ იყვნენ საუშველს მოკლებულნი, ანდა სინთეზისადმი კონსტიტუციონალურად უუნარობის შედეგად, როგორც ამას ჟანე ფიქრობდა, დავიწყებილ იქნენ. მათ სხვა სულიერი ძალების ზემოქმედებით განიცადეს გავლენა, რომელთა შედეგი და ნიშანი სწორედ რომ ცნობიერებაში მათი შეჩერება და მოგონებიდან მათი გამოთიშვა იყო. მხოლოდ ამ განდევნის შედეგად გახდნენ ისინი პათოლოგიურნი, ე.ი. მათ შექმნეს უჩვეულო გზით გამოსახულება, როგორც სიმპტომი.

განდევნის მოტივად და ამით ყოველი ნევროტული დაავადების მიზეზად უნდა ჩაგვეთვალა სულიერ მისწრაფებათა ორ ჯგუფს შორის კონფლიქტი. გამოცდილებამ გვაჩვენა, სრულიად ახალი და საკვირველი ფაქტი ერთმანეთთან შებრძოლი ძალების ბუნების შესახებ: განდევნა კანონზომიერად მოდის დაავადებულის ცნობიერი პიროვნებიდან ("მე" – დან) და ემყარება ეთიკურ და ესთეტიკურ მოტივებს. განდევნა შეეხო ეგოიზმისა და სისასტიკის წაქეზებას, რომელიც საერთოდ შეიძლება გავაერთიანოთ როგორც ბოროტება, უპირველეს ყოვლისა, ხშირად მწვავე და აკრძალული სახის სექსუალური წაქეზებანი. მაშასადამე, ავადმყოფობის სიმპტომები არიან აკრძალულ ღაკმაყოფილებათა შენაცვლება და ავადმყოფობა შეესატყვისება ადამიანში ამორალურის არასრულყოფილ ალაგმვას.

შემეცნების წინსვლა სულ უფრო ცხადად აჩვენებდა, თუ და დიდ როლს თამაშობს სექსუალური ცხოვრების წაქეზებები სულიერ ცხოვრებაში და იძლევა საბაბს დაწვრილებით შევისწავლოთ სექსუალური ლტოლვის ბუნება და განვითარება (იხ. Freud, Drei Abhandlungen zur Sexualtheorie, 1905). ასევე წავაწყდით სხვა, წმინდა ემპირიულ შედეგს, როცა დაადასტურეს, რომ ბავშვის პირველი წლების განცდები და კონფლიქტები არნახულად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ინდივიდის განვითარებაში და ტოვებენ მოწიფულობის დროისათვის წარუშლელ დისპოზიციებს. მივედით აღმოჩენასთან, რაც აქამდე მეცნიერების მიერ პრინციპულად მხედველობიდან იყო გაშვებული, რომ ინფანტილური სექსუალობა ვლინდება სათუთი ასაკიდან როგორც სხეულებრივ რეაქციებში, ისე სულიერ განწყობებში. ბავშვის სექსუალობა რომ ე. წ. მოწიფულის ნორმალურ და გაუკუღმართებულთა არანორმალურ სექსუალურ ცხოვრებასთან დაგვეკავშირებინა, თვითონ სექსუალობის ცნებამ განიცადა შესწორება და გაფართოება, რომელიც სექსუალური ლტოლვის განვითარების ისტორიით გამართლდა.

ჰიპნოზს თავისუფალი ასოციაციის ტექნიკით შენაცვლებიდან ბროიერის კათარზისის მეთოდი იქცა ფსიქოანალიზად, რომელსაც ერთ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში მარტო ფროიდი ანვითარებდა. ფსიქოანალიზი ამ დროის მანძილზე თანდათანობით თეორიად იქცა, რომელიც ნევროტული სიმპტომების აღმოცენების, ხაზრისისა და განზრახვის შესახებ საკმაო ცნობებს გვაწვდიდა და გვთავაზობდა რაციონალურ საფუძვლებს საექიმო ძალისხმევისათვის, რათა ავადმყოფობა შეწყვეტილიყო. მე მინდა ერთხელ კიდევ თავი მოვუყარო იმ მომენტებს, რომლებიც ამ თეორიის შინაარსს შეადგენენ, ესენია: ლტოლვის ცხოვრებაზე (აფექტურობა) ხაზგასმა; სულიერი დინამიკა, უწყვეტი საზრისიანობა და დეტერმინაცია ასევე მოჩვენებითად უბნელესი და უნებისმიერესი სულიერი ფენომენები, მოძღვრება ფსიქიკური კონფლიქტისა და განდევნის პათოგენური ბუნების შესახებ, ავადმყოფობის სიმპტომების გაგება როგორც შენაცვლებითი დაკმაყოფილება, სექსუალური ცხოვრების ეტიოლოგიური მნიშვნელობა, ბავშვობის სექსუალობისადმი განსაკუთრებული მიდგომა. ფილოსოფიური მიმართებით ამ თეორიას უნდა მიეღო

თვალსაზრისი, რომ სულიერი არ ემთხვევა ცნობიერს, რომ სულიერი პროცესები თავისთავად არაცნობიერია და მხოლოდ განსაკუთრებული ორგანოს (ინსტანციის, სისტემის) მოქმედებით ცნობიერდებიან. ამ ჩამონათვალს შევსების მიზნით მე ვუმატებ, რომ ბავშვობის აფექტური განწყობების ქვეშ მშობლებთან გამოიყოფა რთულ გრძნობათა დამოკიდებულებანი, ე. წ. ოიდიპოსის კომპლექსი, რომელშიც მუდამ ცხადად შეიმჩნევა ნევროზის ყოველი შემთხვევის ბუდე და რომ ავადმყოფის ქცევაში თვალში საცემია მკურნალის წინააღმდეგ გრძნობის გადატანის გარკვეული მოვლენები, რომელთაც როგორც თეორიის, ისე ტექნიკისათვის ერთნაირად დიდი მნიშვნელობა ძიძღვს.

ამ ფორმირებაში ნევროზების ფსიქოანალიზურმა თეორიამ მიიღო უკვე ბევრი რამ, რაც გაბატონებულ შეხედულებებთან და მიდრეკილებებთან წინააღმდეგობაშია და მისგან შორს მდგომებთან შეუძლია გამოიწვიოს გაოცება, ანტიპათია და ურწმუნოება. ესაა არაცნობიერის პრობლემებისადმი პოზიციის დაჭერა, ბავშვობის სექსუალობის აღიარება და საერთოდ სულიერ ცხოვრებაში სექსუალურ მომენტზე ხაზის გასმა: მაგრამ ამასვე უნდა დაემატოს კიდევ სხვა.

III

რამდენადმე რომ გავიგოთ, თუ როგორ შეიძლება გადაიქცეს ისტერიულ გოგონასთან აკრძალული სურვილი მტკივნეულ სიმპტომად, უნდა მოვახდინოთ ღრმა და დახლართული დაშვებები სულიერი აპარატის სტრუქტურისა და მუშაობის შესახებ. ესაა გამოვლენილი წინააღმდეგობა დანახარჯსა და შედეგს შორის. თუკი ნამდვილად არსებობს ფსიქოანალიზის მიერ წამოყენებული დამოკიდებულებანი, მაშინ ისინი იქნებოდნენ ფუნდამენტალური ბუნებისა და მათ უნდა შეძლებოდათ, გარდა ისტერიულისა, სხვა ფენომენებშიც გამოვლინებულიყვნენ. მაგრამ აღნიშნული დანასკვნი თუ ხორციელდება, მაშინ ფსიქოანალიზი არ იქნება მხოლოდ ნევროლოგებისათვის საინტერესო; მაშინ მას პრეტენზია ექნებოდა ყურადღება გაემახვილებინა ყველა მათთვის, ვისთვისაც ფსიქოლოგიური კვლევა რაღაცას ნიშნავს. მაშინ მისი შედეგები მხედველობა-

ში მიიღება არა მხოლოდ პათოლოგიური სულიერი ცხოვრების სფეროში, არამედ ასევე უგულებელყოფილი არ იქნებოდა ნორმალური ფუნქციის გაგებისათვის.

ახსნისათვის თავისი ვარგისობის დასაბუთებას არა ავადმყოფურ სულიერ მოქმედებათა მიმართ ფსიქოანალიზმა ადრევე მიაღწია ორნაირ ფენომენზე – ხშირ ყოველდღიურ შეცდომით მოქმედებებთან, დავიწყებასთან, წამოცდენებთან, დაკარგვებთან და ა. შ. და ჯანმრთელი, ფსიქიკურად ნორმალური ადამიანების სიზმრებთან. მცირე შეცდომით მოქმედებები, როგორიცაა დროებითი დავიწყება ჩვეულებრივი ცნობილი საკუთარი სახელებისა, წამოცდენა, შეცდომით დაწერა და მსგავსნი აქამდე საერთოდ ახსნის ღირსად არ ითვლებოდა, ანდა ხსნიდნენ დაღლილობის მდგომარეობით, ყურადღების გადატანით და მისთ. მრავალ მაგალითზე ფროიდმა აჩვენა თავის "ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგიაში" (1901), რომ ასეთი ცდომილებანი ღრმა აზრის მქონე არიან და ცნობიერი ინტენციის დარღვევით, სხვა დათრგუნული საშუალებით, ხშირად პირდაპირ არაცნობიერით, აღმოცენდება. უმრავლეს შემთხვევაში საკმარისია წამიერი დაფიქრება ან ხანმოკლე ანალიზი, რათა მივაგნოთ ხელშემშლელ ზეგავლენას. იმგვარი მცდარი მოქმედებების სიხშირე, როგორიცაა წამოცდენა, ყველასთან იოლად ხდება, დამარწმუნებელია, საკუთარ პერსონთან არაცნობიერი სულიერი პროცესების არსებობაში, რომლებიც მაინც ქმედითია და ვლინდებიან, ყოველ შემთხვევაში, როგორც შეკავებანი და მოდიფიკაციები სხვა, განზრახული აქტებისა.

შემდგომ წარიმართა სიზმრების ანალიზი, რომელიც ფროიდმა უპირველ 1900 წელს "სიზმრის ანალიზში" გამოაქვეყნა. მისგან გამომდინარეობდა, რომ სიზმარი ნევროტული სიმპტომის მსგავსადაა აგებული; როგორც ასეთი, ის შეიძლება უცხო და უაზრო გვეჩვენოს; თუკი მას ტექნიკის საშუალებით გამოვიკვლევთ, რომელიც ფსიქოანალიზში გამოყენებული თავისუფალი ასოციაციისაგან ნაკლებად განსხვავდება, მივაღწევთ მისი მანიფესტური შინაარსიდან სიზმრის ფარულ აზრამდე მისვლას. ეს ლატენტური აზრი ყოველთვის სურვილის წაქეზებაა, რომელიც აწმყოში დაკმაყოფილებულად წარმოიდგინება. მაგრამ აღნიშნული იდუმალი სურვილი პატარა ბავშვებისა, ანდა სხეულის იმპერატული მოთხოვნილების დაწოლის ქვეშ მყოფთა გარდა შესამჩნევად არასდროს არ გამოითქმის. მან პირველად უნდა მოიხსნას დამახინჯება, რომელიცაა მექანიზმი შემზღუდველი, მაცენზურებელი ძალებისა სიზმრის ავტორის "მე"-ში. ასე წარმოსდგება მანიფესტური სიზმარი, ის ცხადში მოიგონება ძნელად საცნობამდე დამახინჯებული სიზმრის ცენზურისადმი დათმობით, მაგრამ – ანალიზით გამოაშკარავებული მაინც როგორც დაკმაყოფილების სიტუაციის ანდა სურვილის ასრულების გამოსახულება, კომპრომისი სულიერ მისწრაფებათა ორ ერთმანეთთან მებრძოლ ჯგუფს შორის, სავსებით ისე, როგორც ის ეხება ისტერიულ სიმპტომთან. ფორმულა – სიზმარი არის (შენიღბული) ასრულება (განდევნილი) სურვილისა – საუკეთესოდ ესადაგება სიზმრის ახსნას. იმ პროცესის შესწავლით, რომელიც სიზმრის ლატენტურ სურვილს აქცევს სიზმრის მანიფესტურ შინაარსად (სიზმრის მუშაობა), ყველაზე საუკეთესო გამოცდილება გვაქვს, რაც კი ვიცით არაცნობიერი სულიერი ცხოვრების შესახებ.

სიზმარი არაა ავადმყოფური სიმპტომი, ის ნორმალური სულიერი ცხოვრების შედეგია. სურვილები, რომელთაც ის ასრულებულად წარმოადგენს, იგივენი არიან, რომლებიც ნევროზში განდევნაში მოჰყვენ. სიზმარი თავისი აღმოცენების შესაძლებლობას უმადლის მხოლოდ ხელსაყრელ გარემოებას, რომ ძილის მდგომარეობის განმავლობაში, რომელიც ადამიანის მოძრაობის შესაძლებლობას ასუსტებს, განდევნას სიზმრის ცენზურამდე დაბლა სწევს. მაინც თუკი სიზმრის შექმნა გარკვეულ საზღვრებს გადააბიჯებს, სიზმრის სუბიექტი მას წყვეტს და შეშინებული იღვიძებს. მაშ, დასაბუთდა, რომ ნორმალურ სულიერ ცხოვრებაში იგივე ძალები და იგივე პროცესებია, როგორიც ავადმყოფურში. "სიზმრის ინტერპრეტაციიდან" ფსიქოანალიზს აქვს ორნაირი მნიშვნელობა: ის არის არა მხოლოდ ახალი თერაპია ნევროზებისა, არამედ ახალი ფსიქოლოგიაც. ის პრეტენზიას აცხადებს ყურადღება მიიქციოს არა მხოლოდ ნევროლოგების მხრიდან, არამედ ყველასაგან, ვინც გონისმეცნიერებითაა დასაქმებული.

მიღება, რაც ფროიდს მოუწყვეს მეცნიერულ სამყაროში, გულითადი არ იყო. ათწლეულის მანძილზე მისი ნაშრომები არავის არ აინტერესებდა. დაახლოებით 1907 წელს შვეიცარიელ ფსიქიატრთა

ჯგუფმა (ბლოილერი და იუნგი ციურიხში) ყურადღება მიაპყრო ფსიქოანალიზს. აღშფოთების ტალღა განსაკუთრებით გაღვივდა გერმანიაში, რომელიც თავის საშუალებებში და არგუმენტებში ჭეშმარიტად მორიდებული არ ყოფილა. ამასთან ფსიქოანალიზმა გაინაწილა მრავალ სიახლეთა ბედი და გარკვეული დროის გავლის შემდეგ საერთო აღიარება მოიპოვა. რა თქმა უნდა, მის არსში იდო, რომ ის განსაკუთრებით მძაფრ წინააღმდეგობას აღუძრავდა. მან შეურაცხყო კულტურული ადამიანების ცრუ რწმენა ზოგიერთ განსაკუთრებით მგრძნობიარე ადგილებში, გარკვეულწილად ადამიანები დაუმორჩილა ანალიზურ რეაქციას, როცა მან აღმოაჩინა ის, რაც საერთო თანხმობით არაცნობიერშია განდევნილი და აიძულებდა თანამედროვეებს მოქცეულიყვნენ ისე, როგორც ავადმყოფები, რომლებიც ანალიზურ მკურნალობაში, უპირველეს ყოვლისა, ავლენენ წინააღმდეგობის გაწევას. ესეც უნდა ვალიაროთ, რომ ადვილი არ იყო ფსიქოანალიზური მოძღვრების სისწორეში დარწმუნება, ანდა გაკვეთილის მიღება ანალიზის გამოყენებაში.

საერთო მტრობამ ამასობაში ვერ შეძლო ხელის შეშლა, რომ ფსიქოანალიზი უახლოესი ათწლეულის მანძილზე მტკიცედ ორი მიმართულებით გავრცობილიყო: ერთი – გეოგრაფიულ რუკაზე, როცა ინტერესი მისდამი სულ ახალ ქვეყნებში ღვივდებოდა და მეორე – გონისმეცნიერებათა ველზე, რადგანაც გამოყენება ნახა სულ ახალ დისციპლინებში. 1909 წელს პრეზიდენტმა გ. სტენლი ჰოლმი (G. Stanley Hall) კლარკის უნივერსიტეტში, ვორჩესტერში (მასაჩუსეტის შტატი) ფსიქოანალიზში ლექციების წასაკითხად მიიწვია ფროიდი და იუნგი, რომელთაც წილად ხვდათ გულითადი მიღება. ამის შემდეგ ფსიქოანალიზი ამერიკაში პოპულარული გახდა, თუმცა სწორედ ამ ქვეყანაში მისი სახელით ბევრი ზერელობა და ბოროტმოქმედება კეთდებოდა. უკვე 1911 წელს (გერმანულად 1912 წელს) Havelock Ellis შეეძლო აღენიშნა, რომ ანალიზზე ზრუნავენ და მას, სწავლობენ არა მხოლოდ ავსტრიაში და შვეიცარიაში, არამედ, ზუსტად ასევე, შეერთებულ შტატებში, ინგლისში, ინდოეთში, კანადაში და, რა თქმა უნდა, ავსტრიაშიც.

ბრძოლისა და პირველი გაფურჩქვნის ხანაში აღმოცენდნენ ლიტერატურული ორგანოები, რომლებიც განსაკუთრებით ფსიქოანალიზს ემსახურებიან. ესენია: "Jahrbuch fuer psychoanalytische und psychopathologische Forschungen", გამომცემლები ბროილერი და ფროიდი, რედაქტორი ლენგი (1910–1914), რომლის გამოცემა შეწყდა მსოფლიო ომის დაწყებისთანავე; "Zentralblatt fuer Psychoanalyse" (1911), რედაქტორები ადლერი და შტეკელი, რომელიც მალე შეცვალა მკურნალმა "Internationale Zeitschrift fuer Psychoanalyse" (1913); შემდეგ 1912 წლიდან რანკისა და ზაქსის მიერ დაფუძნებული "Imago", ჟურნალი ფსიქოანალიზის გამოყენებისათვის გონისმეცნიერებებში; დიდი ინტერესი ანგლოამერიკელი ექიმებისა გამოვლინდა 1913 წელს "Psychoanalytic Review"-ს დაფუძნებით, რომელიც დღემდე არსებობს, დამფუძნებლები White და Jelliffe; მოგვიანებით 1920 წელს გამოვიდა, სპეციალურად ინგლისისათვის, ერნსტ ჯონსის (Yones) რედაქტორობით "Internationall Journal of Psycho-Analysis"; ინტერნაციონალური ფსიქოანალიზური გამომცემლობა და მისი ინგლისური შესატყვისი წარმოება (Y. PSA. Press) სახელწოდებით "ინტერნაციონალური ფსიქოანალიზური ბიბლიოთეკა", (I. PSA. Library) უშვებს ანალიზური პუბლიკაციების უწყვეტ რიგს. ბუნებრივია, ფსიქოანალიზის ლიტერატურა არა განსაკუთრებით ამ პერიოდულ გამომცემლობებშია საძიებელი, რომლებშიც უპირატესად ფსიქოანალიზური კავშირები მონაწილეობს, არამედ ურიცხვ ადგილებში გაფანტული, როგორც მეცნიერულ, ისე ლიტერატურულ საწარმოებებში. რომანული სამყაროს ჟურნალებიდან, რომლებიც განსაკუთრებით ფსიქოანალიზს აქცევენ ყურადღებას, გამოსაყოფია ქ. ლიმეში (პერუ) ჰ. დელგადოს მიერ გამოცემული "Rivista de Psiquiartria".

მეორე ათწლეულის არსებითი განსხვავება პირველისაგან იმაშია, რომ ფროიდი აღარაა მისი ერთადერთი წარმომადგენელი. მუდმივი მზარდი წრე მოსწავლეებისა და მომხრეებისა შემოიკრიბა ფროიდის გარშემო, რომელიც პირველი ზრუნავდა ფსიქოანალიზური მოძღვრების გავრცელებისათვის და აღნიშნულს შემდეგ ავრძელებდა, ავსებდა და აღრმავებდა, მომხრეებიდან წლების განმავლობაში მრავალი ჩამოშორდა, როგორც გარდაუვალი, წავიდნენ საკუთარი გზით, ანდა გადავიდნენ ოპოზიციაში, რომელიც ფსიქოანალიზის განვითარების უწყვეტელობისათვის მუქარად ჩანდა. 1911 და 1913

წლებს შორის ეს იყო კ. გ. იუნგი (ციურიხი) და ალფრედ ადლერი (ვენა), რომლებმაც ანალიზური ფაქტების სხვაგვარი ინტერპრეტაციის გზით და ანალიზის თვალსაზრისიდან გადახრის მისწრაფებით გამოიწვიეს გარკვეული შერყევა, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ამ გამოყოფას ხანგრძლივი ზიანი არ მიუყენებია. რამაც მათ დროებითი წარმატება მოუტანა, ადვილად აიხსნება მასის მზადყოფნით –განთავისუფლდეს ფსიქოანალიზური მოთხოვნების დაწოლისაგან, რისი გზაც მათ ამისათვის მუდამ ეხსნებოდათ. თანამშრომელთა უმრავლესობამ გაუძლო და გააგრძელა მუშაობა მისთვის მითითებული მიმართულებით. მათ სახელებს შემდგომ შევხვდებით ფსიქოანალიზის შედეგების ძალზე მოკლე გადმოცემაში მისი გამოყენების მრავალ სფეროში.

IV

ხმაურიანმა უარყოფამ, რაც ფსიქოანალიზმა განიცადა საქმოო სამყაროს მხრიდან, მათი მომხრეები ვერ დააცხრო ის – განვითარებულიყო, უპირველეს ყოვლისა, თავდაპირველად ნევროზების სპეციალური პათოლოგიისა და თერაპიის განზრახვით; ესაა ამოცანა, რაც ახლაც ჯერ კიდევ სრულყოფილად არაა გადაჭრილი. უდავო განკურნების შედეგი, რომელიც შორს გადის ყველა აქამომდელი მიღწეულისაგან, უბიძგებდა მუდამ ახალ მცდელობებს და სიძნელეები, რომლებიც აღმოცენდებიან მასალაში ღრმა შეღწევით, განაპირობებდნენ ანალიზური ტექნიკის სიღრმისეულ და ასევე მნიშვნელოვან შესწორებებს თეორიის დაშვებებში და წანამძღვრებში.

ფსიქოანალიზის ტექნიკა ამ განვითარების მსვლელობაში გახდა ისე განსაზღვრული და ისე დელიკატური, როგორც სხვა სამედიცინო სპეციალობა. ამ ფაქტის შეუფასებლობაში, განსაკუთრებით ინგლისსა და ამერიკაში, ძალზე ცოდავენ, როცა პირები, რომელთაც კითხვით მიიღეს ლიტერატურული ცოდნა ფსიქოანალიზის შესახებ, თავის თავს უნარის მქონედ თვლიან შეუდგნენ ანალიზურ მკურნალობას ისე, რომ განსაკუთრებული მომზადება არ მიუღიათ. ამგვარი მოქმედების შედეგი დამღუპველია როგორც მეცნიერებისათვის, ისე პაციენტებისათვის და ბევრი რამ მოიტანეს

ფსიქოანალიზის დისკრედიტაციისათვის. პირველი ფსიქოანალიზური პოლიკლინიკის დაფუძნება (1920 წელს ბერლინში აიტინგონის მიერ) სწორედ მას შემდეგ გახდა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ნაბიჯი. ეს ინსტიტუტი ცდილობს, ერთი მხრივ, ფართო მისაწვდომი გახადოს ანალიზური თერაპია ხალხის ფართო წრისათვის, მეორე მხრივ, თავზე იღებს ექიმების მომზადებას სასწავლი კურსით პრაქტიკოს-ანალიტიკოსებად, რაც მოიცავს პირობას, რომ მოსწავლე თვითონ თავის თავზე განახორციელებს ფსიქოანალიზს.

დამხმარე ცნებათა შორის, რომელიც ექიმს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლოს ანალიზურ მასალას, პირველ ადგილზე "ლიბიდოს" ცნება უნდა დასახელდეს. ფსიქოანალიზში ლიბიდო ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა (რაოდენობრივად ცალებად და გაზომვადად მოაზრებულ) ძალას, ობიექტზე მიმართულ სექსუალურ ლტოლვებს (ანალიზური თეორიით გაფართოებული მნიშვნელობა). შემდგომი შესწავლით იძულებული აღმოვჩნდით აღნიშნული, ობიექტის, ლიბიდოს გვერდით დავსვათ საკუთარ "მე"-ზე მიმართული ნარცისტული ანუ "მე"-ლიბიდო და ორივე ძალის ურთიერთმოქმედებით ნება გვეძლევა ანგარიში გავუწიოთ სულიერ ცხოვრებაში დიდ რიცხვს როგორც ნორმალური, ისე პათოლოგიური პროცესებისას. მალე აღმოჩნდა როგორც უხეში ე. წ. "გადატანის ნევროზების" გათიშვა ნარცისტული აფექციებისაგან; პირველნი (ისტერია და იძულების ნევროზი) ფსიქოანალიზური თერაპიის საკუთრივი ობიექტებია მაშინ, როცა სხვები, ნარცისტული ნევროზები – თუმცა გამოიკვლევა ანალიზის დახმარებით, მაგრამ პრინციპულ სიძნელეებს უმზადებენ თერაპევტულ ზემოქმედებას. სწორია, რომ ფსიქოანალიზის ლიბიდოს თეორია არავითარ შემთხვევაში არაა დამთავრებული და მისი მიმართება ლტოლვის ზოგად მოძღვრებასთან ჯერ კიდევ გაურკვეველია, ფსიქოანალიზი მართლაც რომ ახალგაზრდა, მთლიანობაში არამზა, სწრაფად განვითარებადი მეცნიერებაა, მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, თუ როგორი შეცდომაა პანსექსუალიზმის საყვედური, რომელსაც ფსიქოანალიზის წინააღმდეგ აყენებენ. ის ამბობს, რომ ფსიქოანალიზური თეორია არ იცნობს სხვა სულიერ ლტოლვით ძალებს, ვიდრე სექსუალური და ამით სარგებლობს პოპულარული ცრუ რწმენით, როცა ის "სექსუალურს" იყენებს არა ანალიზური,

არამედ კულგარული მნიშვნელობით.

ფსიქოანალიზს ნარცისტული აუქციებისადმი უნდა მიეკუთვნებია ყველა ის ვნება, რომელნიც ფსიქიატრიაში წოდებულია "ფუნქციონალურ ფსიქოზად". საეჭვო არაა, რომ ნევროზები და ფსიქოზები არაა გამოყოფილი ერთმანეთისაგან მკაცრი საზღვრით ისევე, როგორც ჯანმრთელობა და ნევროზი. ვფიქრობთ ასე გაუგებარი ფსიქოტური ფენომენების ახსნისათვის გაგებას მოვუხმობთ, რაც მიღებულია ასევე გაუმჯვირვალე ნევროზებთან. უკვე მისი განცალკევების დროს ფროიდმა პარანოიდური დაავადების შემთხვევა ნახევრად გახაგები გახადა ანალიზური გამოკვლევით და ამ არაორმნიშვნელოვან ფსიქოზში იგივე შინაარსები (კომპლექსები) და იგივე ძალთა ურთიერთობა აჩვენა როგორც უბრალო ნევროზებთან. ე. ბლოილერმა ფსიქოზების დიდ რაოდენობაზე ის ნიშანი გამოყო, რასაც უწოდებდა "ფროიდის მექანიზმს", ხოლო კ. გ. იუნგმა ერთი დარტყმით დიდი პატივისცემა დაიმსახურა, ვითარცა ანალიტიკოსმა, როცა მან 1907 წელს უცნაური სიმპტომებისათვის Dementia praecox-ის საბოლოო გამოსახველელში ახსნა მოგვცა ავადმყოფის ინდივიდუალური ცხოვრების ისტორიიდან. ბლოილერის მიერ შიზოფრენიის კრცელი მასალის დაშუშავებამ შემდეგ ფსიქოანალიზური თვალსაზრისის უფლებამოსილება ამ ფსიქოზების გაგებისათვის ალბათ საბოლოო გახადა.

აშნაირად, ფსიქიატრია გახდა ფსიქოანალიზის უაღლესი გამოცდების სუერო და მას შემდეგ ასეთადაც დარჩა. იგივე მკვლევარები, როგორიცაა კ. აბრაჰამი (K. Abraham) ბერლინში და შ. ფერენცი (S. Ferenczi) ბუდაპეშტში (მხოლოდ გამოჩენილები რომ დავასახელოთ), წამყვანნი დარჩნენ ასევე ფსიქოზების ანალიზურ განათებაში. დარწმუნებულობა ყველა აშლილობის ერთიანობასა და ერთმანეთისადმი კუთვნილებაში, რომელსაც ნეგროტული და ფსიქოტური ფენომენები ავლენენ, მიუხედავად ფსიქიატრიის ყოველგვარი წინააღმდეგობისა, სულ უფრო და უფრო იმარჯვებს. ვიწყებთ იმის გაგებას, რომ ნევროზების მხოლოდ ფსიქოანალიზური შესწავლა ალბათ ყველაზე უკეთ ამერიკაში შეიძლება აღმოჩნდეს ფსიქოზებისათვის მომზადებად, რომ ფსიქოანალიზი იმისთვისაა მოწოდებული, რომ შესაძლებელი გახადოს მომავლის მეცნიერული ფსიქიატრია, რომელიც

მეტად აღარ საჭიროებს საკვირველი მდგომარეობის სურათების აღწერას, გაუგებარ მიმდინარეობებსა და უხეში ანატომიური და ტოქსიკური ტრავმების ზეგავლენის მიყოლით კმაყოფილდება ჩვენი ცოდნისათვის მიუწვდომელი სულიერი აპარატით.

V

მაგრამ არასდროს არ ექნებოდა ფსიქოანალიზს ფსიქიატრიის მნიშვნელობისათვის ინტელექტუალური სამყაროს მხრიდან მიპყრობილი ყურადღება, ანდა თავისთვის ადგილი დაეკავებინა "ჩვენი დროის ისტორიაში". ეს შედეგი მომდინარეობდა ფსიქოანალიზის მიმართებიდან ნორმალური და არა პათოლოგიური სულიერი ცხოვრებისადმი. თავდაპირველად ანალიზური კვლევა სხვა არაფერს ისახავდა მიზნად, თუ არა გამოეკვლიათ ზოგიერთი ავადმყოფური სულიერი მდგომარეობის აღმოცენების პირობები (გენეზისი), მაგრამ ამ მცდელობით მან შეძლო აღმოეჩინა ფუძემდებლური მნიშვნელობის დამოკიდებულებანი, მიაღწია პირდაპირ ახალი ფსიქოლოგიის შექმნას. ასე რომ, შეიძლებოდა გვეთქვა – ამგვარი მონაპოვრის მნიშვნელობა არ შემოიფარგლება პათოლოგიის სფეროთი. ჩვენ უკვე ვიცით, როდის მოგვეცა ამ დანასკვის სისწორის გადამწყვეტი დასაბუთება. ეს იყო მაშინ, როცა ანალიზური ტექნიკით მივაღწიეთ სიზმრების ინტერპრეტაციას, სიზმრებისას, რომლებიც დიახაც მიეკუთვნებიან ნორმალურის სულიერ ცხოვრებას და მაინც შეესატყვისებიან საკუთრივ პათოლოგიურ პროდუქციებს, რომლებიც წესისამებრ აღმოცენდებიან ჯანმრთელობის პირობების ქვეშ.

თუ მტკიცედ დავდგებით ფსიქოლოგიურ გაგებაზე, რაც მიღებულია სიზმრების შესწავლით, მხოლოდ ერთი ნაბიჯღილაა გადასადგმელი, რათა ფსიქოანალიზი, როგორც ღრმად მდებარე, ცნობიერებისათვის პირდაპირ მიუწვდომელი სულიერი პროცესების შესახებ მოძღვრება, გამოვაცხადოთ, "სიღრმის ფსიქოლოგიად" და შევძლოთ გამოვიყენოთ თითქმის მთელ გონისმეცნიერებაში. აღნიშნული ნაბიჯი მდგომარეობს ერთეული ადამიანის სულიერი საქმიანობიდან ადამიანთა საზოგადოებისა და ხალხების ფსიქიკურ მიღწევებში. მაშასადამე, ინდივიდუალური ფსიქოლოგიიდან მრავალი გასაოცარი ანალოგიებით მასის ფსიქოლოგიაში გადასვლისაკენ მივი-

წევთ. მაგალითად, გავიგეთ, რომ არაცნობიერი გონით მოღვაწეობის ღრმა ფენებში დაპირისპირებულნი არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ გამოიხატებიან იგივე ელემენტით. ენის მკვლევარმა კ. აბელმა უკვე 1884 წელს წამოაყენა დებულება (იხ. Ueber den Gegensinn der Urworte), რომ ჩვენთვის ცნობილი უძველესი ენები ასე ეჭცევიან საპირისპიროს – მაგალ., ეგვიპტურს ძლიერისა და სუსტის გამოსახატავად, უწინარეს ყოვლისა, ერთი სიტყვა აქვს და მხოლოდ მოგვიანებით ანტითეზის ორივე მხარე ირიბი მოდიფიკაციით განსხვავდა. უახლეს ენებშიც ნათელი კვალი ჩანს ამ საპირისპირო აზრისა, ასე, გერმანულში "Boden", სახლის ზედა და ქვედა ნაწილებია, იმის მსგავსად როგორცაა ლათინურში "Altus" – მაღალი და ღრმა, სიზმარში საპირისპიროთა გათანაბრება ადამიანური აზროვნების ზოგადი არქაული თვისებაა.

მოვიყვანოთ მაგალითი სხვა სფეროდან; შეუძლებელია თავი აარიდო დამთხვევის შთაბეჭდილებას, რომელიც აღმოჩენილია მთელ სამყაროში გარკვეული იძულების მქონე ავადმყოფში იძულებითსა და რელიგიურ მოქმედებათა შორის. იძულების ნევროზის ზოგიერთი შემთხვევის დროს იქცევიან პირდაპირ ისე, როგორც ეს ახასიათებს გაშარჟებულ კერძო რელიგიას, ასე რომ, ოფიციალური რელიგიით მისი ზოგადობით შეიძლება შეედაროს გაზომიერებულ იძულებით ნევროზს. აღნიშნული, რა თქმა უნდა, მეტად სათაკილო შედარება ფსიქოლოგიურად მაინც ძალზე ნაყოფიერი გახდა ყველა მორწმუნისათვის, ვინაიდან ფსიქოანალიზისათვის ცნობილი გახდა, თუ რა ძალები ებრძვიან ერთმანეთს იძულების ნევროზში, სანამ მისი კონფლიქტები შექმნიდნენ სკვირველ გამოხატულებას იძულებითი მოქმედებების ცერემონიალის გზით. არაფერი მსგავსი არ იყო სავარაუდო რელიგიური ცერემონიალისთვის, ვიდრე ის მიაღწევდა რელიგიური გრძნობის დაყვანას მამისადმი დამოკიდებულებაზე, როგორც მის ულრმეს ძირზე, იმდენად აქაც ანალოგიური დინამიკური სიტუაცია დამტკიცდა, თუმცა ამ მაგალითს შეუძლია მკითხველს მოაგონოს, რომ ფსიქოანალიზის გამოყენებას არა საექიმო სფეროში გვერდს ვერ აუვლი, რომ ის დიდად ღირებულ ცრურწმენებს აზიანებს, ღრმადმიმავალ მგრძნობელობას ეხება და მტრობას იწვევს, რასაც არსებითად აფექტური საფუძვლები აქვს.

როცა ჩვენ უფლება გვაქვს დავუშვათ არაცნობიერი სულიერი ცხოვრების უზოგადესი მიმართებები (ლტოლვათა წაქეზების კონფლიქტები, განდევნები და შენაცვლებითი დაკმაყოფილებანი), როგორც ყველგან არსებული, და, როცა ფსიქოლოგია არსებობს, რომელსაც მივყავართ ამ მიმართებებთან, სამართლიანია მოლოდინი, რომ ფსიქოანალიზის გამოყენება ადამიანის გონით მოღვაწეობის მრავალფეროვან სფეროში აღმოაჩენს დღემდე მოუხელთებელ შეღეგებს. ოტო რანკისა და ჰ. ზაქსის ზედმიწევნითი შინაარსიანი გამოკვლევა ცდილობს თავი მოუყაროს იმას, თუ ფსიქოანალიტიკოსების მუშაობის ეს მოლოდინი 1913 წლამდე როგორ შესრულდა. ადგილის სიმცირე ნებას არ მაძლევს ისინი აქ სრულყოფილად წამოეთვალო, მე შემიძლია მხოლოდ უმნიშვნელოვანესი შეღეგით და ზოგიერთი დეტალით ვიხელმძღვანელო.

თუკი მხედველობაში არ მივიღებდით ნაკლებად ცნობილ შინაგან იმპულსებს, შეგვეძლო გვეთქვა, რომ ადამიანის კულტურის განვითარების მთავარი მოტორი გარეგანი რეალური საჭიროებაა, რომელიც მას მისი ბუნებრივი მოთხოვნილებების მარეგვე დაკმაყოფილებაში უარს ეუბნება და მეტად დიდი საშიშროების წინაშე ბედის ანაბარა ტოვებს. აღნიშნული გარე უარის თქმა, რომელიც გამოდიოდა ნაწილობრივ მისადმი შეგუებიდან ნაწილობრივ მისი დაუფლებიდან, მას აიძულებდა რეალობასთან ბრძოლას, ასევე – შრომით თანამშრომლობასა და ერთად ცხოვრებას თავის მსგავსთან, რითაც უკვე დაკავშირებული იყო ზოგიერთ სოციალურად დაუკმაყოფილებადი იმპულსების უარყოფასთან. კულტურის შემდგომი წარმატებით იზრდებოდა ასევე განდევნის პრეტენზიები, კულტურა საერთოდ მაინც ლტოლვის უარყოფაზეა აგებული და ყოველმა ცალკეულმა ინდივიდმა თავის გზაზე ბავშვობიდან მოწიფულობამდე, საკუთარ პერსონთან კაცობრიობის ეს განვითარება უნდა გაიმეოროს, გონივრული შეგუებით. ფსიქოანალიზმა გვიჩვენა, რომ უპირატესად თუ არა განსაკუთრებით მაინც, სექსუალური იმპულსებია, რომლებიც ექცევიან კულტურული დათრგუნვის ქვეშ. მისი ერთი ნაწილი აჩვენებს ძვირფას თვისებას, უახლოეს მიზნებზე გადაიხაროს და, ამგვარად, "სუბლიმირებული" მისწრაფებანი თავის ენერგიას აყენებს კულტურული განვითარების განკარგულე-

ბაში. მეორე ნაწილი რჩება, როგორც დაუკმაყოფილებელი სურვილის იმპულსი, არაცნობიერში და დაჟინებით მოითხოვს როგორღაც დაკმაყოფილდეს, თუგინდ გაუკუღმართებულიც იყოს.

გასაგებია, რომ ერთი ნაწილი ადამიანის გონითი მოღვაწეობისა რეალური გარესამყაროს დაუფლებაზეა მიმართული. ახლა ფსიქოანალიზი უმატებს – მეორე, განსაკუთრებით დიდად შეფასებული სულიერი შემოქმედების ნაწილი ემსახურება სურვილის ასრულებას, იმ განდევნილი სურვილების შენაცვლებით დაკმაყოფილებას, რომლებიც დაწყებული ბავშვობის წლებიდან ყოველი ადამიანის სულშია დაუკმაყოფილებლად. ამ შემოქმედებას, რომლის კავშირი მუდამაა დასაშვები მიუწვდომელ არაცნობიერთან, ეკუთვნის მითი, პოეტური შემოქმედება და ხელოვნება; ფსიქოანალიტიკოსების მუშაობამ მითოლოგიის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნების ფსიქოლოგიის სფეროში ნაძდვილად შეიტანა სინათლე. ნიმუშად აქ მხოლოდ ო. რანკის მიღწევას მოვიხსენებთ. აჩვენეს, რომ მითები და ზღაპრები ისევე ექვემდებარებიან ინტერპრეტაციას, როგორც სიზმრები, მისდევენ კავშირიან გზას, რომელსაც მივყავართ არაცნობიერი სურვილის იმპულსიდან ხელოვნების ნაწარმოებში რეალიზაციამდე; მათ გვასწავლეს გაგება ხელოვნების ნაწარმოების აფექტური ზემოქმედებისა აღმქმელზე და გაარკვიეს თვითონ ხელოვანთან მისი შინაგანი ნათესაობა და განსხვავებულობა, გვაჩვენეს კავშირი მის მიდრეკილებას, შემთხვევით განცდას და მინაღწევს შორის. თუმცა მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკურ შეფასებაზე, ასევე ხელოვნური ნიჭის გარკვევაზე როგორც ფსიქოანალიზის ამოცანაზე, ლაპარაკიც კი არ შეიძლება, მაგრამ ჩანს, რომ ფსიქოანალიზს შეუძლია ადამიანის ფანტაზიის ყველა კითხვაზე გადამწყვეტი სიტყვა თქვას.

მესამეც: ფსიქოანალიზმა შეიმეცნა, ჩვენდა განსაცვიფრებლად, თუ რა არაჩვეულებრივად მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ადამიანის სულიერ ცხოვრებაში, ე. წ. ოიდიპოსის კომპლექსი, ე. ი. ბავშვის აფექტური დამოკიდებულება ორივე მშობლის მიმართ. ეს განციფრება ზომიერდება, როცა ვიგებთ, რომ ოიდიპოსის კომპლექსი ფსიქიკური კორელაცია ორი ფუნდამენტალური ბიოლოგიური ფაქტისა – ადამიანის ხანგრძლივი ინფანტილური დამოკიდებულება

და საკვირველი სახე, თუ როგორ აღწევს მისი სექსუალური ცხოვრება სამ-ხუთ წლებში პირველ უმაღლეს მწვერვალს, რათა შეკავების პერიოდის შემდეგ პუბერტეტთან ერთად ხელახლა გააქტიურდეს. შემდეგ მიველი გაგებამდე, რომ მესამე, მეტად სერიოზული ნაწილი ადამიანის გონით საქმიანობისა, ის, რომელმაც შექმნა დიდი ინსტიტუტები რელიგიისა, სამართლისა, ეთიკისა, და სახელმწიფოებრიობის ყველა ფორმები, არსებითად იმას უმიზნებს, რომ ერთეულმა შეძლოს თავისი ოიდიპოსის დაძლევა და მისი ლიბიდო ინფანტილური დაკავშირებიდან საბოლოოდ სასურველ სოციალურში გადაიტანოს. ფსიქოანალიზის გამოყენება რელიგიის მეცნიერებაში და სოციოლოგიაში (ფროიდი თ. რაიკი, ო. პფისტერი), რომლებიც ალნიშნულ შედეგამდე მივიდნენ, ჯერ კიდევ ნორჩია და არასაკმარისად შეფასებული, მაგრამ არ უნდა დავეჭვდეთ, რომ შემდგომი შესწავლა მხოლოდ აამაღლებს ამ მნიშვნელოვანი განმარტების სანდოობას.

დამატების სახით უნდა მოვიხსენიო, რომ პედაგოგიკამაც ხელიდან არ უნდა გაუშვას, არამედ გამოიყენოს, რასაც მას აძლევს ბავშვის სულიერი ცხოვრების ანალიზური გამოკვლევა. მოგვიანებით თერაპევტთა შორის გაისმა ხმები (Groddeck, Jelliffe), რომლებიც აცხადებენ მძიმე ორგანული დაავადების ფსიქოანალიზურ მკურნალობას შანსის მქონედ, ვინაიდან მრავალ ამ აფექციებთან აგრეთვე ფსიქიკური ფაქტორი მონაწილეობს, რომელზედაც შეიძლება ზემოქმედების მოხდენა.

ელოდებიან, რომ ფსიქოანალიზი, რომლის განვითარება და აქამდელი მიღწევა აქ გაღმოიცა შემჭიდროებულად და არასაკმარისად, მომდევნო ათწლეულში კულტურული განვითარების მნიშვნელოვანი ფერმენტი გახდება, დაგვეხმარება გააღრმაოს ჩვენი სამყაროს გაგება და ზოგიერთს, ცხოვრებაში როგორც არასწორი შეცნების მქონეს, დაუპირისპირდეს. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფსიქოანალიზს მარტოდმარტო თავისთვის არ შეუძლია სამყაროს სრულყოფილი სურათის მოცემა. თუკი განსხვავებას მიიღებენ, რაც მოკლედ შემოგთავაზეთ, რომელიც სულიერ აპარატს ეროს გარესამყაროსადმი მიმართულ, ცნობიერებით შეიარაღებულ "მე"-დ და არაცნობიერ ლტოლვითი მოთხოვნილების მფლობელ "ეს"-დ, მაშინ ფსიქოანალიზი უნდა იწოდოს "ეს"-ს და "მე"-ზე

მისი ზემოქმედების ფსიქოლოგიად. მაშასადამე, მას შეუძლია ცოდნის ყოველ სფეროში მხოლოდ წვლილი შეიტანოს, რომელიც "მე"-ს ფსიქოლოგიიდან ივსება. როცა ეს წვლილი ხშირად შეიცავს სწორედ არსებით მომენტს საქმის ვითარებისას, მაშინ ის შეესატყვისება მხოლოდ იმ მნიშვნელობას, რომლითაც ჩვენი ცხოვრებისათვის დიდხანს შეუმეცნებლად დარჩენილ სულიერ არაცნობიერს უფლება აქვს პრეტენზია განაცხადოს.

მე და ეს

(1923)

წინამდებარე მიმოხილვა აგრძელებს იმ აზრთა მსვლელობას, რომელიც დაიწყო ჩემს წერილში "სიამოვნების პრინციპის მიღმა", 1920 წელს*, რომელსაც მე პიროვნულად, როგორც ეს იქაა მოხსენებული, გარკვეული კეთილი ცნობისმოყვარეობით ვუპირისპირდებოდი. ის იმ აზრებს იღებს, აკავშირებს მათ ანალიზური დაკვირვების განსხვავებულ ფაქტებთან, ცდილობს ამ გაერთიანებიდან ახალი დასკვნების გამოტანას, მაგრამ ბიოლოგიას ხელახლა არ ესესხება და, ამდენად, უფრო ახლო დგას ფსიქოანალიზთან, ვიდრე ჩემი წიგნი – "სიამოვნების პრინციპის მიღმა". ის უფრო ატარებს სისთეზის ხასიათს, ვიდრე სპეკულაციისას და იხახავს, როგორც ჩანს, მაღალ მიზანს. მაგრამ მე ვიცი, რომ ის ჩერდება უძნელესის წინაშე და ამ შეზღუდვას სავსებით ვეთანხმები.

ამასთან ის ეხება საგნებს, რომელიც აქამდე ჯერ კიდევ არ გამხდარა ფსიქოანალიზური დამუშავების საგანი და არ გამოირიცხება ზოგიერთ თეორიასთან შეხება, რომლებიც არაანალიტიკოსებმა ანდა ყოფილმა ანალიტიკოსებმა, რომლებმაც ანალიზი მიატოვეს, წამოაყენეს. მე, ჩვეულებრივ, ყოველთვის მზად ვარ ვალიარო ჩემი დაკავშირება სხვა მუშაკებთან, მაგრამ ამ შემთხვევაში არ ვგრძნობ თავს დამძიმებულად ასეთი მადლიერების ვალდებულებით. თუკი ფსიქოანალიზმა აქამდე გარკვეული საგნები ვერ შეიფასა, ეს იმიტომ კი არ მომხდარა, რომ ის ვერ ამჩნევდა მათ მიღწევებს, ანდა მათი მნიშვნელობის უარყოფა ნებავდა, არამედ იმიტომ, რომ განსაზღვრულ გზას მიჰყვებოდა, რომელიც ჯერ კიდევ ასე შორს არ იყო წასული და საბოლოოდ, როცა ფსიქოანალიზი მასთან მივიდა, მას სხვებთან შედარებით საგნებიც სხვაგვარად წარმოუდგა.

---

* Gess. Werke, XIII.

I

ცნობიერება და არაცნობიერი

ამ შესავალ მონაკვეთში სათქმელი ახალი არაფერია და ხშირად თავს ვერ დავაღწევ ადრე ნათქვამის გამეორებას.

ფსიქოანალიზის ძირითადი წინამძღვარია ფსიქიკურში ცნობიერისა და არაცნობიერის განსხვავება, და მხოლოდ ის აძლევს მას შესაძლებლობას გავიგოთ სულიერ ცხოვრებაში ხშირი და მნიშვნელოვანი პათოლოგიური პროცესები და მეცნიერულად შევისწავლოთ ისინი. ერთხელ კიდევ სხვაგვარად რომ ვთქვათ: ფსიქოანალიზს არ შეუძლია ფსიქიკურის არსი ცნობიერებაში გადაიტანოს, არამედ მან უნდა განიხილოს ცნობიერება ფსიქიკურის თვისებად, რომელიც სხვა თვისებებს ემატება ან აკლდება.

თუკი წარმოვიდგენდი, რომ ყველა ფსიქოლოგიით დაინტერესებული ამ ნაშრომს წაიკითხავდა, ასევე მზად ვიქნებოდი იმისათვისაც, რომ ამ ადგილზე მკითხველთა ერთი ნაწილი შეწერდებოდა და შემდგომ არ წამყვებოდა, ვინაიდან აქაა ფსიქოანალიზის პირველი შიბოლეტი*. ბევრ ფილოსოფიურად განათლებულთათვის იდეა ფსიქიკურისა, რომელიც აგრეთვე ცნობიერი არაა, იმდენად გაუგებარია, რომ ეჩვენებათ აბსურდულად და შეუთავსებლად მარტივ ლოგიკასთან. მგონია, ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მათ არასდროს არ შეუსწავლიათ ჰიპნოზისა და სიზმრის შესატყვისი ფენომენები, რომლებიც პათოლოგიურს რომ მთლიანად თავი დავანებოთ – გვაიძულებენ ასეთ გაგებას. მაგრამ მათი ცნობიერების ფსიქოლოგია უუნაროცაა გადაწყვიტოს სიზმრისა და ჰიპნოზის პრობლემები.

ცნობიერად ყოფნა, უპირველეს ყოვლისა, ესაა წმინდა დესკრიფციული ტერმინი, რომელიც ყველაზე უშუალო და საიმედო აღქმას ემყარება. გამოცდილება შემდგომ გვიჩვენებს, რომ ფსიქიკური ელემენტი, მაგალითად, წარმოდგენა ჩვეულებრივ ხანგრძლივად არაა ცნობიერი. პირიქით, დამახასიათებელია, რომ ცნობიერების მდგომარეობა სწრაფწარმავალია; ამჟამად ცნობიერი წარმოდგენა მომდევნო მომენტში ასეთი აღარაა, მაგრამ შეუძლია ისევ გახდეს ცნობიერი ცნობილ ადვილად მიღწევად პირობებში. როგორი იყო ის შუალედურ პერიოდში, არ ვიცით; შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის იყო **ლატენტური** და ამასთან გვულისხმობთ, რომ ის ყველ მომენტში იყო **ცნობიერების უნარის შქონე**. ასევე, თუ ვიტყვით, რომ ისაა **არაცნობიერი**, ამით ზუსტ აღწერას მივცემთ, მაშინ ეს არაცნობიერი დაემთხვევა ლატენტური ცნობიერების უნარის მქონეს. თუმცა ფილოსოფოსები შეგვეპასუხებიან: არა, ტერმინ არაცნობიერს აქ არ აქვს გამოყენება; სანამ წარმოდგენა ლატენტურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ის, საერთოდ, არ იყო არავითარი ფსიქიკური. თუკი ამ ადგილზე ერთმანეთს შევეწინააღმდეგებოდით, დავიწყებდით სიტყვებზე დავას, რისგანაც ვერაფერს მივაღწევდით.

არაცნობიერის ტერმინთან თუ ცნებასთან სხვა გზით მივედით გამოცდილების დამუშავებით, რომელშიც გარკვეულ როლს თამაშობს სულიერი **დინამიკა**. ჩვენ მივიღეთ გამოცდილება, ე. ი. უნდა დავუშვათ, რომ არის უძლიერესი სულიერი პროცესები ანდა წარმოდგენები – აქ საქმე გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, რაოდენობრივ, მაშასადამე, ეკონომიკურ მომენტთან, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ ისეთივე შედეგები სულიერი ცხოვრებისათვის, როგორიც ყველა სხვა წარმოდგენას, ასევე ისეთი შედეგებიც, რომელნიც ისევ შეიძლება გაცნობიერდნენ, თუმცა თვითონ ცნობიერნი არ არიან. საჭირო არაა, აქ დაწვრილებით გავიმეოროთ ის, რაც უკვე ასე ხშირადაა გადმოცემული. საკმარისია, ამ ადგილზე იწყება ფსიქოანალიზური თეორია და ის ამტკიცებს, რომ ასეთი წარმოდგენები არ შეიძლება ცნობიერნი იყვნენ, ვინაიდან მათ უპირისპირდება გარკვეული ძალა, რომ აღნიშნულის გარეშე ისინი შეიძლებოდა ცნობიერნი ყოფილიყვნენ და მაშინ დაინახავდნენ, თუ რა მცირედ განსხვავდებოდა ის სხვა აღიარებული ფსიქიკური ელემენტებისაგან. ეს თეორია დაურღვეველია იმით, რომ მან ფსიქოანალიზურ ტექნიკაში საშუალებანი ნახა, რომელთა დახმარებით შეუძლია თავიდან ჩამოიშოროს საწინააღმდეგო ძალა და შესატყვისი წარმოდგენები შეუძლია ცნობიერნი გახადოს. მდგომარეობას, რომელშიც აღნიშნული იმყოფება ცნობიერებამდე, ვუწოდებთ **განდევნას**, ხოლო ძალას, რომელიც განდევნას იწვევს და ეხმარება, განიცდება ანალიზური მუშაობის დროს – **წინააღმდეგობას**.

მაშ, არაცნობიერის ჩვენ ცნებას ვღებულობთ განდევნის მოძღვრებიდან. განდევნილი ჩვენთვის არაცნობიერის ნიმუშია. მაგრამ

---

* განსაკუთრებულობა, განმასხვავებელი. (რედ. შენიშვნა)

ჩვენ ვხედავთ რომ გვაქვს ორნაირი არაცნობიერი – ლატენტური, მაინც ცნობიერების უნარის მქონე და განდევნილი, რომელიცაა თავისთავად და, ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, ცნობიერების უნარის არამქონე. ჩვენმა ნაცნობობამ ფსიქიკურ დინამიკასთან არ შეიძლება გავლენის გარეშე დატოვოს ნომენკლატურა და აღწერა. ჩვენ ლატენტურს ვუწოდებთ იმას, რომელიც მხოლოდ დესკრიფციული არაცნობიერია, არადინამიკური მნიშვნელობით, **წინაცნობიერს**; არაცნობიერის სახელწოდებით შემოვიფარგლებით დინამიკური არაცნობიერისათვის. ასე რომ, ახლა სამი ტერმინი გვაქვს: ცნობიერი (bw), წინაცნობიერი (vbw) და არაცნობიერი (ubw), რომელთა მნიშვნელობა უკვე აღარაა წმინდა დესკრიფციული. ვუშვებთ, რომ წინაცნობიერი (vbw) ბევრად ახლო დგას ცნობიერებასთან (bw) ვიდრე არაცნობიერი (ubw) და ვინაიდან არაცნობიერს (ubw) ფსიქიკური ვუწოდეთ, მით უფრო უჭველია ასევე მოვიქცეთ ლატენტური წინაცნობიერის (vbw) მიმართ. მაგრამ რატომ არ გვინდა ფილოსოფოსებს დავეთანხმოთ და ცნობიერი ფსიქიკისაგან გავთიშოთ თანამიმდევრულად წინაცნობიერი (vbw) არაცნობიერისგან (ubw). მაშინ ფილოსოფოსები შემოგვთავაზებდნენ წინაცნობიერი (vbw) და არაცნობიერი (ubw) აგვეწერა როგორც ორი სახე ოუ საფეხური ფსიქოიდურისა და თანხმობაც აღგებოდა. მაგრამ ამის შედეგი იქნებოდა უსასრულო სიძნელეები გადმოცემაში და ერთადერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ფსიქოიდი თითქმის ყველა სხვა პუნქტში აღიარებულ ფსიქიკას ემთხვევა. განდევნებოდა უკანა რიგში ცრურწმენის გამო, იმ ცრურწმენისა, რომელიც იმ დროიდან მოდის, როცა ამ ფსიქოიდის, ანდა უმნიშვნელოვანესს მათ შორის ჯერ კიდევ არ იცნობდნენ.

შეგვიძლია ჩვენი სამი ტერმინით – ცნობიერი (bw), წინაცნობიერი (vbw) და არაცნობიერი (ubw) – მოხერხებულად ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ თუკი არ დავივიწყებთ, რომ დესკრიფციული აზრით ორნაირი არაცნობიერია, ხოლო დინამიკურით – მხოლოდ ერთი. გადმოცემის ზოგიერთი მიზნისათვის ეს განსხვავება უგულვებელყოფა, სხვა შემთხვევაში ის, ბუნებრივია, შეუნაცვლებელია. მაინც არაცნობიერის ორ მნიშვნელობას საკმაოდ შევეჩვიეთ და მას კარგად შევეწყვეთ; რამდენადაც შემიძლია დავინახო, მას თავი არ აერიდება. საბოლოოდ განსხვავება ცნობიერსა და არაცნობიერს შორის აღქმის საკითხია, რომელზეც პასუხი გაიცემა ჰო-თი ან არა-თი და თვითონ

აღქმის აქტი მის შესახებ არ გვაძლევს ცნობას, რომლითაც საფუძველი გვეძლევა რაიმეს აღქმისა, ან არ აღქმისა. მის შესახებ უფლება არ აქვთ ნანობდნენ, რომ მოვლენილი დინამიკური გარკვეულობა მხოლოდ ორმნიშვნელოვან გამოხატულებას პოულობს*.

მაგრამ ფსიქოანალიზური მუშაობის შემდგომ მსვლელობაში ირკვევა, რომ ეს განსხვავებანიც არასაკმარისია, პრაქტიკულად არადამაკმაყოფილებელია. ამის მაჩვენებელ სიტუაციებს შორის გადამწყვეტია შემდეგი. ჩვენ წარმოვიდგინეთ ერთ პირში სულიერი პროცესების დამაკავშირებელი ორგანიზაცია და მას ვუწოდებთ "მე"-ს. ამ "მე"-ზეა დამოკიდებული ცნობიერება. ის ბატონობს მოძრაობის მისადგომებზე; ესაა გარესამყაროში აგზნების განმუხტვა. ეს ისეთი, ყველა მისი ნაწილობრივი პროცესების მაკონტროლებელი სულიერი ინსტანციაა, რომლითაც გარკვეული სულიერი სწრაფვანი სალამოს იძინებს და შემდეგ მულამ ისევ სიზმრის ცენზურას ართმევს. ამ "მე"-დან მომდინარეობს ასევე განდევნები, რომლითაც გარკვეული სულიერ მისწრაფებანი არა მხოლოდ ცნობიერებიდან გამოითიშებიან, არამედ ღირებულებისა და ქმედების სხვა სახეთა-

---

* შად. Bemerkungen ueber den Begriff des Unbewufsten (G. W. VIII). ამ აზრზე შეფასებას იმსახურებს ახლებური მიდგომა არაცნობიერის კრიტიკაში. მრავალი მკვლევარი, რომლებიც არ უარყოფენ ფსიქოანალიზური ფაქტების აღიარებას, მაგრამ არაცნობიერის მიღება არ ნებავთ, უდავო ფაქტების დახმარებით იქმნიან წარმოდგენას, რომ ცნობიერებაც – როგორც ფენომენი – გვთავაზობს ინტენსიობით, ანდა სიცხადის საფეხურების გრძელ რიგს. ისევე, როგორც განცდება არსებობა, ძალზე ცოცხლად, მკვეთრად, ნათლად ცნობიერი პროცესებისა, ისევე გასცდეთ სხვებსაც, რომლებიც მხოლოდ სუსტად, ძლივს შესამჩნევად ცნობიერია და ყველაზე უფრო სუსტად ცნობიერია სწორედ ისეთი, რომელთათვისაც ფსიქოანალიზს ნებავს გამოიყენოს არაშესატყვისი სიტყვა – არაცნობიერი. მაგრამ ისინი ხომ მაინც ცნობიერია, ანდა "ცნობიერებაშია" და მთელი სიძლიერით გადაიქცევა ცნობიერად, თუკი მათ საკმაო ყურადღებას მიაპყრობენ.

რამდენადაც ასეთ ან კონვენციაზე, ან გრძნობის მომენტებზე დამოკიდებული საკითხების გადაწყვეტაზე შეიძლება ზეგავლენის მოხდენა არგუმენტების გზით, აქ შეიძლება უნდა შეინიშნოს: მითითებას ცნობიერების სიცხადის შკალაზე არაფერი აქვს სავალდებულო და დასაბუთების უფრო მეტი ძალა არ გააჩნია, ვიდრე ამაღლებულ დებულებას – არის ამდენი საფეხური სინათლისა დაწყებული მკვეთრი, თვალისმომჭრელი სინათლიდან დამთავრებული სინათლის სუსტი ბუტბუტის გაელგარებით, მაშასადამე არ არსებობს საერთოდ სიბნელე – ანდა, რომ არსებობს სიცოცხლის სხვადასხვა ხარისხი, მაშასადამე არ არსებობს სიკვდილის დებულე-

განაც. განდევნის გზით ეს ჩამოცილებული ანალიზში "მე"-ს უპირისპირდება და ანალიზის წინაშე ამოცანა ისმის, მოხსნას წინააღმდეგობის გაწევა, რომელსაც "მე" გამოხატავს განდევნილთან მუშაობის მიმართ. ანალიზის დროს ვაკვირდებით, რომ ავადმყოფი სიძნელეებს აწყდება, როცა კი მას გარკვეულ ამოცანებს უსვამენ; მაგრამ მისი ასოციაციები ქრებიან, თუკი ისინი განდევნილს უნდა მიუახლოვდნენ. მაშინ ჩვენ მას ვეუბნებით, რომ ის იმყოფება წინააღმდეგობის გაწევის ბატონობის ქვეშ, თუმცა მან ამის შესახებ არაფერი იცის და თვითონ მაშინაც კი, როცა უსიამოვნების გრძნობების საფუძველზე უნდა მიხვდეს, რომ მასში წინააღმდეგობა მოქმედებს, ვერ ამახვილებს და ვერ მიუთითებს მასზე, მაგრამ, რამდენადაც ეს წინააღმდეგობა გარკვეულად მოშდინარეობს მისი "მე"-დან და მას ეკუთვნის, ჩვენ აღმოვჩნდებით გაუთვალისწინებელ სიტუაციაში. ჩვენ ვნახეთ თვითონ "მე"-ში რალაც, რაც ასევე არაცნობიერია, სწორედ ისე იქცევა როგორც განდევნილი, ე. ი. ძლიერ ზემოქმედებას ახდენს მიუხედავად იმისა, რომ თვითონ გაცნობიერდეს და მისი გაცნობიერებისათვის განსაკუთრებულ მუშაობას საჭიროებდეს. ამ გამოცდილების შედეგი ანალიზური პრაქტიკისათვის ისაა, რომ ჩვენ აღმოვჩნდებით უსასრულოდ მრავალი ბუნდოვანობისა და სიძნელის წინაშე, თუკი მოვიმარჯვებთ ჩვენ ჩვეულებებს, დიახაც, შესაძლებელია გარკვეულწილად აზრის მქონე იყოს, მაგრამ პრაქტიკულად მიუღებელია, რაც მაშინვე აღმოჩნდება, თუკი მისგან გამოვიყვანთ დასკვნებს მაშ, არაა საჭირო სინათლის ანთება, ანდა, მაშ, ყველა ორგანიზმი უკვდავია. შემდეგ შეუმჩნეველის მოთავსებით ცნობიერებაში ვაღწევთ იმას, რომ ვლუპავთ ერთადერთ უშუალო სარწმუნობას – ჩვეულებრივ ფსიქიკას რომ აქვს. ცნობიერება, რომლის შესახებაც არაფერი იცით, მეჩვენება უფრო მეტად აბსურდულად, ვიდრე არაცნობიერი სულიერი. საბოლოოდ ასეთი შედარება შეუმჩნეველისა არაცნობიერთან, ცხადია, ხდება დინამიკური დამოკიდებულების გაუთვალისწინებლად, რომელიც ფსიქოანალიზური გაგებისათვის გადამწყვეტი იყო, ვინაიდან ამასთან ორი ფაქტი უგულვებელიყოფოდა: პირველი, ძალზე ძნელია მოითხოვო დიდი ძალისხმევა, რათა ასეთ შეუმჩნეველს საქმის ყურადღება მიაპყრო და მეორეც, თუკი აღნიშნული მიიღწევა, მაშინ მანამ შეუმჩნეველი, ახლა ცნობიერების მიერ ვერ იცნობა; საქმიად ხშირად ის სავსებით უცხოდ, საპირისპიროდ ეცილება მას და მისგან მკვეთრად უკუიგდება. არაცნობიერიდან ნაკლებად შესაძინევ და შეუმჩნეველზე რეკურსი, მაშ, ჯერ კიდევ მხოლოდ წინასწარშექმნილი მცდარი აზრის ნაშიერია, რომლისთვისაც სამუდამოდაა დადგენილი ფსიქიკურის იდენტობა ცნობიერებასთან.

რივი გამოთქმების წესებს და მაგალითად, ნევროზს დავიყვანთ ცნობიერსა და არაცნობიერს შორის კონფლიქტზე. ამოსული ჩვენი თვალსაზრისიდან, უნდა ამ დაპირისპირებისათვის სულიერი ცხოვრების სტრუქტურული დამოკიდებულება სხვით შევცვალოთ; ესაა დაპირისპირება "მე"-სა და მისგან გახლეჩილ განდევნას შორის.

მაგრამ შედეგები გამომდინარე არაცნობიერის ჩვენი გაგებიდან ყურო მნიშვნელოვანია. დინამიკურმა განხილვამ მოგვიტანა პირველი შესწორება, ხოლო სტრუქტურულ თვალსაზრისს – მოაქვს მეორე. ვალიარეთ, რომ არაცნობიერი (ubw) არ ემთხვევა განდევნილს, სწორია, რომ ყველა განდევნილი არსებობს არაცნობიერად (ubw), მაგრამ არა ყველა არაცნობიერი (ubw) არის განდევნილი, ასევე ნაწილი "მე"-სი, ღმერთმა უწყის როგორი მნიშვნელოვანი ნაწილი, "მე"-სი, შეიძლება იყოს არაცნობიერად (ubw) და არის კიდეაც შეუჭველად არაცნობიერად (ubw) და ეს "მე"-ს არაცნობიერი (ubw) არაა ლატენტური წინაცნობიერის (vbw) სახით, თორემ არ გააქტიურდებოდა არაცნობიერად (ubw) ყოფნის გარეშე და მისი გაცნობიერება არ მოგვიმზადებდა ასე დიდ სიძნელეებს. როცა, ამგვარად, ვცდავართ საჭიროების წინაშე ვალიაროთ მესამე, არა განდევნილი არაცნობიერი (ubw), უნდა ვთქვათ, რომ არაცნობიერობის ხასიათი ჩვენთვის მნიშვნელობას ჰკარგავს; ის იქცევა იმ მრავალმნიშვნელოვან თვისებად, რომელიც შორსმწვდომ და განსაკუთრებულ შედეგებს არ გვაძლევს, რისთვისაც მას სიამოვნებით გამოვიყენებდით. მაინც უნდა მოვერიდოთ მის უგულვებელყოფას, ვინაიდან საბოლოოდ თვისება ცნობიერ–არაცნობიერი ერთადერთი სინათლის სხივია სიღრმის ფსიქოლოგიის წყვდიადში.

II

"მე" და "ეს"

პათოლოგიურმა კლევამ ჩვენი ინტერესები განსაკუთრებით წარმართა განდევნილისაკენ. ჩვენ გვსურს მეტი გავიგოთ "მე"-ს შესახებ მას შემდეგ, რაც ვიცით, რომ "მე"-ც შეიძლება იყოს არაცნობიერი საკუთრივი მნიშვნელობით. ჩვენი ერთადერთი საყრდენი კვლევა-ძიების დროს აქამდე იყო ცნობიერების, ანდა არაცნობიერის

ნიშანი; ბოლოს დავინახეთ, თუ აღნიშნული რა მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს.

მთელი ჩვენი ცოდნა მუდამ დაკავშირებულია ცნობიერებასთან. არაცნობიერიც (ubw) შეგვიძლია გავიცნოთ იმით, რომ მას ცნობიერს ვხდით, მაგრამ როგორაა ეს შესაძლებელი? რას ნიშნავს რაიმეს გაცნობიერება? როგორ შეიძლება ეს მოხდეს?

უკვე ვიცით, საიდან უნდა ამოვიდეთ. ვთქვათ, რომ ცნობიერება სულიერი აპარატის **ზედაპირია**, ე. ი. მას მივაწერეთ ფუნქციობა სისტემისა, რომელიც სივრცობრივად პირველია გარესამყაროს მხრიდან, სივრცობრივად, თუმცა არა მხოლოდ ფუნქციის მნიშვნელობით, არამედ ამჯერად ანატომური დაფიქსის აზრითაც*. ჩვენმა კვლევამაც ამოსავლად უნდა მიიღოს აღნიშნული აქმადი ზედაპირი.

თავიდანვე ცნობიერადაა (bw) ყველა აქმა, რომლებიც გარედან მოდის (გრძნობადი აქმები და ასევე შიგნიდან, რასაც ვუწოდებთ შეგრძნებებსა და გრძნობებს), მაგრამ როგორაა საქმე იმ შინაგან პროცესებთან, რომელთაც ჩვენ – უხეშად და არაზუსტად – აზროვნების პროცესებად ვაერთიანებთ? ეს პროცესები, რომლებიც ხდებიან სადღაც აპარატის შიგნით, როგორც სულიერი ენერგიის გადაწევა მოქმედების გზაზე, აღწევენ თუ არა ზედაპირს, რაზედაც ცნობიერება აღმოცენდება? თუ ცნობიერება მათთან მიდის? შევნიშნავთ, ესაა ერთი ძნელეთაგანი, რომელიც თავს იჩენს მაშინვე, როცა ჩვენ სერიოზულად ვფიქრობთ სულიერი პროცესის ვრცელზე, ტოპიკურ წარმოდგენაზე. ორივე შესაძლებლობა ერთსაირად წარმოუდგენელია, უნდა არსებობდეს მესამე შემთხვევა.

სხვა ადგილას** დავუშვი კიდეცაც, ნამდვილი განსხვავება ცნობიერი და არაცნობიერი წარმოდგენისა (აზრისა) იმაში მდგომარეობს, რომ პირველი ხდება რომელიღაც მასალაზე, რომელიც შეუმეცნებელი რჩება მაშინ, როცა უკანასკნელი (vbw) უკავშირდება **სიტყვათა წარმოდგენებს**. აქ პირველად შევეცადეთ ორივე სისტემისათვის მოგვეცა წინაცნობიერი (vbw) და არაცნობიერი (ubw) აღნიშვნები, რომლებიც სხვაა, ვიდრე ცნობიერებასთან მიმართება. კითხვა – როგორ ხდება რაიმე ცნობიერი, უფრო მიზანშეწონილად

* შეად. Jenseits des Lustprinzips.

** Das Unbewusste (G. W. X).

ასე ვღერს – წინაცნობიერად? პასუხი ასეთი იქნებოდა: შესატყვის სიტყვათა წარმოდგენებთან დაკავშირების გზით.

სიტყვათა ეს წარმოდგენები არიან მოგონებათა კვლები, ისინი ერთი დროს აღქმები იყვნენ და შეუძლიათ, როგორც ყველა მოგონების კვალს, ისევ გაცნობიერდნენ. სანამ კიდევ შემდგომ ვმსჯელობთ მისი ბუნების შესახებ, ამოტივტივდება ახალი თვალსაზრისი: ცნობიერად გახდომა შეუძლია მხოლოდ მას, რაც უკვე ერთხელაც ცნობიერად (bw) აღქმა იყო და რასაც, გარდა გრძნობებისა, შიგნიდან ხვდავს ცნობიერი გახდეს, უნდა შეეცადოს გარე აღქმებში გარდაქმნას. ეს შესაძლებელია მოგონების კვლების საშუალებით.

ვფიქრობთ, მოგონების კვლები იმ სისტემებშია, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებიან ცხადი ცნობიერების სისტემას იხე, რომ დამუხტვა ადვილად გრძელდება ამ სისტემის ელემენტებზე შიგნიდან. აქ მაშინვე ვფიქრობთ ჰალუცინაციაზე და ფაქტზე, რომ უცხოელესი მოგონება მაინც განსხვავდება ჰალუცინაციისგან იხე, როგორც გარეგანი აღქმისაგან; ხოლო ასევე სწრაფად იწყება ცნობა, რომ მოგონების გაცოცხლებასთან დამუხტვა რჩება მოგონების სისტემაში მაშინ, როცა აღქმისაგან განურჩეველი ჰალუცინაცია შეიძლება აღმოცენდეს, თუკი მუხტი არა მხოლოდ მოგონების კვალიდან ცხად ელემენტზე ვრცელდება, არამედ სავსებით გადადის მასზე.

სიტყვათა კვლები წარმოსდგებიან არსებითად აკუსტიკური აღქმებიდან, ასე რომ, ერთდროულად თითქოს მოცემული იყოს განსაკუთრებული შეგრძნებადი საწყისი წინაცნობიერი სისტემისათვის (vbw). სიტყვის წარმოდგენის ვიზუალური შემადგენელი ნაწილები შეიძლება როგორც მეორეული, კითხვიდან მიღებული, უპირველეს ყოლისა, უგულვებელიყოს და ასევე – სიტყვის მოძრაობის ხატებიც, რომლებიც ყრუ-მუნჯებთან თამაშობენ საყრდენი ნიშნის როლს. სიტყვა მაინც საკუთრივ წარმოადგენს მოსმენილი სიტყვის მოგონების ნარჩენს.

უფლება არ გვაქვს სიმარტივის გამო საგნების შესახებ ოპტიკური მოგონების ნარჩენების მნიშვნელობა დავივიწყოთ, ანდა უარვყოთ, რომ აზროვნების პროცესების ცნობიერად გახდომა ვიზუალურ ნარჩენებზე დაყვანითაა შესაძლებელი და მრავალ პირთან უპირატესად მოჩანს. ამ ვიზუალური აზროვნების თავისებურების,

შესახებ შეიძლება წარმოდგენა მოგვცეს სიზმრების შესწავლამ და ი. ჯარენდონკის დაკვირვების მიხედვით წინაცნობიერმა ფანტაზიებმა გვებულობთ, რომ მასთან ხშირად მხოლოდ აზროვნების კონკრეტული მასალა ცნობიერდება, მაგრამ მიმართებისთვის, რომლებიც აზრებს განსაკუთრებით ახასიათებთ, ვიზუალური გამოსახვა არ შეიძლება იყოს მოცემული. აზროვნება ხატებით, მაშ, არის ძალზე არასრულყოფილი გაცნობიერება. ის როგორღაც ახლო დგას არაცნობიერ პროცესებთან, ვიდრე აზროვნება სიტყვებით და, უეჭველად, ონტოგენეტურად და ფილოგენეტურად უფრო ძველია, ვიდრე აღნიშნული.

მაშ, რაკი ჩვენს არგუმენტს დავუბრუნდებით, თუკი გზა ასეთია – როგორ ხდება რაღაც თავისთავად არაცნობიერი წინაცნობიერად? კითხვაზე, როგორ ვაქცევთ რაღაც განდევნილს (წინა) ცნობიერად – ვპასუხობთ: როცა ასეთ წინაცნობიერ (vbw) შუაწევრს აღვადგენთ ანალიზური შუშაობით, ცნობიერება რჩება თავის ადგილზე, მაგრამ არაცნობიერიც (ubw) არ ადის ცნობიერებამდე (bw).

მაშინ, როცა გარე აქმის მიმართება "შე"-სადმი სავსებით ცხადია, მიმართება შინაგანი აქმისა "შე"-სადმი მოითხოვს განსაკუთრებულ გამოკვლევას. აქედან ერთხელ კიდევ აღმოცენდება ეჭვი, ნამდვილად საშარლიანად ვიქცევით თუ არა, ყველა ცნობიერება დაკავშირდეს ცხადი ცნობიერების (W–bw) ზედაპირულ სისტემასთან.

შინაგანი აქმა გვაძლევს პროცესების შეგრძნებებს სულ სხვადასხვა, რა თქმა უნდა, სულიერი აპარატის უღრმესი ფენებისაც კი. ისინი ცუდადაა ცნობილნი და მათი საუკეთესო ნიმუშია სიამოვნება – უსიამოვნების რიგი, ისინი ყველაზე ადრეულია, ელემენტარულია, ვიდრე გარედან აღმოცენებულნი, შეუძლიათ აღმოცენდნენ ბუნდოვანი ცნობიერების მდგომარეობაშიც. მათ დიდ ეკონომიკურ მნიშვნელობასა და მათ მეტაფსიქოლოგიურ დაფუძნებაზე სხვა ადგილზე მოგახსენებთ. აღნიშნული შეგრძნებები მულტილოკალურია, როგორადაც გარეგანი აქმები, შეუძლიათ ერთდროულად მოვიდნენ განსხვავებული ადგილებიდან და, ამასთან, ჰქონდეთ განსხვავებული, საპირისპირო თვისებებიც კი.

სიამოვნების ბუნების მქონე შეგრძნებებს თავისთან არ გააჩნიათ არავითარი განდევნილი. ასეთი აქვთ, საპირისპიროდ, უმაღლესი, ხარისხის უსიამოვნების შეგრძნებებს. აღნიშნულნი მოითხოვენ

ცვლილებებს, განმუხტვას და ამიტომ მას ინტერპრეტირებას ვაძლევთ უსიამოვნებისას, როგორც ენერგიის მუხტის ამაღლებას, სიამოვნებისას, როგორც მის დაქვეითებას. სულიერ მდინარებაში თუ ვეწოდებთ მას, რაც როგორც სიამოვნება და უსიამოვნება ცნობიერდება, რაოდენობრივ-თვისობრივ სხვას, მაშინ საკითხავია, ახეთი სხვა ადგილზევე ცნობიერი შეიძლება გახდეს, თუ ცხად (W) – სისტემამდე უნდა მივიდეს.

კლინიკური გამოცდილება უკანასკნელის სასარგებლოდ მიუთითებს. ის აჩვენებს, რომ ეს სხვა იქცევა როგორც განდევნილი წაქეზება. ის შეიცავს მაბოძრავებელ ძალებს იმგვარად, რომ "შე" იძულებას ვერ ამჩნევს. მხოლოდ წინააღმდეგობა იძულების მიმართ, განმუხტვის რაქციების შეკავება აცნობიერებს ამ სხვას როგორც უსიამოვნებას. ისე როგორც მოთხოვნილების დაძაბულობანი, ასევე ტკივილი შეიძლება არაცნობიერად დარჩეს. ეს საშუალო წევრი გარე და შიგა აქმისა იქცევა შინაგანი აქმის დარად მაშინაც, როცა გარესამყაროდან წარმოსდგება. მაშ, სწორია, რომ შეგრძნებებიც და გრძნობებიც მხოლოდ ცხადი (W) – სისტემის გზით ცნობიერდება; თუკი შემდგომი გზა დახშულია, მაშინ ისინი არ ხორციელდებიან, ვითარცა შეგრძნებები, თუმცა მათი შესატყვისი სხვა იგივეა აგზნების მიმდინარეობაში. მოკლედ, არც თუ სავსებით სწორად, მაშინ ვლაპარაკობთ **არაცნობიერი შეგრძნებების** შესახებ, მივსდევთ რა არაცნობიერი წარმოდგენების ანალოგიას, თუმცა ის მთლად გამართლებული არაა. სახელდობრ, განსხვავება ისაა, რომ არაცნობიერი წარმოდგენისათვის დამაკავშირებელი წევრები უნდა შეიქმნას, რათა გაცნობიერდნენ მაშინ, როცა შეგრძნებისათვის, რომლებიც პირდაპირ მიედინებიან, აღნიშნული მოიხსნება. სხვა სიტყვებით: შეგრძნებათათვის განსხვავებას ცნობიერებასა (bw) და წინაცნობიერს (vbw) შორის აზრი არ აქვს; წინაცნობიერი აქ გამოირიცხება; შეგრძნებები ან ცნობიერია, ან არაცნობიერი. მაშინაც კი, როცა ისინი უკავშირდებიან სიტყვათა წარმოდგენებს, არ უმაღლესად აღნიშნულთ გაცნობიერებას, პირიქით, ისინი პირდაპირ ხდებიან ცნობიერნი.

სიტყვის წარმოდგენათა როლი ახლა საბოლოოდ ცხადია. მათი საშუალებით აზროვნების შინაგანი პროცესები აქმები ხდებიან, თითქოს მტკიცდებოდეს დებულება – ყველა ცოდნა წარმოსდგება გარეგანი

აღქმით. აზროვნების გადატვირთვისას აზრები ნამდვილად გარედან მოსულივით აღიქმებიან და, ამდენად, ითვლებიან ჭეშმარიტად.

გარეგანი და შინაგანი აღქმის და ცხადი–ცნობიერების (W–bw) ზედაპირული სისტემის მიმართებათა ამ გარკვევის შემდეგ შეგვიძლია შევუდგეთ "შე"–ს შესახებ ჩვენი გაგების შემუშავებას. მას ჩვენ ვხედავთ ამოსულს ცხადი (W) სისტემის გულიდან და, უპირველეს ყოვლისა, წინაცნობიერის (vbw) მომცველს, რომელიც ეხება მოგონების კვლებიც. "შე"–ც არაცნობიერია, როგორც ეს გამოცდილებით დავადასტურეთ.

ახლა მე ვთვლი, ჩვენ დიდი უპირატესობა გვექნება მის გარკვევაში, თუკი მივყვებით ერთ ავტორის ინიციატივას, რომელიც პირადი მოსაზრებებით ამოდ ცდილობს, თითქოს მას არაფერი საერთო არ ჰქონდეს მკაცრ, მაღალ მეცნიერებასთან. იგულისხმება გროდეკი, რომელიც მუდამ ხაზს უსვამს, რომ ის, რასაც "შე"–ს ვუწოდებთ, ცხოვრებაში არსებითად პასიურად იქცევა, რომ ჩვენ, მისი გამოთქმით, "გვაძლევს" უცნობი, ჩვენს მიერ ვერ დაუფლებული ძალები*. ჩვენ ყველამ ასეთი შთაბეჭდილება მივიღეთ, თუმცა ისინი იმ ზომამდე ვერ გვფლობდნენ, რომ დაგვეძლია ყველა დანარჩენი და იმედს ვკარგავთ, რომ გროდეკის თვალსაზრისს მეცნიერების წყობაში თავისი ადგილი მიეჩინება. მე გთავაზობთ მხედველობაში მიიღოთ, რომ ცხადი (W) სისტემიდან ამოსულ წინაცნობიერ (vbw) არსებას ვუწოდოთ "შე", ხოლო სხვა ფსიქიკურს, რომელშიც ის გრძელდება და იქცევა როგორც არაცნობიერი (ubw) – "ოგი" (გროდეკის მიხედვით).**


მალე დავინახავთ, შეგვიძლია თუ არა ამ წარმოდგენიდან სარგებლობა მივიღოთ აღწერისა და გაგებისათვის. ჩვენთვის ახლა ინდივიდი არის ფსიქიკური "ოგი", შეუცნობელი და არაცნობიერი, რომლის ზედაპირს აზის "შე", განვითარებული ცხადი–სისტემიდან როგორც გულიდან. თუკი გვსურს მისი გრაფიკული გამოსახვა, დავუმატებთ – "შე" არ

* G. Groddeck, Das Buch vom Es, Internationale Psyxoanalitische Verlag, 1923.

** თვითონ გროდეკი ალბათ ნიცშეს მაგალითს გაჰყვა, ვისთანაც ეს გრამატიკული გამოთქმა მოიხმარება არაპიროვნულისა და, ასე რომ ვთქვათ, ბუნებრიუცილებლის აღნიშვნისათვის ჩვენს არსებაში.

უპრავს მთლიანად "ოგი"–ს, არამედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ცხადი (W)–ს სისტემა ქმნის მის ზედაპირს, მაშასადამე – როგორც კერცხის ჩანასახის დისკო კერცხშია. "შე" მკაცრად არაა გამოყოფილი "ოგი"–საგან, მასთან ერთად მიემართება ქვემოთ.

მაგრამ განდევნილიც ერწყმის "ოგი"–ს, მისი მხოლოდ ერთი ნაწილია. განდევნილი მკაცრად გამოიყოფა მხოლოდ "შე"–დან განცდის წინააღმდეგობათა გაწევის გზით, "ოგი"–ს წყლობით შეუძლია მასთან დაკავშირება. ჩვენ უმალ ვიგებთ, რომ თთქმის ყველა გამოუვნა, რომელიც ალვწერე პათოლოგიიდან ამოსულმა, დამოკიდებულია მხოლოდ – მარტო ჩვენთვის ცნობილ – სულიერი აპარატის ზედაპირულ ფენებზე. ჩვენ შეგვიძლია ამ მიმართებათა გადმოცემისათვის მივმართოთ ნახატს, რომელთა კონტურები, რა თქმა უნდა, გვემსახურებიან გასათვალსაჩინოებისათვის და პრეტენზიას არ უნდა აცხადებდნენ არავითარ განსაკუთრებულ ინტერპრეტაციაზე. დავუმატებთ, რომ ტვინის ანატომიის მოწმობით "შე" ატარებს "სმენის ხუფს" მხოლოდ ცალ მხარეზე, ასე ვთქვათ, ის მას აზის ქერქზე.



ადვილად გასაგებია, რომ – "შე" არის გარესამყაროს პირდაპირი ზეგავლენის გზით ცნობიერების (W–bw) გაშუალებით შეცვლილი ნაწილი "ოგი"–სა, გარკვეულწილად გაგრძელება ზედაპირული ფენის დიფერენციაციისა. "შე" ცდილობს ასევე გარესამყაროს ზეგავლენის მოხდენას "ოგი"–ზე და მის შიზნებს აიძულებს ანგარიში გაუწიოს მას, ესწრაფვის რეალობის პრინციპის დასმას სიამოვნების პრინციპის ადგილზე, რომელიც "ოგი"–ში შეუზღუდავად მოქმედებს, აღქმა "შე"–სთვის იმ როლს თამაშობს, რასაც "ოგი"–ში ლტოლვა "შე" წარმოდგენელია იმისა, რასაც გონება და გონიერება შეიძ-

ლება ეწოდოს "ეგო"-ს საპირისპიროდ, რომელიც შეიცავს ვნებებს. ყველაფერი ეს ემთხვევა ყველასთვის ცნობილ პოპულარულ განსხვავებებს, მაგრამ სწორია მხოლოდ საშუალო, ანდა იდეალური გაგების შემთხვევაში.

ფუნქციონალური მნიშვნელობა "შე"-სი იმაში ვლინდება, რომ ნორმალურ შემთხვევაში ის ბატონობს მოძრაობის მისადგომებზე "ეგო"-სთან მიმართებაში ასე ემსგავსება ის მხედარს, რომელმაც უნდა ცხენის ჭარბი ძალა მოთოკოს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მხედარი აღნიშნულს საკუთარი ძალებით ცდილობს, ხოლო "შე"-დაფარულით. ეს შედარება შეიძლება გაგრძელდეს. როგორც მხედარს არ უნდა ცხენს მოშორდეს, ხშირად მას სხვა არაფერი რჩება, თუ არა ის, რომ ცხენს იქითკენ მიჰყვეს, საითაც სვლა სურს, ასევე "შე"-ს აქვს ჩვეულება "ეგო"-ს ნება მოქმედებაში გადაიყვანოს, თითქოს ის საკუთარი ყოფილიყოს.

"შე"-ს აღმოცენება და "ეგო"-საგან მის გამოყოფაზე ცხადი (W)-სისტემის გარდა ზემოქმედებს სხვა მომენტიც. საკუთარი სხეული და, უპირველეს ყოვლისა, მისი ზედაპირი ის ადგილია, რომლიდანაც ერთდროულად შეიძინება გარეგანი და შინაგანი აღქმები. სხეული დაინახება სხვა ობიექტის დარად, მაგრამ შეხებას ეძლევა ორნაირი შეგრძნებით, რომელთაგანაც ერთი შეიძლება შინაგან აღქმას ემსგავსებოდეს. ფსიქოფიზიოლოგიაში საკმაოდაა განხილული, თუ როგორ გამოეყოფა საკუთარი სხეული აღქმის სამყაროს. ამასთან, ჩანს ტკივილი გარკვეულ როლს თამაშობს, და ხერხიც, თუ მტკივნეულ დაავადებებთან როგორ ვიღებთ ახალ ცოდნას საკუთარი ორგანოების შესახებ, ალბათ სამაგალითოა იმ გზისთვის, თუ საერთოდ როგორ მივდივართ საკუთარ სხეულის წარმოდგენამდე.

უპირველესად ყოვლისა, "შე" სხეულებრივია, ესაა არა მხოლოდ ზედაპირული არსება, არამედ თვითონ ზედაპირის პროეცირება, თუკი ამისთვის ანატომიურ ანალოგიას მივმართავთ, ყველაზე უფრო მისი გაიგივება შეიძლება ანატომთა "ტვინის ადამიანთან", რომელიც ტვინის ქერქში თავით დგას, ქუსლით გაშვერილია ზემოთ, უკან იცქირება და, როგორც ცნობილია, მარცხნივ მეტყველების ზონაა.

"შე"-ს მიმართება ცნობიერებასთან მრავალგზისაა შეფასებული, მაინც აქ ზოგი მნიშვნელოვანი ფაქტი ახლებურადაა აღსაწერი.

მიგეჩნიეთ, ყველგან მოვიტანოთ სოციალური, ანდა ეთიკური შეფასების თვალსაზრისი, ამიტომ არ გვაკვირვებს, როცა ვისმენთ, რომ ფაბალი ვნებების მოქმედება არაცნობიერში ხდება, მაგრამ ველოდებით, რომ სულიერი ფუნქციები მით უფრო ადვილსაიმედო გზას იპოვნიან ცნობიერებაში, რაც უფრო მაღალია ისინი შეფასებაში. ფსიქოანალიზური გამოცდილება აქ კი იმედს გვიცრუებს. ერთი მხრივ, ჩვენ გვაქვს დასაბუთება იმისა, რომ თვითონ ფაქიზი და მაძიებ ინტელექტუალური მუშაობა, რომელიც ჩვეულებრივ მოითხოვს დაძაბულ გააზრებას, ასევე მიიღწევა წინაცნობიერად არ მიღის რა ცნობიერებამდე. ეს შემთხვევები საკმაოდ უეჭველია ხდებიან, მაგალითად, ძილის მდგომარეობაში და იმაში ვლინდებიან, რომ პირი უშუალოდ გაღვიძების შემდეგ ნახულობს ძნელი მათემატიკური, ანდა სხვა პრობლემების გადაჭრას, რის გარშემოც ის წინაღღით უშედეგოდ თავს იმტვრევდა*.

მაგრამ უფრო საოცარია სხვა გამოცდილება, ჩვენი ანალიზიდან ვსწავლობთ, რომ არიან პირები, რომლებთანაც თვითკრიტიკა და სინდისი, მაშასადამე, განსაკუთრებულად მაღალღირებული სულიერი მიღწევები, არაცნობიერია და არაცნობიერადვე განაპირობებს მნიშვნელოვან შედეგებს; ანალიზში წინააღმდეგობის არაცნობიერად დარჩენა არასგზით არაა ამ სახის ერთადერთი სიტუაცია. ახალ გამოცდილებას, რომელიც გვესაჭიროება მიუხედავად ჩვენი უკეთესი კრიტიკული თვალსაზრისისა – ვლაპარაკობთ და განსაკუთრებით, როცა თანდათანობით ვხვდებით, რომ ასეთი არაცნობიერი ბრალის გრძნობა ნევროზების დიდ რიცხვთან ეკონომიკურად გადამწყვეტ როლს თამაშობს და განკურნების გზაზე უძლიერეს წინააღმდეგობას ქმნის. თუკი გვინდა დავუბრუნდეთ ჩვენს ღირებულებათა შკალას, უნდა ვთქვათ: არა მხოლოდ უღრმესი, არამედ უმაღლესიც "შე"-სი შეიძლება არაცნობიერი იყოს. მაშასადამე, თითქოს ამ სახით დემონსტრაცია ხდებოდეს იმისა, რაც უწინ ვთქვით ცნობიერ "შე"-ზე, უპირველეს ყოვლისა, თითქოს ის ყოფილიყოს სხეულებრივი – "შე".

---

* ასეთი შემთხვევა შემატყობინეს ცოტა ხნის წინ, სახელდობრ, როგორც მეცნიერება ჩემი "სიზმრის მუშაობის" საწინააღმდეგოდ.

III

"მე" და "ჩვ-მე" ("მე-იდეალი")

"მე" რომ ყოფილიყო "ოგი"-ს მხოლოდ აღქმის სისტემის ზეგავლენით მოდიფიცირებული ნაწილი, რეალური გარესამყაროს წარმომადგენელი სულიერ ცხოვრებაში, მაშინ საქმე გვექნებოდა მარტივ ვითარებასთან, მაგრამ აქ ემატება რაღაც სხვა.

ჩვენი მამოძრავებელი მოტივები, "მე"-ში საფეხურების დაშვება, "მე"-ს შიგნით დიფერენციაცია, რომელსაც ეწოდება "მე-იდეალი", ანდა "ჩვ-მე"-სხვაგან განიმარტა.* ეს მოტივები სამართლიანია.** "მე"-ს ამ მომენტს რომ ნაკლებ მტკიცე დამოკიდებულება აქვს ცნობიერებასთან, ის სიახლეა, რომელიც ახსნას მოითხოვს.

აქ ჩვენ უნდა რამდენადმე შორიდან დავიწყოთ, მივაღწიეთ იმას, რომ მელანქოლიის წამება იმ დაშვებით ავხსენით, რომ ობიექტი "მე"-ში ისევ აღვადგინოთ; მაშ, ობიექტთან მტკიცე დაკავშირება შეიცვალა იდენტიფიცირების გზით***. მაშინ ჯერ კიდევ არ გვქონდა შემეცნებული ამ პროცესის მთელი მნიშვნელობა და არ ვიცოდით, თუ ის როგორი ხშირი და ტიპიური იყო. აქედან დაწყებული გავიგეთ, რომ ასეთი შენაცვლება დიდად მონაწილეობს "მე"-ს ფორმირებაში და არსებითად ხელს უწყობს იმის შექმნას, რასაც საკუთარ ხასიათს უწოდებენ.

თავდაპირველად ინდივიდის პრიმიტიულ ორალურ ფაზაში ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან ობიექტთან დაკავშირება და იდენტიფიკაცია, მოგვიანოდ შეიძლება დავუშვათ, რომ ობიექტთან დაკავშირება მომდინარეობს "ოგი"-დან, რომელიც ეროტულ მისწრაფებებს შეიგრძნობს მოთხოვნილებად. დასაწყისში ჯერ კიდევ სუსტი "მე" ობიექტთან დაკავშირებით იღებს ცოდნას, მისით კმაყოფილდება, ან ცდილობს განდევნის პროცესით მის თავიდან მოშორებას.*

თუკი უნდა უარიყოს ასეთი სექსუალური ობიექტი, მაშინ ამისათვის არაშეგიათად "მე"-ს ცვლილება გამოდის, რომელიც, ისევე როგორც მელანქოლიასთან, უნდა აღიწეროს როგორც "მე"-ში ობიექტის აღდგენა; ამ შენაცვლების ახლო დამოკიდებულებანი ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობია. ალბათ აადვილებს ან შესაძლებლობას აძლევს "მე"-ს, აღნიშნულს ინტროექციის გზით, რაცაა რეგრესიის ერთ-ერთი სახე ორალური ფაზის მექანიზმისათვის, ობიექტზე უარის თქმისას. ალბათ აღნიშნული გაიგივება, საერთოდ, პირობაა, რომ "ოგი" თავის ობიექტზე უარს ამბობს. ყოველ შემთხვევაში, პროცესი ზოგჯერ განვითარების ადრეულ ფაზებში ძალზე ხშირია და გვიბიძგებს გაგებისაკენ, რომ "მე"-ს ხასიათი წარმოადგენს უკუგდებულ ობიექტთან დატვირთვის ნალექს, რომელიც შეიცავს ობიექტის არჩევის ისტორიას. ბუნებრივია, თავიდანვე დავუშვათ წინააღმდეგობის გაწევის მთელი შკალა, რამდენადაც პერსონის ხასიათი ამ ზეგავლენას უარყოფს ან იღებს ეროტული ობიექტის არჩევის ისტორიიდან. ქალებთან, რომელთაც აქვთ სიყვარულის დიდი გამოცდილება, ფიქრობენ ადვილად საბუთდება ხასიათის თვისებებში მათი ობიექტის დატვირთვათა ნარჩენები. ასევე მხდველობაშია მისაღები ერთდროულობა ობიექტის დატვირთვისა და იდენტიფიკაციისა, მაშ, ხასიათის ცვლილება, სანამ ობიექტი უარიყოფოდეს. ამ შემთხვევაში ხასიათის ცვლილებას შეეძლო ობიექტთან დატვირთვა გადაეტანა და ის გარკვეული აზრით დაეკონსერვებია.

სხვა თვალსაზრისი აჩვენებს, რომ ასეთი გარდაქმნა ეროტული ობიექტის არჩევისა ცვლილებაში გზაცაა, თუ, "მე" როგორ ეუფლება "ოგი"-ს, მისი დამოკიდებულება "ოგი"-სთან ღრმავდება, მართალია, მნიშვნელოვანი დათმობის ფასად მისი განცდების მიმართ. თუკი "მე"

---

* Zur Einfuehrung des Narzismus. (G. W. X), Massenpsychologie und Ich-Analyse (G. W. XIII).

** მხოლოდ რეალობის შემოწმების ფუნქცია რომ აღნიშნულ "ჩვ-მე"-ს მივაწერე, მცდარი ჩანს და მოითხოვს გასწორებას. თუკი რეალობის შემოწმება დარჩებოდა მისი ერთადერთი ამოცანა, ის შეესატყვისებოდა მთლიანად "მე"-ს დამოკიდებულებას აღქმის სამყაროსადმი. ასევე ადრეული, საკმაოდ განუსაზღვრელი გაშონათქვამი "მე"-ს გულის შესახებ ახლა უნდა გასწორდეს იმ მიმართულებით, რომ ვაღიაროთ ცხადი (W) – ცნობიერება "მე"-ს გულად.

*** Trauer und Melancholie (G. W. X).

** საინტერესო პარამეტრს ობიექტის არჩევის შენაცვლებისა იდენტიფიცირებით შეიცავს პრიმიტიულების რწმენა, რომ საკვებად გამოყენებული ცხოველის თვისებები გადაეცა იმ პირში, რომელიც ამ საკვებს მიიღებს და ამ რწმენაზეა დამყარებული აკრძალვები. ეს რწმენა, ცნობილია, გადადის ასევე კანიბალიზმის დაუძლეველობაში და განაგრძობს მოქმედებას წეს-ჩვეულების მთელ რიგში დაწყებული ტოტემიზმის სერობიდან დამთავრებული წმინდა შაბათებით. შეელეგები, რომლებიც აქ მიეწერება ორალური ობიექტის ფლობას, ნამდვილად ხდება მოგვიანო სექსუალური ობიექტის არჩევაში.

იღებს ობიექტის თვისებებს, მაშინ ის, ასე რომ ვთქვათ, თვითონ თავს ეხვევა 'იგი'-ს სიყვარულის ობიექტის სახით, ცდილობს მას საკუთარი დანაკლისი შეანაცლოს, როცა ეუბნება: "ხედავ, შეგიძლია მეც შემიყვარო, მე ხომ ასეთი მსგავსი ვარ ობიექტისა".

ობიექტის ლიბიდოს გადაქცევას ნარცისტულ ლიბიდოდ, რომელიც აქ ხდება, ცხადია, მოსდევს სექსუალური მიზნების უარყოფა, დესექსუალიზაცია, მაშ, სუბლიმაციის ერთი სახე. დიახ, აქ დგება კითხვა, რომელიც მოითხოვს საფუძვლიან განხილვას – აღნიშნული არის თუ არა საერთო გზა სუბლიმაციისა, ხდება თუ არა ყველა სუბლიმაცია 'შე'-ს შუალობით, რომელიც უპირველეს ყოვლისა, სექსუალური ობიექტის ლიბიდოს გადააქცევს ნარცისტულად, რათა მას, ალბათ, შემდეგ სხვა მიზანი დაუსახოს,* ამ გადაქცევას შეიძლება თუ არა სხვა ლტოლვის სვედრი ჰქონდეს შედეგად, მაგალითად, ერთმანეთთან შერწყმული ლტოლვების გამოცალკევება გამოიწვიოს. ამას მოგვიანებით განვიხილავთ.

ჩვენი მიზნიდან გადახვევაა და მაინც არ ვარიდებთ თავს პასუხს, რომ ჩვენი ყურადღება უნდა შევაჩეროთ 'შე'-ს ობიექტის იდენტიფიცირებასთან ერთ მომენტზე. თუკი ასეთი რამ მრავლდება, ხდება ზედმეტად მრავალრიცხოვანი, ზედმეტად ძლიერი და ერთმანეთისადმი აუტანელი, მაშინ მივიღებთ პათოლოგიურ შედეგს, შეიძლება მივიდეთ 'შე'-ს გახლეჩასთან, როცა ცალკეული იდენტიფიცირებანი წინააღმდეგობით ერთმანეთისაგან იზოლირდება და ალბათ ეს ე. წ. მრავლობითი პიროვნების შემთხვევის საიდუმლოებაა, რომ ცალკეული იდენტიფიცირებანი მონაცვლეობით ფლობენ ცნობიერებას. თუკი საქმე შორს არ მიდის, მაინც იქმნება თემა კონფლიქტისათვის განსხვავებულ იდენტიფიცირებასთან, რომელზედაც 'შე' იშლება, კონფლიქტებისათვის, რომლებიც საბოლოოდ ყოველთვის არ შეიძლება იწოდებოდნენ პათოლოგიურად.

როგორი სახეც არ უნდა მიიღოს ბასიათის გვიანმა წინააღმდეგობამ უკუგდებული ობიექტის დატვირთვის ზემოქმედების მიმართ, პირველის მოქმედება, ადრეულ ასაკში მომხდარი იდენტიფიცირე-

* ლიბიდოს შეშოტანის აზრით, ლიბიდოს დიდ რეზერვუარად ახლა ჩვენ 'შე'-სა და 'იგი'-ს გაითვლის შემდეგ 'იგი' უნდა ვალიაროთ. ლიბიდო, რომელიც 'შე'-საკენ მიედინება, აღწერილი იდენტიფიცირების გზით შეადგენს **შეორად ნარცისმს**

ბანი ზოგადი და გამძლეა. აღნიშნული გვაბრუნებს **'შე-იდეალის'** აღმოცენებამდე, ვინაიდან მის უკან იმალება ინდივიდის პირველი და უმნიშვნელოვანესი იდენტიფიკაცია, პიროვნული ძველი დროის მამასთან იდენტიფიკაცია.* უპირველეს ყოვლისა აღნიშნული არ ჩანს როგორც შედეგი ან ამოსავალი ობიექტთან დამოკიდებულებისა, ისაა პირდაპირი, უშუალო და უფრო ადრეული, ვიდრე ყველა ობიექტთან დამოკიდებულება. მაგრამ ობიექტების არჩევა, რომლებიც განეკუთვნება პირველ სექსუალურ პერიოდს და ეხება მამასა და დედას, ნორმალური მიმდინარეობისას ჩანს ამოსავლად ასეთ იდენტიფიცირებაში და ამით პირველადი იდენტიფიცირების გამაძლიერებლად.

მაინც, ეს დამოკიდებულებანი ისე რთულია, რომ საჭირო ხდება მათი დაწვრილებითი აღწერა. ამ სირთულეს ორი მომენტი განაპირობებს: ოიდიპოსის დამოკიდებულების სამკუთხოვანი წყობა და ინდივიდის კონსტიტუციონალური ბისექსუალობა.

გამარტივებული შემთხვევა ბიჭისათვის შემდეგნაირად წარიმართება: ძალზე ადრე ვითარდება დამუხტვა დედა-ობიექტისადმი, რომლის ამოსავალია დედის მკერდი და სანიმუშო მაგალითს იძლევა ობიექტის არჩევისას დაყრდნობის ტიპის მიხედვით; ბიჭი იდენტიფიცირდება მამასთან. ორივე დამოკიდებულება ცოტა ხნით ერთმანეთის გვერდით მიდის, სანამ დედისადმი სექსუალური სურვილების გაძლიერებით და აღქმით, რომ მამა ამ სურვილების დაბრკოლებაა, ოიდიპოსის კომპლექსი აღმოცენდებოდეს**. მამასთან იდენტიფიცირება მტრულ ელფერს იძენს, მიმართულია სურვილისაკენ მოიშოროს მამა, რათა მას შეენაცვლოს დედასთან. აქედან დაწყებული მამისადმი დამოკიდებულება ამბივალენტურია, ჩანს, თითქოს, იდენტიფიცირებაში თავიდანვე შეძენილი ამბივალენტობა

* ალბათ უფრო ფრთხილი იქნებოდა გვეთქვა მშობლებთან, ვინაიდან მამა და დედა სხვანაირად არ ფასდება სქესთა განსხვავების – პენისის ნაკლოვანების – სანდო ცოდნამდე. ახლო წარსულში ანალგაზრდა ქალის ისტორიიდან მქონდა მერთხევა დამედასტურებია, რომ მან მას შემდეგ რაც შეამჩნია საკუთარი პენისის ნაკლოვანება, ამ ორგანოს ქონა უარყო არა ყველა ქალებთან, არამედ მხოლოდ ნაკლებღირებულებთან. მისი აზრით, ლედამისს ის შენარჩუნებული ჰქონდა. მარტივად გადმოცემისათვის განვიხილავ მხოლოდ იდენტიფიცირებას მამასთან.

** შეად. Massenpsychologie und Ich-analyse, (G. W. VII).

მანიფესტური გამხდარიყოს. მამისადმი ამბივალენტური განწყობა და დედისაკენ, მხოლოდ ნაზი ობიექტისადმი სწრაფვა, აღწერს ბიჭებთან მარტივ, პოზიტიურ შინაარსს ოიდიპოსის კომპლექსისას.

ოიდიპოსის კომპლექსის დამსხვრევასთან უნდა დედა–ობიექტის დამუხტვა უარიყოს. მის ადგილზე შეიძლება აღმოცენდეს ან დედასთან იდენტიფიცირება, ანდა მამის იდენტიფიცირების გაძლიერება. უკანასკნელ გამოსავალს ნორმალურად კოვლით, ის დედისადმი ნაზ დემოკიდებულებას გარკვეულწილად გვინარჩუნებს. ოიდიპოსის კომპლექსის მოსპობით ბიჭის მამაკაცური ხასიათი განმტკიცდება. საუსებით ანალოგიურად პატარა, გოგოს ოიდიპოსის განწყობას შეუძლია გადაიქცეს დედის იდენტიფიცირების გაძლიერებად (ანდა ასეთის აღდგენად), რომელიც ბავშვის ქალურ ხასიათს განამტკიცებს.

აღნიშნული იდენტიფიცირებანი, არ შეესატყვისებიან ჩვენს მოლოდინს, რამდენადაც მათ ვერ შეყავთ "მე"-ში უარყოფითი ობიექტები, მაგრამ ასეთი გამოსავალიც გვხვდება და გოგონებთან უფრო ადვილად დაიკვირვება, ვიდრე ბიჭებთან. ძალზე ხშირად ანალიზიდან ვღებულობთ გამოცდილებას, რომ პატარა გოგოს იმ დროიდან, როცა უნდა უარეყო მამა როგორც სიყვარულის ობიექტი, თავისი მამაკაცურობის ძალა შესწევს და ნაცვლად დედისა, მამასთან, მაშ, დაკარგულ ობიექტთან იდენტიფიცირდება. ამასთან, ცხადია, ეს დამოკიდებულია იმაზე, მისი მამაკაცური მონაცემები საკმარისად ძლიერია თუ არა – რაშიაც ის არ უნდა მდგომარეობდეს.

მაშ, ოიდიპოსის სიტუაციის გადასვლა მამისა თუ დედის იდენტიფიცირებაში დამოკიდებულია ორივე სქესთან, როგორც ჩანს, ამა თუ იმ სქესის მონაცემების შეფარდებით ძალასთან. აღნიშნული ერთი სახეა იმისა, თუ როგორ ერევა ბისექსუალობა ოიდიპოსის კომპლექსის ხვედრში. მეორე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. სახელდობრ, გვექმნება შთაბეჭდილება, რომ მარტივი ოიდიპოსის კომპლექსი საერთოდ არაა ყველაზე ხშირი, არამედ შეესატყვისება გამარტივებას, ანდა სქემატიზაციას, რომელიც, რა თქმა უნდა, საკმაოდ ხშირად პრაქტიკულად გამართლებული რჩება. დაწვრილებითი გამოკვლევა აღმოაჩენს უპირატესად უფრო სრულყოფილ ოიდიპოსის კომპლექსს, რომელიც ორნაირია – პოზიტიური და ნეგატიური, დამოკიდებული ბავშვის თავდაპირველად ბისექსუალობაზე, ე.ი. ბიჭს

აქვს არა მხოლოდ ამბივალენტური განწყობა მამისადმი და ნაზი ობიექტის არჩევა დედისადმი, არამედ ის იქცევა ასევე ერთდროულად გოგოსავით, აჩვენებს ნაზ ქალურ განწყობას მამისადმი და მის შესატყვის ეჭვიან, მტრულ დამოკიდებულებას დედის მიმართ. ბისექსუალობის, ეს შემოჭრა ასე აძნელებს პრიმიტიული ობიექტის არჩევისა და იდენტიფიცირების მიმართების განჭვრეტას და კიდევ უფრო აძნელებს მის გასაგებ აღწერას. შესაძლებელია, მშობელთა ურთიერთობაში კონსტანტირებული ამბივალენტობა სავსებით დამოკიდებული იყოს ბისექსუალობაზე და არ ვითარდებოდეს, როგორც ეს წინათ წარმოვიდგინე, მეტოქეობით იდენტიფიცირებიდან.

ეჭვიქრობ კარგად იქცევიან, თუკი უშვებენ, საერთოდ და სავსებით განსაკუთრებით, ნევროტიკებთან სრულყოფილი ოიდიპოსის კომპლექსის არსებობას. ანალიზური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შემთხვევათა რიცხვთან ამ კომპლექსის ესა თუ ის შემადგენელი ნაწილი ჭრება, ძლივს შესამჩნევ კვალს ტოვებს. ასე რომ, იქმნება რიგი, რომლის ერთ ბოლოს დგას ნორმალური, პოზიტიური, მეორეზე – შებრუნებული, ნეგატიური ოიდიპოსის კომპლექსი, როცა შეარწევრები აჩვენებენ სრულყოფილ ფორმებს ორივე, კომპონენტის არაერთნაირი მონაწილეობით. ოიდიპოსის კომპლექსის გაქრობისას მასში არსებული ოთხი მისწრაფება ისეთნაირად კავშირდებიან, რომ მათგან წარმოსდგებიან მამისა და დედის იდენტიფიცირებანი. მამასთან იდენტფიცირება ინარჩუნებს პოზიტიური კომპლექსის დედა–ობიექტს და ამავდროულად მამა–ობიექტს შებრუნებული კომპლექსისას. ანალოგიურადაა დედასთან იდენტიფიკაციის დროს. ორივე იდენტიფიცირების განსხვავებული ძალის გამოკვეთილობაში ასახულია სქესების მონაცემთა უტოლობა.

ამგვარად, შეგვიძლია დავუშვათ როგორც ზოგადი შედეგი ოიდიპოსის კომპლექსით ფსიხიკური სტრუქტურა, რომ "მე"-ში ნალექი, შედგება ამ ორი, როგორღაც ერთმანეთთან გაერთიანებული იდენტიფიცირებათა ორგანიზაციისაგან. აღნიშნული "მე"-ს ცვლილება ინარჩუნებს მის განსაკუთრებულ ადგილს: ის უპირისპირდება "მე"-ს სხვა შინაარსს როგორც, "მე-იდეალი" ან "ზე-მე".

მაგრამ "ზე-მე" წარმოადგენს "ოგი"-ს ობიექტის პირველი არჩევის არა უბრალო ნალექს, არამედ მას "ოგი"-ს მიმართ ენერგიულად

რეაქციის წარმონაქმნის მნიშვნელობაც აქვს. მისი მიმართულება "შე"-სადმი არ ამოიწურება მოწოდებით: შენ **უნდა იყო** ისეთი (როგორიც მაშაა), ის მოიცავს აკრძალვასაც: შენ **უფლება არა გაქვს** იყო ისეთი (როგორიც მაშაა), ე. ი. ყველაფერი აკეთო, რასაც ის აკეთებს; ზოგი რამ მისი უფლებაა. ეს ორმაგი სახე "შე-იდეალისა" გამომდინარეობს ფაზიდან, რომ "შე-იდეალი" ცდილობს ოიდიპოსის კომპლექსის განდევნას, დიახ, უმადლის თავის აღმოცენებას მხოლოდ ამ გარდატეხას. ოიდიპოსის კომპლექსის განდევნა, ცხადია, არაა აღვილი ამოცანა. რამდენადაც მშობლები, განსაკუთრებით მამა, გაცნობიერდა როგორც დაბრკოლება ოიდიპოსის სურვილების განხორციელებისა, ძლიერდებოდა ინფანტილური "შე" ამ განდევნის მიღწევისათვის, როცა ის თვითონ აგებდა დაბრკოლებას თავის თავში. ეს ძალები მან ისესხა გარკვეულწილად მამისაგან. და ასეთი სესხები არის განსაკუთრებით მძიმე შედეგების მომტანი აქტი. "ზე-შე" ინარჩუნებს მამის ხასიათს და რაც უფრო ძლიერი იყო ოიდიპოსის კომპლექსი, მით უფრო სწრაფად მოჰყვებოდა მას განდევნა (ავტორიტეტის, რელიგიური მოძღვრების, განათლებისა და კითხვის ზემოქმედებით), მით მკაცრი ხდება მოგვიანებით "ზე-შე" როგორც სინდისი, ალბათ როგორც არაცნობიერი ბრალის ცნობიერების ბატონობა "შე"-ზე. თუ საიდანაა ძალა ასეთი ბატონობისა, იძულებითი ბუნების ხასიათი, რომელიც ვლინდება როგორც კატეგორიული იმპერატივი, აღნიშნულის შესახებ მოგვიანოდ გამოვთქვამ გარაუდს.

ერთხელ კიდევ მივაპყროთ თვალი "ზე-შე"-ს წარმოშობის აღწერას. დავინახავთ, რომ ისაა შედეგი ორი ძეტად მნიშვნელოვანი ბიოლოგიური ფაქტორისა – ბავშვური უმწეობისა და ადამიანზე დამოკიდებულებისა და მისი ოიდიპოსის კომპლექსის ფაქტისა, რომელიც ჩვენ დავიყვანეთ ლატენტური დროის გ'ხით ლიბიდოს განვითარების შეწყვეტაზე, ამით კი – მისი სექსუალობის ცხოვრების **ორ დროით წარმონაქმნზე**. უკანასკნელი, როგორც ჩანს, სპეციფიკური ადამიანური თავისებურებაა, და ფსიქოანალიზური ჰიპოთეზის მიხედვით წარმოადგენს კულტურული განვითარებისადმი იმ ბიძგის შემკვიდრეს, რომელიც იძულებით იყო გამოწვეული გამყინვარების პერიოდით. ამდენად, გამოყოფა "ზე-შე"-სი "შე"-დან სრულიადაც არაა შემთხვევითი. ის წარმოადგენს ინდივიდუალური და გვარის განვითარების

ეშინოდეს. დიახ, როცა კი ის ქმნის მშობელთა ზეგავლენის ხანგრძლივ გამოხატულებას, უკვდავყოფს იმ მომენტების არსებობას, რომელსაც უმადლის თავის წარმომავლობას.

ფსიქოანალიზს უსასრულოდ საყვედურობდნენ, ის არ ზრუნავს ადამიანში მაღალზე, მორალურზე, ზებიროვნულზე. საყვედური ორმაგადაა გაუმართლებელი, როგორც ისტორიულად, ისე მეთოდურად. ჯერ ერთი, იმიტომაც, რომ დასაწყისიდანვე მორალურ და ესთეტიკურ ტენდენციებს "შე"-ში ვაკუთვნებდი განდევნის ბიძგს, ვიდრე, ვინაიდან არ უნდოდათ გაეგოთ, რომ ფსიქოანალიზურ კვლევას არ შეეძლო გამოესულიყო ფილოსოფიური სისტემის მსგავსად სრულყოფილი და მზა შენობის წყობის სახით, არამედ უნდა გზა გაეკაფა ნაბიჯ-ნაბიჯ სულიერი გართულებების გაგებისაკენ ნორმალური და არანორმალური ფენომენების ანალიზური დაყოფით. ჩვენ არ ვსაჭიროებდით ზრუნვას ადამიანში უმაღლესის შენარჩუნებისათვის, სანამ დაკავებული ვიყავით სულიერ ცხოვრებაში განდევნილის შესწავლით. ახლა, რადგანაც "შე"-ს ანალიზს ვიწყებთ, შეგვიძლია ყველა მათ, ვინც თავიანთი ზნეობრივი ცნობიერებით აღელვებული ჩიოდნენ – ადმიანში მაღალი არსება ხომ უნდა იყოსო, გუპასუხებთ: რა თქმა უნდა, მაღალი არსება ესაა **"შე-იდეალი"**, ანუ **"ზე-შე"**, წარმომადგენელი მშობელთა ურთიერთობისა. პატარაობისას ჩვენ ვიცნობდით ამ მაღალ არსებებს, ისინი გვაიცებდნენ და მათი გვეშინოდა, მოგვიანოდ კი ისინი თვითონ ჩვენში შემოვიტანეთ.

"შე-იდეალი" წარმოადგენს, ამგვარად, ოიდიპოსის კომპლექსის მემკვიდრეობას და ამით "იგი"-ში უძლიერეს წაქეზებათა გამოსახულებას და "იგი"-ს უმნიშვნელოვანესი ლიბიდოს ხვედრს, თავისი ობიექტებით "შე" ეუფლება ოიდიპოსის კომპლექსს და იმავდროულად ეკუთვნება "იგი"-ს, მაშინ, როცა "შე" არსებითად გარესამყაროს, რეალობის წარმომადგენელია, "ზე-შე" უპირისპირდება მას, როგორც შიგასამყაროს, "იგი"-ს დამცველი, "შე"-სა და "იდეალს" შორის კონფლიქტები, რომლისთვისაც ვართ, საბოლოოდ ასახავს დაპირისპირებას რეალობასა და ფსიქიკურს, გარესამყაროსა და შინასამყაროს შორის.

რაც კი ბიოლოგიამ და ადამიანური მოღვაწის ხვედრმა "იგი"-ში შექმნეს და დატოვეს, ეს "შე"-ს იდეალურმა წარმონაქმნმა გადმო-

იღო და მასთან ინდივიდუალურად ისევ გაცოცხლდა. **"მე-იდეალის"** თავისი ქმნადობის ისტორიის შედეგად მჭიდრო კავშირი აქვს ცალკეულის ფილოგენეტურ შენაძენთან, არქაულ მემკვიდრეობასთან, რაც ცალკეულ სულიერ ცხოვრებაში უღრმესს ეკუთვნის, იდეალური წარმონაქმნით იქცევა ადამიანის სულის უმაღლესად ჩვენი შეფასებათა მნიშვნელობით. ამაო მცდელობა იქნებოდა, რომ **"მე"**-ს მსგავსად მოგვეხდინა **"მე-იდეალის"** ლოკალიზაცია ანდა შეგვედარებია იმისთვის, რაც შეეცადეთ წარმოგვესახა მიმართების სახით **"მე"**-სა და **"ეგო"**-სთან. ადვილია ჩვენება, რომ **"მე-იდეალი"** ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, რაც კი ადამიანს, როგორც უმაღლეს არსებას, წაეყენება. მამისადმი მისწრაფების შემცველ წარმონაქმნად ადამიანს აქვს რაღაც ჩანასახი, რომლიდანაც წარმოიქმნება ყოველი რელიგია, მსჯელობა საკუთარი არასაკმარისობისა **"მე"**-ს იდეალთან შედარებით იწვევს მორჩილ რელიგიურ შეგრძნებას, რომელსაც ემყარება ვინიანი მორწმუნე. განვითარების შემდგომ მსვლელობაში მამის როლს აგრძელებენ მასწავლებლები და ავტორიტეტები, რომელთა აკრძალვები მტკიცედაა დარჩენილი **"იდეალ-მე"**-ში, ანხორციელებს რა ახლა **სინდისის** სახით, მორალურ ცენზურას. **სინდისის** მოთხოვნებსა და **"მე"**-ს რეზულტატებს შორის დაძაბულობა შეიგრძნობა როგორც **ბრალის გრძნობა**. სოციალური გრძნობები ემყარებიან სხვებთან იდენტიფიცირებებს მსგავსი **"მე-იდეალის"** საფუძველზე.

რელიგიით მორალი და სოციალური შეგრძნება – უმაღლესის ეს მთავარი შინაარსები ადამიანში* – თავდაპირველად ერთია. "ტოტემისა და ტაბუს" ჰიპოთეზის მიხედვით ისინი ფილოგენეტურად მამის კომპლექსთანაა შეძენილი, რელიგია და ზნეობრივი შეზღუდვა კი – საკუთარი ოიდიპოსის კომპლექსის დაძლევით, ხოლო სოციალური გრძნობები – ახალგაზრდა თაობის წევრებს შორის შენახული ქიშპობის იძულებით დაძლევის გზით. ყველა ამ ზნეობრივ შენაძენში მამაკაცის სქესი ჩანს წინწამოწეული. შეჯავრებულმა მემკვიდრეობამ ქალების ფლობამდეც მიიყვანა ის, ერთეულებთან სოციალური გრძნობა დღესაც წარმოსდგება როგორც ზედნაშენი და-ძმათა წინააღმდეგ ეჭვიან ქიშპობაზე. ვინაიდან მტრობა არაა

* აქ გვერდზე დავტოვეთ მეცნიერება და ხელოვნება.

დაკმაყოფილებული, იდენტიფიცირება აღსდგება საწყის მოქიშპესთან. მსუბუქ ჰომოსექსუალებზე დაკვირვებები ემყარებიან ვარაუდს, რომ ეს იდენტიფიცირებაც შემნაცვლებელია ნაზი ობიექტის არჩევისა, რომელმაც მოხსნა აგრესიულ-მტრული განწყობა*.

ფილოგენეზის მოხსენიებისთანავე პრობლემები აღმოცენდებიან, რომელთა პასუხის წინაშეც შეიძლება ჭოჭმანით უკან დავიხიოთ. არაფერი არ გვშველის, უნდა გავრისკოთ მაშინაც, თუკი შიში გვაქვს, რომ მთელი ჩვენი მცდელობის უკმარისობა გამოაშკარავდება. კითხვა ასეთია: თავის დროზე ვინ შეიძინა რელიგია და ზნეობრიული მამის კომპლექსთან – პრიმიტივის **"მე"**-მ თუ მისმა **"ეგო"**-მ. თუკი ეს **"მე"** იყო, რატომ არ ვლაპარაკობთ უბრალოდ მემკვიდრეობაზე "მე არა უფლება ადრეულ დროში დიფერენცირებისა **"მე"**-დ, **"ეგო-მე"**-დ და, **"ეგო"**-დ? თუ პატიოსნად არ უნდა ვალიაროთ, რომ, **"მე"** – პროცესების მთელი გაგება არაფერს იძლევა ფილოგენეზის გაგებისათვის და მასთან გამოუყენებელია.

პირველად ვუპასუხებთ იმაზე, რაც ადვილადაა საპასუხო. დიფერენცირება **"მე"**-სი და **"ეგო"**-სა არა მხოლოდ პრიმიტიულ ადამიანებთან, არამედ უფრო მარტივ ცოცხალ არსებებთან უნდა ვაღიაროთ, ვინაიდან ის გარესამყაროს ზემოქმედების აუცილებელი გამოხატულებაა. **"ეგო-მე"** სწორედ იმ განცდებიდან წარმოსდგა, რომლებსაც ტოტემიზმთან მივყავართ. საკითხი იმის თაობაზე, თუ ვინ – **"მე"**-მ თუ **"ეგო"**-მ შეიძინა ის გამოცდილება და მინაწერი, თვითონვე იხსნება. შემდეგი მოსაზრება გვეუბნება, რომ **"ეგო"**-ს არ შეუძლია განიცადოს გარეგანი ხვედრი, თუ არა **"მე"**-თი, რომელიც მისთვის ცვლის გარესამყაროს. მაგრამ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ **"მე"**-ში პირდაპირ მემკვიდრეობაზე. აქ იქმნება უფსკრული რეალურ ინდივიდსა და სახის ცნებას შორის. არც მკაცრი განსხვავების უფლება გვაქვს **"მე"**-სა და, **"ეგო"**-ს შორის. არ დაგვავიწყდეს, რომ **"მე"** წარმოადგენს განსაკუთრებულ დიფერენცირებულ ნაწილს **"ეგო"**-სას. **"მე"**-ს განცდები, უპირველესად ყოვლისა, დაკარგულნი ჩანან მემკვიდრეობისათვის, მაგრამ თუკი ისინი ხშირად და საკმაოდ ძლიერად მემკვიდრეობით თანმიყოლებულ ინდივიდებთან მეორ-

* შეად. Massenpsychologie und Ich-Analyse (G. W. XIII) – Ueber eine neurotische Mechanismus bei Eifersucht, Paranoia und Homosexualitat (G. W. XIII).

დებიან, გადაიქცევიან, ასე რომ ვთქვათ, 'ოგი'-ს განცდებად, რომელთა შთაბეჭდილებანი მემკვიდრეობით შენარჩუნებულია. ამგვარად, მემკვიდრე 'ოგი' თავის თავში ინახავს ურიცხვ 'შე'-ს არსებობას და როცა 'შე' თავის 'ზე-მე'-ს 'ოგი'-დან ქმნის, ალბათ ისევ ადადგენს მხოლოდ ძველ 'შე'-ფორმებს, განახორციელებს მათ აღდგომას.

'ზე-მე'-ს წარმოქმნის ისტორია გასაგებს ხდის, რომ 'შე'-ს ადრეული კონფლიქტები ობიექტის დამუხტვებთან შეიძლება გაგრძელდეს 'ოგი'-სთან კონფლიქტების სახით მის მემკვიდრეობასთან, 'ზე-მე'-სთან. თუკი 'შე'-ს ცუდად ეძლევა ოიდიპოსის კომპლექსის გადალახვა, მაშინ მისი ენერგიით დატვირთვა მომდინარე 'ოგი'-დან, ისევ გამოვლინდება 'შე-იდეალის' რეაქციის წარმონაქმნში. ამ იდეალის ფართო კომუნიკაცია აღნიშნულ არაცნობიერ (ubw) ლტოლვით წაქეზებებთან წყვეტს იმ გამოცანას, რომ თვითონ იდეალს შეუძლია მეტნაწილად არაცნობიერი, 'შე'-სათვის მიუწვდომელი დარჩეს. ღრმა გენებში მძვინვარე ბრძოლა, რომელიც არ წყდება სწრაფი სუბლიმაციისა და იდენტიფიკაციის გზით, როგორც კაულბახის ნახატზე პუნების ბრძოლა, გრძელდება უფრო მაღალ სფეროებში.

IV

ლტოლვათა ორი სახე

უკვე აღვნიშნეთ, თუკი ჩვენ მიერი დაყოფა სულიერი არსებისა 'ოგი'-დ, 'შე'-დ და 'ზე-მე'-დ ნიშნავს წინგადადგმულ ნაბიჯს ჩვენს შეხედულებაში, მაშინ ეს დაყოფა უნდა აღმოჩნდეს საშუალებადაც სულიერი ცხოვრების ღრმა გაგებისა და მასში დინამიკურ მიმართებათა უკეთ აღწერისათვის. ამჯერად ჩვენთვის ისიც ცხადია, რომ 'შე' იმყოფება აღქმის განსაკუთრებული ზეგავლენის ქვეშ და წინდაწინვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღქმებს 'შე'-სათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვთ, როგორიც ლტოლვებს 'ოგი'-სათვის. ამასთან 'შე'-ც ექვემდებარება ლტოლვების ზემოქმედებას, როგორც 'ოგი', რომლისგანაც პირველი წარმოადგენს განსაკუთრებულად მოდიფიცირებულ ნაწილს.

ლტოლვების შესახებ მოკლედ (სიამოვნების პრინციპის მიღმა) განვავითარე თვალსაზრისი, რომელსაც აქაც დავიცავ და რომელიც

საფუძვლად დაედება შემდგომ განხილვას. ლტოლვის ორი სახე რომ უნდა განსხვავდეს, რომელთაგან ერთი **სექსუალური ლტოლვა** ანუ **ეროსი**, შემდგომ უფრო თვალში საცემია და ცოდნისათვის მისაწვდომი. ის მოიცავს არა მხოლოდ საკუთრივ შეუკავებელ სექსუალურ ლტოლვას და მისგან გამოყვანილ მიზანშეკავებულ და სუბლიმირებულ ლტოლვით წაქეზებებს, არამედ ასევე თვითშენახვის ლტოლვას, რაც 'შე'-ს უნდა მივაწეროთ და რომელიც ანალიზური მუშაობის დასაწყისში დამაჯერებელი საფუძვლით დავუპირისპირეთ სექსუალური ობიექტის ლტოლვებს. ლტოლვის მეორე სახის ჩვენებას სიძნელეები ეღობება; საბოლოოდ მივედით იქამდე, რომ სადიზმი განგვეხილა მის წარმოდგენად. ოეორიული, ბიოლოგიაზე დაფრდნობილი, მოსაზრებებით დავუშვით **სიკვდილის ლტოლვა**, რომლის ამოცანაა ორგანულად ცოცხალის დაბრუნება არაცოცხალ მდგომარეობაში, ავგრეთვე როცა ეროსის მიზანია გაართულოს სიცოცხლე სულ უფრო ფართო გაერთიანებით ცოცხალი სუბსტანციის გაფანტული ნაწილებით – ბუნებრივია, მისი შენარჩუნებით. ორივე ლტოლვა იქცევა, უმკაცრესი აზრით, კონსერვატულად, როცა მიისწრაფვიან იმ მდგომარეობის კვლავ აღდგენისაკენ, რომელიც დაარღვია სიცოცხლის აღმოცენამ. სიცოცხლის აღმოცენება, მაშ, იქნებოდა მიზეზი სიცოცხლის გაგრძელებისა და იმავდროულად სიკვდილისაკენ სწრაფვისაც; თვითონ სიცოცხლე კი იქნებოდა ბრძოლა და კომპრომისი ორივე ამ მისწრაფებას შორის. კითხვა სიცოცხლის წარმოშობის შესახებ რჩება კოსმოლოგიურ საკითხად, ხოლო პასუხი კითხვაზე მიზნისა და დანიშნულების თაობაზე იქნებოდა **დუალისტური**.

ლტოლვის ამ სახეებს მიეწერებათ განსაკუთრებული ფიზიოლოგიური პროცესი (ზრდა და დაშლა), ცოცხალი სუბსტანციის ყველ მომენტში მოქმედია ორივე ლტოლვა, მაგრამ მაინც არათანაბარი შენარევით, რათა ერთ სუბსტანციას შეძლებოდა მიეღო მთავარი წარმომადგენლობა ეროსისა. სრულიად წარმოუდგენელია, თუ ლტოლვათა ორი სახე ერთმანეთთან რანაირადაა დაკავშირებული, შერწყმული, შედულებული; მაგრამ რომ ეს რეგულარულად და დიდი მაშტაბებით ხდება, ჩვენთვის უცილობელი დაშვებაა. ელემენტარული ერთუჯრედიანი ორგანიზმების მრავალუჯრედიანებთან და-

კავშირების შედეგად მივალწევდით ერთუჯრედიანთა სიკვდილის ლტოლვის ნეიტრალიზებას და დესტრუქციული წაქეზების განსაკუთრებული ორგანოს საშუალებით წარმართვას გარესამყაროზე. ეს ორგანო იქნებოდა კუნთები და სიკვდილის ლტოლვა ახლა-ლბათ მაინც ნაწილობრივ გამოვლინდებოდა როგორც **დესტრუქციის ლტოლვა** გარესამყაროსა და სხვა ცოცხალი არსებების წინააღმდეგ.

დავუშვით რა ერთხელვე ორიგე სახის ლტოლვის შერწყმა, იქვე გაჩნდა კითხვა მათი მეტად თუ ნაკლებად სრულყოფილი გათიშვის შესაძლებლობისა. სექსუალური ლტოლვის სადისტური კომპონენტში გექნებოდა კლასიკური მაგალითი მიზანშეწონილი ლტოლვის შერწყმისა დამოუკიდებლად ქცეულ სადიზმთან, რომელიც გაუკულმართება ისეთი გათიშვისა, რომელიც, მართალია, არ მიდის უკიდურესობამდე. ჩვენ ვეცნობით ფაქტების დიდ სფეროს, რომელიც ჯერ კიდევ ამ შუქში არ განხილულა. ვიგებთ, რომ **დესტრუქციის ლტოლვა** რეგულარულადაა ჩაყენებული ეროსის სამსახურში განტკირთვის მიზნით, და ვხედავთ, რომ ეპილეპტური შეტევა წარმოადგენს პროდუქტსა და ნიშანს ლტოლვის გათიშვისას და ვსწავლობთ გაგებას, რომ ასეთი მძიმე ნევროზების შედეგებში, მაგალითად იძულების ნევროზში, სიკვდილის ლტოლვის გამოჩენა იმსახურებს განსაკუთრებულ შეფასებას. სწრაფ განზოგადებაში შეგვეძლო დაგვეშვა, რომ ლიბიდოს რეგრესიის რაობა, მაგალითად, გენიტალური ფაზიდან სადისტურ-ანალურისაკენ, ემყარება ლტოლვათა გათიშვას ისევე როგორც, პირიქით, წინსვლას ადრეულ ფაზიდან დეფინიტურ-გენიტალურისაკენ ეროტული კომპონენტების დამატება აქვს პირობად. ისმის კითხვაც, ხომ არ გაიგება რეგულარული **ამბივალენტობა** გათიშვის შედეგად, რასაც ასე ხშირად გაძლიერებულად ვნახულობთ, ნევროზისადმი კონსტიტუციონალურ მიდრეკილებაში? მაგრამ, პირიქით, ესაა ისეთი საწყისისეული რამ, რომ უნდა განიხილებოდეს, როგორც ლტოლვის განუხორციელებელი გათშვა.

ჩვენი ინტერესი მიემართება, ბუნებრივია, კითხვებზე – მოინახება თუ არა დამახასიათებელი მიმართებები, ერთი მხრით, "შე"-ს, "ზე-შე"-სა და, "ოჯა"-ს დაშვებულ წარმონაქმნებსა და, მეორე მხრით,

ლტოლვის ორ სახეს შორის? შემდეგ – შეგვიძლია თუ არა სულიერი პროცესების მფლობელ სიამოვნების პრინციპს დავუდგინოთ მტკიცე ადგილი ლტოლვათა ორივე სახისა და სულიერ დიფერენციებათა მიმართ? სანამ ამ დისკუსიაში ჩავებმებოდეთ, ეჭვს უნდა მოვუღოთ ბოლო, რომელიც თვითონ პრობლების დაყენების წინააღმდეგაა მიმართული. თუმცა სიამოვნების პრინციპთან არაფერია საერთო, "შე"-ს დაყოფა ემყარება კლინიკურ გამართლებას, მაგრამ განსხვავება ლტოლვის ორ სახეს შორის არა საკმაოდ გარანტირებული ჩანს და კლინიკური ანალიზის ფაქტები შეძლებისდაგვარად ვეტენ თავიანთ პრეტენზიას.

ჩანს ასეთი ფაქტი არსებობს, ლტოლვილთა ორი სახის დაპირისპირებისათვის უფლება გვაქვს შემოვიტანოთ სიყვარულისა და სიძულვილის პოლარობა. ეროსის რეპრეზენტაციას, დიახაც, არ ეხმაურობთ, პირიქით, ძალზე მოხარული ვართ, რომ ძნელად წვდომილი სიკვდილის ლტოლვის წარმომადგენელი ვნახეთ დესტრუქციის ლტოლვაში, რომელსაც გზას უჩვენებს სიძულვილი. კლინიკური დაკვირვება გვასწავლის, რომ სიძულვილი არა მხოლოდ მოულოდნელად წესზომიერი თანამგზავრია სიყვარულისა (ამბივალენტობა), არა მარტო მისი ხშირი წინამორბედია ადამიანურ ურთიერთობებში, არამედ ასევე, რომ ის (სიძულვილი) ზოგიერთ დამოკიდებულებაში გადაიქცევა სიყვარულად და სიყვარული – სიძულვილად. როცა ეს გადაქცევა უფრო მეტია, ვიდრე უბრალო დროით თანმიმდევრობა, ე. ი. მონაცვლეობა, მაშინ, ცხადია, არ ჰქონია საყრდენი ასეთ უკუქმედებლურ განსხვავებას ეროტულ და სიკვდილის ლტოლვებს შორის, რომლებიც გულისხმობს საპირისპიროდ მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებს.

აი, შემთხვევა, როცა ერთი და იგივე პირი უყვართ და შემლევ სძულთ, ანდა პირიქით, თუკი ის ამისთვის საბაბს იძლევა, ცხადია, ეს არ განეკუთვნება ჩვენს პრობლემას. არც სხვა შემთხვევა, გამოუელენელი ტრფიალი პირველად თავის თავს ავლენს მტრობითა და აგრესიის მიდრეკილებით, ვინაიდან აქ დესტრუქციულ კომპონენტებს შეეძლოთ ობიექტთან დამუხტვისას მისი წინდასწრება, სანამ მას ეროტული კომპონენტი შეურთდებოდა. მაგრამ ნევროზის ფსიქოლოგიიდან ვიცნობთ მრავალ შემთხვევას, რომლებშიც გარდაქ-

მნის ფაქტი უფრო შესაძლებელია. Paranoia persecutoria–სთან ავად მყოფი გარკვეულნაირად იცავს თავს გარკვეულ პირთან ზედმეტად ძლიერი ჰომოსექსუალური კავშირისაგან; შედეგი ისაა, რომ აღნიშნული ყველაზე უფრო საყვარელი პირი იქცევა მდევრად, რომლის წინააღმდეგაც ხშირად მიმართულია ავადმყოფის აშინა აგრესია. უფლება გვაქვს ჩავთვალოთ, რომ წინანდელმა ფაზამ სიყვარული გარდაქმნა სიძულვილად. ჰომოსექსუალობის აღმოცენების დროს, ასევე დესექსუალიზებული სოციალური გრძნობების დროს, რასაც გვასწავლის ბოლო დროინდელი ანალიზური ძიება, არსებობენ მეტოქეობის ძლიერი, აგრესიის მდრეკილებასთან მიმყვანი გრძნობები, რომელთა დაძლევის შემდეგ ადრე შეძულებული ობიექტი იქცევა საყვარელ ანდა იდენტიფიცირების ობიექტად. ისმის კითხვა, ამ შემთხვევებისათვის დასაშვებია თუ არა პირდაპირი გარდაქმნა სიძულვილისა სიყვარულში. აქ ვმსჯელობთ წმინდა შინაგან ცვლილებებზე, სადაც არ მონაწილეობს ობიექტის შეცვლილი ქცევა.

პარანოიდული გარდაქმნის პროცესის ანალიზური გამოკვლევა გვარწმუნებს სხვა მექანიზმის შესაძლებლობებში. დასაწყისში ამბივალენტური განწყობა და გარდაქმნა ხდება რეაქციული დატვირთვის გადატანით მაშინ, როცა ეროტულ წაქეზებას ენერგია წაერთმევა და ის გადაეცემა მტრულ ენერგიას.

არა იგივე, მაგრამ მსგავსი რამ ხდება მტრული მეტოქეობის დაძლევისას, რომელსაც ჰომოსექსუალობასთან მივყევართ. მტრულ განწყობას არ გააჩნია დაკმაყოფილების პერსპექტივა, ამიტომაც ეკონომიკური მოსაზრებიდან ის შეიცვლება სიყვარულის განწყობით, რომელიც მეტ შანსს გვთავაზობს დაკმაყოფილებისათვის. ესაა განტვირთვის შესაძლებლობა. ამიტომ არ გვესაჭიროება არც ერთი ამ შემთხვევისათვის პირდაპირი გადაქცევის დაჩვევა სიძულვილისა სიყვარულად, რომელიც არ შეუთავსდებოდა ლტოლვის ორი სახის თვისობრივ განსხვავებულობას.

მაგრამ ვამჩნევთ, რომ სიყვარულის სიძულვილად გადაქცევის ან სხვა მექანიზმის აღიარებისას უსიტყვოდ მოვახდინეთ სხვა დაშვება, რომელიც იმსახურებს ცხადყოფას. ჩვენ ისე ვიქცევით, თითქოს სულიერ ცხოვრებაში არსებობდეს – განურჩევლად "შე"-ში თუ "ოგი"-ში გადატანადი ენერგია, რომელიც თავისთავად ინდიფე-

რენტულია, ერთვის კვალიტეტურად დიფერენცირებულ ეროტულ, ანდა დესტრუქციულ წაქეზებას და შეუძლია მათი საერთო დატვირთვის ამაღლება. ასეთი გადატანადი ენერგიის დაშვების გარეშე არ შეგვიძლია საერთოდ იოლად წასვლა. საკითხი მხოლოდ იმას ეხება, თუ საიდან მოდის, ვის ეკუთვნის და რას ნიშნავს ის.

ლტოლვის წაქეზებათა რომელობის პრობლემა და მათი შენახვა ლტოლვათა განსხვავებულ ხეედრთან ჯერ კიდევ ძალზე ბნელია და ახლა ძლივს თუა დამუშავებული. ნაწილობრივ სექსუალურ ლტოლვებთან, რომლებსაც განსაკუთრებულად კარგად შეიძლება დავაკვირდეთ, შეგვიძლია დავადგინოთ პროცესები, რომლებიც ამავე სფეროს განეკუთვნება, რომ მაგალითად, ნაწილობრივ ლტოლვებს გარკვეულწილად ერთმანეთთან აქვთ ურთიერთობა, რომ ლტოლვას გარკვეული ეროგენული ზონიდან შეუძლია გასცეს თავისი ინტენსივობა სხვა წყაროდან მომდინარე ნაწილობრივი ლტოლვის გასაძლიერებლად, რომ დაკმაყოფილება ერთი ლტოლვისა შეცვლება მეორის დაკმაყოფილებას და მისთანანი, რაც გვაბედინებს გარკვეული სახის დაშვებებს.

წინამდებარე დისკუსიაშიც შემოგთავაზებთ მხოლოდ ვარაუდს და არა დასაბუთებას. მისაღები ჩანს, რომ ალბათ აღნიშნულ, "შე"-ში და "ოგი"-ში მოქმედი შენაცვლებადი და ინდიფერენტული ენერგია მომდინარეობს ნარცისტული ლიბიდოს მარაგიდან, მაშასადამე, ის დესექსუალიზირებული ეროსია. ეროტული ლტოლვები ჩანან, დიახ, საერთოდ უფრო პლასტიკურნი, უფრო განყენებულნი და შენაცვლებადნი ვიდრე დესტრუქციის ლტოლვები. შემდეგ შეგვიძლია ძალდატანების გარეშე გავაგრძელოთ, რომ ეს შენაცვლებადი ლიბიდო დგას სიამოვნების ლტოლვის სამსახურში, რათა თავიდან აცილოს დაგუბებანი და გააადვილოს განტვირთვები. ამასთან არ შეიძლება არ შევამჩნიოთ გარკვეული გულგრილობა იმის მიმართ, თუ რა გზით ხორციელდება განტვირთვა, თუკი ის საერთოდ ხდება. ჩვენ ვიცნობთ ამ თვისებას როგორც დამახასიათებელს დატვირთვის პროცესისათვის "ოგი"-ში. ესაა ეროტულ დატვირთვებთან, ამასთან ვითარდება გულგრილობა ობიექტის მიმართ, სავსებით განსაკუთრებით, გადატანებთან ანალიზში, რომლებიც უნდა განხორციელდნენ სულერთია რომელ პირთან. არც თუ დიდი ხნის წინ

რანკმა ამის მშვენიერი მაგალითი მოიტანა – შურის ნეგროტული რეაქციები მიიმართებიან არასწორ პირებზე. არაცნობიერის ქცევასთან უნდა მოვიხსენიოთ კომიკური ანეკდოტი; სოფლის სამკერავიდან უნდა ჩამოახრჩონ ერთ-ერთი, იმის გამო, რომ სოფლის ერთადერთმა მჭედელმა ჩაიდინა სასიკვდილო დანაშაული. სასჯელი უნდა აღსრულდეს მაშინაც კი, თუკი დაისჯება უდანაშაულო პირველად დასახელებული ქარაფშუტობა შეეამჩნიეთ სიზმრის მუშაობაში პირველადი პროცესების გაღაწევასთან. როგორც აქ აღნიშნული ობიექტები, ისე ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში, განტვირთვის ხერხები მხედველობაში მხოლოდ მეორე რიგში მიიღება. "შე" ერთნაირად დაინახავდა დიდ სიზუსტეს როგორც ობიექტის, ისე განტვირთვის გზის არჩევაში.

თუკი აღნიშნული გადაწევის ენერგია არის დესექსუალიზებული ლიბიდო, მაშინ უფლება გვაქვს მას ვუწოდოთ **სუბლიმირებული**, ვინაიდან მუდამ კვლავ ხელს აშველებს ეროსის მთავარ განზრახვას – შეერთებასა და დაკავშირებას, როცა იმ მთლიანობის აღდგენას ემსახურება, რომლისაკენ სწრაფვითაც გამოირჩევა "შე". თუკი ჩავრთავთ აზროვნების პროცესებს, ფართო მნიშვნელობით, ამ გადაწევებში, მაშინ სწორედ აზროვნების მუშაობაც ეროტული ლტოლვის ძალის სუბლიმირებით ხდება.

აქ კვლავ ვდგაგართ წინათ მოხსენებული შესაძლებლობის წინაშე, რომ სუბლიმირება ხდება წესზომიერად "შე"-ს შუამდგომლობით. გავიხსენოთ სხვა შემთხვევა, რომ ეს "შე" ასრულებს პირველად, რა თქმა უნდა, უფრო გვიან დამუხტვას 'ეგი'-ს ობიექტისას იმით, რომ "შე"-ში იღებს მის ლიბიდოს და მასთან დაკავშირებულია, ბუნებრივია, სექსუალური მიზნების მოხსნა, დესექსუალიზაცია. ყოველ შემთხვევაში, ასე ვლებულობთ შეზედულებას "შე"-ს მნიშვნელოვან ეროსთან მიმართებაში. მაშინ, როცა ამგვარად "შე" ობიექტის დატვირთვის ლიბიდოს აძლიერებს, ანდა სუბლიმირებს 'ეგი'-ს ლიბიდოს, მუშაობს 'ეგი'-ს განზრახვების წინააღმდეგ, საკუთარ თავს აყენებს ლტოლვის მოწინააღმდეგე წაქეზებათა სამსახურში. "შე" უნდა შეეგუოს 'ეგი'-ს ობიექტის დატვირთვის სხვა ნაწილს, ასე რომ ვთქვათ, მასში მიიღოს მონაწილეობა. "შე"-ს საქმიანობის სხვა შესაძლო შედეგზე მოგვიანებით ვილაპარაკებთ.

ახლა უნდა შევუდგეთ ნარცისმის მოძღვრების მნიშვნელოვან შერჩევას. დასაწყისში მთელი ლიბიდო 'ეგი'-ში გროვდება მაშინ, როცა "შე", ჯერ კიდევ ქმნადობაშია ან სუსტია. ამ ლიბიდოს ერთ ნაწილს 'ეგი' წარმართავს ობიექტის ეროტული დატვირთვებისაკენ, რომლის შემდეგ გაძლიერებული "შე" ცდილობს ამ ობიექტის ლიბიდოს დაუფლებას და 'ეგი'-ზე საკუთარი თავის, როგორც სიყვარულის ობიექტის, თავზე მოხვევას. მაშასადამე, "შე"-ს ნარცისმი მეორეულია, ობიექტებისაგან განყენებული.

მუდამ ვლებულობთ გამოცდილებას, რომ ლტოლვის წაქეზებანი, რომელთაც შეგვიძლია გავსდიოთ, აღმოჩნდებიან ეროსის ნამცერნი. ძნელი იქნებოდა დუალისტური პრინციპული თვალსაზრისის დაცვა, რომ არ გვქონოდა მოსაზრებანი გადმოცემულ ნაშრომში "სიამოვნების პრინციპის მიღმა". და ბოლოს სადისტურის შესახებ დამატებანი ეროსის საკითხთან დაკავშირებით. ვინაიდან იძულებული ვიყავით ამისთვის, უნდა შთაბეჭდილება მიგვეღო, რომ სიკვდილის ლტოლვები არსებითად ყრუა და სიცოცხლის ხმაური ეროსისაგან*.

და ახლა ეროსის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ! არ შეიძლება უარყოთ შეხედულება, რომ სიამოვნების პრინციპი ემსახურება 'ეგი'-ს, როგორც კომპასი ლიბიდოს წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც დარღვევები შეაქვს ცხოვრების მდინარებაში. თუკი კონსტანტობის პრინციპი, **ფეხნერის** გაგებით, ბატონობს ცხოვრებაში, რომელიც, მაშასადამე, უნდა ყოფილიყო სიკვდილისაკენ ცოცვა, მაშინ ეროსის, სექსუალური ლტოლვების მოთხოვნები უნდა ყოფილიყო ლტოლვის მოთხოვნილებანი დაქვეითების დონის შეკავებისა და ახალ დაძაბულობათა შემოტანისა, მათგან 'ეგი' თავს იცავს სხვადასხვა გზით, სიამოვნების პრინციპით, ე.ი. წარმართული უსიამოვნების აღქმით, უპირველეს ყოვლისა, შესაძლო დათმობის გზით არადესექსუალიზებული ლიბიდოს მოთხოვნების ძიმართ, მაშ, პირდაპირი ბრძოლის გზით სექსუალური მისწრაფებების დაკმაყოფილების წინააღმდეგ უფრო დიდი მასშტაბით, როცა ერთ-ერთი ამ დაკმაყოფილებასთან, რომელშიც თავს იყრიან ყველა ნაწილობრივი მოთხოვნები, სექსუალური სუბსტანციები იხსნება, რომლებიც არი-

* ჩვენი გაგებით, გარეთ მიმართული დესტრუქციის ლტოლვები განყენებულნი არიან საკუთარი "თვითონ"-იდან ეროსის გაშუალებით.

ან, ასე რომ ვთქვათ, ეროტულ დაძაბულობათა მატარებელნი. სექსუალური ნივთიერების გადმოღვრა სექსუალურ აქტში შეესატყვისება გარკვეულწილად სომისა და ჩანასახის პლაზმის გაყოფას აქედან გამომდინარეობს მსგავსება სრული სექსუალური დაკმაყოფილებისა სიკვდილთან, ხოლო დაბალ ცხოველებთან სიკვდილის დამთხვევა ჩასახვის აქტთან. ეს არსებები იხოცებიან გამრავლების დროს, რამდენადაც დაკმაყოფილების გზით ეროსის გამორიცხვა სიკვდილის ლტოლვას ხელ-ფეხს უხსნის, რათა მისი მიზნები განახორციელოს. და ბოლოს, როგორც გავიგეთ, "მე" უმსუბუქებს "ოგი"-ს გადალახვის სამუშაოს, როცა სუბლიმირებს ლიბიდოს ნაწილებს თავისთვის და თავისი მიზნებისათვის.

V

"მე"-ს დამოკიდებულებანი

მასალის დახლართულობა ამართლებს იმას, რომ არც ერთი სახელწოდება არ ფარავს მთლიანად თავის შინაარსს და რომ ჩვენ ისევ და ისევ უკვე ერთხელ შესწავლილს ვუბრუნდებით, როცა გვინდა შევისწავლოთ ახალი მიმართებები.

ასე, მრავალგზის გვითქვამს, რომ "მე"-ს დიდი ნაწილი შედგება იდენტიფიცირებათაგან, რომელთაც ცვლის "ოგი"-ს ლია დატვირთვები, რომ პირველი ეს იდენტიფიცირებანი წესზომიერად არის "მე"-ში როგორც განსაკუთრებული ინსტანცია, "მე"-სადმი დაპირისპირებული, "ზე-მე", როცა გაძლიერებულ "მე"-ს მოგვიანოდ შეუძლია გამოავლინოს სიმტკიცე ასეთ იდენტიფიცირებათა ზეგავლენის წინააღმდეგ. "ზე-მე" თავის განსაკუთრებულ ადგილს "მე"-ში ან, "მე"-ს მიმართ უმადლის ერთ მომენტს, რომელიც უნდა შეფასდეს ორი მხრიდან: პირველი, რომ ის პირველი იდენტიფიცირება, რომელიც მაშინ მოხდა, სანამ "მე" ჯერ კიდევ სუსტი იყო, და მეორე, რომ ის ოიდიპოსის კომპლექსის მემკვიდრეა, მაშ, მან შეიტანა "მე"-ში ყველაზე დიდებული ობიექტები. ის გარკვეულწილად ისეთ დამოკიდებულებაშია "მე"-ს მოგვიანო ცვლილებებთან, როგორადაც ბავშვობის პირველადი სექსუალური ფაზა პუბერტეტის შემდგომ მოგვიანო სექსუალურ ცხოვრებასთან. თუმცა არის რა ყველა გვიანი

ზემოქმედებისათვის მისაწვდომი, მაინც ინარჩუნებს მთელი ცხოვრების მანძილზე იმ ბუნებას, რომელიც მას წარმოშობით აქვს მინიჭებული მაძის კომპლექსიდან, სახელდობრ "მე"-სადმი დაპირისპირების უნარითა და მისი გადალახვით. "ოგი" ძეგლია "მე"-ს უწინდელი სისუსტისა და დამოკიდებულებისა, და განაგრძობს თავის ბატონობას მომწიფებულ, მე-ზეც. ისე როგორც ბავშვი იძულებული იყო თავისი მშობლებისათვის დაეჯერებინა, ასევე "მე"-ც ექვემდებარება თავისი "ზე-მე"-ს კატეგორიულ იმპერატივს.

"ოგი"-ს წარმოშობა პირველი ობიექტის დატვირთვისაგან, მაშასადამე, ოიდიპოსის კომპლექსისაგან, ნიშნავს "ზე-მე"-სათვის უფრო, მეტს: მას აკავშირებს, როგორც უკვე ავხსენით, "ოგი"-ს ფილოგენეტურ შენაძენებთან და ქმნის გარდასახვად (რეინკარნაციად) "მე"-ს ადრეულ წარმონაქმნებთან, რომელიც თავის კვლებს ტოვებს "ოგი"-ში. ამგვარად, "ზე-მე" ხანგრძლივადაა ახლა "ოგი"-სთან და შეუძლია "მე"-ს მიმართ იყოს მისი წარმომადგენელი. "ზე-მე", ღრმად ჩაფის "ოგი"-ში, ამდენად, უფრო დაშორებულია ცნობიერებისაგან, ვიდრე "მე"*.

ამ დამოკიდებულებებს ყველაზე კარგად მაშინ შევაფასებთ, თუკი მივმართავთ გარკვეულ კლინიკურ ფაქტებს, რომლებიც დიდი ხანია სიახლენი აღარ არიან, მაგრამ ისინი თეორიულ დამუშავებას ჯერ კიდევ ელიან.

არიან პირები, რომლებიც ანალიზური მუშაობის დროს საკმაოდ უცნაურად იქცევიან. თუკი მათ იმედს აძლევენ და გამოთქვამენ კმაყოფილებას მათი მკურნალობის მდგომარეობით, ისინი უკმაყოფილონი ჩანან და რეგულარულად ამტკიცებენ თავიანთ მდგომარეობას. თავიდან ეს მიიღება სიყვიუტედ და მცდელობად დაუმტკიცოს მკურნალს თავისი უპირატესობა. მოგვიანებით ვალწევთ უფრო ღრმა და სამართლიან გაგებას: რწმუნდები არა მარტო იმაში, რომ ეს პირები ვერ იტანენ შექებასა და აღიარებას, არამედ მასშიც, რომ მკურნალობის წარმატებაზე ისინი შებრუნებულად პასუხობენ. პრობლემის ყოველი ნაწილობრივი გადაწყვეტა, რომელსაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა სიმპტომების გაუმჯობესება, ანდა დროებითი

---

* შეიძლება ითქვას ფსიქოანალიზური ანდა მეტაფსიქოანალიზური "მე"-ც დგას თავზე, როგორც ესაა ანატომიური "ტვინის კაცის" შემთხვევაში.

გამოვარდნა, რაც სხვებთან მიიღწევა, მათთან იწვევს მწუხარების უცნაურ გაძლიერებას; მათი მდგომარეობა მკურნალობის დროს ნაცვლად გაუმჯობესებისა, უარესდება. ისინი ავლენენ ე. წ. ნეგატიურ თერაპევტულ რეაქციას.

უეჭველია, რომ მათში რაღაც უპირისპირდება გამოჯანმრთელებას, რომ მის მოახლოებას საშიშროებად განიცდიან. ამბობენ, რომ ასეთ პირობებში ჭარბობს გამოჯანმრთელების ნება კი არა, არამედ ავადმყოფობის მოთხოვნილება. თუკი ამ წინააღმდეგობას გავაანალიზებთ ჩვეულებრივ, მისგან გამოვრიცხავთ მკურნალისადმი სიყვარულის განწყობას და ავადმყოფობის მიმდინარეობის ფორმაზე ფიქსაციას, მაინც რჩება კიდევ დიდი ნაწილი და ეს აჩვენებს უძლიერეს წინააღმდეგობას გამოჯანმრთელებისადმი, უფრო ძლიერს, ვიდრე ჩვენთვის უკვე ცნობილი ნარცისტული მიუწვდომლობა – უარყოფითი განწყობა მკურნალისადმი და ავადმყოფობასთან ჩაბღაუჭება.

საბოლოოდ ვღებულობთ თვალსაზრისს, რომ ლაპარაკია, ასე რომ ვთქვათ, "მორალურ" ფაქტორზე, ბრალის გრძნობაზე, რომელიც დაკმაყოფილებას ნახულობს ავადმყოფობაში და არ უნდა უკუაგდოს მწუხარების სასჯელი. საბოლოოდ უნდა შევჩერდეთ ამ ნაკლებად დამაიმედებელ ახსნაზე. მაგრამ ავადმყოფისათვის ბრალის ცნობიერება ღუმს, მას არ ამცნობს, რომ ის დამნაშავეა; ის თავს გრძნობს არა დამნაშავედ, არამედ დაავადებულად. ბრალის ცნობიერება ვლინდება მხოლოდ როგორც საკუთარი გამოჯანმრთელების მიმართ ძნელად დაძვრადი წინააღმდეგობა. ასევე, განსაკუთრებით ძნელია დაარწმუნო ავადმყოფი, რომ ესაა მოტივი, თუ რატომ გრძელდება მისი ავადმყოფობა: ის მიმართავს უფრო გასაგებ ახსნას, რომ ანალიზური მკურნალობა არაა სწორი საშუალება, რომელიც მას დაეხმარებოდა*.

* ბრძოლა არაცნობიერი ბრალის გრძნობის დაბრკოლების მიმართ ანალიტიკოსისათვის აღვილი არაა. პირდაპირ მასთან არაფერის გაკეთება არ შეიძლება, ხოლო არაპირდაპირ – სხვა არაფრის, თუ არა ნელი სვლით მისი არაცნობიერად განდევნილი დასაბუთების აღმოჩენა, ამასთან ის თანდათან გადაიქცევა ცნობიერი ბრალის გრძნობად. განსაკუთრებული ზემოქმედების შანს ვღებულობთ, რიცა არაცნობიერი (ubw) ბრალის გრძნობა ნასესხებია, რაც ნიშნავს, რომ იდენტიფიცირების შედეგია სხვა პირთან, რომელიც ერთხელაც იყო ერთიტული დაფიქსირების ობიექტი. ამგვარი გადმოტანა ბრალის გრძნობისა ხშირად ერთადერთი, ძნელად

რაც აქ აღიწერა, შეესატყვისება ყველა უკიდურეს შემთხვევებს, მაგრამ შეიძლება უმცირესი მასშტაბით ძალზე მრავალი, ალბათ ნევროზების ყველა მძიმე შემთხვევისათვის მხედველობაში იქნეს მიღებული. დიახ, უფრო მეტიც – ალბათ ესაა სწორედ ის ფაქტორი, "შე-იდეალის" ქცევა – რომელიც ნევროზული დაავადების სიძნელეს გადაჭრით განსაზღვრავს. ამიტომ ჩვენ გვინდა არ გამოვრიცხოთ რამდენიმე შემდგომი შენიშვნა ბრალის გრძნობის გამოსახვის თაობაზე სხვადასხვა პირობებში.

ნორმალური, ცნობიერი ბრალის გრძნობა (სინდისი) სიძნელეს არ ქმნის ინტერპრეტაციისათვის, ის ემყარება "შე"-სა და "შე-იდეალს" შორის დაძაბულობას და თავის კრიტიკული ინსტანციით "შე"-ს დაყოფის გამოხატულებაა. ნევროტიკის ცნობილი ნაკლებობებულების გრძნობა აქედან შორს არ დგას. ჩვენთვის კარგად ცნობილ ორ აფექციაში მეტისმეტად ცნობიერია ბრალის ცნობიერება; "შე-იდეალი" აჩვენებს განსაკუთრებულ სიმკაცრეს და ხშირად "შე"-ს წინააღმდეგ გააფთრებულია მრისხანებით. ამ დამთხვევის გვერდით ორივე მდგომარეობასთან, იძულების ნევროზსა და ცელანქოლიასთან, გვეძლევა "შე-იდეალის" ქცევაში არანაკლებ მნიშვნელოვანი განსხვავებულობანი.

იძულებით ნევროზებთან (მის გარკვეულ ფორმებთან) მომაბეზრებელია ბრალის გრძნობა, მაგრამ არ შეუძლია თავის გამართლე-

საცნობი ნაშთია მიტოვებული სიყვარულის დამოკიდებულებისა. ამასთან მსგავსება ცელანქოლიის პროცესთან უთუოა. თუკი შეგვეძლება ამ ჯოფილი ობიექტის დატვირთვის აღმოჩენა არაცნობიერი (ubw) ბრალის გრძნობის უკან, მაშან თერაპევტული ამოცანა ხშირად ბრწყინვალედ ხდება. სხვა შემთხვევაში თერაპევტული მცდელობის გამოსავალი სრულიადაც არაა უზრუნველყოფილი. პირველ რიგში ეს დამოკიდებულია ბრალის ცნობიერების ინტენსივობაზე, რომელსაც თერაპეას ხშირად არ შეუძლია დაუპირისპიროს მსგავსი სიდიდის საპირისპირო ძალა; ალბათ იმაზეც – უშვებს თუ არა ანალიტიკოსის პიროვნება, რომ ის ავადმყოფის მიერ მისი "შე-იდეალის" აღგილზე ისმენდა, რომელთანაც დაკავშირებულია მცდელობა ითამაშოს ავადმყოფის მიმართ წინასწარმეტყველის, სულის გადამრჩენის როლი. ვინაიდან ანალიზის წესები გადაჭრით ეწინააღმდეგება მკურნალი პიროვნების ასეთ გამოყენებას, უნდა ჰატეოსნად ვალიაროთ, რომ აქ ამით მოცემულია ანალიზის მოქმედების ახალი დაბრკოლება, რომელიც ავადმყოფურ რეაქციებს შეუძლებლად არ ხდის, არამედ ავადმყოფის "შე"-სათვის თავისუფლებას ქმნის ამა თუ იმ გადაწყვეტისათვის.

ბა "შე"-ს წინაშე. აქედან გამომდინარე ავადმყოფის "შე" ეწინააღ
მდეგება მოთხოვნას, რომ მას ბრალი მიუძღვის და მკურნალისაგან
მოითხოვს მზარი დაუჭიროს ბრალის გრძნობას უარყოფაში. სისუ
ლელე იქნებოდა მისთვის დაგვეთქო, ვინაიდან ვერ მივაღწევდით
წარმატებას. შემდგომი ანალიზი გვიჩვენებს, რომ "ზე–შე"–ზე ის
პროცესები ზემოქმედებს, რომლებიც "შე"–სთვის უცნობი დარჩნეს
ნამდვილად განდეგილი იმპულსები მოიძებნებიან, რომლებიც ბრა
ლის გრძნობას აფუძნებენ. "ზე–შე"–მ აქ უფრო მეტი იცის არაცნო
ბიერი "ფი"–ს შესახებ, ვიდრე "შე"–მ.

უფრო ძლიერი შთაბეჭდილება, რომ, "ზე–შე"–მ ცნობიერება
თავისთან მიისაკუთრა, მელანქოლიასთანაა. მაგრამ აქ, "შე" ვერ
ბედავს შეპასუხებას, ის თავს გრძნობს დამნაშავედ და ექვემდება
რება დასჯას. ჩვენ ეს განსხვავება გვესმის. იძულების ნევროზებ
თან ლაპარაკი იყო საძრახის წაქეზებებზე, რომლებიც დარჩენილნი
იყვნენ "შე"–ს გარეშე; მაგრამ მელანქოლიასთან ობიექტი, რომელ
ზეცაა მიმართული "ზე–შე"–ს გულისწყრომა, მიიღება "შე"–ში
იდენტიფიცირების გზით.

სრულიადაც არაა თავისთავად გასაგები, რომ ამ ორი ნევრო
ტული აფექციიდან ასეთ განსაკუთრებულ სიძლიერეს აღწევს ბრა
ლის გრძნობა, მაგრამ სიტუაციის მთავარი პრობლემა მაინც სხვა
გან ძევს. ჩვენ გადავდებთ მის განმარტებას მანამ, სანამ სხვა
შემთხვევებს არ განვიხილავთ, რომლებშიაც ბრალის გრძნობა არაც
ნობიერად რჩება.

ეს ხომ არსებითად ისტერიასთან და ისტერიული ტიპის მდგო
მარეობებთან შეინახება. აქ ადვილად მისახვედრმია არაცნობიერად
დარჩენის მექანიზმი. ისტერიული "შე" თავს იცავს მტანჯველი
აღქმისაგან, რომელიც მას ემუქრება მისი "ზე–შე"–ს კრიტიკის
მხრიდან იმნაირადვე, როგორადაც ჩვეულებრივ მიჩვეულია თავი
დაიცვას აუტანელი ობიექტური დატვირთვისაგან განდევნის აქტის
გზით. მაშ, "შე"–ზეა დამოკიდებული, თუკი ბრალის გრძნობა არაცნო
ბიერი რჩება. ვიცით, რომ ჩვეულებრივ მე, იწყებს განდევნებს თავი
სი "ზე–შე"–ს სამსახურში და მისი დავალებით; მაგრამ აქაა შემთხვე
ვა, როცა ის მოიხმარს იგივე იარაღს თავისი მკაცრი ბატონის
წინააღმდეგ. იძულების ნევროზთან ჭარბობს, როგორც ცნობილია,

რეაქციის წარმოქმნის ფენომენები; აქ "შე" აღწევს მხოლოდ მასა
ლის შორის დაჭერას, რომელზედაც მიმართულია ბრალის გრძნობა.

შეიძლება უფრო შორს წავიდეთ და ვბედავთ წანამძღვრის
წამოყენებას, რომ ბრალის გრძნობის ნაწილი ნორმალურად არაც
ნობიერი უნდა იყოს, ვინაიდან სინდისის აღმოცენება შინაგანადაა
დაკავშირებული ოიდიპოსის კომპლექსთან, რომელიც არაცნობიერს
განეკუთვნება. თუკი ვინმეს ენდომებოდა პარადოქსალური დებულე
ბის წამოყენება, რომ ნორმალური ადამიანი არა მხოლოდ მრავალ
გზის უფრო ამორალურია, ვიდრე ჰგონია, არამედ მრავალგზის
უფრო მორალურია, ვიდრე მან იცის, მაშინ ფსიქოანალიზს, რომ
ლის მონაცემებს მტკიცების პირველი ნაწილი ემყარება, არაფერი
ექნებოდა შესაპასუხებელი მეორე ნაწილის წინააღმდეგაც*.

მოულოდნელობა იქნებოდა გვენახა, რომ ამ არაცნობიერი (ubw)
ბრალის გრძნობის ამაღლებას ადამიანი შეეძლო ექცია დამნაშავედ,
მაგრამ ეს უეჭველად ასეა. მრავალ, განსაკუთრებით ჭაბუკ დმნაშა
ვეებთან შეიძლება დავადასტუროთ ბრალის ძლიერი გრძნობა, რო
მელიც არსებობდა დანაშაულობამდე. მაშ, არაა მისი შედეგი, არა
მედ მოტივია, თითქოს შეიგრძნობოდეს ამ არაცნობიერი ბრალის
გრძნობის დაკავშირების შესაძლებლობა რაღაც რეალურთან და
აქტუალურთან.

ყველა მითითებაში "ზე–შე" ამტკიცებს თავის დამოუკიდებლო
ბას ცნობიერი "შე"–საგან და თავის შინაგან დამოკიდებულებას
არაცნობიერ, "ფი"–სთან. ახლა ისმის კითხვა მნიშვნელობის მზედ
ველობაში მიღებით, რომელსაც მივაწერთ "შე"–ში წინაცნობიერ
სიტყვათა ნარჩენებს – შედგება თუ არა არაცნობიერი "ზე–შე", სიტყ
ვათა ასეთი ნარჩენებისაგან, თუ სხვა რაიმესაგან? მოკრძალებული
პასუხი ასეთი იქნება: "ზე–შე"–ს არ შეუძლია უარყოს თავისი წარ
მოშობაც მოსმენილისაგან. დიახ, ისაა ნაწილი "შე"–სი და რჩება ამ
სიტყვათა წარმოდგენების (ცნებები, აბსტრაქციები) მხრიდან ცნობი
ერებისათვის მისაწვდომი, მაგრამ დატვირთვის ენერგია გადაეცემა,

---

* ეს დებულება მხოლოდ მოჩვენებითაა პარადოქსალური; ის უბრალოდ ამბობს, რომ ადამიანის ბუნება კეთილში და ბოროტში შორს გადის იმ შეხედუ
ლებიდან, რომელიც მას აქვს საკუთარ თავზე, ე.ი. რაც მისი "შე"–სათვის ცნობი
ერებისათვის აღქმით.

"ზე-მე"-ს ამ შინაარსებს არა სმენითი წარმოდგენებიდან სწავლის და კითხვისაგან, არამედ "ოგი"-ს წყაროებიდან.

კითხვა, რომელზედაც პასუხის გაცემა გადავდეთ, ასეთია: როგორ ხდება, რომ "ზე-მე" არსებითად ვლინდება როგორც ბრალის გრძნობა (უკეთ, როგორც კრიტიკა; ბრალის გრძნობა არის ამ კრიტიკის შესტყვისი აღქმა "მე"-ში) და ამასთან ანვითარებს ასეთ განსაკუთრებულ სიმკაცრესა და ულმობელობას "მე"-ს წინააღმდეგ? თავდაპირველად მივმართოთ მელანქოლიას. ვნახავთ, რომ ზეძლიერი "ზე-მე", რომელმაც დაიკავა ცნობიერება, "მე"-ს წინააღმდეგ მძვინვარებს ისეთი ულმობელი სისწრაფით, თითქოს მითვისებული ჰქონდეს ინდივიდის განკარგულებაში მყოფი მთელი სადიზმი. სადიზმის ჩვენი გაგების მიხედვით, ვიტყოდით – "ზე-მე"-ში დესტრუქციულმა კომპონენტებმა დაისადგურა და მიემართა "მე"-ს წინააღმდეგ. ახლა რაც "ზე-მე"-ში ბატონობს, თითქოს იყოს სიკვდილის ლტოლვის წმინდა კულტურა და საკმაოდ ხშირად ნამდვილად ახერხებს "მე" მიიყვანოს სიკვდილამდე, თუკი "მე" მანამდე თავს არ დაიცავს თავისი ტირანისაგან მანიაში გაბვევით.

მსგავსად არასახიამოვნო და შემაწუხებელია სინდისის საყვედური იძულების ნევროზის განსაზღვრულ ფორმებთან, მაგრამ სიტუაცია აქ ნაკლებად ცხადია. მელანქოლიის საპირისპიროდ აღსანიშნავია, რომ იძულების ნევროზით დაავადებული საკუთრივ არასდროს არ გადადგამს თვითმკვლელობის ნაბიჯს, ის იმუნიტეტს მქონეა თვითმკვლელობის საშიშროების მიმართ, მისგან გაცილებით უკეთაა დაცული, ვიდრე ისტერიკა. გვესმის, რომ ობიექტის შენარჩუნებაა ის, რაც იცავს "მე"-ს უშიშროებას. იძულების ნევროზთან ეს შესაძლებელია პრეგენიტარული ორგანიზაციისადმი რეგრესიის გზით, რომ სიყვარულის იმპულსები გარდაიქმნებიან აგრესიის იმპულსებად ობიექტის მიმართ. ისეც თავისუფლდება დესტრუქციის ლტოლვა და მას ნებავს ობიექტის განადგურება, ანდა ყოველ შემთხვევაში გვეჩვენება, თითქოს ასეთი განზრახვა არსებობდეს. "მე"-ს არ აქვს მიღებული ასეთი ტენდენციები, ის ეწინააღმდეგება მათ რეაქციათა წარმონაქმნითა და დაცვის წესებით, ისინი "ოგი"-ში რჩებიან. მაგრამ "ზე-მე" ისე იქცევა, თითქოს "მე" ყოფილიყოს მისთვის პასუხისმგებელი და იმავდროულად ჩვენ გვიჩვენებს სერიოზულობით, რომლითაც "ზე-მე" მისდევს ამ განადგურების განზრახვებს, რომ საქმე ეხება არა რეგრესიით გამოწვეულ მოჩვენებითობას, არამედ სიყვარულის ნამდვილ შენაცვლებას სიძულვილით. ორივე მხრიდან დაუცველი "მე" თავს იცავს ამაოდ მომაკვდინებელი "ოგი"-ს მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, როგორადაც სინდისის დამსჯელი საყვედურების წინააღმდეგ. ის ახერხებს სწორედ ორივე ფრონტზე უხეში, აქტივობის შეკავებას და შედეგია, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის უსასრულო ტანჯვა და შემდგომ გასუთარებაში, სადაც ეს მისაწვდომია, ობიექტის სისტემატური წამება.

ინდივიდში საშიში სიკვდილის ლტოლვა სხვადასხვაგვარად განიკურნება. ნაწილობრივ ის ეროტულ კომპონენტებთან შერევით გასებელიყოფა, ნაწილობრივ კი აგრესიის სახით გარეთ გადახრილი აგრძელებს უდიდეს ნაწილში, რა თქმა უნდა, დაუბრკოლებლად თავის შინაგან სამუშაოს. მაგრამ როგორ ხდება, რომ მელანქოლიასთან "ზე-მე"-ს შეუძლია გახდეს თავისებური სახის სიკვდილის ლტოლვის თავმოყრის ადგილი?

ლტოლვათა შეზღუდვის, მორალურობის თვალსაზრისით შეიძლება ითქვას: "ოგი" საკმაოდ ამორალურია, "მე" ცდილობს იყოს მორალური, "ზე-მე"-ს კი შეუძლია გახდეს ჰიპერმორალური და მაშინაც ისეთი მკაცრი, როგორც მხოლოდ "ოგი"-ა. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანი რაც უფრო მეტად ზღუდავს გარეთ მიმართულ აგრესიას, მით უფრო მკაცრი, მაშასადამე, აგრესიული ხდება თავის "მე-იდეალში". ჩვეულებრივ განხილვას ეს პირიქით ეჩვენება, ის ჭვრეტს "მე-იდეალის" მოთხოვნაში აგრესიის დათრგუნვის მოტივს. მაგრამ ფაქტი კი რჩება, როგორადაც გამოვთქვით: ადამიანი რაც უფრო მეტად ეუფლება თავის აგრესიას, მით უფრო ძალღდება მისი იდეალის აგრესიის მიდრეკილება საკუთარი "მე"-ს წინააღმდეგ. ესაა გადაწევის მსგავსად შემობრუნება საკუთარი "მე"-ს წინააღმდეგ. უკვე ჩვეულებრივ ნორმალურ მორალს აქვს რაღაც მტკიცედ შეზღუდული, მკაცრად ამკრძალავი ბუნება. აქედან გამომდინარეობს, მართლაცდა სასტიკად დამსჯელი უმაღლესი არსების კონცეფცია.

ამჯერად მე აღარ შემიძლია ამ მიმართებათა შემდგომი განხილვა, თუკი არ შემოვიტან ახალ დაშვებას. "ზე-მე", დიახაც

წარმოიშვა მამის ხატთან იდენტიფიცირებით. ყოველ ასეთ იდენტიფიცირებას აქვს დესექსუალიზაციის, ანდა თვითონ სუბლიმაციის ბუნება. ახლა ჩანს, რომ ასეთ გადაქცევასთან ხდება ლტოლვათა დაშლაც. ეროტულ კომპონენტს სუბლიმაციის შემდეგ ძალა აღარ აქვს, რათა დააკავშიროს მთელი დამატებითი დესტრუქცია და ის თავისუფლდება აგრესიისა და დესტრუქციის მიდრეკილებისაგან. ამ დაშლით "იდეალი" ხდება გარდაუვალი ვალდებულების მტკიცე მკაცრი თვისება.

კიდევ მოკლედ შევჩერდებით იძულების ნევროზზე. აქ დამოკიდებულება სხვაგვარია. სიყვარულის გათიშვა აგრესიაში მოხდა არა "შე"-ს მცდელობით, არამედ აგრესიის შედეგად, რომელიც "ოგი"-ში განხორციელდა. მაგრამ ეს პროცესი "ოგი"-დან გადავიდა "ზე-შე"-ზე, რომელიც ახლა თავის სიმკაცრეს აძლიერებს უდანაშაულო "შე"-ს მიმართ. ორივე შემთხვევაში "შე", რომელმაც გადალახა ლიბიდო იდენტიფიკაციით, განიცდის "ზე-შე"-ს დასჯას ლიბიდოსთან შერეული აგრესიის სახით.

ჩვენი წარმოდგენები "შე"-ს შესახებ იწყებენ გარკვევას, რათა მიაღწიონ სიცხადეს მისმა განსხვავებულმა დამოკიდებულებებმა. ახლა ჩვენ ვხედავთ "შე"-ს თავის სიძლიერესა და სისუსტეში მას აკისრია მნიშვნელოვანი ფუნქციები. მისი მიმართების ძალით აღადგენს აღქმის სისტემასთან სულიერი პროცესების დროით წყობას და მას უქვემდებარებს რეალობის შემოწმებას. აზროვნების პროცესების ჩართვით ის აღწევს მოტორული განტვირთვის შეკავებას და ფლობს მოძრაობის მისადგომებს. უკანასკნელად ბატონობა უფრო ფორმალურია, ვიდრე ფაქტიური. რა თქმა უნდა, მოქმედებასთან მიმართებაში "შე" იჭერს რაღაც კონსტიტუციონალური მონარქის ადგილს, რომლის სანქციის გარეშე არაფერი არ შეიძლება იქცეს კანონად, მაგრამ რომელიც ინტენსიურად ფიქრობს, სანამ დაადებდეს ვეტოს პარლამენტის წინადადებას. "შე" მდიდრდება ცხოვრების ყოველგვარი გარე გამოცდილებიდან; მაგრამ "ოგი" მისი სხვა გარესამყაროა, რომლის დაქვემდებარებისაკენ ისწრაფვის. "შე" ართმევს "ოგი"-ს ლიბიდოს, გარდაქმნის "ოგი"-ს ობიექტის დატვირთვას "შე"-ს წარმონაქმნებად. "ზე-შე"-ს დახმარებით, ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი სახით, "შე" მოიპოვებს "ოგი"-ში წინადროის გამოცდილებას.

არის ორი გზა, რომლებითაც "ოგი"-ს შინაარსი "შე"-ში შემოიჭრება. ერთი პირდაპირია, მეორეს გავყავართ "შე-იდეალზე" და შესაძლებელია ზოგიერთი სულიერი მოქმედებისათვის გადამწყვეტი იყოს, თუ ამ ორთაგან რომელ გზას ადგას. "შე" ვითარდება ლტოლვის აღქმიდან ლტოლვის დაუფლებამდე, ლტოლვისადმი დამორჩილებიდან მათ შეკავებამდე. "შე-იდეალი" დიდად მონაწილეობს ამ მოქმედებაში, რაცაა ნაწილობრივ რეაქციის წარმოქმნა "ოგი"-ს ლტოლვის პროცესების მიმართ. ფსიქოანალიზი იარაღია, რომელმაც უნდა შეაძლებინოს "შე"-ს "ოგი"-ს თანდათანობითი დაუფლება.

მაგრამ სხვაგვარად ვხედავთ იგივე "შე"-ს როგორც უბედურ არსებას, რომელიც სამგვარ სამსახურში დგას და ამის გამო სამგვარი მუქარის საშიშროების ქვეშ იტანჯება – გარესამყაროსი, "ოგი"-ს ლიბიდოსა და "ზე-შე"-ს სიმკაცრისა. სამნაირი შიში შეესატყვისება ამ სამ საშიშროებას, ვინაიდან შიში არის საშიშროების წინაშე შეკანკალების გამოხატულება. მოსაზღვრე არსების სახით "შე"-ს უნდა სამყაროს და "ოგი"-ს შორის შუამდგომლობდეს, უნდა "ოგი" გახადოს დამთმობი სამყაროს მიმართ, თავისი კუნთური მოქმედებით. "ოგი"-ს სურვილი დააკმაყოფილოს. "შე" საკუთრივ ისე იქცევა როგორც მკურნალი ანალიზური მკურნალობისას, როცა ის თვითონ თავისი ყურადღების მიმართვით "ოგი"-ს, როგორც ლიბიდოს ობიექტს, სთავაზობს საკუთარ თავს და რომლის ლიბიდო თავისკენ უნდა წარმართოს. "შე" არა მხოლოდ დამხმარეა "ოგი"-სა, არამედ მისი გამგონე მსახურიც, რომელიც ცდილობს თავისი ბატონის სიყვარულს. სადაც კი შესაძლებელია, ის ცდილობს დარჩეს "ოგი"-სთან თანხმობაში, ფარავს "ოგი"-ს არაცნობიერ(ubw) ქცევას თავისი წინაცნობიერი(vbw) რაციონალიზაციებით, გამოხატავს "ოგი"-ს მორჩილების მოჩვენებითობას რეალობის მოწოდების მიმართ. იქაც კი, სადაც "ოგი" რჩება მტკიცე და ურჩი, აქრობს "ოგი"-ს კონფლიქტებს რეალობასთან და, სადაც შესაძლებელია, "ზე-შე"-სთანაც. თავისი შუადგომით "ოგი"-სა და რეალობას შორის, "შე" ხშირად ექვემდებარება მცდელობას გახდეს პირფერი, ოპორტუნისტი და მატყუარა როგორც სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც კარგი გაგებით მაინც უნდა დამკვიდრდეს საზოგადოებრივი შეხედულების წყალობით.

ლტოლვათა ორ სახეს შორის "შე" არ იქცევა არაპარტიულად. თავისი იდენტიფიცირებისა და სუბლიმაციის მუშაობით ის "ოგი"-ში

აღწევს სიკვდილის ლტოლვების თანადგომას ლიბიდოს დაძლევ
სათვის, მაგრამ ვარდება საშიშროებაში – გაზდეს სიკვდილის ლტოლ
ვის ობიექტი და თვითონ დაიღუპოს. **"მე"**-სადმი დახმარების გაწევის
მიზნით თვითონ უნდა აღივსოს ლიბიდოთი, ამით ხდება რა ეროსის
წარმომადგენელი და ახლა უნდა იცოცხლოს და შეიყვარონ.

მაგრამ, ვინაიდან მისი სუბლიმაციის მუშაობას შედეგად მოაქ
ვს **"ზე–მე"**-ში ლტოლვათა დაშლა და აგრესიის ლტოლვათა განთა
ვისუფლება, თავისი ბრძოლით ლიბიდოს წინააღმდეგ ვარდება სა
შიშროებაში შეეწიროს მკაცრ მოპყრობასა და სიკვდილს. თუკი
"მე" ზარალდება **"ზე–მე"**-ს აგრესიის წყალობით, ანდა თვითონ იღუ
პება, მისი ხვედრი ემსგავსება ერთუჯრედიანთა ბედს, რომლებიც
იღუპებიან თავიანთ მიერვე შექმნილი დაშლის პროდუქტებით. ეკო
ნომიური გაგებით ასეთ დაშლის პროდუქტად გეჩვენება **"ზე–მე"**-ში
მოქმედი მორალი.

"მე"-ს დამოკიდებულებათაგან ალბათ ყველაზე საინტერესო **"მე"**
მე"-სთან დამოკიდებულებაა.

"მე", დიახაც, წარმოადგენს საკუთრივ შიშის კერას. საშიშარი
საშიშროებიდან დამუქრებული **"მე"** ანვითარებს გაქცევის რეფლექსს,
რომელშიც საკუთარ დამუხტვას განარიდებს საშიში აღქმიდან,
ანდა ასეთად შეფასებული პროცესიდან **"იგი"**-ში და მას ასაღებს
შიშად. აღნიშნული პრიმიტიული რეაქცია მოგვიანებით იცვლება
დამცველ დატვირთვათა (ფობიების მექანიზმის) შექმნით. რასაც **"მე"**
შიშობს გარეგანი და **"იგი"**-ს ლიბიდოს საშიშროებისაგან, მასზე არ
მიეთითება; ვიცით, ესაა გადალახვა, ანდა მოსპობა, მაგრამ ანალი
ზურად მიუწვდომელია. უბრალოდ **"მე"** მისდევს სიამოვნების პრინ
ციპის გაფრთხილებას. საპირისპიროდ შეიძლება ითქვას, თუ რა
იმალება **"მე"**-ს შიშის უკან **"ზე–მე"**-ს წინაშე, სინდისის შიშის
წინაშე. უმაღლესი არსება, რომელიც იქცა **"მე-იდეალად"**, ოდეს
ღაც გვემუქრებოდა კასტრაციით და კასტრაციის შიშია ალბათ
გული, რომლის გარშემოც მოგვიანო სინდისის შიშია განლაგებუ
ლი; ესაა ის, რაც აგრძელებს სინდისის შიშს.

მყვირალი ფრაზა: ყოველი შიში ესაა საკუთრივ სიკვდილის
შიში ძლივს თუა აზრიანი, ყოველ შემთხვევაში ის არაა გამართლე
ბული. მეჩვენება პირიქით, საკმაოდ სწორად გაითიშოს სიკვდილის
შიში ობიექტის (რეალობის) შიშისა და ნევროტული ლიბიდოს ში-

შისაგან. ფსიქოანალიზისათვის ეს ძნელი პრობლემაა, ვინაიდან სიკვდილი უარყოფითი შინაარსის აბსტრაქტული ცნებაა, რომლის უარყოფითი შესატყვისი არ მოიძებნება, სიკვდილის შიშის მექანიზმი მხოლოდ ის შეიძლება ყოფილიყო, რომ **"მე"** თავისი ნარცისტული ლიბიდოს დატვირთვისაგან მნიშვნელოვანწილად თავისუფლდება, მაშ, თავის თავზე უარს ამბობს, როგორადაც ჩვეულებრივ შიშის შემთხვევაში სხვა ობიექტზე. ვფიქრობ, რომ სიკვდილის შიში გადაიშლება **"მე"**-სა და, **"ზე–მე"**-ს შორის.

ჩვენ ვიცნობთ სიკვდილის შიშის მოვლენას ორი პირობის შემთხვევაში, რომელიც სავსებით ანალოგიურია ჩვეულებრივი შიშის განვითარებისა როგორც რეაქცია გარე საშიშროებაზე და შიგა პროცესზე, მაგალ., მელანქოლიასთან. ნევროტულ შემთხვევას შეუძლია ისევ დაგეხმაროს რეალურის გაგების საქმეში. მელანქოლიის შემთხვევაში სიკვდილის შიში უშვებს მხოლოდ ერთ ახსნას, რომ **"მე"** თავის თავს უარყოფს, ვინაიდან ის გრძნობს **"ზე–მე"**-ს მხრიდან სიძულვილსა და დევნას სიყვარულის ნაცვლად. **"მე"**-სთვის, მაშ, სიცოცხლე არის ერთმნიშვნელოვანი იმისა, რომ უყვარდეთ, რომ **"ზე–მე"**-ს უყვარდეს, რომელიც აქ გამოდის როგორც **"იგი"**-ს წარმომადგენელი. **"ზე–მე"** ასრულებს იმავე დამცველ და გადამრჩენ ფუნქციას როგორც ადრე იყო მაშა, მოგვიანებით კი – განგება, ანდა ბედისწერა. იგივე დასკვნა უნდა გამოიტანოს **"მე"**-მ, თუკი იმყოფება დიდ რეალურ საფრთხეში, რომლის დაძლევა მას საკუთარი ძალებთ, ფიქრობს, რომ არ შეუძლია. ის საკუთარ თავს გრძნობს ყველა დამცველი ძალისაგან მიტოვებულად და საკუთრ თავს სიკვდილის ნებას რთავს. თუმცა ისევ იგივე სიტუაციაა, რომელსაც საფუძვლად ედებოდა პირველი – დიდი შიშის მდგომარეობის აღმოცენებასა და ინფანტილურ სვედა–შიშს – დამცველი დედისაგან განშორების შიშს.

ამ გადმოცემის საფუძველზე სიკვდილის ლტოლვა, ასევე სინდისის შიში, შეიძლება გავიგოთ, როგორც გადამუშავება კასტრაციის შიშისა. ნევროზისათვის ბრალის გრძნობის დიდ მნიშვნელობასთან არ შეიძლება ასევე უარიყოს ის, რომ ჩვეულებრივი ნევროტული შიში მძიმე შემთხვევებში განიცდის გაძლიერებას **"მე"**-სა და **"ზე–მე"**-ს შორის შიშის განვითარებით (კასტრაციის, სინდისის, სიკვდილის შიში).

"ეგო"-ს, რომელსაც ბოლოს ვუბრუნდებით, არ გააჩნია არავითა-
რი საშუალება დაამტკიცოს "ეს"-ს სიყვარული და სიძულვილი. მას
არ შეუძლია თქვას, თუ რა უნდა თვითონ; მას არ გამოუმუშავებია
თუ რა საშუალებით იცავს ერთი ლტოლვა სხვისი წინააღმდეგობი-
დან თავს. ჩვენ შეგვეძლო ეს შემდეგნაირად გამოგვეხატა, თითქოს
"ეგო" მდგარიყოს უტყვი, მაგრამ ძლიერი სიკვდილის ლტოლვების
ქვეშ, რომლებიც ისწრაფვიან სიმშვიდისაკენ და სიამოვნების პრი-
ციპის მითითებების მიხედვით უნდათ ამ მყულროების დამრღვევის
– ეროსის ჩაჩუმება; მაგრამ ვშიშობთ, რომ ამასთან ეროსის როლს
მაინც ვერ ვაფასებთ.

წინააღმდეგობანი ფსიქოანალიზის მიმართ*
(1924)

როცა ძუძუმწოვარი უცხო სახის დანახვისას მომვლელის ხელში ყვირილით შემობრუნდება, მორწმუნე დროის მონაკვეთს ლოცვით იწყებს, ასევე წლის პირველი ნაყოფი ლოცვა-კურთხევით გვესალმება, და გლეხიც ცელს არ ყიდულობს იმიტომ, რომ არ იტარებს იმ ქარხნის მარკას მისი მშობლები რომ ენდობოდნენ, თორემ საცემია ამ სიტუაციათა განსხვავებულობა და გამართლებულია ცდაც, ჯოველი მათგანი დაყვანილ იქნეს სხვა მოტივზე.

მაინც არასწორი იქნებოდა, რომ მათში საერთო არ დაგვენახა. ცელია შემთხვევაში ლაპარაკია ერთსა და იმავე უსიამოვნებაზე, რომელიც ბავშვებთან ელემენტარულ გამოხატულებას პოულობს, მორწმუნესთან ხელოვნურად გაუწყნარებს, გლეხთან გადაწყვეტის მოტივი ხდება. ამ უსიამოვნების წყაროა პრეტენზია, რასაც სულიერ ცხოვრებაში **სიახლე** წარმოადგენს. ფსიქიკური დანახარჯი, რომელსაც ის მოითხოვს, თანამოტანილ შემაშფოთებელ მოლოდინამდე ამაღლებული უიმედობაა. თავისთავად მიმზიდველია შესასწავლ საგნად გაიხადო სულიერი რეაქცია სიახლეზე, ვინაიდან გარკვეულ, არა უკვე პირველად პირობებში საპირისპირო ქცევაც დაიკვირვება, როგორიცაა, მაგალ., გაღიზიანებაზე შიშშილი, რომელიც ცელაფერ ახლისაკენ მიისწრაფვის, იმიტომ, რომ ის უცნობია.

მეცნიერულ საქმიანობაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს სიახლის მიმართ შიშს. თავის მუდმივ უსრულობაში და არასაკმარისობაში მეცნიერება იძულებულია განიკურნოს ახალი აღმოჩენებითა და ახალი გააზრებით. აღვილად რომ არ შეცდეს, კარგად იქცევა სკეპსისს რომ იმარჯვებს, რათა არაფერი ახალი არ მიიღოს, რაც

---

* სტატია დაიწერა 1924 წელს და 1925 წელს მისი ფრანგული თარგმანი გამოქვეყნდა ჟურნალში Revue Juive (ჟუნევა); გერმანულად გამოქვეყნდა "Imago"-ში 1925 წელსვე. (რედ. შენიშვნა)

მკაცრ გამოცდას არ გაივლის. მხოლოდ შემთხვევით აჩვენებს ის სკეპტიციზმი ორ გაუთვალისწინებელ თავისებურებას. ის მკაცრად მიიმართება ახლადმოვლენილისაკენ მაშინ, როცა უკვე ცნობილის და სარწმუნოს მოკრძალებულად ხელს არ ახლებს და კმაყოფილდება უარყოფით მანამ, სანამ მას გამოიკვლევდეს. შემდეგ აღმოაჩენს საკუთარ თავს როგორც გამგრძელებელს ახლის წინააღმდეგ პრიმიტიული რეაქციისას, როგორც ნიღაბს მისი შენარჩუნებისათვის. საერთოდ ცნობილია, თუ რა ხშირად ხდება მეცნიერული კვლევის ისტორიაში, რომ სიახლეები ინტენსიურ და შეუპოვარ წინააღმდეგობას აწყდება. ძიების შემდგომმა მსვლელობამ აჩვენა, რომ წინააღმდეგობა არ იყო გამართლებული და სიახლეც ღირებული და მნიშვნელობის მქონე იყო. როგორც წესი, სიახლის გარკვეულ შინაარსობრივ მომენტებს, რომლებიც პროვოცირებდნენ წინააღმდეგობას, და, მეორე მხრით, მრავალ მომენტს ერთად უნდა ემოქმედა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო პრიმიტიული რეაქციების აღმოცენება.

განსაკუთრებით ცუდი ძიება ხვდა წილად **ფსიქოანალიზს**, რომლის განვითარება დაიწყო ავტორმა დაახლოებით ოცდაათი წლის წინათ ვენაში იოსებ ბროიერის მიგნებიდან ნევროტული სიმპტომების აღმოცენების თაობაზე. მისი სიახლე უდავოა, თუმცა გარდა ამ აღმოჩენისა მან სხვა გზით ცნობილი მდიდარი მასალა დაამუშავა – დიდი ნევროპათოლოგის შარკოს მოძღვრების შედეგები და ჰიპნოზური ფენომენების სამყაროს შთაბეჭდილებები, თავდაპირველად მათი მნიშვნელობა წმინდა თერაპევტული იყო. მას უნდოდა შეექმნა ნევროტულ დაავადებათა ახალი ქმედითი მკურნალობა. მაგრამ კავშირებმა, რომელთა შესახებაც, უპირველეს ყოვლისა, წარმოდგენა არ ჰქონდათ, გაიყვანეს ფსიქოანალიზი საწყისი მიზნის ფარგლებს გარეთ. საბოლოოდ ავტორმა წამოაყენა პრეტენზია საერთოდ ჩვენი გაგება სულიერი ცხოვრებისა ახალ ნიადაგზე დაეყენებინა, როგორც მნიშვნელოვანი ცოდნის ყველა სფეროსათვის, რომლებიც ფსიქოლოგიაზეა დაფუძნებული. ერთი ათეული წლის სრული უარყოფის შემდეგ ეს მიმართულება უცებ საერთო ინტერესის საგანი გახდა და განთავისუფლდა აღმაშფოთებელი უარყოფის შეტევისაგან.

საკითხს, ფსიქოანალიზის წინააღმდეგ თუ რომელ ფორმებში გამოიხატა წინააღმდეგობის გაწევა, აქ შევეხებით. საკმარისია შევნიშნოთ, რომ ბრძოლა ამ სიახლისათვის ჯერ კიდევ არაა დამთავრებული. მაინც უკვე შეიმჩნევა, თუ რა მიმართულებას მიიღებს ის. მეტოქეობამ ვერ მიაღწია მოძრაობის დათრგუნვას. ფსიქოანალიზმა, რომლის ერთადერთი წარმომადგენელი ვიყავი ოცი წლის წინ, მას შემდეგ ნახა უამრავი და ბევრითი მომხრეები, აქიმები და არააქიმები, რომლებიც მისით, როგორც მეთოდით, მკურნალობენ ნევროზულ ავადმყოფებს, მას ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდად იყენებენ და, როგორც მეცნიერული მუშაობის დამხმარე საშუალებას, იყენებენ გონითი ცხოვრების მრავალ სფეროში. ჩვენი ინტერესი აქ უნდა წარიმართოს მხოლოდ ფსიქოანალიზის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის მოტივით, მხედველობაში ღებულობენ რა განსაკუთრებით მათ სირთულესა და მისი კომპონენტების განსხვავებულ ღირებულებას.

კლინიკურმა განხილვამ ნევროზები უნდა გადმოაადგილოს ინტოქსიკაციის სიახლოვეს, ანდა ისეთების გვერდით, როგორიც ბიძგიერი დაავადებაა. ესენი ის მდგომარეობებია, რომლებიც აღმოცენდებიან გარკვეული ძლიერმოქმედი ნივთიერებების ზედმეტობით ან შეფარდებითი ნაკლოვანებით. ისინი თვითონ სხეულში წარმოიქმნებიან, თუ გარედან შემოიყვანებიან, მაინც საკუთრივ დარღვევებია ქიმიზაციისა, ტოქსიკოზებია. თუკი ვინმე მიაღწევდა ნევროზებისაგან ჰიპოთეზური ნივთიერებების გამოცალკევებას და მას აჩვენებდა, მაშინ ნანახის მიმართ აქიმების მხრიდან წინააღმდეგობას ადგილი არ ექნებოდა. მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ აქეთკენ წინასწარ არ მივყავართ არც ერთ გზას. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ნევროზების სიმპტომური სურათიდან ამოვიდეთ, რომელიც, მაგალ., ისტერიის შემთხვევაში შედგენილია სხეულებრივი და სულიერი დარღვევებით. შარკოს ექსპერიმენტები, ასევე ბროიერის მიერ ავადმყოფებზე დაკვირვება გვასწავლიდნენ, რომ ისტერიის სხეულებრივი სიმპტომები ფსიქოგენურია, ე.ი. ჩაველილი სულიერი პროცესების ნარჩენებია. ჰიპნოზურ მდგომარეობაში გადაყვანის საშუალებით შეგვიძლია ისტერიის სომატური სიმპტომების ნებით ხელოვნურად გამოწვევა.

აღნიშნულ ახალ გაგებას ფსიქოანალიზმა ხელი ჩაავლო
დაიწყო საკითხების წამოყენება, თუ რა უნდა ყოფილიყო ბუნება
ფსიქიკური პროცესებისა, რომლებიც ასე არაჩვეულებრივ შეც
გებს ტოვებდნენ. მაგრამ კვლევის ეს მიმართულება არ შეადგენ
ექიმთა მაშინდელი თაობის ინტერესის საგანს. მედიცინა აღზრდ
ლი იყო მხოლოდ და მხოლოდ ანატომიური, ფიზიკური და ქიმიურ
მომენტების დაფასებით; ფსიქიკურის შეფასებისათვის მზად არ
იყვნენ, ასე, რომ ისინი მისადმი განეწყობოდნენ განურჩევლად დ
ანტიპატიურად. საერთოდ ამკარად ეჭვობდნენ ფსიქიკური საკით
ხის ზუსტ მეცნიერულ დამუშავებაში. დაძლეულ ფაზაზე გადაჭარ
ბებული რეაქციის პირობებში მედიცინას ფლობდა ე. წ. ნატურფი
ლოსოფიის შეხედულებანი და აბსტრაქციები, რომლითაც ფსიქო
ლოგიას უნდა ემუშავა. ჩანდნენ ბუნდოვანი, ფანტასტიური, მისტი
კური. საკვირველი ფენომენების კვლევა უბრალოდ უარიყოფოდა
ისტერიული ნევროზის სიმპტომები ითვლებოდა სუმაციის შედე
გად; ჰიპნოტიზმის მოვლენები კი თაღლითობად. თვითონ ფსიქიატ
რები, რომელთაც დაკვირვებას აიძულებდნენ მაინც უჩვეულო და
განსაცვიფრებელი სულიერი ფენომენები, არ იწვრაფოდნენ ყურად
ღება მიექციათ ნევროზის დეტალებისათვის და მათი კავშირები
შეეთწმებინათ. ისინი კმაყოფილდებოდნენ ავადმყოფურ მოვლენათა
სიჭრელის კლასიფიკაციით და მათი, სადაც კი შესაძლებელი იყო,
დაყვანით ამლილობის სომატურ, ანატომიურ, ანდა ქიმიურ მიზე
ზებზე. ამ მატერიალისტურ ანდა უკეთ მექანიციზტურ პერიოდში
მედიცინამ დიდებული ნაბიჯები გადადგა წინ, მაგრამ ცხოვრების
პრობლემებს შორის, ასევე არაშორსმჭვრეტელურად, ვერ გააცნო
ბიერეს უმნიშვნელოვანესი და უძნელესი.

გასაგებია, რომ მედიკოსებმა ფსიქიკურისადმი ასეთი განწყო
ბით ვერ მიიღეს სიამოვნება ფსიქოანალიზიდან და ბევრ ნაწილში
უკანასკნელის მოთხოვნები ხელახლა ესწავლათ და ზოგიერთი სა
განი სხვაგვარად დაენახათ, არ ნებავდათ განეხორციელებინათ. მაგ
რამ ის მაინც უნდა ეფიქრათ, რომ ახალი მოძღვრება მით უფრო
ადვილად ნახავდა ფილოსოფოსებთან მოწონებას. ისინი ხომ მიჩვე
ული იყვნენ აბსტრაქტული ცნებების – როგორც ბოროტი ენები
ამბობენ: განუსაზღვრელი სიტყვების – ყველაზე იოლად შემოტანას

სამყაროს ახსნისათვის და ამდენად, არ შეეძლოთ ფსიქოლოგიის
ხელოს განვრცობისათვის, რომელსაც ფსიქოანალიზი იკვლევდა,
ბიძგი მიეცათ. მაგრამ აქ მედიცინა წააწყდა სხვა წინააღმდეგობას.
ფილოსოფოსთა ფსიქიკა არ იყო ფსიქოანალიზის ფსიქიკა. ფილოსო
ფოსები უპირატესად ფსიქიკურს უწოდებენ მხოლოდ იმას, რაცაა
ცნობიერების ფენომენი. მათთან, ცნობიერის სამყარო ფარავს ფსიქი
კურის მოცულობას. გარდა ამისა, რაც კიდევ ძნელად საწვდომ
"სულში" შეიძლება მოხდეს, მას ფსიქიკურის ორგანულ კავშირებად
ანდა პარალელურ პროცესებად სახავს, ანდა უფრო მკაცრად რომ
ვთქვათ, სულს არ აქვს სხვა შინაარსი, ვიდრე ცნობიერების ფენომე
ნებია. მაშ, მეცნიერებას სულის შესახებ, ფსიქოლოგიას, სხვა ობიექ
ტი არ გააჩნია. მოყვარულიც კი სხვაგვარად არ ფიქრობს.

ფილოსოფოსმა რა უნდა თქვას იმ მოძღვრების შესახებ, რასაც
ფსიქოანალიზი ამტკიცებს – სულიერი, პირიქით, თავისთავად **არაც-
ნობიერია**, ცნობიერება მხოლოდ თვისებაა, რომელიც შეიძლება
ცალკეულ სულიერ აქტს დაერთოს, ანდა არ დაერთოს და ალბათ
მასთანვე არაფერი იცლება, თუკი მას არ ახლავს. ის, ბუნებრივია,
ამბობს, არაცნობიერი სულიერი მონაჩმახია, წინააღმდეგობაა
(contradictio in adjecto) და არ უნდა შეამჩნიოს, რომ ის ამ მსჯე-
ლობით იმეორებს მხოლოდ თავის საკუთარ – ალბათ ზედმეტად
ვწრო – სულის დეფინიციას. ფილოსოფოსი ამ საიმედოობას ადვი-
ლად აღწევს, ვინაიდან ის არ იცნობს იმ მასალას, რომლის შეს-
წავლამ ანალიტიკოსს დააჭირვა ერწმუნა არაცნობიერი სულიერი
აქტები. მას ჰიპნოზისათვის ყურადღება არ მიუქცევია, არ ცდილა
სიზმრების ინტერპრეტაციას, – ის სიზმრებს, პირიქით, ისევე ექცევა,
როგორადაც ექიმი ძილის დროს დაქვეითებულ სულიერ მოქმედე-
ბას, – ის ძლივს თუ ხვდება, რომ არსებობენ ისეთი საგნები, რომე-
რიცაათ იძულებითი წარმოდგენები და ბოდვითი იდეები და აღმოჩ-
ენება მძიმე მდგომარეობაში, როცა მათ ახსნას თხოვენ ფსიქოლო-
გიურ წანამძღვრების მომარჯვებით. ანალიტიკოსი ასევე უარყოფს
იქნა რა არის არაცნობიერი, მაგრამ მას შეუძლია მიუთითოს
მოვლენათა სფეროზე, რომელთა დაკვირვება მას არაცნობიერის
დაშვებას აიძულებს. ფილოსოფოსს, რომელიც არ იცნობს სხვა
დაკვირვებას, ვიდრე თვითდაკვირვებაა, შეუძლია მას არ მიჰყვეს.

ასე აღმოცენდება მედიცინასა და ფილოსოფიას შორს ფსიქოანალი
ზის შუამდებარეობიდან მისი მხოლოდ ნაკლი. მედიკოსები მას თვლი
ან სპეკულაციურ სისტემად და არ უნდა დაივიწყონ, რომ ის, რა
გორც ყველა სხვა ბუნებისმეტყველება, ეფუძნება აღქმის სამყარის
ფაქტების მოთმინებით და ძნელ დამუშავებას. ფილოსოფოსი, რომე
ლიც ფსიქოანალიზს მისი საკუთარი ხელოვნურად აგებული სისტე
მის წარმოქმნით ზიანავს, ნახულობს, რომ ის შეუძლებელი წანამ
ძღვრებიდან ამოდის და მას საყვედურობს, რომ მის მხოლოდ განე
თარებაში მყოფ უმაღლეს ცნებებს აკლიათ ნათელობა და სიზუსტე
განხილული მიმართებები საკმარისია, რათა აიხსნას მეცნიერულ
წრეებში ანალიზის უხალისო და გაუბედავი მიღება. მაგრამ ისინი
ვერ გებულობენ, თუ როგორ შეიძლება მივიდეს ის გულისწყრომის
ამოხეთქვამდე, ირონიამდე და დაცინვამდე, ლოგიკის ყოველი დებუ
ლებისა და პოლემიკაში კარგი გემოვნების უგულვებელყოფამდე
ასეთი რეაქცია მიგვახვედრებს, რომ სხვა, ვიდრე მხოლოდ ინტე
ლექტუალური წინააღმდეგობა, აქტიურადაა ქცეული, რომ ძლიერმა
აქტიურმა ძალებმა გაიღვიძეს და წამდვილად საკმაოდ მოინახება
ფსიქოანალიზური მოძღვრების შინაარსში ის, რასაც მიეწერება ასე
თი ზემოქმედება ადამიანისა და არა მხოლოდ მეცნიერთა ვნებებზე.

უპირველეს ყოვლისა, აქაა დიდი მნიშვნელობა, რასაც ფსიქო
ანალიზი, ე. წ. **სექსუალურ ლტოლვებს** ადგილს უთმობს ადამიანის
სულიერ ცხოვრებაში. ფსიქოანალიზური თეორიის მიხედვით, ნევ
როზების სიმპტომები წარმოადგენენ დამახინჯებულ შენაცვლებით
დაკმაყოფილებას სექსუალური ლტოლვითი ძალებისას, რომელთა
პირდაპირი დაკმაყოფილება შინაგან წინააღმდეგობათა გაწევითაა
უკუგდებულნი. მოგვიანებით, როცა თავისი საწყისი სამუშაო სფე
როდან გავიდა და ნორმალურ სულიერ ცხოვრებაზე გადაინაცვლა,
ანალიზი შეეცადა ეჩვენებინა, რომ იგივე სექსუალურ კომპონენ
ტებს, რომლებიც თავიანთი უახლოესი მიზნებით სხვაზე გადავიდა
და სხვაზე წარიმართა, შეაქვთ უმნიშვნელოვანესი წვლილი ინდი
ვიდისა და საზოგადოების კულტურულ მიღწევებში. ეს მტკიცებანი
არ იყო საგრძნობით ახალი. ფილოსოფოსმა შოპენჰაუერმა ხაზი გაუს
ვა სიტყვებში დაუვიწყარი ძალით სექსუალური ცხოვრების შეუდა
რებელ მნიშვნელობას; ასევე, რასაც ფსიქოანალიზი სექსუალობას

ეწოდებდა, არ ემთხვევა განსხვავებულ სქესთა შეერთების მისწრა
ფებას, ანდა სასქესო ორგანოებში სიამოვნების გრძნობის გამოწვე
ვას, არამედ უფრო ემთხვევა პლატონის **'სიმპოზიონის'** ყოვლადმომ
ხიბლველ და ყველაფრის შემცველ **ეროსს.**

მხოლოდ მოწინააღმდეგეებს დაავიწყდათ ეს ბრწყინვალე წინა
პირობანი. ისინი ფსიქოანალიზს თავს ესხმიან, თითქოს მას მოეხ
დინა ადამიანის სქესის ღირსების გაუფასურება. ისინი მას უსაყ
ვედურებენ "პანსექსუალიზმს", თუმცა ფსიქოანალიზური ლტოლ
ვის მოძღვრება მუდამ მკაცრად დუალისტური იყო და არც ერთ
ეტაპზე არ გაუშვია შემთხვევა სექსუალური ლტოლვის გვერდით
სხვები ელიარებინა, რომელთაც ის სექსუალური ლტოლვის დათ
რგუნვის ძალას მიაწერდა. ამ დაპირისპირებას პირველად ერქვა:
სექსუალური-ლტოლვები და **'მე'**-ლტოლვები, თეორიაში მოგვიანო
ცვლილების შემდეგ მას ეწოდა: ეროსი და სიკვდილის, ანუ დეს
ტრუქციის ლტოლვა. ხელოვნების, რელიგიის, სოციალური წყობის
ძირი გამოყვანა სექსუალური ლტოლვებით ძალების თანამოქმედე
ბით გაშუქდა როგორც დამცირება უმაღლესი კულტურის მიღწევე
ბისა და ხაზგასმით გამოცხადდა, რომ ადამიანს სხვა ინტერესებიც
ამოძრავებს, ვიდრე მხოლოდ სექსუალურია. ამასთან გულმოდგინე
ბით გაუშვეს მხედველობიდან, რომ ცხოველსაც აქვს სხვა ინტე
რესები – დიახ, სექსუალობა მხოლოდ გარკვეული დროის მონაკ
ლისში შეტევისას და არა ადამიანის მსგავსად უწყვეტლივ მიმდი
ნარეობს, რომ ადამიანთან ეს სხვა ინტერესები არასდროს არ
ყოფილა სადავო და რომ წარმომავლობის მითითებას, არაფრის
შეცლა არ შეუძლია ელემენტარული ანიმალური ლტოლვის წყა
როებიდან კულტურული მინაღწევის ღირებულებასთან.

ამდენი ულოგიკობა და უსამართლობა გამოიწვია ახსნამ; ძნე
ლი არაა ამის საფუძვლის ნახვა. ადამიანის კულტურა ეფუძნება
საერდენს; ერთია ბუნების ძალების დაუფლება, მეორე – ჩვენი
ლტოლვების შეზღუდვა. ბორკილიანი მონები ატარებენ მბრძანებე
ლი ქალის ტახტს. მომსახურედ გამხდარ ლტოლვის კომპონენტებს
შორის გამოიყოფა სექსუალური ლტოლვები – ვიწრო მნიშვნელო
ბით – სიძლიერისა და ვულურობის გზით. ვაი, თუ ისინი განთავი
სუფლდნენ, ტახტი გადააგდონ, ქალბატონს ფეხით მოუწიოს სვლა.

საზოგადოებამ იცის ეს და არ მინდა მასზე ვილაპარაკო.

მაგრამ რატომ არა? ახსნა-განმარტებას რა ვნების მოტა
შეუძლია? ფსიქოანალიზს, დიახაც, არასდროს სიტყვა არ დაუ
რავს ჩვენი, საზოგადოებრიეად მავნე, ლტოლვების განთავისუფლ
ბის შესახებ; პირიქით, გვაფრთხილებდა და გაუმჯობესებისაკ
გვითითებდა. თვით საზოგდოებას არ სურს ამ დამოკიდებულებათ
აღმორენის შესახებ რაიმე გაიგონოს, ვინაიდან მას არასუფთა სი
დისი აქვს. პირველად მან ხნეობის მაღალი იდეალი წამოაყენა
ხნეობა ლტოლვათა შეზღუდვაო – რომლის განხორციელებას მის
ყველა წევრიდან მოითხოვს და იმის შესახებ არ ფიქრობს, რა
ძნელად შეიძლება ცალკეული მას ემორჩილებოდეს. საზოგადოება
ასეეე არაა ისე მდიდარი, ანდა ისე კარგად ორგანიზებული, რომ
მას შეეძლოს ინდივიდს აუნაზღაუროს შესატყვისად თავისი რაო
დენობა ლტოლვის განდევნისა. მაშასადამე, ინდივიდს გადაეცემა
თუ რა გზით შეუძლია მიაღწიოს მისთვის საკმაო კომპენსაციას
გაღებული მსხვერპლისათვის, რათა თავისი სულიერი წონასწორო
ბა შეინარჩუნოს. მთლიანობაში მას ჭირდება ფსიქოლოგიურად თა
ვისი მდგომარეობით იცხოვროს მაშინ, როცა თავისი დაუკმაყოფი
ლებელი ლტოლვის პრეტენზიები მას შეაგრძნობინებს კულტურის
მოთხოვნებს როგორც მუდმივ დაწოლას. ამით საზოგადოება ეხმა
რება **კულტურის ფარისეველურობას** მდგომარეობას, რომელსაც არა
საიმედობის გრძნობამ და მოთხოვნილებამ უნდა ხელი შეუწყოს
უდავო ლაბილობა დაიცვას კრიტიკისა და დისკუსიის აკრძალვით.
აღნიშნული მოსაზრება მნიშვნელობას იძენს ლტოლვის ყველა წა
ქეზებისთვის, მათ შორის ეგოისტურთათვისაც; რამდენად ნახუ
ლობს ის ყველა შესაძლო კულტურისათვის გამოყენებას და არა
მხოლოდ აქამდე განვითარებულებთან, აქ არ გამოიკვლევა. ვიწრო
მნიშვნელობით სექსუალურ ლტოლვებს ასეეე ემატება, რომ ისინი
ბევრ ადამიანთან არასაკმარისად და ფსიქოლოგიურად არაკორექტუ
ლად ითოკება ისე, რომ ისინი ხშირად უკვე გაწმუხტულნი არიან.

ფსიქოანალიზი ამ სისტემის სისუსტეს აღმოაჩენს და მის
შეცვლას გვირჩევს. წინადადებას იძლევა შესუსტდეს ლტოლვათა
განდევნის სიმკაცრე და ამისთვის მეტი სივრცე დაეთმოს სიმარ
თლეს. გარკვეულ ლტოლვათა წაქეზებანი, რომელთა დათრგუნვაში

საზოგადოება ზედმეტად შორს წავიდა, უნდა დიდი რაოდენობით
დაკმაყოფილდეს, სხვებთან დათრგუნვის არამიზანშეწონილი მეთო-
დები განდევნის გზაზე უკეთესი და გარანტირებული მეთოდებით
უნდა შეანაცვლოს. ამ კრიტიკის შედეგად ფსიქოანალიზი როგორც
"კულტურის მტერი" აღიქმება და როგორც "სოციალურ საშიშრო-
ების" გზა ეხსნება. ეს წინააღმდეგობა მუდმივი ხანგრძლივობისა
არაა; ადამიანის ინსტიტუციას ხანგრძლივად არ შეუძლია თავი
დაიცვას გამართლებული კრიტიკული აზრის ზემოქმედებას, მაგ-
რამ აქამდე ფლობს ადამიანთა განწყობას ფსიქოანალიზისადმი ეს
შიში, რომელიც ენებებს ანთავისუფლებს ბორკილებისაგან და ლო-
გიკური არგუმენტაციის მოთხოვნებს ამცირებს.

ლტოლვის მოთხოვნით ფსიქოანალიზი ამცირებს ინდივიდს, რამ-
დენადაც ის სოციალური საზოგადოების წევრად გრძნობს თავს.
მისი თეორიის სხვა მომენტს შეეძლო ყოველი ცალკეული საკუთა-
რი ფსიქიკური განვითარების სუსტი ადგილი შეელახა. ფსიქოანა-
ლიზმა ბოლი მოულო არასექსუალური ბავშვობის ზღაპარს, მიუთი-
თა რა, რომ სექსუალური ინტერესები და მოქმედებები პატარა
ბავშვებთანაც დასტურდება სიცოცხლის დასაწყისიდანვე, აჩვენა,
თუ რა გარდაქმნებს განიცდის ის, მეხუთე წლიდან თუ როგორ
ექვემდებარება შეკავებას და შემდეგ, დაწყებული პუბერტეტიდან
გამოდის გამრავლების ფუნქციის საჭსახურში. მან მიუთითა, რომ
ადრეული ინფანტილური სექსუალური ცხოვრება უმაღლეს წერ-
ტილს აღწევს ე. წ. ოიდიპოსის კომპლექსში, რომელშიაც ხდება
გრძნობის დაკავშირება საპირისპირო მშობელთა წყვილთან ერთნა-
ირი სქესისადმი მეტოქეობის განწყობით, მისწრაფება, რომელიც
ცხოვრების ამ პერიოდში ჯერ კიდევ შეუკავებლად ავრძელებს
პირდაპირ სექსუალურ ჟინს. ეს ისე ადვილად დასამტკიცებელია,
რომ ნამდვილად მხოლოდ ძალის დიდი დაძაბვით თუ შეგძლებდით
მის არ დანახვას. ფაქტიურად ყოველ ცალკეულს აქვს გადატანილი
ეს ფაზა, მაგრამ მისი შინაარსი შემდეგ ენერგიული ძალისხმევით
განდევნა და დაივიწყა. ზიზღი ინცესტისადმი და ძლიერი ბრალის
ცნობიერება ამ ინდივიდუალური წინაღროიდან დარჩნენ. ალბათ ეს
იყო ადამიანის გვარის უძველეს დროსთან სავსებით მსგავსად მიმ-
დინარე ვითარება და ხნეობრიობის, რელიგიისა და სოციალური

წყობის საწყისი შინაგანად იყო დაკავშირებული ამ უძველესი დრო
ის გადალახვასთან. ზრდადასრულებულს ეს წინააღმდეგობა, რომ
ლიც მოგვიანებით მას ეჩვენა ასე უსახელოდ, შემდეგ არც აგონდე
ბა. ის ივიწყებს გაშმაგებას, როცა ფსიქოანალიზს მისი ბავშვობის
წლების ამნეზიის საფარის მოხსნა სურს. დარჩა მხოლოდ ერთ
გამოსავალი; რასაც ფსიქოანალიზი ამტკიცებდა, მცდარი უნდა ყო
ფილიყო და ეს მოჩვენებითად ახალი მეცნიერება – ფსიქოანალიზი
ფანტაზიორობისა და განწყობების პროდუქტი გამხდარიყო.

მაშ, მძლავრი წინააღმდეგობა ფსიქოანალიზის მიმართ არ იყო
ინტელექტუალური ბუნებისა, არამედ წარმოსდგებოდა აფექტური
წყაროებიდან. ამით აიხსნება მისი მგზნებარება და ლოგიკური არა
მომთხოვნელობაც. სიტუაცია მიჰყვებოდა მარტივ ფორმულას: ფსი
ქოანალიზის მიმართ ადამიანები იქცეოდნენ ზუსტად იმგვარად,
როგორც მასა, როგორადაც ცალკეული ნევროტიკი, რომელიც გა
საჭირის გამო სამკურნალოდ მიიღეს, მაგრამ მის მიმართ მოთმინე
ბითი მუშაობით შეიძლებოდა მიხვედრება, რომ ყველაფერი ისე მოხ
და, როგორადაც ამტკიცებდნენ. შავანს, დიახაც, თვითონ არ უჯე
ზავს ეს, არამედ სხვა ნევროტიკების შესწავლით მრავალი ათეული
წლების მანძილზე დაადასტურეს გამოცდილებით.

ამ სიტუაციას ერთდროულად ჰქონდა რაღაც საშიში და რა
ღაც დამაიმედებელი; პირველი, ვინაიდან არ იყო წვრილმანი, რომ
ადამიანთა მთელი მოდგმა პაციენტად გაეკვდეს; მეორე, რომ საბო
ლოოდ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ეს ფსიქოანალიზის
წანამძღვრებიდან უნდა მომხდარიყო.

ერთხელ კიდევ თუ გადავხედავთ აღწერილ წინააღმდეგობებს
ფსიქოანალიზის მიმართ, უნდა ითქვას, რომ ის მხოლოდ მის მცირე
ნაწილშია იმგვარად, როგორადაც უძრავლესი მნიშვნელობის მქონე
მეცნიერული სიახლეების მიმართ წამოიწევდა ხოლმე. უდიდეს
ნაწილში კი ხდება, რომ მოძღვრების შინაარსით კაცობრიობის
ძლიერი გრძნობები შეურაცხყოფილია. დიახ, იგივე განიცადა დარ
ვინის სახეთა წარმოშობის თეორიამ, რომელიც ადამიანსა და ცხო
ველს შორის ქედმაღლურად შექმნილი ზღვარი დაამსხვრია. ამ
ანალოგიაზე გუთითებ ჩემს ადრინდელ მოკლე სტატიაში ("ფსიქოა
ნალიზის სიძნელე"). აქ მე ხაზს ვუსვამდი, რომ ფსიქოანალიზური

მიტანა ცნობიერი "მე"-ს დამოკიდებულებისა ძლიერ არაცნობიერ
თან ნიშნავს ადამიანური საკუთარი სიყვარულის მძიმე შეურაცხყო
ფას, რასაც მე ვუწოდებდი **ფსიქოლოგიურს** და ერთ რიგში ვაყენებ
დი სახეთა წარმოშობის **ბიოლოგიურ** შეურაცხყოფასთან და ადრე
ულ **კოსმოლოგიურთან** კოპერნიკის აღმოჩენის გამო.

ამას წმინდა გარეგანი სიძნელეებიც უწყობდა ხელს, რათა
გაძლიერებულიყო ფსიქოანალიზის მიმართ წინააღმდეგობა. ადვი
ლი არაა დამოუკიდებელი მსჯელობა მივიღოთ ანალიზის საქმეებ
ში, როცა თვითონ არ ღებულობ გამოცდილებას საკუთარ თავზე ან
სხვაზე. უკანასკნელი არ შეიძლება გარკვეული, სწორედ დელიკა
ტური ტექნიკით შეისწავლო. უკანასკნელ დრომდე არ არსებობდა
ხელსაყრელი მისადგომი შესაძლებლობა ფსიქოანალიზისა და მისი
ტექნიკის შესასწავლად. ეს ვითარება ახლა ბერლინის ფსიქოანა
ლიზური პოლიკლინიკისა და სასწავლო დაწესებულების (1920) და
ფუძნებით უკეთესისაკენ შემობრუნდა. მალე ამის შემდეგ (1922)
ვენაში მსგავსი ინსტიტუტი შეიქმნა.

საბოლოოდ ავტორს უფლება აქვს, მიუხედავად სიტყვაძუნწო
ბისა, კითხვა დასვას, რომ მას, როგორც ებრაელს, რომელსაც არ
უნდოდა ებრაელობის დამალვა, გარესამყაროს მხრიდან ანტიპათი
ები ფსიქოანალიზის მიმართ წილი თუ უდევს. ასეთი სახის არგუ
მენტი ხშამაღლა მხოლოდ იშვიათად თუ გამოითქმება; ჩვენ, სამწუ
ხაროდ, გავხდით იხეთი ეჭვიანი, არ შეგვეძლო მივხვედრილიყავით,
რომ ვითარება არ დარჩენილიყო საუბებით ზემოქმედების გარეშე.
ალბათ არც ისე უბრალოა შემთხვევაა, რომ ფსიქოანალიზის პირვე
ლი წარმომადგენელი ებრაელი იყო. ამის გაცნობიერება მოითხოვ
და რიგიან გულმოდგინეობას ოპოზიციაში მარტოობის ბედის თა
ვზე აღებისას, რაც ებრაელისთვის უფრო ახლობელია, ვიდ
რე სხვა ვინმესათვის.

თვითგადმოცემა

(1924)*

"თვითგადმოცემების" ამ კრებულის ზოგიერთი თანამშრომელი თავის სტატიას იწყებს თავისთავზე ალებული ამოცანის განსაკუთრებულობისა და სიძნელის რამდენიმე ჩამაფიქრებელი შენიშვნით. ვფიქრობ უფლება მაქვს ვთქვა, რომ ჩემი ამოცანა კიდევ უფრო ძნელია, ვინაიდან ჩემი ნამუშევარი, როგორადაც აქ მომეთხოვებოდა, უკვე მრავალგზის გამოქვეყნებული მაქვს და, საგნის ბუნებიდან გამომდინარე, მათში ჩემს პიროვნულ როლზე უფრო მეტი იყო ლაპარაკი, ვიდრე სხვაგვარად ჩვეულებრივი ანდა აუცილებელი ჩანს.

ფსიქოანალიზის განვითარების პირველი გადმოცემა მოცემული მაქვს 1909 წ. კლარკის უნივერსიტეტში, ვორჩესტერში, (მასაჩუსეტის შტატი) წაკითხულ ხუთ ლექციაში**, იქ მიწვეული ვიყავი ინსტიტუტის დაფუძნების ოცი წლისთავის ზეიმზე. დიდი ხანი არაა რაც დავეთანხმე ცდას ამერიკულ კრებულში მსგავსი შინაარსის მქონე სტატია მომეთავსებინა***, ვინაიდან ამ პუბლიკაციაში მეოცე საუკუნის დასაწყისში ფსიქოანალიზის მნიშვნელობა კრებულში განსაკუთრებული თავის დათმობით აღიარეს. ამ ორს შორის

---

* ნაშრომის ეს სახელწოდება – "თვითგადმოცემა" (Selbstdarstellung) თვითონ ფროიდს არ ეკუთვნის. შრომა 1924 წელს დაიწერა გერმანულად, გამოქვეყნდა ლ. რ. გროტეს (L. R. Grote) რედაქტორეულის – "თანამედროვე მედიცინა თვითგადმოცემებში (Die Medizin der Gegenwart in Selbstdarstellungen, 1923–1929 წწ) – მეოთხე ტომში (1925 წ.) მისი მოწაფე ერნსტ ჯონსის თხოვნის პასუხად. ნაშრომში "თვითგადმოცემის" სათაურით 1934 წელს ცალკე წიგნად გამოსცა ინტერნაციონალურმა ფსიქოანალიზურმა გამომცემლობამ. 1935 წელს ავტორმა მას დაურთო "მინაწერი" (Nachschrift). ეს ნაშრომი უმნიშვნელოვანესი წყაროა ზ. ფროიდის ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობისათვის, ვინაიდან ის დაწერილებითი ავტორისეული გადმოცემაა. (რედ. შენიშვნა).

** ინგლისურადაც და გერმანულადაც გამოიცა 1910 წელს, გერმანულად – სათაურით "ფსიქოანალიზის შესახებ" (Ueber Psychoanalyse). (რედ. შენიშვნა).

*** ლაპარაკია ნაშრომზე – "ფსიქოანალიზის მოკლე ნარკვევი "Kurzer Abriss der Psychoanalyse, 1924). (რედ. შენიშვნა).

ძეს ნაშრომი "ფსიქოანალიზის მოძრაობის ისტორიისათვის" (1914 წ.), რომელიც საკუთრივ ყველაფერ არსებითს შეიცავს, რაც კი მაში გასაზიარებელი მქონდა. ვინაიდან უფლება არ მაქვს საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მოვიდე და თანაც უცვლელად განმეორება არ შემიძლია, უნდა შევეცადო ახალი რაოდენობრივი მიმართება მოვნახო სუბიექტურ და ობიექტურ გადმოცემათა შორის, ბიოგრაფიულ და ისტორიულ ინტერესებს შორის.

დაიბადე 1856 წლის 6 მაისს მორავიის (დღევანდელი ჩეხოსლოვაკიის) პატარა ქალაქ ფრაიბურგში. ჩემი მშობლები ებრაელები იყვნენ, მეც ებრაელად დავრჩი. მამაჩემის ოჯახის შესახებ ვიცი, დიდი ხანია ცხოვრობდნენ კიოლნში რაინთან. ებრაელთა დევნის შემთხვევის გამო (მეთოთხმეტე თუ მეთხუთმეტე საუკუნეში) ალბოსაკლეთით წამოვედი და მე–19 საუკუნეში ლიტვიდან გალიციაზე გავლით გერმანულ ავსტრიაში ფეხით ჩამოვედი. ოთხი წლის ბავშვი ჩამომიყვანეს ვენაში, სადაც გავიარე ყველა სკოლა. შვიდი წლის განმავლობაში გიმნაზიაში ვიყავი პირველი მოწაფე, მჭონდა პრივილეგირებული ადგილი, გამოცდებს არ ვაბარებდი. თუმცა ძალზე მოკრძალებულად ვცხოვრობდით, მამა მოითხოვდა პროფესია ამერჩია ჩემი მიდრეკილებების მიხედვით. განსაკუთრებული სიყვარული არ მიგრძნია მკურნალის მდგომარეობებისა და საქმიანობისადმი იმ ახალგაზრდულ წლებში, თუმცა – არც მოგვიანებით. უფრო მამოძრავებდა ცოდნის წყურვილის ის სახე, რომელიც მიემართებოდა უფრო მეტად ადამიანთა დამოკიდებულებებს, ვიდრე ბუნების ობიექტებს და დაკვირვების ღირებულებებსაც არ ვაღიარებდი როგორც მთავარ საშუალებას მათი დაკმაყოფილებისათვის. კითხვის შესწავლისთანავე ადრეულმა ჩაღრმავებამ ბიბლიურ ისტორიაში, როგორც ეს გაცილებით გვიან შევიტყვე, მტკიცედ განსაზღვრა ჩემი ინტერესის მიმართულება. ძლიერი მეგობრობის ზეგავლენით გიმნაზიის უფროს კოლეგასთან, რომელიც შემდეგ ცნობილი პროფესორი გახდა, მინდოდა შემესწავლა სამართალი და სოციალური საქმეები წამემართა. მაგრამ შემდეგში დარვინის აქტუალურმა მოძღვრებამ ძალზე მიმიზიდა, ვინაიდან ის სამყაროს გაგების განსაკუთრებულ მოთხოვნებს გვპირდებოდა და მობსენებამ გოეთეს მშვენიერი სტატიისა "ბუნების" შესახებ კარლ ბიულერის პოპულარულ ლექციაში, სიმწიფის

გამოცდებამდე ცოტა ადრე, გადაწყვეტილებისაკენ მიბიძგა, რომ მე დიცინის შემსწავლელ სტუდენტთა სიაში ჩაეწერილიყავი.

უნივერსიტეტმა, რომელშიაც შევედი 1873 წელს, უპირველეს ყოვლისა, მომიტანა რამდენიმე მგრძნობიარე გულგატეხილობა, წაეწყდი მოთხოვნას, რომ მე თავი უნდა მეგრძნო ნაკლებღირებულად და არა ხალხის კუთვნილად, ვინაიდან ებრაელი ვიყავი. პირველს გადაჭრით უარვყოფდი. ვერ გავიგე, რატომ უნდა მეგრძნო სირცხვილი ჩემი წარმომავლობით, ან როგორც დაიწყეს ლაპარაკი რასის გამო. ჩემს უარმყოფელ ხალხის ერთობას უკუვაგდებდი ყოველგვარი სინანულის გარეშე. ვფიქრობდი, რომ მუყაითი თანაშრომლისთვის უნდა მონახულიყო კაცობრიობის ფარგლებში პატარა ადგილი ასეთი ჩაროვის გარეშეც. მაგრამ უნივერსიტეტის პირველი შთაბეჭდილების შემდეგი მნიშვნელოვანი შეღება ის იყო, რომ მე ახე ადრიანად დაუკავშირებლობით ვირწმუნე ოპოზიციაში დავმდგარიყავი და "კომპაქტური უმრავლესობიდან" განვცალკევებულიყავი. ასე მომზადდა მსჯლობის გარკვეული დამოუკიდებლობა.

გარდა ამისა, უნივერსიტეტში ყოფნის პირველ წლებში გამოცდილება უნდა მიმეღო, რომ ჩემი ნიჭის თავისებურებამ და სივიწროვემ მრავალ მეცნიერულ საგანში, რომლებსაც ახალგაზრდული მუყაითობით დავეწაფე, ყოველგვარი წარმატების იმედი გადამიწურეს. ასე ვსწავლობდი მეფისტოფელის გაფრთხილების ჭეშმარიტებას:

უსარგებლოა, რომ თქვენ ყველგან მეცნიერულად დაეხეტებით,
მხოლოდ ყოველი სწავლობს მას, რისი სწავლაც შეუძლია.

საბოლოოდ ერნესტ ბრუკის ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში ვიპოვე სიმშვიდე და სრული კმაყოფილება და ის პიროვნებებიც გავითავისე, რომელთაც პატივს ვცემდი და შემეძლო მისაბაძად დამესახა, ესენი იყვნენ: თვითონ მასწავლებელი ბრუკე და მისი ასისტენტები, ზიგმუნდ ექსნერი და ერნს ფონ ფლაიშ-მარქსოვი, რომელთაგანაც უკანასკნელმა, ბრწყინვალე პიროვნებამ, მე კიდევაც ჩამთვალა თავისი მეგობრობის ღირსად. ბრუკე მაძლევდა ამოცანას ნერვიული სისტემის ჰისტოლოგიიდან, რომელსაც მე მის გასახარად ვწყვეტდი და დამოუკიდებლადაც შემეძლო გამეგრძელებინა. ამ ინსტიტუტში ვმუშაობდი 1876–1882 წწ. მცირეოდენი

წყვეტილობით და ვითვლებოდი საერთოდ როგორც წამოყენებული კანდიდატი შემდგომ იქ გამწესებული ასისტენტის ადგილზე. საკუთრივ სამედიცინო სპეციალობები არ მიზიდავდნენ ფსიქიატრიის გამოკლებით. მე სწორედ რომ დაუდევრად ვეწეოდი მედიცინის შესწავლას, მხოლოდ 1881 წელს, ე. ი. საკმაოდ მოგვიანებით, მომიჯნეს დოქტორის ხარისხი ზოგად მედიცინაში.

შემობრუნება მოხდა 1882 წელს. როცა ჩემმა ყველაზე პატივცემულმა მასწავლებელმა მამაჩემის დიდსულოვანი დაუფიქრებლობა გაასწორა. მან ჩემი ცუდი მატერიალური მდგომარეობის მხედველობაში მიღებით დაჟინებით მომიწოდა შემეწყვიტა თეორიული კარიერა. მე მივიღე მისი რჩევა, დავტოვე ფიზიოლოგიური ლაბორატორია და შევედი ასპირანტად საერთო საავადმყოფოში. იქ რამდენიმე ხნის შემდეგ დამაწინაურეს მეორე ექიმად (დაწესებულების აღსაზრდელი) და ვმსახურობდი სხვადასხვა განყოფილებებში, ასევე ნახევარ წელზე მეტი ხნის განმავლობაში – მაინერტთან (Meinert), რომლის შემოქმედებამ და პიროვნებამ უკვე სტუდენტობისას გამიტაცა.

გარკვეული აზრით, მაინც დავრჩი ერთგული პირველად არჩეული შრომითი მიმართულებისა. ბრუკემ მომცა საკვლევად დაბალი სახეობის თევზების (Ammocoetes–Petromizon) ზურგის ტვინი; აქედან გადავედი ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, რომლის გართულებულ ბოჭკოზე ფლექსინგის მონაპოვარი ტვინის მიჯნის არაერთდროული გავლების წარმოქმნის თაობაზე მაშინ პირდაპირ ნათელ სხივს აფენდა. ასევე შემდეგ თვითონ მარტოდმარტომ ობიექტად ავირჩიე (Medula Oblongata). ეს იყო ჩემი დასაწყისის შემდგომი განვითარება. უნივერსიტეტის პირველ წლებში ჩემი სწავლის დიფუზური ბუნების სწორედ საპირისპიროდ განვავითარე მიდრეკილება მუშაობის განსაკუთრებული კონსტრუქციისა მასალაზე ან პრობლემაზე. ეს მიდრეკილება დამრჩა და მოგვიანოდ ცალმხრიობის საყვედური დავიმსახურე.

მე ისეთივე მუყაითი მუშაკი ვიყავი ტვინის ანატომიის ინსტიტუტში, როგორიც ადრე ფიზიოლოგიის ინსტიტუტში. მცირე ნაშრომები Oblongata-ში ბოჭკოთა მიმართულებისა და გულის წარმოშობის შესახებ შეიქმნენ ჰოსპიტალის წლებში და ედინგერის მიერ

კიდევაც იყო აღნიშნული. ერთ დღეს მაინერტმა, რომელმაც ლაბო-
რატორია გამიხსნა, როცა მასთან აღარ ვმუშაობდი, მომცა წინაღ-
დება, საბოლოოდ მიმეძართა ტვინის ანატომიისათვის; ის დამპირდა
– მის ლექციებს დამითმობდა; რათა ახალი მეთოდები გამოეყენები-
ნა, თვითონ თავს გრძნობდა ძალზე მოხუცად. მე არ მივიღე წინა-
დადება შეშინებულმა დავალების სიდიდის გამო. უკვე მაშინ შემექ-
ლო მივხვედრილიყავი, რომ გენიალური ადამიანი ჩემდამი არ იქნე-
ბოდა განწყობილი კეთილმოსურნედ.

პრაქტიკული თვალსაზრისით ტვინის ანატომია, რა თქმა უნდა,
ფიზიოლოგიის მიმართ არ იყო წინგადადგმული ნაბიჯი. მატერია-
ლურ მოთხოვნებს ვითვალისწინებდი, როცა დავიწყე ნერვულ და-
ვადებათა შესწავლა. აღნიშნული სპეციალობისათვის ვენაში მაშინ
ნაკლებად ზრუნავდნენ. მასალა გაფანტული იყო სხვადასხვა შინა-
გან განყოფილებებში. არ იყო კარგი შესაძლებლობები განათლების
მიღებისათვის, უნდა ყოფილიყო საკუთარი თავის მასწავლებელი.
ნოტნაგელიც, რომელიც ცოტა ხნის წინათ მოიწვიეს ტვინის ლო-
კალიზაციის შესახებ მისი წიგნის გამო, ნევროპათოლოგიას არ
გამოყოფდა შინაგან მედიცინის სხვა ნაწილობრივ სფეროთაგან
შორს კიაფობდა დიდი სახელი შარკოსი და ჩემთვის ასე შევადგინე
გეგმა – აქ მიმეღო ნერვიულ დაავადებათა დოცენტურა და შემდეგ
ფართო განათლებისათვის პარიზს ჩავსულიყავი.

მეორე ექიმად სამსახურის შემდგომ წლებში გამოვაქვეყნე მრა-
ვალი კაზუისტური დაკვირვება ნერვიული სისტემის ორგანულ
დაავადებებზე. ამ სფეროს თანდათანობით კარგად გავეცანი. Oblon-
gata-ში კერის ისე ზუსტი ლოკალიზაცია ვიცოდი, რომ პათოლოგ-
ანატომს არაფერი დაუმატებია; მე პირველი ვიყავი ვენაში, რომელ-
მაც Polyneuritis acuta-ს დიაგნოზის ერთი შემთხვევა ნაწილში
გადაიტანა. ჩემი აუტოპსიით დადასტურებული დიაგნოსტების რე-
პუტაციის გამო – რასაც კითხულობდი ჩემი განყოფილების ავად-
მყოფებთან Pidgin-Englisch-ის კურსის სახით – შემიტანეს ამერი-
კელ ექიმთა სიაში. ნერვოზების შესახებ არაფერი ვიცოდი. როცა
ერთხელ ჩემს მსმენელებს წარვუდგინე ნერვოტიკი ფიქსირებული
თავის ტკივილით, როგორც ქრონიკული მკაცრად შემოსაზღვრული
მენინგიტის შემთხვევა, ყველა ჩამოშორდა სამართლიანი კრიტი-

კული გულისწყრომით და ჩემი ნაადრევი პედაგოგიური საქმიანობა
დასრულდა. მობოდიშებით, მაგრამ მაინც უნდა შევნიშნო, ეს ის
დრო იყო, როცა ვენაში დიდი ავტორიტეტებიც ნევრასთენიას უს-
ამღნენ დიაგნოზს, როგორც ტვინის აკთვისებიან სიმსივნეს.

1885 წლის გაზაფხულზე ჰისტოლოგიური და კლინიკური შრო-
მებისათვის მივიღე დოცენტურა ნერვოპათოლოგიაში. მალე ამის
შემდეგ ბრუკეს გულთბილი შუამდგომლობით დამინიშნეს საზღვარ-
გარეთის დიდი სტიპენდია. ამ წლის შემოდგომაზე გავემგზავრე
პარიზს.

სალპეტრიერში შევედი როგორც აღსაზრდელი, მაგრამ და-
საწყისში, როგორც უცხოეთიდან ერთ-ერთს მრავალ თანამგზავ-
რთა შორის, ნაკლები ყურადღება მხვდა წილად. ერთ დღეს მოვის-
მინე შარკოს სინანულით ნათქვამი იმის შესახებ, რომ მისი ლექციე-
ების გერმანელი მთარგმნელის შესახებ მას ომის შემდეგ არაფერი
სმენოდა; მისთვის სასიამოვნო იქნებოდა თუკი ვინმე იკისრებდა
მისი **'ახალი ლექციების'** გერმანულ თარგმანს. მე წერილობით
შეთავაზებ დახმარება. მე ისიც ვიცი, რომ წერილი გახდა შეშობ-
რუნების წერტილი. მე დაკავებული ვიყავი მხოლოდ Aphasie
motrice-თი და არა Aphasie sensorielle du francais-ით. შარკო
ყურადღებით მომექცა, ჩამრთო მის პირად ურთიერთობაში და აქე-
დან დაწყებული მონაწილეობას ვღებულობდი ყველა იმ საქმიანო-
ბაში, რაც კლინიკაში ხდებოდა.

როცა ამას ვწერ, საფრანგეთიდან ვღებულობ უამრავ ნაშრომსა
და სავაზეთო სტატიას, რომლებიც აჩვენებენ ძლიერ დაპირისპირე-
ბას ფსიქოანალიზის შესახებ ფრანგულ სკოლასთან. ასე, მაგალ.,
ჟანეხულობ – თურმე მე ჩემ ყოფნას პარიზში იმისთვის მოვიხმარ,
რომ გავცნობოდი პ. ჟანეს მოძღვრებას და შემდეგ ჩემი ნაძარცვით
გავქცეულიყავი. ამის თაობაზე მინდა გარკვევით ვთქვა, რომ ჟანეს
სახელი სალპეტრიერში ჩემი ყოფნისას საერთოდ არ დასახელდა.

ყველაფერი იმიდან, რაც შარკოსთან დავინახე, ჩემზე დიდი
შთაბეჭდილება მოახდინა მისმა უკანასკნელმა გამოკვლევებმა ის-
ტერიის შესახებ, რაც ნაწილობრივ ჩემს თვალწინ შესრულდა,
სახელდობრ, ისტერიული ფენომენების სინამდვილისა და კანონზო-
მიერების დადასტურებამ, მამაკაცებთან ისტერიის ხშირმა შემ-

თხვევამ, ისტერიული დამბლებისა და კონტრაქტურების გამოწვე
ვამ ჰიპნოზური შთაგონების გზით, შედეგმა, რომ ეს ხელოვნურ
პროდუქტები იგივე ბუნებას ატარებენ ცალკეულ შემთხვევამდე
როგორსაც სპონტანური, ხშირად სიზმრით გამოწვეული შემთხვე
ვები: შარკოს ზოგიერთი დემონსტრაცია ჩემში, ასევე სხვა სტუ
რებში, უპირველეს ყოვლისა, იწვევდა გაკვირვებასა და წინააღმდე
გობისაკენ მიდრეკილებას, რის განხორციელებასაც ვცდილობდით
ერთ-ერთ გაბატონებულ თეორიაზე დაყრდნობით. შარკო ასეთ მო
საზრებებს მუდამ მეგობრულად და მოთმინებით წყვეტდა, მაგრამ
ასევე ძალზე გარკვევით. ერთი დისკუსიის დროს წამოცდა სიტყ
ვით: Za nimpkche pas dïxister*, რომელიც დაუვიწყრად ჩამებეჭდა

დღეს ცნობილია, რომ ყველაფერი როდი დადასტურდა, რასაც მაშინ შარკო გვასწავლიდა, ზოგიერთი რამ საეჭვო გახდა, სხვებმა დროის გამოცდას, ცხადია, ვერ გაუძლეს. მაგრამ მისგან მაინც საკმაო დარჩა, რაც ფასდება მეცნიერების ბანგრძლივ მონაპოვრად. პარიზის დატოვებამდე კელაპარაკე მასწავლებელს სამუშაო გეგ მის თაობაზე – ისტერიული და ორგანული დამბლის შედარებისათ ვის. მე მინდოდა გამეტარებია დებულება, რომ ისტერიასთან ცალ კეული სხეულის ნაწილების დამბლა და ანესთეზიები ისე შემოი საზღვრებიან, როგორადაც ის ადამიანის ზოგად (არაანატომიურ) წარმოდგენას შეესატყვისება. ამას ის დაეთანხმა, მაგრამ ადვილი დასანახი იყო, რომ მას პრინციპულად არ ჰქონდა განსაკუთრებუ ლი მიდრეკილება ნევროზის ფსიქოლოგიაში ღრმად შეღწევისა. ის ხომ ამოსული იყო პათოლოგიური ანატომიიდან.

ვენაში დაბრუნებამდე რამდენიმე კვირით ბერლინში ჩავედი, რათა გარკვეული ცოდნა მიმეღო ბავშვობის ასაკის საერთო დაავა დებათა შესახებ. ვენაში კასოვიცი, ვინც ხელმძღვანელობდა ბავ შვთა სნეულების საავადმყოფო ინსტიტუტს, დამპირდა იქ ჩემთვის მოეწყო ბავშვთა სნეულებათა განყოფილება. ბერლინში დ. ბაგინსკიმ მეგობრულად მიმიღო და ხელი შემიწყო. კასოვიცის ინსტიტუტში შემდგომი წლების მანძილზე ბევრი დიდი ნაშრომი გამოვაქვეყნე ტვინის ცალმხრივი და ორმხრივი დამბლის თაობაზე ბავშვებთან. ამის გამო ასევე მოგვიანებით 1897 წელს ნოთნაგელმა

* ეს ხელს არ შეუშლის არსებობას (რედ. შენიშვნა).

დამაცალა შესატყვისი მასალის დამუშავება თავის დიდ ნაშრომში – **"ზოგადი და სპეციალური თერაპიის სახელმძღვანელო"**.

1886 წლის შემოდგომაზე ვენაში დავსახლდი ექიმად და ცოლად შევირთე ქალიშვილი, რომელიც ოთხ წელზე მეტი ხნით შორეულ ქალაქში მელოდებოდა. შემიძლია აქ გიამბოთ, რომ ჩემი საცოლის დანაშაული იყო, თუკი მე ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში ცნობილი არ გავხდი. გვერდითმა, მაგრამ ღრმა ინტერესმა დამტოვა 1884 წელს, მაშინ ნაკლებად ცნობილი ალკალოიდი კოკაინი (Alkaloid, Kokain von Merck) მივიღე და მისი ფიზიოლოგიური ზემოქმედება შევისწავლე. ამ შრომის საშუალებით გამეხსნა პერსპექტივა მოგზაურობისა ისევ მენახა ჩემი დანიშნული, რომლისაგანაც დაშორებული ვიყავი ორი წელი. სწრაფად დავამთავრე გატკლევა კოკაინზე და ჩემს პუბლიკაციაში ვიწინასწარმეტყველე, რომ მალე მივაღწევდი ამ საშუალების შემდგომ გამოყენებას. ჩემს მეგობარზე, თვალის ექიმ ლ. კონიგშტაინზე გამოვცადე, რამდენად გამოსაყენებელი იყო დაავადებულ თვალზე კოკაინის ანესთეზირებადი თვისებები. როცა ჩამოვედი შვებულებიდან, ვნახე, რომ არა მან, არამედ სხვა მეგობარმა, კარლ კოლერმა (ამჟამად ნიუ-იორკშია), რომელსაც მოვუყევი კოკაინის შესახებ, გადამწყვეტი ცდები ჩაატარა ცხოველის თვალზე და დემონსტრირებაც მოახდინა ჰაიდელბერგში ოფტალმოლოგთა ყრილობაზე. ამიტომ კოლერი სამართლიანად ითვლება აღმომჩენად კოკაინის ლოკალური ანესთეზიისა, რაც მცირე ქირურგიისათვის მნიშვნელოვანი გახდა. მაშინდელ მღელვარებას არ გაუნდიარ ჩემი საცოლის მიმართ გულღვარძლიანი.

1886 წელს ვენაში მოვეწყე ისევ ნევროლოგად. დამეკალა "ექიმთა საზოგადოებაში" მიმოხილვა გამეკეთებინა იმის შესახებ, რაც კი შარკოსთან ვნახე და ვისწავლე. ეს კია რომ წილად მხვდა ცუდი მიღება. გავლენიანმა პირებმა, როგორიცაა თავმჯდომარე ინტერნისტი ბამბერგერი, ჩემი მონაყოლი საეჭვოდ გამოაცხადეს. მაინერტმა ჩემგან მოითხოვა, ჩემს მიერ მოტანილი შემთხვევები ვენაშიც მეძებნა და საზოგადოებისათვის წარმომედგინა. ესეც მოვაგებული მქონდა, მაგრამ პირველმა ექიმებმა, რომელთა განყოფილებაში ასეთი შემთხვევა დავადასტურე, უარი მითხრეს, მათზე ხელაკერება შეწარმოებინა და ისინი დამემუშავებინა. ერთმა მათგან-

მა, ძველმა ჭირურგმა, პირდაპირ მომახალა: "ბატონო კოლეგა, რა გორ ამბობთ ასეთ უაზრობას! Histeron ხომ საშვილოსნოს ნიშნავს, როგორ შეიძლება მამაკაცი ისტერიული იყოს?" მე ამაოდ შევეპასუ ხე, რომ ვსაჭიროებდი ადამიანების შემთხვევის დადასტურებას და არა ჩემი დიაგნოზის მოწონებას. ბოლოს ჰოსპიტალის ფარგლებს მიღმა წავაწყდი კლასიკური ისტერიული სხეულის ნახევრის ანეს თეზიის შემთხვევას და ექიმთა საზოგადოებაში მისი დემონსტრაცია მოვახდინე. ამჟამად ტაშით დამაჯილდოვეს, მაგრამ ჩემდამი შეც დგომი ინტერესი აღარ გაღვიძებიათ. შთაბეჭდილება, რომ დიდმა ავტორიტეტებმა უარყვეს ჩემი სიახლეები, დარჩა შეურყეველი. მამაკაცის ისტერიითა და შთაგონებით ისტერიული დამბლებების გამოწვევით მე ოპოზიციაში ჩავდექი. როცა მალე ამის შემდეგ ტვინის ანატომიური ლაბორატორია დაიხურა და სემესტრის განმავლობაში არ გამოჩნდა აუდიტორია, სადაც შევძლებდი ჩემი ლექციების კითხვას, დავტოვე აკადემიური და ლაბორატორიული ცხოვრება. ექიმთა საზოგადოებას აღარ გავკარებივარ მთელი თაობის მანძილზე.

თუკი ვინმეს სურს ნერვულ დაავადებათა მკურნალობით იცხოვროს, უნდა, ცხადია, რაღაცის მიღწევა შეძლოს. ჩემი თერაპიული არსენალი მოიცავდა მხოლოდ ორ იარაღს, ელექტროთერაპიასა და ჰიპნოზს, ვინაიდან წყლით მკურნალობის დაწესებულებაში გავზავნა ერთჯერადი კონსულტაციით არ იყო საკმარისი შემოსავლის წყარო. ელექტროთერაპიაში ვეყრდნობოდი ვ. ერბის სახელმძღვანელოს, რომელიც გვთავაზობდა დეტალურ დანიშნულებას ნერვულ დაავადებათა ყველა სიმპტომის მკურნალობისათვის. სამწუხაროდ, მალე გავიგე, ამ დანიშნულებათა დაცვა არასდროს არ შველოდა და რაც მე ზუსტი დაკვირვების შედეგად მივიღე, იყო ფანტასტური კონსტრუქცია. შეხედულება, რომ გერმანული ნერვოპათოლოგიის პირველი სახელის ნაშრომს აღარ ჰქონდა რეალობასთან დამოკიდებულება მსგავსად "ეგვიპტური" სიზმრის წიგნისა, რომელიც იყიდება ჩვენს სახალხო წიგნის მაღაზიებში, მტკივნეული იყო, მაგრამ ის ისევ დამეხმარა ავტორიტეტის გულუბრყვილო რწმენისაგან თავი დაეღწია, რომლისაგანაც ჯერ კიდევ არ ვიყავი თავისუფალი. ასე გადუდგი გვერდზე ელექტრონული აპარატი, სანამ კიდევ მოობიუსი იტყოდა გადამწყვეტ სიტყვას, რომ ნერვიულ დაავადებუ-

ებთან ელექტრონული მკურნალობის შედეგი – სადაც კი ეს საერთოდ მიიღწევა – ესაა ექიმის შთაგონების შედეგი.

ჰიპნოზთან საქმე უკეთესად იყო. ჯერ კიდევ სტუდენტი ვეს წრებოდი, "მაგნეტიზიორ" ჰანსენის ღია წარმოდგენას და შევამჩნიე, ზოგიერთი ცდის პირი მკვდრისფერი ხდებოდა, როცა კატალეპტურ გაშეშებაში ვარდებოდა და მდგომარეობის მთელ მანძილზე ასე რჩებოდა. ამით ჩემი დარწმუნებულობა ჰიპნოზიური ფენომენების ნამდვილობაში მტიცედ დაფუძნდა. მალე ამის შემდეგ ამ გაგებამ იპოვა თავისი მეცნიერული წარმომადგენელი ჰაიდენჰაინში, რასაც ფსიქიატრიის პროფესორებმა მხარი არ აუბეს; კიდევ დიდხანს ჰიპნოზი ცხადდებოდა რაღაც თაღლითობად და, გარდა ამისა, საშიშადაც და ჰიპნოტიზიორს აგდებულად ზემოდან დაჰყურებდნენ. პარიზში ვნახე ჰიპნოზს რომ საიმედო მეთოდად იყენებდნენ, რათა აკადემიფოებში სიმპტომები გამოეწვიათ და ისევ შეეწყვიტათ. მაშინ ჩვენთან ცნობა მოვიდა ქალაქ ნანსიში სკოლის გახსნის შესახებ, რომელიც შთაგონებას ჰიპნოზით ან მის გარეშე იყენებდა ხშირად და განსაკუთრებული წარმატებით – თერაპევტული მიზნებისათვის. ეს მოხდა ისე სავსებით ბუნებრივად, რომ ჩემი საექიმო მოღვაწეობის პირველ წლებში უარვყოფდი და უფრო შემთხვევით და არა სისტემატურ ფსიქოთერაპევტულ მეთოდებს, ჰიპნოზური შთაგონება გახდა ჩემი მთავარი სამუშაო საშუალება.

ამით თუმცა უარიყოფოდა ორგანულ ნერვულ სნეულებათა მკურნალობა, მაგრამ ეს ნაკლებ ზემოქმედებდა, ვინაიდან, ერთ მხრივ, საერთოდ ამ მდგომარეობათა თერაპიას არ უჩანდა სასიკეთო პერსპექტივა და, მეორე მხრივ, კერძო ექიმისათვის ქალაქის პრაქტიკაში გაჭრა ნერვულ დაავადებათა მცირე ნაწილი ნევროზების მასასთან შედარებით, რომელიც, გარდა ამისა, იმით მრავლდებოდა, რომ მისგან თავს აღწევდნენ, ერთიდან მეორე ექიმთან გარბოდნენ. ჩვეულებრივ ჰიპნოზით მუშაობა ნამდვილად მაცდუნებელი იყო. მავანმა პირველად გადალახა თავისი სისუსტის გრძნობა, ხასწაულმოქმედის მოწოდება ფრიად სასიამოვნო იყო. მეთოდის ნაკლი მოგვიანებით უნდა აღმომეჩინა. წინასწარ შეიძლებოდა მხოლოდ ორ მომენტზე გამომეთქვა სინანული: პირველი, ვერ ვახერხებდი ყოველი ავადმყოფის ჰიპნოზირებას; მეორე, რომ არ ვიცოდი

ინდივიდების ღრმა ჰიპნოზში გაღაყვანა. ჩემი ჰიპნოზური ტექნიკის სრულყოფის მიზნით 1889 წელს ზაფხულში გავემგზავრე ქალაქ ნანსში, სადაც რამდენიმე კვირა დავყავი. მე ვნახე ამაღელვებელი მოხუცი **ლიბო** (Liebeault) მუშაობისას მუშათა დასახლების ღარიბ ქალებთან და ბავშვებთან, გავხდი მოწმე ბერნჰაიმის განსაცვიფრებელი ექსპერიმენტებისა თავისი ჰოსპიტლის პაციენტებთან და მივიღე ძლიერი შთაბეჭდილება იმ მძლავრი სულიერი პროცესების შესაძლო არსებობის შესახებ, რომლებიც ადამიანის ცნობიერების სათვის დაფარულია. სწავლის მიზნით ერთხი ჩემი პაციენტი წავაქეზე ქ. ნანსში წასულიყო. ეს იყო არისტოკრატიული, ნიჭიერი ისტერიკი, რომელიც მე გადმომეცა, ვინაიდან არ იცოდნენ მასთან რითი დაეწყოთ. მასზე ჰიპნოზური ზემოქმედებით შესაძლებელი გავხადე მისი ადამიანური ღირსების აღდგენა და მუდამ შემეძლო მისი გასაჭირი მდგომარეობიდან ამოყვანა. მას ხომ ყოველთვის გარკვეული დროის შემდეგ რეციდივი მოდიოდა, ჩემი მაშინდელი უცოდინრობით ვხსნიდი, კერძოდ იმით, რომ მისი ჰიპნოზი არასდროს არ აღწევდა სომნაბულიზმის ხარისხს ამნეზიით. ბერნჰაიმს ამ პაციენტთან მრავალგზისი მცდელობა ჰქონდა, მაგრამ წინ ვერ წაიწია. ბერნჰაიმმა ჩემთან გულწრფელად აღიარა, რომ დიდ თერაპევტულ შედეგებს აღწევს შთაგონებით მხოლოდ ჰოსპიტალურ პრაქტიკაში და არა თავის კერძო პაციენტებთან. მე მასთან მქონდა მრავალი საინტერესო საუბარი და ვიკისრე მისი ორივე ნაშრომის – შთაგონებაზე და მის განმკურნავ ზემოქმედებაზე – გერმანულად თარგმნა.

1886–1991 წლების მონაკვეთში მეცნიერულად ცოტა ვიმუშავე და თითქმის არაფერი გამომიქვეყნებია. მე დაკავებული ვიყავი ახალი სპეციალობის მონახვითა და ჩემი მატერიალური არსებობის, ისე როგორც ჩემი სწრაფად მზარდი ოჯახის უზრუნველყოფით. 1891 წელს გამოიცა ჩემი პირველი ნაშრომთაგანი, ბავშვებთან ტვინის დამბლის შესახებ, ჩემი მეგობრისა და ასისტენტის დოქტ. ოსკარ რიისთან ერთად. იმავე წელს საბაბი მომეცა მედიცინის ლექსიკონის გამომცემლებთან თანამშრომლობით მასში სტატია – მოძღვრება აფაზიის შესახებ – განმეხილა. მაშინ გაბატონებული იყო ვერნიკე – ლიხტჰაიმის წმინდა ლოკალიზატორული თვალსაზრისი. ამ მცდელობის ნაყოფი იყო პატარა კრიტიკულ–სპეკულატიური წიგნი "აფაზიის გაგებისათვის".

ამიერიდან ვცდილობდი როგორც შემეძლო, მეცნიერული ძიება ისევ გამხდარიყო ჩემი ცხოვრების მთავარი ინტერესი.

II

ჩემი ადრეული გადმოცემის შესავსებად უნდა მივუთითო, რომ მე თავიდანვე გარდა ჰიპნოზიური შთაგონებისა ვცდიდი ჰიპნოზის სხვა გამოყენებასაც. მას მოვიხმარდი ავადმყოფების გამოკითხვისათვის მათი სიმპტომების წარმოქმნის ისტორიის შესახებ, რომელზედაც მათ ცხად მდგომარეობაში ხშირად ან სრულებით არა, ძნელა მხოლოდ ძალზე არასრულყოფილად შეეძლოთ მოეყოლათ. ეს მეთოდი ჩანდა არა მხოლოდ უფრო ქმედითი ანდა შიშველი შთაგონებითი ბრძანება ანდა აკრძალვა, არამედ ის აკმაყოფილებდა კიდევაც მკურნალის ცნობისმოყვარეობას, რომელსაც უფლება ჰქონდა, რაიმე გაეგო ფენომენის წარმომავლობის შესახებ, რომლის მოსპობას ისწრაფვოდა მონოტონური შთაგონებითი პროცედურით.

სხვა მეთოდთან შემდეგნაირად მივედი. ჯერ კიდევ ბრუკის ლაბორატორიაში გავიცანი დოქტ. იოზეფ ბროიერი, ვენის ოჯახის საპატიო ექიმი, რომელსაც ჰქონდა მეცნიერული წარსული, ვინაიდან მისი ხელიდან გამოვიდა მრავალი ღირსეული ნაშრომი სუნთქვის ფიზიოლოგიისა და წონასწორობის ორგანოს შესახებ. ეს იყო დიდი ინტელექტის მქონე ადამიანი, თოთხმეტი წლით ჩემზე უფროსი; მალე ჩვენი ურთიერთობა ინტიმური გახდა, ის ჩემი მეგობარი და დამხმარე შეიქნა ცხოვრების მძიმე წლებში. ჩვენ მივეჩვიეთ ყველა მეცნიერული ინტერესის ერთმანეთისათვის გაზიარებას; ბუნებრივია, ამ დამოკიდებულებაში მიმღები მხარე ვიყავი. ფსიქოანალიზის განვითარება მის მეგობრობად დამიჯდა შემდეგ, ჩემთვის ადვილი არ იყო ეს მსხვერპლი გამეღო, მაგრამ ეს აუცილებელი იყო.

სანამ პარიზს წავიდოდი, ბროიერმა ისტერიის ერთი შემთხვევის თაობაზე მაცნობა, რასაც ის 1880–1882 წლებში განსაკუთრებულად მკურნალობდა, თანაც მას შეეძლო ღრმად გაცნობოდა სიმპტომების მიზეზსა და მნიშვნელობას. ეს იმ დროს მოხდა, როცა

ჟანეს ნაშრომები ჯერ კიდევ მომავალს ეკუთვნოდა. ის რამდენჯერ
მე ხმამაღლა მიკითხავდა დაავადების ისტორიის მომენტებს, რო
მელთაგანაც შთაბეჭდილება მიიღე. აქ ნერვოზის გაგებისათვის
უფრო მეტი იყო მიღწეული, ვიდრე მანამდე. გადავწყვიტე, რომ
პარიზს ჩავიდოდი, ეს მიგნება შარკოსთვის გამეცნო და შემდეგ
ასეც მოვიქეცი. მაგრამ სწავლულს არ გამოუხატავს ინტერესი
ჩემს პირველ მითითებაზე, ასე რომ, ამ საქმეს ალარ დავბრუნებულ
ვარ და ის ჩამოვიშორე კიდეც.

ვენაში დაბრუნებულმა ისევ მივმართე ბროიერის დაკვირვებებს
და უფრო მეტად ვაიძულებდი ჩემს თავს მონაყოლისათვის დამეთ
დო ყური. პაციენტი იყო ახალგაზრდა გოგო არაჩვეულებრივი გა
ნათლებისა და ნიჭის მქონე, რომელიც ავად გახდა საყვარელი
მამის მოვლის დროს. როცა ბროიერმა ის მიიღო, გოგომ აჩვენა
ჭრელი სურათი დამბლებისა კუნთების შეკუმშვით, შეკავშირებით
და ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობით. შემთხვევითმა დაკვირ
ვებამ ექიმი მიახვედრა, რომ გოგო ცნობიერების ამგვარი აძვრე
ვისაგან თავისუფლდებოდა, თუკი საბაბი ეძლეოდა სიტყვებით გა
მოეთქვა აუექტური ფანტაზიები, რომლებიც მას სწორედ რომ
ფლობდა. ბროიერმა ამ გამოცდილებიდან მიიღო მკურნალობის მე
თოდი. მას პაციენტი გადაჰყავდა ღრმა ჰიპნოზში და ყოველთვის
იმას აყოლებდა, რაც მის სულს სტანჯავდა იმ რწმენით, რომ ამის
შემდეგ დეპრესიული აშლილობის შედეგები ამნაირად გადაილახე
ბოდა. ის იყენებდა იგივე მეთოდს მისი შეკავებისა და სხვეულებრი
ვი დარღვევების მოსპობისათვისაც. ცხად მდგომარეობაში ავად
მყოფმა გოგომ არ იცოდა სხვა ავადმყოფობის მსგავსად როგორ
აღმოცენდა მისი სიმპტომები და ვერავითარ კავშირს ვერ ხედავდა
მათსა და მისი ცხოვრების რომელიმე შთაბეჭდილებასთან. ჰიპნოზ
ში ის მაშინვე აღმოაჩენდა საძიებელ კავშირს. აღმოჩნდა, რომ
ყველა მისი სიმპტომი დაიყვანებოდა ავადმყოფი მამის მოვლის
დროინდელ შთაბეჭდილებათა განცდებზე, მაშ, ისინი მნიშვნელობის
მქონენი არიან და შეესატყვისებიან ამ აფექტური სიტუაციის ნარ
ჩენებს ანუ რემინისცენციებს. ჩვეულებრივ ეს ისე იყო წარმართუ
ლი, რომ მას მამის საწოლთან ახრი ან იმპულსი უნდა დაეთრგუნა,
ამ ადგილზე მის წარმომადგენლობაში შემდეგ სიმპტომი გამოჩნდა.

მაგრამ, როგორც წესი, სიმპტომი იყო არა ერთადერთი "ტრავმატული" სცენის ნარჩენი, არამედ მრავალი მსგავსი სიტუაციის შეჯამების შედეგი. როცა ავადმყოფი ჰიპნოზში ასეთ სიტუაციას კვლავ იგონებდა, მაშინ დათრგუნულ სულიერ აქტებს აფექტების თავისუფალი განვითარებით ბოლო ელებოდა, სიმპტომი წაიშლებოდა და ალარ აღმოცენდებოდა. ამ მეთოდით ბროიერმა ხანგრძლივი და მძიმე შრომით მიაღწია თავისი ავადმყოფი გაეთავისუფლებინა მისი სიმპტომისაგან.

ავადმყოფი გამოკეთდა და მის შემდეგ ჯანმრთელი გახდა, დიახ, მნიშვნელოვანი შედეგების უნარის მქონე, მაგრამ ჰიპნოზური მკურნალობის ამოსავალს ტვირთად აწვა სიბნელე, რომელიც ბროიერს ჩემთვის არასდროს არ აუხსნია; მე არ შემეძლო გამეგო, თუ რატომ მალავდა ასე ხანგრძლივად შეუფასებელ შემეცნებას იმისა, რომ მეცნიერება მისით გაემდიდრებინა. შემდეგი საკითხი იყო, უფლება აქვს თუ არა ვინმეს განაზოგადოს ის, რაც ერთადერთი ავადმყოფის შემთხვევაშია შენიშნული, მის მიერ აღმოჩენილი დამოკიდებულება ჩემთვის ჩანდა ისე ფუნდამენტალურად, არ შემეძლო მეფიქრა, რომ ისტერიის რომელიღაც შემთხვევა შეიძლება დაკარგულიყო, თუკი ის ერთხელ ვინმესთან დადასტურებოდა. მაინც მას მხოლოდ გამოცდილება გადაწყვეტს. მე დაწყებ ბროიერის გამოკვლევების ჩემს ავადმყოფებზე განმეორება და სხვას არაფერს ვაკეთებდი განსაკუთრებით მანამდე, სანამ ბერნჰაიმთან სტუმრობამ 1889 წელს ჰიპნოზური შთაგონების მიღწევებში ხელვარი არ მიჩვენა. როცა მე მრავალი წლის მანძილზე მუდამ გადასტურებდი ისტერიის ყოველ შემთხვევას, რომელთანაც ასეთი მკურნალობა მისაწვდომი იყო, ვატარებდი მის ანალოგიურ უკვე შემაბეჭდავ მასალაზე დაკვირვებასაც, ბროიერს შევთავაზე ერთობლივი პუბლიკაცია. დასაწყისში ის ამას მკვეთრად წინ აღუდგა. ბოლოს დამთანხმდა, მით უფრო, რომ იმავე დროს ჟანეს ნაშრომები გვაცნობილებდნენ მისი შედეგების ერთი ნაწილის – ისტერიული სიმპტომების დაყვანას ცხოვრების შთაბეჭდილებებზე და მათ ძოხსნას ჰიპნოზური რეპროდუქციის გზით in statu nascendi.* ჩვენ 1893 წ. გამოვაქვეყნეთ წინასწარ შეტყობინება – "ისტერიული ფუნო-

* წარმოქმნის მომენტში (რედ. შენიშვნა).

მენების ფსიქიკური მექანიზმის შესახებ". 1895 წელს მას მოჰყვა ჩვენი ერთობლივი წიგნი "შტუდიები ისტერიის შესახებ".

თუკი აქამდელმა გადმოცემამ მკითხველის მოლოდინი გააღვიძა, რომ, "ისტერიის შესახებ შტუდიებში" ყველა მისი არსებითი მატერიალური შინაარსი ბროიერის სულიერ კუთვნილებადაა წარმოდგენილი, ეს ზუსტად იგივეა, რასაც მე მუდამ მივუოითებდი და ამჯერადაც მინდოდა მეთქვა. წიგნში მოცემულ თეორიასთან მე დღეს აღარ ვთანამშრომლობ განსაზღვრული მასშტაბით. ეს მხოლოდ ინფორმაციის მომცემია, არ გადის დაკვირვებათა უშუალო გამოსახულობის მიღმა. მას არ ნებავს ისტერიის ბუნების შესწავლა, უნდა მხოლოდ მისი სიმპტომების აღმოცენების გაშუქება. ამასთან ხაზს უსვამს აფექტური ცხოვრების მნიშვნელობას, არაცნობიერ და ცნობიერ (უკეთ: ცნობიერების უნარის მქონე) სულიერ აქტებს შორის განსხვავების მნიშვნელობას, შემოჰყავს დინამიკური ფაქტორი მაშინ, როცა ის სიმპტომს წარმოშობს აფექტის დაგროვებით და ეკონომიკურიც – მაშინ, როცა იგივე სიმპტომს განიხილავს როგორც ჩვეულებრივ სხვაგვარად გამოყენებული ენერგიის რაოდენობის გარდაქმნის შედეგს (ე. წ. **კონვერსია**); ჩვენს მეთოდს ბროიერი უწოდებდა **კათარზისის**. მისი თერაპიული მიზანი მიუთითებდა სიმპტომის შენარჩუნებისათვის აფექტის ჯამზე, რომელიც მცდარ გზაზე მდგარი აღმოჩნდა. იქ თითქოს მოიწევწკვა აქედან სწორ გზაზე გადაყვანილიყო, სადაც მას შეეძლო მისი მოგერიება (**რეაგირება**). პრაქტიკული შედეგი კათარზული პროცედურისა ჩინებული იყო. ნაკლოვანებანი, რომლებიც მოგვიანებით გამოვლინდნენ, იყო ნაკლოვანება ყოველი ჰიპნოზური მკურნალობისა. ჯერ კიდევ ახლაც არიან ფსიქოთერაპევტები, რომლებიც კათარზისის ბროიერის გაგებაზე ჩერდებიან და მას აქებენ. მსოფლიო ომის დროს გერმანიის არმიაში ომის ნერვოტიკების მკურნალობისას, როგორც შემოკლებული მკურნალობის მეთოდმა ე. ზიმელისა, ერთხელ კიდევ გაამართლა იმედი. სექსუალობის თაობაზე კათარზისის თეორიაში ბევრი არაფერია. ავადმყოფობის ისტორიებში, რომელიც "შტუდიებში" ჩემდა წილად შევიტანე, გარკვეულ როლს თამაშობენ სექსუალური მომენტიდან, მაგრამ ფასდებიან სხვა აფექტურ აგზნებათა მსგავსად. თავისი პირველი ცნობილი პაციენტის

შესახებ ბროიერი ყვება, რომ სექსუალური მასთან განსაკუთრებით გამოეთარებელიაო. "ისტერიის შესახებ შტუდიებიდან" არ შეიძლება იოლად მიხვდეს კაცი, თუ სექსუალობას როგორი მნიშვნელობა აქს ნევროზების ეტიოლოგიისათვის.

განვითარების შემდგომი მომენტი, გადასვლა კათარზისიდან საკუთრივ ფსიქოანალიზზე, უკვე მრავალგზის ისე დაწვრილებით აღვწერე, რომ ჩემთვის ძნელი იქნება აქ რაიმე ახლის მოტანა. ამბავი, რაც იმ დროს მოიტანა, ეს იყო ბროიერის უკანდახევა ჩვენი საქმიანი ურთიერთობიდან, ასე რომ, მისი მემკვიდრეობა მარტოდმარტოს უნდა მემართა. ჩვენს შორის ადრევე იყო აზრთა სხვადასხვაობა, რომელსაც გაორება არ გამოუწვევია, საკითხში, როდისაა სულიერი მიმდინარეობა პათოგენური, ე. ი. ნორმალური შესრულება გამორიცხული, ბროიერი უპირატესობას ანიჭებდა, ასე რომ ვთქვათ, ფიზიოლოგიურ თეორიას; ის ფიქრობდა, ასეთი პროცესები გზას გადაუხვევენ ნორმალური ჩვედრისაგან, რომლებიც აღმოცენდებიან განსაკუთრებულ – ჰიპნოიდურ – სულიერ მდგომარეობაში. ამით ახალი საკითხი დაისვა ასეთი ჰიპნოიდის წარმომავლობის შესახებ. მე საპირისპიროდ ვვარაუდობდი უფრო ძალთა თამაშს, განზრახვებისა და ტენდენციების ზემოქმედებას, როგორც ეს შეიმჩნევა ნორმალურ ცხოვრებაში. ასე დადგა "ჰიპნოიდის ისტორია" "დაცვითი ნევროზების" საპირისპიროდ. მაგრამ ეს და მსგავსი დაპირისპირება მისი საქმისაგან სხვაზე ვერ გადაატანინებდნენ ყურადღებას სხვა მომენტები რომ არ ჩარეულიყვნენ. ერთი ცხადი იყო, ის როგორც ინტერნისტი და ოჯახის ექიმი დიდად იყო დაკავებული და ჩემსავით არ შეეძლო მთელი თავისი ძალა მიეძღვნა კათარზული სამუშაოსადმი. მოგვიანებით მასზე იმ აღიარებამ იმოქმედა, რაც ჩვენმა წიგნმა ნახა როგორც ვენაში, ისე სახელმწიფოს გარეთ. მისი თვითნდობა და წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ იდგნენ მისი ჩვეულებრივი სულიერი ორგანიზაციის დონეზე. მაგ., როცა ა. შტრუმპელმა შტუდიები მკაცრად უარყო, მე შემეძლო მეცინა უაზრო კრიტიკაზე, ის კი განაწყენდა და სულით დაეცა. მაგრამ ხშირად ის თავისი გადაწყვეტილებით ხელს უწყობდა იმას, რომ მიმართულება გაიკვლია ჩემმა საკუთარმა შემდგომმა შრომამ, რომელთანაც ის ვითომც დათანხმებას ცდილობდა.

თეორია, რომლის აგებასაც ვცდილობდით "შტუდიებში" ჯერ კიდევ ძალზე არასრული იყო, განსაკუთრებით კი ეტიოლოგიის პრობლემა; პათოგენური პროცესის აღმოცენების ნიადაგის საკითხს ოდნავ თუ შევეხეთ. სწრაფად მზარდი გამოცდილება ახლა მარწმუნებდა, რომ არა ნებისმიერი აფექტური აგზნება იყო ნევროზის მოვლენებს უკან მოქმედი, არამედ კანონზომიერად სექსუალური ბუნების მქონენი, ანდა აქტუალური სექსუალური კონფლიქტები ადრეული სექსუალური განცდების შემდგომი ზემოქმედებანი. ამ შედეგისათვის მზად არ ვიყავი, ჩემს მოლოდინს წილი არ ედო მასში, მე მთლიანად მივენდე ნერვოტიკების გამოკვლევებს. როცა 1914 წელს ვწერდი "ფსიქოანალიზური მოძრაობის ისტორიას", მასში გონდებოდა ბროიერი, შარკოსა და ქრობაკის ზოგიერთი გამონაქვამი, რომელთაგანაც ასეთი გაგება ადრევე შემეძლო მიმეღო, მაგრამ კი არ მესმოდა, რას ფიქრობდნენ ეს ავტორიტეტები; მაგალითებით მეტი მითხრეს, ვიდრე თვითონვე იცოდნენ და მზად იყვნენ დაეცვათ ის, რაც მე მათგან გავიგე, ჩემში თვლემდა უმოქმედოდ, ვიდრე კათარზული გამოკვლევების შემთხვევასთან, როგორც ეტყობა, ორიგინალურ გაგებად არ წარმოსდგა. მე მაშინ ჯერ კიდევ არც ის ვიცოდი, რომ ისტერიის დაყვანით სექსუალობაზე დავუბრუნდი მედიცინას უძველეს დროს და პლატონს დავუკავშირდი. ეს გავიგე მხოლოდ მოგვიანებით ჰაველოკ ელისის სტატიიდან.

ჩემი განსაცვიფრებელი მიგნების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა გადავდგი საბედისწერო ნაბიჯი. დავტოვე ისტერია და დავიწყე ე. წ. ნევრასთენიკების სექსუალური ცხოვრების კვლევა, რომლებიც დიდი რაოდენობით მხვდებოდნენ მიღების საათებში. ეს ექსპერიმენტი თუმცა მიღირდა ჩემს ჰოპულარობად, როგორც ექიმისა, მაგრამ მას მომიტანა რწმენა, რომელიც დღესაც, თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ, ჯერ კიდევ არ გამქრალა. დაიძლია მრავალი სიცრუე და საიდუმლოება, მაგრამ რაკი ეს მიიღწია, ნაჩვენები, რომ ყველა ამ ავადმყოფთან იყო სექსუალური ფუნქციის განსაკუთრებით ბოროტად გამოყენება. ასეთი ბოროტად გამოყენების დიდ ხიხშირეს, ერთი მხრით, ნევრასთენიას, მეორე მხრით, ორთავეს ხშირ შეხვედრას, ბუნებრივია, არ გააჩნდა დასაბუთების დიდი ძალა, მაგრამ არ დარჩენილა მაინც ტლანქ ფაქტად. მახვილმა დაკვირვებამ ავადმყოფობის სიჭრელიდან, რომელიც თავსდებოდა ნევრასთენიის ტერმინის ქვეშ, ნება მომცა გამომეყო ორი პრინციპულად განსხვავებული ტიპი, რომლებიც რაგინდარა შერევით შეიძლება შეგხვდნენ, მაგრამ მაინც დაიკვირვებოდნენ წმინდა გამოხატულებით. ერთი ტიპთან ცენტრალური ფენომენი იყო შიშის შეტევა თავისი ეკვივალენტებით, რუდიმენტალური ფორმებით და ქრონიკული შემნაცვლებელი სიმპტომებით; ამიტომ მე მას ვუწოდე **შიშის ნერვოზი**. მეორე ტიპთან **ნევრასთენიის** აღნიშვნით შემოვიფარგლე. ახლა ადვილი დასადგენი იყო, რომ ყველა ამ ტიპს შეესატყვისებოდა სექსუალური ცხოვრების სხვა სიმახინჯე როგორც ეტიოლოგიური მომენტი (coitus interuptus, ფუჭი აგზნება, სექსუალური შეკავება აქ და გადაჭარბებული მასტურბაცია, გაზშირებული პოლუციები იქ). ზოგიერთი განსაკუთრებულად ყურადსაღები შემთხვევებისათვის, რომლებშიაც ადგილი აქვს ავადმყოფობის სურათის მოულოდნელ შეცვლას ერთი ტიპიდან მეორეზე, ასევე მივაღწიეთ გვეჩვენებინა, რომ მას საფუძველში ედო სექსუალური რეჟიმის შესატყვისი მონაცვლეობა, თუკი შევძლებდით ბოროტად გამოყენების ჩამოშორებას და მის შენაცვლებას ნორმალური სექსუალური მოქმედებით, მაშინ ვიღებდით მდგომარეობის საოცარ გაუმჯობესებას.

ასე მივედი სავსებით ზოგადად ნევროზების, როგორც სექსუალური ფუნქციის, დარღვევის აღიარებამდე, სახელდობრ, ეგრეთ წოდებული, აქტუალური ნერვოზების, როგორც პირისპირ ტოქსიკურის გამოსახვამდე, ფსიქონერვოზების, როგორც ამ დარღვევების, ფსიქიკურ გამოსახულებამდე. ჩემი საექიმო სინდისი ამ დებულების წამოყენებით გრძნობდა კმაყოფილებას. მე ვიმედოვნებდი, რომ მედიცინაში ხარვეზები ამოვავსე, რომელიც ბიოლოგიურად ასე მნიშვნელოვან ფუნქციასთან სხვა დარღვევებით – ინფექციით ან უხეში ანატომიური დარღვევით – უნდოდათ გაეთვალისწინებინათ. გარდა ამისა, საექიმო გაგება სასარგებლოცაა, რომ სექსუალობა არა მხოლოდ ფსიქიკური საგანია, მას თავისი სომატური მხარეც აქვს, რის გამოც უფლება ჰქონდათ მისთვის მიეწერათ განსაკუთრებული ქიმიზმი და სექსუალური აგზნება გამოეყვანათ განმსაზღვრელი, ჯერ კიდევ უცნობი ნივთიერების არსებობით. მას ასევე უნდა ჰქონოდა თავისი კარგი საფუძველი დასაბუთებით, რომ

ნამდვილი, სპონტანური ნევროზები გამოწვეული გარკვული ტოქ
სიკურად მოქმედი ნივთიერებით, ანდა მ. ბაზედოვით, რომლის და
მოკიდებულება ცნობილია ფარისებრი ჯირკვლების პროდუქტთან,
არ აჩვენებენ არც ერთ სხვა ავადმყოფობის ჯგუფთან იმდენ მსგავ
სებას, როგორსაც ინტოქსიკაციისა და შეკავების მოვლენებთან.

მოგვიანებით მეტად ალარ მქონია შესაძლებლობა დავბრუნებო
დი აქტუალური ნერვოზების მკურნალობას. ჩემი საშუშაოს ეს
მომენტი არც სხვას გაუგრძელებია. დღეს, გადავხედავ რა ჩემს
მაშინდელ მონაცემებს, შემიძლია ის ვაღიარო როგორც პირველი,
უხეში სქემატიზაცია ალბათ მეტად რთული საქმის ვითარებისა.
მაგრამ ის დღესაც მთლიანობაში სწორად მეჩვენება. მოგვიანებით
ალბათ კიდევ შექნებოდა შემთხვევები წმინდა ჭაბუკური ნევრასთე
ნიის ხილვისა, რომელიც ფსიქოანალიზურ გამოცდას დაექვემდება
რებოდა, რაც სამწუხაროდ ამას არ უკავშირდება. რათა დამახინჯე
ბულ გაგებას დავუპირისპირდეთ, მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩემგან
შორსაა ფსიქიკური კონფლიქტისა და ნევრასთენიასთან ნევროტუ
ლი კონფლიქტების არსებობის უარყოფა. მტკიცება მხოლოდ იქით
კენ მიდის, რომ ავადმყოფთა სიმპტომები ფსიქიკურად არ არიან
დეტერმინირებული და ანალიზურად გადასაწყვეტი, არამედ ისინი
უნდა გავიგოთ როგორც პირდაპირი ტოქსიკური შედეგები აშლილი
სექსუალური ქიმიზმისა.

როცა "შტუდიების" შემდეგ მალე ეს შეხედულებანი ნევროზებ
თან სექსუალობის ეტიოლოგიური როლის შესახებ მივიღე, მის
შესახებ რამდენიმე მოხსენება წავიკითხე ექიმთა გაერთიანებაში,
მაგრამ წავაწყდი მხოლოდ უნდობლობას და წინააღმდეგობას. ბრო
იერი კიდევ რამდენჯერმე შეეცადა თავისი პიროვნული ავტორიტე
ტის გამოყენებას ჩემდა სასარგებლოდ, მაგრამ ვერაფერს მიაღწია,
თანაც ადვილი დასანახი იყო, რომ სექსუალური ეტიოლოგიის
მტკიცება ასევე მისი მიდრეკილებების წინააღმდეგ ვიდოდა. მას
შეეძლო ჩემთვის თავის პირველ პაციენტზე მითითებით დარტყმა
მოეყენებინა, ანდა თავგზა აებნია – სექსუალური მომენტები ვითომ
დაც არავითარ როლს არ თამაშობდნენ. მაგრამ ეს მას არასდროს
უკადრებია; დიდი ხნით ეს არ მესმოდა, სანამ არ ვისწავლე ამ
შემთხვევის სწორი ინტერპრეტაცია და მისი რამდენიმე ადრეული

ნიშნით ბროიერის მკურნალობის ამოსავლის რეკონსტრუქცია.
მის შემდეგ, რაც კათარზული სამუშაო ამოწურული ჩანდა, გოგო
სთან უცებ დაიწყო "გადატანის" მდგომარეობა, რომელსაც მკურ
ნალი უკვე ვეღარ უკავშირებდა ავადმყოფობას, ასე რომ, მისგან
ეს იხვედა განცვიფრებული. მისთვის, ცხადია, მოჩვენებითი წა
რემატებლობის მოგონება არასასიამოვნო იყო. ჩემ მიმართ დამოკი
დებულებაში რაღაც დროში ის მერყეობდა აღიარებასა და მკაცრ
კრიტიკას შორის. შემდეგ ამას შემთხვევითობა დაემატა, რაც და
ძაბულ სიტუაციებში ყოველთვის იგრძნობოდა და ჩვენ ერთმანეთს
დაეშორდით.

ჩემს მუშაობას საერთო ნევროზულობის ფორმებით მოჰყვა ის
შედეგი, რომ მე კათარზისის ტექნიკა შევცვალე, უარი ვთქვი ჰიპნოზ
ზე და შევეცადე მის შეცვლას სხვა მეთოდით, ვინაიდან მინდოდა
ისტერიული ფორმის მდგომარეობის მკურნალობის შეზღუდვის დაძ
ლევა. ასევე მზარდ გამოცდილებასთან ერთად ორი საგრძნობი
ცდა გაჩნდა ჰიპნოზის გამოყენების წინააღმდეგ თვითონ კათარზი
სის მომსახურებაში. პირველი, თვითონ საუცხოო შედეგები უცებ ჰ
ქრებოდა, როცა პიროვნული დამოკიდებულება პაციენტთან ფუჭდე
ბოდა, თუმცა ისევ აღსდგებოდა, როცა მოინახებოდა გზა შერიგები
სა; მაგრამ უნდა ვისწავლოთ, რომ პიროვნული აფექტური დამოკი
დებულება მაინც უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მთელი კათარზული
მუშაობა და სწორედ ეს მომენტი არ ექვემდებარებოდა ალაგმვას.
ერთ დღეს გამოცდილებით დავადასტურე ის, რამაც კაშკაშა სი
ხალე მაჩვენა, რასაც დიდხანს ვვარაუდობდი. ერთხელ ჩემმა დამ
წყებულ პაციენტმა ქალმა, რომელთანაც ჰიპნოზი შესაძლებლობას იძ
ლეოდა საუცხოო მოქმედებისას, – მტკივნეული შეტევის დაყვანა მის
საბაბზე მას ათავისუფლებდა ტანჯვისაგან – გალვიძებისას კისერზე
შემომაჭდო ხელები. მომსახურე პირის მოულოდნელმა შემოსვლამ
გვიხსნა უხერხულობისაგან, მაგრამ ჩვენ ამიერიდან უარვყავით უტყ
ვი შეთანხმება ჰიპნოზური მკურნალობის გაგრძელების თაობაზე. მე
საკმაოდ ფხიზელი ვიყავი, ეს შემთხვევა ჩემი პირადული გადაულა
ხაობით არ ჩამითვლია, და ვფიქრობდი, ახლა კი ჰიპნოზის უკან
მოქმედი მისტიკური ელემენტის ბუნებას ჩავწვდი. რათა ეს გამომე
რიცხა, ანდა, ყოველ შემთხვევაში, იზოლაციაში მომექცია, ჰიპნოზზე

უარი უნდა მეთქვა.

მაგრამ ჰიპნოზმა კათარზულ მკურნალობას საგანგებო სამსახური გაუწია, როცა მან პაციენტის ცნობიერების ველი გააფართოვა და ის ცოდნა მოაქცია მის განკარგულებაში, რაც ცხადში არ ჰქონია, ადვილი არ ჩანდა მისი შენაცვლება. ამ მძიმე მდგომარეობაში დამხმარედ მომეკლინა მოგონება ექსპერიმენტზე, რომელიც ბერნჰაიმთან ყოფნისას ხშირად შემინიშნავს. როცა ცდის პირი სომნამბულიზმიდან გამოდიოდა, ამ დროს ყველა შემთხვევის მოგონება ქრებოდა, მაგრამ ბერნჰაიმი ამტკიცებდა, რომ ის ცდის პირმა მაინც იცოდა და წამს ბერნჰაიმი მოითხოვდა პაციენტისაგან მოეგონებინა და ირწმუნებოდა, რომ ცდის პირმა ყველაფერი იცოდა, საჭირო იყო მხოლოდ თქმა და ამასთან მას ხელს დაადებდა შუბლზე, ნამდვილად დავიწყებული მოგონებები ამოტივტივდებოდნენ, თავდაპირველად გაუბედავად, შემდეგ კი ნაკადად და მთელი სიცხადით. დავასკვენი, ასე გამეკეთებია. ჩემს პაციენტებს უნდა "ცოდნოდათ" ყველაფერი ის, რასაც ჩვეულებრივ მხოლოდ ჰიპნოზი ხდიდა მისაწვდომად, და ჩემს გულდაჯერებულობას და წაქეზებას, რომელსაც ხელის დადება ეხმარებოდა, ძალა უნდა ჰქონოდა, დავიწყებული ფაქტები და კავშირები ცნობიერებაში შემოეყვანა. რა თქმა უნდა, ეს უფრო ძნელი ჩანდა, ვიდრე ჰიპნოზში გადაყვანა, მაგრამ ეს იყო ძალზე ყურადსაღები. მაშ, ჰიპნოზი უარყოფი და მისგან დატოვე მხოლოდ ცხოვრებაში ერთადერთი პაციენტის მდგომარეობა მოსასვენებელ დივანზე, რომლის უკან მე ვიჯექი ისე, რომ მას ვხედავდი, მაგრამ ის მე ვერ მიყურებდა.

III

ჩემი მოლოდინი გამართლდა. ჰიპნოზისგან განთავისუფლდი, მაგრამ ტექნიკის შეცვლასთან ერთად თავისი სახე შეცვალა კათარზულმა მუშაობამაც. ჰიპნოზს დაფარული ჰქონდა ძალთა თამაში, რომელიც მხოლოდ ახლა იხსნიდა საბურავს, რომლის მიწედომა თეორიას აძლევდა სანდო დაფუძნებას.

საიდანაა ის, რომ აკადმყოფები გარეგანი და შინაგანი განცდის ამდენ ფაქტს ივიწყებენ და მათი გახსენება მაინც შეუძლიათ, როცა აღწერილ ტექნიკას მათზე გამოვიყენებთ? ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს სცემს დაკვირვება. ყველაფერი არასასიამოვნო ან სამარცხვინო, ანდა მტკივნეული ან სამარცხვინო პიროვნების მოთხოვნისათვის დავიწყებული იქნა როგორღაც. ის განდევნილა თავისგან აზრს: სწორედ ამიტომ იქნა დავიწყებული, ე. ი. ცნობიერად ვერ დარჩენილი. რომ ის ისევ ცნობიერი გახდეს, უნდა რალაც დაიძლიოს აკადმყოფში, რაც წინააღმდეგობას წევდა, საკუთარი ძალისხმევით უნდა განედევნა. მკურნალის მიერ მოხმობილი ძალისხმევა სხვადასხვა შემთხვევისათვის განსხვავებული ზომისა იყო. ის იცვლებოდა პირდაპირი დამოკიდებულებით მოგონების სიმძიმესთან მაკავშირებით. მკურნალის ძალის დანახარჯი, ცხადია, საზომი იყო აკადმყოფის მიერ წინააღმდეგობის გაწევისა. ახლა საჭირო იყო სიტყვებში გადათარგმნა, რასაც თვითონ გრძნობდნენ და განდევნის თეორია მზად იყო.

ახლა პათოგენური პროცესი ადვილად იძლეოდა რეკონსტრუქციის შესაძლებლობას. მარტივი მაგალითი რომ მოვიყვანოთ, სულიერ ცხოვრებაში ერთადერთი მისწრაფებაა, რომელსაც სხვა ძლიერი ეწინააღმდეგებიან. ალმოცენებული სულიერი კონფლიქტი, ჩვენი ვარაუდის მიხედვით, ისე უნდა წარიმართოს, რომ ორივე დინამიკური სიდიდე, ჩვენი მიზნებისათვის მათ ვუწოდებთ ლტოლვასა და წინააღმდეგობის გაწევას – ერთ მომენტში ცნობიერების უძლიერესის მონაწილეობით ერთმანეთს ებრძვიან, სანამ ლტოლვა არ შეუერგდება, თავის მისწრაფებაში ენერგიის მუხტისგან არ დაიცლება. ეს იქნებოდა ნორმალური გადაწყვეტა. მაგრამ ნევროზში ჯერ კიდევ უცნობი საფუძვლით კონფლიქტი ნახულობს სხვა გამოსავალს. "მე", ასე რომ ვთქვათ, პირველი დაჯახებისთანავე უხამსი ლტოლვითი აგზნებით უკან იხევს, მის ცნობიერებასთან მისასვლელი და პირდაპირი მოტორული გზა გადაეკეტება, ამასთან ის მთელი ენერგიის მუხტს ინარჩუნებს. ამ პროცესს ვუწოდე **განდევნა**; ეს იყო სიახლე, არაფერი მისი მსგავსი არ ყოფილა ადიარებული სულიერ ცხოვრებაში. განდევნა, ცხადია, იყო პირველადი დამცველი მექანიზმი, გაქცევის მცდელობასთან შედარებული, მხოლოდ წინამორბედი შემდგომი ნორმალური მსჯელობის დასრულებისა. განდევნის პირველ აქტთან დაკავშირებულია შემდეგი შედეგები:

ერთის მხრივ "მე"-ს უნდა თავი დაიცას პერმანენტული ძალისხმევით, საწინააღმდეგო დამუხტვებით, განდევნილია სწრაფვის მუდამ მზადმყოფი დაწოლის საპირისპიროდ და ამასთან ღარიბდება. სხვა მხრივ, არაცნობიერ განდევნილს შეეძლო შეექმნა მოგერიება და შენაცვლებითი კმაყოფილება შემოვლილი გზით და ამნაირად ჩაეშალა განდევნის მიზანი. კონვერსიის ისტერიასთან ამ შემოვლილ გზას მივყავდით სხეულის ინერვაციასთან – განდევნილი წაქეზება რომელიღაც ადგილზე გაძვრებოდა და ქმნიდა **სიმპტომებს**, რომლებიც, მაშასადამე, იყვნენ კომპრომისის შედეგები, თუმცა შენაცვლებითი დაკმაყოფილებანი, მაგრამ მაინც დამახინჯებული და მისი მიზნებისაგან გადახრილი "მე"-ს მიერ წინააღმდეგობის გაწევის გზით.

განდევნის გზით მოძღვრება გახდა ნევროზების გაგების დასაწყისი. ახლა თერაპევტული ამოცანა სხვაგვარად უნდა ყოფილიყო გააზრებული, მისი მიზანი აღარ იყო მცდარ გზაზე მდგარი აფექტის "რეაგირება", არამედ განდევნის აღმოჩენა და მათი მოკვეთა მსჯელობათა წარმატებით, რომელიც შეიძლება განხორციელებულიყო მაშინდელი უკუგდებულის დაშვებით ან უარყოფით. მხედველობაში მივიღე რა ახალი საქმის ვითარება, აღარ ვუწოდე გამოკვლევისა და მკურნალობის მეთოდს **კათარზისი**, არამედ **ფსიქოანალიზი**.

უნდა ამოვიდეთ განდევნიდან, როგორც ცენტრიდან და ფსიქოანალიზის მოძღვრების ყველა მომენტი მასთან დაკავშირდეს. აღრევე მინდა კიდევ ერთი სადავო შინაარსის შენიშვნა გავაკეთო. ჟანეს გაგების მიხედვით, ისტერიკი იყო საცოდავი პირი, რომელსაც კონსტიტუციური სისტემის შედეგად არ შეეძლო თავისი სულიერი აქტებისათვის თავის მოყრა. ამიტომაც ის სულიერად გაიხლიჩა და ცნობიერება დაუვიწროვდა. მაგრამ ფსიქოანალიზური გამოკვლევების შედეგების მიხედვით, ეს ფენომენები იყვნენ დინამიკური ფაქტორების, სულიერი კონფლიქტის და განხორციელებული განდევნის შედეგი. ვფიქრობ, ეს განსხვავება საკმაოდ სერიოზული შედეგების მქონეა და უნდა ბოლო მოეღოს ლაპარაკს, რომ რაც ფსიქოანალიზთან ღირებულია, შემოიფარგლება მხოლოდ ჟანეს აზრების გადმოღებით. ჩემმა გადმოცემამ მკითხველს უნდა აჩვენოს, რომ ფსიქოანალიზი ჟანეს მონაპოვრებისაგან ისტორიული თვალსაზრისით სრულიად დამოუკიდებელია, შინაარსობრივადაც მას შორდება.

ასევე არასოდეს ყოფილა ჟანეს შრომებიდან მიგებული შედეგები, რომლებიც ფსიქოანალიზმა ასე მნიშვნელოვნად გონისმეცნიერებათაის ნათელყო და საერთო ინტერესი მიიპყრო. თვითონ ჟანეს ჩვენამდამე მოკრძალებულად ვექცეოდი, ვინაიდან მისი აღმოჩენები ბევრ მომენტში ემთხვეოდა ბროიერისას, რომლებიც უფრო ადრე გაკეთდა და უფრო გვიან გამოქვეყნდა. მაგრამ როცა ფსიქოანალიზი საფრანგეთში დისკუსიის საგანი გახდა, ჟანე ცუდად მოიქცა, მცირე კომპეტენტობა აჩვენა და არასაკმარისი არგუმენტები მოიყვანა. საბოლოოდ ჩემს თვალში გაშიშვლდა და თავისი შემოქმედება გაუფასურა, როცა "არაცნობიერი" სულიერი აქტების შესახებ გაიგიხადა, რომ ამით არაფერია ნაგულისხმებიო, ესაა მხოლოდ "une façon de parler"-ო*.

ფსიქოანალიზი იძულებული გახდა პათოგენური განდევნებისა და სხვა მოხსენებული ფენომენების შესწავლით სერიოზულად მიეღო "არაცნობიერის" ცნება. მისთვის ყველა ფსიქიკური იყო, უპირველეს ყოვლისა, არაცნობიერი, ცნობიერების თვისება შემდეგ შეიძლებოდა მას დართოდა ან ასევე არ დართოდა. ამასთან, რა თქმა უნდა, ფილოსოფოსთა მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდნენ, რომელთათვისაც "ცნობიერი" და "არაცნობიერი" იგივეობრივი იყო და აგარწმუნებდნენ, რომ არ შეეძლოთ წარმოედგინათ ისეთი აზრები, როგორიცაა "არაცნობიერი სულიერი". არაფერი გვრჩებოდა, უნდა მხრების აჩეჩვით ფილოსოფოსთა ამ იდიოსინკრაზიაზე გვეპასუხა. პათოლოგიური მასალის გამოცდილება, რომელსაც ფილოსოფოსები არ იცნობდნენ, ასეთ წაქეზებათა სიხშირე და სიძლიერე, რომლის შესახებაც აგრეთვე არაფერი იცოდნენ და ის, რომ გარესამყაროს რომელიღაც ფაქტი უნდა აღმოეჩინათ, არჩევანის შესაძლებლობას არ იძლეოდნენ. შემდეგ შეეძლოთ წამოეყენებინათ საბუთად, რომ მხოლოდ საკუთარ სულიერ ცხოვრებაზე აკეთებდნენ მას, რაც სხვისთვის უკვე ჰქონდათ გაკეთებული. სხვა პირსაც მივაწერთ ფსიქიკურ აქტებს, თუმცა მის შესახებ არ გვაქვს უშუალო ცნობიერება და ისინი უნდა გამოვიცნოთ გამოვლინებებითა და მოქმედებებით. რაც სხვასთან სწორია, ის უნდა ასევე საკუთარი პერსონისათის სამართლიანი იყოს. თუ გვინდა ამ არგუმენტის განვრცობა და

* საუბრის მანერა (რედ. შენიშვნა).

მისგან დასკვნის გაკეთება, რომ საკუთარი დაფარული აქტები სწორედ მეორე ცნობიერებას ეკუთვნის, მაშინ აღმოვჩნდებით ცნობიერების ისეთი კონცეფციის წინაშე, რომლის შესახებაც არაფერი ვიცით, ე. წ. არაცნობიერი ცნობიერებისა, რომელიც მაინც არა უპირატესობა არაცნობიერი ფსიქიკურის დაშვების საპირისპიროდ. მაგრამ თუ სხვა ფილოსოფოსების მსგავსად ვიტყვით, რომ, მართალია, აფასებენ პათოლოგიურ შემთხვევებს, მხოლოდ უნდათ მათ საფუძველში მდებარე აქტებს არა ფსიქიკური, არამედ ფსიქოლოგიური უწოდონ, მაშინ დიფერენციაცია დადის უნაყოფო სიტყვიერ დავაზე, რომელშიც მაინც უნდა გადაწყდეს მიზანშეწონილად "არაცნობიერი ფსიქიკური" გამოთქმის შენარჩუნება. საკითხი იმის შესახებ, თუ თავისთავად რა არის არაცნობიერი, არაა უფრო ჭკვიანური და დიდი იმედის მომცემი, ვიდრე სხვა, უფრო ადრეული – რა არის ცნობიერება.

უფრო ძნელი იქნებოდა მოკლედ გადმოგვეცა, როგორ მივიდა ფსიქოანალიზი იქამდე, რომ მის მიერ აღიარებული არაცნობიერი კიდევ დანაწევრდეს, დაიყოს **წინაცნობიერად** და საკუთრივ არაცნობიერად. შეიძლება საკმარისია შენიშვნა, რომ კანონიერი ჩანს თეორიები, რომლებიც პირდაპირი გამოხატვა გამოცდილებისა ჰიპოთეზებით შეცვალოს ის, რაც მასალის დაუფლებისათვის მიზანშეწონილია და მიმართულია იმ დამოკიდებულებაზე, რომელიც არ შეიძლება გახდეს უშუალო დაკვირვების საგანი. ძველ მეცნიერებაშიც სხვაგვარად არ ხდებოდა. არაცნობიერის დანაწევრება დამოკიდებულია მცდელობასთან სულიერი აპარატი აღიწეროს ინსტანციებისა და სისტემების რიცხვიდან, რომელთა ერთმანეთთან დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობთ სივრცობრივი გამოთქმებით, ამასთან არ იძლება დაკავშირება რეალურ ტვინის ანატომიასთან (ე. წ. ტოპიკური თვალსაზრისი). ასეთი და მსგავსი წარმოდგენები ეკუთვნიან "ფსიქოანალიზის" სპეკულანტურ ზედნაშენს, რომელთაგანაც ყოველი მომენტი შეიძლება გაიწიროს და შეიცვალოს ზიანისა და სინანულის გარეშე, როგორც კი მისი უვარგისობა დასაბუთდება. საკმაოდ რჩება მოსახსენებელი სხვაც, რაც დაკვირვებასთან ახლოსაა.

უკვე მოვიხსენიე, რომ გამოკვლევამ ნევროზის საბაბისა და დასაბუთების შესახებ ზეაღმავალი სიხშირით მიგვიყვანა კონფლიქტამდე პერსონის სექსუალურ წაქეზებებსა და სექსუალობის მისი წინააღმდეგობის გაწევას შორის. ჰათოგენური სიტუაციების ძებნისას, რომლებშიც სექსუალობის განდევნა შემოვიდა და რომელთაგანაც წარმოსდგებიან სიმპტომები, როგორც განდევნილის შემცვლელები წარმონაქმნები, დავიდნენ ავადმყოფობის სულ უფრო ადრეული ცხოვრების დრომდე და ბოლოს მივიდნენ მისი ბავშვობის პირველ წლებამდე. მივიღეთ ის, რასაც მწერლები და ავადმყოფთმცოდნეები მუდამ ამტკიცებდნენ, რომ ამ ადრეული ცხოვრების პერიოდის შთაბეჭდილებანი, თუმცა მათ ხშირად ამნეზია ფარავთ, ინდივიდის განვითარებაში ტოვებენ წარუშლელ კვლებს, განსაკუთრებით ისეთებს, რომლებიც გვიანდელ ნევროტულ დაავადებათათვის დისპოზიციებს განსაზღვრავენ. ვინაიდან ამ ბავშვების განცდებში მუდამაა ლაპარაკი სექსუალურ აგზნებებზე და რეაქციებზე მათ მიმართ, ვიდექით **ინფანტილური სექსუალობის** ფაქტის წინაშე, რომელიც ისევ ნიშნავდა სიახლეს და წინააღმდეგობას ავადმყოფობის ძლიერი ცრურწმენის მიმართ. ბავშვობა, დიახ, უნდა ყოფილიყო, "უმანკო", თავისუფალი სქესობრივი ჟინისაგან, და ბრძოლა "მგძნობელობის" დემონთან მხოლოდ პუბერტეტის ქარიშხლითა და შეტევით დაწყებულიყო. რაც სექსუალური საქმიანობის შესახებ ბავშვებთან უნდა აღქმულიყო, გაიგებოდა როგორც ნიშანი დეგენერაციისა, ადრეული გარყვნილებისა, ანდა ბუნების კურიოზული ახირება. ფსიქოანალიზის მცირე მონაცემებმა განიცადეს ასეთი საერთო უარყოფა. ერთი ასეთთაგანია ამოხეთქვა გამოწვეული აღშფოთებით, როგორიცაა მტკიცება, რომ სექსუალური ფუნქცია იწყება ცხოვრების დასაწყისიდანვე და უკვე ბავშვობაში მნიშვნელოვან მოვლენებში ვლინდება. და მაინც არ გაგვაჩნია სხვა ანალიზური მონაპოვარი ასე ადვილად და სრულყოფილად რომ მტკიცდებოდეს.

სანამ ინფანტილური სექსუალობის შედარებას შევუდგებოდე, უნდა მოვიგონო შეცდომა, რომელშიც გარკვეულ ხანს ვიმყოფებოდი და რომელიც მალე ჩემი მთელი მუშაობისათვის საბედისწერო გახდა. ჩემი მაშინდელი ტექნიკური მეთოდის გამოყენებით ჩემ პაციენტთაგან უმრავლესი ბავშვობის ამბებს აღიდგენდა, რომელთა შინაარსი იყო სექსუალური ცდუნება დიდებთან. ქალებთან მაცდუნებელი თითქმის ყოველთვის მამა იყო. მე ამ მონაცემებს ნდობით

ვეკიდებოდი და ვუშვებდი, რომ ამ ბავშვობის სექსუალური ცდუნების განცდებში მონახული მქონდა გვიანდელი ნევროზების წყარო. რამდენიმე შემთხვევა, რომლებშიც გრძელდებოდა ასეთი დამოკიდებულებანი მამასთან, ბიძასთან, ანდა უფროს ძმასთან, საიმედო მოგონების წლებამდე, მიძლიერებდნენ ვარაუდს. თუკი ვინმე ჩემს მიმნდობლობაზე დაეჭვდებოდა, შემეძლო არც თუ სავსებით არასწორად მართლიანად მიმეზღო, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ დრო იყო ასეთი, როცა ჩემს კრიტიკას განზრახ ვაიძულებდი დარჩენილიყო უპარტიო და მიმღები მრავალი სიახლისა, რომელიც ყოველდღიურად მიპირისპირდებოდა. შემდეგ, როდესაც გავიგე მაინც, რომ ეს ცოუნების სცენები სინამდვილეში არასდროს არ ყოფილა, მხოლოდ ჩემი პაციენტების მიერ შეთხზული ფანტაზიები იყო და ეს ალბათ შე თვითონ ვაიძულე მათ, გარკვეული დროის მანძილზე დაბნეული ვიყავი; ჩემმა ნდობამ ჩემი ტექნიკის მიმართ ისე, როგორც მისმა შედეგებმა, განიცადა მძიმე დარტყმა. ეს სცენები ხომ ტექნიკური გზით მიღებული მქონდა, რომელსაც სწორად ვთვლიდი და მათი შინაარსი ჩანდა მიმართებაში სიმპტომებთან, რომელთაგანაც იყო გამოსული ჩემი გამოკვლევები. როცა საკუთარ თავს ვწვდი, გამოცდილებიდან გამოვიტანე სწორი დასკვნები, რომ ნევროზული სიმპტომები პირდაპირ არ უკავშირდებიან ნამდვილ განცდებს, არამედ – სურვილის ფანტაზიებს და რომ ნეიროზებისათვის ფსიქიკური რეალობა მეტს ნიშნავს, ვიდრე მატერიალური. დღესაც არ მჯერა, რომ პაციენტებს ვაიძულე ცდუნების ფანტაზიები, ისინი მათ "შთავაგონე". იქ პირველად შევხვდი "ოიდიპოსის კომპლექსს", რომელსაც გვიან უნდა მიეღო ასე დიდი მნიშვნელობა და რომელსაც მე ასეთ ფანტასტიურ საბურავში ჯერ კიდევ არ ვიცნობდი. ასევე დატოვა ცდუნებამ ბავშვობის ასაკში თავისი წილი ეტიოლოგიაში, თუმცა ზომიერი რაოდენობით. მაგრამ მაცდუნებელნი უფრო ხშირად უფროსი ბავშვები იყვნენ.

ჩემი შეცდომა იგივე იყო, როგორიც, თუკი ვინმე რომის მეფის დროის თქმულებას ლივიუსის მოთხრობის მიხედვით ისტორიულ ჭეშმარიტებად მიიღებდა ნაცვლად იმისა, რაც ის არის ძუნწი რეაქცია, ალბათ არა ყოველთვის დიდებული დროისა და ურთიერთობათა მოგონების მიმართ. შეცდომის გარკვევის შემდეგ გზა ინფანტილური სექსუალური ცხოვრების შესწავლისათვის თავისუფა-

ლი იყო. მივედი იმ მდგომარეობამდე, რომ ფსიქოანალიზი ცოდნის სხვა სფეროში გამოგვეყენებია, მისი მონაცემებიდან ბიოლოგიური პროცესის დღემდე უცნობი მომენტი გამოგვეცნო.

სექსუალური ფუნქცია თავიდანვე იყო არსებული, უპირველესად ყოვლისა, ემყარებოდა სიცოცხლის სხვა, მნიშვნელოვან ფუნქციებს და შემდეგ გახდა მათგან დამოუკიდებელი; მან განვლო ხანგრძლივი და რთული განვითარება, სანამ მისგან ის გახდებოდა, რაც ცნობილი იყო ზრდადასრულებულის ნორმალური სექსუალური ცხოვრების სახით. ის პირველად ვლინდებოდა როგორც მოქმედება მთელი რიგი **ლტოლვის კომპონენტებისა**, რომლებიც დამოკიდებულნი იყვნენ ეროგენულ სხეულებრივ ზონებზე, ნაწილობრივ ხანრისპირო წყვილებად გამოდიოდნენ (სადიზმი–მაზოხიზმი, ცქერის ლტოლვა–ექსჰიბიციის სიამოვნება), ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ამოდიოდნენ სიამოვნების მიღებისაგან და მათ ობიექტს ხშირად საკუთარ სხეულში ნახულობდნენ. მაშ, ის იყო თავდაპირველად არა ცენტრირებული და უპირატესად **აუტო–ეროტული**. მოგვიანებით მათში გაერთიანებები გამოდიოდნენ; ორგანიზაციის პირველი საფეხური იქცა **ორალური** კომპონენტების ბატონობის ქვეშ, მას მოჰყვა **სადისტურ–ანალური** ფაზა და მხოლოდ გვიან მიღწეულმა მესამე ფაზამ მოიტინა **გენიტალიების** პრიმატი, რითაც სექსუალობის ფუნქცია გაძრავლების სამსახურში ჩადგა. ამ განვითარების დროს ლტოლვის ზოგიერთი ნაწილი, როგორც საბოლოო მიზნისათვის უვარგისი, გვერდზე გადაიწევა, ანდა სხვა გამოყენების პოულობს, მისი მიზნებიდან სხვები უკუიგდებიან და გენიტალურ ორგანიზაციაში გადაიტანებიან. მე ვუწოდებდი სექსუალურ ლტოლვის ენერგიას – და მხოლოდ მას – **ლიბიდოს**. ახლა მე უნდა დამეშვა, რომ ლიბიდო აღწერილ განვითარებას გადის არა მუდამ უმწიკვლოდ. ცალკეული კომპონენტების ზესიძლიერის, ანდა აღრეული დაკმაყოფილების განცდების შედეგად ლიბიდო ფიქსირდება განვითარების გზის გარკვეულ ადგილზე. ამ ადგილებისაკენ ისწრაფვის შემდეგ ლიბიდო მოგვიანო განდევნის შემთხვევაში (რეგრესია). მისგან ასევე წარმოიშობა გარღვევა სიმპტომისაკენ. მოგვიანო შეხედულებამ დაუმატა, რომ ფიქსირების ადგილას ლოკალიზაცია ასევე გადამწყვეტია ნევროზების არჩევისათვის, ფორმისათ-

ვის, რომელშიც გვიანი დაავადება გამოდის.

ლიბიდოს ორგანიზაციის გვერდით ობიექტის მონახვის პროცესი მიმდინარეობს, რომელსაც დიდი როლი აქვს შენარჩუნებული სულიერ ცხოვრებაში. სიყვარულის პირველი ობიექტი **ავტოეროტიზმის** სტადიის მიხედვით ორივე სქესისთვის ხდება დედა, რომლის მკვებავი ორგანო ალბათ დასაწყისში საკუთარი სხეულისაგან არ განსხვავდება. მოგვიანებით, მაგრამ კვლავ კიდევ ბავშვობის პირველ წლებში, აღსდგება ოიდიპოსის კომპლექსის რელაქცია, რომელშიც ბიჭი თავის სექსუალურ სურვილს დედის პერსონაზე აკონცენტრირებს და ანვითარებს მამის, როგორც მეტოქის, წინააღმდეგ მტრულ წაქეზებებს. ანალოგიურად განეწყობა პატარა გოგო; ოიდიპოსის კომპლექსის ყველა ვარიაცია და თანმიმდევრობა მნიშვნელობით საკუთ ხდება, თანშობილი ბისექსუალური კონსტიტუცია მნიშვნელობის მქონე ხდება და ამრავლებს ერთდროულად არსებული მისწრაფებების რაოდენობას. ეს გრძელდება მთელი იმ დროის მანძილზე, ვიდრე ბავშვი მიიღებდეს სქესთა ცხად განსხვავებას. **სექსუალური კვლევის** ამ პერიოდში ის ქმნის ტიპიურ **სექსუალურ თეორიებს**, რომელიც საკუთარი სხეულებრივი ორგანიზაციის არასრულყოფილებაზე დამოკიდებულებით ერთმანეთში ურევს მართალსა და არამართალს, სქესობრივი ცხოვრების პრობლემებს (სფინქსის გამოცანა – საიდან ჩნდებიან ბავშვები) ვერ წყვეტს. ასე რომ, ბავშვის ობიექტის პირველი არჩევა, **ინცესტურია**. მთელი აქ აღწერილი განვითარება სწრაფად მიედინება. ადამიანის სექსუალური ცხოვრების საოცარი ბუნება ვსაა **ორდროიანი წარმონაქმნი** მათ შორის პაუზით. ცხოვრების მეოთხე და მეხუთე წელს ის აღწევს პირველ კულმინაციურ წერტილს, მაგრამ შემდეგ სექსუალობის ეს ადრეული აყვავება წყდება, ცოცხალი მისწრაფებანი განიდევნებიან და დგება პუბერტეტამდე გახანგრძლივებული **ლატენტური დრო**, როცა მორალის, სირცხვილის, ზიზღის რეაქციის წარმონაქმნები ადმოცენდებიან. ყველა ორგანიზმიდან სექსუალობის განვითარების ორპერიოდიანობა მხოლოდ ადამიანთან, ალბათ ის ბიოლოგიური პირობაა მისი ნერვოზისადმი დისპოზიციისა. პუბერტეტით ისევ ცოცხლდება ადრეული დროის მისწრაფებები და ობიექტის არჩევანი, ასევე ოიდიპოსის კომპლექსის გრძნობითი დაკავშირება. პუბერტეტის სექსუალურ ცხოვრებაში ერთმანეთის ებ-

რქვიან ადრეული დროის იმპულსები და ლატენტური პერიოდის შეკავებები. ინფანტილური სექსუალური განვითარების სიმაღლეზე აღწევს გენიტალური ორგანიზაციის ერთი სახე, რომელშიაც მხოლოდ მამაკაცის გენიტალიები თამაშობენ როლს, ხოლო ქალის გენიტალიები აღმოუჩენელი ხდება (ე.წ. **ფალური** პრიმატი). სქესთა დაპირისპირება მაშინ ჯერ კიდევ არ იწოდებოდა **მამაკაცურად და დედაკაცურად**, არამედ – **პენისის მფლობელად** და **კასტრირებულად**. აქ დაკავშირებული **კასტრაციის კომპლექსი** მნიშვნელოვანი ხდება ზნეობისა და ნევროზის წარმოქმნის საქმეში.

ადამიანის სექსუალური ცხოვრების შესახებ ჩემი მოსაზრებების ამ შემოკლებულ გადმოცემაში გაგების მიზნით მრავალგზის შეკრიბე მასალა, რაც სხვადასხვა დროს შეიქმნა და რამაც შეუსება ან შესწორება მიიღო ჩემი წიგნის – სამი ნაშრომი სექსუალური თეორიისათვის" ერთმანეთის მომდევნო გამოცემებში. ვიმედოვნებ მისგან ადვილად დავასკვნით, თუ რაში მდგომარეობს ასე ხშირად ხაზგასმული და გაპროტესტებული სექსუალური ცნების მოცულობის გაფართოება. ეს გაფართოება ორნაირია. პირველი – სექსუალობა გამოიყოფა გენიტალიებთან მისი ვიწრო მიმართებიდან და წარმოისდგება როგორც უფრო ვრცელი, სიამოვნებისაკენ სწრაფვადი სხეულის ფუნქციად, რომელიც მხოლოდ მეორეულად დგება გამრავლების სამსახურში. მეორე – სექსუალურ იმპულსებს მიეკუთვნება ყველა ნაზი და მეგობრული იმპულსი, რომლისთვისაც ჩვენი ენა მრავალმნიშვნელოვან სიტყვა – "სიყვარულს" იყენებს. მხოლოდ, მე ვფიქრობ, ეს გაფართოება არაა საკმარისი, არამედ – აღდგენა, ის ნიშნავს ჩვენი განზრახვის – ცნების უმიზნო დავიწროების გაუქმებას. გენიტალიებისაგან სექსუალობის გამოყოფას ის უპირატესობა აქვს, რომ ნებას გვრთავს ბავშვებისა და სქესობრივად გაუკუღმართებულთა სექსუალური მოქმედება იმავე თვალსაზრისის ქვეშ მოვათავსოთ, როგორც ნორმალურ ზრდადასრულებულთა, როცა პირველი აქამდე სავსებით არადაა მიჩნეული, მეორე, თუმცა მორალური ალშფოთებით, მაგრამ გაგების გარეშეა მიღებული. ფსიქოანალიზური გაგება აგვიხსნის საკვირველ და საზიზღარ პერვერსიებსაც*, როგორც სექსუალური პარციალური ლტოლვების გამოვლე-

* გაუკუღმართება. (რედ. შენიშვნა).

ნას, რომლებსაც გენიტალის პრიმიტი არ აქვთ და როგორც ლიბი-
დოს განვითარების ადრეულ პერიოდში დამოუკიდებლად თან სდევ-
ვენ სიამოვნების მიღებას. უმნიშვნელოვანესი ამ გაუკუღმართებე-
დან – ჰომოსექსუალობა – ძლივს თუ იმსახურებს ამ სახელს. ის
დაიყვანება კონსტიტუციონალურ ბისექსუალობამდე და ფალერი პრი-
მიტის ეფექტამდე. ფსიქოანალიზით ყველასთან შეიძლება ჰომოსექ-
სუალური ობიექტის არჩევის მომენტის ჩვენება. თუკი ვუწოდებთ
ბავშვებს "პოლიმორფულად პერვერსიულს", მაშინ ეს იქნებოდა
მხოლოდ აღწერა საერთოდ გამოყენებულ გამოთქმებში; მორალური
შეფასება ამით არ უნდა გამოთქმულიყო. ასეთი შეფასებითი მსჯე-
ლობები საერთოდ შორს დგას ფსიქოანალიზიდან.

მეორე, მოჩვენებითი გაფართოებანი, გამართლებულია ფსიქოა-
ნალიზურ გამოკვლევაზე მიმართებით, რომელიც გვიჩვენებს, რომ
ყველა ეს სათუთი გრძნობითი იმპულსები თავდაპირველად სავსენი
იყვნენ სექსუალური მისწრაფებებით, რომლებიც შემდეგ "მიზანშე-
კავებულნი" ანდა "სუბლიმირებულნი" არიან, სექსუალური ლტოლ-
ვების ზემოქმედებიანობასა და გადახრადობას ეშყარება ასევე მათი
გამოყენება მრავალნაირი კულტურული მიზანღწევებისათვის, რო-
მელთათვისაც ისინი უმნიშვნელოვანეს წილს გასცემენ.

ბავშვის სექსუალობის შესახებ მოულოდნელი მონაცემები მი-
იღეს შემდგომ ზრდადასრულებულთა ანალიზის გზით, მოგვიანე-
ბით კი, 1908 წლიდან ბავშვებზე პირდაპირი დაკვირვებით ყველა
ცალკეულობამდე და რაგინდარა რაოდენობით დადასტურდა. ნამ-
დვილად ისე ადვილია დარწმუნდე ბავშვის რეგულარულ სქესობ-
რივ მოქმედებაში, რომ განცვიფრებულმა უნდა იკითხო, თუ ადამი-
ანებმა როგორ მოახერხეს ეს ფაქტები მხედველობიდან გამორჩე-
ნოდათ და ასექსუალური ბავშვობის სურვილის ლეგენდები ასე
ხანგრძლივად შეენარჩუნებინათ. ეს უნდა აიხსნებოდეს უმრავლეს
ზრდადასრულებულებთან საკუთარი ბავშვობის მიმართ ამნეზიით.

IV

წინააღმდეგობის გაწევისა და განდევნის, არაცნობიერის, სექ-
სუალური ცხოვრების ეტილოგიური მნიშვნელობისა და ბავშვობის

განცდების მნიშვნელობის შესახებ მოძღვრებანი ძირითადი შემად-
გენელი ნაწილებია ფსიქოანალიზური სისტემატიზირებული მეცნი-
ერული შენობისა. ვნახეთ, რომ აქ მხოლოდ ცალკეული მომენტი
აღწერე და არა ასევე მათი აგებულება–შემადგენლობა და ერთმა-
ნეთში მჭიდრო ურთიერთკავშირი. ახლა დროა მიეცეთ ცვლილე-
ბებს, რომლებიც თანდათანობით განხორციელდა ანალიზური მეთო-
დის ტექნიკაში.

აუცილებელი იყო განდევნისა და დარწმუნების გზით უპირვე-
ლესად ხელოვნური დაძლევა წინააღმდეგობისა, რათა მკურნალის
ხელთ ინფორმაციული მოლოდინი შექმნილიყო. ის მტკიცედ იყო
ბევრი ნაწილისათვის ხანგრძლივად გამზადებული და არ იყო თა-
ვისუფალი გარკვეული გასაგები დაეჭვებისაგან. მაშ, ის გამოიყო
სხვა მეთოდისაგან, რომელიც, გარკვეული აზრით, მისი საპირისპი-
რო იყო. ნაცვლად პაციენტების წაქეზებისა რაიმე ეთქვათ გარკვე-
ულ თემაზე, ახლა მათგან მოითხოვდნენ მისცემოდა **თავისუფალ
მოცოაციას**, ე. ი. ეთქვა, თუ რა მოდიოდა აზრად, როცა სახეზე იყო
ყველა ცნობიერი მიზნის წარმოდგენა. მას მხოლოდ ვალდებულე-
ბა უნდა აეღო, რომ ნამდვილად ყოველთვის იტყოდა, რასაც კი
თავისი თვითდაკვირვება აჩვენებდა და კრიტიკულ წინააღმდეგო-
ბებს არ მისცემოდა, რომელიც ცალკეულ უეცრად მოსულ აზრს
უსწორდა მოტივირებით გზიდან ჩამოეცილებინა, ანდა საერთოდ საე-
ჭვით უაზრონი. აზრთა გაზიარებაში გულახდილობის მოთხოვნა
არ საჭიროებდა კატეგორიულ განმეორებას, ის, დიახაც, იყო ანა-
ლიზური მკურნალობის წანამძღვარი.

რომ ამ თავისუფალი ასოციაციის მეთოდს **ფსიქოანალიზური
ძირითადი წესის** დაცვით უნდა მიეღწია იმისათვის, რასაც მისგან
მოითხოვდნენ, სახელდობრ, განდევნილი და წინააღმდეგობის გაწე-
ული შორსმდგომი მასალა ცნობიერებაში ამოეტანა, შეიძლებოდა ეს
მეთოდი უცხოდ მოგვჩვენებოდა. მხოლოდდამხოლოდ უნდა გაგვე-
ზიარებინა, რომ თავისუფალი ასოციაცია არაა ნამდვილად თავისუ-
ფალი. პაციენტი რჩება ანალიზური სიტუაციის გავლენის ქვეშ მა-
შინაც, როცა თავისი აზროვნებით მოქმედებას მიმართავს არაგარ-
კვეულ თემაზე. უფლება გვაქვს დავუშვათ, რომ მას არაფერი სხვა
არ მოუვა თავში უეცრად, რაც არ დგას მიმართებაში ამ სიტუაცი-

ასთან, მისი წინააღმდეგობა განდევნილის რეპროდუქციის მიმართ ახლა ორნაირად ვლინდება. პირველი, იმ კრიტიკული შეპასუხებებით, რაზედაც ფსიქოანალიზური წესი გამოიკვეთება. მაგრამ ძლევს რა წესის დაცვით ამ გადახვევას, წინააღმდეგობის გაწევა ნახულობს სხვა გამოვლენას, ის ტარდება ისე, რომ ანალიზირებულს არასდროს თვითონ განდევნილი არ ევლინება, არამედ – მხოლოდ რალაცად, რაც მისი მსგავსია და რაც დიდია წინააღმდეგობა, მით შორდება გამოვლენილი შენაცვლებული აზრი საკუთრივ საძიებელს. ანალიტიკოსი დაგროვილ მასალას დაუძაბავად უსმენს და თავისი გამოცდილებით ზოგადად მომზადებულია მომავლისათვის მას შეუძლია პაციენტის მიერ ნაჩვენები მასალა ორი შესაძლებლობის მიხედვით გამოიყენოს. ის ოდნავი წინააღმდეგობისთანავე გადაკვრიდან აღწევს თვითონ განდევნილის მიგნებას, ანდა მას შეუძლია ძლიერ წინააღმდეგობასთან, უეცრად თავში მოსულ აზრებთან, რომლებიც თუ მისგან დაშორებული ჩანან, ამ წინააღმდეგობის მდგომარეობა გაიგოს, რომელსაც ის შემდეგ პაციენტს უზიარებს. წინააღმდეგობის აღმოჩენა პირველი ნაბიჯია მისი დაძლევისა. ასე მიმდინარეობს ანალიზური მუშაობის ფარგლებში **ინტერპრეტაციის ხელოვნება**, რომლის წარმატებითი გამოყენება თუმცა ტაქტსა და ვარჯიშს მოითხოვს, მაგრამ ადვილადაა შესწავლადი თავისუფალი ასოციაციის მეთოდს დიდი უპირატესობა აქვს ადრეულთან შედარებით. ესაა არა მხოლოდ ძალისხმევის ეკონომია. ის ანალიზის ობიექტს განაცდევინებს იძულების მცირე რაოდენობას, არასდროს არ ჰკარგავს კონტაქტს რეალურ აწყმოსთან, იძლევა გარანტიებს იმისათვის, რომ ნევროზის სტრუქტურაში არცერთი მომენტი არ იყვეს გაშვებული მხედველობიდან და არაფერი არ იქნეს შეტანილი საკუთარი მოლოდინიდან. ამასთანავე პაციენტს გადაეცემა არსებითად ანალიზის მსვლელობა და მასალის განლაგების განსაზღვრა; აქედან შეუძლებელი ხდება ერთეული სიმპტომებისა და კომპლექსების სისტემური დამუშავება. სწორედ შემთხვევათა მსვლელობის ჰიპნოზურ და წამყვან მეთოდთან საპირისპიროდ მავანი განიცდის განსხვავებულ დროში და განსხვავებულ ადგილებში მკურნალობის ერთმანეთთან დაკავშირებას. აქედან გამომდინარე მსმენელისათვის – რომელსაც სინამდვილეში ამის მოცემის უფლება არა აქვს – ანალიზური მკურნალობა სავსებით არაგამჭვირვალე იქნება.

სხვა უპირატესობა მეთოდისა ისაა, რომ საკუთრივ ის არასდროს გვეუბნება უარს სამსახურზე. თეორიულად შუდამ შესაძლებელია გქონდეს აზრი, თუ პრეტენზიებს მის სახეობაზე ზურგი ექცევა. ასეთი უარის თქმა მაინც გამოდის საკსებით წესზომიერად ერთ შემთხვევაში, მაგრამ პირდაპირ მისი განცალკევებულობით ეს შემთხვევაც ინტერპრეტირებადი ხდება.

ახლა ვუახლოვდები ერთი მომენტის აღწერას, რომელიც ანალიზის სურათს არსებით ნიშანს უმატებს და ტექნიკურადაც და თეორიულადაც უდიდესი მნიშვნელობის პრეტენზიას აცხადებს. ყოველ ანალიზურ მკურნალობაში ექიმისაგან დამოუკიდებლად აღდგება პაციენტის ინტენსიური გრძნობითი დამოკიდებულება ანალიტიკოსის პერსონისადმი, რასაც რეალურ დამოკიდებულებაში ახსნა არ შეიძლება მოეძებნოს; ის პოზიტიური ან ნეგატიურია, ვარირებს ცნებიანი, სავსე გრძნობითი ტრფიალებიდან აღშფოთების, გაანწბლებისა და ზიზღის უკიდურეს გამოვლინებამდე. ეს შემოკლებით წოდებული გადატანა პაციენტთან მალე დგება აღდგენის სურვილის ძალზე და ხდება, რა ხანგრძლივობითაც გულითადი და ზომიერია, მკურნალის ზეგავლენის მატარებელი და მთელი ანალიზური მუშაობის მამოძრავებელი. ზოგიერთებით, როცა მას ვნება ეუფლება ანდა მტრობაში გაეხვევა, ხდება წინააღმდეგობის გაწევის მთავარი იარაღი. ისიც ხდება, რომ ის პაციენტში აზრების აღმოცენებას აყერხებს და მკურნალობის წარმატებას საშიშროების ქვეშ აყენებს. უაზრობა იქნებოდა მისგან თავის დაღწევის სურვილი; ანალიზი გადატანის გარეშე შეუძლებელია. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ანალიზი ქმნის გადატანას და რომ ის მხოლოდ მასთან გვხვდება. გადატანა ანალიზიდან მხოლოდ აღმოჩნდება და იზოლირდება. ის საერთო ადამიანური ფენომენია, წყვეტს წარმატებას ყოველი საექიმო ზემოქმედების დროს. დიახ, ის ფლობს საერთოდ პერსონის დამოკიდებულებებს მის ადამიანურ გარემოსთან. მასში ადვილად ცხადდება იგივე დინამიკურ ფაქტორს, რომელსაც ჰიპნოტიკოსებმა უწოდეს მთავონებადობა – მატარებელი ჰიპნოზური რაპორტისა, რომელთა აღურიცხაობის თაობაზე კათარზულ მეთოდსაც

უჩივლეს. სადაც არაა გრძნობის გადატანის ეს მიდრეკილება, ანდა ის მთლიანად ნეგატიურია, როგორც ესაა Dementia praecox-თან და პარანოიასთან, იქ ასევე გამოითიშება ავადმყოფზე ფსიქიკური ზემოქმედების შესაძლებლობა.

სავსებით სწორია, რომ ფსიქოანალიზიც მუშაობს **შთაგონების** საშუალებით სხვა ფსიქოთერაპევტული მეთოდების მსგავსად. მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ მათთან – შთაგონებასა და გადატანასთან – გადამწყვეტი არაა თერაპიული წარმატება. პირიქით, ის გამოიყენება იმად, რომ ავადმყოფები განაწყოს ფსიქიკური მუშაობისათვის – მისი გადატანის წინააღმდეგობის დაძლევისათვის – რაც ნიშნავს ხანგრძლივ ცვლილებას მისი სულიერი ეკონომიკისათვის. ანალიტიკოსი უცნობიერებს ავადმყოფს გადატანას. ის შეწყდება მაშინ, როცა მას არწმუნებს ამის შესახებ, რომ ის თავის გადატანის ქცევაში გრძნობათა მიმართებებს **ისევ ხელმეორედ განიცდის**, რომელიც წარმოდგება თავისი ადრეული ობიექტის ფლობისაგან, თავისი ბავშვობის განვლილი პერიოდიდან, ასეთი შემობრუნებით გადატანა იქცევა წინააღმდეგობის გაწევის ძლიერი იარაღიდან საუკეთესო ინსტრუმენტად ანალიზური მკურნალობისათვის. მისი გამოყენება მუდამ რჩება ანალიზური ტექნიკის უძნელეს და უმნიშვნელოვანეს მომენტად.

თავისუფალი ასოციაციის მეთოდის დახმარებით და მასთან დაკავშირებული ინტერპრეტაციის ხელოვნებით ფსიქოანალიზმა მიაღწია შედეგს, რომელიც მოჩვენებითად პრაქტიკულად არ იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ სინამდვილეში სავსებით ახალი ადგილი და მნიშვნელობა უნდა მიეღო მეცნიერულ მუშაობაში. შესაძლებელი გახდა დაგვესაბუთებინა, რომ **სიზმრები** საზრისის მქონენი არიან და მათი საზრისის გამოცნობა შეიძლება. ჯერ კიდევ კლასიკურ ძველ დროში სიზმრები აფასებდნენ როგორც მომავლის მაუწყებელს; თანამედროვე მეცნიერებას არ უნდა რაიმე იცოდეს სიზმრის შესახებ, ის გადასცა ცრურწმენას, გამოაცხადა უბრალოდ "სხეულებრივ" აქტად, ჩვეულებრივ მძინარე სულიერი ცხოვრების შეკრთობის სახედ. რომ ვინმე, რომელმაც სერიოზულ მეცნიერულ შრომას მიაღწია, და, როგორც "სიზმრის ინტერპრეტატორი" შეიძლებოდა გამოსულიყო, უკვე გამორიცხული იყო მაგრამ, როცა

სიზმრის ასეთი განკიცხვა გულს არ გვტკენდა, მას ვექცეოდით როგორც გაუგებარ ნევროტულ სიმპტომს, ბოდვით ან იძულების იდეას, მის მოჩვენებით შინაარსზე უარი ითქვა და მისი ცალკეული ნაწილები თავისუფალი ასოციაციის ობიექტად იქცა, ასე მივედით სხვა შედეგებამდე. სიზმრის მხილველის თავში მოსული მდიდარი აზრებით მიიღეს ცოდნა აზრთა წარმოქმნის თაობაზე, რომელიც მეტად ალარ შეიძლებოდა წოდებულიყო აბსურდულად და არეულად; ის შეესატყვისებოდა ღირებულებით სავსე ფსიქიკურ ნაქმობას, რომლისაგანაც **მანიფესტური** სიზმარი მხოლოდ დამახინჯებული, შემოკლებული და გაუგებარი თარგმანი იყო, უპირატესად თარგმანი ვიზუალურ სურათებად. სიზმრის ეს ლატენტური აზრები შეიცავდნენ სიზმრის საზრისს; სიზმრის მანიფესტური შინაარსი იყო მხოლოდ ილუზია, ფასადი, რომელთანაც თუმცა ასოციაციას შეეძლო დაკავშირება, მაგრამ – არა ინტერპრეტაციას.

მთელ რიგ საკითხებში დავდექით პასუხისგაცემის წინაშე. მათ შორის უმნიშვნელოვანესია: არსებობს თუ არა სიზმრის წარმოქმნის მოტივი, რა პირობებში შეუძლია მას განხორციელდეს, რა გზებით ხდება ხშირად გადასვლა საზრისით სავსე სიზმრის აზრებისა უსაზრისო სიზმარში და სხვა. წელს 1900 წელს გამოცემულ **სიზმრის ინტერპრეტაციაში** შევეცადე ყველა ამ პრობლემის გადაჭრას. აქ მოვიყვან მხოლოდ უმოკლეს ნაწყვეტს ამ გამოკვლევიდან: როცა სიზმრის ლატენტურ აზრებს იკვლევენ, რომელიც მიღებულია სიზმრის ანალიზიდან, მათ შორის ვხვდებით ერთს, რომელიც სხვებისაგან მკაცრად გამოიყოფა – გასაგები და საზრის მნახველისათვის კარგად ცნობილი. ეს სხვები არიან ფხიზელი ცხოვრების ნალექები (დღის ნარჩენები). მაგრამ ცალკეულში შეიცნობენ ძალზე საძრახის სურვილის ბიძგს, რომელიც უცხოა სიზმრის მხახველის ფხიზელი ცხოვრებისათვის, რომელსაც ის ამისდა შესატყვისად ასევე გაოცებული თუ აღშფოთებული უარყოფს. ეს ნაქნებაა საკუთრივ სიზმრის წარმომქმნელი. მას აქვს სააძისო ენერგია სიზმრის წარმოქმნისათვის და დღის ნარჩენებს მოიხმარს მასალად; ასე აღმოცენებული სიზმარი წარმოადგენს მისთვის დამაკმაყოფილებელ სიტუაციას, არის მისი **სურვილის შესრულება**, ეს პროცესი შეუძლებელი იქნებოდა, თუკი ძილის მდგომარეობის

ბუნებაში რაღაც მას დააკმაყოფილებდა. ფსიქიკური წანაძღვარი ძილისა არის **"მე"**-ს განწყობა ძილის სურვილისადმი და ცხოვრების ყველა ინტერესის დასაქმების მოშორება; ვინაიდან იმავდროულად ჩარაზულია მოძრაობის მისადგომები, **"მე"**-ს ასევე შეუძლია დანახარჯის შემცირება, რომლითაც წინააღმდეგ შემთხვევაში განდევნებს ხელი შეეწყობოდათ. განდევნის ამ ღამის დასუსტებით სარგებლობს არაცნობიერი წაქეზება, რათა, სიზმარი ცნობიერებაში შეიჭრას. **"მე"**-ს განდევნის წინააღმდეგობა ძილში არ იმატებს, არამედ უბრალოდ იკლებს. მისი ნაღექი რჩება როგორც **სიზმრის ცენზურა** და ახლა გვთავაზობს არაცნობიერი სურვილის წაქეზების იმ ფორმებში გამოვლენას, რომლებსაც საკუთრივ შეეგუებოდა. სიზმრის ცენზურის სიმკაცრის შედეგად ლატერული სიზმრის აზრებმა ცვლილებები და დასუსტება უნდა გაატარონ, რაც სიზმრის საძრახის აზრს უცნობს ხდის. ესაა **სიზმრის დაშახინჯების** აზსნა, რომელსაც მანიფესტური სიზმარი უმადლის თვალში საცემ ბუნებას. აქედან გამომდინარეობს დებულების გამართლება: სიზმარი წარმოადგენს (ფარულ) ასრულებას (განდევნილი) სურვილისას. ახლა ვგებულობთ, რომ სიზმარი აგებულია ნერვოტული სიმპტომის დარად, ესაა კომპრომისული წარმონაქმნი განდევნილი ლტოლვის წაქეზების მოთხოვნისა და **"მე"**-ში მაცენზურებელი ძალის წინააღმდეგობის გაწევის შორის. მსგავსი გენეზისის შდეგად ის ისევ გაუგებარია როგორც სიმპტომი და იმნაირადვე ინტერპრეტაციის დამსაჭიროებელი.

სიზმრის ზოგადი ფუნქცია ადვილი სანახავია. ის ემსახურება იმას, რომ გარეგანი ან შინაგანი გაღიზიანებანი, გაღვიძებისაკენ მოძწოდებელნი, დამშვიდებით თავიდან აგვაცილოს და, ამნაირად, ძილი დაიცვას. გარეგანი გაღიზიანება უკუთვდება მაშინ, როცა ის სხვაგვარად ინტერპრეტირდება და რომელიღაც უწყინარ სიტუაციაში ჩაირთვება. სიზმრის პრეტენზიის შინაგანი გაღიზიანება მძინარეს უფლებას ანიჭებს და ნებას რთავს დაკმაყოფილდეს სიზმრის შექმნის გზით იმდენ ხანს, სანამ ლატენტური სიზმრის აზრები ცენზურით მოთოკვას არ აარიდებს თავს. გვეშუქრება რა ეს საშიშროება, სიზმარი ხელმეტად ნათელი ხდება, მძინარე წყვეტს სიზმარს, იღვიძებს შეშინებული (**შიშის სიზმარი**). იგივე სიზმრის ფუნქციის უარის თქმა მაშინაა, როცა გარეგანი გაღიზიანება ისე ძლიერდება, რომ ის მეტად აღარ უკუთვდება (**გაღვიძების სიზმარი**). პროცესს, რომელიც სიზმრის ცენზურის თანამოქმედების შემთხვევაში ლატენტურ აზრებს გადაიყვანს სიზმრის მანიფესტურ შინაარსში, ვუწოდე **"სიზმრის მუშაობა"**. აღნიშნული არის თავისებური დამუშავება აზრის წინაცნობიერი მასალისა, რომელთანაც მის შემადგენელ ნაწილებს **ამჭიდროებს**, მის ფსიქიკურ მახვილებს **გადაწყვეტს**, შემდეგ მთელს ვიზუალურ სურათებად აქცევს, **დრამატიზებს** და გაუგებარი **მეორადი დამუშავების** გზით შეივსება. სიზმრის მუშაობა ჩინებული წესია ღრმა, არაცნობიერ ფენებში ფსიქიკური ცხოვრების პროცესებისა, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ჩვენთვის ცნობილი ნორმალური აზროვნების პროცესებისაგან. ის ასევე ავლენს არქაული თვისებების სიმრავლეს, მაგ., აქ უპირატესად გამოიყენება სექსუალური **სიმბოლიკა**, რომელიც შემდეგ სულიერი საქმიანობის სხვა სფეროებშიც მოინახება.

მაშინ, როცა სიზმრის არაცნობიერი ლტოლვითი წაქეზება უკავშირდება დღის ნარჩენს, ცხადი ცხოვრების არათავისუფალ ინტერესს, მისით შექმნილ სიზმარს ის ანიჭებს ანალიზური მუშაობისათვის ორმაგ ღირებულებას. ინტერპრეტირებული სიზმარი აღმოჩნდება, ერთი მხრით, როგორც განდევნილი სურვილის ასრულება, მეორე მხრით, დღის წინაცნობიერი აზროვნებითი საქმიანობა, რომ გააგრძელოს და ნებისმიერი შინაარსით ასრულდეს, გამოხატოს განზრახვა, გაფრთხილება, მოსაზრება და ისევ სურვილის ასრულება. ანალიზი გამოიყენებს მას გასაანალიზებელთან ორივე მიმართულებით როგორც ცნობიერი, ისე არაცნობიერი პროცესების ცოდნისათვის ვითარებიდან გამომდინარეობს უპირატესობაც, რომ სიზმართან მისასვლელი აქვს ბავშვობის ცხოვრების დავიწყებულ მასალას, ასე რომ, ინფანტილური ამნეზია ყველაზე მეტად გადაილახება ინტერპრეტაციასთან კავშირში. სიზმარი აქ იმას აღწევს, იდრე რაც ჰიპნოზს ეკისრებოდა. ამის საპირისპიროდ არასდროს არ წამომიყენებია ხშირად ჩემდამი მიწერილი მტკიცება – სიზმრის ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს, რომ ყველა სიზმარს სექსუალური შინაარსი აქვს, ანდა ისინი სექსუალური ლტოლვის ძალებზე დაიყვანება. ადვილი დასანახია, რომ შიმშილი, წყურვილი და გარეთ გასვლის მისწრაფება ისევე კარგად იწვევენ დაკმაყოფილე-

ბის სიზმრებს, როგორც რომელიღაც განლევნილი სექსუალური ანდა ეგოისტური წაქეზება. პატარა ბავშვებთან ჩვენს განკარგულებაშია ჩვენი სიზმრის თეორიის სისწორის დამადასტურებელი. აქ სადაც განსხვავებული ფსიქიკური სისტემები ჯერ კიდევ არაა ერთმანეთისაგან მკაცრად გამოყოფილი, განდევნები ჯერ კიდევ არაა ღრმად წარმოქმნილი, ხშირად გამოცდილებაში გვაქვს სიზმრები, რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა დაუფარავი შესრულება, რომელიღაც დღისით დარჩენილი სურვილის წაქეზება. იმპერატიულ მოთხოვნილებათა ზემოქმედებით ზრდადასრულებულთ შეუძლიათ ინფანტილური ტიპის ასეთი სიზმრების პროდუცირება.

სიზმრის ინტერპრეტაციის მსგავსად ანალიზი მიმართავს ასე ხშირი პატარა შეცდომით მოქმედებისა და ადამიანი სიმპტომის მოქმედებების შესწავლას, რომელთა შორის ერთს პირველად 1904 წელს მივუძღვენი წიგნად გამოქვეყნებული გამოკვლევა – "ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია". ამ პოპულარული ნაწარმოების შინაარსს ქმნის დასაბუთება, რომ ფენომენები არასგზით არ არიან შემთხვევითნი, რომ ისინი ფიზიოლოგიური ახსნის პიღმა დგანან, აზრით სავსენი და ინტერპრეტირებადი არიან და ბოლოს საფუძველს ქმნიან შეკავებული და განდევნილ წაქეზებათა და ინტენციებისათვის. პირველხარისხოვანი ღირებულება სიზმრის ინტერპრეტაციისა, ისე როგორც მისი მოძღვრებისათვის, არაა ანალიზური მუშაობის დახმარება, არამედ მისი სხვა თვისებები. აქამდე ფსიქოანალიზი მიმართული იყო მხოლოდ პათოლოგიური ფენომენის მოხსნაზე და ხშირად მათი ახსნისათვის ახდენდა დაშვებებს, რომელთა ღირებულება რჩებოდა დასამუშავებელი მასალის მნიშვნელობის გარეშე. მაგრამ სიზმარი, რომელიც მან შემდეგ ბრძოლით აიღო, არ იყო ავადმყოფური სიმპტომი, იყო ნორმალური სულიერი ცხოვრების ფენომენი, შეიძლება ყოველ ჯანმრთელ ადამიანთან მომხდარიყო. თუკი სიზმარი ისეა აგებული, როგორც სიმპტომი, თუკი მისი ახსნა იგივე დაშვებებს მოითხოვს, რომელსაც ლტოლვითი წაქეზებები, შენაცვლებასა და კომპრომისის წარმოქმნას, განსხვავებულ ფსიქიკურ სისტემებს განალაგებს ცნობიერად და არაცნობიერად, მაშინ ფსიქოანალიზი უკვე აღარაა ფსიქოპათოლოგიის დამხმარე მეცნიერება, ისაა, პირიქით, სულის კვლევისადმი ახალი და საფუძვლიანი მიდგომა, რომელიც ნორმალურის გაგებისთვისაც შეუნაცვლებელი ხდება. უფლება გვაქვს მისი წ

ყრილობა რეგულარულად ჩაეტარებინათ და გამოეცათ ჟურნალი სათაურით: "წელიწდეული ფსიქონალიზური და ფსიქოპათოლოგიური გამოკვლევათათვის" კ. გ. იუნგის რედაქტორობით. გამომცემლები იყვნენ ბლოილერი და მე; შემდეგ ეს ორგანო მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად დაიხურა. იმავდროულად შვეიცარიელების კვალდაკვალ ფსიქოანალიზისადმი ინტერესმა გაიღვიძა მთელს გერმანიაში. ის გახდა საგანი მრავალრიცხოვანი გამოხმაურებებისა და ცხოველი დისკუსიებისა მეცნიერულ ყრილობებზე. მიღება არასდროს არ ყოფილა მეგობრული ანდა კეთილად განწყობილი. ფსიქოანალიზთან მცირეოდენი გაცნობის შემდეგ გერმანული მეცნიერება მის უკუგდებაში ერთსულოვანი იყო.

ბუნებრივია, არ შემიძლია ვიცოდე, შთამომავლობის რომელი მსჯელობა იქნება საბოლოო ფსიქოანალიზის ღირებულების შესახებ საერთოდ ფსიქიატრიის, ფსიქოლოგიისა და გონისმეცნიერებათათვის. მაგრამ ვფიქრობ, თუკი ჩვენ მიერ გადატანილი ფაზა თავის ისტორიკოს ერთხელაც ნახავს, მან უნდა აღიაროს, რომ სპეციალისტთა მაშინდელი მოქცევა გერმანელი მეცნიერებისათვის არ იყო სასახელო. ამასთან მე მოგახსენებთ უარყოფის ფაქტზე ანდა სიმტკიცეზე, რომლითაც ის მოხდა; ორივე ადვილი გასაგები იყო, შეესატყვისებოდა მხოლოდ მოლოდინს და არ შეეძლო, ყოველ შემთხვევაში, ჩრდილი მიეყენებინა მოწინააღმდეგისათვის. მაგრამ ქედმაღლობისა და ლოგიკის უსინდისო უარყოფის მასშტაბისათვის, თავდასხმის უხეშობისა და უგემოვნებისათვის არ არსებობს გამართლება. შეუძლიათ მისაყვედურონ – ბავშვობაა, თხუთმეტი წლის შემდეგ კიდევ ასეთ მგრძნობელობას გასაქანი მიეცესო და მას რალა თქმა უნდა არც გავაკეთებდი, თუკი კიდევ ჩემი გამოკვლევისათვის რალაც სხვა ახლა არ დამემატებია. წლების შემდეგ, როცა მსოფლიო ომის დროს მტრების გუნდმა გერმანელი ერის წინააღმდეგ ბარბაროსობის საყვედური წამოაყენა, რომელშიც ყველაა მოხსენებული, მაინც ღრმა ტკივილი მომაყენა, განვიცდიდი რომ საკუთარი გამოცდილებით არ შემეძლო მათ შევპასუხებოდი.

ერთ მოწინააღმდეგეთაგანს დიდად მოსწონდა თავი, რომ ის თავის პაციენტებს უკრძალავდა ლაპარაკს, როცა იწყებოდა მსჯელობა სექსუალური საგნების შესახებ და ამ ტექნიკიდან გამოჰყავდა,

ცხადია, უფლება – სექსუალობის ეტიოლოგიური როლის შესახებ ემსჯელა ნევროზებთან. მხედველობაში რომ არ მივიღოთ აფექტური წინააღმდეგობანი, რომლებიც ფსიქოანალიზური თეორიის მიზეზით ასე ოლად აიხსნებოდნენ, რომ მათ არ შეეძლოთ შეცდომაში შეეყვანეთ, მაშინ მეჩვენებოდა გაგების ძირითად დაბრკოლებად, იმად, რომ მოწინააღმდეგენი ფსიქოანალიზში ჩემი სპეკულატური ფანტაზიის პროდუქტს ჭვრეტდნენ და არ უნდოდათ ერწმუნათ, რომ ისაა ხანგრძლივი, მოთმინებითი, უპირობო შრომის შედეგი, რომელიც მისი აგებისათვის დაიხარჯა. ვინაიდან მათი შეხედულების მიხედვით, ანალიზს არაფერი ესაქმებოდა დაკვირვებასა და გამოცდილებასთან, ასევე გამართლებულად მიაჩნდათ, ის გადაეგდოთ საკუთარი გამოცდილების გარეშე. სხვები, რომლებიც ასეთ დარწმუნებულობას არც ისე სანდოდ მიიჩნევდნენ, იმეორებდნენ წინააღმდეგობის კლასიკურ მანევრს – მიკროსკოპში არ ჩაეჭვრიტათ, რათა არაფერი დაენახათ, რაც სადაოდ იყო გამხდარი. საერთოდ საკვირველია, როგორ არაკორექტულად იქცევიან ბევრ შემთხვევაში ადამიანები, როცა ახალ საგანს განიხილავენ მათი საკუთარი მსჯელობით. მრავალი წლის მანძილზე და დღესაც კიდევ მესმის "კეთილმოსურნე" კრიტიკოსებისაგან, გარკვეულწილად ფსიქოანალიზი მართალია, მაგრამ გარკვეულ მომენტში იწყება მისი ზედმეტობა, მისი არამართებული განზოგადება. ამასთან მე ვიცი, რომ არაფერია უფრო ძნელი, ვიდრე ასეთი შემოფარგვლის გადაწყვეტა და რომ კრიტიკა თვითონ ცოტაოდენი დღეების თუ კვირების წინ საქმის სრული უცოდინარი იყო.

სპეციალურმა ანათემამ ფსიქოანალიზის მიმართ შედეგად ის მოიტანა, რომ ანალიტიკოსები მჭიდროდ გაერთიანდნენ. 1910 წელს ნიუნბერგში მეორე ყრილობაზე მიიღეს შ. ფერენცის წინადადება "ინტერნაციონალური ფსიქოანალიზური გაერთიანების" ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც ადგილობრივ ორგანიზაციებად დაიშალა და პრეზიდენტის ხელმძღვანელობის ქვეშ იყო. ამ ორგანიზაციამ მსოფლიო ომი გადაიტანა, ის დღესაც არსებობს და მოიცავს ვენის, ბერლინის, ბუდაპეშტის, ციურიხის, ლონდონის, ჰოლანდიის, ნიუ-იორკის, პან-ამერიკის, მოსკოვის და კალკუტის ადგილობრივ ორგანიზაციებს. პირველ პრეზიდენტად ავირჩიეთ კ. გ. იუნგი, რო-

გორც მოგვიანებით გამოირკვა, ამით ნამდვილად უბადრუკი ნაბიჯი გადაიდგა. ფსიქოანალიზმა მაშინ შეიძინა მეორე ჟურნალი "ფსიქოანალიზის ცენტრალური ჟურნალი", რედაქტორები იყვნენ ადლერი და შტეკელი, და მალე ამის შემდეგ – მესამე "Imago", არაექიმების **ჰ. ზაქსისა და ო. რანკის** რედაქტორობით, რაც გათვალისწინებული იყო ანალიზის გამოყენებისათვის გონის მეცნიერებაში. მალე ბლოილერმა გამოაქვეყნა წერილი ფსიქოანალიზის დასაცავად (ფრიდის ფსიქოანალიზი", 1910წ.). რა სასიხარულოც არ უნდა იყოს, რომ დავაში ერთხელაც ალაპარაკდა სიმართლე და პატიოსანი ლოგიკა, ბლოილერის ნაშრომმა მაინც სავსებით ვერ დამაკმაყოფილა. ის ზედმეტად მიისწრაფოდა უპირატესობის მოჩვენებითობისაკენ; არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს მისი ავტორისათვის მადლობა გადაეხადა ჩვენს მეცნიერებაში **ამბივალენტობის** ღირებული ცნების შემოტანისათვის. გვიანდელ სტატიებში ბლოილერი ისე უარყოფითად მოქცა ფსიქოანალიზის სისტემატიზირებულ მეცნიერულ მასალას, დაეჭვდა, ანდა უკუაგდო მისი არსებითი მომენტები, რომ მე გაკვირვებული ვეკითხებოდი ჩემს თავს, რაღა დარჩა მისი აღიარებიდან. და მაინც ასევე მოგვიანებით მან არა მხოლოდ მტკიცე გამონათქვამები გააკეთა "სილრმის ფსიქოლოგიის" სასარგებლოდ, არამედ თავისი შიზოფრენიის ვრცლად მოფიქრებული გადმოცემაც მასზე დაამყარა. თუმცა ბლოილერი დიდხანს არ დარჩენილა "ინტერნაციონალურ ფსიქოანალიზურ გაერთიანებაში", ის დატოვა იუნგთან უთანხმოების გამო და "ბურგჰოლცი" დაიკარგა ანალიზისათვის.

ოფიციალურ წინააღმდეგობას არ შეეძლო ფსიქოანალიზის გავრცელება შეეჩერებია არც გერმანიაში და არც სხვა ქვეყნებში. მე სხვა ადგილას("ფსიქოანალიზის მოძრაობის ისტორიისათვის") გავეცი მისი წინსვლის ეტაპებს და იქ ადამიანებიც დავასახელე, რომლებიც გამოიყოფიან მის წარმომადგენლებად. 1909 წელს მე და კ. გ. იუნგი ამერიკაში მიგვიწვია გ. სტენლი ჰალმა, რათა იქ ვორჩესტერში(მასაჩუსეტის შტატი) კლარკის უნივერსიტეტში, რომლის პრეზიდენტიც ის იყო, ინსტიტუტის დაფუძნების ოცი წლის დღესასწაულზე, ერთი კვირის განმავლობაში ლექციები წაგვეკითხა (გერმანულ ენაზე). ჰალი იყო სამართლიანად პატივცემული ფსიქოლოგი და პედაგოგი, რომელმაც ფსიქოანალიზი უკვე რამდენიმე წელია თავის

სწავლებაში ჩართო. მასში იყო რაღაც მბრძანებლური, რომელსაც წილად ხვდა ავტორიტეტების შექმნა და მოხსნა. იქ შევხვდი ჯემს ა. პუტმანსაც, ნევროლოგს ჰარვარდიდან, რომელიც, მიუხედავად თავისი ასაკისა, ფსიქოანალიზს ამხნევებდა და მთელი თავისი საერთოდ საპატივცემულო პიროვნების წონით გამოვიდა მისი კულტურული ღირებულებისა და მისი განზრახვების სიფაქიზის მხარდასაჭერად. დიდებულ ადამიანთან, რომელიც იძულებით ნერვოტულ განწყობაზე უპირატესად ეთიკურ ორიენტაციას ადგა, ხელი შეგვიშალა მხოლოდ მოთხოვნამ ფსიქოანალიზი განსაზღვრულ ფილოსოფიურ სისტემასთან დაგვეკავშირებინა და მორალურ მისწრაფებათა სამსახურში ჩაგვეყენებინა. ასევე შეხვედრამ ფილოსოფოს ვილიამ ჯემსთან ჩემში დატოვა წარუშლელი შთაბეჭდილება. ვერ დავივიწყებ იტარა სცენებს, თუ სეირნობისას უცებ როგორ ჩერდებოდა, გადმომცქერა ჩანთას და მთავაზობდა წინ წავსულიყავი, შემდეგ კი დამეწევდა როგორც კი მოახლოებულ შეტევას Angina pectoris* მოიშორებდა. ერთი წლის შემდეგ გულით გარდაიცვალა. მას შემდეგ ვისურვებდი მსგავსს გულადობას სიცოცხლის ახლო დასასრულის გამო.

მაშინ მხოლოდ 53 წლისა ვიყავი, თავს ვგრძნობდი ახალგაზრდად და ჯანმრთელად. ახალ ქვეყანაში მოკლე ხნით ყოფნამ ჩემი თავმოყვარეობა საერთოდ გააჯანსაღა. ევროპაში თავს ვგრძნობდი აღანძულად, აქ კი საუკეთესოდ მიმიღეს როგორც თანასწორღირებული. როცა ვორჩესტერში კათედრაზე ავედი, რათა ჩემი "ფსიქოანალიზის ლექცია" წამეკითხა, თითქოს ეს ყოფილიყოს განუხორციელებელი ოცნების ასრულება. მაშინ ფსიქოანალიზი ალარ იყო ქიმერა, ის იქცა რეალობის ღირებულების მომენტად. ამერიკაში ჩვენი სტუმრობის შემდეგ ფსიქოანალიზს ნიადაგი ალარ დაუკარგავს, ის მოყვარულებში არაჩვეულებრივად პოპულარულია და აღიარებულია მრავალი ოფიციალური ფსიქიატრის მიერ, როგორც მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი სამედიცინო სწავლებისა. მაგრამ იქაც, სამწუხაროდ, ფსიქოანალიზმა განიცადა ბევრი გაყალბება. ზოგიერთი ბოროტად გამოყენება, რასაც მასთან არაფერი ესაქმება, იფარება მისი სახელით, არაა შესაძლებლობა პრინციპული განათლებისა ტექნიკასა და თეორიაში. ამერიკაში ის შეხვდა ბიჰევიორიზმსაც, რომელიც

* გულის ანგინა (რედ. შენიშვნა).

თავის გულუბრყვილობით იკვეხნის, რომ საერთოდ მოხსნა ფსიქ
ლოგიური პრობლემა.

ევროპაში 1911–1913 წლებში მოხდა ფსიქოანალიზიდან ორი გ
მოყოფა, რაც მოახდინეს პირებმა, რომლებმაც აქამდე ითამაშეს
მნიშვნელოვანი როლი ახალგაზრდა მეცნიერებაში. ესენი იყვნ
ალფრედ ადლერი და კარლ გუსტავ იუნგი. ორივე გამოიყურებოდ
ძალზე საშიშად და მალე მოიპოვეს მრავალი მომხრე. მაგრამ მათ
სიძლიერე უმადლის არა საკუთარ შინაარსს, არამედ ცდუნებას,
ფსიქოანალიზის სათაკილოდ შეგრძნობილი შედეგებისაკენ გან
ვისუფლებას, მაშინაც თუკი ფაქტიური მასალა აღარ უარიყოფოდ
იუნგი შეეცადა ანალიზური ფაქტების სხვაგვარ ინტერპრეტაციას
აბსტრაქტულად, არაპიროვნულად და არაისტორიულად, რითაც იმ
დენებდა, თავიდან მოეშორებინა ინფანტილური სექსუალობისა და
ოიდიპოსის კომპლექსის ცნება იმავე, როგორც ბავშვობის ანალი
ზის აუცილებლობის აღიარება. ადლერი უფრო დაშორებულად წას
და ფსიქოანალიზიდან, მან საერთოდ გადააგდო სექსუალობის მნიშ
ვნელობა, დაჰყვა ხასიათისა და ნევროზების წარმოქმნა ადამიანის
ძალის მისწრაფებაზე და მისი მოთხოვნილება კომპენსაციაზე – მის
კონსტიტუციონალურ ნაკლებ ღირებულებაზე და ფსიქოანალიზის
ყველა ახალი ფსიქოლოგიური შენაძენი ქარს გაატანა. მისგან უკუგ
დებული მაინც შეცვლილი სახელწოდებით მის დახშულ სისტემაში
იძულებით იქნა მიღებული; მისი "მამაკაცური პროტესტი" სხვა
არაფერია, თუ არა არასამართლიანად სექსუალიზირებული გავლე
ნა. ორივე ერეტიკოსს კრიტიკა დიდი შემწყნარებლობით შეხვდა.
მე მხოლოდ იმის მიღწევა შეეძელი, რომ ადლერსა და იუნგს უარი
ეთქვათ თავიანთი მოძღვრებისათვის "ფსიქოანალიზი" ეწოდებინათ
დღეს ათწლეულის შემდეგ შეიძლება კონსტანტაციის მოხდენა,
რომ ორივე მცდელობამ ფსიქოანალიზს უწყინარად აუარა გვერდი.

თუკი ერთობა დაფუძნებულია რამდენიმე კარდინალურ პუნ
ქტში თანხმობაზე, თავისთავად ცხადი ხდება, მისგან იზეთები გა
მოიყოფა, რომლებიც ამ საერთო ნიადაგს უარყოფენ. მაინც ხშირად
ადრეული მოწაფეების გამოყოფას ჩემ ინტოლერანტობას მიაწერენ,
ანდა მასში ხედავენ, განსაკუთრებით ჩემზე, მძიმე ტვირთად ბედის
დაწოლას. ამის საპირისპიროდ საკმარისია იმაზე მივუთითოთ, რომ

ცნც მე დამტოვა როგორიცაა: იუნგი, ადლერი, შტეკელი და მცი
რეოდენი სხვები, მათ უპირისპირდება დიდი რაოდენობა პირებისა:
ბრაჰამი, აიტინგონი, ფერენჩი, რანკი, ჯონსი, ბრილი, ზაქსი, მღვდე
ლი პფისტერი, ვან ემდენი, რაიკი და სხვა., რომლებთანაც დაახლო
ებით თხუთმეტი წელია ერთგულად ვთანამშრომლობ, ბევრ შემ
თხვევაში ერთმანეთთან ულრუბლო მეგობრობა გვაკავშირებს. მე აქ
დავასახელე ჩემი მოწაფეებიდან მხოლოდ უფროსები, რომლებიც
ფსიქოანალიზის ლიტერატურაში დაიმსახურეს დიდებული სახე
ლი, სხვათა გამოტოვება არ უნდა ნიშნავდეს მათ დამცირებას და
სწორედ გვიან მოსულთა შორის ახალგაზრდებში არიან ტალანტე
ბი, რომლებზედაც უფლება გვაქვს დიდი იმედები დავამყაროთ.
მაგრამ, მგონი, უფლება მაქვს ჩემდა სასარგებლოდ ვთქვა, რომ
ინტოლერანტულ და უცოდველი ქედმაღლობის მქონე ადამიანს
არასოდეს არ შეეძლო ასეთი დიდი რიცხვი სულიერად მნიშვნელო
ვანი პირებისა თავისთან მიეზიდა, მით უფრო, თუკი მას არაპრაქ
ტიკული ცდუნება ექნებოდა თავის განკარგულებაში, ვიდრე მე.

მსოფლიო ომმა, რომელმაც მრავალი სხვა ორგანიზაცია დააშ
სხერია, ვერ შეძლო ჩვენი "ინტერნაციონალურისათვის" ზიანი მიეყე
ნებინა. ომის შემდეგ პირველი შეხვედრა მოხდა 1920 წელს ჰაagაში,
ნეიტრალურ მიწაზე. ეს იყო ამაღელვებელი, თუ ჰოლანდიურმა
სტუმართმოყვარეობამ დაშეული და გაღატაკებული შუა ევროპე
ლები როგორ მიიღო. მაშინ მოხდა, რამდენადაც ვიცი, პირველად
დასგრეულ სამყაროში, მეცნიერული ინტერესების გამო, ინგლისე
ლისა და გერმანელის ერთ მაგიდასთან მეგობრულად დასხდომა.
ომმა გერმანიაში, ასევე დასავლეთ ქვეყნებში, ფსიქოანალიზისადმი
ინტერესი კიდევაც გააძლიერა. ომის ნევროტიკებზე დაკვირვებამ
სერიოზული დარღვევების მიმართ ექიმებს საბოლოოდ თვალი გა
ახელინა, ზოგიერთი ჩვენი ფსიქოლოგიური კონცეფცია – "ავადმყო
ფობის მიღება", "ავადმყოფობაში გაქცევა" – უცებ პოპულარული
გახდა. განხეთქილების წინ, 1918 წელს, ბუდაპეშტში უკანასკნელ
ყრილობაზე ცენტრალურ სახელმწიფოთა მოკავშირე მთავრობები
დათანხმდნენ ფსიქოანალიზური მთავრობების მოწყობაზე ომის ნევ
როტიკების მკურნალობისათვის, მაგრამ საქმე აქამდე აღარ მისუ
ლა. ასევე შორსმწვდომი გეგმები ჩვენი საუკეთესო წევრის დოქტ

ანტინ ფონ ფროინდისა, რომელსაც უნდოდა ბუდაპეშტში შეექმნა მთავარი განყოფილება ანალიზური მოძღვრებისა და თერაპიისათვის, მალე დაიმსხვრა მომდევნო პოლიტიკური გადატრიალებისა და ამ შეუცვლელი ადამიანის ნაადრევი სიკვდილის გამო. მისი ინიციატივის ნაწილი მოგვიანებით განახორციელა მაქს აიტინგონმა, რომელმაც 1920 წელს ბერლინში შექმნა ფსიქოანალიზური პოლიკლინიკა. უნგრეთში ბოლშევიკური ბატონობის მოკლე ხანში ფერენჩიმ როგორც ფსიქოანალიზის ოფიციალურმა წარმომადგენელმა შეძლო გაეშალა უნივერსტეტში წარმატებითი პედაგოგიური მოღვაწეობა. ომის შემდეგ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა განაცხადეს გამოცდილებამ მოგვცა დამარწმუნებელი არგუმენტი ანალიზური მტკიცებების წინააღმდეგ. ომის ნერვოზებს თითქოს დაესაბუთებინოთ ნევროზული აფექციების ეტიოლოგიაში სექსუალური მომენტების საუკეთესო. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ მოუფიქრებელი და ნაჩქარევი ტრიუმფი. ვინაიდან, ერთი მხრივ, არავის არ შეეძლო ჩაეტარებინა საფუძვლიანი ანალიზი ომის ნევროზის შემთხვევისა, უბრალოდ არაფერი საიმედო არ იცოდნენ მათი მოტივირების შესახებ და მითუმეტეს ასეთი უცოდინრობიდან არ ჰქონდათ დასკვნის გამოტანის უფლება. მეორე მხრივ, ფსიქოანალიზს დიდი ხანია მიღებული ჰქონდა ნარცისიზმისა და ნარცისტული ნევროზის ცნება, რომელსაც შინაარსად განსდევდა ლიბიდოს მიმაგრება, ნაცვლად ობიექტისა საკუთარ "მე"-ზე. მაშ, ეს ნიშნავს, რომ ფსიქოანალიზს უსაყვედურეს – მან სექსუალობის ცნება უდგილოდ გააფართოვაო; მაგრამ როცა პოლემიკისას დაინახეს მათ სასარგებლოდ, მაშინვე, დაივწყეს მისი დანაშაული და სექსუალობის ისევ კიცრო მნიშვნელობა უსაყვედურეს.

ფსიქოანალიზის ისტორია ჩემთვის ორ განყოფილებად იშლება კათარზული წინაისტორიის მხედველობაში მიუღებლად. პირველში მარტო ვიყავი და მთელი სამუშაო მარტო შევასრულე. ეს იყო 1895/96 წლებიდან დაწყებული 1906/07 წლებამდე. მეორე განყოფილებაში – აქედან დაწყებული დღემდე; ჩემი მოწაფეებისა და თანამშრომლების წვლილი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, ის რომ, ახლა, მძიმე ავადმყოფობით შეპყრობილმა, რაც ახლო დასასრულს მაგონებს, შინაგანი სიმშვიდით შემიძლია ვიფიქრო ჩემი

საკუთარი მინაღწევრის დამთავრებაზე. მაგრამ სწორედ ამით გამოიცხება, რომ მე ამ "თვითგადმოცემაში" ფსიქოანალიზის წარმატებანი დროის მეორე მონაკვეთში ისე დაწვრილებით განვიხილე, როგორც მისი თანდათანობითი შენება პირველში, რომელიც მხოლოდ ჩემი საქმიანობით განხორციელდა. თავს ვთვლი უფლებამოსილად, აქ ის სიახლენი მოვიხსენიო, რომელშიაც მე კიდევ განსაკუთრებული წილი მიდევს, მაშ, უპირველეს ყოვლისა – ნარცისიზმის სფეროში, ლტოლვის მოძღვრებასა და გამოყენებაში ფსიქოზებზე.

დავუმატებ, ოიდიპოსის კომპლექსის მზარდი გამოცდილების ცალობაზე სულ უფრო ნათლად გამოიკვეთა ოიდიპოსის კომპლექსი როგორც ნევროზის გული. ის იყო ინფანტილური სექსული ცხოვრების როგორც უმაღლესი, ისე საკვანძო წერტილი, რომლიდანაც გამომდინარეობდა ყველა მოგვიანო განვითარება. მაგრამ ამით გაქრა მოლოდინი ანალიზის გზით ნევროზისთვის სპეციფიკური მომენტის აღმოჩენისა. უნდა ვთქვათ, როგორც ეს იუნგმა თავის ანალიზურ ადრეულ დროს ზუსტად გამოთქვა, რომ ნერვოტიკებმა იმავე ნიადაგზე იწვნიეს წარუმატებლობა, რომლებიც ნორმალურების მიერ ბედნიერად დაიძლია. ეს თვალსაზრისი სავსებით არ ნიშნავდა იმედის გაცრუებას. ის ეთანხებოდა იმ სხვას, რომ ფსიქოანალიზით ნახული სიღრმის ფსიქოლოგია სწორედ რომ ნორმალური ცხოვრების ფსიქოლოგია იყო. ჩვენთვის ეს ისეთივე იყო როგორც ქიმიკოსებისათვის, რომლებსაც პროდუქტის დიდი თვისობრივი განსხვავებულება დაჰყავდათ რაოდენობრივ ცვლილებებზე იგივე ელემენტის კომბინაციის დამოკიდებულებებზე.

ოიდიპოსის კომპლექსში ლიბიდო დაკავშირებული ჩანდა მშობლიური პერსონების წარმოდგენასთან. მაგრამ მანამდე დრო არსებობდა ყოველი ასეთი ობიექტის გარეშე. აქედან გამოვიდა ლიბიდო თეორიისათვის პრინციპული კონცეფცია მდგომარეობისა, რომელშიც ლიბიდო საკუთარ "მე"-ს ავსებს, ეს თვითონ მიღებული აქვს ობიექტად. ამ მდგომარეობისათვის შეეძლოთ ეწოდებინათ "ნარცისიზმი", ანდა თვითსიყვარული. შემდეგი მოსაზრებები აღნიშნავენ, რომ ის საკუთრივ მთლიანად არ უარიყოფა. ცხოვრების მთელი დროისათვის "მე" რჩება ლიბიდოს დიდ რეზერვუარად, საიდანაც იგზავნება ობიექტის დამუხტვა, რომელშიც ლიბიდოს ობიექტები-

საგან ისევ შეუძლიათ უკან დაბრუნება. ნარცისტული ლიბიდო გადაიტანება მუდამ ობიექტის ლიბიდოში და პირიქით. ამის დიდებულ მაგალითს, რომლის რაოდენობა ამ გარდაქმნას აღწევს, გვაძლევნებს თვითშეწირვამდე მიმავალი სექსუალური ან სუბლიმირებული ტრფიალი. მაშინ, როცა აქამდე განდევნის პროცესში მხოლოდ განდევნილს აქცევენ ყურადღებას, შესაძლებელი ხდება ამ წარმოდგენების, ასევე განმდევნელის სწორი შეფასება. თქვეს, განდევნის ამოძრავება "შე"-ში ბოქმედი თვითშენახვის ლტოლვებით ("შე"-ლტოლვებით) და ლიბიდინოზურ ლტოლვებთან ზორცხელდებაო ახლა, როდესაც თვითშენახვის ლტოლვები, ასევე ლტოლვები ლიბიდინოზური ბუნებისა, აღიარეს როგორც ნარცისტული ლიბიდო, განდევნის პროცესი გამოჩნდა როგორც პროცესი თვითონ ლიბიდოს შიგნით; ნარცისტული ლიბიდო იდგა ობიექტის ლიბიდოს საპირისპიროდ, თვითშენახვის ინტერესი იცავს თავს ობიექტის სიყვარულის პრეტენზიის საპირისპიროდ, მაშასადამე, ვიწრო სექსუალობის პრეტენზიის წინააღმდეგ.

ფსიქოლოგიაში არც ერთი მოთხოვნილება არ შეიგრძნობა უფრო დაჟინებით, ვიდრე გამძლე ლტოლვის მოძღვრება, რომელზეც დაც, შეიძლება შემდგომი დაფუძნება. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ არსებობს, ფსიქოანალიზმა ხელშესახებ ცდებში ლტოლვების მოძღვრებისათვის უნდა იზრუნოს. პირველად მან წამოაყენა დაპირისპირება "შე"- ლტოლვებსა (თვითშენახვა, შიმშილი) და ლიბიდინოზურ ლტოლვებს (სიყვარული) შორის, შემდეგ ის შეანაცვლა ახალი დაპირისპირებით – ნარცისტული და ობიექტის ლიბიდო. ამით, ცხადია, უკანასკნელი სიტყვა არ თქმულა; ბიოლოგიური მოსაზრებები აკრძალულნი ჩანდნენ, რომ კმაყოფილდებოდნენ ლტოლვათა ერთადერთი სახის დაშვებით.

ჩემი მუშაობის ბოლო წლებში ("სიამოვნების პრინციპის მიღმა", "ანის ფსიქოლოგია და მე-ს ანალიზი", "შე" და "ეგო") გზა მივეცი ხანგრძლივად დათრგუნულ სპეკულაციისადმი მიდრეკილებას და აქაც ლტოლვის პრობლემის ახალი გადაჭრა გავითვალისწინეთ – თვითშენახვა და გვარის შენახვა **ეროსის** ცნებაში მოვათავსეთ და მას დავუპირისპირეთ უხმაუროდ მომუშავე **სიკვდილისა** და **დესტრუქციის** ლტოლვა. სრულიად ზოგადად ლტოლვა გავიგეთ

როგორც ცოცხალის ელასტიურობის სახე, როგორც სწრაფვა სიტუაციის აღდგენისაკენ, რომელიც ერთხელაც იყო და გარეგანი ცვლილებით შეწყდა. ეს არსებითად კონსერვატული ბუნება ლტოლვისა **განმეორების ძალების** მოვლენებით განიმარტება. ეროსისა და სიკვდილის ლტოლვის შეთანხმებულად და საწინააღმდეგოდ ზემოქმედებით იძლევა ცხოვრების სურათს.

საეჭვოა ეს კონსტრუქცია გამოსადეგი იყოს, ის თუმცა მიისწრაფვის დააფიქსიროს რამდენიმე მნიშვნელოვანი თეორიული წარმოდგენა ფსიქოანალიზისა, მაგრამ სცილდება ფსიქოანალიზს. მე მრავალგზის მესმის უპატივცემულო გამოთქმები, არ შეიძლება იმ მეცნიერების შესახებ არაფრის თქმა, რომელთა უმაღლესი ცნებები ასეთი არაცხადია, როგორც ლიბიდო და ლტოლვაა ფსიქოანალიზში. მაგრამ ამ საყვედურს საფუძვლად უდევს საქმის ვითარების სრული გაუცნობიერებლობა. ცხადი ძირითადი ცნებები და მკვეთრად მოხაზული განსაზღვრებანი შესაძლებელია მხოლოდ გონების მეცნიერებაში, რადგანაც აღნიშნულს უნდა ფაქტობრივ სფეროს წვდეს ინტელექტუალური სისტემის ფორმირების ფარგლებში. ბუნებისმეცნიერებებში, რასაც ფსიქოლოგია ეკუთვნის, მთავარი ცნებების ასეთი სიცხადე ზედმეტია, დიახ, შეუძლებელია, ზოოლოგიასა და ბოტანიკას არ დაუწყიათ ცხოველისა და მცენარის ზუსტი და საკმარისი განმარტებებით. ბიოლოგიამ დღესაც კი არ იცის, ცოცხალის ცნება სანდო შინაარსით რომ აავსოს. დიახ, ფიზიკა მთელ თავის განვითარებას დააგვიანებდა, თუკი ის დაელოდებოდა მისი ცნებების: ნივთიერება, ძალა, მიზიდულება და ა. შ., სასურველი სიცხადისა და გამოკვეთილობის მიღწევას. ძირითადი წარმოდგენები, ანდა მთავარი ცნებები ბუნებისმეტყველური დისციპლინებისა, უპირველეს ყოვლისა, მუდამ განუსაზღვრელნი რჩებიან, წინასწარ მხოლოდ მოვლენების სფეროზე მითითებით განიმარტებიან, რისგანაც წარმოსდგებიან და დაკვირვების მასალის, მხოლოდ პროგრესული მასალის ანალიზით ხდებიან ცხადი, შინაარსით სავსე და წინააღმდეგობისაგან თავისუფალი. მე მუდამ უკმეხ უსამართლობად განვიცდი, როცა ფსიქოანალიზს არ უნდათ მოექცნენ ისე, როგორც სხვა ბუნებისმეტყველებებს. ეს გამოვლინდა ჯეიუტ შეპასუხებაში. ფსიქოანალიზს ყველა საყვედურობს მის უსრულობისა

და არასრულყოფილებისათვის მაშინ, როცა დაკვირვებაზე დაფუძნებულ მეცნიერებას სხვაგვარად არ შეუძლია, თუ არა ის, რომ მისი შედეგები ნაწილ-ნაწილ განსაზღვროს და მისი პრობლემები თანდათანობით გადაწყვიტოს. უფრო მეტიც, თუკი ჩვენ აღიარების შევუქმნით, რაც მას ასე დიდი ხნით ჰქონდა წართმეული, მაშინ ფსიქოანალიზურ თეორიას "პანსექსუალიზმის" დაღი დაესმება; თუ კი ჩვენ ხაზს გუსვამთ აქამდე ახალგაზრდობის დროს შემთხვევითი შთაბეჭდილებების შეუმჩნეველ როლს, უნდა გვსმენოდა თქმაც, რომ ფსიქოანალიზი უარყოფს კონსტიტუციისა და მემკვიდრეობის ფაქტორებსო, რაც არასდროს მოგვსვლია აზრად. ეს იყო წინააღმდეგობა ყველაფრის ფასად და ყველა საშუალებით.

უკვე ჩემი პროდუქციის ადრეულ ფაზაში შევეცადე ფსიქოანალიზური დაკვირვებებიდან ზოგად თვალსაზრისთან მივსულიყავი. 1911 წელს პატარა სტატიაში "ფორმულირება ფსიქიკური პროცესის ორი პრინციპის შესახებ" ხაზი გავუსვი, რა თქმა უნდა, არა ორიგინალურად სიამოვნება-უსიამოვნების პრინციპის ბატონობას სულიერ ცხოვრებაში და მის შეცვლას ე. წ. "რეალობის პრინციპით" მოგვიანებით გავბედე "შეტაფსიქოლოგიის" მცდელობა. მე ასე ვუწოდე განხილვის იმ წესს, როშელშიაც ყოველი სულიერი პროცესი სამი კოორდინატის – **დინამიკის, ტოპიკისა** და **ეკონომიკის** – მიხედვით ფასდება და მასში დავინახე უკიდურესი მიზანი, რასაც ფსიქოლოგიამ უნდა მიაღწიოს. მცდელობა დარჩა ფრაგმენტად. მე აბსტრაქცია მოვახდინე მცირე რაოდენობის სტატიებისა ("ლტოლვები და ლტოლვილთა ბედი", "განდევნა", "არაცნობიერი", "დარდი და მელანქოლია" და სხვა) და ის შევწყვიტე. მე ეს სიამოვნებით მოვიმოქმედე, ვინაიდან ასეთი თეორიული განსაზღვრების დრო ჯერ კიდევ არ იყო დამდგარი. უკანასკნელ სპეკულატურ ნაშრომებში მას ხელი მოვკიდე, ჩვენი სულიერი აპარატი დავინაწილე პათოლოგიური ფაქტების საფუძველზე და ის დავყავი "ეს"-დ, "ეგო"-დ და "ზეგ-მე"-დ. "ზეგ-მე" ოიდიპოსის კომპლექსის მემკვიდრეობაა და წარმომადგენელია ადამიანის ეთიკური მოთხოვნებისა.

ამან არ უნდა შექმნას შთაბეჭდილება, რომ მე ჩემი მუშაობის ამ უკანასკნელ პერიოდში ზურგი შემექცია მოთმინებითი დაკვირვებისათვის და საკუთარი თავი მთლიანად სპეკულაციისთვის გადა-

მიცეს. პირიქით, მე მუდამ დავრჩი შინაგან შეხებაში ანალიზურ მასალასთან და არასოდეს არ შემიწყვეტია სპეციალური, კლინიკური, ან ტექნიკური თემების დამუშავება. იქაც კი, სადაც ვშორდებოდი დაკვირვებას, უარვყოფდი საკუთარ ფილოსოფიასთან დაახლოებას. ასეთი თავშეკავება კონსტიტუციურმა უუნარობამ ძალზე გამიადვილა. გ. თ. ფეხნერის იდეებს მუდამ ანგარიშს ვუწევდი და ახლაც მნიშვნელოვან მომენტში ამ მოაზროვნეს ვემხრობოდი. ფსიქოანალიზის შორსმწვდომი შესატყვისობა შოპენჰაუერის ფილოსოფიასთან (მან არა მხოლოდ აფექტების პრიმატი და სექსუალობის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა წარმოადგინა) არ შეიძლება დაეჭვებულ იქნეს ჩემ მიერ მისი მოძღვრების გაცნობაზე. ძალზე გვიან წავიკითხე ცხოვრებაში შოპენჰაუერი. მეორე ფილოსოფოსს ნიცშეს, რომლის წარმოდგენები და შეხედულებანი ხშირად განსაცვიფრებლად ემთხვევა ფსიქოანალიზის დამქანცველ შედეგებს, წლების განმავლობაში ძალიან ცოტა ვიცოდი. უფრო ნაკლებ ვფიქრობდი პრიორიტეტზე, ვიდრე ჩემი მიუკერძოებლობის შენარჩუნებას.

ნევროზები იყო პირველი, ასევე დიდი ხნის განმავლობაში, ანალიზის ერთადერთი ობიექტი. არც ერთი ანალიტიკოსი არ დარჩენილა დაეჭვებული, რომ ის სამკურნალო პრაქტიკა არაა სწორი, რომელიც ამ აფექციებს შორის იჭერს ფსიქოზებიდან და მას აკავშირებს ორგანულ ნერვულ დაავადებასთან. ნევროზების მოძღვრება ეკუთვნის ფსიქიატრიას, აუცილებელია აღნიშნულში შესასვლელად. ამჯერად ფსიქოზების ანალიზური შესწავლა გამორიცხულია ასეთი მცდელობის თერაპევტული უიმედობით. ფსიქიატრიის უნარი, ასე რომ, ანალიზური ტექნიკის მთავარი საშუალება გამოუყენებელია. მაგრამ მაინცაა განსხვავებული მიდგომის საშუალება. ზოგჯერ გადატანის უნარი მხოლოდ ნაწილობრივია და მისი მეშვეობით შეიძლება მცირედი წინსვლა ციკლურ, ცუდ განწყობილებასთან, მსუბუქ პარანოიკურ ცვლილებასთან. პარციალურ შიზოფრენიასთან ანალიზით მიიღწევა უეჭველი შედეგი. ასევე, ჯერ კიდევ შემთხვევაში, ეს იყო მეცნიერებისათვის უპირატესობა, რომ ბევრ შემთხვევაში დიაგნოზი მერყეობდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფსიქონევროზისა და Dementia praecox-ს შორის. გამო-

ყენებულ თერაპევტულ მცდელობას შეეძლო ასე მნიშვნელოვანი განმარტება მოეტანა, სანამ შეწყდებოდა. ყველაზე ხშირად მხედველობაშია მისაღები, რომ ფსიქოზებში ყველასათვის მრავალი რამ თვალსაჩინო ზედაპირზე ამოიტანება, რაც ნევროზებთან დამჭანცველი მუშაობით ხილრმიდან ამოიქაჩება. ამიტომ მრავალი ანალიზური მტკიცებისათვის ფსიქოლოგიური კლინიკა გვაძლევს დემონსტრაციის საუკეთესო ობიექტებს. არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ანალიზმა მალე გაიკვლია გზა ფსიქიატრიული დაკვირვების ობიექტებისაკენ. ჯერ კიდევ ადრე (1896 წ.) მჭონდა პარანოიდური დემენციის ერთ შემთხვევასთან მსგავსი ეტიოლოგიური მომენტები და შეიმჩნეოდა მითითებული აფექტური კომპლექსების არსებობა, როგორც ეს დგინდება ნევროზებთან. უცნაური სტერეოტიპები დემენტიებთან კ. გ. იუნგმა ახსნა ავადმყოფთა ცხოვრების ისტორიაზე დაყრდნობით განსხვავებულ ფსიქოზებთან ბლოილერმა ისეთი მექანიზმები აჩვენა, როგორიც ნევროტიკებთან დადგინდა ანალიზით. ამიერიდან ანალიტიკოსების გარჯა ფსიქოზების გასაგებად არ შეწყვეტილა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნარცისიზმის ცნებით მუშაობდნენ, ხან აქ, ხან კი სხვა ადგილზე, მზერა ღობის მიღმა მიაპყრეს. ალბათ ეს აბრაჰამმა მიაღწია დიდ წარმატებას მელანქოლიის ახსნაში. თუმცა ამ სფეროში ახლა არა ჟოველი ცოდნა გადაიტანება თერაპევტულ ძალაუფლებაში. მაგრამ უბრალო თერაპევტული შენაძენიც არანაკლებ ფასდება და შეიძლება მის პრაქტიკულ გამოყენებას სიამოვნებით ველოდოთ. ხანგრძლივობაზე ფსიქიატრები არ უპირისპირდებიან მათ ავადმყოფთა მასალის დამასაბუთებელ ძალას. გერმანულ ფსიქიატრიაში ახლა ხორციელდება ანალიზური თვალსაზრისით penetration pacifique.* უწყვეტი ფიცის ქვეშ, რომ მათ არ უნდათ ფსიქოანალიტიკოსები, ეკუთვნიან "ორთოდოქსალურ" სკოლას, რომლის იქითაც არ მიდიან; განსაკუთრებით სექსუალური მომენტი არ სწამთ. მაინც, ბევრ შემთხვევაში, ახალგაზრდა მკვლევარები ანალიზური მოძღვრების ამა თუ იმ მომენტს იხაკუთრებენ და თავისებურად იმარჯვებენ მასალას. ამ მიმართულებით ყველა ნიშანს ინტერპრეტირებენ მომავალი შემდგომი განვითარებისათვის.

* სიწყნარეში შეჭრა (რედ. შენიშვნა)

VI

ახლა შორიდან გავსდევ, თუ რომელი რეაქციის სიმპტომებით ხორციელდება ფსიქოანალიზის შემოსვლა დიდი ხნით შეუვალ საფრანგეთში. ის მოქმედებს როგორც რეპროდუქცია ადრე განცდილისა, მაგრამ მაინც აქვს თავისი განსაკუთრებული ნიშნები. წარმოდგენილი გულუბრყვილობის შეფასება ხდება ხმამაღლა, როგორც ჟიქოს ფრანგული ტაქტი ბიძგს იღებს ფსიქოანალიზური სახვეების პედანტობიდან და უხეშობიდან. (ამასთან მაინც უნდა გავიხსენოთ ლესინგის უკვდავი Chevalier Riccaut de la Marliniere!)*. ეცრო სერიოზულად ჟლერს სხვა გამოთქმა; ის თვით ფსიქოლოგიის პროფესორს სორბონაში არ მოეჩვენება ულირსად; საერთოდ ლათინური გენია ვერ იტანს ფსიქოანალიზის აზროვნების წესს. ამასთან მისმა მომხრე ანგლოსაქსურმა მოკავშირეებმა გარკვევით დატოვეს ის ბედის ამარა. ვინც ამას ისმენს, ბუნებრივია, იფიქრებს ტვეტონების გენიას ფსიქოანალიზის დაბადებისთანავე ის უსაყვარლეს ბავშვივით გულში ჩაეკრას.

ინტერესი ფსიქოანალიზისადმი საფრანგეთში მხატვრული ლიტერატურის წარმომადგენლებიდან მოვიდა. ეს რომ გავიგოთ, უნდა მოვიგონოთ, რომ ფსიქოანალიზმა სიზმრის ინტერპრეტაციით გადააბიჯა წმინდა სამკურნალო საქმის საზღვრებს. გერმანიაში და ახლა საფრანგეთში ფსიქოანალიზის გამოჩენას შორის ძევს მისი მრავალნაირი გამოყენება ლიტერატურისა და ხელოვნების, რელიგიის ისტორიისა და წინაისტორიის სფეროში, მითოლოგიაში, ფოლკლორში, პედაგოგიკაში და ა. შ.

ყველა ამ საგანს მედიცინასთან ნაკლებად ესაქმება, მასთანაა დაკავშირებული სწორედ მხოლოდ ფსიქოანალიზის საშუალებით. ამიტომ მე უფლება მაქვს ის ამ ადგილზე დაწვრილებით განვიხილო. მაგრამ მე მას არც სავსებით უკუვაგდებ, ვინაიდან, ერთი მხრით, ის აუცილებელია, რათა სწორი წარმოდგენა მოგცეთ ფსიქოანალიზის ღირებულებასა და არს'ზე, მეორე მხრით, მე, დიახ, ამოცანად დაგისახე მთელი ჩემი ცხოვრებისადმი მიძღვნილი ნაშრომის გადმოცემა. ამ გამოყენებათა უმრავლესობის დასაწყისი ჩემ

* რაინდი რიკო დელა მარლინიერი. (რედ. შენიშვნა).

ნაშრომზე დაიყვანება. აქაც და იქაც ნაბიჯი გადავდგი გზისკენ, რათა ასეთი საექიმოსგარე ინტერესები დამეკმაყოფილებინა. სხვები, არა მხოლოდ მკურნალები, არამედ სპეციალისტებიც, შემდეგ გაყვნენ ჩემს კვალს და შესატყვის სფეროში ფართოდ შეაღწიეს. ვინაიდან მე ჩემი პროგრამის მიხედვით შემოვიზღუდები ფსიქოანალიზის გამოყენების წვლილზე მოხსენებით, მკითხველს მიეცემა შესაძლებლობას გაეცნოს მხოლოდ არა მდიდარ სურათს მის განვრცობასა და მნიშვნელობაზე.

ბიძგები მივიღე ოიდიპოსის კომპლექსიდან, რომლის ყველგან არსებული ძალა თანდათანობით ვაღიარე. მუდამ არჩევანი იყო დიად საშინელი მასალის შექმნა გამოცანა იყო, შემაძრწუნებელი ზემოქმედება მისი პოეტური გადმოცემისა და საერთოდ ბედის ტრაგედიის რაობა. ეს ყველაფერი ასე აიხსნებოდა შეზედულებით – აქ სულიერი ხდომილების კანონზომიერება მისი მთელი აფექტური მნიშვნელობით მიიწვდომებოდა. ბედი და ორაკული მხოლოდ მატერიალიზაცია იყო შინაგანი აუცილებლობისა, გმირი რომ ცოდნის გარეშე და მისი განსაზღვრის წინააღმდეგ სცოდავს, გაიგებს და როგორც სწორი გამოხატვა თავისი დანაშაულებრივ მისწრაფებათა არაცნობიერი ბუნებისა. ამ ბედის ტრაგედიის გაგებიდან შედეგ მხოლოდ ერთი ნაბიჯილა იყო ჰამლეტის ხასიათის ტრაგედიის გარკვევამდე, რომელიც საკვირველი იყო სამასი წლის მანძილზე ვერ ჩაწვდნენ მის აზრს და ვერ მიხვდნენ მწერლის მოტივებს. მაინც საკვირველი ის იყო, რომ მწერლის მიერ შექმნილი ეს ნევროტიკი ოიდიპოსის კომპლექსით განიცდის მარცხს ისე, როგორც მისი მრავალრიცხოვანი თანამგზავრები რეალურ სამყაროში, ვინაიდან ჰამლეტი დადგა ამოცანის წინაშე – სხვასთან ორივე საქმისთვის შური იძიოს (რომელიც ოიდიპოსის კომპლექსის შინაარსია), რისთვისაც მას თავისი საკუთარი ბნელი ბრალის ცნობიერება შეაწუხებლად უშლის ხელს. "ჰამლეტი" შექსპირმა დაწერა მალე მამის გარდაცვალების შემდეგ. ამ ტრაგედიის ანალიზისათვის ჩემი ინტერპრეტაციები მოგვიანებით ერნესტ ჯონსთან პრინციპულად დამუშავდა. შემდეგ იგივე მაგალითი აიღო ოტო რანკმა ამოსავლელად თავისი გამოკვლევებისათვის დრამატული მწერლის მიერ მასალის არჩევის თაობაზე. თავის დიდ წიგნში "ინცესტ-მოტივის"

შესახებ მან აჩვენა, თუ მწერალი ხშირად როგორ ირჩევს გადმოცემისათვის სწორედ ოიდიპოსის სიტუაციის მოტივებს და ამგვარად, მასალის ტრანსფორმაციები, ცვლილებები და შემცირებანი მხოლოდ ლიტერატურის გზას მიჰყვება.

ჩნდება აზრი, აქედან ანალიზი მივგვემართა პოეტური და მხატვრული შემოქმედებისათვის საერთოდ. აღიარეს, რომ ფანტაზიის სამეფო იყო "ფრთხილი დამოკიდებულება", რომელიც ორგანიზდება სიამოვნების პრინციპთან რეალობის პრინციპზე აუტანლად შეგრძნობილ გადასვლასთან, რათა ნება დაერთოს შენაცვლებას ლტოლვათა დაკმაყოფილებისათვის, რომელიც უნდა უკუგდებულიყო რეალურ ცხოვრებაში. ხელოვანი ნევროტიკის დარად დაუკმაყოფილებელი სინამდვილიდან ფანტაზიის სამყაროში გადადიოდა, მაგრამ სხვაგვარად, ვიდრე ნევროტიკს ჰქონდა გაგებული მისგან გამოსასვლელის პოვნა და სინამდვილეში ისევ მტკიცე ფეხზე დგომა. მისი შემოქმედებანი, ხელოვნების ნაწარმოებები იყვნენ არაცნობიერი სურვილების ფანტაზიისეული დაკმაყოფილებანი სავსებით ისე, როგორც სიზმრები, რასთანაც საერთო ჰქონდა კომპრომისის ბუნებაც – ასეეე, მათ უნდა თავი დაელწიათ განდევნილის ძალებთან ღია კონფლიქტისათვის. მაგრამ არასოციალური, ნარცისტული სიზმრის პროცედურებისაგან განსხვავებით გათვალისწინებული იყვნენ სხვა ადამიანების მონაწილეობის მიღების ხარჯზე, შეეძლოთ მათთან მითითებული არაცნობიერი სურვილის წაქეზებანი გაეცოცხლებინათ და დაეკმაყოფილებინათ. ამის გარდა, მოიხმარდნენ ფორმის მშვენიერების აღქმის სიამოვნებას როგორც მაცდუნებელ ჯილდოს. რისი მიღწევაც შეეძლო ფსიქოანალიზს, ეს იყო ცხოვრების შთაბეჭდილებათა ერთმანეთზე დამოკიდებულებიდან, შემთხვევითი ხვედრისა და ხელოვანის ნაწარმოებებიდან მისი კონსტიტუცია და მასში მოქმედი ლტოლვის წაქეზებანი, ასე რომ, მასთან ზოგადადამიანური აეგო. ასეთი განზრახვით მე, მაგალითად, ლეონარდო და ვინჩი ავიღე შესწავლის საგნად, რაც ემყარება მხატვრის მიერ მოტანილ მხოლოდ ერთადერთ ბავშვობის მოგონებას და არსებითად უმიზნებს მისი სურათის – "წმინდა ანას საშეული" – ახსნას. ჩემმა მეგობარმა და მოწაფეებმა შემდეგ მრავალრიცხოვანი მსგავსი ანალიზი განახორციელეს ხელოვნების ნიმუშებისა. არ შეგ-

ვხვედრია, რომ მხატვრული ნაწარმოებით ასე მიღებულ ანალიზურ გაგებას ზიანი მიეყენებინოს ტკბობისათვის. მოყვარულმა, რომელიც აქ მრავალ რაიმეს ელოდა ანალიზისაგან, უნდა აღიაროს, რომ ის ორ პრობლემას გამორიცხავს, რომლებიც ალბათ ყველაზე უფრო აინტერესებდა. სახელდობრ, ანალიზს არაფერი შეუძლია თქვას ხელოვნების ნიჭის ახსნა-განმარტებაზე; ასევე საშუალებათა აღმოჩენა, რითაც ხელოვანი მუშაობს, მხატვრული ტექნიკა, მას არ ხელეწიფება.

პატარა, თავისთავად არა განსაკუთრებით ღირებულ ვ. იენსენის ნოველაში – "გრადივა" – ვაჩვენე, რომ ფანტასტიური ზღაპრული სიზმრები იგივე ინტერპრეტაციას გვთავაზობენ როგორსაც რეალური, რომ მწერლის მიერ ნაწარმოების შექმნისას სიზმრის მუშაობიდან ჩვენთვის ცნობილი არაცნობიერის მექანიზმები მოქმედებენ.

ჩემი წიგნი **"ახვილგონიერება და მისი მიმართება არაცნობიერთან"** პირდაპირ გადაბრაა **"სიზმრის ინტერპრეტაციიდან"**. ერთადერთმა მეგობარმა*, ვინც მაშინ მონაწილეობდა ჩემს სამუშაოში, შენიშნა, რომ ჩემი სიზმრის ინტერპრეტაციები ხშირად "ახვილგონიერ" შთაბეჭდილებას ახდენდნენ, რომელთა ახსნისათვის ძე მიეშართე მახვილგონიერების გამოკვლევას და ვნახე, რომ მისი არსი მდგომარეობს მისივე ტექნიკურ საშუალებებში; ეს იგივე "სიზმრის მუშაობის" სამუშაო წესებია, მაშასადამე – შემჭიდროება, გადაწევა, საპირისპირო ნაწილით, უმცირესით გადმოცემა და ა. შ. მას დაუკავშირდა ეკონომიკური გამოკვლევა – როგორ აღმოცენდება ნაკლებით მსმენელთან მაღალი სიამოვნება. პასუხი ასეთი იყო: განდევნის ძალის მომენტალური მოსპობით შემოთავაზებული სიამოვნების ჯილდოს გზით (წინა სიამოვნება) ცდუნების შემდეგ.

დიდად ვაფასებ რელიგიის ფსიქოლოგიაში თვითონ ჩემ წვლილს, რომელიც 1907 წელს დაიწყო განსაცვიფრებელი მსგავსების დადგენით იძულებით მოქმედებასა და რელიგიურ ჩვევას (რიტუალს) შორის. ჯერ კიდევ ღრმა კავშირების ცოდნის გარეშე იძულებითი ნევროზი აღვნიშნე როგორც დამახინჯებული კერძო რელიგია, რელიგია, ასე რომ ვთქვათ, როგორც უნივერსალური იძულების ნევროზი. მოგვიანებით 1912 წელს, იუნგის მიერ დამარ-

* ვილჰელმ ფლისი

წმუნებელმა მითითებამ ნევროტიკის სულიერ პროდუქციაზე და პრიმიტივებს შორის შორსმწვდომ ანალოგიაზე საბაბი მომცა ჟურნალება მიმეპყრო ამ თემისათვის. ოთხ სტატიაში, რომელიც შეიარა წიგნად სათაურით "ტოტემი და ტაბუ", განვმარტე, რომ პრიმიტივებთან ინცესტის შიში უფრო ძლიერადაა გამოკვეთილი, ვიდრე კულტურულებთან და მან განსაკუთრებული დაცვითი ღონისძიებანი გამოიწვია; ვიკვლიე ტაბუ-აკრძალვების მიმართულებანი, რა ფორმით გამოდის პირველი მორალური გრძნობითი ამბივალენტობისადმი და აღმოვაჩინე **ანიმიზმის** პრიმიტიული სამყაროს სისტემაში სულიერი რეალობის გადაფასების პრინციპი "ყოვლადძლიერი აზრებისა", რომელიც საფუძვლად ედება მაგიასაც. ყველგან გატარდა იძულების ნევროზთან შედარება და ნაჩვენები იქნა, ჯერ კიდევ რაოდენ ძალა აქვს პრიმიტიული ძლიერი ცხოვრების წანამძღვრებს ამ საოცარ აფექციებთან. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მომიზიდა ტოტემიზმმა, პრიმიტიული ტომების პირველმა ორგანიზაციის სისტემამ, რომელშიც სოციალური წყობის საწყისები გაერთიანებულია რუდიმენტალურ რელიგიასთან და მცირეოდენი ტაბუაკრძალვების ულმობელ ბატონობასთან. "პატივცემული" არსება აქ თავდაპირველად მუდამაა ცხოველი, რომლისგანაც წარმოსდგება კლანი. სხვადასხვა ნიშნებთან დაასკვნეს, რომ განვითარებულმა ხალხებმაც ოდესღაც ტოტემიზმის ეს სტადია გაიარა.

მთავარი წყარო ამ სფეროში ჩემი ლიტერატურული ნაშრომებისათვის იყო ი. გ. ფრაცერის ცნობილი ნაწარმოებები (ტოტემიზმი და ეგზოგამია, 1910; ოქროს ტოტი, 1900), მნიშვნელოვანი ფაქტებისა და თვალსაზრისის საგანძური. მაგრამ ფრაცერმა ტოტემიზმის პრობლემების ახსნაში ბევრს ვერ მიაღწია; ამ საგანზე თავის შეხედულება მრავალჯერ რადიკალურად შეცვალა. სხვა ეთნოლოგებიცა და წინაისტორიკოსებიც ამ საგანზე საეჭვო და არაერთნაირი ჩანდნენ. ჩემი ამოსავალი წერტილი იყო შემთხვევითი თანხმობა ტოტემიზმის ორივე ტაბუდებულებასთან – ტოტემის არ მოკვლა და იგივე ტოტემის კლანის ქალთან სქესობრივი კავშირის დაუჭერლობა, ოიდიპოსის კომპლექსის ორივე შინაარსით, მამის ჩამოცილება და დედის მეულლედ შერთვა. გამოდის მცდელობა ტომის ცხოველი გაუტოლდეს მამას, როგორც ამას პრიმიტივები

ამის გარეშეც გარკვევით აკეთებენ, როცა ისინი მამას, როგორც კლანის გვარის ფუძემდებელს, მიაგებდნენ პატივს. ფსიქოანალიზის მხრიდან დამეხმარა ორი ფაქტი, ბავშვთან ფრენჩის მახვილი დაკვირვება, რომელმაც ნება მოგვცა ვილაპარაკოთ **ტოტემიზმის ანთროპოლოგიური დაბრუნების** შესახებ და ბავშვების ცხოველთა მიმართ ადრეული შიშების ანალიზი, რომელიც ასე ხშირად გვაჩვენებდა, რომ ცხოველი იყო მამის შემნაცვლებელი, რომელზედაც იყო გადატანილი ოიდიპოსის კომპლექსში დაფუძნებული შიში მამის წინაშე. ახლა ბევრი აღარაფერი უკლდა, რათა გველიარებინა მამის მკვლელობა, როგორც გული ტოტემიზმისა და როგორც ამოსავალი წერტილი რელიგიის ფორმირებისა.

ეს ნაკლული მომენტი შემოგვიერთდა ვ. რობერტსონ სმითის ნაშრომის – "სემიტების რელიგიის" – გაცნობით; გენიალურმა ადამიანმა ფიზიკოსმა და ბიბლიის მკვლევარმა მოგვაწოდა ტერმინოლოგიის არსებითი მომენტი ე. წ. **ტოტემის სერობა**. წელიწადში ერთხელ ჩვეულებრივ წმინდანად შერაცხულ ტოტემის ცხოველს გარის ყველა წარმომადგენლის მონაწილეობით საზეიმოდ კლავენ, ჭამენ და შემდეგ გლოვობენ. ამ გლოვას უკავშირდებოდა დიდი დღესასწაული. უკრიტიკოდ მივუდექი დარვინის ვარაუდს, რომ თავდაპირველად ადამიანები ცხოვრობდნენ ტომებად, რომელთაგანაც ყოველი იდგა ერთადერთი, ძლიერი, სასტიკი და ეჭვიანი მამაკაცის ბატონობის ქვეშ. ყველა ამ კომპონენტიდან ჩამოყალიბდა ჰიპოთეზა, ანდა, უკეთ, შემეძლო მეთქვა: ზმანება შემდეგი ამბის მსვლელობისა – პირველი ტომის მამა, როგორც შეუზღუდველი დესპოტი, პრეტენზიას აცხადებდა ყველა ქალზე, მან მოკლა ან განდევნა ყველა შეტოქე ვაჟიშვილი. ერთ დღეს შეიკრიბნენ ვაჟიშვილები, ძლიეს, მოკლეს და შეჭამეს ის, ვინც მათი მტერი იყო, მაგრამ იდეალიც ამის შემდეგ მათ არ შეეძლოთ თავიანთ მემკვიდრეობას დაპატრონებოდნენ, ვინაიდან ერთმანეთს ხელს უშლიდნენ; წარუმატებლობისა და მონანიების ზეგავლენით ისინი სწავლობდნენ ერთმანეთის ატანას, დაკავშირდნენ ტოტემიზმის წესდებით ძმურ კლანად, რომელიც ასეთი საქმის განმეორებას გამორიცხავდა და უარყვეს ერთად ქალების ფლობა, რისთვისაც მამა მოკლეს. ახლა ისინი მხოლოდ უცხო ქალებზე შეწერდნენ; ესაა ტოტემიზმთან მჭიდროდ დაკავშირებული

ექსოგამიის საწყისი. ტოტემის სერობა იყო მეხსიერების ზეიმის სახარელი სახე, საიდანაც თავის საწყისს იღებს ერთდროულად სოციალური ორგანიზაცია, რელიგია და ზნეობრივი შეზღუდვანი.

იმის მიუხედავად ისტორიულად ასეთი შესაძლებლობები დასაშვებია თუ არა, რელიგიის ფორმირება იყო მამის კომპლექსის ნიადაგზე დამდგარი და იმ ამბივალენტობაზე აგებული, რომელიც მასზე ბატონობდა. მას შემდეგ, რაც მამის შენაცვლება ტოტემის ცხოველით მოხდა, საშიში და საძულველი, პატივცემული და სასურველი საწყისი მამა იქცა ღმერთის სახედ. ვაჟიშვილის სიყვარულ და მამისადმი მისი სევდა ერთშანეთთან შუდამ ახალ კომპრომისებს აღწევდა, რომელთაც, ერთი მხრით, მამის მკვლელობის საქმე გამოისყიდა, მეორე მხრით, მისი მიღება უნდა დამტკიცებულიყო. განსაკუთრებით ნათელ შუქს რელიგიის ეს გაგება აფრქვევს ქრისტიანობის ფსიქოლოგიურ დაფუძნებას, რომელშიც, დიახ, ტოტემის სერობის ცერემონიალი ჯერ კიდევ ნაკლებად დამახინჯებული **ზიარების** სახით განაგრძობს არსებობას. მე ხაზგასმით ძინდა აღვნიშნო, რომ ეს უკანასკნელი გაგება ჩემგან არ მოდის, ის უკვე იყო რობერტსონ სმიტთან და ფრაცერთან.

თ. რაიკმა და ეთნოლოგმა გ. როჰაიმმა ტოტემისა და ტაბუს ეპოქის მსელელობასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი საყურადღებო ნაშრომები შემდგომ განავითარეს, გააღრმავეს და გაასწორეს. თვითონ მე მას მოგვიანებით კიდევ რამდენჯერმე დავუბრუნდი. ესენია: "არაცნობიერი ბრალის ცნობიერების" შესახებ გამოკვლევები, რომელსაც ასევე ნევროტულ ავადმყოფობის მოტივთა შორის ახე დიდი მნიშვნელობა ენიჭება და მცდელობა სოციალური ფსიქოლოგია მჭიდროდ დაკავშირდეს ინდივიდის ფსიქოლოგიასთან ("მე და ივი", "მასის ფსიქოლოგია და "მე"-ს ანალიზი). ასევე ჰიპნოზირების აზსნისათვის მოვუბმე არქაულ მემკვიდრეობას ადამიანის პირველადი ურდოს დროიდან.

ფსიქოანალიზის სხვა გამოყენებაში ჩემი პირდაპირი მონაწილეობა მცირეა, რომელიც მაინც ზოგადი ინტერესის ღირსია. ცალკეული ნევროტიკის ფანტაზიებიდან ფართო გზას მივყევართ მასების და ხალხების ფანტაზიის შემოქმედებამდე, როგორც ესაა ცხადი მითებში, თქმულებებში და ზღაპრებში. მითოლოგია გახდა

ოტო რანკის სამუშაო სფერო. მითების ინტერპრეტაცია, მათი დაკ
ვანა ცნობილ არაცნობიერ ბავშვობის კომპლექსებზე, ასტრალური
ახსნების შენაცვლება ადამიანური მოტივებით ბევრ შემთხვევაში
იყო წარმატება მისი ანალიზური მცდელობისა. სიმბოლიკის თემამაც
ნახა ჩემს წრეში ბევრი ავტორი. სიმბოლიკამ ფსიქოანალიზს მოუ
ტანა ბევრი მტრობა. ზოგიერთ ზედმეტად ფხიზელ მკვლევარს ფსი
ქოანალიზისათვის სიმბოლიკის აღიარება, როგორც ეს გამომდინარე
ობს სიზმრების ინტერპრეტაციიდან, არასდროს არ უპატიებია. მაგ
რამ ანალიზი სიმბოლიკის ალმოჩენაში უცილდებელია, ის სხვა სფერო
ში დიდი ხანია ცნობილია და იქ თვითონ თამაშობს დიდ როლს
(ფოლკლორი, საგა, მითი) ისე, როგორც "სიზმრის ენაში".

ანალიზის გამოყენებისათვის **პედაგოგიკაში** პიროვნულად მე
არაფერი გამიკეთებია; მაგრამ ბუნებრივია, რომ ანალიზურმა მონა
ცემებმა სექსუალური ცხოვრების თაობაზე და ბავშვების სულიერ
განვითარებაზე აღმზრდელების ყურადღება მიიქცია და მათ თავის
თი ამოცანები ახალ ჭრილში დაინახეს. დაუღალავი მეწინავე მეო
რძოლი ამ მიმართულებით პედაგოგიკაში ციურიხელი პროტესტან
ტი მღვდელი ო. პფისტერია, რომელსაც მიაჩნდა, რომ ანალიზის
წარმართვა შეთავსებადია სუბლიმირებულ რელიგიურობასთან. მის
გვერდით ქალბატონი ჰუგჰელმუტი და დოქტ. ს. ბერნფელდი (ვენა
ში), ასევე სხვა მრავალნი. ანალიზის გამოყენებამ ჯანმრთელი და
გასწორებისათვის ჯერ კიდევ არანევროტული, მაგრამ თავის გან
ვითარებაში არასწორად წარმართულ ბავშვის პრევენტულ აღზრდა
ში პრაქტიკულად მნიშვნელოვანი შედეგი მოგვცა. უკვე აღარაა
შესაძლებელი ფსიქოანალიზის გამოყენება მკურნალებს დაეუტო
ვოთ და მოყვარულები მისგან გამოვთიშოთ. მართლაც, მკურნალი,
რომელსაც არ მიულია განსაკუთრებული განათლება, მიუხედავად
მისი დიპლომისა, მოყვარულია ანალიზში; არაექიმსაც შეუძლია
შესატყვისი მომზადებისა და ექიმზე დაყრდნობით ასევე განახორ
ციელოს ნევროზების ანალიზური მკურნალობა.

იმ განვითარების გზით, რომელთა შედეგების მიმართ ამაოდ
წევენ წინააღმდეგობას, სიტყვა ფსიქოანალიზი თვითონ მრავალ
მნიშვნელოვანი გახდა. თავდაპირველად აღნიშნული განსაზღვრუ
ლი თერაპევტული მეთოდისა, ახლა გახდა არაცნობიერი – სულიე

რის შესახებ მეცნიერების სახელდაც. ამ მეცნიერებას შეუძლია მხო
ლოდ იშვიათ შემთხვევაში თავის პრობლემა გადაწყვიტოს მთლია
ნად, მაგრამ ჩანს, ის მოწოდებულია მნიშვნელოვანი წვლილი შეი
ტანოს მეცნიერების განსხვავებულ სფეროში. ფსიქოანალიზის გა
მოყენების სფერო ვრცელდება იქამდე, სანამდეც ფსიქოლოგიისა,
რომელსაც ის სთავაზობს დიდი მნიშვნელობის შეკვებას.

ამგვარად შემიძლია უკან მოხედვით ჩემი ცხოვრების დაუმთავ
რებელ საქმეზე ვთქვა, რომ მრავალნაირ წამოწყებას მივეცი დასა
ბამი და ზოგიერთი ბიძგი გავეცი, რომლისგანაც შემდეგ, მომავალში,
რაღაც უნდა მივიღოთ. მე თვითონ არ შემიძლია ვიცოდე ეს ბევრი
იქნება, თუ ცოტა. მაგრამ უფლება მაქვს იმედი გამოვთქვა, რომ
ჩვენს შემეცნებაში გზა გაუხსნა მნიშვნელოვანი წინსვლისათვის.

ეპილოგი (1935)

"თვითგადმოცემების" კრებულის გამომცემელმა, რამდენადაც
ვიცი, არ მიიღო მხედველობაში, რომ გარკვეული დროის გავლის
შემდეგ მას გაგრძელება უნდა ჰქონოდა. შესაძლოა ასეთი რამ აქ
პირველად ხდება. ამის საბაბი მომცა ამერიკელი გამომცემლის
სურვილმა – თავისი მკითხველისათვის ახალი გამოცემით მიეწოდე
ბინა მცირე მოცულობის ნაშრომი. ის პირველად 1927 წელს ამერი
კაში (ბრენტანოსთან) გამოიცა სახელწოდებით An Autobiographical
Study, მაგრამ მოუხერხებლად გაერთიანდა სხვა ესესთან და მისი
სათაურით – Problem of Lay-Analysis – დაიფარა. "თვითგადმოცე
მით" თვალწინ გადაგვეშლება ორი თემა – ჩემი ცხოვრების ხვედრი
და ფსიქოანალიზის ისტორია. ისინი ერთმანეთისადმი უშინაგანეს
კავშირშია. "თვითგადმოცემა" აჩვენებს, თუ ფსიქოანალიზი როგორ
ხდება ჩემი ცხოვრების შინაარსი და შემდეგ მას მოსდევს სამარ
თლიანი დაშვება, რომ არაფერი, რაც კი რამ პიროვნულად შემ
ხვედრია მეცნიერებასთან ჩემი დამოკიდებულების გვერდით, ინტე
რესს არ იმსახურებს.

"თვითგადმოცემის" შექმნამდე ცოტა ხნით ადრე, თითქოს ჩემი
ცხოვრება მალე უნდა შეწყვეტილიყო ავთვისებიანი ავადმყოფობის
რეციდივით; მხოლოდდამხოლოდ ქირურგების ხელოვნებამ გადა-

მარჩინა 1923 წელს და ცოცხალი დავრჩი, შრომის უნარის მქონე თუმცა არა სიძნელეებისგან თავისუფალი. მას შემდეგ თუ მეტი არა 10 წლის განმავლობაში არ შემიწყვეტია ანალიზური მუშაობა და პუბლიკაციები, როგორც ამას ამტკიცებს XII ტომით დამთავრებული "ნაწერების კრებული" (ინტერნაციონალური ფსიქოანალიზური გამოცემები ვენაში). მაგრამ თვითონ მე ჯნაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ადრეულის საპირისპიროდ. ძაუებმა, რომლებიც ჩემს განვითარებაში ერთმანეთს გადაეწნენ, დაიწყეს ერთმანეთისგან გა- მოყოფა, მოგვიანოდ შეძენილმა ინტერესებმა უკან დაიწიეს ის უფრო ძველებმა, თავდაპირველადმა, ისევ გაიმარჯვეს. თუმცა ამ უკანასკნელ ათწლეულში, ანალიზური მუშაობისას, კიდევ სხვა მნიშვნელოვან მომენტს შევები, როგორიცაა შიშის პრობლემის რე- ვიზია წერილში "შეკავება, სიმპტომი და შიში" (1926), ანდა 1927 წელს სექსუალური "ფეტიშიზმის" უმტკივნეულო ახსნა, მაგრამ მაინც სწორი იქნება ვთქვათ, რომ ლტოლვის ორი სახის (ეროსი და სიკვდილის ლტოლვა) წამოყენებისა და ფსიქიკური პიროვნების დაყოფის ("შე"-ზე, "ზე- მე"-ზე და "ოგი"-ზე, 1923 წ.) შემდეგ გადამ- წყვეტი წვლილი აღარ შემიტანია ფსიქოანალიზში და რაც მოგვი- ანებით დავწერე, შეიძლება უმტკივნეულოდ არც ყოფილიყო, ანდა მალე სხვა მხრიდან მოტანილიყო. ჩემთან ეს დაკავშირებულია შეცვლასთან, რეგრესული განვითარების მომენტთან, თუკი ასე უნდათ მას უწოდონ. ბუნებისმეტყველებათა, მედიცინისა და ფსიქოლო- გიაზე მთელი ცხოვრების არაპირდაპირი გზით შემოვლის შემდეგ ჩემი ინტერესი დაუბრუნდა იმ კულტურულ პრობლემებს, რომლებმაც ოდესღაც ახროვნებისათვის ძლივს გაღვიძებული ჭა- ბუკი დაატყვევეს. უკვე ფსიქოანალიზური მუშაობის მწვერვალზე, 1912 წელს, ნაშრომში "ტოტემი და ტაბუ" შევეცადე ახლადმიღებუ- ლი ანალიზური თვალსაზრისები გამომეყენებია რელიგიისა და ზნე- ობის საწყისების გამოკვლევისათვის. ორი მოგვიანო ესე – "ერთი ილუზიის მომავალი" (1927) და "უსიამოვნება კულტურაში" (1930) შეძდგომ აგრძელებენ ამ მუშაობის მიმართულებას. სულ უფრო ცხადად გავაცნობიერე, რომ ადამიანის ისტორიის პროცესები, ურთიერთმოქმედებები ადამიანის ბუნებასა, კულტურის განვითარებასა და იმ უძველესი განცდების ნარჩენებს შორის, რომელთა წარმო-

მადგენლობას რელიგია განდევნის, მხოლოდ ასახვაა "შე"-სა, "ოგი"- სა და "ზე-შე"-ს შორის დამოკიდებულებისა, რომელსაც ფსიქოანა- ლიზი სწავლობს ერთეულ ადამიანებთან; ეს იგივე პროცესებია, რომლებიც ფართო სცენაზე მეორდება. ნაშრომში "ერთი ილუზიის მომავალი" რელიგია უმთავრესად ნეგატიურად შევაფასე; მოგვიანე- ით ვნახე ფორმულა, რომელიც მის უკეთეს პრივილეგიას ამტკი- ცებს, მისი ძალა, რა თქმა უნდა, ემყარება მის ჭეშმარიტ შინაარსს, მაგრამ ეს ჭეშმარიტება არაა მატერიალური, ის ისტორიულია.

ფსიქოანალიზიდან ამოსულმა, მაგრამ მის მიღმა შორს გასულ- მა გამოკვლევებმა ალბათ მეტი გამოძახილი ნახეს ხალხში, ვიდრე თვითონ ფსიქოანალიზმა. მათ მონაწილეობა შეიძლება ჰქონდეთ არახანგრძლივი ილუზიის აღმოცენებაში, რომ მავანი იმ ავტორთა რიგს ეკუთვნის, რომელთაც ისე დიდი ერი როგორიც გერმანელია, იზადაა მოუსმინოს. ეს იყო 1929 წელს თომას მანი, გერმანელი ხალხის სპეციალისტ-ორატორმა მე მიმითითა ადგილი სულის თა- ნამედროვე ისტორიაში შინაარსით სავსე და კეთილგანწყობილი წინადადებებით. ცოტა მოგვიანებით ჩემს ქალიშვილს ანას მაინის ფრანკფურტის რატუშაში ზეიმი გაუმართეს, როცა იქ წარმომად- გენლად ჩავიდა, რათა ჩემთვის 1930 წელს მონიჭებული გოეთეს პრემია ჩამოეტანა. ეს იყო ჩემი მოქალაქეობრივი ცხოვრების ზენი- ტი. მალე ამის შემდეგ ჩვენი სამშობლო დავიწროვდა. ერს ჩვენს შესახებ არაფრის მოსმენა არ უნდოდა.

აქ მე ჩემს თავს უფლებას ვაძლევ ავტოგრაფიული თხრობა შეკამათაგრო. გარდა ამისა, რაც კი ეხება ჩემს პიროვნულ დამოკი- დებულებას, ჩემს ბრძოლას, შეცდომებსა და წარმატებებს, ამის გამომზეურების უფლება არა მაქვს. მე ამის გარეშე ჩემს ზოგიერთ ნაწერში – "სიზმრის ინტერპრეტაცია", "ყოველდღიური ცხოვრება" – გულღია და გულწრფელი ვიყავი, როცა ჩვეული ინტერესით აღ- წერდი პიროვნებების ცხოვრებას თანამედროვე თაობის, ანდა შთა- მომავლობისათვის. ამის გამო, მართალია, მაღლობა არ მიმიღია. მე ხომ არ შემეძლო ჩემ გამოცდილებათა მიხედვით ვინმესთვის მერ- ჩია ჩემთვის მოებაძათ.

კიდევ რამდენიმე სიტყვა ფსიქოანალიზის ხვედრის შესახებ უკანასკნელ ათწლეულში! უკვე საეჭვო აღარაა, რომ ფსიქოანალი-

ზი არსებობას განაგრძობს, მან თავისი სიცოცხლისა და განვი
რებისუნარიანობა დაამტკიცა, როგორც მეცნიერების შტომ, ის
როგორც თერაპიამ. მისი მომხრეების რიცხვი, რომელიც ორგან
ზებულია "ინტერნაციონალურ ფსიქოანალიზურ გაერთიანებაში",
მნიშვნელოვნად გაიზარდა. ძველ ადგილობრივ ორგანიზაციებს ამ
ნაში, ბრიუსელში, ბუდაპეშტში, ლონდონში, ჰოლანდიაში, შვეიც
რიაში, მიემატა ახალიც პარიზში, კალკუტაში, ორი–იაპონიაში,
მრავალი – ამერიკის შეერთებულ შტატებში, და ბოლოს ერთი
იერუსალიმში და სამხრეთ აფრიკაში, ხოლო ორი – სკანდინავიაში
ადგილობრივ ორგანიზაციებს აქვთ თავიანთი საკუთარი საშუალე
ბებით სასწავლო ინსტიტუტები, რომლებშიც ფსიქოანალიზის სწავ
ლება ერთიანი სასწავლო გეგმით მიმდინარეობს; ამბულატორიები,
სადაც გამოცდილი ანალიტიკოსები, ისევე როგორც ახალბრდილები,
მკურნალობის მსაჭიროებლებს უფასო მკურნალობას სთავაზობენ,
ან ასეთი ინსტიტუტის შექმნას ლამობენ. ინტერნაციონალური ფსი
ქოანალიზის გაერთიანების წევრები ერთმანეთს ხვდებიან ყოველ
მეორე წელს ყრილობაზე, სადაც კითხულობენ მეცნიერულ მოხსე
ნებებს და წყვეტენ ორგანიზაციულ საკითხებს. XIII ყრილობა,
რომელსაც მე ვერ დავესწარი, შედგა 1934 წ. ლუცერნში. წევრთა
მისწრაფებანი წარიმართა ყველასათვის საერთოდან განსხვავებუ
ლი მიმართულებისაკენ, ერთნი მთავარ ღირებულებას დებენ ფსი
ქოლოგიური შემეცნების გაცხადებასა და გაღრმავებაში, სხვები
ცდილობენ იზრუნონ შინაგან მედიცინასთან და ფსიქიატრიასთან
კავშირებზე. პრაქტიკული თვალსაზრისით ანალიტიკოსთა ერთმა
ნაწილმა მიზნად დაისახა ფსიქოანალიზის აღიარება უნივერსიტე
ტებში და სამედიცინო სასწავლო გეგმაში მისი შეტანა, სხვები
კმაყოფილდებოდნენ იმით, რომ დარჩენილიყვნენ ამ დაწესებულება
თა გარეთ და უნდოდათ ფსიქოანალიზის ჰედაგოგიური მნიშვნელო
ბა არ ჩაბორჩენოდა მის საექიმო მნიშვნელობას. დროდადრო მუდამ
ისევ მეორდება, რომ ანალიტიკოსი თანამშრომელი მცდელობაში
იზოლირებულია – ერთადერთი ფსიქოანალიზური მონაპოვარი, ანდა
თვალსაზრისი ყველა სხვის ხარჯზე წარმოადგინოს. მაგრამ მოლი
ანობა სერიოზული მეცნიერული მუშაობის მაღალი დონის სანუგე
შო შთაბეჭდილებას ახდენს.

ფსიქოანალიზის შესავალი ლექციების ახალი სერია (1932)

შინაარსი

წინასიტყვაობა 1932

29. სიზმრის მოძღვრების რევიზია

30. სიზმარი და occultიზმი

31. ფსიქიკური პიროვნების დანაწევრება

32. შიში და ლტოლვათა ცხოვრება

33. ქალურობა

34. განმარტებანი, გამოყენებანი, ორიენტაციები

35. მსოფლმხედველობის შესახებ

წინასიტყვაობა

"ფსიქოანალიზის შესავალი ლექციები" წაკითხული იყო 1915/16 და 1916/17 წლების ზამთრის ორი სემესტრის მანძილზე ვენის ფსიქიატრიულ კლინიკაში ფაკულტეტის შერეული აუდიტორიის მსმენელების წინაშე. ლექციების პირველი ნაწილი ზეპირად იქნა წაკითხული და უშუალოდ ამის შემდეგ ჩაიწერა, ხოლო მეორე ნაწილი, ზაფხულში, ზალცბურგში ყოფნისას მოიხაზა და შემდეგ ზამთარში სიტყვასიტყვით მოხსენდა. მაშინ ჯერ კიდევ მქონდა ფონოგრაფიული მეხსიერების ნიჭი.

ამათგან განსხვავებით ეს ახალი ლექციები არასდროს არ წაკითხულა. ჩემი ასაკი მანთავისუფლებდა ვალდებულებისაგან უნივერსიტეტისადმი – თუნდაც მხოლოდ პერიფერიული – კუთვნილება ლექციების ჩატარებით გამომეხატა, ქირურგიულმა ოპერაციამ კი წამართვა ორატორობის შესაძლებლობა*. მხოლოდ ფანტაზიის ეშმაკობაა, როცა მომდევნო გადმოცემის დროს მე ჩემს თავს ისევ აუდიტორიაში გადავიყვან; მას შეუძლია დაგვეხმაროს საგანში ჩაღრმავებისას არ დაგვავიწყდეს მსმენელისადმი პატივისცემა.

ახალი ლექციები არამცდაარამც არ ცვლიან უწინდელს. საერთოდ ისინი არ არიან თავისთავადნი, იმთანი, რომ მოსალოდნელი ყოფილიყო ჰყოლოდათ მკითხველთა საკუთარი წრე, არამედ ისინი იმგვარი გაგრძელება და შევსებაა, ადრეულთან მიმართებაში სამ ჯგუფად რომ იყოფიან: პირველ ჯგუფს ეკუთვნის იმ თემათა ახალი დამუშავება, თხუთმეტი წლის წინათ მსჯელობის საგანი რომ იყო, მაგრამ ჩვენი თვალსაზრისის გაღრმავების შედეგად და ჩვენ შეხედულებათა შეცვლის გამო დღეს მოითხოვენ სხვანაირ გადმოცემას, მაშ, კრიტიკულ რევიზიას. დანარჩენი ორი ჯგუფი მოიცავს საკუ-

* ზ. ფროიდს გალატანილი ჰქონდა ყელის ავთვისებიანი სიმსივნის ოპერაცია. (რედ. შენიშვნა)

ცარ განვრცობას; კერძოდ, ისინი იმ საკითხებს განიხილავენ, რომლებიც პირველი ლექციების დროს ფსიქოანალიზში ჯერ კიდევ არ იყო, ანდა მათ შესახებ მაშინ იმდენი არ ვიცოდით, რომ გამართლებულიყო მათი გაღმოცემა განსაკუთრებული, საკუთარი სათაურით. არ უნდა ავუქციოთ გვერდი და ასევე არ უნდა შევწუხდეთ იმის ფაობაზე, რომ ახალი ცალკეული ლექცია აერთიანებს თავის თავში ორივეს ბუნებას. დამოკიდებულება ამ ახალი ლექციებისა, "შესავალ ლექციებთან" იმაშიაც ვლინდება, რომ ისინი რიცხობრივად მას აგრძელებენ; პირველი ლექცია ამ ტომისა არის XXIX-ით აღნიშნული. ისინი სპეციალისტ-ანალიტიკოსს ისევე თავაზობენ მცირე სიახლეს და მიმართულნი არიან განათლებულთა იმ პლეადისადმი, რომელთაც მიეწერებათ კეთილმოსურნეობა, ასევე დაფარული ინტერესი ახალგაზრდა მეცნიერების თავისებურებათა და შენაძენთა მიმართ. ამჯერადაც ჩემი სახელმძღვანელო განზრახვაა, არ მცეწიროთ სიმარტივის, სრულფოფილებისა და დასრულებულობის მოთხოვნებითობას, პრობლემები არ დავფაროთ, ხარვეზი ცოდნაში და არასაიმედობანი უკუვაგდოთ. მეცნიერული მუშაობის არც ერთ სხვა სფეროში უფლება არ აქვთ თავი მოიწონონ ასეთი განზრახვით უხიზელი თვითზომიერებისადმი. ის თავისთავად ყველგან გასაგებია, ხალხი სხვა რაიმეს არ მოელის. ასტრონომიის ნაშრომის არც ერთი მკითხველი არ იტეხს გულს და მეცნიერებას ზედმეტად არ ოელის, თუკი მას აჩვენებენ ზღვარს, რომლის იქით ჩვენი ცოდნა სამყაროს მიმართ ბუნდოვანია. სხვაგვარად მხოლოდ ფსიქოლოგიაშია. აქ მთელი სისრულით მფლავნდება ადამიანის კონსტიტუციონალური უვარგისობა. ფსიქოლოგიის მეცნიერული კვლევისაგან მოითხოვენ არა ცოდნაში წინსვლას, არამედ მისით რაღაც სხვის მაკმაყოფილებას; მას საყვედურობენ ყოველი გადაუწყვეტელი პრობლემისათვის, ყოველი აღიარებული არასაიმედობისათვის. ვისაც უყვარს სულიერი ცხოვრების შესახებ მეცნიერება, მან ეს უკულტურობაც უნდა აიტანოს.

ვენა, ზაფხული 1932.

29-ე ლექცია

სიზმრის მოძღვრების რევიზია

ქალბატონებო და ბატონებო! თუკი თხუთმეტწლიანი შესვენების შემდეგ თქვენ ისევ მოგიწვიეთ, რათა განვიხილოთ ამ შუალედმა ფსიქოანალიზში რა სიახლე მოიტანა, ალბათ, საუკეთესო ესაა უფრო მეტად, ვიდრე სავსებით გამართლებული თვალსაზრისი, პირველად ყურადღება მივაპყროთ სიზმრის მოძღვრების მდგომარეობას. ფსიქოანალიზის ისტორიაში სიზმრის მოძღვრება იჭერს განსაკუთრებულ ადგილს, აღნიშნავს შემობრუნების წერტილს. მას შემდეგ, რაც აღნიშნულით ანალიზმა საბოლოდ გადადგა ფსიქოთერაპიული მეთოდიდან სიღრმის ფსიქოლოგიისაკენ, სიზმრის მოძღვრება ეგრევე დარჩა ახალგაზრდა მეცნიერების ყველაზე უფრო დამახასიათებელ და საკუთრივ მომენტად, რომლის სპირისპირო სხვა ჩვენს ცოდნაში არაა; ესაა ყამირი, ხალხის რწმენა და მისტიკა რომ გამოიწვია. მის მიერ წამოყენებულმა მტკიცებათა უცხოობამ მას მიანიჭა შიბოლეტის* როლი, რომლის გამოყენებამ გადაწყვეტა, ვინ შეიძლებოდა გამხდარიყო ფსიქოანალიზის მომხრე და ვისთვის დარჩა იგი საბოლოოდ მიუწვდომელი. თვითონ ჩემთვის ის საიმედო დასაყრდენი იყო იმ მძიმე დროში, ვინაიდან ნევროზების შეუმეცნებელი საქმის ვითარება ჩემს უჩვეულო მსჯელობას არ ღვევდა. ხშირად ვეჭვობდი ჩემი მერყევი შემეცნების სისწორეშიც, როცა ვაღწევდი უაზროდ არეული სიზმრის გაღაქცევას კონკრეტულ და გასაგებ სულიერ პროცესად სიზმრის მნახველთან, მაშინ ახლდებოდა ჩემი რწმენა, რომ სწორ გზაზე ვიღექი.

ჩვენთვის სწორედ რომ განსაკუთრებითაა საინტერესო სიზმრის მოძღვრების შემთხვევას მივყვეთ: ერთი მხრით, რა გარდაქმნა

* Schibboleth აღიარების ნიშანი (რედ. შენიშვნა).

განიცადა ამ ინტერვალში ფსიქოანალიზმა, მეორე მხრით, რა წარმატებას მიაღწია თანადროულობის გაგებასა და შეფასებაში. თუმცა ახლა ამის თქმა გამოიწვევს თქვენი იმედის გაცრუებას ორივე მიმართულებით.

თუ ჩემთან ერთად გადაფურცლავთ "(საექიმო) ფსიქოანალიზის ცენტრალური ჟურნალის" წლიურ კომპლექტს, რომელშიც 1913 წლიდან ჩვენს სფეროში ავტორიტეტულ ნაშრომებს აერთიანებს, ადრინდელ, ტომებში თქვენ ნახავთ მუდმივ რუბრიკას – "სიზმრის ინტერპრეტაციისათვის" – მდიდარი სტატიებით სიზმრის მოძღვრების სხვადასხვა მომენტს რომ ეხება. მაგრამ რაც შორს მიდიხართ, მით უფრო იშვიათია ასეთი სტატიები და ბოლოს მუდმივი რუბრიკა სრულიად ქრება. ანალიტიკოსები ისე იქცევიან, თითქოს სიზმრის მოძღვრებაზე მეტი არაფერი ჰქონდეთ სათქმელი, თითქოს სიზმრის მოძღვრება დასრულებულიყოს. როცა მათ ეკითხებიან, რა მიიღეს სიზმრის ინტერპრეტაციიდან მისგან შორს მდგომებმა, მრავალი ფსიქიატრი და ფსიქოთერაპევტი, რომლებიც ჩვენით საზრდოობენ – თუმცა მადლიერნი არ არიან სტუმრობისათვის – ე.წ. განათლებულნი, რომლებიც მეცნიერების თვალში საცემ შედეგებს ითვისებენ, ედიტორატორები დ ფართო საზოგადოება, პასუხობენ ნაკლებ დამაკმაყოფილებლად. საერთოდ ზოგიერთი ფორმულა ცნობილი გახდა, მაგ შორის ისეთები, რომლებიც ჩვენ არასდროს დაგვიცავს, როგორიცაა დებულება – ყველა სიზმარი სექსუალური ბუნებისაა. ეს სწორედ ისეთივე მნიშვნელოვანი ვითარებაა, როგორიცაა პრინციპული განსხვავება სიზმრის მანიფესტურ შინაარსსა და სიზმრის ლატენტურ აზრებს შორის: შეხედულება, რომ შიშის სიზმრები არ ეწინააღმდეგებიან სიზმრის სურვილის ასრულებად ფუნქციას; შეუძლებლობა სიზმარს მისცე ინტერპრეტაცია, როცა არ გაქვს სიზმრის მნახველის საზიარო ასოციაციები; უპირველეს ყოვლისა კი – შემეცნება, რომ სიზმართან არსებითი სიზმრის მუშაობის პროცესია. ყველაფერი ეს ზოგად ცნობიერებას ეჩვენება ჯერ კიდევ დახლოებით ისე უცხოდ, როგორც ეს იყო ოცდაათი წლის წინათ. მე უფლება მაქვს ასე ვთქვა, ვინაიდან ამ დროის მანძილზე ურიცხვი ბარათი

* ლაპარაკია ზ. ფროიდის წიგნზე Traumdeutung, რომელიც გამოვიდა 1900 წელს (რედ. შენიშვნა).

მივილე, რომელთა ავტორები სიზმრებს გვთავაზობენ ინტერპრეტაციისათვის და ამტკიცებენ, რომ მათ წაიკითხეს "სიზმრის ინტერპრეტაცია". მიუხედავად ამისა, მაინც ყველ წინადადებაში ჩანს მათგან გაუგებრობა ჩვენი სიზმრის მოძღვრებისა. ამან არ უნდა შეგვაჩეროს ჩვენ ერთხელ კიდევ კავშირში ვაჩვენოთ ის, რაც ვიცით სიზმრის შესახებ. წინა ლექციათა მთელი რიგი იმისთვის გამოვიყენეთ, რომ გვეჩვენებინა, თუ როგორ მივაღწიეთ აქამდე აუხსნელი სულიერი ფენომენის გაგებას.

როცა ვინმე, მაგალ., პაციენტი ანალიზის დროს თავისი სიზმრებიდან რომელიმე ერთს გვამცნობს, ვუშვებთ, რომ ჩვენ ამით რაღაც გაუწყა, რისთვისაც ის ანალიზურ მუშაობაში მონაწილეობით ვალდებული იყო, თუმცა შეტყობინება შეუფერებელი საშუალებებით, რადგან სიზმარი თავისთავად არაა სოციალური გამოსულება, არც გაგების საშუალებაა. ვერც იმას ვიაზრებთ, თუ სიზმრის მნახველს რა უნდოდა ეთქვა და ეს, უკეთ რომ ვთქვათ, თვითონაც არ იცის. ახლა სწრაფად ვაწყდებით გადაწყვეტას: ან სიზმარი, როგორც ამას არაანალიტიკოსი ეჭიმები გვარწმუნებს, იმის ნიშანია, რომ სიზმრის მნახველს ცუდად ეძინა, რომ მისი ტვინის ყველა ნაწილი ერთნაირად არ ისვენებდა, რომ ცალკეული ადგილი, უცნობი გამღიზიანებლის გავლენის ქვეშ მყოფი, მუშაობას განაგრძობდა, რაც ეს ხდებოდა ძალზე არასრულყოფილად და თუკი ეს ასეა, მაშინ უფლება გვაქვს ღამის დარღვევის ფსიქიკურად არაღირებული პროდუქტით შემდგომ აღარ დავსაქმდეთ, ვინაიდან რას უნდა ველოდეთ გამოსადეგს მისი გამოკვლევით ჩვენი განზრახვებისათვის? მაინც შევნიშნავთ, თავიდან სხვაგვარად ვწყვეტდით ჩვენ – დავუშატებთ, სწორედ ნებსით – ვარაუდი დავუშვით, პოსტულატი წამოვაყენეთ, რომ ეს გაუგებარი სიზმარიც სრულფასოვანი უნდა იყოს, აზრისა და ღირებულების მქონე ფსიქიკური აქტი, რომელიც შეიძლება ანალიზში გამოვიყენოთ სხვა შეტყობინების დასრად. სწორი ვართ თუ არა, ეს შეუძლია აჩვენოს მხოლოდ ცდის შედეგებმა, თუკი მივაღწევთ სიზმრის ასეთი ღირებულების მქონე გამოსახვად გადაქცევას, მაშინ, ცხადია, გვჭონია სიახლის გამოცდილების პერსპექტივა თავისებური სახის ცნობების მიღებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენთვის ის მიუდგომელი დარჩებოდა.

მაგრამ ჩვენ წინ წამოიჭრება ჩვენი ამოცანების სიძნელეები და ჩვენი თემის გამოცანა. როგორ მივაღწიოთ იმას, რომ სიზმარი ასეთ ნორმალურ ცნობებად (შეტყობინებად) გადავაქციოთ და როგორ ავხსნათ ის, რომ პაციენტის ცნობების ერთმა ნაწილმა მისთვისაც და ჩვენთვისაც ერთნაირად გაუგებარი ფორმა მიიღო?

ქალბატონებო და ბატონებო, ხედავთ, რომ მე ამჯერად არა გენეტური, არამედ დოგმატური გადმოცემის გზას მივყვები. ჩვენი პირველი ნაბიჯი გადადგმულია ჩვენს ახალ განწყობაში სიზმრის პრობლემისადმი ორი ახალი ცნების, ტერმინის შემოტანით. რასაც სიზმარი უწოდეს, მას სიზმრის ტექსტს, ან **მანიფესტურ** სიზმარს ვეტყვით და რასაც ვეძებთ, ასე რომ ვთქვათ, სიზმარს უკან ვუშვებთ, მას სიზმრის **ლატენტურ** აზრებით ალვნიშნავთ. მაშინ შეგვიძლია ჩვენი ორივე ამოცანა შემდეგნაირად გამოვთქვათ: ჩვენ მანიფესტური სიზმარი ლატენტურში გადაგვყავს და მივუთითებთ სიზმრის მზღვველის სულიერ ცხოვრებაში უკანასკნელი როგორ იქცევა პირველად. პირველი ნაწილი პრაქტიკული ამოცანაა, **სიზმრის ინტერპრეტაციის** წილხვედრია ტექნიკის გამოყენება; მეორე თეორიულია, მან უნდა ახსნას **სიზმრის მუშაობის** დაშვებული პროცესი და შეუძლია იყოს მხოლოდ თეორია. ორივე, სიზმრის ინტერპრეტაციის ტექნიკა და სიზმრის მუშაობის თეორია, ახლიდანაა შესაქმნელი.

რომელი ნაწილით უნდა დავიწყოთ? ვფიქრობთ, სიზმრის ინტერპრეტაციის ტექნიკით; ეს უფრო პლასტიკური შედეგის მომცემია და თქვენ ცხოველ შთაბეჭდილებას შეგიქმნით.

მაშ, პაციენტი მოგვიყვა სიზმარს, რომელსაც ინტერპრეტაცია უნდა მივცეთ. ვუსმენთ ისე, რომ მასზე არ ვაზროვნებთ. რას ვაკეთებთ უპირველეს ყოვლისა? მოსმენილზე, **მანიფესტურ** სიზმარზე, შეძლებისდაგვარად ნაკლებად ვიწუხებთ თავს. ბუნებრივია, აღნიშნული მანიფესტური სიზმარი აჩვენებს ყოველნაირ ბუნებას, რომლებიც ჩვენთვის სულ განურჩეველი არაა. ის შეიძლება იყოს ისე ჰარმონიული, როგორც პოეზიაა, ან გაუგებრად დახლართული ბოდვის მსგავსად, შეიძლება შეიცავდეს აბსურდულ ელემენტებს, ან ხუმრობებს და მოჩვენებითად მახვილ დასკვნებს; ის შეიძლება სიზმრის მნახველს მოევლინოს ნათლად და ზუსტად, ან მკრთალად ან ბუნდოვნად; მისმა სურათებმა შეიძლება აჩვენონ აღქმის სრული

გრძნობადი სიძლიერე, ან ჩრდილოვანი იყოს ისე, როგორც მსუბუქ სუნთქვა. იმავე სიზმარში შეიძლება ინახოს განსხვავებული ხასიათები ერთად თავმოყრილი, ან სხვადასხვა ადგილზე განაწილებული; და ბოლოს, სიზმარს შეუძლია აჩვენოს ინდიფერენტული გრძნობითი ტონი, ანდა უძლიერესი მხიარული, ან აუტანელი თანდართული აღგზნებები. არ იფიქროთ, რომ ჩვენ მანიფესტურ სიზმართან ან უსასრულო მრავალფეროვნებაში არაფერს არ ვაქცევდეთ ყურადღებას. მოგვიანებით მას დავუბრუნდებით და მასთან ძალზე ბევრს ვნახავთ ინტერპრეტაციისათვის გამოსაყენებელს, მაგრამ ახლა მას განზე ვტოვებთ და ვირჩევთ ძირითად გზას, რომელსაც მივყავართ სიზმრის ინტერპრეტაციასთან. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მოვუწოდებთ სიზმრის მნახველს ასევე განთავისუფლდეს მანიფესტური სიზმრის შთაბეჭდილებებისაგან, ყურადღება მიმართოს მხოლოდ ანად სიზმრის შინაარსის ცალკე ნაწილებზე და რიგის მიხედვით გვამცნოს, თუ რა აზრები მოდის უეცრად თავში ყოველ ცალკე ნაწილთან, რა ასოციაციები აქვს, როცა ის მათ ცალკეულად თვალს მიაპყრობს.

ხომ სწორია, რომ ესაა განსაკუთრებული ტექნიკა – არაჩვეულებრივი სახისა, ცნობებისა და ჩვენების დამუშავება? ის ასევე გამოცნობაა, რა თქმა უნდა, რომ ამ მეთოდის უკან იმალება წანამძღვრები, რომლებიც ჯერ კიდევ გამოუთქმელია. წავიდეთ წინ: როგორი თანმიმდევრობით ეძლევა ნება პაციენტს მოჰკიდოს ხელი თავისი სიზმრის ნაწილებს? არსებობს მრავალი გზა. უბრალოდ, შეგვიძლია მივყვეთ ქრონოლოგიურ რიგს, როგორც ეს სიზმრის მოყოლისასაა. ესაა, ასე რომ ვთქვათ, უმკაცრესი, კლასიკური მეთოდი. ანდა შეგვიძლია სიზმრის მხილველს მივუთითოთ, სიზმარში პირველად მოძებნოს **დღის ნარჩენები***, ვინაიდან გამოცდილებამ გვასწავლა, რომ თითქმის ყველა სიზმარში შემოდის მოგონების ნარჩენები, ან სიზმარში დღის შემთხვევების გადაკრული თქმა, ხშირად მრავლისაც, და როცა მივყვებით ამ დაკავშირებებს, ხშირად ვნახულობთ უეცარ გადასვლას მოჩვენებითად შორეული სიზმრის სამყაროდან პაციენტის რეალურ ცხოვრებაზე. ანდა მოვუწო-

* Tagesreste, ის შინაარსები, რომლებიც ფსიხიზლობიდან შემოგვრჩა (რედ. შენიშვნა).

ვებთ მას სიზმრის შინაარსის იმ ელემენტით დაიწყოს, რომელიც თავისი განსაკუთრებული სიცხადითა და გრძნობადი სიძლიერით თვალშია საცემი. სახელდობრ, ჩვენ ვიცით, რომ მისთვის აღნიშნულთან (შინაარსთან) განსაკუთრებით ადვილი იქნება ასოციაციის მიცემა. განსხვავებას არ ქმნის ის ვითარება, თუ ამ სახელთაგან რომლით ვუახლოვდებით საძიებელ ასოციაციებს, და მაშინ მივიღებთ ამ ასოციაციებს. მათ მოაქვთ მეტად განსხვავებული სახის მასალა: გუშინდელი დღის მოგონებები, სიზმრის დღის მოგონებები, მოგონებები დიდი ხნის წარსულ დროთა, ფიქრები, დისკუსიები ფასტურისა და უარყოფისა, აღიარებანი და ცნობები. ზოგიერთი მათგანი გასაღებია პაციენტისათვის, სხვების წინაშე მას წამიერად სიტყვა უწყდება. ბევრი აჩვენებს ნათელ დამოკიდებულებას სიზმრის ელემენტებისადმი. საკვირველიც არაა, ისინი ხომ ამ ელემენტებიდან ამოდიან; მაგრამ ისეც ხდება, რომ პაციენტი მათ წაუძღვარებს: ამას იმიტომ ვამბობ, რადგანაც აზრად მომდისო.

უსმენ რა ამ უეცრად აზრად მოსულის სისავსეს, მალე ამჩნევ, რომ მას სიზმრის შინაარსთან უფრო მეტი საერთო აქვს, ვიდრე მხოლოდ ამოსავალ წერტილებს. ისინი მოულოდნელად ნათელს ხდიან სიზმრის ყველა ნაწილს, ამოავსებენ მათ ყველა ბარვეზს, გასაგებს ხდიან მათ უცნაურ თანაწყობას. საბოლოოდ ნათელი უნდა გახდეს მიმართება მათსა და სიზმრის შინაარს შორის. სიზმარი მოჩანს როგორც შემცირებული ამონაკრები ასოციაციებიდან ჯერ კიდევ ჩვენთვის მიუწვდომელი წესების მიხედვით წარმოშობილი, მისი ელემენტები კი – როგორც არჩევით წარმოშობილი რეპრეზენტატები სიმრავლისა. უეჭველია, ჩვენი ტექნიკით გვაქვს მიღებული, რაც სიზმრითაა შენაცვლებული და რითაც უნდა მოინახოს სიზმრის ფსიქიკური ღირებულება, რასაც მეტად ალარ აჩვენებს სიზმრის საკვირველი თავისებურება, მისი უცხო ბუნება, დახლართულობა.

არავითარი გაუგებრობა! სიზმრის მიმართ ასოციაციები ჯერ კიდევ არაა სიზმრის ლატენტური აზრები. აღნიშნულნი ასოციაციებში ისეა, როგორც დედის საშოში, მაგრამ მაინც არაა საკმარისად შემცველი. ერთი მხრივ, ასოციაციებს მოაქვთ მასალებით მეტი, ვიდრე ეს საჭიროა სიზმრის ლატენტური აზრე-

ბის ფორმულირებისათვის, სახელდობრ, ყველა გადმოცემა, გაღა
ვლა, დაკავშირება. რომლებიც პაციენტის ინტელექტმა სიზმრის
აზრებთან მიახლოების გზაზე უნდა განახორციელოს, მეორე მხრით
ასოციაცია ხშირად საკუთრივ სიზმრის აზრების წინაშე ჩერდება
მხოლოდ უახლოვდება, მხოლოდ გადაკვრით ეხება მათ, ჩვენ აქ
ავტომატურად ვერევით, ვავსებთ გადაკვრით მითითებულს, გამოგ
ვყავს უცილობელი დასკვნები, გამოვთქვამთ იმას, რასაც პაციენტ
მხოლოდ შეეხო თავის ასოციაციებში. ისე ჟღერს, თითქოს ჩვენი
გონების სიმკვირცხლესა და თვითნებობას ვცდიდეთ მასალაზე, რა
საც სიზმრის მხილველი ჩვენს განკარგულებაში გადმოგვცემს და
მას ბოროტად ვიყენებდეთ იმდენად, რამდენადაც პაციენტის გამოთ
ქმებში ის ინტერპრეტაცია შევიტანოთ, რაც მისგან არ გამომდინა
რეობს; არც ისაა ადვილი, ჩვენი ღონისძიებების კანონიერება დაუ
საბუთოთ აბსტრაქტული გადმოცემით. მაგრამ თვითონვე მიმართეთ
სიზმრის ანალიზს ან ჩაუღრმავდით ჩვენს ლიტერატურაში კარგად
აღწერილ მაგალითს და დარწმუნდებით, როგორ მაიძულებლად
მიმდინარეობს ინტერპრეტაციის სამუშაო.

როცა სიზმრის ინტერპრეტაციის დროს საერთოდ, და პირველ
რიგში, დამოკიდებულნი ვართ სიზმრის მხილველის ასოციაციებზე,
სიზმრის შინაარსის გარკვეულ ელემენტებს სავსებით დამოუკიდებ
ლად ვეძიებით, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ჩვენ უნდა,
როგორც წესი, მათთან ასოციაციები უარვყოთ. ჩვენ ადრევე შეი
ნიშნეთ, რომ მუდამ ერთი და იგივე შინაარსებია, რომლებთანაც
ამას ვაწყდებით; ისინი ბევრი არ არიან და დაგროვილმა გამოცდი
ლებამ გვასწავლა, რომ ისინი, როგორც სიმბოლოები, სხვაგვარად
უნდა იქნენ გაგებულნი და ინტერპრეტირებულნი. სიზმრის სხვა
ელემენტებთან შედარებით უფლება გვაქვს მათ მივაწეროთ დადგე
ნილი მნიშვნელობა, მაგრამ ისეთი, რომლებიც არ საჭიროებენ ერ
თმნიშვნელობას, რომელთა მოცულობა განსაზღვრულია განსაკუთ
რებული, ჩვენთვის უჩვეულო წესებით. ვინაიდან ამ სიმბოლოებს
ჩვენ თარგმანით ვგებულობთ, ხოლო სიზმრის მხილველი – ვერა,
თუმცა ის მათ თვითონ გამოიყენებს, შეიძლება მოხდეს, რომ სიზ
მრის ტექსტის მოსმენისთანავე სიზმრის აზრი ჩვენთვის უშუალოდ
ცხადი იყოს სიზმრის ინტერპრეტაციის ყოველ მცდელობამდე მა-

მინ, როცა თვითონ სიზმრის მხილველი ჯერ კიდევ გამოცანის წინაშე იდგეს. მაგრამ სიმბოლიკაზე, მათ შესახებ ჩვენ ცოდნაზე, მისით შემოთავაზებულ პრობლემებზე უკვე ადრეულ ლექციებში ისე ბევრი გიამბეთ, რომ მათ დღეს აღარ გავიმეორებ.

მაშასადამე, ესაა სიზმრის ინტერპრეტაციის ჩვენი მეთოდი. შემდეგი უფლებამოსილი კითხვა იქნება: შეიძლება თუ არა მისი დახმარებით ყველა სიზმრის ინტერპრეტაცია? პასუხი: არა, ყველასი არა, მაგრამ მაინც იმდენის კი, რომ მეთოდის გამოყენება და გამართლება საიმედო იყოს. რატომ ყველასი არა? ახალმა პასუხმა მნიშვნელოვანი რამ გვასწავლა, რასაც უკვე მივყავართ სიზმრის წარმოქმნის ფსიქიკურ პირობებთან: ვინაიდან სიზმრის ინტერპრეტაციის მუშაობა ხორციელდება წინააღმდეგობის გაწევის საპირისპიროდ, რომელიც ვარიაციას განიცდის უხილავი სიღრმიდან გადაულახავამდე – ყოველ შემთხვევაში ჩვენი შესატყვისი ძალის საშუალებათათვის, ამ წინააღმდეგობის გამოვლენა შეიძლება ინახოს მუშაობის დროს. სიზმრის ზოგიერთ ადგილას ასოციაციები მოცემული არიან ურყევად და უკვე უეცრად თავში მოსულ პირველ ან მეორე აზრს მოაქვს ახსნა. სხვა შემთხვევაში პაციენტს სიტყვა უწყდება და აყოვნებს, სანამ ასოციაციას იტყოდეს და შემდეგ ხშირად ვისმენთ თავში უეცრად მოსული აზრების გრძელ ჯაჭვს, სანამ სიზმრის გაგებისათვის რაიმე ვარგისს მივიღებდეთ. რაც უფრო გრძელია და შემოვლითი ასოციაციის ჯაჭვი, მით ძლიერია წინააღმდეგობა, ამას ალბათ სწორად ვუიქრობთ. სიზმრების დაიწყებაშიც ვგრძნობთ იგივე ზემოქმედებას. საკმაოდ ხშირად გვხვდება, რომ პაციენტს, მიუხედავად ყველა მცდელობისა, თავისი სიზმრის მოგონება ალარ შეუძლია. მას შემდეგ, რაც ანალიზური მუშაობით სიძნელეს ჩამოვიშორებთ, რომელიც ანალიზთან დამოკიდებულებაში ხელს უშლიდა პაციენტს, უმალ ისევ მოგვევლინება დავიწყებული სიზმარი. ამასვე ეკუთვნის ორი სხვა დაკვირვება. ძალზე ხშირად ხდება, რომ სიზმრისაგან, უპირველეს ყოვლისა, ნაწილია დაკარგული, რომელიც შემდეგ მას, როგორც დამატება, ერთვის თან. ეს უნდა გავიგოთ, როგორც ცდა ამ ნაწილის დავიწყებისა; გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სწორედ ეს ნაწილია უმნიშვნელოვანესი; ჩვენ ვუშვებთ, რომ მის ცნობებას ძლიერი წინააღ-

მდეგობა ჰქონდა სხვებთან შედარებით. შემდეგ ჩვენ ხშირად ვხ
დავთ, რომ სიზმრის მხილველი თავისი სიზმრების დავიწყები
საწინააღმდეგოდ მუშაობს მაშინ, როცა ის სიზმარს უშუალო
გაღვიძებისთანავე ჩაიწერს ხოლმე. შეგვიძლია მათ ვუთხრათ, რომ
ეს საჭირო არაა ვინაიდან წინააღმდეგობა, რომელსაც სიზმრის
ტექსტის შენახვა დაეგალა, გადაიწევს შემდეგ ასოციაციაზე და
მანიფესტურ სიზმარს აქცევს მიუწვდომლად ინტერპრეტაციისა-
ვის. ასეთ მიმართებაში არ უნდა გაგვიკვირდეს წინააღმდეგობის
შემდგომი მატება, რომ თრგუნავს საერთოდ ასოციაციებს და ამით
სიზმრის ინტერპრეტაციას ჩაშლის.

ყველაფერი ამისგან გამოგვყავს დასკვნა, რომ სიზმრის ინტერ-
პრეტაციის პროცესში შემჩნეული წინააღმდეგობა მონაწილეობას
უნდა ღებულობდეს სიზმრის აღმოცენების დროსაც. გადაჭრით უნ-
და განსხვავდეს სიზმრები, რომლებიც აღმოცენებულია წინააღმდე-
გობის მცირე და დიდი დაწოლის შემთხვევებში. მაგრამ ეს დაწო-
ლა მონაცვლეობს ასევე იმავე სიზმრის შიგნით, ადგილიდან ად-
გილზე. მას მიუძღვის ბრალი ხარვეზებში, არასიცხადეში, დახლარ-
თულობაში; წინააღმდეგობის დაწოლას ძალა შესწევს დაარღვიოს
უმნიშვნელოვანესი სიზმრის კავშირი.

რას აღწევს და რისი საპირისპიროა წინააღმდეგობა? წინაა-
მდეგობა ჩვენთვის სანდო ნიშანია კონფლიქტისა. უნდა იყოს გარ-
კვეული ძალა, რასაც ნებავს რაღაცის გამოსახვა და მეორე ძალა,
რომელიც ეწინააღმდეგება ამ გამოსახვის დაწყებას. რაც შემდეგ
წარმოიშობა მანიფესტური სიზმრის სახით, მას შეუძლია ყველა
გადაწყვეტილების შეჯამება, რასთანაც ორი მისწრაფების ეს ბრძო-
ლა კონცენტრირებულია. ერთ ადგილზე ძალას შეუძლია იმას მი-
აღწიოს, რომ გამოთქვას ის, რისი თქმაც ნებავდა, მეორე ადგილზე
საწინააღმდეგო ინსტანცია აღწევს იმას, რომ განზრახული ცნობე-
ბი სავსებით ჩაახშოს, მოსპოს, ანდა რაღაცით შეცვალოს, რაც მის
კვალს არ გასცემს. ყველაზე ხშირად და სიზმრის აღმოცენების
უმრავლეს შემთხვევაში დამახასიათებელია მოვლენები, რომლებ-
შიც კონფლიქტი მთავრდება კომპრომისით, ასე, რომ, გულღია
ინსტანციას ნამდვილად შეეძლო ეთქვა ის, რაც მას ნებავდა, მაგ-
რამ არა ისე, როგორც მას ეს უნდოდა, არამედ მხოლოდ შერბილე-

ბულად, დამახინჯებულად და ვერსაცნობად. მაშასადამე, თუკი, სიზ-
მარი არაერთგულად გადმოსცემს სიზმრის აზრებს, თუკი ის მო-
ითხოვს ინტერპრეტაციის სამუშაოს, რათა უფსკრული ამოავსოს
მათ შორის, ეს შედეგია საწინააღმდეგო მისწრაფებისა, შემკავებე-
ლი და შემზღუდავი ინსტანციისა, რაც დავასკვენით სიზმრის ინ-
ტერპრეტაციის დროს წინააღმდეგობის აღქმიდან. სანამ სიზმარს
გასწავლობდით როგორც იზოლირებულ ფენომენს დამოუკიდებლად
მისი მონათესავე ფსიქიკური წარმონაქმნებისაგან, ამ ინსტანციას
ვუწოდეთ **სიზმრის ცენზორი**.

დიდი ხანია იცით, რომ ეს ცენზურა არაა სიზმრის ცხოვრების
განსაკუთრებული მოწყობილობა, რომ კონფლიქტი ორი ფსიქიკური
ინსტანციისა, რასაც ჩვენ არაზუსტად ავღნიშნავთ, როგორც არაც-
ნობიერ განდვინილსა და ცნობიერს, საერთოდ ჩვენ სულიერ ცხოვ-
რებას ფლობს და რომ წინააღმდეგობა საპირისპიროდ სიზმრის
ინტერპრეტაციისა, ნიშანი სიზმრის ცენზურისა, სხვა არაფერია,
თუ არა განდევნის წინააღმდეგობა, რითაც ის ორივე ინსტანცია
ერთმანეთისაგან გამოიყოფა, ისიც იცით, რომ განსაზღვრულ პირო-
ბებში მათი კონფლიქტიდან სხვა ფსიქიკური წარმონაქმნები წარ-
მოსდგებიან, რომლებიც ისევე როგორც სიზმარი კომპრომისების
შეღეგია და არ ვსაჭიროებთ აქ ყველფერი, რაც ნევროზების მოძ-
ღვრების შესავალშია, თქვენ წინაშე გავიმეორო, რათა გიჩვენოთ,
თუ რა ვიცით ასეთი კომპრომისის ფორმირების პირობების შესა-
ხებ. გაიგეთ, რომ სიზმარი პათოლოგიური პროდუქტია, პირველი
წევრია იმ რიგისა, რომელიც მოიცავს ისტერიულ სიმპტომს, მაი-
ძულებელ წარმოდგენას, ბოდვით იდეას, მაგრამ სხვების წინაშე
გამორჩეულია თავისი სიმსუბუქით და თავისი აღმოცენებით იმ
მიმართებებში, რომლებიც ნორმალურ ცხოვრებას განეკუთვნება,
ვინაიდან იმ შეხედულებისა ვართ, რომ სიზმრის ცხოვრება, რო-
გორც ჯერ კიდევ არისტოტელემ თქვა, ის სახეზეა, თუ როგორ
მუშაობს ჩვენი სულის ძილის მდგომარეობაში. ძილის მდგომარეობა
ქმნის რეალური გარესამყაროსაგან შემობრუნებას და ამით მოცე-
მულია პირობა ფსიქოზის განვითარებისათვის. სერიოზული ფსიქო-
ზების გულმოდგინე შესწავლამ ვერ აღმოგვაჩენინა თვისება, რომე-
ლიც აღნიშნული ავადმყოფობის მდგომარეობისათვის უფრო დამა-

ხასიათებელი იქნებოდა. მაგრამ ფსიქოზში რეალობიდან შემობრუ-
ნება ორი რამითაა გამოწვეული: ან იმით, რომ არაცნობიერი
განდევნილი ზეძლიერია, ასე რომ ის რეალობაზე დამოკიდებულ
ცნობიერს ძლევს, ანდა რეალობა ისე აუტანელ მწუხარებად ქცევ-
ლა, რომ მუქარის ქვეშ მყოფი **მე** საკუთარ თავს ხელში უგდებს
არაცნობიერ ლტოლვას საეჭვო წინააღმდეგობის გაწევაში. უნდა
სიზმრის ფსიქოზი შედეგია ცნობიერი ნდომისა, გარე სამყაროდან
მხოლოდ დროებით ჩამოშორებისა და ის ასევე ქრება გარე სამყა-
როსთან მიმართებების აღდგენასთან ერთად. მძინარის იზოლირების
განმავლობაში აღდგება ავრეთვე ცვლილება მისი ფსიქიკური ენერ-
გიის განაწილებაში; განდევნის დანახარჯის ერთი ნაწილი, რომე-
ლიც ჩვეულებრივ მოიხმარება არაცნობიერის შეკავებისათვის, შეი-
ლება დაგროვდეს, ვინაიდან, თუკი აღნიშნული თავის შეფარდებით
განთავისუფლებას ასევე აქტივობისათვის მოიხმარს, ნახულობს რა
გზას მოძრაობისაკენ დახშულს, უსაფრთხო ჰალუცინატორული და
მაყოფილებისაკენ თავისუფალი გზით მიედინება. ახლა შეიძლება
სიზმრის შექმნა; მაგრამ სიზმრის ცენზურის ფაქტი აჩვენებს, რომ
ძილის დროსაც რჩება ჯერ კიდევ საკმაო განდევნის წინააღმდეგობა.

აქ გზა გვეხსნება საკითხზე პასუხის გასაცემად – აქვს თუ არა
სიზმარს ფუნქცია, საჭირო საქმიანობა თუ ევალება მას. არამარ-
ზიდველი სიმყუდროვე, რომელსაც ძილის მდგომარეობა ალადგენს,
მას სამი მხრიდან ემუქრებიან: უფრო მეტად ძილის დროს შემ-
თხვევითი გარეგანი გაღიზიანებებით და დღის ინტერესებით, რომ-
ლებიც არ თავდება; აუცილებლად დაუკმაყოფილებელი განდევნილი
ლტოლვების წაქეზებით, რომლებიც გამოვლენის შემთხვევას უც-
დიან; განდევნის ღამით შემცირების შედეგად იქმნება საშიშროება,
რომ ძილის სიმშვიდე ყოველთვის დაირღვევა, როგორც კი გარეგა-
ნი ან შინაგანი ბიძგი დაუკავშირდება არაცნობიერი ლტოლვის
ერთ-ერთ წყაროთაგანს. ამგვარი თანამოქმედების პროდუქტს სიზ-
მრის პროცესი რთავს უწყინარ პალუცინატორულ განცდაში და
ასე უზრუნველყოფს ძილის გაგრძელებას. ამ ფუნქციას არ ეწინა-
აღმდეგება ის, რომ სიზმარი შიშის განვითარებისას დროებით აღ-
ვიძებს მძინარეს, მაგრამ ესაა სიგნალი, რომ დარაჯი სიტუაციას
საშიშად თვლის და არ ჯერა მისი დაძლევისა არც თუ ისე იშვი-

ათად, ჯერ კიდევ ძილში გვესმის დამშვიდება, რომელსაც უნდა
დაიცვას გაღვიძებისაგან მძინარე: ეს ხომ მხოლოდ ძილიაო!

ქალბატონებო და ბატონებო, თქვენთვის ეს მინდოდა მეთქვა
სიზმრის ინტერპრეტაციის შესახებ, რომლის ამოცანაა, მანიფეს-
ტური სიზმრიდან მივიდეთ სიზმრის ლატენტურ აზრამდე. თუ ეს
მიღწეულია, მაშინ პრაქტიკული ანალიზის დროს უპირატესად სიზ-
მრისადმი ინტერესი ამოწურულია. სიზმრის ფორმით მიღებულ
ცნობიერებას რთავენ სხვაში და ანალიზი გრძელდება. ჩვენი ინტე-
რესი მოითხოვს უფრო ხანგრძლივად შეეჩერდეთ სიზმართან; ჩვენ
გვიხიდავს იმ პროცესის შესწავლა, რითაც სიზმრის ლატენტური
აზრები მანიფესტურ სიზმრად იქცევა. ჩვენ მას ვუწოდებთ **სიზმრის
მუშაობას**. გაიხსენეთ, წინა ლექციებში მე ის ისე დაწვრილებით
ვიწერე, რომ დღევანდელ მიმოხილვაში შემოვიფარგლები უმოკ-
ლესი შეჯამებით.

სიზმრის მუშაობის პროცესი რაღაც სავსებით ახალია და უცხო,
რომლის მსგავსი მანამდე ცნობილი არ იყო. მასთან პირველი ნაც-
ნობობა მოხდა იმ პროცესებში, რომლებიც აისახებიან არაცნობიერ
სისტემაში და გვეჩვენა, რომ ისინი სულ სხვანაირნი არიან, ვიდრე
ჩვენ ვიცნობთ ჩვენი ცნობიერი აზროვნებით, რომ ისინი ამ უკანას-
კნელს ეჩვენებიან როგორც გაუგონარნი და მცდარნი. ამ მონაპოვ-
რის მნიშვნელობა შემდგომ იმ აღმოჩენით გაიზარდა, რომ ნევრო-
ტული სიმპტომების შექმნაში იგივე მექანიზმები მოქმედებენ – ვერ
ვბედავთ ვთქვათ: აზროვნების პროცესები – რომლებსაც სიზმრის
ლატენტური აზრები გადაჰყავთ მანიფესტურ სიზმარში.

შემდგომში მე ვერ ავუვლი გვერდს სქემატიზირებული გადმო-
ცემის წესს. დავუშვათ, განსაზღვრულ შემთხვევაში მოვაცილეთ თვა-
ლი ყველა ლატენტურ, მეტად თუ ნაკლებად აფექტურად დატვირ-
თულ აზრებს, რომლებიც განხორციელებული სიზმრის ინტერპრე-
ტაციის გზით მანიფესტურ სიზმარს შეენაცვლება, მაშინ მათ შო-
რის აღმოვაჩენთ განსხვავებას და ეს განსხვავება ჩვენ შორს წაგ-
ვიყვანს. თითქმის ყველა აღნიშნული სიზმრის აზრს სიზმრის მხილ-
ველი აღიარებს და ის მის მიერ იცნობა; ის უმატებს, რომ მან ის
ასე მოიაზრა, ამჯერად თუ სხვა შემთხვევაში, ანდა მას ასე შეეძ-
ლო ეაზროვნა. მხოლოდ ერთეულების დაშვებას ეწინააღმდეგება;

ის მისთვის უცხოა, ალბათ საზიზღარიც კი; შეძლებისდაგვარად მასზე მიუთითებს თავის მხრიდან ენებიანი აღგზნებით; ახლა ცხადი ხდება სხვა აზრების ნაწილებია ცნობიერი, უფრო ზუსტად წინაცნობიერი აზროვნებისა; ისინი ასევე ცხადშიც მოიაზრებოდნენ ალბათ ასევე წარმოქმნილნი არიან დღის განმავლობაში. უკუგდებული აზრები ანდა უფრო სწორად წაქეზებანი სიბნელის ნაშიერია ის ეკუთვნის სიზმრის მხილველის არაცნობიერს. ამიტომაა, რომ ის მის მიერ უარიყოფა და უკუიგდება. ის უნდა დალოდებოდეს განდევნის ღამისეულ შესუსტებას, რათა რაღაცნაირად გამოსახულიყო. ეს გამოსახვა მაინცაა უფრო დასუსტებული, დამახინჯებული, შენიღბული; სიზმრის ინტერპრეტაციის გარეშე მას ვერ ცნობავდით. სხვა უზადო სიზმრის აზრებთან დაკავშირებას უმადლოდეს ეს არაცნობიერი წაქეზება იმ შემთხვევას, როცა უმნიშვნელო შენიღბვით ცენზურის ბარიერს გაცდება. მეორე მხრით, სიზმრის წინაცნობიერი აზრები თვითონ ამ დაკავშირებას უმადლიან ძალას სულიერ ცხოვრებაში. ასევე ძილის დროსაც რომ მუშაობს. არ გვერჩება ეჭვი იმის შესახებ, რომ ეს არაცნობიერი წაქეზება წარმოადგენს სიზმრის საკუთრივ შემქმნელს. ის პოულობს ფსიქიკურ ენერგიას თავისი ფორმირებისათვის. როგორც ყოველი სხვა ლტოლვითი წაქეზება არაფრისკენ არ მიისწრაფვის, თუ არა საკუთარი დაკმაყოფილებისაკენ. და ასევე ჩვენი გამოცდილება სიზმრის ინტერპრეტაციაში აჩვენებს რომ აღნიშნული ყველა სიზმრის აზრის, ყოველ სიზმარში ლტოლვის სურვილით აღსრულებულად უნდა წარმოვადგინოთ. სულიერი ცხოვრების ღამისეული გარემოცვა რეალობის მხრიდან, მისით შესაძლებლად გამხდარი რეგრესია პრიმიტიულ მექანიზმებზე საშუალებას იძლევა რომ ეს სასურველი ლტოლვის დაკმაყოფილება ჰალუცინატორულად აწმყოსავით იქნეს განცდილი იმავე რეგრესიის შედეგად სიზმარში წარმოდგენები გადაიქვანებიან ვიზუალურ სურათებად, სიზმრის ლატენტური აზრები დრამატიზირდება და ილუსტრირდება.

სიზმრის მუშაობის ამ ნაწილიდან ვეცნობით სიზმრის ზოგიერთ უცნაურ და განსაკუთრებულ მახასიათებლებს. ვიმეორებ – სიზმრის წარმოქმნის გზას. შესავალი: ძილის სურვილი, განზრახვით შემობრუნება გარესამყაროსაგან, მისი ორი შედეგი სულიერი აპა-

რატისათვის; ჯერ ერთი, შესაძლებლობა, რომ მასში უფრო ძველი და პრიმიტიული მუშაობის წესი გამოვლინდეს, რეგრესია; მეორეც, დაქვეითება განდევნის წინააღმდეგობისა, რომელიც არაცნობიერს ტყვედ აწევს. ამ უკანასკნელი მომენტის შედეგიდან გამომდინარეობს სიზმრის წარმოქმნის შესაძლებლობა, რომელიც გამოიყენებს შემთხვევებს – ცხოველ შინაგან და გარეგან გაღიზიანებებს. ამგვარად წარმოქმნილი სიზმარი უკვე კომპრომისული წარმოშობისაა. მას ორმაგი ფუნქცია აქვს, ერთი მხრით, ისაა მეობრივი მაშინ, როცა ის ძილის ხელისშემშლელი გაღიზიანების შეწყვეტით ემსახურება ძილის სურვილს, მეორე მხრით, ამ მიმართებებში აკმაყოფილებს განდევნილი ლტოლვის წაქეზებას ჰალუცინატორული სურვილის ასრულების ფორმით. მძინარე, "მე"-სათვის დაშვებული სიზმრის წარმოქმნის მთელი პროცესი დგას ცენზურის პირობების ქვეშ, რომელიც ხორციელდება შენარჩუნებული განდევნის ნარჩენებისაგან. უფრო მარტივად არ შემიძლია პროცესის გაღმოცემა, ვინაიდან ის მარტივი არაა, მაგრამ მე შემიძლია ახლა სიზმრის მუშაობის აღწერა განვაგრძო.

ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ სიზმრის ლატენტურ აზრებს. მისი უძლიერესი ელემენტი განდევნილი ლტოლვის წაქეზება, რომელიც მათში იქმნება შემთხვევით არსებული გაღიზიანებების მიმხრობით და დღის ნარჩენებზე გაღატანით, თუმცა შემცირებული და შენიღბული გამოსახულებით. როგორც ყოველი ლტოლვის წაქეზება, აღნიშნულიც დაწოლას ახდენს დაკმაყოფილებისათვის მოქმედების გზით, მაგრამ ძილის მდგომარეობის ფიზიოლოგიური კეთარებით მისთვის მოძრაობის გზა დახშულია. ის საჭიროებს აღქმისათვის გაიკაფოს უკუმიმართულება და შემოიფარგლოს ჰალუცინაციური დაკმაყოფილებით. სიზმრის ლატენტური აზრები გარდაიქმნებიან, მაშასადამე, სიმბოლოებისა და ვიზუალური სცენების ჯაჭვად. ამ გზაზე მათ ის ემართებათ, რაც გვეჩვენება ახე სიახლედ და საკვირველად. ყველა ენობრივი საშუალება, რომლებითაც გამოითქმება აზრთა ნატიფი მიმართებები, კავშირები და თანდებულები, უღლებისა და ბრუნების ცვლილებები, გამოიტოვება, ვინაიდან მათთვის გადმოცემის საშუალებები არაა; როგორც პრიმიტიულ ენაში გრამატიკის გარეშე გამოისახება აზროვნების მხოლოდ დაუშუშა-

ვებელი მასალა, აბსტრაქტული დაიყვანება მის საფუძველში მდებ
რე კონკრეტულზე, რაც ასეთად რჩება, ადვილად შეიძლება მოგვე
ლინონ ლაუკავშირებლად. ეს შეესატყვისება როგორც სულიერ
აპარატში არქაულ რეგრესიას, ისე ცენზურის მოთხოვნებს, თუმ
გარკვეული ობიექტებისა და პროცესების გადმოცემა სიმბოლურ
ბით, რომლებიც ცნობიერი აზროვნებისათვის უცხოდ გამხდარ
გამოიყენება დიდი რაოდენობით. გარდა ამისა, ხდება სხვა ცვლი
ლებები, რომლებიც სიზმრის აზროვნების ელემენტებს ეხებათ. მა
შორის ისეთნი, რომელნიც რაღაც შეხების წერტილს ნახულობენ
ახალ ერთიანობებს **აშჭიდროებენ**. ხატებში აზრების გადაქცევას
თან მათ უნიჭებათ არაორაზროვნად უპირატესობა, რომლებიც უ
ვებენ ასეთ შეკრებას, შემჭიდროებას; თითქოს იხეთი ძალა მოქმე
დებდეს, რომელიც მასალას პრესავს, ამჭიდროებს. შემჭიდრო
ბის შედეგად შემდეგ მანიფესტურ სიზმარში ელემენტს შეუძლია
შეესატყვისებოდეს სიტყვის ლატენტური აზრების უამრავ ელემენ
ტს; საპირისპიროდაც, სიზმრის აზრის ელემენტსაც შეუძლია მრა
ვალი სურათის სახით წარმოდგეს სიზმარში.

კიდევ უფრო საოცარია სხვა პროცესი **გადაწყვეტა**, ან მახვი
ლის გადატანისა, რომელიც ცნობილია ცნობიერ აზროვნებაში მხო
ლოდ როგორც აზროვნების შეცდომა ანდა მახვილგონიერების სა
შუალება. სიზმრის აზრების ცალკეული წარმოდგენები ეკვივალენ
ტური ღირებულებისა არიან. დამუხტული არიან განსხვავებული
სიდიდის აფექტური მომენტებით, და ამის შესატყვისად ფასდების
მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვნად, ინტერესის ღირსად. სიზ
მრის მუშაობაში ეს წარმოდგენები გამოიყოფიან მათთან დაკავში
რებული აფექტებისაგან; აფექტები თავისთვის ამოიწურებიან, მაი
შეუძლიათ სხვაზე გადაწევა და იქ დარჩენა, ასევე ძალუძთ განიც
დონ გარდაქმნა, საერთოდ არ გამოჩნდნენ სიზმარში. აფექტისაგან
გაშიშვლებული წარმოდგენების მნიშვნელობა სიზმარში ბრუნდება
ისევ, როგორც სიზმრის სურათების გრძნობადი სიძლიერე, მაგრამ
ვამჩნევთ, რომ ალნიშნული მახვილი მნიშვნელოვანი ელემენტები
დან ინდიფერენტულზეა გადასული, ასე რომ, სიზმარში მთავარი
საქმე წინა რიგშია გადმოწეული, რაც სიზმრის აზრებში მხოლოდ
გვერდით როლს თამაშობს და, პირიქით, სიზმრის აზრების არსები

თი ნახულობს სიზმარში მხოლოდ შემთხვევით, ნაკლებად ნათელ
გადმოცემას. სიზმრის მუშაობის არც ერთი სხვა მომენტი იმდენად
არ უწყობს ხელს მას, რომ სიზმრის მხილველისათვის სიზმარი
აქციოს უცხოდ და გაუგებრად. გადაწევა მთავარი საშუალებაა
სიზმრის დამახინჯებისა, რომელიც სიზმრის აზრებს ცენზურის გავ
ლენის ქვეშ უნდა აყენებდეს.

სიზმრის აზრებზე ამ ზემოქმედების შემდეგ სიზმარი თითქმის
მზადაა. აქ მას კიდევ ემატება საკმაოდ არაკონსტანტური მომენტი,
ე წ. მეორეული დამუშავება, რომლის შემდეგ სიზმარი, როგორც
აღქმის ობიექტი, ცნობიერების წინ წარდგება. შემდეგ ჩვენ მას ისე
ვეცნობით, როგორადაც საერთოდ მიჩვეულნი ვართ, აღქმის შინაარ
სებს გადმოვცემთ, ვეძიებთ ხარვეზების ამოვსებას, კავშირების შე
ტანას, ამასთან ხშირად საკმაოდ უხეშ შეცდომას წაშოვაყენებთ.
მაგრამ ეს თითქოსდა ძარაციონალიზირებელი საქმიანობა, დაგვანა
ხებს რა, უკეთეს შემთხვევაში, სიზმარს შეცდომით პირდაპირი
უსადილი, რომელიც მის ნამდვილ შინაარსს არ ერგება. შეიძლება
ასევე ხელიდან გაგვაშვებინოს ან ძალზე ზომიერად გამოგვახაზი
ნოს ძირითადი, მაშინ ყველა თავის უთანხმოებასა და ბზარს ღიად
დატოვებს. მეორე მხრით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სიზმრის
მუშაობაც მუდამ ერთნაირი ენერგიულობით არ მიმდინარეობს, ხში
რად საკმაოდ ხლუდავს თავის თავს მხოლოდ სიზმრის აზრების
გარკვეულ ნაწილზე, სხვები კი უცვლელად გვევლინებიან სიზმარ
ში. შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სიზმარში ვინმეს შეესრულე
ბინოს მახვილი და ურთულესი ინტელექტუალური ოპერაციები,
ეხროვნოს, ენამახვილესიტყვაოს, გადაწყვეტილება მიეღოს, პრობ
ლემები გადაეჭრას, მაშინ, როცა ეს ყველაფერი შეეგია ჩვენი
ნორმალური სულიერი მოქმედებისა, რაც შეიძლება მოხდეს რო
გორც დღისით, სიზმრის წინ, ისე ღამითაც; ამას სიზმრის მუშო
ბასთან არაფერი ესაქმება და მასში სიზმრისათვის არაფერი დამა
ხასიათებელი არ მჟღავნდება. ზედმეტი არაა, ერთხელ კიდევ გაეს
ვას ხაზი დაპირისპირებას, რაც თვითონ სიზმრის აზრების შიგნი
თაა არაცნობიერ ლტოლვის წაქეზებასა და ნარჩენებს შორის.
მაშინ, როცა უკანასკნელნი ჩვენი სულიერი აქტების მრავლანაირო
ბას აჩვენებენ, პირველი – სიზმრის წარმოქმნის საკუთრივი მოტო-

რი, წესზომიერად სურვილის ასრულებით მთავრდება.

ყველაფერი ეს თქვენთვის შემეძლო მეთქვა უკვე თხუთმეტ წლის წინათ; მგონი, მე თქვენ მაშინ ეს ნამდვილად გითხარით კიდეც. ახლა შევკრებ მას, რაც ამ შუალედურ დროში შეიცვალა და ახლებურად იქნა გაგებული.

უკვე მოგახსენეთ, ვშიშობ ნახავთ, რომ ნამდვილად ცოტაა ის, ვერ გაიგებთ იმას, თუ რატომ დაგაკისრეთ თქვენ ორჯერ მოისმინოთ ერთი და იგივე და ეს მე ძითხრათ. მაგრამ ამასობაში თხუთმეტი წელი გავიდა და, ვიმედოვნებ, ამ საზით ადვილად აღვადგენ კონტაქტს თქვენთან. იმის ელემენტარული ამბებიც, რომლებიც ფსიქოანალიზის გაგებისათვის ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობისა არიან, რომ სიამოვნებით შეგვიძლია მოვისმინოთ მეორეჯერ; და ისინი რომ ახლად დარჩნენ თხუთმეტი წლის შემდეგ, თავისთავად ცხადია შესწავლისა.

ამ დროს ლიტერატურაში ნახავთ დიდი რაოდენობით დაბეჭდილ ტურებასა და დეტალურ გადმოცემას იმისას, რის შესახებაც მხოლოდ ნიმუშის მოკლედ მქონდა განზრახული, ამასთან ასევე შეიძლია მოვიტანო ზოგი რამ ადრევეც ცნობილი. უპირატესად ეს ეხება სიზმარში სიმბოლიკას და სიზმრის გადმოცემის სხვა წესებს. არც თუ დიდი ხნის წინათ ერთ ამერიკულ უნივერსიტეტში მედიკოსებმა ეჭვი გამოთქვეს ფსიქოანალიზის მეცნიერულობაში იმ საფუძველით, მისთვის ექსპერიმენტული დასაბუთება მიუწვდომელიაო. იგივე შეიძლო ეთქვათ ასტრონომიის მიმართაც. ექსპერიმენტის ჩატარება ციურ სხეულებზე განსაკუთრებით ძნელია. აქ დაკვირვების ამარა ვრჩებით. და მაინც სწორედ კენელმა მკვლევარმა დასაწყისი მისცა ჩვენი სიზმრის სიმბოლიკის ექსპერიმენტულ დადასტურებას. დოქტორმა **შროტერმა** (Schrotter) უკვე 1912 წელს იპოვა, რომ როცა ღრმად ჰიპნოტიზირებულ პირებს აცალებენ იოცნებონ სექსუალურ პროცესებზე, მაშინ ამგვარ პროვოცირებულ სიზმარში ვლინდება სექსუალური შინაარსი, რომლებიც შენაცვლებულია ცნობილი სიმბოლოებით. მაგალ., ერთ ქალს დააკელეს, იოცნებოს მეგობარ ქალთან სქესობრივი ურთიერთობის დაჭერაზე. სიზმარში ეს მეგობარი ქალი გვევლინება საკვიპაჟით (სამგზავრო ჩემოდნით) ხელში, რომელზეც დაც მიწებებულია ასოები: ჭნელად ქალებისათვის. უფრო მთამბეჭ

დაია **ბეტლჰაიმის** (Betlheim) და **ჰარტმანის** (Hartmann) 1924 წლის ცდები, რომლებიც მუშაობდნენ ე.წ. კორსაკოვის აშლილობის მქონე ავადმყოფებთან. მათ უყვებოდნენ უხეში სექსუალური შინაარსის მქონე ისტორიებს და ყურადღებას მიაქცევდნენ იმ განწყობაზე, რომელსაც ავლენდნენ მონაყოლის რეპროდუქციის დროს. ამასთან ელინდებოდა ისევ ინტიმური სიმბოლოები სასქესო ორგანოებისათვის და სქესობრივი ურთიერთობის დაჭერისათვის; სხვათა შორის, კიბის სიმბოლო, ავტორთა სამართლიანი შენიშვნით მიუწვდომელი იყო ცნობიერი განწყობის სურვილისათვის.

ძალზე საინტერესო ცდების სერიაში **ჰ. ზილბერერმა** (Silberer) აჩვენა, რომ სიზმრის მუშაობა თითქოს მოულოდნელად იმითაც გვაოცებს, თუ როგორ გადააქცევს ის აბსტრაქტულ აზრებს ვიზუალურ სურათებად. როცა ავტორი დაღლილობისა და ძილისმორევის მდგომარეობისას საჭიროებდა გონებრივ მუშაობას, მაშინ მას ხშირად უქრებოდა აზრი და მის ადგილზე გამოდიოდა ზმანება, რომელიც, ცხადია, აზრის შემნაცვლებელი იყო.

ამის მარტივი მაგალითია: მე ვფიქრობ იმაზე, – ამბობს ზილბერერი, რომ განვიზრახე ნაწარმოებში გაუმართავი ადგილის შესწორება. ზმანება: ჩემ თავს ვხედავ, თითქოს შეშის ნაჭერს ვრანდავდე. ამ ცდებში ხშირად, ხდება, რომ არა დამუშავების მომლოდინე აზრი, არამედ საკუთარი სუბიექტური მდგომარეობა იქცევა ზმანების შინაარსად მცდელობისას, ე.ი. მდგომარეობისა ნაცვლად სანკობრივისა, რაც ზილბერერმა აღნიშნა როგორც "ფუნქციონალური უცნობენი". ახლავე გიჩვენებთ, რა იგულისხმება მოყვანილ მაგალითში. გარკვეული პრობლემის ირგვლივ ავტორი ცდილობს ერთმანეთს შეადაროს ორი ფილოსოფოსის თვალსაზრისი. მაგრამ მაცდუნებლობაში მას უსხლტება ერთი მათგანი და ბოლოს აქვს ზმანება, რომ ის მოითხოვს ცნობას მობუზღუნე მდივნისაგან, რომელიც საწერ მაგიდაზე მოხრილა, მას პირველად ყურადღებას არ აქცევს, შემდეგ კი უხალისოდ და ალმაცერად უყურებს. ალბათ ეს აიხსნება თვითონ ცდის პირობებით, რომ იძულებით გამოწვეული ზმანება ასე ხშირად წარმოადგენს თვითდაკვირვების შედეგს.

ისევ სიმბოლოების თაობაზე: იყო ისეთი სიმბოლოები, რომლებიც გვგონია გაგებული გვაქვს და რომლებიც მაინც გვაწუხებენ

იმით, რომ არ შეგვიძლია მივუთითოთ თუ მან როგორ მიიღო მსგ
ვნელობა. ასეთ შემთხვევაში უნდა მოვუხმოთ სხვა დამადასტურ
ბელს ენათმეცნიერებიდან, ფოლკლორიდან, მითოლოგიიდან, გასა
კუთრებით რიტუალიდან. ამ სახის მაგალითი იყო პალტოს სიმბო
ლო. ვამბობდით, ქალის პალტო სიზმარში ნიშნავს მამაკაცს. კიდ
დოვნებ, თქვენზე შთაბეჭდილებას მოახდენს იმის მოსმენა, რომ თ
რაიკი (Th. Reick) 1920 წელს მოგვახსენებს: "ბედუინების უძველეს
საპატარძლო ცერემონიალში სიძე მოახურავს საპატარძლოს გასა
კუთრებულ "აბა"-დ წოდებულ პალტოს და ამასთან ერთად წარმოთ
ქვამს რიტუალურ სიტყვებს: "ამიერიდან შენ ჩემს მეტი ვერაფ
დაგფარავს" (რობერტ აისლერის მიხედვით – "ქვეყნების პალტოები
და ცის კამარა"). ჩვენ კიდევ მრავალი ახალი სიმბოლო მოვიახლ
რომელთაგან მინდა მოგახსენოთ ორი მაგალითი მაინც. **აბრაამის**
(Abraham) მიხედვით (1922წ.) სიზმარში ნახული ობობა დედის სიმ
ბოლოა, მაგრამ ფალური დედისა, რომლის წინაშე შიშს განიცდის
ასე რომ, ობობის შიში გამოხატავს დედის ინცესტის საშინელებას
და ქალის სასქესო ორგანოებისადმი ზიზღს. ალბათ იცით, მედუზის
თავის მითოლოგიური ამბავი ივივე მოტივით დაიყვანება კასტრაცი
ის შიშზე. მეორე სიმბოლო, რომელზედაც მინდა გელაპარაკოთ,
ხიდია. ეს **ფერენცის** (Ferenczi) გაარკვია 1921–1922 წლებში. თავდა
პირველად ხიდი ნიშნავს მამაკაცის ასოს, რომელიც მშობელთა
წყვილს ერთმანეთთან აკავშირებს სქესობრივი ურთიერთობისას. მა
რამ შემდეგ ვითარდება სხვა მნიშვნელობები, რომლებიც პირველი
დანაა გამოყვანილი. რამდენადაც მამაკაცის ასოს ვუმადლით საერ
თოდ ქვეყანაზე მოვლენას მშობიარობიდან, ხიდი წარმოადგენს გადა
სასვლელს მიღმურიდან (ჯერ კიდევ არადაბადებიდან, დედის საშო
დან) აქეთა მხარეზე (სიცოცხლეზე), და ვინაიდან ადამიანი ასეც
სიკვდილს წარმოადგენს როგორც დაბრუნებას მშობლის საშოში
(წყალი), ხიდი იძენს ასევე სიკვდილში გადაყვანის მნიშვნელობას და
ბოლოს შემდგომ დაშორებით მისი საწყისი მნიშვნელობიდან აღნიშ
ნავს გადასვლას, მდგომარეობის ცვლილებას საერთოდ. ამას ეთან
ხმება შემდეგ ის, რომ ქალი, რომელმაც ვერ დაძლია სურვილი იყოს
მამაკაცი, ასე ხშირად ოცნებობს მოკლე ხიდებზე, მეორე ნაპირს
რომ მიაღწიოს.

სიზმრის მანიფესტურ შინაარსში ხშირად გვხვდება მართლაც სურათები და სიტუაციები, რომლებიც მოგვაგონებენ ცნობილ მოტივებს ზღაპრებიდან, თქმულებებიდან და მითებიდან. ასეთი სიზმრების ინტერპრეტაცია შუქს ფენს საწყის მოტივებს, რომლებმაც შექმნეს ეს მოტივები, მაგრამ ამასთან ერთად არ უნდა დაგვავიწყდეს, ბუნებრივია, მნიშვნელობის ცვლილება, რომელიც დროთა განმავლობაში შეეხო ამ მასალას. ჩვენი ინტერპრეტაციის მუშაობა იძლევა ნედლ მასალას, რაც ხშირად საკმაოდ ფართო აზრით იწოდება სექსუალურად, მაგრამ მოგვიანო დამუშავებაში ნახულობს განსხვავებულ დამუშავებას, ასეთი დაყვანები იმსახურებს ანალიზურად მოაზროვნე ყველა მკვლევართა გულისწყრომას, თითქოს ჩვენ გვინდოდეს ყველაფრის, მოგვიანო განვითარებაში მასზე რომ აიგება, უარყოფა ანდა უგულებელყოფა. მიუხედავად ამისა, ასეთი შეხედულებანი ყურადსაღები და საინტერესოა. იგივე ეხება სახეითი ხელოვნების გარკვეული მოტივების გამოყვანას, როცა, მაგალ., **რ. აისლერი** (R. Eisler), 1919 წ. მისი პაციენტების სიზმრების ინსტრუქტაჟის შემდეგ ანალიზურად ირტერპრეტაციას იძლევა ბიჭის მოთამაშე ჭაბუკისას, რომელიც გადმოცემულია **პრაქსიტელის** (Praxitel) ჰერმესში. კიდევ მხოლოდ ერთი სიტყვა, არ შემიძლია არ მოვიხსენიო, მითოლოგიური თემები რა ხშირად ნახულობენ ახსნა-განმარტებას სიზმრის ინტერპრეტაციით. მაგალ., ლაბირინთის შესახებ ლეგენდა გაიგება როგორც ანალური დაბადების გადმოცემა; გადაულაპარაკებელი კერძები ნაწლავია, ხოლო არიადნას ძაფი ჭიპია.

სიზმრის მუშაობის გადმოცემის წესები, მიმზიდველი და ამოუწურავი მასალა, დაწვრილებითი შესწავლით ჩვენთვის უფრო ინტერესო ხდება: თქვენ გაგაცნოთ მინდა მისი ნიმუში; ასე, მაგალ., სიზმარი წარმოადგენს სიხშირის რელაციას ერთნაირების გამრავლების გზით. მოუსმინეთ გოგონას საკვირველ სიზმარს: გოგონა შემოდის დიდ დარბაზში და იქ ხედავს სკამზე დამჯდარ პირს; ამ პირზედს ექვსჯერ, რვაჯერ, უფრო ხშირადაც იმეორებს, მაგრამ ეს პირი ყოველთვის მამამისია. ამის გაგება აღვილია, თუკი დამატებითი ცნობებიდან მის ინტერპრეტაციას მიმართავთ, რომ ეს სიერცე წარმოადგენს დედის სხეულს. შემდეგ, სიზმარი ხდება გოგონას კარგად ცნობილი ფანტაზიის ეკვივალენტური, რომ გოგოს უნდა ისტრაუტერულ ყოფაში მამას შეხვდეს, თუკი ის ორსულობისას

ეწვევა დედის სხეულს. სიზმარში რომ პირიქითაა; მამის შეძლებული საკუთარ პერსონაში გადაწეულია, ამან შეცდომაში არ უნდა შეგიყვანოთ. თუმცა მას კიდევ თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მამის პერსონის გამრავლებას შეუძლია მხოლოდ გამოსახოს, რომ შესატყვისი პროცესი ხდება მრავალგზის. ჩვენ უნდა ისიც ავღნიშნოთ, რომ სიზმარი არ თავნებობს, თუკი ის სიზმირეს (Traufinkeit) გამოსახავს გამრავლებით (Traufung). ის მხოლოდ სიტყვის საწყის მნიშვნელობას დაუბრუნდა, რომელიც დღეს აღნიშნავს დროში განმეორებას, თუმცა აღებულია სივრცეში თავმოყრისაგან. მაგრამ სიზმრის მუშაობას, სადაც ეს ხდება, საერთოდ გადაჰყავს დროითი მიმართებანი სივრცითში და მას ამგვარად წარმოადგენს. სიზმარში ვხედავთ პირებს შორის სცენებს, რომელიც ძალზე მცირეა და ძალზე შორს მოჩანს, თითქოს მას დურბინდის შებრუნებული თვალით ვუმზერდეთ. აქ სიპატარავე, ისევე როგორც სივრცითი დაშორება ნიშნავს ერთსა და იმავეს; ნაგულისხმებია დროში დაშორება, ეს უნდა გავიგოთ ისე, რომ ესაა სცენა შორი წარსულისა. შეიძლება ალბათ გაიხსენებთ, რაც მე თქვენ უკვე ადრეულ ლექციებში გითხარით და მაგალითიც გიჩვენეთ – ჩვენ ვისწავლეთ მანიფესტური სიზმრის გამოყენებაც წმინდა ფორმალური ნიშნების ინტერპრეტაციისათვის, მაშასადამე, სიზმრის ლატენტური აზრების გარდაქმნა შინაარსებად. იცით, რომ ღამის ყველა სიზმარი ეკუთვნის იმავე კავშირს, მაგრამ განურჩეველი არაა. აღნიშნული სიზმრები მხილველს უწყვეტლივ ეკლინება, თუ ისინი მრავალ ნაწილად იშლებიან და სახელდობრ რამდენად. ამ ნაწილების რაოდენობა ხშირად შეესატყვისება იმავე რაოდენობის აზრთა ფორმირების ცალკეულ ცენტრს ლატენტურ აზრებში, ანდა – სიზმრის მხილველის სულიერი ცხოვრების ერთმანეთთან მებრძოლ დინებებში, რომელთაგან ყოველი მათგანი განსაკუთრებულ სიზმრის ნაწილში გაბატონებულ, მაგრამ არა განსაკუთრებულ გამოხატვას პოულობს. მოკლე სიზმრის შესავალი და ხანგრძლივი მთავარი სიზმარი ერთმანეთისადმი ხშირად დგანან პირობისა და განხორციელების მიმართებაში, რომლის თაობაზე ძალზე ნათელი მაგალითის ნახვა შეგიძლიათ ძველ ლექციებში. სიზმარი, რომელსაც მხილველი აღნიშნავს როგორლაც ჩაღგმულად, ნამდვილად შეესატყვისება სიზმრის აზრებში დამოკიდებულს. ფრანც **ალექსანდერმა** (Franz Alexander) 1925 წელს სიზმრის წყვილეულის

შესახებ შრომაში აჩვენა, რომ ერთი ღამის ორი სიზმარი არაიშვიათად ისე ინაწილებენ სიზმრის ამოცანის განხორციელებას, რომ ერთად აღებულნი გვაძლევენ სურვილის ასრულებას ორ ეტაპად, რასაც ყოველი სიზმარი თავისთვის ვერ ანხორციელებს. როცა სიზმრის სურვილს შინაარსად აქვს დაუშვებელი მოქმედება განსაზღვრული პერსონის მიმართ, მაშინ ეს პერსონა გვევლინება ერთ სიზმარში შეუბურველი, მოქმედება კი მხოლოდ აღნიშნულია გაუბედავად. მეორე სიზმარი ამას სხვანაირად აკეთებს. მოქმედება შეუბურველად იწოდება, მაგრამ პირია ქცეული ისე, რომ მას ველარ ცნობ ან ის ინდიფერენტულითაა შენაცვლებული. ეს ქმნის ნამდვილად მზაკვრობის შთაბეჭდილებას. მეორე და მსგავსი მიმართება სიზმრის წყვილეულის ორივე ნაწილისა ისაა, რომ ერთი წარმოადგენს სასჯელს, მეორე კი – ცოდვილიანი სურვილის ასრულებას. მაშასადამე, თითქოს, როცა სასჯელს დებენ საკუთარ თავზე, მაშინ შეცდომა უძლევათ აკრძალულისა.

დიდ ხანს არ შეგაყოვნებთ მსგავსი წვრილმანი მიგნებებით, არც დისკუსიით, რომელიც მიმართულია ანალიზურ მუშაობაში სიზმრის ინტერპრეტაციის გამოყენებაზე. ვუშვებ, რომ თქვენ მოუთმენლად ელით მოუსმინოთ, რა ცვლილებები მოხდა სიზმრის არსისა და მნიშვნელობის ძირითად შეხედულებებში. უკვე მზად ხართ, სწორედ ამის შესახებ მცირე რამ მოგახსენოთ. მთელი მოძღვრების ყველაზე უფრო სადაო მომენტი იყო მტკიცება, რომ ყველა სიზმარი სურვილის ასრულებაა. გარდაუვალ, ხშირ შედავებას მოყვარულთა მხრიდან, რომ არსებობს მრავალი შიშის სიზმარი, რომ უფლება მაქვს ვთქვა, ადრეულ ლექციებში, მასზე სავსებით ამომწურავად ვილაპარაკეთ. ჩვენი მოძღვრება სიზმრის დაყოფისა სურვილის, შიშისა და ჯარიმის სიზმრებად, შენარჩუნებულია.

ჯარიმის სიზმარიც სურვილის ასრულებაა, მაგრამ არა ისეთი, როგორიც ლტოლვის წაქეზება, არამედ – სულიერ ცხოვრებაში კრიტიკის, ცენზურის, ჯარიმის გამტარებელი ინსტანცია. თუკი ჩვენ წინაა წმინდა ჯარიმის სიზმარი, მაშინ მცირე აზრითი ოპერაციით აღვადგენთ, ისევ სურვილის სიზმარს, რომლის მიმართ ჯარიმის სიზმარი პირდაპირი დაპირისპირებაა, და მანიფესტურ სიზმარს ამ გადახრით ენაცვლება. ქალბატონებო და ბატონებო, იცით, რომ სიზმრის შესწავლა პირველად ჩვენ ნევროზების გაგებაში დაგვეხ-

მარა. თქვენთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ჩვენს ცოდნას ნევრონე
ბის შესახებ მოგვიანებით შეეძლო სიზმრის ჩვენეულ გაგებაზე
ზემოქმედება მოეხდინა. როგორც მოისმენთ, საჭიროდ დავინახე
დაგვეშვა სულიერ ცხოვრებაში განსაკუთრებული მაკრიტიკებელ
და ამკრძალავი ინსტანცია, რასაც ვუწოდებთ "ზე-მე"-ს. ვალიარე
რა ასევე სიზმრის ცენზურა, როგორც ამ ინსტანციის ნაქმნი
ვხელმძღვანელობთ იმით, რომ სიზმრის შექმნაში გულმოდგინედ
მივაქციეთ ყურადღება "ზე-მე"-ს მონაწილეობას.

სიზმრის სურვილის ასრულების თეორიის წინააღმდეგ მხოლოდ
ორი სერიოზული წინააღმდეგობა წამოიწევს, რომელთა განმარტე
ბას შორს მივყავართ; რა თქმა უნდა, მათ ჯერ კიდევ სრულიად
დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტა არ უნახავთ. პირველი იმ ფაქტთან
მოცემული, რომ პირები, რომელსაც მიღებული აქვთ შოკის განცდა
მძიმე ფსიქიკური ტრავმა მიიღეს, როგორც ეს ხშირად ხდება ბრძო
ლის დროს და ფუძნდება როგორც ტრავმატული ისტერია, სიზმრე
დან წესზომიერად ტრავმატულ სიტუაციაში გადაიყვანებიან უკან
ჩვენი დაშვების მიხედვით სიზმრის ფუნქციაზე ასეთი რამ არ უნდა
ვრცელდებოდეს. რომელი სურვილის წაქეზება შეეძლო დაეკმაყო
ფილებინა უკიდურესად არასასიამოვნო ტრავმატული განცდის ამ უკან
გადაყვანას? ძნელია ამის მიხვედრა. მეორე ფაქტს ვხვდებით თითქმის
ყოველდღიურ ანალიზურ მუშაობაში; ის ასევე არ ნიშნავს ისეთსავე
მნიშვნელოვან შეპასუხებას, როგორც სხვა. თქვენ იცით, რომ ფსიქო
ანალიზის ერთ-ერთი ამოცანაა, საბურველი მოვხადოთ ამნეზიას, რო
მელიც ფარავს ბავშვის პირველ წლებს და მასში არსებული ადრეუ
ლი ბავშვობის სექსუალობის გამოვლინებების ცნობიერ მოგონებამ
დე ამოტანას. ბავშვის აღნიშნული პირველი სექსუალური განცდები
დაკავშირებულია შიშის, აკრძალვის, გულგატეხილობისა და დასჯის
შთაბეჭდილებებთან. გასაგებია, რომ ისინი განდევნილნი არიან, მაგ
რამ შემდეგ ვერ ვგებულობთ, თუ რატომ აქვთ მათ ასე ფარული
მისასვლელი სიზმრის ცხოვრებასთან, ან რატომ გვაძლევენ ისინი
წესს ასე მრავალი სიზმრის ფანტაზიისათვის, ანდა სიზმრები რატო
მაა რეპროდუქცია ინფანტილური სცენებისა და სავსეა მათზე მინიშ
ნებებით. მათი უსიამოვნო ბუნება და სიზმრის მუშაობის სურვილის
ასრულების ტენდენცია ერთმანეთთან მაინც ცუდად თავსდებიან. აღ
ბათ ამ შემთხვევაში სიძნელეს ვაზვიადებთ. იმავე ბავშვობის გან

ცდებზე მიკრულია ყველა მუდმივი, აღუსრულებელი სურვილები
ჭეშმარიტებისა, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში ენერგიას
გასცემენ სიზმრის ფორმირებისათვის, რომლისაც გვჯერა – რომ მათ
ძლიერესი ამომგდები ძალით უსიამოვნოდ შეგრძნობილის ზედა
პირზე გამოდევნა შეუძლიათ. და, მეორეს მხრივ, გარემოებაში, რო
დის რეპროდუცირდება ეს მასალა, სიზმრის მუშაობის მცდელობა
ცნობიერდება, რომელსაც უნდა უსიამოვნების დამახინჯებით უარყო
ფა იძულების განხორციელება. სხვაგვარადაა ტრავმატული ნევრო
ზების დროს. აქ სიზმრები წესზომიერად მიედინებიან შიშის განცი
დარებაში. ვფიქრობ, არ უნდა შეგვაკრთოს ალიარებამ, რომ ამ შემ
თხვევაში ირღვევა სიზმრის ფუნქცია. არ მინდა მოვუხმო დებულე
ბას – გამონაკლისი წესს ამტკიცებსო; მისი ხიბრძნე სწორედ რომ
საჭიროდ მეჩვენება. მაგრამ გამონაკლისი წესს არ უარყოფს, თუკი
ცალკეულ ფსიქიკურ მუშაობას, როგორიცაა სიზმრის ნახვა, შესწავ
ლის მიზნით გამოვყოფთ მთლიანობიდან, შესაძლებელი გახდება მისი
საკუთარი კანონზომიერების აღმოჩენა, სოლო თუკი მას ისევ მთელ
ში ჩავრთავთ, ვნახავთ, რომ ეს შედეგები სხვა ძალებთან ჭიდილში
ჩართალდებიან, ანდა ირღვევიან. ვამბობთ, რომ სიზმარი სურვილის
ასრულებაა; თუკი თქვენ მხედველობაში იღებთ უკანასკნელ შეპა
სუხებებს, მაშინ ასე უნდა ვთქვათ მაინც, რომ სიზმარი სურვილის
ასრულების ცდა არისო. არავის, ვისაც შეუძლია ფსიქიკურ დინამი
კაში შეღწევა, აღარ შეეძლებათ სხვა რამის თქმა, განსაზღვრულ
მიმართებებში სიზმარს შეუძლია თავისი განზრახვა ძალზე არას
წელყოფილად გაატაროს, ანდა საერთოდ შეწყვიტოს. პირველ ად
გილზე ამ სიზმრის ფუნქციის შეკავებაში ჩანს არაცნობიერი ფიქსი
რება ტრავმაზე. როცა სიზმარი უნდა ნახოს მძინარემ, ვინაიდან
განდევნის ღამის ნარჩენი აქტიურს ხდის ტრავმატული ფიქსირების
ბიძგს, ირღვევა სიზმრის მუშაობის შედეგი, რომელსაც შეეძლო
ტრავმატული შემთხვევის მოგონების ველების გადაქცევა სურვილის
ასრულებად. ამ მიმართებებში უძილონი ხდებიან; შიშისაგან სიზ
მრის ფუნქციის განუხორციელებლობისა, ძილს უარყოფენ. ტრავმა
ტული ნევროზი გვიჩვენებს ექსტრემალურ შემთხვევას, მაგრამ ასე
ვე ბავშვობის განცდები უნდა ვალიაროთ როგორც ტრავმატული
ბუნების მქონე და არაა გასაკვირი, როცა სიზმრის უმნიშვნელო
ამღილობანი სხვა პირობებშიც ხდება.

30-ე ლექცია
სიზმარი და ოკულტიზმი

ქალბატონებო და ბატონებო! დღეს ვიწრო გზით ვიელვებ, რასაც შეუძლია მიგვიყვანოს უართო პერსპექტივასთან.

განცხადებამ, რომ მე ვილაპარაკებ სიზმრის მიმართებაზე ოკულტიზმთან, შეიძლება, თქვენ ოდნავადაც არ გაგაკვირვოთ. ჩემ რად სიზმარი განიხილება როგორც მისტიკური სამყაროს კარიბჭე დღეს ბევრისთვის იგი ითვლება ოკულტურ ფენომენად; ჩვენც გავიხადეთ რა ის მეცნიერული ძიების ობიექტად, არ ვდავობთ, რომ მას არაერთი ძაფი აკავშირებს ბნელით მოცულ საგნებთან. მისტი კა, ოკულტიზმი – რა იგულისხმება ამ სახელებში? ნუ ელოდებით აღნიშნული ცუდად შემოფარგლული სფეროების განსაზღვრას შე ვეცადო. ზოგადად და განუსაზღვრელადაც ვიცით ყველაფერი ის რაზედაც ვაზროვნებთ. ესაა ნათელი, მკაცრი კანონებით მოცული შიდმიური სამყარო, რომელიც მეცნიერებამ ჩვენთვის ააგო.

ოკულტიზმი ამტკიცებს რეალურ არსებობას იმ "ნივთებისა ცასა და დედამიწას შორის, რომლის შესახებაც ჩვენს სასკოლ სიბრძნეს არც კი დასიზმრებია". ჩვენ არ გვინდა სკოლის ეგოიზმ მივემხროთ, მზად ვართ ვირწმუნოთ ის, რაც ჩვენთვის უეჭველ ვფიქრობთ, აღნიშნულთ მოვექცეთ ისეკე, როგორც მეცნიერების სხვა მონაცემებს, უპირველეს ყოვლისა დავადგინოთ, ასეთი პრო სები ნამდვილად თუ საბუთდებიან და, მხოლოდ ამის შემდეგ, თუ მათი ფაქტიურობა საეჭვო აღარაა, მივმართოთ მათ ახსნას. მაგრამ ვერ უარვყოფთ, რომ უკვე აღნიშნული გადაწყვეტილება ძნელად განსახორციელებელია ინტელექტუალური, ფსიქოლოგიური და ის ტორიული მომენტების გზით, რომ ეს არაა ისეთივე შეძთხვევ როგორიც სხვა გამოკვლევების დროს ნათელვყავით.

პირველად ინტელექტუალური სიძნელის შესახებ: ნება მომ ცით მასზე უხეში, მაგრამ მისაწვდომი ახსნა-განმარტება მოგცეთ

მეგუშვათ, მსჯელობაა დედამიწის გულის თვისებების საკითხზე. ცნობილია, რომ მის შესახებ ნამდვილი არაფერი ვიცით. ვვარაუ ობთ, რომ ის უნდა შედგებოდეს გავარვარებულ მდგომარეობაში მყოფი მძიმე მეტალებისაგან და რომ დედამიწის გული არის ნახ შირორჟანგთან გაჯერებული წყალი, ე. ი. სოდიანი წყლის ერთი სახეობა. რა თქმა უნდა ვიტყვით, რომ ეს ძალზე არასაალბათოა, წინააღმდეგება ყველა ჩვენს მოლოდინს, ანგარიშს არ უწევს ჩვენი ცოდნის იმ დასაყრდენ წერტილებს, რომლებმაც მიგვიყვანეს შეტა ლის ჰიპოთეზის დაშვებამდე, თუმცა ეს მაინც წარმოუდგენელი არაა; გვიჩვენებენ რა გზას სოდიანი წყლის ჰიპოთეზის შესამოწ მებლად, მას მივყვებით წინააღმდეგობის გარეშე. მაგრამ თუკი ვინმე დაიწყებს სერიოზულ მტკიცებას, რომ დედამიწის გული შედგება მარმელადისაგან, ამის საპირისპიროდ სულ სხვაგვარად მოვიქცევით. ვიტყვით, რომ ბუნებაში მარმელადი არაა; ის ადამია ნის სამზარეულის პროდუქტია. გარდა ამისა, ამ ნივთიერების არ სებობა გულისხმობს ხილის ხეებსა და მათ ნაყოფსაც და არ გვეცოდინებოდა, როგორ მოგვეთავსებინა ვეგეტაცია და ადამიანის სამზარეულო ხელოვნება დედამიწის შიგა გულში; ამ ინტელექტუ ალურ შეპასუხებათა შედეგია ჩვენი ინტერესის შემობრუნება ნაც ლად გამოკვლევისა – ნამდვილად შედგება თუ არა დედამიწის გული მარმელადისაგან, ჩვენ თავს ვუსვამთ კითხვას – რა ადამიანი უნდა იყოს ის, ვისაც ასეთი იდეა შეიძლება მოუვიდეს თავში და ვინც დიდი შეკვეთხოთ კიდეც, საიდან იცის, რომ ეს ასეა. მარმე ლადის თეორიის უბედური ინიციატორი მძიმედ დაავადებულია და გამტყუნებს, რომ ჩვენ მოჩვენებითი მეცნიერული ცრურწმენით მისი მტკიცების ობიექტური შეფასება უარვყავით. მაგრამ ეს მის ობის არაფერს ნიშნავს, ჩვენ ვგრძნობთ რომ ცრუმორწმუნეები ჭეშმარიტებისთვის გადასაგდები არაა, რომ ისინი ზოგჯერ გამართლებუ ლია, რათა მიზანშეწონილად დავაგროვოთ არასაჭირო დანახარჯი. ისინი სხვა არაფერია, თუ არა ანალოგიური დასკვნები სხვა კარ გად დაფუძნებული მსჯელობების მიხედვით.

ყველა ოკულტური მტკიცება ჩვენზე ზემოქმედებს მარმელა დის ჰიპოტეზის მსგავსად; ასე, რომ უფლება გვაქვს ისინი იმთა ვითვე ხელაბალი დამატებითი შემოწმების გარეშე უარვყოთ. მაგ-

რამ ეს მაინც ასე ადვილი არაა. შედარება, ისე როგორც ჩემს მიერ არჩეულიც, არაფერს ამტკიცებს, ანდა ამტკიცებს იმ მცირეს როგორც საერთოდ შედარებანი. სადაოდ რჩება, ეს შედარება ვარგისია თუ არა და გებულობენ თუ არა მას, რომ დაცინვამდე დასულ განწყობას უკვე თავისი არჩევანი განსაზღვრული აქვს. ცრუმორწმუნეობა ზოგჯერ მიზანშეწონილია და გამართლებული. სხვა შემთხვევაში კი მცდარი და საზიანო და მაინც არასდროს არ ვიცით, როდისაა ერთი და როდისაა მეორე. თვითონ მეცნიერების ისტორია მეტად მდიდარია ისეთი შემთხვევებით, რომლებიც გარკვეთხილებენ ნაჩქარევი დაგმობისაგან. დიდი ხნის წინათ ასევე უარყოფა დაშვებად ითვლებოდა, რომ ქვები, რასაც დღეს მეტეორებს ვეძახით ცის სივრციდანაა დედამიწაზე მოხვედრილი, ანდა მთვარეებები, რაც ნიჟარების ნარჩენებს შეიცავს, ოდესღაც ზღვის ფსკერს ქმნიდნენ. თუმცა ჩვენ ფსიქოანალიზსაც სხვაგვარად არ დაგმობთ, როცა ის არაცნობიერის აღმოჩენით გამოვიდა. მაშასადამე, ჩვენ ანალიტიკოსებს განსაკუთრებული საფუძველი გვაქვს ფრთხილად ვიყოთ ინტელექტუალური მოტივის გამოყენებისას ახალი განწყობის უარყოფისაგან და მეტიც – გავაცნობიეროთ იგი, რათა ხელი არ შევუწყოთ ანტიპატიას, ეჭვსა და არასაიმედობას.

მეორე მომენტს ვუწოდე ფსიქოლოგიური. ამაში ვგულისხმობ ადამიანის საერთო მიდრეკილებას ადვილად დაჯერებასა და სასწაულებრივობისაკენ. თავიდანვე, როცა ცხოვრება თავისი მკაცრი დისციპლინის კალაპოტში გვაქცევს, ჩვენში ღვივის წინააღმდეგობა აზროვნების კანონების სიმკაცრისა და მონოტონობის მიმართ და რეალობის შემოწმების მოთხოვნების საპირისპიროდ. გონება მტრად იქცევა, რაც ჩვენთვის ამდენი სიამოვნების შესაძლებლობას ფარავს. აღმოჩნდება, თუ რა სიამოვნება გვიმზადდება, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც, მას თუ გავექცევით და უაზრობის ცდუნებებს მივეცემით. სკოლის მოწაფე ტკბება სიტყვის დამახინჯებით, სპეციალისტი დასცინის თავის საქმიანობას მეცნიერული კონგრესის შემდეგ. სერიოზული კაცი ტკბება მახვილგონიერების თამაშით. სერიოზული მტრობა "გონებისა და მეცნიერებისა ადამიანის საუკეთესო ძალის" საწინააღმდეგოდ ელოდება თავის საბაბს, ის აჩქარებს საკუთარ თავს უპირატესობა მისცეს "ნასწავლი" ექიმის წინაშე საკვირველ დოქტორს ან გონებით მკურნალს. ის ხელის შემწყობია ოკულტიზმის მტკიცებისათვის, რამდენადაც მისი მოჩვენებითი ფაქტები მიღებულია წესისა და კანონის დარღვევით, ის ძლევაგებს კრიტიკას, ამახინჯებს აღქმებს, აიძულებს დაადასტუროს და თანხმობაში მოიყვანოს ის, რაც არ მართლდება. ვინც ადამიანის ამ მიდრეკილებებს მხედველობაში მიიღებს, ყველა საფუძველი აქვს, რომ ოკულტისტური ლიტერატურის დიდი ძალისა გაუფასუროს.

მესამე მოსაზრებას ვუწოდე ისტორიული და ამით მინდა ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ ოკულტიზმის სამყაროში საკვირველ არაფერი ახალი არ ხდება, რომ მასში ყველა ნიშანი, ნასწავლი, წინასწარმეტყველება და სულის მოვლენა ახლებურად წარმოჩნდებიან, რომლებიც ძველი დროიდან ძველ წიგნებშია მოხსენებული და რომლებიც ჩვენ დიდი ხანია ამოწურული გვეგონა როგორც შობილი მოუთოკავი ფანტაზიის ანდა ტენდენციური თაღლითობისა, ვითარცა იმ დროის პროდუქტები, როცა კაცობრიობის ემცრება ლაღობდა და მეცნიერული სული ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა. თუკი ჩვენ ჭეშმარიტად მივიჩნევთ იმას, რაც ოკულტიზმის ცნობების მიხედვით დღესაც ხდება, მაშინ ასევე ძველი დროის ცნობებიც სარწმუნოდ უნდა ვალიაროთ. მოვიგონოთ, რომ ტრადიცია და ხალხთა წმინდა წიგნები გადავსულია ასეთი საკვირველი ისტორიებით და რომ რელიგიები პრეტენზიას სწორედ ასეთ საგანგებო და საკვირველი შემთხვევების სარწმუნობაზე ამყარებენ, მასში ხედავენ ზეადამიანური ძალების ჩამოქმედების დასაბუთებას. ამის შემდეგ ძნელია უარვყოთ ეჭვი, რომ ოკულტისტური ინტერესი საკუთრივ რელიგიურია, რომ ის მოკუთვნება ოკულტისტური მოძრაობის საიდუმლო მოტივებს, რომელიც მეცნიერული აზროვნების წინსვლის გზით შერყეული რელიგიისათვის დაშხმარედ გვევლინება. ასეთი მოტივის შემეცნებით ჩვენი უნდობლობა უნდა გაიზარდოს და ჩვენი ანტიპატია მოჩვენებითი ოკულტური ფენომენების კვლევაში შევიდეს.

მაგრამ საბოლოოდ ეს ანტიპატია მაინც უნდა გადაილახოს. საკითხი ეხება ფაქტიურობის ვითარებას – ოკულტისტების მონაყოლი ჭეშმარიტია თუ არა. ეს საკითხი მაინც შეიძლება დაკვირვების

გზით გადაწყდეს. არსებითად ჩვენ ოკულტისტების მადლობელი უნდა ვიყოთ. ძველი დროის საკვირველი ცნობები ჩვენს შემოწმებას არ ექვემდებარებიან და თუკი ვფიქრობთ, რომ მათ ვერ დავასაბუთებთ, ასევე უნდა დავეთანხმოთ, რომ მთელი სიმკაცრით მათ ვერც უარვყოფთ, რაც ამ წუთში ხდება, რასთანაც ჩვენ ვართ, მის შესახებ უნდა მაინც სანდო მსჯელობა გვქონდეს. თუკი ვრწმუნდებით, რომ ასეთი საკვირველება ღღეს არ გვხვდება, მაშინ არ გვეშინია საწინააღმდეგოდ ვთქვათ, რომ ისინი ძველ დროში შეიძლება მაინც ხდარიყვნენო. მაგრამ სხვა ახსნა უფრო მისაღებია. მაშასადამე, ჩვენი ეჭვებისაგან უნდა განვთავისუფლდეთ და მზად ვიყოთ მივიღოთ წილეობა მივიღოთ ოკულტური ფენომენის დაკვირვებაში.

საუბედუროდ, მაშინ ვაწყდებით იმ დამოკიდებულებებს, რომლებიც ჩვენი სამეცნიერო განზრახვისათვის განსაკუთრებით არახელსაყრელია. დაკვირვებანი, რომელზედაცაა დამოკიდებული ჩვენი მსჯელობა, იმ პირობებში არიან ჩაყენებულნი, რომლებიც ჩვენ გრძნობად აღქმებს არასაიმედოდ აქცევენ, ყურადღებას აჩლუნგებენ სიბნელეში ან მკრთალ წითელ სინათლეში დიდი ხნის უნაყოფო ლოდინით. აღნიშნულით დასტურდება, რომ ჩვენს უკვე სკეპტიკურ ასე რომ ვთქვათ, კრიტიკულ განწყობას მოხალოდნელი ფენომენების განხორციელების საქმეში შეუძლია ხელის შეშლა. ასე აგებული სიტუაცია ჭეშმარიტი კარიკატურაა იმ ვითარებისა, რომელშიც ჩვეულებრივ ვატარებთ მეცნიერულ გამოკვლევებს. დაკვირვება ტარდება ე. წ. მედიუმებზე, იმ პირებზე, რომელთაც მიაწერენ განსაკუთრებულ "სენსიტიურ" უნარებს და არ გააჩნიათ სულის ღრმა ზასიათის გამოჩენილი თვისებები; ისინი არც დიდ იდეას, ასევე სერიოზულ განზრახვას ატარებენ, როგორსაც ძველი სასწაულმოქმედნი. პირიქით, მათ მნიშვნელობა აქვთ იმათთვის, ვისაც სწამთ მათი საიდუმლო ძალებისა, როგორც განსაკუთრებით მათი კუთვნილებისა. უმრავლესობა მათ შორის უკვე აშხილეს როგორც თაღლითი. ველოდებით, რომ სხვებიც იგივე ბედს გაიზიარებენ. რასაც ისინი აღწევენ, ესაა თავაშვებული ბავშვის ჯღაბნის ან ფოკუსების შთაბეჭდილება. ჯერ არასდროს არ ყოფილა ამ მედიუმებთან სეანსებზე რალაც ვარგისი მიეღოთ, მისაწვდომი გამხდარიყოს რალაც ახალი ძალის წყარო. ასევე არ ველოდებით მეფოკუსის ფანდიდან

რომ მტრედები ცარიელი ცილინდრიდან ამოიყვანოს. ადვილად შესაძლია იმ ადამიანის მდგომარეობაში ჩაყდგე, რომელსაც ნებავს ობიექტურობის მოთხოვნის განხორციელება და ამიტომ ოკულტისტურ სეანსებში ღებულობს მონაწილეობას, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ იღლება და, მისთვის წაყენებული მოთხოვნებიდან ამოვარდნილი, მისგან შებრუნდება, ამით კი უკვე გამოუსწორებლად თავის ადრინდელ ცრურწმენებს უბრუნდება. ასეთს შეიძლება ვუსაყვედუროთ, რომ ეს არაა სწორი მოქცევა – შესასწავლ ფენომენებს უფლება არა გვაქვს განვუსაზღვროთ, თუ როგორი უნდა იყვნენ ისინი და რა პირობებში უნდა ალმოცენდნენ. პირიქით უნდა შევთავაზოთ მოთმინებით ლოდინი და სიფრთხილისა და კონტროლის წესების შეუსრულებლობის, რომლითაც ბოლო დროს მედიუმების არსაიმედობის წინააღმდეგ თავს დაიცავენ. სამწუხაროდ, თანამედროვე საიმედოობის ტექნიკა ბოლოს უღებს ოკულტური დაკვირვების ადვილად წარმართვის შეხედულებას. ოკულტიზმის შესწავლა განსაკუთრებული, ძნელი პროფესია ხდება, ისაა საქმიანობა, რომელიც ადამიანის სხვა ინტერესების გვერდით არ შეიძლება წარიმართოს. და სანამ ამით დასაქმებული მკვლევარები რაიმე გადაწყვეტილებამდე მივიდოდნენ, ადგილი უნდა დავუთმოთ ეჭვსა და საკუთარ ვარაუდებს.

ამ ვარაუდებს შორის ყველაზე საალბათოა ის, რომ ოკულტიზმთან ლაპარაკია ჯერ კიდევ შეუმეცნებელი ფაქტების რეალურ გულზე; ილუზიისა და ფანტაზიის ზემოქმედება მოცულია ძნელად შესწვდომი საბურავით. მაგრამ როგორ შეგვიძლია ამ გულთან მიახლოვება, რომელ ადგილზე შეგვიძლია პრობლემას შევეჭიდოთ? ცდიქრობ, აქ სიზმარი დაგვეხმარება, რომელიც მიგვანიშნებს, რომ მთელი გროვიდან უნდა ტელეპატიის თემა ამოვგლიჯოთ.

უკვე იცით, რომ ტელეპატიას ვეძახით ვითომც ფაქტს, როცა გარკვეულ დროში არსებულ მოვლენას იმავდროულად მისგან სივრცით დაშორებული პერსონი აცნობიერებს ისე, რომ შეტყობინების ჩვენთვის ცნობილი გზები გამორიცხულია. დაშვებულია, რომ მოვლენა იმ პერსონს შეეხება, რომლის მიმართაც მეორეს, ინფორმაციის მიმღებს, ძლიერი ემოციური ინტერესი აქვს. მაგ., პერსონი A განიცდის უბედურ შემთხვევას, ანდა კვდება; მეორე პერსონი B, მასთან ახლო მდგომი – დედა, ქალიშვილი ან საყვარელი – დაახლო-

ებით იმავე დროს მას იგებს მხედველობითი ან სმენითი აღქმა, დავუშვათ ისე, თითქოს მას ტელეფონით ატყობინებდნენ. მაგრამ არ არსებობს, ასე რომ ვთქვათ, რადიო-ტელეგრაფის მიმართ ფსიქიკური მსგავსება. თავისთავად ცხადია, თუ რა წარმოუდგენელია ასეთი პროცესები. ამდენად, უფლება გვაქვს ამ ცნობების უმრავლესობა მთელი საფუძვლიანობით უკუვაგდოთ. მაგრამ ზოგიერთ მათგანს ასე ადვილად მაინც ვერ უარყოფ. ახლა ნება მომეცით, განზრახ გამოვტოვო ფრთხილი სიტყვა – "მოჩვენებითი" და ისე განვაგრძო, თითქოს მწამდეს ტელეპატიური ფენომენის ობიექტური რეალობა. მინდა გკადრეთ, რომ ეს ასე არაა, რომ მე არავითარი დარწმუნებულობა არ გამაჩნია.

მე თქვენ, კაცმა რომ თქვას, მცირე რამ, მოგაწოდეთ – მხოლოდ უსახო ფაქტი. თქვენს მოლოდინს შემდეგაც შევზღუდავ, როცა გეტყვით, რომ სიზმარი არსებითად ნაკლებად ეხება ტელეპატიას, ტელეპატია არც სიზმრის არსზე გვეუბნება რაიმეს და არც სიზმარი იძლევა პირდაპირ ჩვენებას ტელეპატიის რეალობაზე. ტელეპატიური ფენომენი სრულიადაც არაა დაკავშირებული სიზმართან, ის შეიძლება სიფხიზლეშიც ხდებოდეს. ერთადერთი საფუძველი სიზმარსა და ტელეპატიას შორის მიმართება გაგარჩიოთ, მასშია, რომ ძილის მდგომარეობა ტელეპატიური ცნობის მიღებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი ჩანს. თუ ავიღებთ ე. წ. ტელეპატიურ სიზმარს, მისი ანალიზით დავრწმუნდებით, რომ ტელეპატიური ინფორმაცია იმავე როლს თამაშობს, რასაც სხვა, დღის ნალექი და, როგორც ასეთი, ის სიზმრის მუშაობითაა შეცვლილი, ხოლო მისი ტენდენცია მოსახმარადაა ქცეული.

ამგვარი ტელეპატიური სიზმრის ანალიზით მიიღწევა ის, რაც ჩემთვის საკმაოდ საინტერესო ჩანს, რომ მიუხედავად მისი მცირე მნიშვნელობისა, ის ამ ლექციის ამოსავლად იქნეს არჩეული. როცა 1922 წელს, ამ საგანზე პირველად გავაკეთე მოხსენება, მხოლოდ ერთი დაკვირვება იყო ჩემს განკარგულებაში. მას შემდეგ ზოგიერთი მსგავსი მოვიპოვე, მაგრამ მაინც ვჩერდები პირველ მაგალითზე, ვინაიდან ის ადვილად გადმოიცემა და მაშინვე შეგიყვანთ in medias res* როგორც ჩანს ინტელიგენტური, მისი მტკიცებით არა "ოკულტურად

* საქმის არსში (რედ. შენიშვნა).

განწყობილი" კაცი, მწერს იმ სიზმრის შესახებ, რომელიც მას უცნაურად ეჩვენება. ის მატყობინებს, რომ მისი გათხოვილი, მისგან მოშორებით მცხოვრები ქალიშვილი დეკემბრის შუა რიცხვებში ელოდება პირველ მშობიარობას; ქალიშვილი მასთან ძალზე ახლოა. მამამ ისიც იცის, რომ ქალიშვილი მისადმი ძალზე ინტიმურადაა განწყობილი. 16 ნოემბრის ღამეს მამას ესიზმრება, რომ თავისმა მეუღლემ ტყუპი შვა. ამას მოსდევს განსხვავებული დეტალები, რომელთაც გვერდს ავუვლი და რომლებმაც ასეთე განმარტება ვერ პოვეს. ქალი, რომელიც სიზმარში ტყუპის დედა გახდა, მამის მეორე მეუღლეა, ჟელინაცვალია მისი ქალიშვილისა. ამ ქალისაგან მამას არ სურდა ჰყოლოდა შვილები, ვინაიდან თვლიდა, რომ ის ბავშვის აღზრდის საქმეში უკარგისი იყო. სიზმრის დროისათვის მამას ძალიან დიდი ხნით ჰქონდა შეწყვეტილი სქესობრივი ურთიერთობა. ის, რამაც საბაბი მისცა მას ჩემთვის წერილი მოეწერა, იყო ექვსი სიზმრის მოძღვრებისადმი, რის შესახებაც მას სიზმრის მანიფესტურმა შინაარსმა მოახსენა: სიზმარი რატომ აშობინებს ამ ქალს ბავშვებს მისი სურვილის სრულიად საპირისპიროდ? განსაყოფიერებისთვისაც, რომ ეს არასასურველი რამ შეიძლებოდა განხორციელებულიყო, მისი ინფორმაციის მიხედვით, არ არსებობდა საბაბი. სურვილი, ეს სიზმარი ჩემთვის ეცნობებინა, გამოიწვია იმან, რომ მან 16 ნოემბერს დრიანად მიიღო ტელეგრაფის ცნობა ქალიშვილისაგან ტყუპების შეძენის თაობაზე. ტელეგრამა მიღებამდე, ერთი დღით ადრე იყო შეკვეთილი, მშობიარობა კი მოხდა 16 ნოემბრის ღამეს, დაახლებით იმავე საათზე, როცა ესიზმრებოდა მისი მეუღლის მიერ ტყუპების ყოლა, სიზმრის მხილველი მეკითხება – ვთვლი თუ არა შემთხვევით დამთხვევას სიზმარსა და მომხდარს შორის. მან ვერ გაბედა ეწოდებინა სიზმრისათვის ტელეპატიური, რამდენადაც განსხვავება სიზმრის შინაარსსა და მომხდარს შორის ეხება სწორედ იმას, რაც მას არსებითად ეჩვენება – მშობიარე პიროვნებას. მაგრამ ერთი მისი შენიშვნიდან გამომდინარეობს, რომ ის არ ყოფილა განცვიფრებული ნამდვილი ტელეპატიური სიზმრით. ქალიშვილი – ამბობს ის, მძიმე წუთებში ნამდვილად "განსაკუთრებით მასზე ფიქრობდა".

ქალბატონებო და ბატონებო! თქვენ შეგიძლიათ ეს სიზმარი უკვე ახსნათ და გაიგოთ კიდეც, თუ რისთვის დაშჭირდა მასზე

საუბარი. აქაა თავისი მეორე ცოლით უკმაყოფილო მამაკაცი, რ
მელსაც ერჩია ისეთი მეუღლე ჰყოლოდა, როგორიცაა მისი ქალ
ვილი პირველი ქორწინებიდან. ბუნებრივია, აღნიშნული არაცნობ
ერს შეიცავს აი, როგორ: მან სალამოს ტელეპატიურად აღიქ
რომ ქალიშვილმა შობა ტყუპი. სიზმრის მუშაობა აძლიერებს
ცნობას, მასზე ამოქმედებს არაცნობიერ სურვილს, რომელიც
ლიშვილს სვამს მეორე მეუღლის ადგილზე და ასე აღმოცენდ
საკვირველი მანიფესტური სიზმარი, რომელიც სურვილს ფარ
და ცნობას ამახინჯებს. უნდა ვთქვათ, მხოლოდ სიზმრის ინტერ
პრეტაციამ გვაჩვენა, რომ ესაა ტელეპატიური სიზმარი; ფსიქოა
ლიზმა აღმოაჩინა ტელეპატიური საქმის ვითარება, რომელსაც
სხვაგვარად ვერ გავიგებდით.

მაგრამ არ შეცდეთ! მიუხედავად ამისა, სიზმრის ინტერპრეტ
ციას არაფერი უთქვამს ტელეპატიური საქმის ვითარების ობიექ
ტურ ჭეშმარიტებაზე. ის შეიძლება მოჩვენებაც იყოს, რომელიც
სხვანაირად აიხსნებოდა; შესაძლებელია, მამაკაცის სიზმრის ლა
ტენტური აზრები იუწყებოდეს შემდეგს: დღესაა ის დღე, რომელ
საც მოლიგინება უნდა მოჰყვეს, თუკი ქალიშვილი, როგორც ეს
მწამს, ერთი თვით შეცდა გამოანგარიშებაში. მისი გამომეტყველება
უკვე მაშინ, როცა უკანასკნელად ვნახე, ისეთი იყო, თითქოს მას
ტყუპები უნდა შეძენოდა. ჩემი გარდაცვლილი მეუღლე ბავშვების
დიდი მოყვარული იყო, როგორ გაუხარდებოდა მას ტყუპები! (უკა
ნასკნელი მომენტი ჩავსვი სიზმრის მხილველის ჯერ კიდევ მოუ
სენიებელი ასოციაციების მიხედვით.) ამ შემთხვევაში სიზმრის
მხილველის კარგად დასაბუთებული ვარაუდები არ ყოფილიყო სიზ
მრისადმი სტიმულის ტელეპატიური ცნობება, შედეგი იგივე იქნე
ბოდა, ხომ ხედავთ, ასეთი სიზმრის ინტერპრეტაციასაც არაფერი
გამოუთქვამს იმ საკითხზე, უფლება გვაქვს თუ არა მივიღოთ
ტელეპატია ობიექტურ რეალობად. ეს გადაწყდებოდა მხოლოდ
მოვლენის ყოველი მიმართების საფუძვლიანი დაზვერვით, რაც, სამ
წუხაროდ, მსგავსად ჩემი სხვა გამოცდილებისა, ამ მაგალითის
ნაკლებად იყო შესაძლებელი. დავუმატებდით იმასაც, რომ ტელეპა
ტიის დაშვება სხვა უმარტივეს ახსნებთანაც არის შესაძლებელი,
მაგრამ ამით ბევრი არაფერი ირკვევა. უმარტივესი ახსნა ყოველ

ვის სწორი არაა, ჭეშმარიტება ძალზე ხშირად არაა მარტივი და
სანამ გადავწყვეტდეთ ასეთი სერიოზული შედეგის მქონე დაშვე
ბას, უნდა გამოვიჩინოთ დიდი წინდახედულება.

სიზმრისა და ტელეპატიის თემა ახლა შეგვიძლია გადავდოთ,
მის შესახებ თქვენთვის სხვა აღარაფერი მაქვს სათქმელი, მაგრამ
მაქციეთ ყურადღება იმას, რომ არა თვით სიზმარი გვასწავლის
რაიმეს ტელეპატიის შესახებ, არამედ – სიზმრის ინტერპრეტაცია,
ფსიქოანალიზური დამუშავება. ამიტომ შეგვიძლია სიზმარს შემ
დგომში მთლიანად თავი დავანებოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ
ფსიქოანალიზის გამოყენებით შეიძლება სხვას, ოკულტურად წო
დებულ საქმის ვითრებას სხივი მოეფინოს. ესაა, მაგალ., ინდუქციის
ანუ აზრთა გადატანის ფენომენი, რომელიც ძალზე ახლოს დგას
ტელეპატიასთან, არსებითად შესაძლებელია მასთანაც კი გაერთი
ანდეს ძალდატანების გარეშე. ეს ნიშნავს, რომ სულიერი პროცესე
ბი პერსონში, წარმოდგენები, აგზნების მდგომარეობანი, ნებელობის
იმპულსები, შეიძლება გადავიტანოთ სხვა პერსონზე თავისუფალ
ხრიალში ისე, რომ არ გამოვიყენოთ ცნობილი გზები შეტყობინები
სა სიტყვებითა და ნიშნებით. გასაგებია, როგორი საოცარი, ალბათ
ასევე პრაქტიკულად მნიშვნელოვანი იქნებოდა ასეთი რამ ნამდვი
ლად რომ ხდებოდეს. სიტყვამ მოიტანა და საკვირველია სწორედ
ამ ფენომენებზე ნაკლებადაა მსჯელობა ძველ არანაკლებ საკვირ
ველ ცნობებში.

პაციენტების ფსიქოანალიზური მკურნალობის დროს შთაბეჭ
დილება დამრჩა, რომ პროფესიონალ წინასწარმეტყველთა ქცევა
ყარავს ხელსაყრელ შემთხვევას, რათა განსაკუთრებით უზადო
დაკვირვებები მოვახდინოთ აზრების გადატანაზე. ესენია მნიშვნე
ლობის არამქონე, ან თვით ნაკლებლირებულების მქონე პირები,
რომლებიც რაღაცნაირ მანიპულაციებს მიეცემიან, კარტს შლიან,
ხელწერასა და ხელისგულის ხაზებს სწავლობენ, ასტროლოგიურ
გამოანგარიშებებს ახდენენ და თან მათთან მიმსვლელებს უწინას
წარმეტყველებენ მომავალს, რის შემდეგ მათ წარსულისა თუ აწ
მყოს ბედის ნაწყვეტებს ინტიმურად უყვებიან. მათი კლიენტები
კმაყოფილებას გამოთქვამენ ამ შედეგებით და არც ჯავრობენ, თუკი
მოგვიანებით ნაწინასწარმეტყველები არ ხორციელდება. მე ასეთი

მრავალი შემთხვევა მჭონია, შემეძლო ისინი ანალიზურად შეს
წავლა და ამ მაგალითთაგან საკვირველნი თქვენთვის მომეყო
სამწუხაროდ, ამ ცნობების დამასაბუთებელი ძალა უამრავი ძა
ქმალვით, რასაც საჭიროებს საექიმო ტაქტის მოვალეობა, მცირე
ბა. განწყობებს მე მკაცრად უარვყოფ. ახლა მოისმინეთ ჩემი პაც
ენტი ქალის ისტორია, რომელსაც ასეთი განცდა ჰქონდა წინას
წარმეტყველთან.

ქალი უფროსი იყო და-ძმებში, გაზრდილა განსაკუთრებულ
ძლიერი დამოკიდებულებით მამასთან, ადრე დაქორწინდა, ცოლქმრ
ბაში ნახა სრული კმაყოფილება. მის ბედნიერებას მხოლოდ ერთ
რამ აკლდა – დარჩა უშვილო, მისი საყვარელი მეუღლე ვერ იქნ
მის არსებაში მთლიანად მამამისის ადგილს. როცა მას ხანგრძლივ
იმედის გაცრუების შემდეგ გინეკოლოგიური ოპერაციის გაკეთე
უნდოდა გადაეწყვიტა, ქმარმა განუცხადა, რომ უშვილობაში ბრალ
თავად მიუძღოდა, რომ ადრე, დაქორწინებამდე, ავადმყოფობის გამ
ის უშვილო გახდა, იმედის გაცრუება ქალმა ცუდად გადაიტა
გახდა ნევროტული, ჰქონდა ცხადად გამოხატული შეცდენის შიშ
გასართობად ქარმა ის თან წაიყვანა პარიზს საქმიან მოგზაურობაშ
ერთ დღეს ისინი სასტუმროს ჰოლში ისხდნენ, როდესაც ქალს
თვალში ეცა მოსამსახურეთა ფუსფუსი. შეკითხვაზე, თუ რა მოხდა
გაიგო, რომ მოვიდა ბატონი პროფესორი და კონსულტაციას იძლევა
კაბინეტში. ქალმა გამოთქვა სურვილი კონსულტაციის მიღებაზე
ქმარმა უარი განუცხადა, მაგრამ ხელსაყრელ მომენტში ქალმა სა
კონსულტიო ოთახში შეაღწია და აღმოჩნდა წინასწარმეტყველის
წინაშე. ქალი 27 წლისა იყო, მაგრამ ბევრად უფრო ახალგაზრდად
გამოიყურებოდა. მან მოიხსნა ჯვრისწერის ბეჭედი. ბ-მა პროფესორ
მა მას ხელი დაადებინა პირამდე ნაცრით სავსე – საინზე, საგულდ
გულოდ სწავლობდა ხელის ანაბეჭდს შემდეგ მოყვა იმ წინაალმდე
გობებზე, რომლებიც ქალს ელოდა და დაასრულა იმედიანი რწმენით,
რომ ის კიდევ იქორწინებდა და 32 წლის ასაკში ორი ბავშვ
შეეძინებოდა. როცა ქალი ამ ისტორიას მიყვებოდა, უკვე 43 წლის
იყო, მძიმედ დაავადებული და იმედგაცრუებული, რომ ოდესმე ბა
შვი ეყოლებოდა. წინასწარმეტყველება არ ასრულდა, მაგრამ ამაზე
მაინც არ ლაპარაკობდა დანანებით, არამედ კმაყოფილების უეჭველი

გამოხატულებით, თითქოს ის იგონებდა სასიხარულო განცდას. ად
ვილად დასადგენია, რომ მას არ გააჩნდა ბუნდოვანი წარმოდგენაც
იმ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ორივე წინასწარმეტყველებას და
თუ საერთოდ ისინი რამეს ნიშნავდნენ.

ალბათ იტყვით – ესაა უსიამოვნო და გაუგებარი ისტორიაო დ
გეთანხმებით, თუ რისთვის მოგიყვანეთ იგი. მთლიანად დავეთანხმებო
დი, რომ ანალიზი – და ესაა ახლა ძირითადი – შესაძლებელს არ
ხდიდა ჩვენთვის იმ წინასწარმეტყველების ინტერპრეტაციას, რო
მელიც სწორედ დეტალების განმარტებით მაიძულებლად ზემოქმე
დებს. ორივე რიცხი თავის ადგილს პოულობს პაციენტი ქალის
ცხოვრებაში, რომელიც გვიან, ოცდაათ წელზე მეტისა გათხ
ოვდა. ოჯახში ხშირად ამბობდნენ, რომ ის გონივრულად აჩქარდა,
რათა განაცდენს დაწეოდა. პირველი ორი ბავშვი, დაწყებული ჩვენი
პაციენტით, დაიბადა შესაძლო მოკლე ინტერვალით, ერთ კალენდა
რულ წელიწადში და 32 წლისას მას უკვე ნამდვილად ჰყავდა ორი
ბავშვი. რაც ბატონმა პროფესორმა ჩემს პაციენტს უთხრა, ეს იყო
შემდეგი: დამშვიდდი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, შენც დედაშე
ნის ბედი გელის, რომელიც ასე დიდხანს ელოდებოდა ბავშვებს,
ორი ბავშვი გეყოლება 32 წლის ასაკში. მაგრამ დედაშენისაგე
ბედი რომ გჭონოდა, მის ადგილზე რომ მდგარიყავი, მამასთან მისი
ადგილი რომ დაგეკავებინა – ეს იყო შენი ჭაბუკობის უძლიერესი
სურვილი, ის სურვილი, რომლის განუხორციელებლობამ ახლა და
გავადა. წინასწარმეტყველება დაგპირდა, რომ ეს სურვილი მაინც
განხორციელდებოდა; როგორ უნდა გეგრძნო თავი წინასწარმეტყ
ველის მიმართ სხვაგვარად, თუ არა მეგობრულად? თვლი თუ არა
შესაძლებლად, რომ ბ-ნი პროფესორი თავისი შემთხვევითი კლიენ
ტის ოჯახის ისტორიის ინტიმურ მონაცემებს კარგად იცნობდა?
შეუძლებელია, საიდან მიიღო მან ცნობა, რომელმაც შეაძლებინა,
რომ პაციენტის უძლიერესი და მეტად საიდუმლოი სურვილი თა
ვის წინასწარმეტყველებაში გამოეთქვა ორი რიცხვის მიღებით?
ახსნის მხოლოდ ორ შესაძლებლობას ვხედავ: ან ისტორია, როგო
რადაც მე მომიყვეს, არაა სწორი – იგი სხვაგვარად მოხდა, ან უნდა
ვიაროთ, რომ აზრების გადატანა რეალური ფენომენია. რასაკ
ვირველია, შეიძლება დავუშვათ, რომ პაციენტმა 16 წლის ინტერვა-

ლის შემდეგ ორივე რიცხვი, საქმეც ესაა, თავისი არაცნობიერიდან
იმ მოგონებაში ჩართო. მე დასაყრდენი არ გამაჩნია ამ დაშვების
ვის, მაგრამ მას არ გამოვრიცხავ და წარმოვიდგენ, რომ თქვე
უფრო მზად ხართ ირწმუნოთ ასეთი ინფორმაცია, ვიდრე აზრი
გადატანის რეალობა. თუკი თქვენ უკანასკნელის სასარგებლო
გადაწყვეტთ, ის არ დაივიწყოთ, რომ მხოლოდ ანალიზმა შეძ
ოკულტური ფენომენი, ის აღმოაჩინა, რაც იმდენად იყო დამახინჯ
ბული, ძნელად ამოიცნობოდა.

მსჯელობენ რა მხოლოდ ისეთ შემთხვევაზე, როგორიცაა, ჩემ
პაციენტის მაგალითი, მას გაკვრით ეხებიან მხრების აჩეჩვით. არა
ვის მოდის აზრად, ცალკეულ დაკვირვებაზე ააგოს შეხედულება
რაც ნიშნავს გადამწყვეტ შემობრუნებას. მაგრამ მერწმუნეთ, ეს
არაა ერთადერთი შემთხვევა ჩემს გამოცდილებაში. მე შეკრებილ
მაქვს მთელი რიგი ასეთი წინასწარმეტყველებებისა და მათგან
მივიღე შთაბეჭდილება, რომ წინასწარმეტყველი მხოლოდ შემკით
ველი პერსონის აზრებსა და სავსებით განსაკუთრებით მათ სა
დუმლო სურვილებს გამოხატავს. რომ გამართლებულია ასეთ წი
ნასწარმეტყველებათა გაანალიზება, თითქოს ისინი ყოფილიყოს შემ
კითხველ პირთა სუბიექტური პროდუქტები, ფანტაზიები ან სიზ
მრები. ბუნებრივია, ყველა შემთხვევას ერთნაირი დასაბუთების ძა
ლა არ გააჩნია და ყველაში ერთნაირად შესაძლებელი არაა რაციო
ონალური ახსნის გამორიცხვა, მაგრამ მთლიანობაში მაინც რჩება
დიდი რიცხვი ალბათობისა აზრთა გადატანის ფაქტიურობის სა
სარგებლოდ. საგნის მნიშვნელობა გაამართლებდა, რომ მე თქვე
თვის მომეტანა ყველა ჩემი შემთხვევა, მაგრამ ეს მე არ შემიძლია,
ვინაიდან მისთვის საჭირო გადმოცემა განივრცობოდა და ამასთან
აუცილებელი სათანადო საიდუმლო შეილახებოდა. მე შევეცადე
ჩემი სინდისი შეძლებისდაგვარად დავაშოშმინო იმით, რომ კიდე
რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ.

ერთ დღეს მესტუმრა მაღალინტელიგენტი ახალგაზრდა კაცი
სტუდენტი, რომელსაც ჩასაბარებელი ჰქონდა უკანასკნელი სადოქ
ტორო გამოცდა. მაგრამ მას არ შეეძლო გამოცდის ჩაბარება,
ვინაიდან, როგორც ჩანდა, მთელი ინტერესი, კონცენტრაციის უნა
რი, მწყობრი მოგონების შესაძლებლობა დაკარგვოდა. ამ დამბლი

სებური მდგომარეობის წინაისტორია მალე გაირკვა. ის დაავადებუ
ლიყო თვითდაძლევის მიღწევით. მას ჰყავდა და, რომლის მიმართ
ჰქონდა ინტენსიური, მაგრამ მუდამ შეკავებული სიყვარული ჰქონდა,
ასევე – დასაც მის მიმართ. მათგან საკმაოდ ხშირად გაიგონებდით,
რომ ცოლად ჩაგეთვლება, არ შეგვიძლია დავქორწინდეთო. და შეუყვარ
დნენ ღირსეულ მამაკაცს, ქალმაც სიმპატიით უპასუხა, მაგრამ მშობ
ლები მათ კავშირს არ დაეთანხმნენ. ამ გასაჭირში ჩავარდნილმა
წყვილმა მიმართა ძმას, რომელმაც მათ დახმარება აღუთქვა. ძმას
ურთიერთები დაჰქონდა შეყვარებულებთან. მან იმასაც მიაღწია, რომ
საბოლოოდ მშობლები დათანხმდა ქალიშვილის გათხოვებაზე. ნიშ
ნობის დროს მოხდა შემთხვევა, რომლის მნიშვნელობა აღვილადაა
მისახვედრი. ძმამ მოაწყო მომავალ სიძესთან ერთად მთაში ძნელი
ალპინისტური მარშრუტის გზისმკვლევის გარეშე; მათ გზა დაებნათ და ჩავარდნენ
სახიფათოებაში, რომ უკან უშნებლად ველარ დაბრუნდებოდნენ. ცო
ტა ხნის შემდეგ დის გათხოვებიდან ძმა ჩავარდა სულიერი გაბო
ჭვის მდგომარეობაში.

ფსიქოანალიზის ზემოქმედებით ძმა შრომისუნარიანი გახდა,
ჩემგან წავიდა, რათა გამოცდები ჩაებარებინა, მაგრამ იმავე წლის
შემოდგომაზე, გამოცდების წარმატებით დამთავრების შემდეგ, მოკ
ლე დროით ისევ ჩემთან დაბრუნდა. ის მომიყვა საოცარი განცდის
შესახებ, რომელიც მას ჰქონდა ზაფხულის წინ. მის საუნივერსიტე
ტო ქალაქში იყო ერთი დიდი წარმატების მქონე მკითხავი ქალი.
მასთან პრინციპიც კი მიდიოდნენ კონსულტაციისათვის მნიშვნელო
ვანი ღონისძიებების წინ. მკითხავი მუშაობდა ძალზე მარტივად:
ითხოვდა კონკრეტული პირის დაბადების თარიღს და მის შესახებ
სხვას არაფერს კითხულობდა, არც სახელსა და გვარს. შემდეგ
ასტროლოგიურ წიგნებში ამოწმებდა, აკეთებდა ხანგრძლივ გამო
ანგარიშებებს და ბოლოს იძლეოდა წინასწარმეტყველებას. ჩემმა
პაციენტმა გადაწყვიტა მკითხავის საიდუმლოების ხელოვნება თა
ვის სიძეზე გამოეცადა. მივიდა მასთან და დაუსახელა სიძის საჭი
რო თარიღი. მას შემდეგ, რაც გამოანგარიშება ჩაატარა, მკითხავმა
უთხრა: ეს პირი ამ წლის ივლისში ან აგვისტოში დაიღუპება
კბოსაგან ან ხამანწკისაგან მოწამვლით. ჩემმა პაციენტმა მოყოლა
დაასრულა სიტყვებით: "და ეს იყო მთლად დიდებული!"

დასაწყისში უნებურად ვუსმენდი, ამ წამოძახილის შემდეგ კ
ნება მიეცი ჩემს თავს კითხვა დამესვა მისთვის: რას ვნახულობ
ამ წინასწარმეტყველებაში დიდებულს? ახლა გვიანი შემოდგომა
თქვენი სიძე არ მოკვდარა, ეს თქვენ დიდი ხანია მომიყვით, მაგ
წინასწარმეტყველება არ ასრულდა. რა თქმა უნდა, არა, – მიდასტუ
რებდა ის, მაგრამ საოცარი შემდეგია. ჩემი სიძე დიდი მოყვარული
კიბოსი და ხამანწკისა და გასულ ზაფხულს, ე. ი. –წინასწარმეტყ
ველთან სტუმრობამდე – ხამანწკით მოიწამლა, რამაც ის კინაღამ
იმსხვერპლა. რა ვთქვათ ამაზე? მე შემეძლო მხოლოდ გული მო
სვლოდა, რომ დიდად განათლებულმა ქალმა, რომელსაც წარმატე
ბითი ანალიზი ჰქონდა ჩატარებული, კავშირი უკეთესად ვერ გა
ჭვრიტა. ჩემი მხრიდან, სანამ ვირწმუნებდე, რომ ასტროლოგიური
ცხრილებიდან შეიძლება გამოანგარიშება კიბოს, ან ხმამანწკით მო
წამვლისა, მინდა დავუშვა – ჩემს პაციენტს ჯერ კიდევ არ ჰქონდა
განელებული მოწინააღმდეგის ზიზღი, რომლის განდევნით თავის
დრიოზე დაავადდა და, რომ ასტროლოგმა ქალმა უბრალოდ თავისი
საკუთარი მოლოდინი გამოთქვა: ასეთ მოყვარულს უარს ვერ ეტყვი
ერთი დღეც იქნება ის მაინც დაიღუპება. ვალიარებ, ამ შემთხვევა
სათვის სხვა ახსნა არ ვიცი გარდა იმისა, რომ ჩემმა პაციენტმა
თავის თავს, ჩემთან ერთად ტკივილი მიაყენა. მაგრამ მას არ მოუცია
ჩემთვის, არც მაშინ და რც მოგვიანებით, საფუძველი ამ გუმანისათ
ვის და ჩანდა, რასაც ის ამბობდა, ამას სერიოზულად ფიქრობდა.

სხვა შემთხვევა: საპატიო მდგომარეობის ახალგაზრდა კაცმა
დაიკავა კავშირი საყვარელთან (Liebe dame), რომელთანაც უცნაურ
იძულებას მიაღწია. დრო და დრო საყვარელს ის აბუჩად იგდებდა
და დამცინავი სიტყვებით ანაწყენებდა, სანამ არ ჩააგდებდა პირდა
პირ სასოწარკვეთილებაში. მიიყვანდა რა ამ მდგომარეობამდე, მაშა
კაცი წყარდებოდა, ურიგდებოდა მას და ახაჩუქრებდა კიდეც, ახ
ლა მას შეეძლო ქალისაგან განთავისუფლებულიყო; იძულება მაშა
კაცისათვის შემაშფოთებელია, ის აშჩნევს, რომ მისი საკუთარი
რეპუტაცია ამ დამოკიდებულებაში ზიანდება. მას სურს ჰყავდეს
საკუთარი შეუღლე, ოჯახი დააფუძნოს. საქმე ისაა, რომ მხოლოდ
საკუთარი ძალებით ამ ქალისაგან თავის დაღწევა არ შეუძლია,
დასახმარებლად ანალიზს იშველიებს. ერთი ასეთი შეურაცხყოფე

ლი კინკლაობის შემდეგ, ანალიზის დროს, ქალისაგან გამოგზავნილ
მოკლე ღია ბარათს იღებს, რომელსაც ხელწერის სპეციალისტს
აჩვენებს. ინფორმაცია, რომელსაც მისგან გაეცნობა გვაუწყებს,
რომ ესაა უკიდურესად სასოწარკვეთილი ადამიანის წერილი, რო
მელსაც უახლოეს დღეებში ნამდვილად დალუპვა ელის. თუმცა ეს
არ ხდება, ქალბატონი უვნებელი რჩება, მაგრამ ანალიზი აბერხებს
მისი ფესვების შენჯღრევას. მამაკაცი ტოვებს ქალბატონს და ახალ
გაზრდა გოგოსთან ამყარებს ურთიერთობას, მოელის რა, რომ ის
იქნება მისთვის კარგი მეუღლე. მალე ამის შემდეგ ნახულობს
სიზმარს, რაც შეიძლება ინტერპრეტირებული იქნეს როგორც ეჭ
ვის დასაწყისი ამ გოგონას ღირსებაზე. ის გოგოსაგან იღებს ხელ
წერის ნიმუშს, რომელსაც იმავე ავტორიტეტს აჩვენებს და ისმენს
მსჯელობას მისი ბარათის შესახებ, რაც მამაკაცის შიშს ადასტუ
რებს. ის უკუაგდებს გახზრახვას – გოგო ცოლად წაიყვანოს.

ხელწერის სპეციალისტის დასკვნის, განსაკუთრებით პირვე
ლისა, შეფასებისათვის უნდა ვიცოდეთ რაიმე მამაკაცის საიდუმლო
ისტორიის თაობაზე. ადრეული ჭაბუკობის ასაკში, მისი ვნებიანი
ბუნების შესატყვისად, მას გაშმაგებამდე შეუყვარდა მასზე უფრო
სი ახალგაზრდა ქალი. მისგან უარი მიიღო და შეეცადა თვით
მკვლელობას, რომლის სერიოზულობაში შეეჭვება შეუძლებელია.
მხოლოდ შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს და ხანგრძლივი მოვ
ლით გამოჯანმრთელდა, მაგრამ ამ შმაგმა ქცევამ საყვარელ ქალზე
ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. კაცის მიმართ ქალმა გამოიჩინა
მოწყალება და გახდა მისი საყვარელი. ამ დროიდან დაწყებული
მამაკაცი დარჩა ფარულ კავშირში და ქალს ემსახურებოდა; ნამ
დვილად რაინდულად. ორ ათწლეულზე მეტი ხნის შემდეგ, როცა
ორივენი ხანში შევიდნენ, ბუნებრივია, ქალი მასზე უფრო მეტად,
მამაკაცში გაიღვიძა მოთხოვნილებამ ქალს გაშორებოდა, თავისუ
ფალი ყოფილიყო, საკუთარი ცხოვრებით ეცხოვრა, თავისი სახლ–
კარი და ოჯახი დაეფუძნებინა, და იმავდროულად შეყვარებული–
სადმი შურისძიების დიდი ხნით დათრგუნულმა მოთხოვნილებამ
გაიღვიძა – ერთ დროს მას უნდოდა თავის მოკვლა, ვინაიდან ქალმა
ის არაფრად ჩააგდო; ახლა მას უნდოდა დაკმაყოფილება იმით, რომ
ქალს საკუთარი სიკვდილი ეძია, ის ხომ მიატოვა მამაკაცმა, თუმცა

მისი სიყვარული ქალისადმი ჯერ კიდევ ძლიერია, ვიდრე ამ სურ-
ვილს გააცნობიერებდეს; მას არც ის შეეძლო, ქალის მიმართ ბ-
როტება ჩაედინა. ეს მას ბოლოს მოუღებდა. ამ სულიერ მდგომარე-
ობაში ის დაუკავშირდა დროს მატარებელ ქალს როგორც, ასე რომ
ვთქვათ, განტევების ვაცს, რათა დაკმაყოფილებულიყო in corpore
vili* შურისძიების წყურვილი – ქალი ყოველნაირად ეწვალებინა,
რაც ერთადერთი სასურველი საწინდარი იქნებოდა საყვარელი ად-
ველი ქალის მიმართ. შურისძიება, რომელიც მეორე ქალზე უნ-
მომხდარიყო, შეცვალა მხოლოდ გარემოებამ – სიყვარულის დამო-
დებულებაში ქალი თანამონაწილედ და თანამრჩევლად იქცა ნა-
ვლად იმისა, რომ მისი ნარჩენები დაეფარა. იძულება, რომელ-
შესახებაც მამაკაცი შენაცვლებულ პირთან ჩივის და რამაც ის
ანალიზამდე მიიყვანა, ბუნებრივია, საკუთარ თავზე იყო გადატა-
ლი ძველი შეყვარებულიდან; ეს უკანასკნელი კი ის იყო, რომლის-
გან განთავისუფლება დიახაც ნებავდა, მაგრამ არ შეეძლო. მე არ
ვარ ხელწერის მცოდნე და ბევრი არ გამეგება ხელოვნების შესახებ
– ხელწერით გამოვიცნო სასიათი, კიდევ უფრო ნაკლებ მწამს შე-
საძლებლობა ამ გზაზე გამოვთქვა აზრი ხელწერის მიმცემის მა-
მაკლის შესახებ, მაგრამ თქვენ ხედავთ, თუ როგორ ფიქრობენ
გრაფოლოგიის ღირებულებაზე; ცხადია, სპეციალისტი, რომელიც
დაგვპირდა, წინამდებარე ნიმუშის დამწერი შემდეგ დღეებში ღა-
ღუპებაო, ისევ შესატყის პერსონში დღის სინათლეზე გამოვიდა
ძლიერი საიდუმლო სურვილით. მსგავსი რამ მოხდა მეორე და-
კვნასთანაც, მხოლოდ ის კია, რომ აქ არაა ლაპარაკი არაცნობიერ
სურვილზე, არამედ იმაზე, რომ დაკითხულის განვითარებულმა აქ
ემა და შიშებმა ნათელი გამოხატულება მიიღეს ხელწერის სქემ-
ალისტის პირით, თუმცა ჩემმა პაციენტმა მიაღწია ანალიზის ღა
შარებით შეხვედროდა სიყვარულის არჩევანს ჯადოსნური წრის
გარეშე, რომელშიც გახვეული იყო.

ქალბატონებო და ბატონებო! თქვენ ახლა მოისმინეთ, თუ რას
იძლევა სიზმრის ინტერპრეტაცია და ფსიქოანალიზი საერთოდ
ოკულტიზმისათვის. მაგალითზე ნახეთ, რომ მათი გამოყენებით
ოკულტური საქმის ვითარებანი გაცხადდნენ, რომლებიც სხვაგ-

* in corpore vili = საერთოდ (რედ. შენიშვნა).

ბად ძნელად საცნობი დარჩებოდნენ. კითხვაზე, რომელიც, რა თქმა
უნდა, ყველაზე უფრო გაინტერესებთ – უფლება გვაქვს თუ არა
ვირწმუნოთ ამ მონაპოვრის ობიექტური რეალობა, ფსიქოანალიზს
არ შეუძლია პირდაპირ გიპასუხოთ, მაგრამ მისი დახმარებით აღ-
მოჩენილი მასალა ახდენს, უკიდურეს შემთხვევაში, დადებითი პა-
სუხის კეთილგანწყობილ შთაბეჭდილებას. თქვენი ინტერესები აქ
არ ჩერდება. თქვენ გინდათ იცოდეთ, რომელი დასკვნების გამოტა-
ნას უფლებას გვაძლევს ის შეუდარებლად მდიდარი მასალა, რო-
მელშიც ფსიქოანალიზი არ მონაწილეობს, მაგრამ აქეთ ჩვენ არ
გვგვეებით, ეს აღარაა ჩემი სფერო. ერთადერთი რაც შემიძლია
კიდევ გავაკეთო, ისაა, რომ მოგიყვებით დაკვირვებებზე, რომლებ-
საც ყოველ შემთხვევაში, დამოკიდებულება აქვთ ანალიზთან, რომ
ისინი ანალიზური განხილვის დროსაა მოპოვებული, ალბათ მათი
შეგავლენითაც. მე გაგაცნობთ ერთ მაგალითს, რაც ძლიერად აღ-
ნიშნა ჩემში. გაფრთხილებთ იყოთ ფრიად დეტალური, ყურადღება
მიაპყროთ ცალკეული მომენტების სიძრავლეს და ამასთან ბევრი
რამ დათრგუნოთ, რაც დაკვირვების დამარწმუნებელ ძალას მეტად
გაძლიერებდა. ეს ის მაგალითია, რომელშიც საქმის ვითარება
დღესავით ნათელია და არ მოითხოვს ანალიზით განვითარებას.
თუმცა დისკუსიის შემთხვევაში, ანალიზის დახმარებას ვერ შევე-
ვევით. ამას წინდაწინვე გეუბნებით, მოჩვენებითი აზრების გადატა-
ის ეს მაგალითიც ანალიზურ სიტუაციაში ყოველი მოსაზრების
წინააღმდეგ უფნებელი არაა, არ უშვებს ოკულტური ფენომენის
ეციალებელ რეალობას.

მაშ, მოისმინეთ: 1919 წლის შემოდგომის ერთ დღეს, დილის 10
საათსა და 45 წუთზე ლონდონიდან ახლად ჩამოსულმა დოქტორმა
ვიდ ფორსაიტმა (Dr. David Forsyth) გადმომცა ბარათი იმ დროს,
როცა პაციენტთან ვმუშაობდი (ჩემი პატივცემული კოლეგა ლონდო-
ის უნივერსიტეტიდან ნამდვილად არ ჩამომართმევს უტაქტობაში,
თუკი ვიტყვი, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ის ჩემგან ეზი-
არა ფსიქოანალიზური ტექნიკის ხელოვნებას). მე მხოლოდ იმის
დრო მქონდა მას მივსალმებოდი და შემეთავაზებინა მოგვიანებით
ისტუმრებოდა. დოქტორი ფორსაიტი ჩემს მოწვევას დაეთანხმა. ის
პირველი უცხოელი, რომელიც ომის წლების იზოლაციის შემდეგ

ჩემთან მოვიდა, რაც უკეთესი დროის დადგომის დასტურად მესახე
ბოდა. მალე ამის შემდეგ, 11 საათზე, მოდის ერთი ჩემი პაციენტი
განი–ბ–ნი პ. 40–50 წლის გონებამახვილი და თავაზიანი მამაკაც
რომელიც თავის დროზე ჩემთან იყო ქალთან ურთიერთობაში სი
ნელეების გამო, მის შემთხვევას თერაპიული შედეგი არ მოჰყოლი
მაშინ მე მას მკურნალობის დაწყების წინადადება მივეცი. ამჯერ
დაც პ–ს სურდა მკურნალობის გაგრძელება, ვინაიდან, როგორც
ჩანს, ჩემზე მამობის გადატანას სასიამოვნოდ განიცდიდა. ამ დრო
ისათვის ფული არავითარ როლს არ თამაშობდა, ვინაიდან მკურნა
ლობისათვის მეტად მცირე გასამრჯელოს იძლეოდნენ. პ–თან გატა
რებული დრო ჩემთვის ერთგვარი იმპულსი და დასვენება იყო; იგი
ასე, საქმიო მუშაობის მკაცრ წესებზე გადაბიჯებით, გრძელდებო
და ანალიზური მცდელობა საკარაუდო ვადამდე.

ამ დღეს პ. დაუბრუნდა ქალებთან სასიყვარულო ურთიერთო
ბის მცდელობას და ერთხელ ისევ მოიხსენია მშვენიერი, პიკანტუ
რი, ღარიბი გოგონა, რომელთანაც შეეძლო წარმატება ჰქონოდა,
თუ არა ფაქტი ქალწულობისა, რაც ყოველ მის სერიოზულ წა
მოწყებას აფერხებდა. მამაკაცი მის შესახებ სმირად ლაპარაკობდა,
მაგრამ დღეს პირველად მოჰყვა, რომ გოგონა, რომელსაც, ბუნებრი
ვია, არავითარი წარმოდგენა არ გააჩნდა მამაკაცის ქცევაში დარ
ღვევის ნამდვილი საფუძვლების თაობაზე, მას უწოდებდა ბატონ
სიფრთხილეს (Vorsicht). ამ ცნობამ გამაოცა, დოქტორ ფორსაიტის
(Dr. Forsyth) კარტი ჩემს ხელთაა, მე ის ვაჩვენე მას.

საქმის ვითარება ასეთია. მე ველოდები, ის თქვენ მჭლე ფაქ
ტად მოგეჩვენებათ, მაგრამ მოუსმინეთ შემდგომ, მასში უფრო მეტი
რამ იმალება.

ახალგაზრდობაში რამდენიმე წელი პ. ინგლისში ცხოვრობდა
და აქედანაა, რომ ხანგრძლივი ინტერესი შეინარჩუნა ინგლისური
ლიტერატურისადმი. მას აქვს მდიდარი ინგლისურენოვანი ბიბლიო
თეკა, იქიდან მოჰქონდა ჩემთვის წიგნები და მე მადლობელი ვარ,
რომ გამაცნო ისეთ ავტორებს, როგორიცაა Benett და Galsworthy,
მათ მანამდე ნაკლებად კკითხულობდი. ერთ დღეს მომიტანა გოლ
სუორსის რომანი სათაურით "The man of Property", რომელშიც
მწერლის მიერ გამოგონილი გვარია Forsyte. გოლსუორსი, ცხადია,

ჩვენი შემოქმედებით თვითონვე იყო დატყვევებული, რამდენადაც
ჩვენდელ მოთხრობებში დაუბრუნდება ამ ოჯახის წევრებს და ბო
ლოს ყველა შეკრება მათთვის გამოგონილი სახელწოდების ქვეშ –
"The Forsyte Saga". მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე შემთხვევამ
და, რომელსაც გიყვებით, პ–მ მომიტანა ახალი ტომი ამ სერიიდან.
სახელმა ფორსაიტმა და ყველაფერმა ტიპიურმა, რაც უნდოდა
მწერალს მასში განესახიერებინა, ასევე როლი ითამაშა ჩემს გა
კვლევებში პ–სთან; ის იქცა რალაც საიდუმლო ენის ნაწილად,
რომელიც ორ პერსონს შორის ადვილად იქმნება რეგულარული
ურთიერთობის დროს. ფორსაიტის (Forsyte) გვარი რომანში უმნიშ
ვნელოდ განსხვავდება ჩემი პაციენტის გვარისაგან Forsyth, გერმა
ული გამოთქმისათვის ძლივს თუ განსხვავდება და ეს აზრიანი
ინგლისური სიტყვა, რასაც ასევე გამოვთქვამთ, იქნებოდა fore
sight–ად თარგმნილი – წინასწარხედვა (Voraussicht) ანდა სიფრთხი
ლე (Vorsicht). პ–მ, მაშ, ფაქტიურად თავისი პიროვნული მიმართებე
დს მსგავსი გვარი გამოიყვანა, რომლითაც იმავე დროს მე დამა
ჯა მისთვის უცნობის შემთხვევის გამო.

არაა სწორი, თითქოს ეს უკეთესად გამოიყურებოდეს, მაგრამ,
ვფიქრობ, ძლიერ შთაბეჭდილებას მივიღებთ შემთხვევითი ფენომე
ნისა და მისი ალმოცენების პირობებში ჩახედვიდან, თუკი პ–ს მიერ
მითითებულ დროს ნათქვამ ორ სხვა ასოციაციას ანალიზურად
გავაშუქებთ.

ჯერ ერთი: წინა კვირის ერთ დღეს ბ–ნ პ.–ს 11 საათზე ამაოდ
ველოდი; შემდეგ გამოვედი, რათა დოქტორ ანტონ ფონ ფროინდს
მწვეოდი პანსიონში. გავცოცდი, როცა გავიგე, რომ ბ–ნი პ. პანსიონ
თან მიშენებული სახლის სხვა სართულზე ცხოვრობდა. ამის შესა
ხებ მოგვიანებით მოვუყევი პ–ს, რომ მე მას, ასე რომ ვთქვათ,
უსტუმრე სახლში. გარკვევით ვიცი, იმ პირის სახელი, რომელსაც
უსტუმრე პანსიონში, არ დამისახელებია. ბ–ნ ფონ Vorsicht–ის
მოხსენიების შემდეგ ის უცებ მისვამს შეკითხვას: Freud–Ottorego–
ს სახალხო უნივერსიტეტში მიჰყავს ინგლისურის კურსი, ალბათ
ოქვენი ქალიშვილია, არა? და პირველად ჩვენი დიდი ხნის ურთი
ერთობაში ჩემი გვარი დაამახინჯა, რასაც მე მიმაჩვიეს სახელმწი
ფო მმართველობამ, ადმინისტრაციამ, პოლიგრაფისტებმა. მან ნაც–

ვლად ფროიდისა თქვა ფროინდი.

მეორეც: შეხვედრის ბოლოს ის ჰყვება სიზმარს, რამაც შიში გააღვიძა. ვფიქრობ, ეს იყო ნამდვილი კოშმარული სიზმარი და უმატებს, რომ, ცოტა ხნის წინათ ამის აღმნიშვნელი ინგლისური სიტყვა დაავიწყდა და მას მისცეს ინფორმაცია, – Alptraum ინგლისურად არის "a mare's nest". ეს, ბუნებრივია, უაზრობაა, a mare's nest ნიშნავს დაუჯერებელს, მონაჩმახს; Alptraum–ის თარგმანი კი არის "night–mare". ამ უცრად თავში მოსულ აზრს ადრეულთან სხვა არაფერი აქვს საერთო, თუ არა ელემენტი – ინგლისური. მაგრამ ის მე მაგონებს დაახლოებით ერთი თვის წინათ მომხდარ პატარა შემთხვევას. პ. იმყოფებოდა ჩემთან ოთახში, როცა დიდი განშორების შემდეგ მოულოდნელად მეწვია მეორე საყვარელი სტუმარი ლონდონიდან დოქტორი ერნსტ ჯონსი. მას მე ვანიშნე გასულიყო მეორე ოთახში, სანამ პ.–სთან ვსაუბრობდი. ამ უკანასკნელმა ის მაშინვე იცნო მოსაცდელ ოთახში დაკიდებული ფოტოგრაფიული სურათით და გამოთქვა სურვილი წარმედგინა მისთვის. ჯონსი ავტორია მონოგრაფიისა და კოშმარული სიზმრის – night–mares–ს შესახებ; მე არ ვიცოდი, თუ მას პ. იცნობდა, ის ხომ გაურბოდა ანალიტური წიგნების კითხვას.

უპირველეს ყოვლისა შეიძლია გავარკვიო, თუ როგორი ანალიტური გაგებაა პ.–ს თავში უცებ მოსული აზრებისა და მათი მოტივაციის დაკავშირებას შორის. პ.–სათვის, როგორც დავადგინე, გვარი Forsyte და Forsyth მსგავსი, ერთი და იგივე იყო. საერთოდ მაღლობელი ვარ მისი ამ გვარის გაცნობისათვის. საოცარი იყო ის, რომ მან ეს გვარი ანალიზში უცრად შემოიტანა; მოკლე დროში ამის შემდეგ ახალი ვითარებით – ლონდონელი მკურნალის ჩამოსვლით, ის ჩემთვის სხვა შინაარსით გახდა მნიშვნელოვანი. მაგრამ ალბათ თვითონ ფაქტზე არანაკლებ საინტერესოა, თუ გვარი როგორ წარმოჩინდა ანალიზის დროს. მას არ უთქვამს: ახლა აზრად მომდის გვარი Forsyte თქვენთვის ცნობილი რომანიდანო. არამედ ის მან იცოდა ჩახლართულად საკუთარი განცდებით ამ წყაროზე ცნობიერი მიმართების გარეშე და აქედან გამოვლინდა ის, რაც შეიძლებოდა დიდი ხნით ადრე მომხდარიყო და აქამდე არ მომხდარა. შემდეგ მან თქვა: მე Forsyth–იც ვარ, გოგონა ასე მიწოდებს

ძნელია არ შეაფასო ეჭვიანი პრეტენზიისა და სევდიანი თვითდაკნინების ალრევა, რომელიც ასე გამოვლინდა. არ შევცდებოდით, თუკი მას ასე შევავსებით: მე შეურაცმყოფს, თქვენს აზრებს რომ ასე დიდად აინტერესებს მომსვლელი. დამიბრუნდი, დიახაც მე ვარ ასევე Forsyth – რა თქმა უნდა, მხოლოდ ბ–ნი Forsicht, როგორც ამას გოგონა ამბობს. და, აი, მისი აზრთა მსვლელობა უბრუნდება ასოციაციის ძაფით ელემენტს ინგლისური ორი ადრეული მარჯვე შემთხვევიდან, რომელთაც შეეძლოთ ერთნაირი ეჭვი გაელვიძებინათ: წინა დღეებში ჩემს სახლს ეწვიეთ, მაგრამ სამწუხაროდ არა მე, არამედ ბ–ნ ფროინდს". ამ აზრმა დაამახინჯა გვარი Freud–ი Freund–ად. Freud–Ottorego ლექციების ჩანაწერში უნდა ჩაისვას, ვინაიდან, ის, როგორც ინგლისური ენის მასწავლებელი, აშუალებს ვიზუალურ ასოციაციას. და შემდეგ მოგონება უერთდება რამდენიმე კვირით ადრე სხვა მომსვლელს, რომლის მიმართაც, რა თქმა უნდა, ეჭვიანი იყო, რასაც მაშინვე ვერ გრძნობდა, ვინაიდან მან დოქტორი ჯონსი იცოდა როგორც Alptraum–ის შესახებ გამოკვლევის დამწერი, როცა ასეთ სიზმრებს ჯონსი სულ დიდი, თვითონ ქმნიდა. თავისი შეცდომის მოხსენიებაც "a mare's nest"–ის ძნაშვნელობაშიც ეკუთვნის ამავე კავშირს. მას შეეძლო მხოლოდ ეთქვა: მე ისევე არა ვარ ნამდვილი ინგლისელი, როგორც ნამდვილი Forsyth.

ახლა არ შემიძლია მისი ეჭვიანობის გრძნობის ჩასახვა აღნიშნო არც როგორც შეუსატყვისი და არც როგორც გაუგებარი. ის მზად იყო იმისთვის, რომ მისი ანალიზი და ჩვენი ურთიერთობაც დასრულდებოდა, როგორც კი ისევ უცხო მოწაფეები და პაციენტები ჩამოვიდოდნენ ვენაში და, მართლაც, მალე ასეც მოხდა. მაგრამ აქამდე რასაც მივაღწიე, ეს იყო ანალიზური მუშაობის ნაწილი – გარკვევა იმავე დროს წარმოთქმული, იმავე მოტივით წარმართული სამი უეცრად მოსული აზრისა და მას ბევრი არაფერი ესაქმება სხვა საკითხთან – ეს უეცრად მოსული აზრები გამოიგანება თუ არა აზრების გადატანის გარეშე. უკანასკნელი ორიენტაციას იღებს ცალკეულზე სამივე აზრიდან და ამით იყოფა სამ ცალკე საკითხად; შეიძლებოდა თუ არა პ.–ს სცოდნოდა, რომ დოქტორი Forsyth სწორედ რომ პირველად მესტუმრა? შეეძლო თუ არა მას ცოდნოდა, რა გვარისა იყო პიროვნება, რომელსაც მის

სახლში ვეწვიე? იცოდა მან რომ დოქტორ ჯონსს დაწერილი ჰ
ქონდა გამოკვლევა კოშმარულ სიზმარზე? თუ ეს იყო მხოლოდ მის
აზრებში გამომჟღავნებული ჩემი ცოდნა. ამ სამი ცალკეული კით
ვის პასუხზე იქნება დამოკიდებული დასკვნა – ჩემი დაკვირვებ
იძლევა თუ არა საფუძველს აზრების გადატანის სასარგებლო
ცოტა ხნით გვერდზე გადავდოთ პირველი კითხვა, გადასაწყვეტ
ორი დანარჩენი უფრო ადვილია. პანსიონში წვევის შემთხვევა ერ
თი შეხედვით განსაკუთრებულ საიმედო შთაბეჭდილებას ახდენ
მე გარანტირებული ვარ, რომ მის სახლში ჩემი არახანგრძლივ
სტუმრობის ხუმრობით მოხსენიების დროს გვარი არ დამისახელე
ბია. მე ფრიად არასაალბათოდ ვთვლი, რომ პ.–მ პანსიონში იმ
პირის გვარი შეიტყო. მე უფრო მიმაჩნია, რომ მისთვის ამ პირის
არსებობა სავსებით უცნობი დარჩა. მაგრამ ამ შემთხვევის დასაბუ
თების წრე შემთხვევითობით საფუძვლიანად დაირღვა. მამაკაცი
რომელსაც პანსიონში ვეწვიე, გვარად იყო არა მარტო Freund
არამედ – ყველასათვის ნაძღვილი მეგობარი. ის იყო Dr. Anton
Freund, ვისმა თავგანწირვამაც ჩვენი გამომცემლობის დაფუძნება
შეძლო. მისი ადრეული სიკვდილი, ისევე როგორც ერთი წლის
შოგვიანებით Karl Abraham–ისა, უმძიმესი უბედური შემთხვევა
იყო, რაც კი გადახდენია ფსიქოანალიზის განვითარებას. მაშინ მე
შემეძლო ბ–ნ პ.– საოვის მეთქვა: მე თქვენს სახლში მეგობარს
(Freund) ვეწვიე და ამით ოკულტური ინტერესი მის მეორე ასოცი
აციაზე გადასულიყო.

მესამე აზრის შთაბეჭდილებაც მალე ცხრება. პ.–ს შეეძლო თუ
არა ცოდნოდა, რომ ჯონსს გამოყენებული ჰქონდა კოშმარული
სიზმრის შესახებ მაშინ, როცა ის არ კითხულობდა ანალიზურ
ლიტერატურას? დიახაც, შეეძლო ამის ცოდნა. მას ჰქონდა ჩვენი
გამოცემის წიგნები. ახალი გამოცემის გარეკანზე შეეძლო დაენახა
სათაურით, თუმცა ეს არც დამასაბუთებელია, არც უარმყოფელი. ამ
გზით საკითხის გადაწყვეტამდე ვერ მივალთ. ვწუხვარ, რომ ჩემი
დაკვირვება შეიცავს იმავე შეცდომას, როგორსაც მრავალი მსგავ
სი. ჯერ ერთი, ეს დაკვირვება გვიან ჩავიწერე და მეორეც, სადის
კუსიო გახდა იმ დროისათვის, როცა ბ–ნი პ. მეტად ალარ მინახავს
და არ შემეძლო მისი დაკითხვა.

მაშ, დავუბრუნდეთ, პირველ შემთხვევას, რომელიც აზრთა გადატანის მოჩვენებით საქმის ვითარებას პირდაპირ გვთავაზობს იზოლირებულად. პ. ს შეეძლო თუ არა, ცოდნოდა, რომ Dr. Forsyth მის მოსვლამდე ჩემთან იყო მეოთხედი საათით ადრე? საერთოდ, პ.–ს შეეძლო ცოდნოდა მისი არსებობის შესახებ ვენაში? ორივეს პირწმინდად უარყოფის ტენდენციას ვერ დავეთანხმებით. ჩე მაინც ვხედავ ნაწილობრივი დასტურის გზას. მე შემეძლო მაინც ბ–ნ. პ.–საოვის შემეტყობინებინა, რომ ინგლისიდან ექიმს ველოდებოდი ანალიზის საქმიანობისათვის, როგორც პირველ მტრედს წარლვნის შემდეგ. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო 1919 წლის ზაფხულში. ერთი თვით ადრე Dr. Forsyth–მა თავისი ჩამოსვლის შესახებ წერილობით შეატყობინა. შესაძლებელია, მისი გვარი დამესახელებინა პ.–საოვის, თუმცა ეს მე ძალზე საალბათოდ მეჩვენება. სხვაგვარი მნიშვნელობა ამ გვარისა ჩვენთვის ორივესათვის უნდა დაკავშირებოდა საქმიანობას, რომლის შესახებაც რალაც დარჩებოდა მეხსიერებაში. ეს მაინც შეიძლებოდა მომზდარიყო და მე შემდეგ მტკიცედ დამავიწყდებოდა; ასე რომ ბ–ნ V. Vorsicht–ს ანალიზის დროს, როგორც საკვირველებას, შემეძლო შევხებოდი. ჯინც საკუთარ თავს სკეპტიკოსად თვლის, კარგს იზამდა, თუ შემთხვევისდა მიხედვით სკეპსისშიც შეეჭვდებოდა. ალბათ ჩემშიცაა საიდუმლო მიდრეკილება საკვირველებისადმი, რომელიც ოკულტური საქმის ვითარების შექმნას ასე უწყობს ხელს.

გზიდან მოვიშორეთ რა საკვირველების ერთი ნაწილი, ახლა გელოდება ყველაზე უძნელესი მეორე ნაწილი. დავუშვათ, ბ–მა პ.–მ იცის, რომ არსებობს დოქტორი Forsyth და შემოდგომაზე ვენაში ელოდება მას. როგორ ავხსნათ, რომ სწორედ ჩამოსვლის დღეს და უშუალოდ მისი პირველი წვეულების შემდეგ ის მისადმი მგრძნობიარე ხდება? შეიძლება თქვან ეს შემთხვევითობააო, ე. ი. მას აუხსნელად თვლიან – მაგრამ მე ის ორი დანარჩენი აზრი პ.–სი სწორედ იმიტომ განვიხილე, რომ შემთხვევითობა გამომერიცხა და თქვენთვის მეჩვენებინა, რომ ის ნამდვილად ეჭვიანი აზრებით იყო შეპყრობილი იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ჩემთან მოდიან და ვისთანაც მე მივდივარ, ანდა უკიდურეს შემთხვევაში ისიც დაგეშვა, რომ პ.–ს ჩემთვის განსაკუთრებული აგზნება შეენიშნა, რომლის შესახებაც, რა თქმა უნდა, არაფერი ვიცოდი, და ამისაგან თავისი

დასკვნა გამოეტანა, ან ბ-ნი პ., რომელიც მხოლოდ თხუთმეტი წუთის შემდეგ მოვიდა ინგლისელთან შედარებით, საერთო გზის მცირე მონაკვეთზე მას შეხვედროდეს, ეცნოს იგი თავისი დამახასიათებელი ინგლისური გარეგნობით და თავისი მტკიცე ეჭვიანი მოლოდინით განწყობილს ეფიქროს: ესაა დოქტ. Forsyth, რომლის ჩამოსვლით ჩემი ანალიზი უნდა დამთავრდეს, და ალბათ სწორედ ახლა მოდის პროფესორიდანო. მე არ შემიძლია უფრო შორს წასვლა ამ რაციონალური ვითარებიდან. ისევ რჩება non liquet*, მაგრამ ჩემი შეგრძნებით უნდა ვაღიარო, სასწორი აქაც იხრება ანალიზის გადატანის სასარგებლოდ. თუმცა, რა თქმა უნდა, მე არა ერთადერთი, რომელიც იმ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ ასეთი "ოკულტური" ხდომილებანი ანალიტურ სიტუაციაში განეცადოს. 1926 წელს ელენე დოიჩმა (Helene Deutsch) მსგავსი დაკვირვებანი გაგვაცნო და მის განპირობებულობას პაციენტსა და ანალიტიკოსს შორის გადატანის დამოკიდებულებით სწავლობდა.

მწამს ამ პრობლემისადმი ჩემი განწყობით მთლიანად დარწმუნებული ვერ იქნებით, მაგრამ ისიც ცხადია, მზად ხართ რწმენისათვის, ძალზე კმაყოფილი არ იყოთ, ალბათ თქვენთვის ფიქრობთ: ესაც ისევ ის შემთხვევა, როცა ადამიანი, ვინც თავისი ცხოვრების მანძილზე საფუძვლიანად მუშაობდა როგორც ბუნებისმეტყველი, მოხუცებულობაში გონებასუსტი, ღვთისმოშიში და მიმნდობი გახდა. ვიცი დიდი სახელები თავსდებიან მათ რიცხვში, მაგრამ, მათ შორის მე არ უნდა მომათავსოთ. ყოველ შემთხვევაში, ღვთისმოშიში არ გავმხდარვარ; კიმედოვნებ, არც – მიმნდობი. მხოლოდ, როცა ვინმე ცხოვრების მანძილზე მოხრილია, რათა ფაქტებთან მტკივნეულ შეჯახებას მოერიდოს, სიბერეშიც ინარჩუნებს მოღუნულ ზურგს, იმასაც მდგომარეობას, რომელიც ახალი ფაქტიურობის წინაშე მოიხრება თქვენთვის უკეთესი იქნებოდა, ზომიერი თეიზმის პოზიცია დამეჭირა და თავი მეჩვენებინა ყველა ოკულტურის უმოწყალო უარმყოფელად, მაგრამ არ მაქვს უნარი მოწყალების მიღებისა; მე თქვენ უნდა შეგთავაზოთ, რომ თავაზიანად იაზროვნოთ აზრების გადატანის ობიექტური შესაძლებლობისა და ტელეპატიის შესახებაც.

* არა ცხადი (რედ. შენიშვნა).

არ დაივიწყოთ, ეს პრობლემები მე აქ მხოლოდ იმდენად განვიხილე, რომ შემძლებოდა ისინი თქვენთვის ფსიქოანალიზის მხრიდან მომეახლოვებინა. როცა პირველად, ათ წელზე მეტი ხნის წინ, თქვენ მიბრძანეთ ჩემს თვალსაწიერში, ასევე ვგრძნობდი შიშს ჩვენი მეცნიერული მსოფლმხედველობის მუქარის წინაშე, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ოკულტიზმის მომენტი გამართლდებოდა. ადგილი უნდა დამეთმო სპირიტიზმის ან მისტიკისთვის. დღეს სხვანაირად ვფიქრობ; მეცნიერებისადმი დიდ ნდობას, მწამს, არ მოწმობს, თუკი მას არ უკვერებენ, რომ მას ასევე შეუძლია მიიღოს და დააშუშაოს ის, რაც ოკულტურ მტკიცებებში ჭეშმარიტადაა წამოყენებული. განსაკუთრებით რაც შეეხება აზრთა გადატანას, ესაა მეცნიერული – მოწინააღმდეგენი იტყვიან მექანისტური – აზროვნების განვრცობა ძნელად მისაწვდომ სულიერზე უბრალოდ ხელისშემწყობად. ტელეპატიური პროცესი იმაში უნდა შედგომარეობდეს, რომ ერთი პირის სულიერი აქტი იწვევს მეორე პირში იმავე სულიერ აქტს, ხოლო რაც ორ სულიერ აქტს შორის ძევს, ადვილადაა შესაძლებელი, ფიზიკური პროცესი იყოს, რომელშიც ფსიქიკური ბოლოს ისევ მსგავს ფსიქიკურში გარდაიქმნება. ანალოგია სხვა გარდაქმნებისა – როგორიცაა ტელეფონზე ლაპარაკი და მოსმენა – მაშინ უეჭველი იქნებოდა. წარმოიდგინეთ ფსიქიკური აქტის ეს ფიზიკური ეკვივალენტი რომ გვქონოდა! შემეძლო მეთქვა, ფიზიკურსა და აქამდე, ფსიქიკურად წოდებულს შორის არაცნობიერის ჩართვით ფსიქოანალიზმა მოგვამზადა ისეთი პროცესების დაშვებისათვის, როგორიცაა ტელეპატია. მივეჩვიეთ რა ტელეპატიის წარმოდგენას, მისით შეიძლება ბევრის მიღწევა, რა თქმა უნდა, წინასწარ მხოლოდ ფანტაზიაში. არ ვიცით, თუ როგორ ხორციელდება ერთიანი ნება მწერების დიდი სახელმწიფოსი. შეიძლება, ეს ხდება ასეთი პირისპირი ფსიქიკური გადატანის გზით. მივდივართ დაშვებამდე, რომ ეს პირველადი, არქაული გზა ცალკეულ არსებათა შორის გაგებინებისა არის ფილოგენტურ განვითარების გზაზე შეტყობინების უკეთესი მეთოდი ნიშნის, რასაც შეგრძნებათა ორგანოებით ვებულობთ, დახმარებით რომ განიღეწნა, მაგრამ უფრო ძველი მეთოდები ჩრდილში დარჩა და გარკვეულ პირობებში ჯერ კიდევ გრძელდებიან, მაგ., ნებით აგზნებულ მასებშიც. ყველაფერი ეს ჯერ კიდევ საეჭვოა და სავსეა ამოუხსნელი გამოცანებით, თუმცა არა-

ვითარი საფუძველი არ არსებობს შიშისათვის.

თუკი ტელეპატია რეალური პროცესია, მაშინ მიუხედავად მისი ძნელად დასაბუთებისა, ვუშვებთ – ეს ფენომენი სწორედ რომ ხში რად ხდება. ჩვენს მოლოდინს შეესატყვისებოდა, თუკი შევძლებდით მის ჩვენებას სწორედ ბავშვის სულიერ ცხოვრებაში. გავიხსენოთ ბავშვის ხშირი შიშიანი წარმოდგენები, რომ მშობლებმა იციან ყველა მისი აზრი ისე, რომ ბავშვს ისინი მათთვის არ გაუმხელია – ამის სრული საპირისპიროა და, ალბათ, ზრდადასრულებულია რწმენის წყარო ღმერთის ყოვლადმცოდნეობაზე. ცოტა ხნის წინათ სანდი ქალბატონმა დოროთი ბურლინგჰამმა (Dorothy Burlingham) ერთ სტატიაში – "ბავშვთა ანალიზი და დედა" – გაგვიზიარა დაკვირვებანი, რომლებმაც, თუკი დადასტურდებიან, დარჩენილ ეჭვს აზრების გადატანის რეალობაზე ბოლო უნდა მოუღოს. ის იყენებდა არც თუ იშვიათ სიტუაციას, რომ დედა და ბავშვი ერთდროულად ანალიზის პროცესში იმყოფებიან და მოგვაწვდენებს მისგან მიღებულ საოცარ შემთხვევებს. აი, ერთი მათგანი: ერთ დღეს ანალიზის დროს დედა ჰყვება ოქროს ფულზე, რომელიც გარკვეულ როლს თამაშობს ბავშვის სცენარში. უმალვე მის შემდეგ, რაც რომ დედა სახლში დაბრუნდა, მასთან ოთახში შედის პატარა, დაახლოებით ათი წლის ბიჭი და დედის უწვდის ოქროს ფულს, რათა დედამ მისთვის შეინახოს. განცვიფრებული დედა ეკითხება მას, თუ საიდან აქვს ფული. ბავშვმა ის მიიღო დაბადების დღეს, მაგრამ ეს ხომ რამდენიმე თვის უკან იყო და არა საბაბი იმისა, თუ რატომ უნდა გახსენებოდა ბავშვს სწორედ ახლა ოქროს ფული. დედა აუწყებს ბავშვის ანალიტიკოს ქალს ამ თანდათხვევაზე და სთავაზობს მას გამოიკვლიოს ბავშვთა ამ ქცევის მოტივი. მაგრამ ბავშვის ანალიზს არ მოაქვს არავითარი ახსნა-განმარტება. ერთ დღეს ქცევა შემოიჭრა ბავშვის ცხოვრებაში უცხო სხეულივით. რამდენიმე კვირის შემდეგ დედა ზის საწერ მაგიდასთან თავისთვის, რათა შენიშვნა გააკეთოს მონაყოლ განცდაზე (ეს მას შეახსენებს შემოდის ბიჭი და უკანვე ითხოვს ოქროს ფულს; ბიჭს უნდოდა ეს ფული წაეღო და ეჩვენებინა თავისი ანალიზის დროს. ბავშვის ანალიზს ისევ არ შეუძლია ამ სურვილთან მისასვლელი ნახოს.

და ამით ჩვენ დავუბრუნდებით ფსიქოანალიზს, რისგანაც ამ ვედით.

31-ე ლექცია

ფსიქიკური პიროვნების დანაწილება

ქალბატონებო და ბატონებო! ვიცი, იცნობთ თქვენი საკუთარი გამოკიდებულებისათვის (ლაპარაკია პირისა თუ ნივთების თაობაზე) ამოსავალი წერტილის მნიშვნელობას. ასევე იყო ფსიქოანალიზის შემთხვევაშიც: განვითარებისათვის, რომელიც მან მიიღო; მიღებისთვის, რაც ნახა; განურჩეველი არაა, რომ მან მუშაობა დაიწყო სიმპტომით – "მე"-სათვის უცხოდან, რომელიც სულშია. სიმპტომი წარმოდგება განდევნილისაგან, თითქოს ის იყოს მისი წარმომადგენელი "მე"-ს წინაშე. "მე"-სათვის განდევნილი უცხო მხარეა, შინაგანი უცხო მხარე ისევე, როგორც რეალობა – ნება მომეცით უჩვეულო გამოთქმისათვის – გარე უცხო მხარე. სიმპტომიდან გზამ წაგვიყვანა არაცნობიერისაკენ, ლტოლვითი ცხოვრებისაკენ, სექსუალობისაკენ და იყო დრო, როცა ფსიქოანალიზმა მოისმინა გონებამახვილური შეპასუხება – ადამიანი არაა მხოლოდ სექსუალური არსება, ის იცნობს აგრეთვე კეთილშობილურ და მაღალ სურვილებს. შეგვეძლო დაგვემატებინა, რომ ამაღლებული ამ მაღალი სურვილების ცნობიერებით, ხშირად ის თავს ნებას აძლევს უაზრობა მოიაზროს და ფაქტებს მოეპყრას უდიერად.

თქვენ უკეთ იცით, ჩვენ ამთავითვე ვთვლით, რომ ადამიანი ავადდება კონფლიქტით ლტოლვის ცხოვრების მოთხოვნებსა და ამათ საპირისპიროდ მასში არსებულ წინააღმდეგობის გაწევას შორის. არც ერთ წამს არ დაგვივიწყნია ეს წინააღმდეგობის გამწვევი, უარმყოფელი, განმდევნელი ინსტანცია, რომელიც ვუიქრობთ მისი განსაკუთრებული ძალებით, "მე"- ლტოლვებითაა აღჭურვილი და სწორედ ეს ინსტანცია ემთხვევა პოპულარული ფსიქოლოგიის "მე"-ს. მეცნიერული მუშაობის ძნელი წინსვლის კვალად ფსიქოანალიზისთვისაც შეუძლებელი იყო ყველა სფეროს ერთდროულად შესწავლა და ერთი ამოსუნთქვით ყველა პრობლემის შესახებ აზრის გამოთ-

ქმა. დაბოლოს ისე შორს წავიდნენ, რომ ყურადღება განდევნილ
დან წარიმართა განმდევნელისაკენ და მიადგნენ "შე"-ს, რომელიც
ასე გასაგები ჩანდა. იყო მოლოდინი, რომ აქაც მოვლენები მოი
ხებოდა, რომელზეც არ შეიძლებოდა წინასწარ მომზადება. არც ის
იყო ადვილი, მასთან პირველი მისასვლელი მონახულიყო. აი, რის
შესახებაც მინდოდა დღეს თქვენთვის მომეხსენებინა.

მაგრამ მე მაინც უნდა გამოვთქვა ვარაუდი, რომ ჩემი გაც
ცემა "შე"-ს ფსიქოლოგიისა თქვენზე სხვაგვარად იმოქმედებს, ვი
რე შესავალი ფსიქიკური ქცევასამყაროსი, რომელიც მას წინ უ
ღოდა. რატომ უნდა იყოს ეს ასე, დანამდვილებით გითხრათ, არ
ვიცი. პირველად ვფიქრობდი, თქვენ მიხვდებოდით, რომ ადრე მე
თქვენ უმთავრესად ფაქტებს მოგახსენებდით, უცხოსა და განსაკუთ
რებულსაც კი, ამჯერად კი უპირატესად გაგებებს, სპეკულაციებს
მოისმენთ. მაგრამ არც ესაა გამართლებული, უკეთესი მოსაზრება
ბით უნდა ვამტკიცო, რომ ჩვენი, "შე"-ს ფსიქოლოგიის ფაქტიური
მასალის აზრითი დამუშავების წილი გაცილებით დიდი არაა, ვიდრე
ეს იყო ნევროზების ფსიქოლოგიაში. აგრეთვე ჩემი სხვა მოლოდინის
დასაბუთება უნდა უკუმეგდო. ახლა ვფიქრობ, როგორლაც თვითონ
მასალის ბუნებაში და ჩვენს მიუწვევლობაშია ის, რომ მას გვერდი
ევლება. მაინც არ გამიკვირდება, თუკი თქვენს მსჯელობაში უეცრად
თავშეკავებული და ფრთხილი იქნებით, ვიდრე აქამდე.

თვითონ სიტუაციამ, რომელშიც ვიმყოფებოდით ჩვენი გამოკ
ვლევის დასაწყისში, უნდა მიგვითითოს გზაზე. ამ გამოკვლევის
საგნად ჩვენ გვინდა "შე", ჩვენი საკუთარი "შე" ვაქციოთ. მაგრამ
შეგვიძლია კი ეს? "შე" ხომ მაინც უნამდვილესი სუბიექტია, როგორ
უნდა იქცეს ის ობიექტაიდ? უეჭველია რომ ეს შეგვიძლია. "შე"-ს
შეუძლია საკუთარი თავი ობიექტად გაიხადოს, მასზე იმსჯელოს
როგორც სხვა ობიექტზე, საკუთარ თავს დააკვირდეს, გააკრიტი
კოს, ღმერთმა იცის, კიდევ თვითონ თავის თავს რასაც უკეთებს
ამასთან, "შე"-ს ერთი ნაწილი უპირისპირდება დანარჩენებს. "შე"
მაშასადამე, დანაწევრებადია, ის იყოფა, ზოგიერთ მის ფუნქციობა
სას დროებით მაინც. ნაწილებს შეუძლიათ შემდეგ ისევ შეკავშირე
ბა. სწორედ ეს არაა სიახლე, ალბათ ესაა საერთოდ ცნობილი

მოვლენების უჩვეულო ხაზგასმა. სხვა მხრივ, ჩვენთვის მისაღებია
გება, რომ პათოლოგიას შეუძლია ყურადღება მიგვაქცევინოს ნორ
მალური მიმართებების სიღრმეზე და გაუხეშებაზე, რომლებსაც
წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც შევამჩნევდით. ის, რაც გვაჩვენებს
დარღვევასა და ბზარს, ნორმალურ ვითარებაში შეიძლება იყოს
დანაწილება. თუკი კრისტალს ძირს დავანარცხებთ, ის დაიმსხვრე
ვა არა ნებისმიერად, არამედ ნაწილებად თავისი დაყოფის მიმარ
თულებით, რომელთა გამოკვლევა, თუმცა უხილავი, მაინც კრისტალის
სტრუქტურითაა წინასწარ განსაზღვრული. ასეთი დამსკდარი და
დახეთქილი სტრუქტურებია სულიერად დაავადებულთა სტრუქტუ
რებიც. რაღაც მოკრძალებული შიში, რასაც ძველი ხალხები შეშ
ინებულებთან ადასტურებდნენ, არც ჩვენ შეგვიძლია მათთან უარვყოთ.
ისინი საკუთარ თავს გარე რეალობიდან შემოაბრუნებენ, მაგრამ
სწორედ ამიტომ მეტი იციან შინაგანი, ფსიქიკური რეალობის შე
სახებ და შეუძლიათ ჩვენ მრავალი რამ შეგვატყობინონ, რაც სხვაგ
ვარად მიუწვდომელი იქნებოდა. ასეთ ავადმყოფთა ერთი ჯგუფის
შესახებ ვამბობთ, მათ აწუხებთ დაკვირვების ბოდვა, ისინი შემოგ
ვჩივიან, რომ განუწყვეტლივ და უინტიმურეს ქცევამდე მათ უცნო
ბი ძალები, ალბათ მაინც პირები აწუხებენ და ესმით ჰალუცინაცი
ურად, თუ როგორ აცხადებენ ეს პირები თავიანთი დაკვირვების
შედეგებს: ახლა მას უნდა ეს თქვას, ახლა ის იცვამს, რათა
გაეიღეს და ა. შ. ეს დაკვირვება ჯერ კიდევ იგივე არაა, რაც დევნა,
მაგრამ ის მისგან შორს დგას; ის გულისხმობს, რომ მათ არ
ეჯერებენ, ელოდებიან აკრძალულ ქცევებზე წინასწარ, რისთვისაც
ისინი უნდა დაჯარიმდნენ. როგორ იქნებოდა, თუკი ამ შეშლილებს
უფლება ექნებოდათ, რომ ჩვენ ყველას ამნაირი მოთვალთვალე და
დამსჯელი მუქარა ინსტანცია "შე"-ში გვქონოდა, რომელიც მათთან
"შე"-დან მკვეთრად გამოყოფილი იქნებოდა და შეცდომით გარერე
ალობაში გადაიწეოდა?

არ ვიცი, თუ ეს თქვენთანაც ისევეა როგორც ჩემთან. მას
შემდეგ ამ ავადმყოფობის სურათის მძიმე შთაბეჭდილების ქვეშ
იყეა მომიყიდა, რომ დანარჩენი "შე"-დან დამკვირვებელი ინსტანცი
ის გამოყოფა კანონზომიერი თვისება შეიძლება ყოფილიყო "შე"-ს

სტრუქტურაში. ეს იდეა თავიდან აღარ მომშორებია და დავიწყე გამოკვლევა ამ გამოყოფილი ინსტანციის შემდგომი მახასიათებლებისა და დამოკიდებულებებისა. შემდგომი ნაბიჯი მალე გადაიდგა. უკვე აშლილობის დაკვირვების შინაარსმა გვიბიძგა, რომ დაკვირვება მხოლოდ მომზადებაა წესრიგისა და ჯარიმისათვის. ვხედებით, რომ სხვა ფუნქცია ამ ინსტანციისა ის უნდა იყოს, რასაც სინდისს ვუწოდებთ. ჩვენში რაღაც სხვაა, რასაც ასე კანონზომიერად ჩვენ "შე"-დან გამოვყოფთ და ასე ადვილად მას ვუპირისპირებთ როგორც სწორედ სინდისს. ვგრძნობ ტენდენციას, რაღაც ვაკეთო, რაც სინდისს მოვნებას მპირდება, მაგრამ ამას არ ვაკეთებ იმ საფუძვლით, რომ ჩემი სინდისი ამის ნებას არ მრთავს. ან სიამოვნების ძლიერი მოლოდინი მამოძრავებს რაღაცის გაკეთებისათვის, რომლის საბოლოო სინდისის ხმა პროტესტს აცხადებს და, მისი განხორციელების შემთხვევაში, სინდისი მსჯის არასასიამოვნო საყვედურებით, მომანანიებიებს მას. მე შემეძლო მარტივად მეთქვა განსაკუთრებული ინსტანცია, რომლის განსხვავებას ვიწყებ "შე"-ში, სინდისია; მაგრამ უფრო ფრთხილად მოვიქცევით, თუკი ინსტანციას დამოუკიდებლად ჩავთვლით და დავუშვებთ, რომ სინდისი მისი ერთი ფუნქციათაგანია. თვითდაკვირვება, რაც ესოდენ აუცილებელი წინამძღვარია სინდისის სწორი საქმიანობისათვის, სხვა რაიმეა და, რამდენადაც ეს ეკუთვნის გამოყოფილი არსებობის აღიარებას, რათა ნივთებს საკუთარი სახელი დაერქვას, მინდა ეს ინსტანცია "შე"-ში აღვნიშნო დღეიდან როგორც "ზე-შე".

ვიცი, თქვენ გამჭირდავად შემეკითხებით, – ჩვენი "შე"-ს ფსიქოლოგია საერთოდ თუ დაიყვანება იმაზე, რომ ჩვეულებრივი ამ სტრაქციები სიტყვასიტყვით მიიღონ და გააუხეშონ, ისინი ცნებებიდან საგნებად აქციონ, რითაც ბევრი არაფერი მიიღებოდა? ვპასუხობ: ძნელი იქნება "შე"-ს ფსიქოლოგიაში გვერდი ავუაროთ ყოველგვარ ცნობილს, რადგანაც ამ შემთხვევაში უფრო მეტად ახალ გაგებებზე და წყობაზე ვიქნებით დამოკიდებული, ვიდრე ახალ აღმოჩენებზე. წინასწარ გაანელეთ კრიტიკა და დაელოდეთ აზრთა შემდგომი მსვლელობის გაღმოცემას. პათოლოგიის ფაქტები დასაწყისში ძლევენ ჩვენს მცდელობას, რომელსაც პოპულარული ფსიქოლოგიისათვის ამაოდ მოიძიებთ. მე ვაგრძელებ: ჩვენ ძლივს ავით-

ვიხეთ "ზე-შე"-ს იდეა, რომელიც გარკვეული თავისთავადობით სარგებლობს, საკუთარ განზრახვებს მიჰყვება და რომელსაც "შე"-სგან დამოუკიდებელი თავისი ენერგია აქვს. ის ამ ინსტანციის სიმკაცრეს, სისასტიკესა და "შე"-სთან მის დამოკიდებულების შეცვლას მალეში საცემად ნათელს ხდის. ვგულისხმობ მელანქოლიის მდგომარეობას, უფრო ზუსტად მელანქოლიურ შეტევას, რომლის შესახებაც საკმაოდ გსმენიათ, ფსიქიატრიც რომ არ იყოთ. ამ ავადმყოფობასთან, რომლის მიზეზსა და მექანიზმის თაობაზე მეტად მცირე ცოდნით, თვალში საცემი თვისებაა, თუ რანაირად ექცევა "ზე-შე" ანუ სინდისი "შე"-ს. მაშინ, როცა მელანქოლიკი ჯანმრთელობის დროს მეტად თუ ნაკლებად მკაცრია საკუთარი თავის მიმართ როგორც სხვისადმი, მელანქოლიკური შეტევის დროს "ზე-შე" ზემკაცრია, არცხვენს, ამცირებს, მკაცრად ექცევა საცოდავ "შე"-ს, ის ჰყავს ციხემსი სასჯელის მოლოდინში, მას საყვედურობს ჯერ კიდევ ადრეულ წარსულ ქცევებზე, რომლებიც თავის დროზე მსუბუქად მიიღებოდნენ, თითქოს მთელი ინტერვალი საჩივრებზე შეკრებილების და მხოლოდ მის აწმყოში გაძლიერებას უცდიდეს, რათა მასას ერთად წინ წამოსწიოს და ამ ბრალდებათა საფუძველზე მას მსჯავრი დადონ. "ზე-შე" იყენებს უმკაცრეს მორალურ საზომს უმწყრს, ბედისამარა მიტოვებულ "შე"-ზე; ის საერთოდ გამოდის მორალურობის პრეტენზიით და ერთბაშად ვწვდებით, რომ ჩვენი მორალური დანაშაულის გრძნობა "შე"-სა და "ზე-შე"-ს შორის დაძაბულობის გამოხატვაა. ძალზე სოცარი გამოცდილება – მორალურობა, რომელიც ვითომცდა ღმერთისაგანაა მონიჭებული და ისე ღრმად ჩაწერგილი, თითქოს პერიოდული ფენომენი ყოფილიყოს, რადგანაც რამდენიმე თვის შემდეგ მთელი მორალური მოჩვენება ჩაივლის, "ზე-შე"-ს კრიტიკა წყნარდება, "შე" რეაბილიტირებულია და ტკბება ისევ მთელი ადამიანური უფლებებით ავადმყოფობის შემდგომ შეტევამდე. ციას, დაავადების ზოგიერთ ფორმასთან შუაპერიოდში ვწახულობთ რაღაც საპირისპიროს; "შე" იმყოფება ბედნიერი თავდავიწყების მდგომარეობაში, ის ხელმობს, თითქოს "ზე-შე"-ს დაეკარგოს მთელი ძალა, ანდა "შე"-ს შერწყმოდეს და განთავისუფლებული, მანიური, მე, ნამდვილად შეუკავებლად იკმაყოფილებს ყველა თავის ვნებიან მისწრაფებას. პროცესები მდიდარია აშოუცნობი გამოცანებით!

რა თქმა უნდა, თქვენ ელოდებით უბრალო ილუსტრაციას მეტს, თუკი გაუწყებთ, რომ ჩვენ "ზე-შე"-ს ფორმირების თაობაზე მაშ, სინდისის აღმოცენების შესახებ სხვადასხვა რამ გავიგეთ კანტის ცნობილ გამოთქმაზე დაყრდნობით, რომელიც ჩვენში სინდისს ადარებს მოჭედილ ცას, შეიძლება მაცდუნებელი ყოფილიყო შეიძლებოდა ამ ორივესთვის პატივი გვეცა, როგორც შემოქმედების შედეგისათვის. თანავარსკვლავედი უეჭველად დიდებულია, მაგრამ რაც შეეხება სინდისს, ღმერთმა ამაში არაერთნაირი და დაუდეგარი სამუშაო ქმნა, ვინაიდან ადამიანთა დიდ რიცხვს მისცა მხოლოდ ზომიერი სიდიდით, ანდა იმდენი, რაზედაც კიდევ შეიძლება ლაპარაკი; არასგზით არ უარვყოფთ ფსიქოლოგიური ჭეშმარიტების ნაწილს, რომელიცაა მტკიცებაში – სინდისი ღვთიური წარმოშობისაა, მაგრამ დებულება მოითხოვს ინტერპრეტაციას. თუკი სინდისი აგრეთვე რაღაცაა "ჩვენში", ის მაინც თავიდანვე არაა. ის სწორედ სექსუალური ცხოვრების საპირისპიროა, რომელიც ცხოვრების ღრმა საბამიდანაა იქ და მხოლოდ მოგვიანებით არ უერთდება მას. მაგრამ პატარა ბავშვი, ცნობილია, რომ ამორალურია, მას არ გააჩნია შინაგანი შეკავება მისი სიამოვნებისაკენ სწრაფვადი იმპულსების საპირისპიროდ. იმ როლს, რომელსაც მოგვიანებით თავის თავზე აიღებს "ზე-შე", პირველად გარეგანი ძალა თამაშობს – მშობელთა ავტორიტეტი. მშობელთა ზეგავლენა მართავს ბავშვს მისდამი სიყვარულის გამოვლენისა და დასჯის მუქარის გზით, რომლებიც ბავშვს სიყვარულის დაკარგვას მიანიშნებს და ის თავისთავად უნდა შეშინდეს. აღნიშნული რეალური შიში წინამორბედია გვიანი სინდისის შიშისა. სანამ ის ბატონობს, მანამ არ უნდა ვილაპარაკოთ "ზე-შე"-ზე და სინდისზე. მხოლოდ შემდგომში იქმნება მეორადი სიტუაცია, რომელიც მზად ვართ ნორმალურად ჩავთვალოთ, რომ გარეგანი შეკავება გაშინაგნდება, რომ მშობელთა ინსტანციის ადგილს იჭერს "ზე-შე", რომელიც "შე"-ს ზუსტად ისევე ადევნებს თვალს, მართავს და ემუქრება, როგორც ადრე – მშობლები ბავშვებს.

"ზე-შე", რომელიც ამნაირად ძალას ნაქმობასა და თვითონ მშობელთა ინსტანციის მეთოდებს გადმოიღებს, წარმოადგენს არა მხოლოდ სამართლის მემკვიდრეს, არამედ ნამდვილად მის კანონიერ

სხეულის მემკვიდრეს. მისგან ეს პირდაპირ გამომდინარეობს, მალე გეცოდებათ, თუ რომელი პროცესის გზით, უპირველესად მაინც უნდა შეცვლილიყო მათ შორის შეუთანხმებლობაზე. "ზე-შე" ცალმხრივად ჩანს როგორც მხოლოდ მშობელთა სიმკაცრე და პირქუშობა, მათი ამკრძალავი და დამსჯელი ფუნქციის მიმღები მაშინ, როცა მისი ავტორიტეტი ბრუნვა ვერ ნახულობს მიმღებსა და გამგრძელებელს. მშობლები თუ ნამდვილად მკაცრ რეჟიმს მისდევენ, ადვილი გასაგებია, მაშინ ბავშვთანაც ვითარდება მკაცრი "ზე-შე". მაგრამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ, "ზე-შე"-ს იგივე სიმკაცრე შეუძლია მიიღოს მაშინ, როცა აღზრდა რბილი და ალერსიანია, მუქარა და სასჯელი შეძლებისდაგვარად აცილებულია თავიდან. ამ წინააღმდეგობას დავუბრუნდებით მოგვიანებით, როცა გამსჯელებთ ლტოლვის გადატანაზე "ზე-შე"-ს ფორმირებისას.

"ზე-შე"-ში მშობელთა მიმართების გარდაქმნის შესახებ არ შეიძლება გითხრათ იმდენი, რამდენიც შემეძლო მეთქვა, ვინაიდან ნაწილობრივ ეს პროცესი ისეა დახლართული, რომ მისი გადმოცემა შესავლის ჩარჩოებში ვერ თავსდება როგორადაც მე მინდა ის მოგაწოდოთ, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ არ ვფიქრობ ის ჩვენ მთლიანად განჭვრეტილი გვქონდეს. დაკმაყოფილდით შემდეგი მითითებით: ამ პროცესის საფუძველი არის ე. წ. იდენტიფიკაცია, ე. ი. სიმილაცია ერთი "შე"-სი უცხოსთან, რის შედეგადაც ეს პირველი "შე" განსაზღვრული მიმართებით ისე იქცევა, როგორც სხვა "შე", მას ბაძავს, გარეგულწილად მას თავის თავში ითვისებს. იდენტიფიკაციას მართებულად ადარებენ უცხო პერსონთან ორალურ კანიბალისტურ შეერთებას. იდენტიფიკაცია მნიშვნელოვანი ფორმაა დაკავშირებისა სხვა პერსონთან, ალბათ უპირველესი, მაგრამ არა იგივე, რაც ობიექტის არჩევა, განსხვავება ასე გამოიხატება: როცა ბიჭი მამასთან იდენტიფიცირდება, მას ნებავს ისეთი იყოს, როგორიც მამა: თუკი ის მამას თავისი არჩევის ობიექტად იხდის, მაშინ, მას უნდა, ის ჰყონდეს, მას ფლობდეს; პირველ შემთხვევაში, მისი "შე" იცვლება მამის "შე"-ს ნიმუშის მიხედვით; მეორე შემთხვევაში კი ეს არაა საჭირო. იდენტიფიკაცია და ობიექტის არჩევა, ფართო მნიშვნელობით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. ასევე შეუძლია იდენტიფიკაციას გარკვეულ პერსონთან თავისი "შე" შეცვალოს მის

მიხედვით, ვინც, მაგ., სექსუალობის ობიექტად ჰყავდა არჩეული ამბობენ "მე"-ს ზეგავლენა სექსუალური ობიექტის მხრიდან განს კურებით ხშირად ქალებთან გვხვდება და ქალურობისთვის არის დამახასიათებელი. იდენტიფიკაციასა და ობიექტის არჩევას შორის უფრო ვრცელი სახელმძღვანელო დამოკიდებულების თაობაზე ... რე, ლექციებში, უკვე ერთხელ გელაპარაკეთ. ეს ვითარება აღ ლად დასაკვირვებელია ბავშვებთანაც და ზრდადასრულებულებთა ნაც, ნორმალურ და ავადმყოფ ადამიანებთან. ვინც ობიექტი ... კარგა, ანდა ჩამოიშორა, ის იმით კომპენსირდება საკმაოდ ხშირად, რომ მასთან იდენტიფიცირდება, ის მის "მე"-ში ისევ აღსდგება. ასე რომ, აქ ობიექტის არჩევა თითქოსდა დაიყვანება იდენტიფიკაციაზე.

თვითონ მე სრულიადაც არა ვარ დაკმაყოფილებული იდენტი ფიკაციის გადმოცემით, მაგრამ საკმაო კია, თუკი შეგიძლიათ დამე თანხმოთ, რომ "ზე-მე"-ს შემოტანა აღიწერა როგორც კარგი შემ თხვევა იდენტიფიკაციისა მშობელთა ინსტანციასთან. გაგებისათვის გადამწყვეტია ფაქტი, რომ ეს სიახლე ამპარტავანი ინსტანციის "მე"-ში უშინაგნესადაა დაკავშირებული ოიდიპოსის კომპლექსის ბედზე, ასე რომ, "ზე-მე" ჩანს როგორც შემკვიდრეობა ბავშვობის ... ვის ასე მნიშვნელოვანი გრძნობის დაკავშირებისა. გასაგებია, ოიდი პოსის კომპლექსის ღიად დატოვებით ბავშვს უნდა უარეყო ობიექ ტის ინტენსიური დამუხტვა, რაც მშობლებთან მოათავსა და ამ ობიექტის დაკარგვისათვის საკომპენსაციოდ მის "მე"-ში ასე ძალზე ძლიერდება ალბათ ხანგრძლივად არსებული იდენტიფიცირება მშობ ლებთან. ასეთი იდენტიფიკაციები, როგორც ნალექი შეწყვეტილი ობიექტის მუხტებისა, მოგვიანებით ბავშვის ცხოვრებაში საკმაოდ ხშირად მეორდებიან, მაგრამ მთლიანად შეესატყვისება ამ პირველი შემთხვევის გრძნობის ღირებულების გადატანას, რომ მათ შედეგი იჭერს განსაკუთრებულ ადგილს "მე"-ში. დაწვრილებითი გამო კვლევა ასევე გვასწავლის, რომ, "ზე-მე", თავის სიძლიერესა და ფორმირებაში სუსტდება, როცა ოიდიპოსის კომპლექსის დაძლევა მხოლოდ არასრულყოფილად ხდება. განვითარების მსვლელობაში "ზე-მე" იღებს ასევე ზეგავლენებს იმ პირებისაგან, რომლებიც მშობ ლების ადგილზე გამოდიან – მაშასადამე, აღმზრდელები, მასწავლებ ლები, იდეალური ნიმუშები. ეს უფრო მეტად შორდება ნორმალუ

რად საწყის მშობელთა ინდივიდებს, ის ხდება, ასე რომ ვთქვათ, არაპიროვნული. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ბავშვი განსხვა ებულად აფასებს თავის მშობლებს ცხოვრების განსხვავებულ ეტაპზე. იმ დროისათვის, როცა ოიდიპოსის კომპლექსი ადგილს უთმობს "ზე-მე"-ს, მშობლები დიდებულია, მოგვიანებით ისინი ძალ ზე ბევრს ჰკარგავენ. შემდეგ ხორციელდება იდენტიფიკაცია ამ მოგვიანო მშობლებისა, მათ შეაქვთ კიდევაც წესზომიერად მნიშ ვნელოვანი წილი ხასიათის ფორმირებაში, მაგრამ ეხებიან მხო ლოდ "მე"-ს, გავლენას ვეღარ ახდენენ "ზე-მე"-ზე, რომელიც გან სახღვრულია მშობელთა ადრეული წარმოსახვით.

ვიმედოვნებ, შთაბეჭდილება დაგრჩათ, რომ "ზე-მე"-ს წამოყენე ბით აღიწერა ნამდვილად სტრუქტურული მიმართება და არა უბრა ლო აბსტრაქცია, როგორც ესაა სინდისის ჰეტერონომიცირებისას. უნდა მოვიხსენიოთ მნიშვნელოვანი ფუნქციაც, რომელსაც აღნიშ ნულ "ზე-მე"-ს ვუნაწილებთ. ესაა მატარებელი მე-იდეალისა, რომ ლის მიხედვითაც "მე" თავის თავს ზომავს, მაგრამ მისკენ მიისწ რაფვის, რისი მოთხოვნის შესრულებას ცდილობს მუდამ მზარდი სრულყოფილებით. საეჭვო არაა, აღნიშნული "მე-იდეალი" ნალექია მშობელთა შესახებ ძველი წარმოდგენებისა, იმ სრულყოფილებით აღურთოვანების გამოხატულებაა, რომელსაც ბავშვი მაშინ მათ მიაწერდა. ვიცი, ბევრს გაიგონებდით ნაკლებღირებულების გრძნო ბის თაობაზე, რომელიც სწორედ ნევროტიკების განმასხვავებელი ნიშანია. ეს განსაკუთრებით გადმოცემულია ე. წ. მხატვრულ ლიტე რატურაში. ერთი მწერალი, რომელიც იყენებს ტერმინს ნაკლებღი რებულების კომპლექსი – გულისხმობს ფსიქოანალიზის ყველა მოთხ ოვნის დაკმაყოფილებას და მისი გადმოცემის მაღალ ფსიქოლოგი ურ დონეზე აყვანას. სინამდვილეში ხელოვნური ტერმინი – ნაკლებ ღირებულების კომპლექსი – ძლივს თუ გამოიყენება ფსიქოანალიზ ში. ის ჩვენთვის არაა მარტივი, რომ არაფერი ვთქვათ რაღაც ელემენტარულზე, მისი დაყვანა შესაძლო ორგანოთა განუვითარებ ლობის აღქმაზე, როგორც ამას აკეთებს ე. წ. ინდივიდუალურფსი ქოლოგიური სკოლა, გვეჩვენება არაშორსმჭვრეტელობად. ნაკ ლებღირებულების გრძნობას აქვს ძლიერი ეროტული ფესვი; ბავ შვი თავის თავს გრძნობს ნაკლებღირებულად, ამჩნევს რა, რომ არ

უყვართ, და ასევე ზრდადასრულებულიც. ერთადერთი ორგანო, რა
მელიც ნამდვილად განიხილება, როგორც ნაკლებღირებული, ეს
განუვითარებელი პენისი, გოგონასთან კი კლიტორი. მაგრამ ნაკ
ლოვანების გრძნობის მთავარი ნაწილი მომდინარეობს მიმართებ
დან "შე"-სი თავის "ზე-შე"-სთან, რაც არის, ბრალის გრძნობის
მსგავსად, ორივეს შორის დაძაბულობის გამოხატულება. ნაკლებ
ღირებულების გრძნობა და ბრალის გრძნობა საერთოდ ძნელადა
დასაკილებელი. ალბათ კარგად იქცევიან, როცა პირველში ქარ
ტენ მორალური ნაკლებღირებულების გრძნობის ეროტულ შეს
ბას. ჩვენ ფსიქოანალიზში ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ ამ ცნებათ
გათიშვის საკითხს.

სწორედ, რადგანაც ასეთი პოპულარული გახდა ნაკლებღირე
ბულების კომპლექსი, ნება მომეცით, აქ თქვენ მცირედ გადავახვე
ვინოთ. ჩვენი დროის ისტორიულ პიროვნებას, რომელიც ჯერ კი
დევ ცოცხალია, მაგრამ ახლა ჩრდილში დგას, დაბადებისას და
ანების გამო ერთი ასო განუვითარებელი დაურჩა. ჩვენი დროის
ცნობილმა მწერალმა, რომელიც სიამოვნებით ამუშავებს გამოჩენ
ლი პირების ბიოგრაფიებს, ჩემ მიერ აღნიშნული კაცის ცხოვრება
საც მიმართა. შეიძლება ძნელი იყოს ფსიქოლოგიური ჩაღრმავების
მოთხოვნილების დათრგუნვა, როცა ბიოგრაფიას წერენ. ჩვენი ავ
ტორი ამიტომ შეეცადა გმირთა ხასიათის მთელი განვითარება
ნაკლებღირებულების გრძნობაზე აეგო, რომლებიც იმ სხვეულებრივ
დეფექტს უნდა გაეღვივებინა. მას მხედველობიდან გამორჩა პატა
რა, მაგრამ არაუმნიშვნელო ფაქტი. ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ
დედები, რომელთა ბედი განსაზღვრეს ავადმყოფმა ან დაზიანებულ
მა ბავშვებმა, ამ უსამართლო უპატივცემულობისათვის მის ანაზღა
ურებას ცდილობენ სიყვარულის სიჭარბის გზით. ასეთ შემთხვევა
ში ამაყი დედა სხვანაირად იქცევა, ის ბავშვს აკლებს თავის
სიყვარულს სნეულებისათვის. როცა ამ ბავშვიდან ძლიერი მამაკა
ცი დადგა, მან თავისი მოქმედებით არაორაზროვნად დაამტკიცა,
რომ მას დედისთვის არასდროს უპატიებია. როდესაც დაუფიქრდე
ბით დედის სიყვარულის მნიშვნელობას ბავშვის სულიერი ცხოვრე
ბისათვის, ალბათ გაასწორებთ თქვენ აზროვნებაში ბიოგრაფების
მწერლის ნაკლებღირებულების თეორიას.

დავუბრუნდეთ "ზე-შე"-ს. ის ჩვენ დაგვყავით თვითდაკვირვებად (თვითმეთვალყურეობად), სინდისად და იდეალის ფუნქციად. "ზე-შე"-ს აღმოცენების ჩვენი გაძმოცემიდან გამომდინარეობს ის, რომ მას წინამძღვრად აქვს როგორც გამოუთქმელი მნიშვნელოვანი ბიოლოგიური, ისე საბედისწერო ფსიქოლოგიური ფაქტი, სახელდობრ, თავის მშობლებთან ბავშვის ხანგრძლივი დამოკიდებულება და ოიდიპოსის კომპლექსი, რომლებიც ესოდენ შინაგანად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. "ზე-შე" ჩვენთვის ყველა მორალური შეზღუდვის წარმომადგენლობაა, სრულყოფისაკენ მისწრაფების დამცველია, მოკლედ, ის, რაც ჩვენთვის ე. წ. უმაღლესი ადამიანის ცხოვრებაში ფსიქოლოგიურად შესახებადაა გამხდარი. ვინაიდან ეს ურთიერთ მშობელთა, აღმზრდელთა და მსგავსთა ზემოქმედებაზე დაიყვანება, ჩვენ კიდევ მეტს გავიგებთ მის მნიშვნელობაზე, თუკი მივმართავთ მისსავე წყაროებს. როგორც წესი, მშობლები და მისი მსგავსი ავტორიტეტები ბავშვის აღზრდაში მიჰყვებიან საკუთარი "ზე-შე"-ს მითითებას. როგორც ყოველთვის, მათი "შე" და "ზე-შე" შეიძლება დავობენ კიდეც, მაგრამ ბავშვის აღზრდაში ისინი მკაცრი და მომთხოვნი არიან. მათ დავიწყებული აქვთ ბავშვობის საკუთარი სიძნელეები, კმაყოფილნი არიან საკუთარი თავის მშობლების იდენტიფიკაციით, რომლებმაც თავის დროზე მათ მძიმე შეზღუდვები დააკისრეს. ასე აიგება ბავშვის "ზე-შე" საკუთრივ არა მშობლების ნიმუშის მიხედვით, არამედ მშობელთა "ზე-შე"-ს მიხედვით. ის ხორციელდება იგივე შინაარსით. ის მატარებელი ხდება ტრადიციისა, ყველა დროში უცვლელი შეფასებით, რომლებიც ამ გზით თაობებს გადაეცემიან. ადვილი მისახვედრია, რა მნიშვნელოვანი დახმარებანი გამომდინარეობს "ზე-შე"-ს განხილვიდან ადამიანის სოციალური ქცევის გაგებისათვის, მაგალ., გავერანების გაგებისათვის, ალბათ ასევე, რა პრაქტიკული მითითებანი გამომდინარეობს აღზრდისათვის, "ზე-შე"-ს განხილვიდან. ალბათ ცოდავს ე. წ. ისტორიის მატერიალისტური გაგება იმაში, რომ ის ამ ფაქტორს სათანადოდ ვერ აფასებს. ის მას შენიშვნით პასუხობს, რომ ადამიანის "იდეოლოგია" სხვა არაფერია, თუ არა შედეგი და ზედნაშენი აქტუალური ეკონომიკური ურთიერთობებისა. ეს სწორია, მაგრამ ალბათ არაა მთელი ჭეშმარიტება. კაცობრიობა არ ცხოვ-

რობს მთლიანად აწმყოში, "ზე–შე"–ს იდეოლოგიებში განაგრძობ
სიცოცხლეს წარსული, რასისა და ხალხის ტრადიცია, რომელ
აწმყოს ზეგავლენით ახალ ცვლილებებს მხოლოდ თანდათანობ
უთმობს ადგილს და, რამდენხანსაც ის "ზე–შე"–თი მოქმედებს, ძლ
ერ ეკონომიკურ ურთიერთობებისაგან დამოუკიდებელ როლს თა
შობს ადამიანის ცხოვრებაში.

1921 წელს შევეცადე გამომეყენებინა "შე"–სა და "ზე–შე"–ს ფ
ფერენციაცია მასის ფსიქოლოგიის შესწავლაში. მივიღე ფორმულ
ფსიქოლოგიური მასა წარმოადგენს ეროვნულთა გაერთიანებას, რ
მელსაც დასახელებული პირი საკუთარ "ზე–შე"–ში შეჰყავს და ამ
ერთიანობის საფუძველზე მის "შე"–ში ერთმანეთთან აიგივებს. ბუ
ნებრივია, მას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მასისათვის, რომელსა
ხელმძღვანელი ჰყავს. შეჰერობილთ უფრო ამ სახის გამოყენებ
ასეთ "ზე–შე"–ს დაშვება აღარ განგვაცვიფრებდა და მთლიანად
განვთავისუფლდებოდით იმ მიკერძოებისაგან, რომელიც ჯერ კი
შემოგვრჩა, ფსკერის ატმოსფეროს მიჩვეულნი ვმოძრაობთ სულ
რი აპარატის ზედა მაღალ ფენებში. თავისთავად გასაგებია, რომ
"ზე–შე"–ს გამოყოფით არ გვიფიქრია უკანასკნელი სიტყვა გვეთქვა
მე–ს ფსიქოლოგიაში. ეს უფრო პირველი საწყისია, თუმცა ამ
შემთხვევაში მხოლოდ დასაწყისი არაა ძნელი.

მაგრამ ჩვენ სხვა ამოცანა გველოდება – ახე რომ ვთქვათ, "შე"
ს საპირისპირო ბოლო, რომელიც დაისვა ერთ დაკვირვებაზე ანა
ლიზური მუშაობის დროს, დაკვირვებაზე, რომელიც ძალზე ძველია
როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე, ის დიდი ხანია გამოიყენებოდ
სანამ მის ახიარებას გადაწყვეტდნენ. ცნობილია, რომ არსებობ
მთელი ფსიქოანალიზური თეორია აგებულია წინააღმდეგობის გა
წევის აღქმაზე, რომელსაც ჩვენი პაციენტი ცდის დროს – მას არა
ნობიერი ცნობიერად რომ გადავუქციოთ – აკეთებს. ობიექტური ხა
შანი წინააღმდეგობისა ისაა, რომ თავში უეცრად მოსულ აზრებს
არ ამბობს, ანდა მსჯელობის საგნიდან თავს შორს იჭერს. სუბიექ
ტურად წინააღმდეგობა აგრეთვე მით შეიმჩნევა, რომ ის უსიამოვ
ნებას შეიგრძნობს, როგორც კი თემას მაუახლოვდება. მაგრამ ეს
უკანასკნელი ნიშანი შეიძლება არც იყოს. მაშინ პაციენტს ვეუბნე
ბით, რომ მისი ქცევიდან ვასკვნით – ის ახლა იმყოფება წინააღმდე

გობის გაწევის მდგომარეობაში; ის პასუხობს – ამის შესახებ არა
ფერი იცის, მხოლოდ ამჩნევს აზრების მოსვლას თავში გაძნელებუ
ლად. ეს აჩვენებს, რომ ჩვენ მართალნი ვართ, მაგრამ მაშინ პაცი
ენტის წინააღმდეგობა ისეთივე არაცნობიერი იყო, როგორც მისი
განდევნილი, რომლის (ცნობიერებაში) ამოზიდვაზეც ვეუშაობთ. დი
დი ხნით ადრე შეეძლოთ კითხვა დაესვათ: ძლიერი ცხოვრების
რომელი ნაწილიდან მოდის ასეთი არაცნობიერი წინააღმდეგობა?
ფსიქოანალიზის დამწყებნი სწრაფად უპასუხებენ: ესაა სწორედ
არაცნობიერის წინააღმდეგობა. ეს ორაზროვანი პასუხია, ამდენად,
ეგრეთვეც. თუკი ამით იგულისხმება, რომ ის მომდინარეობს გან
დევნილიდან, მაშინ უნდა ვთქვათ, რა თქმა უნდა, არა! განდევნილს
უნდა მივაწეროთ უფრო მეტად ძლიერი ამოზიდავი ძალა, ბიძგი
ცნობიერებაში შეღწევისა. წინააღმდეგობის გაწევა შეიძლება იყოს
მხოლოდ "შე"–ს გამოვლენა, რომელმაც თავის დროზე განდევნა
განახორციელა და ახლა ნებავს მისი დაცვა. ეს წინათაც არ გვეს
მოდა. მას შემდეგ, რაც განსაკუთრებული ინსტანცია დავუშვით
"შე"–ში, რომელიც გამოდის შემზღუდავი და უარმყოფელი მოთხოვ
ნებით – ესაა "ზე–შე" – შეგვეძლო გვეთქვა, რომ განდევნა სწორედ
ამ "ზე–შე"–ს ნახელავია, ის მას აკეთებს ან თვითონ, ანდა მისი
დავალებით მისი დამჯერი "შე". თუკი აღმოჩნდება, რომ ანალიზის
დროს პაციენტისათვის წინააღმდეგობა არაა ცნობიერი, ეს ან იმას
ნიშნავს, რომ "ზე–შე"–ს და "შე"–ს მნიშვნელოვან სიტუაციებში
არაცნობიერად შეუძლიათ მუშაობა, ანდა რაც უფრო მნიშვნელოვა
ნია, ორივეს ნაწილი, თვითონ "ზე–შე"–სი და "შე"–სი არაცნობიერია.
ორივე შემთხვევაში არასასიამოვნო აზრს ვაწყდებით: ერთი მხრით,
"ზე–"შე" და ცნობიერი, მეორე მხრით, განდევნილი და არაცნობიე
რი ერთმანეთს არ ემთხვევიან.

ქალბატონებო და ბატონებო! ნება მიბოძეთ, შევისვენო, დარ
წმუნებული ვარ ამას თქვენც მიესალმებით და სანამ გავაგრძელებ
დე, ბოლოში ვიხდი თქვენს წინაშე. მინდა მოგცეთ დამატება ფსიქო
ანალიზის შესავლისათვის, რაც თხუთმეტიოდე წლის წინათ და
ვწერე და უნდა მოვიქცე ისე, თითქოს თქვენც ამ დროის განმავლო
ბაში ფსიქოანალიზის გარდა არაფერი გაგეკეთებინოთ. ვიცი, ესაა
გაუგონარი მოთხოვნა, მაგრამ უმწეო ვარ, სხვაგვარად არ შემიძ-

ლია, ეს იმაზეა დამოკიდებული, რომ საერთოდ ძნელია მას, ვინც თვითონ ფსიქოანალიტიკოსი არაა, გააგებინო ფსიქოანალიზი. მერწმუნეთ, თავს არ ვიკატუნებ, თითქოს ვიყოთ საიდუმლო კავშირის წარმომადგენლები და ვქმნიდეთ საიდუმლო მეცნიერებას. მაინც უნდა ვაღიაროთ და გაუწყოთ ჩვენი რწმენა, რომ არავის არ გააჩნია უფლება ფსიქოანალიზში რაიმე თქვას, თუკი მას მიღებული არა აქვს გარკვეული გამოცდილება, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავზე ანალიზის გზითაა მოპოვებული. როდესაც მე თხუთმეტი წლის წინათ გთავაზობდით ჩემ ლექციებს, ვცდილობდი ჩვენი ორიის გარკვეული სპეკულატური ნაწილების თქვენთვის გაცნობას, მაგრამ სწორედ მათ უკავშირდება ახალი შენაძენი, რომელზედაც დღეს ვილაპარაკებ.

ვუბრუნდებით თემას. ეჭვი იმის თაობაზე – "მე" და "ეს" თვითონაცაა არაცნობიერი, თუ მხოლოდ არაცნობიერ შეღებვას გვაძლევენ – ჩვენ საკმაო საფუძვლით პირველი შესაძლებლობის სასარგებლოდ გადავწყვიტეთ. დიახ, დიდი ნაწილი "მე"-სი და "ზე-მე"-სი შეიძლება არაცნობიერად დარჩეს, ნორმალურად არაცნობიერია. ეს ნიშნავს, რომ პირმა არაფერი არ იცის მათი შინაარსების შესახებ და მათ გაცნობიერებისათვის მოითხოვს განსჯას. ხელსაყრელია, რომ "მე" და ცნობიერი, განდევნილი და არაცნობიერი არ ემთხვევიან ერთმანეთს. ვგრძნობთ მოთხოვნილებას, საფუძვლიანი რევიზია გავუკეთოთ ჩვენს მიდგომას ცნობიერი–არაცნობიერი პრობლემის მიმართ. უპირველეს ყოვლისა, ვეთანხმებით ცნობიერობის კრიტერიუმის ღირებულების, ვინაიდან ასე არასაიმედო ალმოჩნდა სწორედ რომ დაქვეითებას, მაგრამ უსაშართლოდ ვიქცევით მის მიმართ. ეს ჩვენი ცხოვრებასავითაა. ის არაა დიდი ღირებულების, მაგრამ ყველაფერია, რაც კი გვაქვს. ცნობიერების თვისების ლაპარის გარეშე დავიკარგებოდით სიღრმის ფსიქოლოგიის სიბნელეში, მაგრამ უფლებას ვიტოვებთ, ვცადოთ ახალი ორიენტაცია.

რასაც ცნობიერს უნდა უწოდებდნენ, არ განვმარტავთ, ის უეჭველია. სიტყვა "არაცნობიერის" უძველესი და საუკეთესო მნიშვნელობა დესკრიპციულია. ჩვენ არაცნობიერს ვუწოდებთ ფსიქიკურ პროცესს, რომლის არსებობა უნდა დავუშვათ, ვინაიდან მასზე მისი შედეგებიდან ვასკვნით, მაგრამ მის შესახებ არაფერი ვიცით, მი-

ნდმი ისეთივე მიმართება გვაქვს, როგორც სხვა ადამიანის ფსიქიკური პროცესისადმი, იმ განსხვავებით, რომ ის ჩვენია, საკუთარია. შეკი გვინდა უფრო ზუსტი ვიყოთ, წინადადებას ასეთ მოდიფიკაციას ვუკეთებთ: ჩვენ პროცესს ვუწოდებთ არაცნობიერს, თუკი დავუშვებთ, რომ ის იმ დროსაა აქტიური, მაგრამ მის შესახებ იმ წამს არაფერი ვიცით. ეს შეზღუდვა იმაზე გვაფიქრებინებს, რომ ფსიქიკური ცნობიერი პროცესები მხოლოდ მცირე დროით არიან ცნობიერნი; მალე იქცევიან ისინი ლატენტურად, მაგრამ ისევ ადვილად შეუძლიათ ცნობიერნი გახდნენ. ასევე შეგვეძლო გვეთქვა, რომ ისინი იქცნენ არაცნობიერად, თუკი საერთოდ უფრო საიმედოდ დავიცავდით, რადგანაც ლატენტობის მდგომარეობაში კიდევ რაღაც ფსიქიკურნი არიან. გარკვეულწილად არაფერი ახალი არ მიგვიღია გამოცდილებაში, არც უფლება მოგვიპოვებია არაცნობიერის ცნების ფსიქოლოგიაში შემოტანისათვის. მაგრამ შემდეგ ახალი გამოცდილება გვეძლევა, რომელიც უკვე შეგვიძლია შეცდომით დავადასტუროთ მოქმედებებში. ჩვენ გვჭირდება, მაგალ., წამოცდენის ახსნისათვის დაშვება, რომ შესატყვის პირში გაჩნდა გარკვეული განზრახვა, რომელსაც ვხვდებით მომხდარი მეტყველის დარღვევით, მაგრამ ეს განზრახვა მას არ განუხორციელებია, ის არაცნობიერი იყო. თუკი მას წარმომთქმელს ვკითხავთ, შეიძლება აღიარებს ის, როგორც მისთვის ინტიმური. აქედან დავასკვნით, რომ მაშინ ის იყო მხოლოდ დროებით არაცნობიერი, ანდა ის, როგორც მისთვის უცხო, უარიყოფა. ამ შემთხვევაში კი ის იყო ხანგრძლივად არაცნობიერი. ამ გამოცდილებიდან ვიტოვებთ უფლებას, აღნიშნულიც გამოვაცხადოთ ლატენტურად არაცნობიერად. ამ დინამიკური დამოკიდებულის განხილვა ნებას იძლევა ახლა ორნაირი არაცნობიერი განვასხვავოთ: ერთი, ადვილად, ხშირად წარმოქმნილ პირობებში, ცნობიერში გადადის და მეორე, რომელთანაც ეს გარდაქმნა ძნელად, მხოლოდ მნიშვნელოვანი გარჯის ფასად თუ ხდება, ანდა შეძლებისდაგვარად არასდროს არ ხორციელდება. ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, ვგულისხმობთ ერთს თუ მეორე არაცნობიერს, სიტყვა დესკრიფციული ანდა დინამიკური აზრით რომ გამოვიყენოთ, მივმართავდით ნებადართულ, მარტივ საცნობთ ნაშულებას. მხოლოდ ლატენტურ, ცნობიერად ადვილად ქცევად

არაცნობიერს ვუწოდებთ წინაცნობიერს, ვინარჩუნებთ "არაცნობიერის" აღნიშვნას მეორესათვის. ახლა გვაქვს სამი ტერმინი: ცნობიერი, წინაცნობიერი, არაცნობიერი, რომლებითაც საშუალება გვაქვს ლევა სულიერი ფენომენები აღვწეროთ. ერთხელ კიდევ მიეუთითებთ: წმინდა დესკრიფციულად წინაცნობიერიც არაცნობიერია, მაგრამ მას ასე არ აღვნიშნავთ მიმზიდველი გადმოცემის გარდა, ანუ მაშინ, როცა საერთოდ სულიერ ცხოვრებაში არაცნობიერი პროცესების არსებობას ვიცავთ.

ვიმედოვნებ, დამეთანხმებით, ეს არ იქნებოდა გარკვეულწილად სავსებით მიუღებელი და ნებას გვრთავს მისი მარჯვე სარგებლობისათვის. დიახ, სამწუხაროდ, ფსიქოანალიზური მუშაობა თავს გრძნობს შეუიწროვებულად სიტყვა არაცნობიერის კიდევ სხვა, მეტ საშე მნიშვნელობით გამოყენებისას და მას მართლაც შეუძლია არევ-დარევა გამოიწვიოს, რამდენადაც ახალი და ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ ფართო და მნიშვნელოვანი სფერო სულიერი ცხოვრებისა ნორმალურ ვითარებაში "შე"-ს ცოდნასაა მოკლებული, ასე რომ, პროცესები მასში, როგორც არაცნობიერნი, სწორი დინამიკური მნიშვნელობით უნდა იქნენ აღიარებულნი, ტერმინი "**არაცნობიერი**" ჩვენ გაგებული გვაქვს ტოპიკური ანუ სისტემატური მნიშვნელობითაც. ვლაპარაკობთ წინაცნობიერ და არაცნობიერ სისტემაზე, კონფლიქტზე "შე"-სი UBW-სისტემასთან. სიტყვა უფრო მეტად სულიერ პროვინციას აღნიშნავს, ვიდრე სულიერ თვისებას. არსებითად უხერხული აღმოჩენა, რომ ასევე "შე"-სა და "ზე-შე"ს ნაწილები დინამიკური აზრით არაცნობიერია, აქ მოქმედებს შემამსუბუქებლად, ნებას გვრთავს თავიდან ავიცილოთ გართულება. ვხედავთ, უფლება არ გვაქვს "შე"-სადმი უცხო სულიერი სფეროსათვის გვეწოდებინა UBW-სისტემა, ვინაიდან არაცნობიერობა არაა მისი განსაკუთრებული ბუნება. კარგი, "არაცნობიერს" აღარ ვიხმართ სისტემატური მნიშვნელობით და აქამდე ასე წოდებულს მივცემთ უკეთესს, ორჭოფობის გამომრიცხავ სახელს. ფრ. ნიცშესთან სიტყვათხმარების ხელმძღვანელობით და გ. გროდეკის მხრიდან ბიძგის შედეგად ამიერიდან მას ვუწოდებთ "ოგი"-ს (Es). უპიროვნო ნაცვალსახელი განსაკუთრებით ვარგისია იმისათვის, რომ გამოიხატოს ამ ძლიერი პროვინციის მთავარი მახასიათებელი, მისი "შე"-სადმი უცხოობა. "ზე-შე", "შე" და "ოგი"

ახლა სამი სამეფოა, სფეროა, პროვინციაა, რომელზედაც ვანაწილებთ პირის სულიერ აპარატს, რომელთა ურთიერთსაპირისპირო დამოკიდებულების გადმოცემას შემდგომ შევუდგებით.

მანამ კი მცირე გადახვევას გავაკეთებთ. მე მიმაჩნია, არ ხართ მოკოფილი იმით, რომ სამი რომელობა ცნობიერებისა და სამი პროვინცია სულიერი აპარატისა არ არიან სამი სამშვიდობო წყვილი, მასში ვხედავთ ჩვენი შედეგების რაღაც გაბუნდოვნებას. მაგრამ, ვფიქრობ, არ უნდა ვინანოთ, ჩვენს თავს უნდა ვუთხრათ, რომ ფიქრება არ გვაქვს მოველოდეთ ასეთ გამართულ წესრიგს. ნება მომეცით შედარება მოვიტანო. მართალია, შედარება არაფერს არ წყვეტს, მაგრამ შეგიძლიათ იგრძნოთ თავი როგორც საკუთარ სახლში. მე წარმოვისახავ ქვეყანას ზედაპირის მრავალნაირი ფორმით, მთაგორიანს, ვაკითა და ზღვით, შერეული მოსახლეობით – მასში სახლობენ: გერმანელები, უნგრელები და სლოვაკები, რომლებიც ასევე განსხვავებულ საქმიანობას მისდევენ. დაყოფა შეიძლებოდა ასეთი ფორმულიო: მთაგორიან ადგილას გერმანელები ცხოვრობენ, რომლებიც მესაქონლეობას მისდევენ, ვაკეში – უნგრელები, რომლებიც პურს ოესენ და მეღვინეობას ეწევიან, ზღვის ნაპირზე სლოვაკები ბინადრობენ, რომლებიც მეთევზეობას მისდევენ და ლელქაშს ხვნენ. თუკი ეს დაყოფა ასე გამართული და წმინდა იქნებოდა, ისით გაიხარებდა ვოლსონი; ეს მოხერხებული იქნებოდა გეოგრაფიის გაკვეთილზე მოხსენებისათვის. მაგრამ საალბათოა, რომ ნაკლებ წესრიგსა და უფრო მეტ აღრევას ნახავთ ამ მხარეთა დავლისას. გერმანელები, უნგრელები და სლოვაკები ყველგან შერეულია, მთაგორიან ადგილში სახნავიცაა, ვაკეში – საქონელიც. ზოგი, რამ, ბუნებრივია, ისეა, როგორადაც მოელოდით – მთაში თევზს არ იჭერენ, წყალში არ იზრდება ვენახი. დიახ, სურათი მხარისა, რაც თქვენ გაქვთ, შეიძლებოდა მთლიანად შესატყვისი იყოს, ცალკეულში გადაიხრებოდით.

არ ელოდებით, მაგრამ თქვენთან გასაზიარებელი მაქვს "ოგი"-ს შესახებ, გარდა ახალი სახელისა, მრავალი სიახლეც. "ოგი" არის ჩვენი პიროვნების მიუწვდომელი ნაწილი; მცირედი, რაც მის შესახებ ვიცით, გამოცდილებაში მივიღეთ სიზმრის მუშაობისა და ნევროტული სიმპტომის ფორმირების შესწავლის გზით; მის შესახებ

ცოდნის უმრავლესობა ნეგატიური ბუნებისაა, აღიწერება მხოლოდ როგორც 'შე'-სადმი საპირისპირო. 'ოგი'-ს ახლო ვეცნობით შეცდომების გზით, მას ვუწოდებთ ქაოსს, ქვაბს მოჩუხჩუხე აგზნებებით წარმოვიდგენთ, თითქოს ის იყოს საბოლოოდ სომატურის საპირისპირო ღია, იქ ღებულობდეს თავისთავზე ლტოლვის მოთხოვნილებებს, რომლებიც მასში, თავიანთ ფსიქიკურ გამოსახულებას პოულობენ, მაგრამ არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ რომელ სუბსტრატზე ლტოლვებიდან ის აღიგზება ენერგიით, მაგრამ არ გააჩნია ორგანიზაცია, საერთო ნება, მასშია მხოლოდ მისწრაფება მოხდეს სიამოვნების პრინციპის დაცვით ლტოლვის მოთხოვნილება. პროცესებისათვის 'ოგი'-ში აზროვნების ლოგიკური კანონები, უპირველეს ყოვლისა – წინააღმდეგობის კანონი არ მნიშვნელობს, საპირისპირო წინადადებანი ერთმანეთის გვერდითაა ისე, რომ ერთმანეთს არ აუქმებენ, ან ერთმანეთს არ უთმობენ. სულ დიდი გაბატონებული ეკონომიკური იძულების ქვეშ ენერგია მიედინება კომპრომისულ წარმონაქმნებამდე. 'ოგი'-ში არაფერია, რაც შეესატყვისებოდა უარყოფას, ასევე აღიქვამენ მოულოდნელად ფილოსოფოსთა დებულებიდან გამომდინარეს, რომ სივრცე და დრო ჩვენი სულიერი აქტების აუცილებელი ფორმებია. 'ოგი'-ში არაფერია, რაც შეესატყვისებოდეს დროის წარმოდგენას. არავითარი აღიარება დროითი მიმდინარეობისა და, რაც დიდად აღსანიშნავია და ელოდება ფილოსოფიურ აზროვნებაში თავის აღიარებას, ესაა სულიერი პროცესის უცვლელობა დროის მდინარებით. სულიერი წაქეზებანი, რომლებიც 'ოგი'-ს ვერასოდეს გადააბიჯებს, ასევე შთაბეჭდილებანი, რომლებიც განდევნის გზით 'ოგი'-ში იძირებიან, ვირტუალურად უკვდავნი არიან, მოქმედებენ ათწლეულობით, თითქოს ახლა ხდებოდნენ. მაგრამ როგორც წარსულის აღიარება, გაუფასურება და ენერგიის მუხტიდან დაცლა მაშინ ხდება მხოლოდ, როცა ისინი ანალიზური მეშვეობით ცნობიერდებიან და ამას ემყარება, არც თუ მცირედად, ანალიზური მკურნალობის თერაპევტული შედეგი.

ისევ მაქვს შთაბეჭდილება, რომ ამ უეჭველად დადგენილი ფაქტიდან, განდევნილის დროში უცვლელობიდან – ჩვენი თეორიისათვის ბევრი არაფერი გაგვიკეთებია. ულრმეს აზრებთან მისასვლელი მაინც ჩანს ღიად. სამწუხაროდ აქ არც მე წავსულვარ შორს.

თავისთავად გასაგებია, 'ოგი' არ იცნობს შეუსაბამებებს, სიკეთესა და ბოროტებას, მორალს, ეკონომიკური, ან თუკი გნებავთ რაოდენობრივი მომენტი, შინაგანად დაკავშირებული სიამოვნების პრინციპებთან, მართავს ყველა პროცესს. ლტოლვათა მუხტები, რომლებიც მოითხოვენ დაცლას, ვფიქრობთ, ყველაფერი ეს 'ოგი'-შია. ჩანს კიდეც, რომ ამ ლტოლვითი მუხტების ენერგია სხვა მდგომარეობაშია, ვიდრე სხვა სულიერ სფეროში, აღვილად მოძრავია და გადატანის უნარის მქონე, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ მოხდებოდა ის გადაწევა და შემჭიდროება, რომელიც 'ოგი'-სთვისაა დამახასიათებელი და რომელიც ასე სრულყოფით დამუხტვის რომელობას ('შე'-ში, მას ვუწოდებთ წარმოდგენას) აქვს. რას არ მისცემდნენ, ამ საგნებზე მეტის გაგება რომ შეძლებოდათ! თუმცა ხედავთ, რომ შეგვიძლია 'ოგი'-ს შესახებ კიდევ სხვა თვისებებზე მივუთითოთ, გარდა ამისა, რომ ის არაცნობიერია და არის შესაძლებლობა, 'შე'-სა და 'ზე-შე'-ს ნაწილები არაცნობიერი იყვნენ იმის გარეშე, რომ ჰქონდეთ მითითებული პრიმიტიული და ირაციონალური ბუნება. საკუთრივ 'შე'-ს მახასიათებელს, რამდენადაც ის გამოიყოფა 'ოგი'-დან და 'ზე-შე'-დან, ყველაზე უფრო მაშინ ვწვდებით, როცა მის მიმართებას სულიერი აპარატის გარეგან ზედაპირულ ნაწილთან ვითვალისწინებთ, რომელსაც აღვნიშნავთ W-Bw (ცნობიერების) სისტემით. ეს სისტემა მიმართულია გარესამყაროზე. ის აშუალებს მის აღქმას, მასში ფუნქციობისას აღმოცენდება ცნობიერების ფენომენი. ისაა შეგრძნების ორგანო მთელი აპარატისა, მიმღები, თუმცა არა მხოლოდ აგზნებებისა, რომელიც გარედან მოდის, არამედ ისეთებისაც, რომლებიც სულიერი ცხოვრების შინაგანიდან წარმოდგება. გაგება არ საჭიროებს გამართლებას, რომ 'შე' ის ნაწილია 'ოგი'-სა, რომელიც გარესამყაროს სიახლოვისა და ზეგავლენის გზით მოდიფიცირდება ტვინის ქერქის დარად, რომელიც ცოცხალია, სუბსტანციის ნაჭერს გარს არტყია; ორგანიზაციას უკეთებს გაღიზიანების მიღებასა და გაღიზიანებისაგან თავდაცვას. 'შე'-სათვის გადამწყვეტია გარესამყაროსადმი მიმართება. მან თავის თავზე აიღო ამოცანა 'ოგი'-ს შენაცვლებისა 'ოგი'-ს გადარჩენისათვის, რომელიც ამ ზეძლიერი გარეძალის მხედველობაში მიღების გარეშე თავს ვერ დააღწევდა განადგურებას

ლტოლვის დაკმაყოფილების ბრძა მისწრაფებაში. ამ ფუნქციის გან
ხორციელებაში "შე" უნდა დაუკვირდეს გარესამყაროს, მისი საიმე
დო ასახვა თავისი აღქმის მოგონების კვლებში ჩადოს, რეალობის
შემოწმების მოქმედებით ჩამოიცილოს ის, რაც გარესამყაროს ამ
სურათში შენამატია შინაგანი აგზნების წყაროებიდან. "ოგი"-ს ამო
ცანაში "შე" ფლობს მოძრაობის მისადგომებს, მაგრამ მოთხოვნილე
ბასა და მოქმედებას შორის ჩართავს აზროვნების მუშაობის გადა
წევას, ამაში ის გამოიყენებს გამოცდილების მოგონების ნარჩენებს,
ასე აუქმებს "შე" სიამოვნების პრინციპს, რომელიც შეუზღუდავად
ფლობს "ოგი"-ში პროცესების მიმდინარეობას და მას შეანაცვლებს
რეალობის პრინციპს, რომელიც გვპირდება მეტ საიმედობასა და
წარმატებით შედეგებს.

ასე ძნელად აღწერადი დამოკიდებულებაც დროის მიმართ "შე"-
სათვის აღქმის სისტემითაა გაშუალებული. ეჭვი არ შეიძლება
შევიტანოთ, რომ ამ სისტემის მუშაობის წესი დასაბამს აძლევს
დროის წარმოდგენას. რაც "შე"-ს განსაკუთრებით განასხვავებს
"ოგი"-საგან, ესაა თვისება მისი შინაარსების სინთეზისა, მისი სუ
ლიერი პროცესების შეჯამება და გაერთიანება, რაც სრულებითაც
არ აქვს "ოგი"-ს. მომავალში როცა ჩვენ ერთხელ კიდევ ვიმსჯე
ლებთ ლტოლვებზე სულიერ ცხოვრებაში, ვიმედოვნებთ, მივაღწევთ
იმას, რომ "შე"-ს ამ არსებით მახასიათებელს დავიყვანთ მის წყარო
ზე. მარტო ის წარმოშობს ორგანიზაციის იმ მაღალ ხარისხს,
რომელსაც "შე" აღწევს მის საუკეთესო ნაქმობაში. "შე" ვითარდება
ლტოლვის აღქმიდან ლტოლვის დაუფლებისაკენ, მაგრამ უკანას
კნელი მხოლოდ იმით მიიღწევა, რომ ლტოლვის წარმომადგენელს
დიდ დაკავშირებებში რთავს, კავშირში იღებს. პოპულარულად ვიტყ
ოდით, რომ "შე" სულიერ ცხოვრებაში წარმოადგენს გონებასა და
გონიერულობას, ხოლო "ოგი"-დაუოკებელ ვნებებს.


აქამდე ვმსჯელობდით "შე"-ს უპირატესობისა და უნარების შე
მოთვლის თაობაზე; ახლა დროა ასევე გავიხსენოთ მისი უკანა
მხარე. "შე" მაინც მხოლოდ "ოგი"-ს ნაწილია – მუქარის მქონე გარე
სამყაროს სიახლოვით მიზანშეწონილად შეცვლილი ნაწილი. დინა
მიკური თვალსაზრისით "შე" სუსტია, თავისი ენერგია მიღებული
აქვს "ოგი"-დან და ჩვენ, მეთოდებიც ვიცით, შეგვეძლო გვეთქვა

ესაა ფანდი, რომლითაც ის "ოგი"-ს ენერგიის ჯამს აკლებს. ასეთი
გზაა, მაგალითად, აგრეთვე იდენტიფიკაცია შენარჩუნებული ანდა
უარყოფილი ობიექტებთან, ობიექტის მუხტები მომდინარეობენ "ოგი"-
ს ლტოლვათა მოთხოვნიდან. უპირველეს ყოვლისა, მათ "შე" რეგის-
ტრაციაში ატარებს. მაგრამ მაშინ, როცა ის ობიექტთან იდენტიფი-
ცირდება, "ოგი"-ს თავაზობს საკუთარ თავს ობიექტის მაგივრად, მას
ხებავს "ოგი"-ს ლიბიდო თავის თავზე მიმართოს. უკვე მოვისმინეთ,
რომ ცხოვრების მანძილზე "შე" წინანდელი ობიექტის ყოფილი მუხ-
ტების ასეთი ნარჩენების დიდ რაოდენობას თავის თავში იღებს.
მილიანობაში "შე"-მ უნდა გააჯარუროს "ოგი"-ს განზრახვები; "შე" თავის
ამოცანას მაშინ ასრულებს, თუკი ის ისეთ ვითარებებს ეძიებს, სა-
დაც ეს განზრახვები საუცხოოდ მიიღწევა. დამოკიდებულება "შე"-სი
"ოგი"-სთან შეიძლება შეადარონ მხედრის დამოკიდებულებას თავის
ცხენთან. ცხენი ენერგიის მიმცემია მოძრაობისათვის, ხოლო მხედ-
რის უპირატესობა ისაა, რომ მიზანს განსაზღვრავს, ძლიერი ცხოვე-
ლის მოძრაობას წარმართავს. მაგრამ "შე"-სა და "ოგი"-ს შორის
დამოკიდებულებაში ძალზე ხშირად მომსწრე ვართ არაიდეალური
შემთხვევისა, როცა მხედარი ცხენის ნებას უნდა დაჰყვეს, ის იქით
წაიყვანოს, საითკენაც თვითონ ცხენს უნდა სვლა.

"ოგი"-ს ერთი ნაწილიდან გამოიყო "შე" განდევნის მიერ წინააღ-
მდეგობის გაწევის გზით. მაგრამ განდევნა არ განაგრძობს არსებო-
ბას "ოგი"-ში. განდევნილი მიეკედინება დანარჩენ "ოგი"-სთან.

ანდაზა გვაფრთხილებს ერთდროულად ორი ბატონის სამსა-
ხურზე. საწყალი მე" უფრო მძიმე ვითარებაშია, ის სამი მკაცრი
ბატონის სამსახურშია, ცდილობს მათი პრეტენზიები და მოთხოვნე-
ბი ერთმანეთთან შეახამოს. აღნიშნული პრეტენზიები მუდამ შორ-
დებიან ერთმანეთს, ხშირად ერთმანეთთან გაუერთიანებელნი არიან.
არაა საკვირველი რომ "შე" ასე ხშირად თავის ამოცანას ვერ
ახორციელებს. სამი მაიძულებელი ბატონია: გარესამყარო, "ზე-შე"
და "ოგი". თუკი მივყვებით "შე"-ს ძალისხმევას, მათ ერთდროულ
მოთხოვნებს დავაკმაყოფილებთ, უკეთ რომ ვთქვათ, მათ ამავდროუ-
ლად დავუჯერებთ, არ ვინანებთ, თუ ამ "შე"ს პერსონიფიცირებას
მოვახდენთ, მას როგორც განსაკუთრებულ არსებას წამოვაყენებთ.
"შე" სამი მხრიდან გრძნობს შეევიწროვებას, მას სამნაირი საშიშ-
როება ემუქრება, რომელზედაც ის შეევიწროების შემთხვევაში ში-

შის განვითარებით პასუხობს. აღქმის სისტემიდან მისი წარმო-
ბის გზით ის იმისთვისაა განსაზღვრული, რომ გამოვიდეს გარე
სამყაროს მოთხოვნებისათვის, მაგრამ ასევე ნებავს "იგი"-ს ერთგ
ლი მსახური იყოს, მასთან ერთსულოვნად დარჩეს, მას, როგორც
ობიექტი, მიეცეს მისი ლიბიდო თავის თავზე მიმზიდოს. "იგი"-სა
რეალობას შორის გაშუალების მისწრაფებაში ხშირად საჭირო ხდე
ბა "იგი"-ს ubm (არაცნობიერი – ვ. კ.) მოთხოვნები თავის vbm (წინა
ნობიერი–ვ. კ.) რაციონალიზირებებში გახვიოს, "იგი"-ს კონფლიქტე
რეალობასთან მიჩქმალოს, დიპლომატიური პირმოთნეობით ანგარიშ
არ გაუწიოს რეალობას და მოატყუოს მაშინ, როცა "იგი" რჩე
მტკიცე და არადამთმობი. მეორე მხრით, ყოველ ნაბიჯზე ვაკვირდე
ბით გამკაცრებულ "ზე–მე"-ს, რომ მისი ქცევის განმსაზღვრელ
ნორმები მას საყვედურობს – ანგარიში არ ეწევა სიძნელეებს "იგი"-ს
და გარესამყაროს მხრიდან და არდაცვის შემთხვევაში სჯის ნაკლებ
ღირებულებისა და ბრალის ცნობიერების დაძაბულობის გრძნობით.
ასე რომ, "იგი"-დან იძულებული "ზე–მე"-დან შეივწროვებული, რა
ლობიდან უკუგდებული "მე" იბრძვის საკუთარი ეკონომიკური ამოც
ნის თავის გართმევისათვის, ძალებსა და ზემოქმედებებს შორის
არმონიის აღდგენისათვის, რომლებიც მასშია და მასზე ზემოქმედე
ბენ; ჩვენ გვესმის, რატომ არ შეგვიძლია ასე ხშირად დავთრგუნოთ
ძახილი: ცხოვრება არაა ადვილი! თუკი "მე"-მ თავისი სისუსტე უნდა
გაიცნობიეროს, ის შიშის სახით ვლინდება გარესამყაროს წინაშე
რეალურ შიშად, სინდისის შიშად, "ზე–მე"-ს წინაშე – ნევროტული
შიშად, "იგი"-ში შიშად ვნებათა სიძლიერის წინაშე. სულიერი პი
როვნების სტრუქტურული მიმართებანი, რაც მე განვავითარე, შეიძ
ლია გადმოვცე უპრეტენზიო ნახატით, რასაც აქვე გთავაზობთ:



აქ ხედავთ, რომ "ზე–მე" "იგი"-შია ჩაძირული; როგორც მემ-
კვიდრეობა ოიდიპოსის კომპლექსისა, მასთან მას ინტიმური კავში-
რი აქვს. ის "მე"-სთან შედარებით უფრო შორსაა აღქმის სისტემი-
დან "იგი"-ს ურთიერთობა არის გარე სამყაროსთან მხოლოდ "მე"-
ს საშუალებით, უკიდურეს შემთხვევაში, ამ სქემაში. დღეს ძნელია
იმის თქმა, თუ რამდენადაა ნახატი სწორი; ერთ მომენტში ის
მართლაც ასეთი არაა. სივრცე, რომელსაც იჭერს არაცნობიერი
"იგი", შეუდარებლად დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე "მე"-სი, ან
წინაცნობიერისა. გთხოვთ ეს შეასწოროთ თქვენს აზროვნებაში.

ღასკვნისათვის, ამ არსებითად დამქანცველი და ალბათ არც
თუ ცხადი გადმოცემისათვის კიდევ ერთი შენიშვნა: პიროვნების
ამ დანაწილებასთან "მე"-დ "ზე–მე"-დ და "იგი"-ღ, თქვენ არ უნდა
იფიქროთ, რა თქმა უნდა, მკაცრ საზღვრებზე, როგორც ეს ხელოვ-
ნულადაა გატარებული პოლიტიკურ გეოგრაფიაში. ფსიქიკურის თა-
ვისებურება არ შეგვიძლია ხაზოვანი კონტურებით გადმოვცეთ რო-
გორც ესაა ნახატში ანდა პრიმიტიულ მხატვრობაში, უფრო შე-
საფერისი იქნებოდა მისი მჭრქალ ფერთა ველით გადმოცემა, რო-
გორც ესაა მოღერნისტულ მხატვრობაში. მას შემდეგ, რაც დავანა-
წილეთ, დანაწევრებულნი ისევ უნდა შევარწყათ. ნუ იმსჯელებთ
მკაცრად პირველი ცდის შესახებ – ძნელად მისაწვდომი ფსიქიკური
გაგვეხადა თვალსაჩინო. ძალზე საალბათოა, რომ აღნიშნული დანა-
წევრების გატარება განსხვავებულ პირებთან დიდ ვარიაციებს ქმნის,
შესაძლებელია, ფუნქციობისას თვითონ გადასხვაფერდეს და დრო-
ებით დაკნინდეს. განსაკუთრებით ფილოგენეტურად უკანასკნელისა
და დელიკატურისათვის "მე"-სა და "ზე–მე"-ს დიფერენციაცია ამნა-
ირად შესატყვისია სინამდვილესთან. უეჭველია, მსგავსი რამ ფსი-
ქიკური დაავადებით გამოიწვევა. შეიძლება ასევე კარგად წარმო-
ვიდგინოთ, გარკვეულ მისტიურ პრაქტიკოსებს შეუძლიათ მიაღწი-
ონ ცალკეულ სულიერ სფეროებს შორის ნორმალური მიმართებე-
ბის უგულებელყოფას ისე, რომ, მაგალ., აღქმას შეუძლია მიწვდეს
მიმართებებს ღრმა "მე"-სა და "იგი"-ს შორის, რომელიც მისთვის
სხვანაირად მიუდგომელი იქნებოდა. თუ ამ გზით უკანასკნელ სიბ-
რძნეს ხელს ჩავკიდებთ, რომლისგანაც ყველაფრის განკურნებას
ველით, უფლება გვაქვს მშვიდად დავეჭვდეთ. გვინდა მაინც დავუ-

მატოთ, ფსიქოანალიზის თერაპევტულმა მცდელობებმა მსგავსი სუს
ტი ადგილი აირჩიეს, მათი განზრახვა: "შუ"-ს გამაგრება, "შუ" გახ
დის "ზუ-შუ"-საგან დამოუკიდებელი, მისი აღქმის ველი განავრცოს
და თავისი ორგანიზაცია ისე ააგოს, რომ მას "ფი"-ს ახალი ნაწი
ლების ათვისება შეეძლოს. სადაც "ფი" იყო, იქ "შუ" უნდა იყოს.

ესაა კულტურის სამუშაო, ისევე, როგორიცაა ცუიდის ტბის ამოშრობა.

32-ე ლექცია
შიში და ლტოლვითი ცხოვრება

ქალბატონებო და ბატონებო! არ გაგიკვირდებათ მოსმენა იმისა, რომ შიშისა და სულიერი ცხოვრების ძირითად ლტოლვათა შესახებ ჩვენი გაგების სხვაგვარ სიახლეს მოგახსენებთ, არც ის, რომ არც ერთი მათგანი არ ითვლება გადაუწყვეტელი პრობლემის საბოლოო გადაწყვეტად. გარკვეული განზრახვით ვლაპარაკობ აქ გაგებათა შესახებ. ამ მხრივ უძნელესი ამოცანები დგას ჩვენს წინ, მაგრამ სიძნელეს წარმოადგენს არა დაკვირვების არასაკმარისობა (ისინი სწორედ რომ უხშირესი და კარგად ცნობილი ფენომენებია, რომლებიც გამოცანის გამოცნობას გვთავაზობენ), არა სპეკულაციების საშორე, რომლებსაც ისინი აღძრავენ (სპეკულაციური დამუშავება ამ სფეროში ნაკლებ მიიღება მხედველობაში), არამედ აქ სამდვილად ლაპარაკია გაგებაზე, ე. ი. იმაზე, რომ შემოვიტანოთ სწორი აბსტრაქტული წარმოდგენები, რომელთა გამოყენება დაკვირვების ნედლ მასალაზე იძლევა მასში წესრიგსა და გამჭვირვალეებას.

ადრეულ სერიაში შიშს უკვე მივუძღვენით 25-ე ლექცია. გავიმეორებ მის მოკლე შინაარსს. ვთქვით, რომ შიში აფექტის მდგომარეობაა, მაშასადამე, სიამოვნება-უსიამოვნების რიგის განსაზღვრული შეგრძნებების გაერთიანება შესატყვის საპასუხო ინერვაციებთან და მათ აღქმებთან; ალბათ, გარკვეული მნიშვნელობით ისაა სალექი საკვე შემთხვევისა, მემკვიდრეობით შეერთებულისა შეპირისპირებით ინდივიდუალურად შეძენილ ისტერიულ შეტევასთან. ჩვენ დაბადების პროცესს ვსწავლობდით როგორც შემთხვევას, რომელიც ისეთი აფექტის კვალს ტოვებს, რომელთანაც შიშის დაშა სასიათებელი გულის მუშაობისა და სუნთქვის ზემოქმედებანი ითვლებოდა მიზანშეწონილად. მაშ, უპირველესი შიში თითქოს ყოფი-

ლიფოს ტოქსიკური. ჩვენ ამოვედით რეალური და ნევროტული შიშების განსხვავებიდან, პირველი გასაგები რეაქციაა საშიშროებაზე, ე.ი. გარედან მოსალოდნელ დაზიანებაზე, ხოლო მეორე გამოცანაა საკუთარი და ამდენად, უმიზნოა. ერთ ანალიზში რეალური შიში დავიყვანეთ გამახვილებული სენსორული ყურადღებისა და მოტორული დაძაბულობის მდგომარეობაზე, რომელსაც ვუწოდეთ **შიშის მზაობას**. აღნიშნულიდან ვითარდება შიშის რეაქცია, რომელიც შიდაც შესაძლებელია ორი გამოსავალი; ან **შიშის განეიტრალება**, განმეორება ძველი ტრავმატული განცდისა, შემოფარგლული სიგნალით, როცა დანარჩენ რეაქციას შეუძლია შეეგუოს ახალი საშიშროების მდგომარეობას გაქცევით ან თავდაცვით, ანდა ძველი რჩება და მთელი რეაქცია ამოიწურება შიშის განვითარებით, მაშინ აფექტის მდგომარეობა ხდება დამბლადაცემული და აწმყოსათვის არამიზანშეწონილი.

ჩვენ შემდეგ მივმართეთ ნევროტულ შიშს და ვთქვით, რომ მას სამნაირ მიმართებაში ვაკვირდებით. ერთი, როგორც თავისუფლად მდინარე ზოგადი ძრწოლა, მზად რომ არის დაუკავშირდეს წარმავალ, ყოველ ახალგაჩენილ შესაძლებლობას, ე.წ. მოლოდინის შიში, როგორც ესაა, მაგალ., ტიპიურ შიშის ნევროზთან; მეორე, როგორც მტკიცედ დაკავშირებული გარკვეული წარმოდგენის შინაარსებთან ე.წ. **ფობიებში**, რომლებთანაც თუმცა შეგვიძლია კიდევ შევიცნოთ გარეგან საშიშროებასთან დამოკიდებულება, მაგრამ მის წინაშე შიში ძალზე გადამეტებულად უნდა ჩაითვალოს; და ბოლოს მესამე, შიში ისტერიასთან და მძიმე ნევროზების სხვა ფორმებთან, ის სიმპტომები ახლავთ ან დამოუკიდებლად წარმოდგებიან როგორც შეტევა ან ხანგრძლივი მდგომარეობა, მაგრამ მუდამ გარეგანი საშიშროებით ცხადი დაფუძნების გარეშე. ასე რომ, ჩვენ ორი საკითხი დავსვით: რისი ეშინიაო ნევროტული შიშის შემთხვევაში? და როგორ დაკავშირდეს აღნიშნული გარეგანი საშიშროების წინაშე რეალურ შიშთან?

ჩვენი გამოკვლევები არავითარ შემთხვევაში არ დარჩენილან უშედეგოდ, ჩვენ მივიღეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტება შიშნეული მოლოდინის მიმართ კლინიკურმა გამოცდილებამ გაგვაცნო წესზომიერი კავშირი სექსუალურ ცხოვრებაში ლიბიდოს

მისაგანი ბუნების შესახებ. შიშის ნევროზის ჩვეულებრივი მიზეზი არის ფრუსტრირებული აგზნება. ის გამოიწვევა ლიბიდოზური აგზნებით, მაგრამ არ კმაყოფილდება, არ გამოიყენება; ამ მისი გამოყენებისაგან უკუგდებული ლიბიდოს ადგილზე გამოდის შემდეგ შიშნეულობა. მე ვფიქრობდი, უფლება მქონდა მეთქვა, ეს დაუკმაყოფილებელი ლიბიდო პირდაპირ გადაიქცევა შიშად. აღნიშნულმა გაგებამ ღასაყრდენი ნახა პატარა ბავშვების სავსებით გარკვეულ კანონზომიერ ფობიებში. ამ ფობიებიდან მრავალი ჩვენთვის ბოლომდე გამოცანაა, ხოლო სხვები, როგორიცაა მარტოობის შიში ან სხვა პირების მიმართ შიში, სანდოდ აიხსნებიან. განმარტება, ისევე როგორც უცხო სახე, აღძრავენ დაუოკებელ მისწრაფებას ინტიმური დედის მიმართ. ბავშვს არ შეუძლია ამ ლიბიდოზური აგზნების ფლობა, მისი აწონ-დაწონვა, არამედ მას გადააქცევს შიშად. ეს ბავშვის შიში არაა რეალური შიში, ის ნევროტული შიშია. ბავშვის ფობიები და შიშის ნევროზთან შიშის მოლოდინი ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ აღმოცენდება ნევროტული შიში. ერთი ლიბიდოს პირდაპირი გარდაქმნით, ხოლო მეორე მექანიზმის ახლავე გაგაცნობთ, გაჩვენებთ, რომ ის პირველისაგან დიდად არ განსხვავდება.

ისტერიასთან და სხვა ნევროზებთან შიშისთვის პასუხისმგებლად ვაცხადებთ სახელდობრ განდევნის პროცესს. ვფიქრობთ, შევძელით აღნიშნული უფრო სრულყოფილად აგვეწერა წინათ, როცა განდევნადი წარმოდგენები გამოვყავი მასთან მიწებებული ლიბიდოს სიდიდისაგან; ეს ის წარმოდგენაა, რომელიც განდევნას განიცდის, საჭირო შემთხვევაში მახინჯდება ძნელადსაცნობამდე. მისი აქტების ჯამი კანონზომიერად შიშად გადაიქცევა, სახელდობრ სულერთია რომელი სახისაც იქნება აგრესიისა თუ სიყვარულისა. არაა არსებითი განსხვავება, რომელი საფუძვლიდან დარჩება ლიბიდოს სიდიდე გამოუყენებელი, შ[ყ]-ს ინფანტილური სისუსტიდან, როგორც ესაა ბავშვების ფობიებთან, თუ სექსუალურ ცხოვრებაში სომატური პროცესების შედეგად, როგორც ესაა შიშის ნევროზთან, ანდა განდევნის გზით, როგორც ესაა ისტერიასთან. ნევროტული შიშის აღმოცენების ორივე ძექანიზმი, მაშ, არსებითად ერთმანეთს ემთხვევა.

ამ გამოკვლევათა დროს ყურადღება მიექცა მეტად მნიშვნელო-
ვან დამოკიდებულებას შიშის განვითარებასა და სიმპტომის წარ-
მოქმნას შორის, სახელდობრ, რომ ისინი ორივენი ერთმანეთს წარ-
მოადგენენ და ცვლიან. (Agoraphobe), მაგალ., იწყებს თავისი ავად-
მყოფობის ისტორიას შიშის შეტევით ქუჩაში. ამას ყოველდღე
იმეორებს, როცა კი ის ისევ ქუჩაში მიდის. ის ქმნის ქუჩის შიშის
სიმპტომს, რომელსაც, შეიძლება დაერქვას ასევე "შე"-ს შეკავების
ფუნქციის შეზღუდვა და ამით ის შიშის შეტევისაგან თავს იხსნის.
საპირისპიროს ხედავენ როცა კი, როგორც ეს შესაძლებელია, ძა-
იძულებითი მოქმედებების დროს, სიმპტომის წარმოქმნაში ჩაერევი-
ან. ხელს უშლიან რა ავადმყოფს რეცხვის ცერემონიის შესრულე-
ბაში, ის ვარდება ძნელად ასატან შიშის მდგომარეობაში, რომელ-
საგანაც მას, ცხადია, იცავს მისი სიმპტომი. სახელდობრ, ჩანს,
თითქოს შიშის განვითარება ადრეულია, ხოლო სიმპტომის წარმო-
შობა მოგვიანო, თითქოს სიმპტომები ამისთვის იყვნენ შექმნილნი,
რათა თავიდან აიცილონ შიშის მდგომარეობის ამოხეთქვა. ამას
ისიც ადასტურებს, რომ ბავშვობის ასაკის პირველი ნევროზული
ფობიებია, მდგომარეობანი, რომლებთანაც ასე ცხადად ვცნობთ, თუ
როგორ შეინაცვლება საწყისი შიშის განვითარება მოგვიანო სიმ-
პტომის წარმოქმნით. ვღებულობთ შთაბეჭდილებას, რომ ამ მიმარ-
თებიდან საუკეთესო მისასვლელია ნევროტული შიშის გაგებისათ-
ვის. იმავდროულად იმასაც მივაღწიეთ, რომ ვუპასუხოთ კითხვას – რა
გვაშინებს ნევროტულ შიშთან და ასე აღვადგინოთ დაკავშირება
ნევროტულსა და რეალურ შიშებს შორის. ის, რაც გვაშინებს,
არის, ცხადია, საკუთარი ლიბიდო. განსხვავება რეალური შიშის
სიტუაციისაგან ორ მომენტშია, რომ საშიშროება შინაგანია, სა-
ვლად გარეგანისა, და რომ ის ცნობიერად ვერ იცნობა.

ფობიებთან შეიძლება ძალზე ნათლად შევიმეცნოთ, თუ როგორ
გადაიტანება ეს შინაგანი საშიშროება გარეგანში, მაშასადამე, ნე-
როტული შიში მოჩვენებით რეალურ შიშად გარდაიქმნება. ხშირად
ძალზე რთული საქმის ვითარება რომ გავამარტივოთ, დავუშვათ,
აგორაფობს კანონზომიერად ეშინია წაქცევის მცდელობისა, რომე-
ლიც მასში იღვიძებს ქუჩაში შეხვედრებით. თავის ფობიაში ის
ძიმართავს გადაწევას და ეშინია გარე სიტუაციისა. ამასთან მის-

ვირატესობა, ცხადია, ისაა, რომ ფიქრობს ასე უკეთ დაიცავს
თავს. გარეგანი საშიშროებისაგან თავის გადარჩენა შეიძლება გაქ-
ცევით, ხოლო შინაგანი საშიშროებიდან გაქცევის მცდელობა ძნე-
ლი საქმეა.

შიშის შესახებ მაშინდელი ლექციის დასკვნით ნაწილში გა-
მოვაქვით მსჯელობა, რომ ჩვენი გამოკვლევის განსხვავებული შე-
დეგები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან, მაგრამ მაინც რაღაცნაი-
რად არ ეთანხმებიან. შიში, როგორც აფექტის მდგომარეობა, არის
რეპროდუქცია ძველი საშიში მუქარის შემთხვევისა, შიში დგას
ალითშენახვის სამსახურში და სიგნალია ახალი საშიშროებისა; ის
აღმოცენდება რომელიღაც გამოუყენებელი ლიბიდოსაგან, ასევე გან-
ვლის პროცესთან ის შეინაცვლება სიმპტომის წარმოქმნით –
ითქოს ფსიქიკურად დაკავშირებულის – თუმცა იგრძნობა, რომ აქ
რაღაც აკლია, რაც ნაწილებიდან ერთიანობას ქმნის.

ქალბატონებო და ბატონებო! სულიერი პიროვნების ის დაყოფა
"ზე-შე"-დ, "შე"-დ და "ოგი"-დ, რომელიც თქვენ უკანასკნელ ლექცი-
აზე მოგახსენეთ, გვაიძულებს ასევე ახალ ორიენტაციისათვის ში-
შის პრობლემაში. დებულებით, რომ, "შე" არის მხოლოდდამხოლოდ
შიშის კერა, მხოლოდ "შე"-ს შეუძლია შიშის წარმოშობა და გან-
ცდა, ჩვენ ახალი მტკიცე პოზიცია დავიჭირეთ, რომლიდანაც ამო-
სული ღანარჩენი მიმართებები სხვანაირად გამოიყურებიან. ნამდვი-
ლად ჩვენ არ ვიცით, რა აზრი ჰქონდა "ოგი"-ს შიშზე ლაპარაკს,
ანდა "ზე-შე"-სადმი შიშნეულობის უნარის მიწერას. მაინც ვესალ-
მებით როგორც სახურველ შესატყვისობას, რომ შიშის სამი ძირი-
ადი სახე: რეალური, ნევროტული და სინდისის შიში იძულების
გარეშე "შე"-ს სამ დამოკიდებულებასთანაა მიმართებაში: გარესამ-
ყაროსა, "ოგი"-სა და "ზე-შე"-სთან. ამ ახალი გაგებით შიშის ფუნ-
ქციაც, როგორც სიგნალი საშიში სატუაციის მაუწყებლისა, რაც
მანამდე ჩვენთვის უცხო არ ყოფილი, წინ წამოიწევს. საკითხი – რა
შემადგენლობისაა შიში, ინტერესს ჰკარგავს და დამოკიდებულება
რეალურ შიშსა და ნევროტულ შიშს შორის მოულოდნელად ირ-
კვევა და მარტივდება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ჩვენ ახლა მოჩვე-
ნებითად რთული შემთხვევები შიშის აღმოცენებისა უკეთ კიცით,
ვიდრე მარტივად ჩათვლილნი.

სახელდობრ, ახლებურად გამოვიკვლიეთ ის, თუ როგორ აღმ
ცენდება შიში გარკვეულ ფობიებთან, რომელთაც ჩვენ შიშის ისტე
რიას მივაკუთვნებთ და ავირჩიეთ შემთხვევები, რომლებთანაც სჭ
მე გვაქვს ოიდიპოსის კომპლექსიდან სურვილების აგზნების ტაბუ
ურ განდევნაზე. ჩვენი მოლოდინის მიხედვით, უნდა გვენახა, რომ
დედის ობიექტის ლიბიდონოზური დამუხტვაა ის, რომელიც გან
დევნის შედეგად შიშად გადაიქცევა და სიმპტომატური გამოსახვა
უკავშირდება მამის შემნაცვლებელს. მე თქვენ ასეთი გამოკვლევის
ცალკეულ ნაბიჯებს არ გაჩვენებთ. საკმარისია, რომ საბოლოო შე
დეგი აღმოჩნდა, ჩვენი მოლოდინის საპირისპირო. განდევნა კი არ
ქმნის შიშს, არამედ შიში უწინარესია, შიში ქმნის განდევნას. რა
შიში შეიძლება იყოს ეს? მხოლოდ შიში საშიში გარეგანი სი
რთხისა, მაშ, რეალური შიში. სწორია, ბიჭი ღებულობს მამს
თავისი ლიბიდოს მოთხოვნით, ამ შემთხვევაში თავისი დედის სე
ვარულისაგან. მაშ, ეს მართლაც ნევროტული შიშის შემთხვევა
მაგრამ ეს ტრფობა მხოლოდ იმიტომ ეჩვენება მას შინაგან საშიშ
როებად, რომელსაც მან ამ ობიექტის უარყოფით გვერდი უნდ
აუაროს, რომ ის გარე მუქარის სიტუაციას იწვევს. ყველა ჩვე
მიერ გამოკვლეულ შემთხვევაში ვღებულობთ იგივე შედეგს. მხო
ლოდ უნდა ვაღიაროთ, ჩვენ მზად არ ვიყავით, რომ შინაგანი
ლტოლვის მუქარა გამოვიდოდა როგორც პირობა და მომზადე
გარეგანი, რეალური მუქარის სიტუაციისათვის.

მაგრამ ჯერ კიდევ არ გვითქვამს, თუ რა არის გარეგანი საშიშ
რება, რომელიც ბავშვს აშინებს როგორც შედეგი მისი დედის
ტრფობისა. ესაა კასტრაციის ჯარიმა, მისი ასოს დაკარგვა. ბუნებ
რივია, შენიშნავთ, რომ ეს მაინც არაა რეალური საშიშროება. ჩვე
ბიჭები ხომ არ კასტრირდებიან, ვინაიდან ოიდიპოსის კომპლექსის
ფაზაში დედა შეუყვარდათ. მაგრამ ეს ასე ადვილად არ მთავრდე
უპირველეს ყოვლისა, საქმე ის არაა, კასტრაცია ნამდვილად მოხდე
ბა თუ არა; გადამწყვეტი ისაა, რომ საშიშროება გარედან გვემუქრე
ბა და რომ ბავშვი მასზე ფიქრობს. ამისათვის მას რამდენიმე საბაბ
აქვს, რამდენადაც მას საკმაოდ ხშირად ემუქრებიან ასოს მოკვეთ
ფალურ ფაზაში, მისი ონანიის დროში და ამ დასჯაზე გადაკრულ
სიტყვა მასთან კანონზომიერად პოულობს ფილოგენეტურ გაძლი

რებას. ჩვენ ვვარაუდობთ, უძველეს დროში ადამიანური ოჯახის კასტრაციას ნამდვილად მიმართავდა მოზრდილ ბიჭებთან ეჭვიანი და მკაცრი მამა და წინდაცვეთა, რომელიც პრიმიტივებთან ასე ხშირად შემადგენელი ნაწილია მამაკაცის მოწიფულობის რიტუალისა, მისგან გადმონაშთია. ვიცით, თუ რა შორს ვდგავართ ამით საერთო შეხედულებიდან, მაგრამ უნდა მტკიცედ დავიცვათ თვალსაზრისი, რომ კასტრაციის შიში მეტად ხშირი და ძლიერი მამოძრებელია განდევნისა და ამით ნევროზის წარმოქმნისა. იმ შემთხვევათა ანალიზები, რომლებიც თუმცა არაა კასტრაცია, მაგრამ ხდება ბიჭების წინდაცვეთა როგორც თერაპია, ანდა ონანიისათვის დასჯა, რაც ანგლო-ამერიკანულ საზოგადოებაში არც თუ იშვიათად ხდებოდა, ჩვენს რწმენას უკასკნელ სანდოობას ანიჭებს. დიდად მაცდუნებელია, ამაზე უფრო ახლოს მივიდეთ კასტრაციის კომპლექსთან, მაგრამ მე მინდა ჩვენს თემაზე შევჩერდე. კასტრაციის შიში, ბუნებრივია, არაა ერთადერთი მოტივი განდევნისა, მას ქალებთან ადგილი არა აქვს, თუმცა მათ კასტრაციის კომპლექსი აქვთ, მაგრამ არ შეიძლება ჰქონდეთ კასტრაციის შიში, მის ადგილზე გამოდის შიში სიყვარულის დაკარგვისა, ალბათ ძუძუმწოვარი ბავშვის შიშის შემდგომი განვითარება, თუკი ის დედას ვერ ამჩნევს, თქვენ გესმით, როგორი რეალური მუქარის სიტუაციაა ნაჩვენები ამ შიშით, როცა დედა არაა, ან ბავშვს წართმეული აქვს მისი სიყვარული, თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საიმედო აღარაა, შეძლებისდაგვარად არასასიამოვნო დაძაბულობის გრძნობები შენარჩუნებულია. ნუ უკუაგდებთ იმ იდეას, რომ ეს შიშის პირობები არსებითად იმეორებენ საწყის დაბადების შიშს, რომელიც ასევე დედიდან დაშორებას ნიშნავს. დიახ, თუკი გასდევთ **ფერენცის** (Ferenczi) აზრთა მსვლელობას, შეგეძლებათ კასტრაციის შიშიც ამ რიგში მოათავსოთ, ვინაიდან მამაკაცური ასოს დაკარგვას შედეგად მოსდევს დედასთან შეერთების შეუძლებლობა, ან მისი შენაცვლება სექსუალურ აქტში. მოვიხსენიებ, სხვათა შორის, რომ ასე ხშირი წარმოსახვა დედის სხეულში დაბრუნებისა წარმოადგენს სქესობრივი აქტის დაჭერის შენაცვლებას. აქ შეიძლებოდა მრავალი საინტერესო საგნისა და საოცარი კავშირების მოხსენიება, მაგრამ არ შემიძლია ფსიქოანალიზში შესავლის ფარგლებს გავცილდე; მინდა თქვენი ყურადღება

იმაზეც მივაქციო, თუ აქ ფსიქოლოგიური აღმოჩენები როგორ დაფუძნებულ ბიოლოგიურ ფაქტებამდე.

ფსიქოანალიზი მრავალ მშვენიერ შენაძენს უმადლის ოტო რანკს (Otto Rank), რომლის დამსახურებაც ისაა, რომ დაფინანსებაზე გაუსვა დაბადების აქტსა და დედისაგან მოშორების მნიშვნელობას. მართალია, შეუძლებლად მივიჩნიეთ ყველაფერი, რაც ავტორეს დასკვნებს უშვებს, რაც მას გამოჰყავს ამ მომენტიდან ნევროზების თეორიისა და ანალიტური თერაპიისათვის, მაგრამ მისი მოძღვრების გული, რომ დაბადების შიშის ნიმუშია ყველა შემდგომი საშიში სიტუაციისა, მას აღრევე ჰქონდა. თუკი ამ აზრზე შევწერდებოდით, შეგვეძლო გვეთქვა, არსებითად განვითარების ყველა ასაკს ვანსაზღვრული შიშის პირობა, მაშ, მისი ადეკვატური საშიში სიტუაცია ენიჭება. ფსიქიკური უმწეობა ესადაგება "შე"-ს ადრეულ, მოუმწიფებლობის სტადიას; საშიშროება ობიექტის (სიყვარულის) დაკარგვისა – ბავშვობის პირველი წლების დამოკიდებლობას, კასტრაციის საშიშროება – ფილურ ფაზას, და ბოლოს, "ზე-შე"-ს შიში, რომელიც განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ლატენტურ დროს. განვითარებასთან ერთად შიშის ძველი პირობები უსულო ჩამოგვშორდნენ, რადგანაც მათი შესატყვისი საშიში სიტუაციები უფასურდება "შე"-ს გაძლიერებით. მაგრამ ესაა მხოლოდ ძალზე არასრულყოფილი შემთხვევა. მრავალ ადამიანს არ შეუძლია სიყვარულის დაკარგვის შიშის დაძლევა, ისინი არასდროს არ არიან საკმაოდ დამოუკიდებლად სხვათა სიყვარულისაგან და ამ პუნქტში აგრძელებენ თავიანთ ინფანტილურ ქცევას. "ზე-შე"-ს შიშს ნორმალურად ბოლო არ უჩანს, ვინაიდან ის, როგორც სინდისის შიში, სოციალურ მიმართებებში შეუნაცვლებელია და, უიშვიათეს შემთხვევაში, ერთეულს შეუძლია დამოუკიდებლად იყოს ადამიანთა საზოგადოებისაგან. ასევეა ზოგიერთი ძველი საშიში სიტუაციის დროსაც, შემდგომ თავი რომ გაადარჩინოს, შიშის პირობებს დრო ის შესაბამისად მოდიფიცირებენ. ასე იქცევა, მაგალ., კასტრაციის საშიშროება სიფილოფობიის ნიღაბში. მოწიფულმა თუმცა იცის, რომ კასტრაცია აღარაა დასჯა სექსუალური ლტოლვის ჩვეულებრივი შესრულებისათვის, მაგრამ მიიღო გამოცდილება, რომ ლტოლვის ასეთი თავისუფლება მძიმე დაავადებით გვემუქრება. უეჭველია,

რომ პერსონები, რომელთაც ნევროტიკებს ვუწოდებთ, თავიანთ ქცევაში ინფანტილურნი რჩებიან საშიშროებისადმი და გადალახული არა აქვთ ვადაგასული შიშის პირობები, ჩვენ ამას ვუშვებთ, როცა ფაქტიურ შენაძენს, ნევროტიკების დახასიათებისათვის; რატომაა ეს ასე, ამაზე პასუხს ახლავე ვერ გავცემთ.

ვიმედოვნებ, არ დაგიკარგავთ ორიენტაცია და კიდევაც იცით, რომ ჩვენ ვიკვლევთ შიშსა და განდევნას შორის დამოკიდებულებას. ამასთან ორი ახალი გამოცდილება შევიძინეთ; პირველი – შიში ქმნის განდევნას და არა ისე, როგორც ვფიქრობდით საპირისპიროდ და, მეორე – საშიში ლტოლვის სიტუაცია დაიცვანება არსებითად გარეგან საშიშ სიტუაციაზე. შემდეგი კითხვაა: როგორ წარმოვიდგენთ ამკერად განდევნის პროცესს შიშის ზეგავლენის ქვეშ? მე ასე ვფიქრობ: "შე" ამჩნევს, რომ აღმოცენებული ლტოლვის მოთხოვნის დაკმაყოფილება იწვევს კარგად მოგონებულ საშიშ სიტუაციებს. აღნიშნული ლტოლვის მუხტი როგორღაც უნდა დაითრგუნოს, გაქრეს, უძლური გახდეს. ვიცით, ეს ამოცანა ხელეწიფება "შე"-ს, როცა ის ძლიერია და შესატყვის ლტოლვის აგზნებას ჩაირთავს თავის ორგანიზაციაში. განდევნის შემთხვევა ისაა, რომ ლტოლვის აგზნება ჯერ კიდევ "ოდი"-ს კუთვნილებაა და "შე" სუსტად გრძნობს თავს. მაშინ "შე" საკუთარ თავს ეხმარება ტექნიკით, რომელიც არსებითად იდენტურია ნორმალური აზროვნებისა. აზროვნება მომსინჯველი მოქმედებაა ენერგიის მცირე რაოდენობით, მსგავსად მცირე ფიგურების გადაწევისა რუკაზე, სანამ სარდალი თავის ჯარს აამოძრავებდეს. "შე" ანტიციპირებს საეჭვო ლტოლვათა აგზნებების დაკმაყოფილებას და მათ ნებას რთავს აღადგინოს უსიამოვნო შეგრძნებები საშიში მუქარის სიტუაციის დაწყებისას. ამით მოქმედებაში მოდის სიამოვნება–უსიამოვნების პრინციპის ავტომატიზმი, რომელიც ანორციელებს საშიში ლტოლვის აგზნების განდევნას.

შეგიძლიათ დამიძახოთ, შეჩერდით, ველარ წამოგვყვებითო! თქვენ ამის უფლება გაქვთ; მე სააშისოდ კიდევ რაღაც უნდა გავაკეთო, სანამ ის მისაღებად მოგეჩვენებოდეთ. უპირველეს ყოლისა, აღიარება, მე შევეცადე გადავიტანო ჩვენი ნორმალური აზროვნების ენაზე ის, რაც სინამდვილეში უნდა იყოს უეჭველად არა ცნობიერი ან წინაცნობიერი პროცესი წარმოუდგენელ სუბსტრატთან ენერგი-

ათა სიდიდეებს შორის; მაგრამ ეს არაა ძლიერი წინააღმდეგობა სხვაგვარად ვერ ვიზამდით. უფრო მნიშვნელოვანია, რომ ნათლად ვასხვავებთ, რა ხდება განდევნისას "შე"-ში და "ოგი"-ში. "შე" რასაც აკეთებს, სწორედ ახლა ვთქვით. ის იყენებს სასინჯ დამუხტვას და შიშის სიგნალით აღვიძებს სიამოვნება–უსიამოვნების ავტომატიზმს. შემდეგ შესაძლებელია მრავალი რეაქცია, ანდა მათი შერევა ცვალებად ქცევებში. ან შიშის შეტევა სავსებით ვითარდება და "შე" დადის მთლიანად სათაკილო აგზნებაზე, ან მას უპირისპირებს სასინჯი დამუხტვის ადგილზე საპირისპირო დამუხტვას და აღიბეჭდული თავს იყრის განდევნილი აგზნების ენერგიასთან სიმპტომის წარმოქმნად, ან მიიღება როგორც რეაქციის წარმოქმნა, როგორც განსაზღვრული დისპოზიციების გაძლიერება, როგორც დარჩენილი ცვლილება "შე"-ში. რაც მეტად შემოიზღუდება შიშის განვითარება უბრალო სიგნალით, მით მეტად იყენებს "შე" დაცვის მექანიზმებს, რომლებიც უშალ მიდიან განდევნის ფსიქიკურ დაკავშირებასთან და მით უფრო ადრე უახლოვდება პროცესიც ნორმალურ დამუშავებას, თუმცა მას ვერ აღწევს. სხვათა შორის, აქ მინდა შეკყოვნდე თქვენ თვითონ უკვე უეჭველად დაუშვით, რომ იმ ძნელად განსაზღვრებადს, რასაც ხასიათი ეწოდება, მთლიანად "შე"-ში უდევს წილი. ზოგ რამეს, რაც ამ ხასიათს ქმნის, უკვე ხელი ჩავავლეთ. ესაა, უპირველეს ყოვლისა, ადრეულ მშობელთა ინსტანციასთან, რომლებიც "ხე–შე"-სთან შეერთება, რაც უმნიშვნელოვანესი, გადამწყვეტი მომენტია; შემდეგ იდენტიფიცირება ორივე მშობელთან მოგვიანო დროისა და სხვა ზეგავლენიან პირებთან და მსგავსი იდენტიფიცირებანი როგორც ღიად დარჩენილ ობიექტთან მიმართების ნაკლექები. ახლა ვუმატებთ რეაქციის ფორმირებებს როგორც გვერდაღლილ წყლილს ხასიათის შექმნაში, რომელსაც "შე" იძენს ნორმალური საშუალებებით ჯერ თავის განდევნებში, მოგვიანებით კი არასასურველ ლტოლვათა აგზნებების უარყოფაში.

დავიხიოთ უკან და მივმართოთ "ოგი"-ს. რა ხდება განდევნის დროს შებრძოლებულ ლტოლვის აგზნებასთან, ამის გაგება აღვილი არაა. ჩვენი ინტერესი უმთავრესად მიმართულია იმაზე, თუ რა ეშართება ენერგიას, ამ აგზნების ლიბიდონოზურ მუხტს, როგორ გამოიყენება იგი? გაიხსენეთ, ადრეული დაშვება ის იყო, რომ სწო-

რედ განდევნით ის იქცეოდა შიშად. ვერ ვბედავთ, მეტი რამ ვთქვათ თუმცა მოკრძალებული პასუხიც, პირიქით, ამბობს; ალბათ ბედი ამ ენერგიისა ყოველთვის ერთნაირი არაა. ალბათ ინტიმური შესატყვისობაა "შე"-ში ამ პროცესსა და "ოგი"-ში განდევნილ აგზნებას შორის, რომელიც ჩვენთვის ცნობილი უნდა გახდეს. მას შემდეგ, რაც ხელდობრ შიშის სიგნალით გალვიძებული სიამოვნება–უსიამოვნების პრინციპი განდევნაში ერევა, უფლება გვაქვს შევცვალოთ ჩვენი მოლოდინი, პრინციპი მართავს "ოგი"-ში პროცესებს სავსებით შეუზღუდავად. შეგვიძლია მას დავუჯეროთ, რომ ის ანხორციელებს სწორედ ღრმა ცვლილებებს შესატყვის ლტოლვის აგზნებასთან. ვფიქრობთ, ძალ'ხე განსხვავებული შედეგები უნდა იყოს განდევნისა–მეტად თუ ნაკლებად შორს მიმავალი. ზოგიერთ შემთხვევაში განდევნილ ლტოლვის აგზნებას შეუძლია თავისი ლიბიდოს მუხტი შეინარჩუნოს "ოგი"-ზე "შე"-ს მუდმივი დაწოლის დროსაც კი. სხვა დროს იმ მთლიანად ნადგურდება, ამ დროს მისი ლიბიდო საბოლოოდ სხვა გზებით გადაიტანება, ვფიქრობდი, რომ ეს ასეც ხდება ოიდიპოსის კომპლექსის ნორმალური აღსრულების შემთხვევაში, რომელიც, მაშასადამე, ამ სასურველ შემთხვევაში არა უბრალოდ განიდევნება, არამედ "ოგი"-ში ისპობა. შემდეგ კლინიკურმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ბევრ შემთხვევაში, ნაცვლად ჩვეულებრივი განდევნის შედეგისა, ხდება ლიბიდოს დაქვეითება, ლიბიდოს ორგანიზაციის რეგრესია ადრეულ საფეხურზე. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, ბუნებრივია, მხოლოდ "ოგი"-ში და როცა კი ის ხდება, მხოლოდ და მხოლოდ იმავე კონფლიქტის ზემოქმედებით, რომელშიც შიშის სიგნალითაა წამძღვარებული. ამ სახით თვალშისაცემ მაგალითს იძლევა იძულების ნევროზი, რაშიც ლიბიდოს რეგრესია და განდევნა ერთად მოქმედებენ.

ქალბატონებო და ბატონებო! ვშიშობ, აღნიშნული თქვენთვის ძნელად გასაგები იქნება და მიხვდებით, რომ ისინი არ არიან ამომწურავად მოწოდებული. ვწუხვარ, თქვენი გულნაკლულობა უნდა გამოვიწვიო; მე სხვა მიზანი არ გამაჩნია, თუ არა ის, რომ მიგელოთ შთაბეჭდილება ჩვენი შედეგების ბუნებისა და მათი დამუშავების სიძნელეების შესახებ. რაც უფრო ღრმად ვიჭრებით სულიერი პროცესების შესწავლაში, მით უფრო მეტს ვგებულობთ მათი

სიმდიდრისა და სირთულის შესახებ, ზოგიერთი მარტივი ფორმუ
ლა, რომელიც დასაწყისში შესატყვისი გეჩვენებოდა, მოგვიანებით
არასაკმარისი აღმოჩნდა. მის შეცვლასა და გაუმჯობესებას არ
დავზარდებით. სიზმრის თეორიის ლექციაში იმ სფეროში შეგიყვა
ნეთ, სადაც თხუთმეტი წელია თითქმის ახალი არაფერი არ
მოპოვებული; აქ, სადაც კი ჩვენ შიშის შესახებ ვმსჯელობთ, თქვენ
ყველაფერს ხედავთ მდინარებაში და ცვლილებაში გაგებულს. აქ
ნიშნული ახალი საგნები ჯერ კიდევ არ არიან საფუძვლიანად
დამუშავებული, ალბათ ამიტომ მათზე მსჯელობა სიძნელეებს ქმნის
მოითმინეთ, ჩვენ შიშის თემას მალე დავტოვებთ. მე არ ვამტკიცებ,
რომ შემდეგ ჩვენი მოთხოვნილება დაკმაყოფილდება. ვიმედოვნებ,
მაინც ცოტათი წინ წავიწიეთ და გზაში რაგინდარა ახალი გაგება
მივიღეთ. ახლაც შიშის შესწავლით საბაბი გვაქვს, 'შე'-ს ჩვენეული
გადმოცემას ახალი ტენდენცია დავუმატოთ. უკვე ვთქვით, სუსტი
აო 'ოჯ'-ს საპირისპიროდ, წარმოადგენს ერთგულ მსახურს, ცდი
ლობს მისი ბრძანებები გაატაროს, მისი მოთხოვნები აღასრულოს.
ჩვენ არ ვფიქრობთ ამ დებულების უკან წაღებას. მაგრამ სხვა
მხრივ 'შე' მაინც უკეთესადაა ორგანიზებული, – რეალობის მიმართ
ორიენტირებული ნაწილი 'ოჯ'-სა. ორივეს ერთმანეთისაგან გამი
ჯოფა არ უნდა გავაზვიადოთ. ასევე არც გაგვეკვირდეს, თუკი
თავის მხრივ, 'შე' ზეგავლენას ახდენს 'ოჯ'-ს პროცესებზე. ვფიქ
რობ, ამ ზეგავლენას 'შე' მაშინ ახდენს, როცა შიშის სიგნალის
საშუალებით აამოქმედებს თითქმის ყოვლისშემძლე სიამოვნება-
უსიამოვნების პრინციპს. რა თქმა უნდა, უშუალოდ ამას აჩვენებს
მისი სისუსტე. რადგანაც განდევნის აქტით უარყოფს ორგანიზაცი
ის რაღაც ნაწილს, უნდა დაგეშვათ, რომ განდევნილი ლტოლვის
აგზნება ხანგრძლივად რჩება თავის ზეგავლენას მოკლებული.

ახლა კიდევ ერთი შენიშვნა შიშის პრობლემაზე! ნევროტული
შიში ჩვენს წინ გარდაიქმნა რეალურ შიშად, გარკვეული გარეგანი
საშიში სიტუაციების შიშად. მაგრამ აქ გაჩერება არ შეიძლება,
უნდა გადავდგათ შემდეგი ნაბიჯი, მაგრამ ნაბიჯი, რომელიც იქნება
უკან გადადგმული, ვკითხულობთ, რა არის საკუთრივ საშიში, შე
მნილ საშიშ სიტუაციაში საშიშარი? ცხადია, არა ობიექტურად
შეფასებული ზიანი პირისა, რომელიც ფსიქოლოგიურად არაფერს

ნიშნავს, არამედ ის, რაც მისით სულიერ ცხოვრებაში მზადდება.
დაბადება მაგალ., რაცაა შიშის მდგომარეობის ნიშუში, შეიძლება
თავისთავად არ განიხილოს როგორც ზიანი, თუმცა შეიძლება იყოს
საშიშროება ზიანისა. არსებითი დაბადებაში, ასევე ყოველ საშიშ
სიტუაციაში ისაა, რომ ის სულიერ განცდაში იწვევს დიდად დაძა-
ბული აგზნების მდგომარეობას, რომელიც შეიგრძნობა უსიამოვნე-
ბის სახით და რომელზედაც ვერ ბატონობენ განტვირთვით. ასეთ
მდგომარეობას, რომელთანაც სიამოვნების პრინციპი არ ჭრის, თუ
გუწოდებთ **ტრავმატულ** მომენტს, მაშინ ნევროტული შიშის – რეა-
ლური შიშის – საშიში სიტუაციის რიგზე გავლით მივდივართ მარ-
ტივ დებულებამდე: საშიში, შიშის საგანი, ყოველთვისაა ტრავმა-
ტულა მომენტის აღმოცენება, რომელიც სიამოვნების პრინციპის
ნორმის მიხედვით არ შეიძლება შესრულდეს. იმწამსვე გვებუ-
ღობა, რომ სიამოვნების პრინციპის უნარი ვერ გვიცავს ობიექტუ-
რი დაზიანებისაგან, არამედ მხოლოდ ჩვენი ფსიქიკური ეკონომიკის
განსაზღვრული დაზიანების მიმართ ვართ დაცულნი. სიამოვნების
პრინციპიდან თვითშენახვის ლტოლვამდე გრძელი გზაა, ბევრი გვაკ-
ლია, რომ ორივე განზრახვა თავიდანვე ერთმანეთს ფარავდნენ,
მაგრამ კიდევ სხვა რამესაც ვხედავთ. ალბათ ესაა გადაწყვეტა,
რასაც ვეძიებთ. სახელდობრ, აქ ყველგან შეფარდებითი რაოდენო-
ბების საკითხზეა მსჯელობა. მხოლოდ აგზნებათა ჯამის სიდიდე
ქმნის ტრავმატული მომენტის შთაბეჭდილებას, დამბლას სცემს
სიამოვნების პრინციპის ნაქმობას, საშიშ სიტუაციას ანიჭებს თავის
მნიშვნელობას და, თუკი ასე იქცევა, თუკი ეს გამოცანები ასეთი
საღი ცნობით თავიდან მოიშორება, რატომ არ უნდა იყოს შესაძლე-
ბელი, რომ ასეთი ტრავმატული მომენტები ხდებოდეს სულიერ
ცხოვრებაში დაშვებულ საშიშ სიტუაციასთან მიმართების გარეშე,
რომელთანაც შიში, როგორც სიგნალი, კი არ იღვიძებს, არამედ
ახლებურად ცოცხალი მოტივირებით აღმოცენდება? კლინიკური
გამოცდილება გარკვეით გვეუბნება, რომ ეს ნამდვილად ასეა. მხო-
ლოდ გვიანი განდევნები გვიჩვენებენ მექანიზმს, რაც აღვწერეთ,
რომელთანაც იღვიძებს შიში როგორც სიგნალი აღრეული საშიში
სიტუაციისა; პირველნი და საწყისნი აღმოცენდებიან პირდაპირ
'შე'-ს შეხვედრისას ლიბიდოს ზედმეტად დიდ მოთხოვნასთან ტრავ-

მატული მომენტებიდან, ისინი ახლად ქმნიან თავიანთ შიშს, რ
თქმა უნდა, დაბადების ნიმუშის მიხედვით. იგივეს შეიძლება მნიშ
ვნელობა ჰქონდეს შიშის ნევროზებთან შიშის განვითარებისათვის
სექსუალური ფუნქციის სომატური დაზიანების გზით. მეტად აღარ
გამტკიცებთ, რომ ესაა თვითონ ლიბიდო, რომელიც ამასთან შიშად
გადაიქცევა. მაგრამ შიშის ორნაირი აღმოცენების წინააღმდეგ ერ
თი მხრივ, როგორც პირდაპირი შედეგი ტრავმატული მომენტისა,
მეორე მხრით, როგორც სიგნალი, რომ ასეთის განმეორების მოქ
რაა, ვერ ვბედავთ შეპასუხებას.

ქალბატონებო და ბატონებო! რა თქმა უნდა, კმაყოფილი ხარ
რომ შიშის შესახებ თქვენი ცოდნა დამატებას არ საჭიროებს
მაგრამ რისთვისაა ყოველივე ეს, რასაც უკეთესი არაფერი მოს
დევს. განვიზრახე, დღეს ერთხელ კიდევ მიგიყვანოთ ლიბიდოს
თეორიისა და ლტოლვის მოძღვრების სფეროსთან, სადაც ასევე
სხვა რამაა ახლებურად ფორმირებული. ვერ ვიტყოდი ამაში ისეთ
წინსვლა გექონდეს, რომ მის შესახებ ცნობის მიღებისათვის თქვე
გარჯა ანაზღაურდეს. არა, ესაა სფერო, სადაც ორიენტაციისა და
გაგების ძიებას დიდ შრომას ვანდომებთ. თქვენ მხოლოდ მოწმეს
უნდა გახდეთ ჩვენი ძალისხმევისა. აქაც უნდა დავუბრუნდეთ იმას,
რაც ადრე თქვენთვის მომიხსენებია.

ლტოლვის მოძღვრება ჩვენთვის, ასე რომ ვთქვათ მითოლოგი
აა. ლტოლვები მითიური არსებანია, დიდებულნი თავიანთი გაზ
საზღვრელობით. ჩვენს მუშაობაში არ შეგვიძლია არც ერთ წამ
მისგან განრიდება და ამასთან დარწმუნებული არა ვართ, რომ ის
მკვეთრად დავინახეთ. იცით, პოპულარული აზროვნება თუ როგორ
დაყობს ლტოლვებზე. უშვებენ მრავალ და სხვადასხვა სახის
ლტოლვას, იმდენს, რამდენიც სჭირდებათ – მნიშვნელობის, მიბაძ
ვის, თამაშის, ურთიერთობის ლტოლვებს და მრავალ მისთანებს.
თითქოს მათ აღიქვამდნენ, თითოეულს თავის განსაკუთრებულ სა
მუშაოს მიუჩენდნენ და შემდეგ ისევ ათავისუფლებდნენ. ჩვენ წი
ნათგრძნობა გვამოძრავებს, რომ ამ მრავალთაგან მცირედ დაშვებუ
ლი ლტოლვების უკან იმალება რაღაც სერიოზული და ძლიერი,
რომელთანაც შეგვეძლო ფრთხილად მიახლოვება. ჩვენი პირველი
ნაბიჯი საკმაოდ ზომიერი იყო. ჩვენ თავს ვეუბნებოდით, რომ არ

შეეცდებოდით, თუკი უპირველეს ყოვლისა, განვასხვავებდით ორ
ძირითად ლტოლვას, ლტოლვის სახეს თუ ლტოლვათა ჯგუფს,
ორი დიდი მოთხოვნილების მიხედვით – შიმშილი და სიყვარული.
რა თავგამოდებითაც არ ვიცავდით ადრე ფსიქოლოგიის დამოუკი
დებლობას ყველა სხვა მეცნიერებისაგან, აქ მაინც ვდგავართ შეურ
ყეველი ბიოლოგიური ფაქტის ჩრდილში, რომ ცალკეული ცოცხა
ლი არსება ემსახურება ორ განზრახვას – თვითშენახვასა და სახის
შენახვას, რომლებიც ჩანან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, – რამ
დენადაც ვიცით მათ არ განუცდიათ საერთო გამოყოფა, – რომელთა
ინტერესები ცხოველურ არსებობაში ხშირად ერთმანეთს უპირის
პირდებიან. აქ არსებითად გატარებულია ბიოლოგიური ფსიქოლო
გია, შეისწავლება ბიოლოგიური პროცესების თანმხლები ფსიქო
ლოგიური მოვლენები. ამ გაგების წარმომადგენელია ფსიქოანა
ლიზში შემოტანილი "ძე–ლტოლვები" და "სექსუალური ლტოლვე
ბი". პირველს მიეკუთვნებით ყველაფერს, რაც კი ეხება პერსონის
შენარჩუნებას, დამკვიდრებას, განვრცობას. უკანასკნელს ეთმობა
შინაარსის სიმდიდრე, რომელსაც მოითხოვს ინფანტილური პერვე
რიული სექსუალური ცხოვრება. ვინაიდან ნევროზების გამოკვლე
ვისას გავეცანით "შე"-ს, როგორც შემზღუდველ, განმდევნელ ძა
ლას, ხოლო სექსუალურ მისწრაფებებს, როგორც შეზღუდულს,
განდევნილს, ამდენად ვფიქრობთ, საკმაოდ ცხადია ორივე ლტოლ
ვათა ჯგუფს შორის არა მხოლოდ განსხვავებულობაზე, არამედ
კონფლიქტზეც ლაპარაკი. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი შესწავლის
საგანია მხოლოდ სექსუალური ლტოლვები, რომელთა ენერგიას
ვუწოდეთ "ლიბიდო". თან ვცდილობდით გაგვერკვია, თუ რა უნდა
ვიგულისხმოთ ლტოლვა და მისადმი რის მიწერის უფლება გვქონდა.
ესაა ლიბიდოთეორიის ადგილი.

ლტოლვა განსხვავდება გაღიზიანებისაგან იმით, რომ ის წარ
მოდგება სხეულის შინაგანი მხარის გაღიზიანების წყაროდან, მოქ
მედებს როგორც კონსტანტური ძალა და პერსონს არ შეუძლია ის
თავიდან მოიშოროს მისგან გაქცევით, როგორც ესაა შესაძლებელი
გარე გაღიზიანების შემთხვევაში. ლტოლვასთან შეიძლება გან
სხვავდეს წყარო, ობიექტი და მიზანი. წყარო არის აგზნების მდგო
მარეობა სხეულებრივში, მიზანი ამ აგზნების მოსპობა, წყაროდან

მიზნამდე გზაზე ლტოლვა ფსიქიკურად მოქმედია. ჩვენ მას წარმ
ვიდგენთ როგორც გარკვეული ენერგიის ჯამს, რომელიც განსაზ
ღვრული მიმართულებით გვიბიძგებს. ამ ბიძგიდან მიიღო მან სა
ხელწოდება – ლტოლვა. ლაპარაკობენ აქტიურ და პასიურ ლტოლ
ვებზე, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა – აქტიური და პასიური
ლტოლვის მიზნები. პასიური მიზნის მიღწევისათვისაც საჭირო
აქტივობის გაღვივება. მიზანს შესაძლებელია მივაღწიოთ საკუთარ
სხეულზე; როგორც წესი, გარეგანი ობიექტი ჩადგმულია, რომელ
ზედაც ლტოლვა თავის გარეგან მიზანს აღწევს. მისი შინაგანი
ობიექტი ყოველთვის რჩება როგორც დაკმაყოფილებულად შე
რძნობილი სხეულის ცვლილება. ჩვენთვის ნათელი არაა სომატური
წყაროსადმი დამოკიდებულება ანიჭებს თუ არა და როგორ სქემა
ფიკურობას ლტოლვას. ერთი წყაროდან ლტოლვის წაქეზება უეჭ
ველია სხვა წყაროდან წაქეზებას და მის შემდგომ ბედს იზიარებს
რომ, საერთოდ ლტოლვის დაკმაყოფილება შეიძლება სხვით შე
ნაცვლოს – ანალიტური გამოცდილების მოწმობით – უეჭველი ფაქ
ტია; მხოლოდ ვაღიარებთ რომ ის განსაკუთრებით კარგად არ
გვესმის. ლტოლვის მიმართებაც მიზანთან და ობიექტთან იცვლება
ორივეს შეუძლია სხვა შეცვალოს. ობიექტისადმი მიმართება მაინც
უფრო ადვილად სუსტდება. მიზნის მოდიფიკაციისა და ობიექტის
შეცვლის გარკვეული საზღ, რომელთანაც ჩვენი სოციალური შეფა
სება მხედველობაში მიიღება, აღინიშნება როგორც **სუბლიმაცია**.
გარდა ამისა, ჩვენ საფუძველი გვაქვს, განვასხვაოთ **მიზანშეკავე
ბული** ლტოლვები, ლტოლვის წაქეზებანი კარგად ცნობილი წყა
როდან განსაზღვრული მიზნის თანხლებით, მაგრამ დაკმაყოფილე
ბის გზაზე შეჩერებულნი, ასე რომ, ობიექტის ხანგრძლივი დაძაბუ
ტვა და ხანგრძლივი მისწრაფება ხორციელდება. ასეთი სახისა
მაგალ., სინაზის დამოკიდებულება, რომელიც უეჭველად სექსუა
ლური საჭიროების წყაროებიდან მიმდინარეობს და კანონზომიერად
მის დაკმაყოფილებას არ ესწრაფვის. ხომ ხედავთ, ლტოლვის რამ
დენი თვისება და ბედი ჯერ კიდევ არ ვიცით. აქვე უნდა გავიხსენ
განსხვავება, რომელსაც სექსუალური თვითშენახვის ლტოლვებს
აჩვენებენ და რომელიც თეორიულად დიდად მნიშვნელოვანი იქნე
ბოდა, თუკი ის მთელ ჯგუფს შეეხებოდა. სექსუალური ლტოლვები

თვალში საცემია თავიანთი პლასტიკურობით, უნარით შეცვალონ
მიზნები, თავიანთი შემნაცვლებლობით, როცა ერთი ლტოლვის დაკ
მაყოფილება სხვათა შეინაცვლება და მათი გადაწვევით, რომლის
შესახებაც სწორედ მიზანშეკავებული ლტოლვები კარგ მაგალითს
იძლევიან. ეს თვისებები შეიძლება არ მიგვეწერა თვითშენახვის
ლტოლვებისადმი და მათ შესახებ გვეთქვა, რომ ისინი მოუდრეკლე
ნი, დროში გადაუწევადნი, სულ სხვანაირად მბრძანებელნი არიან
და სულ სხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ განცდებასა და შიშთან.
მხოლოდ შემდეგი მოსაზრება გვეუბნება, რომ ეს განსაკუთრებული
პოზიცია მიეწერება არა ყველა "მე"-ლტოლვას, არამედ მხოლოდ
შიმშილსა და წყურვილს და ცხადია, დაფუძნებულია ლტოლვათა
წყაროს თავისებურებით. რადენადმე გაურკვეველ შთაბეჭდილებას
ისიც ქმნის, რომ ჩვენ ცალკე არ განგვიხილავს, თუ რა ცვლილებას
განიცდის ორგანიზებული "მე"-ს გავლენით "ობი"-სადმი იმთავითვე
კუთვნილი ლტოლვის წაქეზებანი.

მტკიცე ნიადაგზე ვიმოქმედებთ, თუკი გამოვიკვლევთ, ლტოლ
ვის ცხოვრება როგორ ემსახურება სექსუალურ ფუნქციას. აქ მივი
ღეთ სავსებით გადამწყვეტი გაგება, რომლებიც თქვენთვისაც აღ
ბათ საახლოა. მაშასადამე, ისე არაა, რომ სექსუალური ლტოლვა
ეცნოთ, რომელიც თავიდანვე ატარებს სექსუალური ფუნქციის მიზ
ნისაკენ სწრაფვას, ორივე სქესობრივი უჯრედის შეერთებას. არამედ
ცხედავთ დამატებითი ლტოლვების დიდ რიცხვს, მომდინარეს სხე
ულის განსხვავებული ადგილებიდან და რეგიონებიდან, რომლებიც
ერთმანეთისაგან საკმაოდ დამოუკიდებლად ესწრაფვიან დაკმაყოფი
ლებას და ეს დაკმაყოფილება ნაბულობს რაღაცას, რასაც შეიძლე
ბა ეწოდოს **ორგანოს სიამოვნება**. ამ **ეროგენულ ზონებს** შორის
გენიტალური ყველაზე გვიანდელია. მათი ორგანოს სიამოვნებას
სექსუალური სიამოვნების სახელი უნდა ეწოდოს. ამ სიამოვნებისა
კენ სწრაფული ყველა წაქეზება სექსუალური ფუნქციის საბოლოო
ორგანიზაციაში როდი მოთავსდება. ზოგიერთი მათგანი, როგორც
გამოუსადეგარი, უარიყოფა განცდებით, ან როგორღაც სხვაგვარად,
ზოგიერთი, წინათმოხსენებული მიზნიდან გადაიხრება საკვირველ
ად და გამოიყენება სხვა წაქეზებათა გაძლიერებისათვის, სხვები
კიდევ რჩებიან მეორეხარისხოვან როლში, ემსახურებიან შესაფალი

აქტების განხორციელების წინასიამოვნების გამოწვევას. მოგვსენებათ, რომ ამ ხანგრძლივად მიმდინარე განვითარებაში შეიძლება შევიცნოთ წინასწარი ორგანიზაციის მრავალი ფაზა, ასევე, ისიც თუ როგორ აიხსნება სექსუალური ფუნქციის ამ ისტორიიდან მისი გადახრა და დაკნინება. პრეგენიტალურ პირველ ფაზას ვუწოდებთ **ორალურს**, ვინაიდან ძუძუმწოვარი ბავშვის კვებისას ეროგენული პირის ზონა ბატონობს, რასაც უფლება აქვთ უწოდონ ამ ცხოვრების პერიოდის სექსუალური საქმიანობა. მეორე საფეხურზე წინ იწევს **სადისტური** და **ანალური** იმპულსები კბილების ამოჭრისას, კუნთების გამაგრებისა და სფინქტერის ფუნქციათა დაუფლების კავშირში. სწორედ ამ არაჩვეულებრივი განვითარების საფეხურზე გავეცანით მრავალ საინტერესო დეტალს. მესამეა **ფალური** ფაზა, სადაც ორივე სქესთან – მამაკაცის ასო და გოგოსთან მისი შესატყვისი, იძენს პირდაპირ მნიშვნელობას. **გენიტალური** ფაზის სახელწოდება დავიტოვეთ საბოლოო სექსუალური ორგანიზაციისათვის, რომელიც მომწიფების შემდეგ იქმნება, რომელშიც მხოლოდ ეროკაცური გენიტალია პოულობს აღიარებას, მამაკაცური უფრო დიდ ხანია შეძენილი აქვს.

გარკვეულწილად ყველაფერი ეს გაცვეთილი განმეორებაა. არ იფიქროთ, რომ ყველაფერ იმას, რაც ამჯერად არ მოვიხსენიე, ღირებული ჰქონდეს მნიშვნელობა. ამ განმეორებას ვუკავშირებ ჩვენს შეხედულებებში წინსვლის გადმოცემას. შეგვიძლია თავი მოვიწონოთ, რომ სწორედ ლიბიდოს ადრეული ორგანიზაციის შესახებ მრავალ სიახლეს გავეცანით და ძველის მნიშვნელობას ცხადად ვწვდით, რაც, ყოველ შემთხვევაში, მინდა გიჩვენოთ ცალკეული ცდის სახით. 1924 წელს აბრაჰამმა (Abraham) შემოგვთავაზა სადისტურ–ანალურ ფაზაში ორი საფეხურის განსხვავება. ამ ორიდან ადრეულზე ბატონობს განადგურებისა და დაკარგვის დესტრუქციული ტენდენციები, ხოლო მოგვიანოზე – ობიექტის თავაზიანი შენარჩუნება და ფლობა. ამ ფაზათა შორის გამოდის პირველად ობიექტზე ყურადღების მიპყრობა, როგორც წინამორბედი მოგვიანო სიყვარულისა. ასეთი დანაწილება გამართლებულია პირველი ორალური ფაზისათვისაც, პირველ ქვესაფეხურზე ლაპარაკია მხოლოდ ორალურ შეერთებაზე. აქ არაა არვითარი ამბივალენტობა ობიექტისადმი დამოკიდებულებაში. მეორე საფეხური, ნაწანდებული კბენის მოქმედების აღმოცენებით, შეიძლება აღინიშნოს **ორალურ–სადისტურ** საფეხურად. პირველად ის აჩვენებს ამბივალენტობის მოვლენას, რომელიც შემდეგ, მომდევნო **სადისტურ–ანალურ** ფაზაში, უფრო მეტად ნათელი ხდება. ამ ახალი განსხვავებების ღირებულება განსაკუთრებით ჩანს, როცა განსაზღვრულ ნეიროზებთან – იძულების ნეიროზი, მელანქოლია ლიბიდოს განვითარებაში ეძიებენ დისპოზიციის ქმედებას. მოუხმეთ მეხსიერებას, რაც კი ვიცით ლიბიდოს ფიქსირების, დისპოზიციისა და რეგრესიის კავშირის შესახებ.

ლიბიდოს ორგანიზაციის ფაზებისადმი ჩვენი განწყობა საერთოდ ცოტაოდენ შეიცვალა. თუკი უწინ, უპირველეს ყოვლისა, ხაზს ვუსვამდით ფაზების თანამიმდევრობას, ახლა ჩვენი ყურადღება მიპყრობილია ფაზებზე, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ მოგვიანო ფორმირებებში ადრეული ფაზებიდან რომელი რჩება და ხანგრძლივ წარმომადგენლობას იძენს ლიბიდოსა და პერსონის ხასიათში. უფრო მნიშვნელოვანია გამოკვლევები, რომლებმაც გვასწავლეს, თუ რა სიხშირით ხდება პათოლოგიურ პირობებში რეგრესია ადრეულ ფაზებზე, და რომ განსაზღვრული რეგრესიები დამახასიათებელია გარკვეული ავადმყოფური ფორმებისათვის. მაგრამ ამას აქ არ განვიხილავთ, ის ეკუთვნის სპეციალური ნევროზების ფსიქოლოგიას.

ლტოლვათა გარდაქმნები და მსგავსი პროცესები შეგვიძლია შევისწავლოთ განსაკუთრებით ანალურ ეროტიკასთან, ეროგენული ანალური ზონების წყაროებიდან მომდინარე წაქეზებებთან და ვნებებით, თუ როგორ მრავალნაირ გამოყენებასთან მივყავართ ამ ლტოლვით წაქეზებებს. ალბათ ადვილი არაა განვთავისუფლდეთ უგულვებელყოფისაგან, რომელიც განვითარების მსვლელობაში პირდაპირ ამ ზონას ეხება. ამიტომ აბრაჰამიდან უნდა გავიხსენოთ, რომ უკანა გასასვლელი ემბრიონალურად შეესატყვისება საწყის პირს, რომელიც ნაწლავის დაბოლოებამდე ვრცელდება. შემდეგ ვებულობთ, საკუთარი განავლის, ექსკრემენტის, გაუფასურებით ლტოლვის ეს ინტერესი ანალური წყაროდან როგორ გადადის ობიექტზე, რომელიც შეიძლება მოგვეცეს **საჩუქრის** სახით. და ეს სწორია, ვინაიდან განავალი იყო პირველი ნობათი, რომელიც ძუ-

ძუმწოვარ ბავშვს შეეძლო გაეკეთებინა, ეს კი მისი მომვლელისა
მი სიყვარულის გამოხატვაა. შემდგომში, სავსებით ანალოგიურად
ენის განვითარებაში მნიშვნელობის ცვლილებისა, ადრინდელი, გ
ნავლისადმი ინტერესი გადაიქცევა **ოქროსა** და **ფულის** პატივის
მად, ასევე შეაქვს თავისი წვლილი **ბავშვისა** და **პენისის*** აფექტურ
შენაცვლებაში. ყველა ბავშვის რწმენის მიხედვით, რომლებიც ხ
გრძლივად დგანან კლოაკის თეორიაზე, ბავშვი იბადება ნაწლავ
დან განავლით. დეფეკაცია ბავშვის დაბადების აქტის ნიმუშია. ბ
ნისსაც ჰყავს თავისი წინამორბედი განავლის ფორმის სახით, რ
მელიც ავსებს და აღიზიანებს ნაწლავის ლორწოვან გარსს. რო
ბავშვი საკმაოდ უხალისოდ იგებს, რომ არსებობს ადამიანური
არსება, რომელსაც ეს ასო არ გააჩნია, მისთვის პენისი ჩანს რაღა
სხეულისაგან მოცილებულად და მიმართავს ექსკრემენტის უკვე
ანალოგიას, რომ სხეულის ერთი ნაწილი თავიდან მოიშოროს. ამ
გადაიყვანება ანალეროტიკის დიდი ნაწილი პენისის შენაცვლებაზე
მაგრამ სხეულის ამ ნაწილისადმი ინტერესს გარდა ანალეროტი
ლისა ალბათ კიდევ ძლიერი ორალური ძირი აქვს, ვინაიდან ძუძუ
წოვარი ბავშვის განწყობის მიხედვით პენისი მემკვიდრეობას იღებს
ასევე დედობრივი ორგანოს, ძუძუს თავისაგან.

შეუძლებელია ფანტაზიებში, რომლებიც ორიენტირებულია
არაცნობიერისაგან ზეგავლენილ აზრებზე, და ადამიანის სიმპტო
მურ ენაში არ ვიცნობდეთ ღრმამდებარე მიმართებებს. განავალი –
ფული – საჩუქარი – პენისი ერთნაირი მნიშვნელობისაა, ასევე საერ
თო სიმბოლოებითაა გამოსახული. არ დაგავიწყდეთ ისიც, რომ
თქვენთვის მხოლოდ არასრულყოფილი ცნობების მოწოდება შეეძ
ლო. ნაჩქარევად დავუმატებ, რომ მოგვიანოდ გაღვიძებული ინტე
რესიც ვაგინისადმი** უმთავრესად ანალეროტული წარმომავლობი
საა. ესეც გასაოცარი არაა, ვინაიდან თვითონ ვაგინა **ლუ ანდრეას-სალომე**-ს (Lou Andreas-Salome) მოსწრებული შედარებით "გაღმა
ღებულია" ნაწლავის დაბოლოებიდან; ცხოვრებაში ჰომოსექსუალე
ბი, რომლებსაც აკლიათ სექსუალობის განვითარების გარკვეული

* Penis – ლათინური სახელწოდება მამაკაცის სასქესო ორგანოსი. (რედ. შენ
ნა).

** Vagina – ლათინური სახელწოდება დედაკაცის სასქესო ორგანოსი. (რედ.
შენიშვნა).

ნაწილი, აღნიშნულით არიან წარმოდგენილნი. ხშირად სიზმრებში
გვხვდება ლოკალობა, რომელიც ადრე ერთადერთი სივრცე იყო,
ახლა კი ორადაა გაყოფილი, ანდა პირიქით, ამით მუდამ იგულის
ხმება მიმართება ვაგინასი ნაწლავთან. ჩვენ შეგვიძლია ასევე კარ
გად გავადევნოთ თვალი, თუ გოგოსთან, ნორმალურად, როგორ
გადაიქცევა სავსებით არაქალური სურვილი პენისის ფლობისა სურ
ვილად – იყოს პენისის მატარებელი ბავშვი და შემდეგ მამაკაცი და
ბავშვის შემწირველი. ასე რომ, აქ ისიცაა ნათელი, თუ როგორ
იძენს ხაწყისი ანალეროტული ინტერესის ნაწილი ძოგვიანო გენი
ტალის ორგანიზაციაში განახლებას.

ლიბიდოს პრეგენიტალური ფაზების ასეთი შესწავლით მიგი
ღეთ ასევე რამდენიმე ახალი წარმოდგენა ხასიათის ფორმირების
თაობაზე. ყურადღება მიიქცია, საკმაოდ წესზომიერად, ერთად არ
სებულმა თვისებების ტრადიციამ: წესრიგი, ყაირათიანობა და ჯიუ
ტობა. ასეთი პიროვნებათა ანალიზიდან დავასკვნით, რომ ეს თვისე
ბები წარმოდგებიან მათი ანალეროტიკის დაუძლურებითა და სხვა
სახირი გამოყენებით. მაშასადამე, ვლაპარაკობთ **ანალურ ხასიათზე**,
სადაც ვხოულობთ ამ საკვირველ შეერთებას და გარკვეულად ვუ
პირისპირებთ ანალურ ხასიათს გადაუმუშავებელ ანალურ ეროტი
კას. მსგავსი, ალბათ უფრო მტკიცე, დამოკიდებულებები ვნახეთ
პატივმოყვარეობასა და ურეტრალურ ეროტიკას შორის. საოცარ
ქარაგმულ გადაკვრას ამ კავშირზე ვიღებთ თქმულებიდან, რომე
ლიც გვამცნობს, რომ ალექსანდრე დიდი დაიბადა იმ ხალამოს,
როცა ცნობილმა **ჰეროსტრატემ** დაწვა პატივმოყვარული განდიდე
ბისათვის, **ეფესში** არტემიდეს დიდებული ტაძარი. თითქოს ძველე
ბისათვის ასეთი კავშირი არ ყოფილიყოს ცნობილი! დიახაც იცით,
რამდენად ჩასველებას ცეცხლთან და ცეცხლის ჩაქრობასთან აქვს
საქმე. ბუნებრივია ველოდებით, რომ სხვა თვისებები ხასიათისა
მსგავსად გვეძლევიან როგორც განსაზღვრული პრეგენიტალური
ლიბიდოს ფორმაციების ნარჩენები, ან რეაქციათა ფორმირებები,
მაგრამ ამის ჩვენება ჯერ კიდევ არ შეგვიძლია.

დროა დავუბრუნდეთ როგორც ისტორიას, ისე თემას და
ლტოლვის ცხოვრების ზოგადი პრობლემები ისევ წამოვაყენოთ.
ჩვენი ლიბიდოს თეორია, უპირველეს ყოვლისა, საფუძველად ედება

"მე"-ლტოლვებსა და სექსუალურ ლტოლვებს შორის დაპირისპირებას. შემდეგ, მოგვიანებით, დავიწყეთ "მე"-ს უფრო ახლო გაცნობა და ნარცისიზმის თვალსაზრისი გავიგეთ, თვითონ ამ განსხვავებამ კი დაჰკარგა თავისი საფუძველი. იმ შემთხვევებში შეიძლება გავაცნობიეროთ, რომ "მე" თავის თავს ობიექტურად იღებს, ისე იქცევა, თითქოს საკუთარ თავზე იყოს შეყვარებული. აქედანაა ბერძნული თქმულებიდან მოტანილი ტერმინი **ნარცისიზმი**. მაგრამ ესაა უფრო გადამეტება ნორმალური საქმის ვითარებისა. ვსწავლობთ, რათა გავიგოთ, რომ "მე" მუდამაა მთავარი რეზერვუარი ლიბიდოსი, გამომდინარე ობიექტის ლიბიდონოზური დამუხტვისაგან და მასში ვე დაბრუნებისა, როცა ამ ლიბიდოს დიდი ნაწილი მუდამ რჩება "მე"-ში. განუწყვეტლივ "მე"-ლიბიდო ობიექტის ლიბიდოში გარდაიქმნება და ობიექტის ლიბიდო – "მე" ლიბიდოში. მაშინ ორივე თავისი ბუნების მიხედვით აღარ განსხვავდება და აზრიც აღარა აქვს ერთის ენერგია გამოიყოს მეორისაგან; შეიძლება ლიბიდოს აღნიშვნა უარვყოთ, ანდა ის საერთოდ ფსიქიკური ენერგიის მნიშვნელობით გამოვიყენოთ.

დიდი ხნით ვერ დავრჩებით ამ თვალსაზრისზე. ლტოლვის ცხოვრების შიგნით დიპირისპირებულობის წარმოდგენას მალე სხვამ, უფრო მკაცრმა გამოთქმამ მიაღწია. არ შეშეძლო ლტოლვის ცხოვრების ამ სიახლისათვის ამერიდებინეთ. ისიც ხომ ემყარება არსებითად ბიოლოგიურ მოსაზრებას, მას წარმოვიდგენთ როგორც მზა პროდუქტს. ვუშვებთ, რომ არსებობს ორი არსობრივად განსხვავებული სახის ლტოლვა – სექსუალური ლტოლვები, ფართო აზრით გაგებული, **ეროსი**, თუკი ამ სახელწოდებას უპირატესობას მივცემთ და **აგრესიის** ლტოლვები, რომელთა მიზანია დესტრუქცია. თუკი ამას მხოლოდ მოისმენთ, რა თქმა უნდა, ვერ ჩათვლით სიახლედ. ეს ჩანს სიყვარულსა და სიძულვილს შორის ბანალური დაპირისპირების თეორიული გარდაქმნის ცდად, რომელიც ალბათ ეშთხვევა მიზიდვისა და განზიდვის სხვა პოლარულობას, რომელსაც უშვებს ფიზიკა არორგანულ სამყაროში. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს განწყობა მაინც მრავალმა სიახლედ მიიჩნია, სახელდობრ, როგორც ძალზე არასასურველი, რომელიც შესაძლებლობისდა მი ხედვით მალე ისევ გზიდან უნდა ჩამოვიშოროთ. ვუშვებთ, რომ

უარყოფაში გატარებულია ძლიერ აფექტური მომენტი. რატომ დაგჭირდა ასე დიდი დრო აგრესიის ლტოლვის აღიარებისათვის, რატომაა, რომ დღის სინათლეზე მყოფი და ყველასათვის ცნობილი ფაზები დაუყოვნებლივ არ გამოვიყენეთ თეორიისათვის? ალბათ წავაწყდებოდით უმნიშვნელო წინააღმდეგობას, თუკი მოვინდომებდით ცხოველებისათვის ასეთი მიზნის მქონე ლტოლვის მიწერას. მაგრამ ამის ადამიანურ კონსტიტუციაში მიღება მოჩანს დანაშაულად; ის ეწინააღმდეგება მრავალ რელიგიურ დაშვებასა და სოციალურ კონვენციებს. არა, ადამიანი თავისი ბუნებით უნდა კარგი, ანდა ყოველ შემთხვევაში კეთილმსურველი იყოს. თუკი ის ზოგჯერ აწვენებს სიმკაცრეს, ძალმომრეობას, მძვინვარებას, ესაა წარმავალ გრძნობათა ცხოვრების ამღვრევა, უმთავრესად პროვოცირებული, ალბათ მხოლოდ მიზანშეუწონელი საზოგადოებრივი მოთხოვნების შედეგი, რაც კი აქამდე არსებულა.

რასაც ისტორია გვამცნობს და რასაც ჩვენ თვითონ განვიცდით, საშწუხაროდ არ ლაპარაკობს ამ აზრის სასარგებლოდ, არამედ ამართლებს უფრო იმ მსჯელობას, რომ ადამიანის ბუნებრივი სიკეთის რწმენა ის ცუდი ილუზიაა, რომლისგანაც ელოდებიან მათი ცხოვრების შელამაზებასა და გაადვილებას მაშინ, როცა სინამდვილეში მას მხოლოდ ვნება მოაქვს. ჩვენ პოლემიკას არ ვაგრძელებთ, ვინაიდან არა ისტორიისა და ცხოვრების გამოცდილების შესაბებ მოძღვრებიდან ვუშვერთ მზარს ადამიანთან განსაკუთრებული აგრესიისა და დესტრუქციის ლტოლვის დაშვებას, არამედ – ზოგადი მოსაზრების ნიადაგზე, რომელთანაც მიგვიყვანა **სადიზმისა** და **მაზოხიზმის** ფენომენების აღიარებამ. იცით, სადიზმს ვუწოდებთ მას, როცა სექსუალური დაკმაყოფილება დაკავშირებულია პირობასთან, რომ სექსუალურმა ობიექტმა განიცადოს ტკივილი, მკაცრი მოპყრობა, და დამცირება; ხოლო მაზოხიზმს – როცა მოთხოვნილებაა, თვითონ იყოს ამ მკაცრი მოპყრობის ობიექტი. ისიც იცით, რომ გარკვეული შენარევი ორივე აღნიშნული მისწრაფებისა აღიქმება ნორმალურ სექსუალურ დამოკიდებულებად. და რომ ჩვენ მათ ავღნიშნავთ როგორც პერვერსიებს*, თუკი ისინი სხვა სექსუალურ მიზნებს ავიწროებენ და საკუთარ მიზნებს მათ ადგილზე სვამენ.

* პერვერსია – დამახინჯება, გაუკუღმართება. (რედ. შენიშვნა).

ასევე გვერდს ვერ ავუვლით, რომ სადიზმი მამაკუცრთან და მაზო-
ხიზმი ქალურთანაა ინტიმურ კავშირში, თითქოს აქ საიდუმლო
ნათესაობა იყოს, თუმცა აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ შემდეგ
ამ გზით არ წავსულვართ. ორივე, სადიზმი და მაზოხიზმი, ლიბი-
დოს თეორიისათვის წარმოადგენს სწორედ რომ აუხსნელ ფენომე-
ნებს, განსაკუთრებით კი მაზოხიზმი, და წესრიგი მხოლოდ მაშინაა,
როცა ის, რისთვისაც თეორია შებრძოლების ლოდს ქმნის, მისთვის
შემნაცვლებელ ქვაკუთხედს იძლევა.

მაშასადამე, ვფიქრობთ, რომ სადიზმსა და მაზოხიზმში ამ
გამოკვეთილი მაგალითია ლტოლვის ორი სახის აღრევისა, ეროსი-
სა – აგრესიასთან, და ვუშვებთ, რომ დამოკიდებულება სანამუშაო
რომ ყველა ლტოლვის წაქეზება, რომელთა შესწავლა შეგვიძლია
შედგება ასეთი შერევისაგან ან შენადნობისაგან; ბუნებრივია, შერე-
ვის მრავალნაირი დამოკიდებულებისაგან, ამასთან ეროტიული
ლტოლვები მათი სექსუალური მიზნების მრავალნაირობით შეიძლე-
ან შერევაში, მაშინ როცა სხვები მიშვებულია მხოლოდ მათი ბუ-
თვგვაროვანი ტენდენციის დახუსტებისა და გრადაციაზე, ამ დაშო-
ბით გადაგვეშალა პერსპექტივა გამოკვლევებისა, რომელმაც შეი-
ლება შეიძინოს დიდი მნიშვნელობა პათოლოგიური პროცესების
გაგებისათვის, ვინაიდან შერევები შეიძლება დაიშალონ კიდევ
ლტოლვათა ასეთი შერევით ფუნქციისათვის უმძიმესი შედეგები
მოსალოდნელი. მაგრამ ეს თვალსაზრისები ჯერ კიდევ სიახლეა
არავის უცდია მათი გამოყენება მუშაობაში.

ჩვენ ვუბრუნდებით განსაკუთრებულ პრობლემას, რასაც მა-
ზოხიზმი გვაწვდის. წუთიერად უარი ვთქვათ მის ეროტიულ კომ-
პონენტებზე, მაშინ ხელში შეგვრჩება ისეთი მისწრაფება, რომელ-
საც მიზნად აქვს თვითგანადგურება. თუკი ეს ასევე დესტრუქციის
ლტოლვას ემსგავსება, რომ "შე"(მაგრამ აქ, პირიქით ვგულისხმობთ
"ეგო"-ს მთელ პერსონს) თავიდანვე თავის თავში მოიცავს ყველა
ლტოლვის წაქეზებას, მაშინ აქედან გამომდინარეობს გაგება, მა-
ხიზმი სადიზმზე უფრო ძველია, მაგრამ სადიზმი გარეთ მიმართუ-
ლი დესტრუქციის ლტოლვაა, ამით იძენს აგრესიის ბუნებას. სწო-
ისი დესტრუქციის ლტოლვიდან ზოგი რამ შეიძლება დარჩეს კი-
დევ შიგნით (პერსონში). ჩანს ჩვენი აღქმა მხოლოდ ამ ორი პირო-

ბის დროს ეუფლება თავის თავს, როცა ის ეროტიულ ლტოლვებს
უკავშირებს მაზოხიზმს, ან როცა ის თავის თავს როგორც აგრესი-
ას – დიდ თუ მცირე ეროტიულ შერევას – მიმართავს გარესამყარო-
საკენ. ახლა თავს გვეხვევა შესაძლებლობათაგან ერთი, რომ აგრე-
სიას არ ძალუძს ნახოს დაკმაყოფილება გარესამყაროში, ვინაიდან
აწყდება რეალურ წინააღმდეგობებს. მაშინ ის ალბათ უკან იხევს,
იზრდება შიგნით გაბატონებული თვითდესტრუქცია. გავიგონებთ,
რომ ეს ნამდვილად ასე ხდება და რაოდენ მნიშვნელოვანია ეს
პროცესი. დათრგუნული აგრესია ჩანს როგორც ზიანის მომტანი;
ეს სწორედ ისე გამოიყურება, თითქოს უნდა სხვები და სხვები
მოუსპოთ, რათა თვითონ არ გავნადგურდეთ, რათა თავი დავიცვათ
თვითდესტრუქციის ტენდენციისაგან. რა თქმა უნდა, ეთიკოსები-
სათვის სამწუხარო აღმოჩენაა!

მაგრამ ეთიკოსი კიდევ დიდხანს ინუგეშებს ჩვენი დაუჯერე-
ბელი სპეკულაციების გამო. აი, საკვირველება – ლტოლვა, რომე-
ლიც საკუთარი ორგანული კერის განადგურებას ეძიებს! თუმცა
პოეტები ლაპარაკობენ ასეთ მოვლენებზე, მაგრამ ისინი არაპასუ-
ხისმგებელნი არიან, ისინი პოეტური ლიცენზიის პრივილეგიით
ტკბებიან. მართალია, ფიზიოლოგიისათვისაც არაა უცხო მსგავსი
წარმოდგენები, მაგალ., კუჭის ლორწოვანი გარსი, რომელიც თვი-
თონ თავის თავს გადაამუშავებს, მაგრამ უნდა დაემატოს რომ
ჩვენი თვითგანადგურების ლტოლვა მოითხოვს ფართო დახმარებას.
დაშვება ასეთი მნიშვნელობისა არა მარტო იმიტომ ხდება, რომ
ზოგიერთი უბედური სულელი თავის სექსუალურ დაკმაყოფილებას
უკავშირებს საკვირველ პირობას. ფიქრობ, გაღრმავებული შესწავ-
ლა ლტოლვებისა მოგვცემს მას, რაც გვჭირდება. სულიერს მარტო
ლტოლვები არ მართავენ, არამედ – კეგეტატიური ცხოვრებაც და
აღნიშნული ორგანული ლტოლვები აჩვენებენ ბუნებას, რომელიც
ჩვენს დიდი ინტერესს იმსახურებს. არის თუ არა ეს ლტოლვათა
ზოგადი ბუნება, მხოლოდ მოგვიანებით შეიძლება შევაფასოთ. ისინი
აღმოჩნდებიან, სახელდობრ, როგორც მისწრაფება აღრეული მდგო-
მარეობის აღდგენისა. შეგვიძლია დავუშვათ: იმ მომენტიდან, სადაც
ასეთი ერთხელ მიღწეული მდგომარეობა ირღვევა, აღმოცენდება
ლტოლვა, რომ ის ახლიდან შექმნის და წარმოშობს ფენომენს,

რომელიც შეგვიძლია აღვნიშნოთ როგორც **განმეორების** იძულებ
ასეა ემბრიოლოგია ერთადერთი მომენტი განმეორების იძულების
გარდა ამის, ცხოველთა სამეფოში არის შესაძლებლობა დაკარგ
ლი ორგანოების ხელახლა წარმოშობის და მკურნავი ლტოლვის
რომელსაც თერაპევტული დამხმარე ნაქმობის გვერდით ვუმადლ
ჩვენს გამოჯანმრთელებას. უფლება გვაქვს ეს ჩავთვალოთ რ
გორც ნარჩენი დაბლა ცხოველებში ასე დიდებულად განვითარებ
ლი უნარისა. ქვირითის დაყრისათვის თევზების მოგზაურობა, ა
ბათ ფრინველთა გადაფრენა, შეძლებისდაგვარად ყველაფერი, რ
საც ცხოველებთან აღვნიშნავთ როგორც ინსტინქტის გამოვლინებ
ხდება განმეორების იძულების ბრძანებით, რომელიც ლტოლვას
კონსერვატულ ბუნებას ამჟღავნებს. სულიერის სფეროშიც არ გვ
დება დიდი დრო, რომ ვნახოთ მათი გამოვლინებანი. გვაკვირვებ
რომ ადრეული ბავშვობის დავიწყებული განდევნილი განცდები
ლიზური მუშაობის დროს სიზმრებში და რეაქციებში განსაკუთრ
ბით მათ გადატანაში, აღდგებიან, თუმცა მათი ისევ გაღვიძებ
ინტერესი სიამოვნების პრინციპს ეწინააღმდეგება. ჩვენ გვაქვს ა
სნა, რომ ამ შემთხვევაში განმეორების იძულება თვითონ სიამოვნ
ბის პრინციპს სცილდება. ანალიზის მიღმაც შეიძლებოდა მსგავსი
დაკვირვება. არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ ცხოვრებაში შე
წორების გარეშე იგივე რეაქციებს იმეორებენ მათდა საზიანოდ, ან
თვითონ ულმობელ ბედს მისდევენ მაშინ, როცა ზუსტი გამოკვლევ
გვეუბნება, რომ ამ ბედს ისინი შეუგნებლად თვითონ აშზადებენ. ასე
შემთხვევაში განმეორების იძულებას მივაწერთ დემონურ ბუნებას

რას შეიძლება გვაძლევდეს ლტოლვათა კონსერვატიული ნიშა
ნი ჩვენი თვითმოსპობის გაგებისათვის? რომელი ადრეული მდგომა
რეობის აღდგენა უნდა? პასუხი შორეული არაა და გადაგვიშლის
ფართო პერსპექტივებს. თუკი ჭეშმარიტებაა, რომ – უხსოვარ დრო
იდან და წარმოუდგენელი სახით, ერთხელაც არაცოცხალი მატე
რიიდან წარმოიშვა სიცოცხლე, მაშინ ჩვენი დაშვების მიხედვით
უნდა აღმოცენებულიყო ლტოლვა, რომელსაც ენდომებოდა სიცოც
ლის ისევ მოსპობა, არაორგანიული მდგომარეობის ისევ აღდგე
თუკი ამ ლტოლვაში შევიცნობთ ჩვენი დაშვებით თვითდესტრუქცი
ას, მაშინ უფლება გვაქვს აღნიშნული გავიგოთ, როგორც სიკვდ

ლის **ლტოლვის** გამოხატვა, რომელიც არ შეიძლება შეინიშნოს
არც ერთ სიცოცხლის პროცესში. ლტოლვები იყოფა ორ ჯგუფად
– ეროტულად, რომელსაც უნდა სულ მეტი ცოცხალი სუბსტანციის
შეკუმშვა უფრო დიდ ერთიანობებად და სიკვდილის ლტოლვად,
რომელიც ამ მისწრაფებას ეწინააღმდეგება და ცოცხალი დაჰყავს
არაორგანულ მდგომარეობაზე. ორივეს ერთმანეთთან შესატყვისი
და ერთმანეთის საპირისპირო მოქმედებიდან წარმოდგებიან სი-
ცოცხლის მოვლენები, რომელთაც სიკვდილი ბოლოს უღებს.

ალბათ მხრების აჩეჩვით იტყვით, ეს არაა ბუნებისმეტყველე-
ბაო, ესაა შოპენჰაუერის ფილოსოფიაო. მაგრამ რატომ, ქალბატო-
ნებო და ბატონებო, ვერ უნდა მიხვდეს გაბედული მოაზროვნე იმას,
რასაც ადასტურებს მშრალი და ძნელი დეტალების კვლევა? და
შემდეგ ყველაფერი უკვე ითქვა და შოპენჰაუერამდეც, მრავალი
მსგავსი რამ ითქვა; რასაც ჩვენ ვამბობთ, შოპენჰაუერის ნათქვამზე
უფრო სწორი არაა. არ ვამტკიცებთ რომ, სიკვდილი არის სიცოცხ-
ლის ერთადერთი მიზანი, ჩვენ მხედველობიდან არ ვუშვებთ სი-
ცოცხლეს სიკვდილის გვერდით, ვაღიარებთ ორ ძირითად ლტოლ-
ვას და ყოველ მათგანს ვანიჭებთ საკუთარ მიზანს. თუ როგორ
ირევა ორივე სიცოცხლის პროცესში, თუ როგორ იქცევა სიკვდი-
ლის ლტოლვა ეროსის განზრახვების მსახურად, განსაკუთრებით
გარეთკენ მის მობრუნებაში როგორც აგრესია, ეს მომავლის კვლე-
ვის ამოცანაა. ჩვენ უფრო შორს არ მივდივართ, ვიდრე იმ ადგი-
ლამდე, სადაც ასეთი პერსპექტივა იშლება. აქვს თუ არა გამონაკ-
ლისის გარეშე კონსერვატორული ბუნება ყველა ლტოლვას და
ეროტულ ლტოლვებსაც ადრეული მდგომარეობის უკან დაბრუნება
ნებავთ თუ არა, როცა ცოცხლის სინთეზი უფრო დიდ ერთიანობე-
ბად მოჰყავთ, ეს საკითხიც უპასუხოდ უნდა დავტოვოთ.

ცოტათი დავშორდით ჩვენს ბაზისს. შემდეგ მინდა, გაგიზია-
როთ, თუ როგორ იყო ლტოლვის მოძღვრების გაგების ამოსავალი.
იგივე – რამაც მიგვიყვანა "შე"-სა და არაცნობიერს შორის დამოკი-
დებულების რევიზიასთან, – ანალიტური მუშაობიდან შთაბეჭდილე-
ბა, რომ პაციენტმა, რომელიც წინააღმდეგობას სწევს, არაფერი
იცის ამ წინააღმდეგობის თაობაზე. არა მხოლოდ წინააღმდეგობის
ფაქტია მისთვის არაცნობიერი, არამედ მისი მოტივებიც. უნდა

რომელიც შეგვიძლია აღვნიშნოთ როგორც **განმეორების იძულების** ასეა ემბრიოლოგია ერთადერთი მომენტი განმეორების იძულების გარდა ამის, ცხოველთა სამეფოში არის შესაძლებლობა დაკარგული ორგანოების ხელახლა წარმოშობის და მკურნავი ლტოლვის, რომელსაც თერაპევტული დამხმარე ნაქმობის გვერდით ვუმადლით ჩვენს გამოჯანმრთელებას. უფლება გვაქვს ეს ჩავთვალოთ რა გორც ნარჩენი დაბლა ცხოველებში ასე დიდებულად განვითარებული უნარისა. ქვირითის დაყრისათვის თევზების მოგზაურობა, ბათ ფრინველთა გადაფრენა, შეძლებისდაგვარად ყველაფერი, რაც ცხოველებთან აღვნიშნავთ როგორც ინსტინქტის გამოვლინება ხდება განმეორების იძულების ბრძანებით, რომელიც ლტოლვას **კონსერვატულ ბუნებას** ამკვიდრებს. სულიერის სფეროშიც არ გვქონდება დიდი დრო, რომ ვნახოთ მათი გამოვლინებანი. გვაკვირვებს რომ ადრეული ბავშვობის დავიწყებული განცდები ანალიზური მუშაობის დროს სიზმრებში და რეაქციებში განსაკუთრებით მათ გადატანაში, აღდგებიან, თუმცა მათი ისევ გაღვიძების ინტერესი სიამოვნების პრინციპს ეწინააღმდეგება. ჩვენ გვაქვს იმის, რომ ამ შემთხვევაში განმეორების იძულება თვითონ სიამოვნების პრინციპს სცილდება. ანალიზის მიღმაც შეიძლებოდა მსგავსის დაკვირვება. არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ ცხოვრებაში შეწუხების გარეშე იგივე რეაქციებს იმეორებენ მათდა საზიანოდ, ანდა თვითონ ულმობელ ბედს მისდევენ მაშინ, როცა ზუსტი გამოკვლევა გვეუბნება, რომ ამ ბედს ისინი შეუგნებლად თვითონ ამზადებენ. ასეთ შემთხვევაში განმეორების იძულებას მივაწერთ დემონურ ბუნებას.

რას შეიძლება გვაძლევდეს ლტოლვათა კონსერვატიული ნიშანი ჩვენი თვითმოსპობის გაგებისათვის? რომელი ადრეული მდგომარეობის აღდგენა უნდა? პასუხი შორეული არაა და გადაგვიშლის ფართო პერსპექტივებს. თუკი ჭეშმარიტებაა, რომ – უხსოვარ დროიდან და წარმოუდგენელი სახით, ერთხელაც არაცოცხალი მატერიიდან წარმოიშვა სიცოცხლე, მაშინ ჩვენი დაშვების მიხედვით უნდა აღმოცენებულიყო ლტოლვა, რომელსაც ენდომებოდა სიცოცხლის ისევ მოსპობა, არაორგანიული მდგომარეობის ისევ აღდგენა. თუკი ამ ლტოლვაში შევიცნობთ ჩვენი დაშვებით თვითდესტრუქციას, მაშინ უფლება გვაქვს აღნიშნული გავიგოთ, როგორც სიკვდი-

ლის **ლტოლვის** გამოხატვა, რომელიც არ შეიძლება შეინიშნოს არც ერთ სიცოცხლის პროცესში. ლტოლვები იყოფა ორ ჯგუფად – ეროტულად, რომელსაც უნდა სულ მეტი ცოცხალი სუბსტანციის შეკუმშვა უფრო დიდ ერთიანობებად და სიკვდილის ლტოლვად, რომელიც ამ მისწრაფებას ეწინააღმდეგება და ცოცხალი დაჰყავს არაორგანულ მდგომარეობაზე. ორივეს ერთმანეთთან შესატყვისი და ერთმანეთის საპირისპირო მოქმედებიდან წარმოდგებიან სიცოცხლის მოვლენები, რომელთაც სიკვდილი ბოლოს ულებს.

ალბათ მხრების აჩეჩვით იტყვით, ეს არაა ბუნებისმეტყველება, ესაა შოპენჰაუერის ფილოსოფია. მაგრამ რატომ, ქალბატონებო და ბატონებო, ვერ უნდა მიხვდეს გაბედული მოაზროვნე იმას, რასაც ადასტურებს მშრალი და ძნელი დეტალების კვლევა? და შემდეგ, ყველაფერი უკვე ითქვა და შოპენჰაუერამდეც, მრავალი მსგავსი რამ ითქვა; რასაც ჩვენ ვამბობთ, შოპენჰაუერის ნათქვამზე უფრო სწორი არაა. არ ვამტკიცებთ რომ, სიკვდილი არის სიცოცხლის ერთადერთი მიზანი, ჩვენ მხედველობიდან არ ვუშვებთ სიცოცხლეს სიკვდილის გვერდით, ვაღიარებთ ორ ძირითად ლტოლვას და ჯოველ მათგანს ვანიჭებთ საკუთარ მიზანს. თუ როგორ ირევა ორივე სიცოცხლის პროცესში, თუ როგორ იქცევა სიკვდილის ლტოლვა ეროსის განზრახვების მსახურად, განსაკუთრებით გარეთკენ მის მობრუნებაში როგორც აგრესია, ეს მომავლის კვლევის ამოცანაა. ჩვენ უფრო შორს არ მივდივართ, ვიდრე იმ ადგილამდე, სადაც ასეთი პერსპექტივა იშლება. აქვს თუ არა გამონაკლისის გარეშე კონსერვატორული ბუნება ყველა ლტოლვას და ეროტულ ლტოლვებსაც ადრეული მდგომარეობის უკან დაბრუნება ნებავთ თუ არა, როცა ცოცხლის სინთეზი უფრო დიდ ერთიანობებად მოჰყავთ, ეს საკითხიც უპასუხოდ უნდა დავტოვოთ.

ცოტათი დავშორდით ჩვენს ბაზისს. შემდეგ მინდა, გაგიზიაროთ, თუ როგორ იყო ლტოლვის მოძღვრების გაგების ამოსავალი. იგივე, – რამაც მიგვიყვანა "მე"-სა და არაცნობიერს შორის დამოკიდებულების რევიზიასთან, – ანალიტური მუშაობიდან შთაბეჭდილება, რომ პაციენტმა, რომელიც წინააღმდეგობას სწევს, არაფერი იცის ამ წინააღმდეგობის თაობაზე. არა მხოლოდ წინააღმდეგობის ფაქტია მისთვის არაცნობიერი, არამედ მისი მოტივებიც. უნდა

თება მორალის, პედაგოგიკის, კრიმინალობისა და უზრუნველყოფ
სადმი ამჟამად ფსიქოანალიტიკოსების უპირატესი საშუალო სწ
როა. მოულოდნელ ადგილას ჩვენ აქ ფსიქიკური ქვედასამყაროს
ღია ბაზაში შემოვიჭერით. მე არ შემიძლია თქვენ უფრო მოკ
წაგიყვანოთ, მაგრამ მე თქვენ შეგაყოვნებთ კიდევ აზრთა მსვლე
ლობით, სანამ ამჯერად დაგემშვიდობებოდეთ. ჩვენთვის – ჩვეულ
რივი გახდა ვთქვათ, რომ ჩვენი კულტურა აგებულია სექსუალური
მისწრაფებების დანახარჯით, რომელიც შეკავდება საზოგადოებით
ნაწილობრივ განიდევნება, ნაწილობრივ კი ახალი მიზნებისათვის
გამოიყენება. ასევე სიამაყით ვაღიარებთ ჩვენს კულტურულ მაღა
წევებს, იმას, რომ ჩვენთვის ადვილი არაა, აღვასრულოთ, ამ კულ
ტურის მოთხოვნები, მასში კარგად ვიგრძნოთ თავი, ვინაიდან ჩვენ
ზე დაკისრებული ლტოლვათა შეზღუდვები ნიშნავს მძიმე ფსიქი
კურ ტვირთს. რაც სექსუალური ლტოლვების თაობაზე შეიცანით
ნიშანდობლივია მსგავს, ალბათ უფრო მაღალი დონით, სხვა აგრე
სიის ლტოლვების მიმართაც. უპირველეს ყოვლისა, ესენია, რაც
ადამიანთა თანაცხოვრებას აძნელებენ და მის ხანგრძლივობას ემუქ
რება. ამ აგრესიის შეზღუდვა პირველი, ალბათ უძნელესი შეწირ
ვაა, რომელსაც საზოგადოება მოითხოვს ერთეულისაგან – თუ რა
გორ მარჯვედ ხერხდება ეს მორჯულება ჭირვეულისა. ჩართუ
"ზე-შე"-სი, რომელიც თავის თავთან საშიშ აგრესიულ წაქეზებას
მოხაზავს, თითქოს იმორჩილებს აფორიაქებისადმი მიდრეკილ ად
გილებს. მაგრამ, მეორეს მხრივ, უნდა ვაღიაროთ განხილული წარ
და ფსიქოლოგიურად "შე" კარგად ვერ გრძნობს თავს, როცა ეწირე
ბა საზოგადოების მოთხოვნილებებს, როცა უნდა დაექვემდებაროს
აგრესიის დესტრუქციულ ტენდენციებს, რომელსაც ის თვითონ სი
ამოვნებით სხვების წინააღმდეგ დაამტკიცებდა. ესაა შეჭამ-შეგჭამს
დილემის გაგრძელების მსგავსი რამ, რაც ბატონობს ორგანული
სიცოცხლის სამყაროში, ფსიქიკურ სფეროში. საბედნიეროდ, აგრესი
ის ლტოლვები არასდროს არაა მარტო, მუდამაა შერწყმული ერო
ტულთან. ამ უკანასკნელთ აქვთ ადამიანის მიერ შექმნილი კულტუ
რის პირობებში მრავალი რამ შემამსუბუქებელი და დამცველი.

33-ე ლექცია
ქალწრფობა

ქალბატონებო და ბატონებო! მთელი დროის მანძილზე, რაც რომ ვემზადებოდი თქვენთან სასაუბროდ, შინაგან სიძნელეს ვებრძოდი. მე არასაიმედოდ განვიცდიდი, ახე რომ ვთქვათ, ჩემს ლეგიტიმაციას. დიახაც, სწორია, რომ ფსიქოანალიზი თხუთმეტი სამუშაო წლის მანძილზე შეიცვალა და გამდიდრდა, მაგრამ ფსიქოანალიზის შესავალი მაინც უცვლელად და შეუცვლებლად შეიძლებოდა დარჩენილიყო. სულ მეჩვენება, რომ ამ მოხსენებებს აკლია არსებობის გამართლება. ანალიტიკოსებს ვეუბნები ზედმეტად ცოტას და საერთოდ არაფერს ახალს, თქვენ კი – ზედმეტად ბევრსა და ისეთ ამბებს, რომლის გაგებისათვის არა ხართ აღჭურვილნი, ისინი თქვენ არ გეკუთვნით.

ბოდიშს მოვიხდი, თუ ყოველი ცალკეული ლექციის გამართლება მინდა სხვა დასაბუთებით. ჯერ ერთი, სიზმრის თეორიის შესახებ, თქვენ უნდა ერთბაშად ისევ ანალიტური ატმოსფეროს შუაგულში ჩაგვსვათ და გაჩვენოთ, თუ ჩვენი თვალსაზრისები როგორი ძტკიცე აღმოჩნდება. მეორეც, გაჩვენოთ გზები, რომლებიც მიემართება სიზმრიდან ე.წ. ოკულტიზმისაკენ; ვითარება მაქეზებდა, თავისუფალი სიტყვა მეთქვა სამუშაო სფეროზე, რაზეც დღეს იბრძვის ცრურწმენათაგან სავსე მოლოდინი ენებიან წინააღმდეგობათა საპირისპიროდ. ვიმედოვნებ, ფსიქოანალიზის მაგალითზე ტოლერანტულად აღზრდილი თქვენი მსჯელობა მე უარს არ მეტყვის თანმდევლეს ამ ექსკურსიისას. მესამე ლექციამ პიროვნების დაყოფის შესახებ თქვენს წინაშე მართლაც დასვა უმკაცრესი მოთხოვნები, ისე უცხო იყო მისი შინაარსი. მაგრამ შემეძლო ეს პირველი დამატება "შე"-ს ფსიქოლოგიისა თქვენთვის არ მომეწოდებინა და რაკი ჩვენ ის აკვიატებული გვქონდა თხუთმეტი წლის წინათ, მაშინვე მოგვეხსენებინა. და ბოლოს, უკანასკნელმა ლექციებმა, რომ-

ლებსაც ალბათ მხოლოდ დიდი დაძაბულობით ისმენდით, მოგვყვ
და აუცილებელი შესწორებანი, მნიშვნელოვანი გადაუჭრელი სა
კითხების ახლებური გადაწყვეტის ცდა და ჩემი შესაცავალი, თუ
მასზე გავჩუმდებოდი იქნებოდა შეცდომაში შემყვანი, როგორც ხ
დავთ, უნებლიე შეცდომისათვის, ბოდიშს იხდიან. ბოლოს გამოდის
რომ ყველაფერი უცილობელი იყო, ყველაფერი ბედია. მე მას ვ
მორჩილები; გთხოვთ, თქვენც ასევე მოიქცეთ.

დღევანდელი ლექციაც არ უნდა იყოს შესავლის გამონაკლისი
– რომელსაც შეუძლია მოგცეთ დეტალური ანალიზური მუშაობის
ნიმუში. და შემიძლია მისი რეკომენდაციისათვის ორი რამ გით
რათ: ის არაფერს გეთავაზობს, გარდა დაკვირვებული ფაქტებისა,
რაც თითქმის სპეკულაციის დამატების გარეშეა და დასაქმებულია
თემით, რომელსაც პრეტენზია აქვს გამოიწვიოს თქვენი ინტერესი
ისე, როგორც არაფერ სხვას. ყველა დროის ადამიანები თავს იტ
ტერევდნენ ქალურობის გამოცანის თაობაზე:

თავები იეროგლიფის ქუდებში,
თავები ჩალმებსა და შავ ბერეტებში,
პარიკიანი თავები და ათასი სხვა
უბედური, გაოფლილი ადამიანის თავები.

(ჰაინე, ჩრდილოეთის ზღვ

რამდენადაც მამაკაცები ხართ, არც თქვენ ხართ გამონაკლისი
ამ თავსატეხიდან. თქვენს შორის მყოფი ქალებისაგან ამას არ
მოელიან, ისინი თვითონ არიან ეს გამოცანა. მამაკაცური თუ ქალუ
რი არის პირველი განსხვავება, რასაც ვახდენთ ადამიანურ არსე
ბასთან შეხვედრისას უეჭველი საიმედობით. ანატომიური მეცნიე
რება იზიარებს თქვენს რწმენას ერთ პუნქტში და არა მის მიღმა.
მამაკაცურია მამაკაცის სქესის პროდუქტი, სპერმატოზოიდი და
მისი მატარებელი. ქალურია კვერცხუჯრედი და ორგანიზმი, რომე
ლიც მისი საყუდელია. ორივე სქესთან იქმნება ორგანოები, რომლე
ბიც განსაკუთრებით სასქესო ფუნქციებს ემსახურებიან. ალბათ
დასახელებული მიდრეკილებიდან ისინი ორ განსხვავებულ ფორმით
ვითარდებიან. გარდა ამისა, ორივე გვიჩვენებს სხვადასხვა ორგანო
ებს, სხეულის ფორმებსა და სქესის გზით ქსოვილზე ზემოქმედე

ბას, მაგრამ ესაა ინკონსტანტური და მისი ზომა მონაცვლეობს – ე. წ.
სქესის მეორადი მახასიათებლები. მეცნიერება გეუბნებათ ისეთ რა-
ოდენობებს, რაც თქვენს მოლოდინს ეწინააღმდეგება და ალბათ ვარგისია
იმისთვის, რომ თქვენი გრძნობები არიოს. ყურადღება მიაქციეთ
იმას, რომ მამაკაცური სასქესო აპარატის ნაწილებს ენახულობთ
ფედაკაცის სხეულზეც, თუმცა დაძაბუნებულ მდგომარეობაში და
ისგავსად სხვა შემთხვევაში. თქვენ, ხედავთ ამ ფაქტში ორსქესია-
ნობის ნიშანს, **ბისექსუალობას**, თითქოს ინდივიდი მამაკაცი ან ქალი
კი არ იყოს, არამედ ყოველთვის ორივე, მხოლოდ ერთთან უფრო
მეტად ახლო, ვიდრე მეორესთან. მაშინ მოგიწოდებთ გავეცნოთ
ილეას, რომ დამოკიდებულება, რომლის მიხედვითაც მამაკაცური
და ქალური ცალკეულ არსებასთან არ ირევა, მთლიანად მნიშვნე-
ლოვან რხევას ემორჩილება. მაგრამ მაინც, მხედველობაში რომ არ
მიიღოთ ყველაზე უიშვიათესი შემთხვევები, ვინაიდან ერთ პერ-
სონასთან არის მხოლოდ ერთიანი სქესის პროდუქტები – კვერცხუჯ-
რედი თუ სათესლე უჯრედები, თქვენ უნდა შეცდომაში შეგიყვანონ
ამ ელემენტების გადამწყვეტმა მნიშვნელობამ და დაასკვნათ – ის,
რაც ქმნის მამაკაცურობასა და ქალურობას, ესაა უცნობი ბუნება,
რასაც ანატომია ვერ წვდებაო.

ალბათ ეს ფსიქოლოგიას შეუძლია? ჩვენ მივეჩვიეთ, მამაკაცუ-
რი და ქალური ასევე გამოვიყენოთ, როგორც სულიერი რომელობე-
ბი გადავიტანოთ ბისექსუალობის თვალსაზრისი სულიერ ცხოვრე-
ბაზეც. ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ადამიანი, მამაკაცი თუ
ქალი, ერთ მომენტში მამაკაცურად იქცევა, მეორეში – ქალურად.
მაგრამ მალე გაიგებთ, რომ ესაა ანატომიისა და შეთანხმების
საპირისპირო დათმობა. თქვენ ვერ მისცემთ ახალ შინაარსს ცნე-
ბებს – მამაკაცური და ქალური. განსხვავება არაა ფსიქოლოგიური;
თუკი თქვენ ამბობთ მამაკაცურს, როგორც წესი, გულისხმობთ
"აქტიურს", ხოლო როცა ამბობთ ქალურს – "პასიურს". სწორია ის,
რომ ასეთი დამოკიდებულება არსებობს. მამაკაცის სქესის უჯრე-
დები აქტიურად მოძრავია, ეძებს ქალურს, ხოლო ეს უკანასკნელი,
კვერცხუჯრედი, უძრავია, პასიურია, მომლოდინეა. სასქესო ელე-
მენტარული ორგანიზმების ეს ქცევა ნიმუშიცაა სექსუალური ურ-
თიერთობის დროს სქესის ინდივიდების ქცევისათვის. მამაკაცი

სდევს დედაკაცს სექსუალური კავშირისათვის, მას ხელს აცლებს იჭრება მასში.. მაგრამ ამით თქვენ სწორედ ფსიქოლოგიურად მამაკაცის ბუნება დაგყავთ აგრესიის მომენტზე. შეიძლება დაეჭვდეთ კიდეც, თუ რაღაც არსებითს წააწყდებით, რაც გაფიქრებინებთ, რომ ზოგიერთ ცხოველთა კლასში მდედრი უფრო ძლიერი და აგრესიულია, ხოლო მამრი აქტიურია მხოლოდ სქესობრივი ურთიერთობის აქტში. ეს ასეა, მაგალ., ობობებში. ასევე ფუნქციები ინკუბაციისა და გამრავლებისა, როგორც ეს ჩვენ გვეჩვენება, მორჩილად მდედრის საქმედ, ცხოველებში არაწესზომიერად მდედრობით სქესთანაა დაკავშირებული. სწორედ მაღლამდგომ სახეებში შეიმჩნევა, რომ სქესები ინკუბაციის მომსახურებისას იყოფა, ანუ მხოლოდ მამრი ასრულებს ამ ქცევას. თვითონ ადამიანის სექსუალური ცხოვრების სფეროში მაშინვე შეამჩნევთ, თუ რაოდენ არასაკმარისია მამაკაცის ქცევა აქტივობით, ხოლო დედაკაცის პასივობით აღინიშნოს. დედა ყველა მნიშვნელობით აქტიურია ბავშვის მიმართ, თვით წოვის აქტის შესახებაც ზუსტად ასე ითქმის. ბავშვი წოვს, თუკი მას წოვის ნებას რთავენ. რაც მოშორდებით ვიწრო სექსუალურ სფეროს, მით ნათელი ხდება იმ "დამთხვევის შეცდომა". ქალებს შეუძლიათ განავითარონ დიდი აქტივობა სხვა დასხვა მიმართულებით, მამაკაცებს არ შეუძლიათ თავიანთ მსგავსებთან ერთად იცხოვრონ, თუკი არ განავითარებენ პასიური მოქმედების მაღალ დონეს. ახლა, თუკი იტყვით, ეს ფაქტები შეიცავენ სწორ დასაბუთებას, რომ მამაკაცები ისევე, როგორც ქალები ფსიქოლოგიური აზრით ბისექსუალები არიან, აქედან გამომდინარე თქვენ დაასკვნით, "აქტიური" "მამაკაცურს", "პასიური" "ქალურის" ემთხვევაო. მაგრამ ამას არ გირჩევთ, ეს მიზანშეუწონლად მეჩვენება და არ იძლევა არავითარ ახალ ცოდნას.

შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ქალურობა ფსიქოლოგიურად ხასიათდება პასიური მიზნებისათვის უპირატესობის მინიჭებით. ბუნებრივია, ეს არაა იგივე, რაც პასიურობა, შეიძლება საჭირო იყოს დიდი აქტივობა, რათა პასიური მიზანი გაატარო. ალბათ ეს ასეა, რომ ქალთან სექსუალურ ფუნქციაში თავისი მონაწილეობით უპირატესობა ენიჭება პასიურ ქცევას და პასიური მიზნისაკენ მისწრაფებების გატარებას ცხოვრებაში მეტად თუ ნაკლებად ფართოდ

ების მიხედვით სექსუალური ცხოვრების ეს დაკავშირება შემოიზღვრება თუ ვრცელდება. ამასთან ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ სოციალური წესრიგის ზეგავლენა არ გაუფასურდეს, რომელიც ქალს თითქოსდა პასიურ სიტუაციებში განდევნის. ყველაფერი ეს ჯერ კიდევ მეტად გაურკვეველია. მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ განსაკუთრებით კონსტანტური დამოკიდებულება ქალურობასა და ლტოლვის ცხოვრებას შორის. ქალისადმი კონსტიტუციურად მიწერილი და სოციალურად დაღდასმული შევიწროება მისი აგრესიებისა ხელს უწყობს ძლიერი მაზოხისტური წაქეზებების წარმოქმნას, რომლებიც, დიახაც, აღწევენ შიგნით მიმართული დესტრუქციული ტენდენციების დაკავშირებას ეროტულად. მაშასადამე, მაზოხიზმი არის, როგორც ამბობენ, ნამდვილი ქალური. თუკი კვლავაც მაზოხიზმს ასე ხშირად მამაკაცებთან, რაღა გრჩებათ, თუ არა თქვათ, ეს მამაკაცები ძალზე ნათლად აჩვენებენ ქალურ თვისებებსო?

თქვენ ახლა მზად ხართ იმისათვის, რომ თქვათ – ფსიქოლოგიც ვერ გაღაწყვეტსო ქალურობის გამოცანას. ეს განმარტება სხვა მხრიდან უნდა მოდიოდეს და არ შეუძლია მოვიდეს მანამ, სანამ გავიგებდეთ, თუ როგორ წარმოდგა საერთოდ ცოცხალი არსების დიფერენცირება ორ სქესად. ამის შესახებ არაფერი ვიცით; ორგანული ცხოვრების თვალში საცემი მახასიათებელი მაინც ორსქესიანობაა, რითაც ის მკვეთრად გამოიყოფა არაცოცხალი ბუნებისაგან. ამასობაში საკმაოდ ვსწავლობთ იმ ადამიანურ ინდივიდებს, რომელსაც ქალური გენიტალიები აქვთ და ჩასათვლიან მანიფესტურად ან უპირატესად ქალურად. ფსიქოანალიზის თავისებურება ისაა, რომ ის არ აღწერს რა არის ქალი – ეს მისთვის გადაუწყვეტელი ამოცანაა, – არამედ იკვლევს იმას, თუ როგორ იქმნება, როგორ ვითარდება ქალი ბისექსუალური მონაცემების მქონე ბავშვიდან. ზოგი რამ ამის შესახებ გავიგეთ უკანასკნელ დროს იმ გარემოების წყალობით, რომ ბევრმა ჩვენმა დიდებულმა კოლეგა ქალმა ანალიზს მიმართა ამ საკითხის დასამუშავებლად. აღნიშნულზე დისკუსიამ განსაკუთრებული გაღიზიანება გამოიწვია სქესთა განსხვავების შესახებ, რადგანაც ყოველთვის, როცა შედარება მათი სქესისადმი ცუდი განწყობილების შედეგს იძლეოდა, ჩვენს ქალბატონებს

შეეძლოთ ეჭვი გამოეთქვათ, რომ ჩვენს მამაკაც ანალიტიკოსებს არ ჰქონდათ დაძლეული ქალურობის მიმართ განსაზღვრული ღრმად ჩანერგილი ცრურწმენა, რაც ჩვენი კვლევის პარტიულობით ისხნებოდა. ამის საპირისპიროდ ჩვენ ბისექსუალობის ნიადაგზე აღვილად უარვყავით ყოველგვარი უდიერობა. ჩვენ გვჭირდებოდა მხოლოდ გვეთქვა: ეს თქვენ არ გეხებათ. თქვენ გამონაკლისი ხართ, ამ მომენტში უფრო მამაკაცური ხართ, ვიდრე ქალური. ქალური სექსუალობის განვითარების გამოკვლევას ორი მოლოდინითაც ვუდგებით: პირველი, რომ აქაც კონსტიტუცია არ ექვემდებარება ფუნქციას აშლის გარეშე; მეორეც, გადამწყვეტი შემობრუნება სათაცილებს, ანდა ხორციელდება უკვე პუბერტეტის* წინ. მალე ორივე დასტურდება. ბიჭების მიმართებებთან შედარება შემდეგს გვეუბნება: პატარა გოგონას განვითარება ნორმალურ ქალად უფრო ძნელი და რთულია, რადგანაც ის მოიცავს ორი ამოცანით მეტს მაშინ, როცა მამაკაცის განვითარება საპირისპიროს არ აჩვენებს. დასაწყისიდანვე გავყვეთ პარალელებს. რა თქმა უნდა, მასალა ბიჭთან და გოგოსთან უკვე ერთმანეთისაგან განსხვავებულია; ეს რომ დავაგინოთ, ამისათვის ფსიქოანალიზი არაა საჭირო. გენიტალების ფორმირებაში განსხვავებას თან სდევს სხვა სხეულებრივი განსხვავებულობანი, რომლებიც ცნობილია და არ საჭიროებენ მოხსენიებას. ლტოლვათა მიდრეკილებებშიც მოჩანს დიფერენცირება, რომელსაც ქალის გვიანი არსება წარმოგვიდგენს. პატარა გოგო, როგორც წესი, ნაკლებად აგრესიული, ჯიუტი და მომთხოვნია, ჩანს, რომ მას უფრო მეტად აქვს მოთხოვნილება სინაზისა მის მიმართ რომ უნდა გამოიჩინონ. ამიტომ არის ის უფრო დამოკიდებული და დამჯერე, უფრო ადვილად და სწრაფად ეუფლება გამოყოფის აღზრდას, თუმცა ძალზე საალბათოა, ეს იყოს შედეგი ამ თვისებისა. შარდი და ღამის ქოთანი პირველი საჩუქარია, რომელსაც ბავშვი თავის მომვლელს უკეთებს და რომელთა დაუფლება პირველი დათმობაა, რასაც მოიპოვებს ბავშვურ ლტოლვათა ცხოვრებაში. ასევე გერჩება შთაბეჭდილება, რომ პატარა გოგო უფრო ინტელექტუალურია, ცხოველმყოფელია იმავე ასაკის ბიჭთან შედარებით. გოგო გარე სამყაროს უფრო უპირისპირდება, იმავდროულად უფრო

* პუბერტეტი – სექსუალური მომწიფება (რედ. შენიშვნა).

ახდენს ობიექტთა ძლიერ შენაცვლებას. არ ვიცი, განვითარების ეს ტენდენციები თუ განმტკიცება ხუსტი კონსტატაციებით. ყოველ შემთხვევაში, დგინდება, რომ გოგოს არ შეიძლება ეწოდოს ინტელექტუალურად ჩამორჩენილი, მაგრამ სქესთა ეს განსხვავება დიდად არ ძიძგება მხედველობაში. ისინი შეიძლება ინდივიდუალური ვარიაციებით შეიცვალოს. იმ მიზნებისათვის, რომელთაც უპირველეს ყოვლისა, მივსდევთ, შეიძლება მათი უგულებელყოფა.

ორივე სქესის ლიბიდოს განვითარების ადრეული ფაზები ერთნაირად განიცდება. შეიძლება მოველოდეთ, რომ უვეე სადისტურ-ანალურ ფაზაში გოგონასთან აგრესია ჩამორჩენილია. მაგრამ ეს ასე არ ხდება. ბავშვის თამაშის ანალიზმა ჩვენს ქალ-ანალიტიკოსებს აჩვენა, რომ პატარა გოგონების აგრესიული იმპულსები მდიდარია და ძლიერი. ფალურ ფაზაში შესვლით თავს იჩენს სქესთა განსხვავებანი. უნდა ვალიაროთ, რომ პატარა გოგო არის პატარა მამაკაცი. ცნობილია, ეს ფაზა ბიჭებთან იმით აღინიშნება, რომ ის თავისი პატარა პენისით სიამოვნებით სავსე სენსაციებს ქმნის და რომლის აგზნებული მდგომარეობა სექსუალურ ურთიერთობის მის წარმოდგენებთან იკრიბება. იგივეს აკეთებს გოგო მისი ჯერ კიდევ პატარა კლიტორით*. ჩანს, რომ მასთან ყველა ონანისტური აქტი პენისის ამ ეკვივალენტთან ხდება, რომ საკუთრივ სასქესო ორგანო ჯერ კიდევ აღმოუჩენელია ორივე სქესისათვის. ცალკეული ხმები თუმცა გვეუბნებიან ადრეული ვაგინალური სენსაციების თაობაზეც, მაგრამ ადვილი არაა, ასეთები განსხვავდეს ანალური, ანუ კარიბჭის სენსაციებისაგან. მათ არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ ითამაშონ დიდი როლი. ჩვენ დავადგინეთ, რომ გოგონას ფალურ ფაზაში კლიტორი წამყვანი ეროგენული ზონაა. მაგრამ ეს ასე არ უნდა დარჩეს, ქალურობისაკენ შემობრუნებით კლიტორმა უნდა შეგრძნებადობა და ამით მისი მნიშვნელობა მთლიანად ან ნაწილობრივ უაგინას დაუთმოს. ეს იქნებოდა ორიდან ერთი ამოცანა, რომელიც გადაწყდება ქალის განვითარებით, როცა ბედნიერი მამაკაცი სქესობრივი სიმწიფის დროს მხოლოდ გაგრძელებას საჭიროებს, იმისას, რაც მან სექსუალური აყვავების ადრე პერიოდში წინასწარ გააკარნახა.

* კლიტორი (klitoris) – დედაკაცის სასქესო ორგანოს ნაწილი.

კლიტორის როლს კიდევ დაუბრუნდებით. ახლა მივმართოთ მეორე ამოცანას, რომლითაც დამძიმებულია გოგოს განვითარება ბიჭის პირველი სიყვარულის ობიექტი დედაა, ის ამად რჩება ასევე ოიდიპოსის კომპლექსის ფორმაციაში, პრინციპში მთელი სიცოცხლის მანძილზე. გოგოსთვის დედაცა და მასთან შერწყმული ფეტიშალტები ძიძისა და მომვლელისა უნდა იყოს პირველი ობიექტი ობიექტის პირველი დაჭერა ხდება დიახაც, ცხოვრების დიდი და მარტივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან შეერთებით და ამდენად ბავშვზე მზრუნველი დამოკიდებულებანი ერთნაირია ორივე სქესისათვის. ოიდიპოსის სიტუაციაში გოგოსთვის მამა სიყვარულის ობიექტადაა გამხდარი, და ველოდებით, რომ მისი განვითარების ნორმალური მიმდინარეობისას მამის ობიექტიდან მოინახება ობიექტის საბოლოო არჩევანის გზა. მაშასადამე, გოგომ უნდა დრომთა ცვლილების შესაბამისად ეროგენული ზონები და ობიექტები შეცვალოს, რომელთაც, ორივეს, ბიჭი ინარჩუნებს. შემდეგ წამოიწევს საკითხი, თუ როგორ ხდება ეს. განსაკუთრებით კი – როგორ აღწევს გოგო დედიდან მამასთან დაკავშირებას, ანდა სხვა სიტყვებით, მისი მამაკაცური ფაზიდან ბიოლოგიურად განსაზღვრულ ქალურ ფაზას?

ეს იქნებოდა იდეალურად მარტივი გადაწყვეტა, თუკი დაუშვებდით, რომ გარკვეული ასაკიდან დაწყებული ხდება ელემენტარული ზეგავლენა საპირისპირო სქესის მიზიდვისათვის და პატარა ქალს ეს მიდენის მამაკაცისაკენ მაშინ, როცა იგივე კანონი ბიჭში დედასთან სიმჭიდროვეს უშვებს. დიახ, შეგვეძლო მიგვეღო, რომ ბავშვები მისდევენ სიგნალს, რომელსაც მათ აძლევთ მშობლების სქესობრივი უპირატესობა. მაგრამ ეს საკითხი არც თუ მთლად ადვილად უნდა გვქონდეს გაგებული; არ ვიცით, ის საიდუმლოებით სავსე, ანალიტურად შემდგომ დაყოფილი ძალა, რომლის შესახებაც პოეტები ამდენს ოცნებობენ, სერიოზულად ვირწმუნოთ თუ არა. ჩვენ გვაქვს სრულიად სხვა სახის ცნობა ძნელი გამოკვლევებიდან მიღებული. რომლისთვისაც მასალა, ყოველ შემთხვევაში, ადვილადაა მოსაპოვებელი. სახელდობრ, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ძალზე დიდია რიცხვი იმ ქალებისა, რომლებიც გვიან დრომდე ნაზ დამოკიდებულებაში არიან მამა – ობიექტთან. დიახ, კიდევაც რჩებიან

რეალურ მამასთან. ასეთ ქალებთან, რომლებიც ხასიათდებიან ინტენსიურ და ხანგრძლივი დაკავშირებით მამასთან, ჩვენ გასაოცარი კონსტანტაციით მოვახდინეთ. ჩვენ, ბუნებრივია, ვიცოდით, რომ იყო სწინა სტადია დედასთან დაკავშირებისა, მაგრამ არ ვიცოდით, თუ რა მდიდარი ყოფილი ის შინაარსით. ასეთი ვითარება ხანგრძლივად გრძელდება და შეუძლია დატოვოს საბაბი ფიქსირებისა და დისპოზიციებისათვის. ამ დროისათვის მამა არის მხოლოდ მაბეზარი მეტოქე; ზოგიერთ შემთხვევაში დედასთან დაკავშირება გრძელდება მეოთხე წლამდე. თითქმის ყველაფერი, რასაც მოგვიანოდ ვნახულობთ მამასთან მიმართებაში, გოგონაში უკვე იყო და ამის შემდეგ გადაიტანება მამაზე. მოკლედ, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ არ შეიძლება ქალის გაგება, თუკი არ შეეფასდა დედასთან პრეოდიპალური დაკავშირების ფაზა.

ახლა გვინდა ვიცოდეთ, როგორი ლიბიდინოზური დამოკიდებულებაა გოგონასი დედასთან. პასუხი ასეთია: დამოკიდებულება მრავალნაირია, ვინაიდან ლიბიდინოზური დამოკიდებულება ბავშვური სექსუალობის სამივე ფაზის გზით მიედინება, ცალკეული ფაზის ხასიათსაც იძენს; ორალური, სადისტურ–ანალური და ფალური სურვილებით გამოხატავს საკუთარ თავს, ეს სურვილები წარმოადგენენ როგორც აქტიურ, ისე პასიურ ფაქტებებს.

როცა ისინი მიმართებაში მიჰყავთ მოგვიანო სქესთა დიფერენციაციასთან, რაც შეძლებისდაგვარად უნდათ თავიდან აიცილონ, მათ შეიძლება ეწოდოთ მამაკაცური და ქალური. ამის გარდა, ისინი მოლიანად ამბივალენტურია, როგორც ნახია, ისე მტრულ–აგრესიული ბუნებისაა. უკანასკნელი ხშირად მხოლოდ მაშინ მოგვეცნობიან, როცა გადაიქცევიან შიშის წარმოდგენად. ყოველთვის ადვილი არაა ამ ადრეული სექსუალური სურვილების ფორმულირების ჩვენება. ყველაზე ნათლად სურვილი ვლინდება დედის მიერ ბავშვის გაჩენაში, როგორც მის შესატყვისში – დედის მიერ ბავშვის შეძენაში. ორივე ფალურ ფაზას ეკუთვნის, საკმაოდ უცხოა, მაგრამ ყოველგვარი ეჭვი გაფანტულია ანალიტური დაკვირვების გზით რომ დგინდება. ბიძგი ამ გამოკვლევებისა ძევს მათ მიერ შეშოთავაზებულ საოცარ ცალკეულ მიგნებაში, მაგალითად აღმოჩნდა, რომ შიშს, რომელიც დამლუპველი ან მომწამვლელია, მოგვიანებით შე-

უძლია შექმნას პარანოიდური დაავადების გული. შიში შ
პრეოდიპალურ დროში მიმართულია დედაზე. ანდა სხვა შემთხვ
გაიხსენეთ საინტერესო ეპიზოდი ანალიზური გამოკვლევის ის
რიიდან, რომელმაც მე მრავალი უსიამოვნო საათი მომიტანა
დროს, როცა მთავარი ინტერესი მიმართული იყო ბავშვის სექსუ
ლური სიზმრების აღმოჩენაზე, თითქმის ყველა პაციენტი ქ
მიყვებოდა, რომ ისინი მამისაგან იყვნენ შეცდენილნი. მე სა
ოდ მივედი შეხედულებამდე, რომ ეს ჩვენებები არ იყო სწორი
ასე გავიგე, რომ ისტერიული სიმპტომები გამოიყვანებიან ფან
ზიებიდან და არა რეალური შემთხვევებიდან. მხოლოდ უფრო მ
ვიანებით გავიგე, ამ ფანტაზიაში მამის მიერ შეცდენის გამოსახ
ტიპიური ოიდიპოსის კომპლექსი რომაა ქალთან. და ახლაც კმა
ლობთ გოგონათა პრეოდიპალურ წინა ისტორიაში შეცდენის ფან
ტაზიას, მაგრამ შემცდენელი კანონზომიერად დედაა. მაგრამ ფანტა
ზია აქ ეხება სინამდვილეს, რამდენადაც მართლაც დედა იყო ის
ვინც, სხეულის მოვლის პროცესში იწვევდა სასქესო ორგანოების
სიამოვნების შეგრძნებას. ალბათ შესაძლებელია თავდაპირველად
გაეღვიძებინა კიდევაც ისინი.

ველოდები, გამოთქვათ ეჭვი, რომ პატარა გოგოს დედისადმი
სექსუალური დამოკიდებულების მრავალწაირობისა და სიძლიერის
აღნიშნული გადმოცემა ფრიად გაზვიადებულია. ხომ გვაქვს საშ
ალება, პატარა გოგონებს დავაკვირდეთ – და მათთან მსგავს რაიმეს
ვერ ვამჩნევთ. მაგრამ შეპასუხება არ მართლდება. შეიძლება ბა
შვებთანაც საკმარისად დავინახოთ, თუკი გვაქვს დაკვირვების სი
და, ამას გარდა, თუკი გნებავთ გაიზიაროთ, ბავშვი რა ნაკლებად
გამოხატავს თავის სექსუალურ სურვილებს წინაცნობიერად. ჩვ
ნაცად წესს მივმართავთ, როცა პირებთან უკანა რიცხვით ნარჩე
ნებსა და ამ გრძნობათა სამყაროს თანმიმდევრობას ვსწავლობთ,
რომლებთანაც განვითარების ეს პროცესები აღწევენ განსაკუთრე
ბით ნაოელ ან ზედმეტ სრულყოფას. პათოლოგია მუდამ გვიწვევს
სამსახურს გამოცალკევებითა და გადამეტებით შესამჩნევი გახ
დოს მიმართებები, რომლებიც ნორმალურ ვითარებაში დაფარული
დარჩებოდნენ. და ვინადან ჩვენი გამოკვლევები არაა ჩატარებული
მძიმე არანორმალურ ადამიანებთან, ყფიქრობ, უფლება გვაქვს მი

შეღებები სარწმუნოდ ჩავთვალოთ.

ახლა ჩვენ ინტერესს წავმართავთ საკითხზე, თუ რატომ ისპო
ბა გოგოს ეს ძლიერი დაკავშირება დედასთან. ვიცით, ეს მისი
ჩვეულებრივი ბედია და იმითაა განსაზღვრული, რომ ადგილი დაი
ჭიროს მამასთან კავშირმა. აქ ვაწყდებით ერთ ფაქტს, რომელიც
გვიჩვენებს შემდგომ გზას. ამჯერად ლაპარაკია ობიექტის არა
უბრალო ცვლილებაზე განვითარებაში. დედიდან შემობრუნება ხდე
ბა მტრული ნიშნით, დედასთან დაკავშირება გადადის სიძულვილ
ში. ახეთი სიძულვილი შეიძლება თვალში საცემი იყოს და მთელი
ცხოვრების მანძილზე გრძელდებოდეს. ის მოგვიანებით შეიძლება
საგულდაგულოდ იყოს ზეკომპენსირებული; როგორც წესი, ერთი
საწილი გოგოს მიერ დაიძლევა, მეორე ნაწილი კი რჩება. ამაზე
წლების სდომილებებს, ბუნებრივია, ძლიერი გავლენა აქვთ. ჩვენ
შეშვიფარგლებით იმით, რომ შევისწავლოთ ის მამისკენ შემობ
რუნების დროისათვის და მისი მოტივირება ვიკითხოთ. შემდეგ
ჩვენ გვესმის დედის წინააღმდეგ მიმართული გრძელი სია ბრალდე
ბისა და საჩივრისა, რომელმაც უნდა გაამართლოს ბავშვის მტრუ
ლი გრძნობები ძალზე განსხვავებული ღირებულებებით, რომელთა
შეფასებას ჩვენ ხელიდან არ გავუშვებთ. ზოგიერთი ცხადი რაცი
ონალიზაციაა, ნამდვილი წყაროები მტრობისა დასაძებნია. ვიმედოვ
ნებ, მონაწილეობას მიიღებთ იმაში, თუკი მე თქვენ ამჯერად ფსი
ქოანალიზური გამოკვლევის ყველა დეტალის გზით წაგიყვანთ.

ძალზე შორს მიმაჯალი დედისადმი საყვედური იმაზე მიუთი
თებს, რომ მან ბავშვს ცოტა რძე მისცა, რაც მასთან ინტერპრე
ტირდება როგორც სიყვარულის სინაკლულე. ამ საყვედურს ახლა
ჩვენს ოჯახებში აქვს გარკვეული გამართლება იმდენად, რამდენა
დაც დედები ხშირად არასაკმარისად კვებავენ ბავშვს და იმით
კმაყოფილდებიან, რომ ბავშვს ძუძუს აწოვებენ რამდენიმე თვეს,
ნახევარ წელს ან ცხრა თვეს. პრიმიტიულ ჩალხებში კი ბავშვები
დედის მკერდით იკვებებიან ორ–სამ წლამდე. როგორც წესი, მკვე
ბავი ძიძის სახე შერწყმულია დედასთან. სადაც ასე არ ხდება,
საყვედური სხვებზე გადადის, რომ ბავშვის კარგად მკვებავი ძიძა
ადრე დაითხოვეს. მაგრამ რაც ნამდვილი საქმის ვითარება შეიძლე
ბა იყოს, ესაა შეუძლებლობა, რომ ბავშვის საყვედური ასე ხშირად

მართლდებოდეს, ვიდრე მას კბენდებით. პირიქით, ჩანს, რომ ბავშვის სიხარბე პირველი კბების შემდეგ საერთოდ დაუცხრომელია. რომ ის დედის მკერდის დაკარგვას ვერასდროს ვერ მოითმენს. სრულად არ გავცდებოდი, თუკი ანალიზი იმ პრიმიტივისა, რომელსაც ჯერ კიდევ დედის მკერდით იკვებება, უკვე დარბის და მეტყველებს, იგივე საფუძვლურს გამოამჟღავნებდა. მკერდის მოცილებასთან ალბათ დაკავშირებულია მოწამვლის შიშიც. საწამლავი დამაკმაყოფილებელი პროდუქტია. ალბათ ბავშვს თავისი ადრეული დაკვირვებები დაჰყავს ამ უარისთქმაზე. ინტელექტუალური განსწავლულობის მომენტი ისაა, რომ შემთხვევა ირწმუნა; პრიმიტივი, გაუნათლებელი, რა თქმა უნდა, ბავშვიც, ყველაფრისათვის, რაც ხდება, საფუძველს ასახელებს. ალბათ თავდაპირველად ეს იყო მოტივი ახლის მის მნიშვნელობით. ჩვენი მოსახლეობის ზოგიერთ ფენაში გაბატონებულია აზრი, რომ არავინ არ შეიძლება მოკვდეს, თუ ის სხვამ არ დალუპა, პირველ რიგში ექიმმა. კანონზომიერი ნევროტული რეაქცია ახლობელი პერსონის სიკვდილზე არის მაინც თვითბრალდება, რომ მან თვითონ განაპირობა სიკვდილი.

შემდეგი ბრალდება დედის მიმართ მაშინ წამოიჭრება, როცა ჩნდება მომდევნო ბავშვი, შესაძლებელობისდაგვარად დედა მტკიცედ დგას კავშირში ორალურ უარყოფასთან. დედას არ შეუძლიან არ უნდა ბავშვს მისცეს რძე, ვინაიდან საკვებს საჭიროებს ახლად მოვლენილი. იმ შემთხვევაში, როცა ბავშვები ახლო მომყოლია, როცა რძის გამოყოფა (ლაქტაცია) მეორე ორსულობით დარღვეულია, საყვედური რეალურ საფუძველს იძენს და საოცარია, რომ ბავშვი მხოლოდ თერთმეტი თვის სხვაობის დროსაც არაპატარა, რათა საქმის ვითარების გაეცნოს. მაგრამ ბავშვს არა მხოლოდ საკვები რძე შურს არასასურველი მოწინააღმდეგისა და მეტოქისა, არამედ დედობრივი ზრუნვის ყველა დანარჩენი ნიშანიც. ის საკუთარ თავს გრძნობს დამხობილად, განძარცვულად, თავის უფლებებში შელახულად, იჭვიანი სიძულვილით განწყობილია პატარა და-ძმების მიმართ და არაერთგულ დედაზე გადააქვს გულის წყრომა, რომელიც ძალზე ხშირად გამოიხატება თავისი ქცევის არასასიამოვნო ცვლილებებში. ის ხდება "ცუდი", აგზნებული, გაუგონარი და ცვლის სეკრეციის შესაძენს. ყველაფერი ეს დიდი ხანა

ცნობილია და მიღებულია როგორც თავისთავად გასაგები, მაგრამ ჩვენ იშვიათად ვქმნით სწორ წარმოდგენას ამ ეჭვიან წაქეზებათა სიძლიერის შესახებ, სიმკაცრის შესახებ, რომელთანაც რჩება მიკრული, ასევე მოგვიანო განვითარებაზე მისი ზეგავლენის სიდიდის შესახებ, განსაკუთრებით, ვინაიდან ეს ეჭვიანობა ბავშვობის შემდგომ წლებში მუდამ ახალი საკვებით მარაგდება და იგივე ძლიერი შერევა ყოველ ახალ და-ძმებთან მეორდება. ასევე ბევრი არაფერი იცვლება იმით, თუ ბავშვი დედის უპირატეს საყვარელ არსებად რჩება, ბავშვის საყვარულის პრეტენზია დაუოკებელია, მოითხოვს განსაკუთრებულობას, არ დაუშვებს მის გაყოფას.

დედის მიმართ ბავშვის მტრობის მდიდარი წყაროებიდან გამომდინარეობს მისი მრავალნაირი, ლიბიდოს ფაზების მიხედვით ცვლადი სექსუალური სურვილები, რომლებიც ხშირად არ კმაყოფილდებიან. ფალურ დროში ხდება ყველაზე დიდი წარუმატებლობა, როცა დედა სიამოვნებით სავსე მოქმედებას თავაზობს ბავშვს გენიტალიებთან – ხშირად მკაცრი მუქარით და გულისწყრომის ყველა ნიშნით – რომელთანაც თვითონ ბავშვი მაინც მიდის. უნდა გვეფიქრა, ეს საკმარისი მოტივები იქნებოდა გოგოსთვის დედიდან მემობრუნებისა. მაშინ იმსჯელებდნენ, რომ აღნიშნული გაორება მომდინარეობს უცილობლად ბავშვური სექსუალობიდან, სიყვარულის მოთხოვნის შეუკავებლობიდან და სექსუალური სურვილების განუხორციელობლიდან. დიახ, ალბათ ფიქრობენ კიდეც – ბავშვის პირველი სიყვარულის დამოკიდებულება დასალუპადაა განწირული სწორედ იმიტომ, რომ ის პირველია, რამდენადაც ეს ადრეული ობიექტის დაკავება წესზომიერად მალალი ხარისხითაა ამბივალენტური; ძლიერი სიყვარულის გვერდით მუდამაა აგრესიისადმი ძლიერი მიდრეკილება, და რაც უფრო ენებით უყვარს ბავშვს თავისი ობიექტი, მით მგრძნობიარეა ობიექტისაგან იმედის გაცრუების მიმართ და საკუთარი წარუმატებლობის გამო. საბოლოოდ სიყვარული უნდა შეეწიროს დაგროვილ მტრობას, ანდა შეიძლება უარყოს ასეთი თავდაპირველადი ამბივალენტობა სიყვარულის დაჭერისა და იმაზე მიუთითოს, რომ ესაა განსაკუთრებული ბუნება დედა-ბავშვის მიმართებისა, რომელსაც მივყავართ, მსგავსი აუცილებლობით, ბავშვის სიყვარულის აშლილობამდე, რამდენადაც ასევე უფა-

ქიზეს აღზრდას შეუძლია იძულება მოახდინოს, შეზღუდვები შეი-
იტანოს და ყოველმა ასეთმა შემოტევამ ბავშვის თავისუფლებაზე
რეაქციის სახით გამოიწვიოს მიდრეკილება წინააღმდეგობის გაწევ-
სა და აგრესიისადმი. ვფიქრობ, ამ შესაძლებლობათა შესახებ ინტე-
რესი დიდი იქნებოდა, მაგრამ აქ უმალ ჩნდება წინააღმდეგობა,
რომელსაც ჩვენი დაინტერესება სხვა მიმართულებით მიჰყავს. ყველა
ეს მომენტი – წყენინებანი, სიყვარულის აშლილობანი, ეჭვი, ცილისწა-
შემდგომი აკრძალვისა მოქმედებს ასევე ბიჭების დედისადმი დამოკი-
დებულებაში და მაინც არ შეუძლიათ მათ დედის ობიექტიდან გა-
უცხოება. თუკი ვერ ვნახავთ სპეციფიკურს გოგოსთვის – ბიჭებისას ეს
ან არაა – ან ასე არაა, ვერ ავხსნით მის დედასთან დაკავშირების
ამოსავალს.

ვფიქრობ, მოვნახეთ სპეციფიკური მომენტი, სახელდობრ, მის-
ლოდნელ ადგილზე, თუმცა საოცარი ფორმით. მოსალოდნელ ად-
გილზეო, ვამბობ, რადგანაც ის ძევს კასტრაციის კომპლექსში
ანატომიური განსხვავება უნდა გამოიკვეთოს ხომ ფსიქოლოგიურ
შედეგებში? მაგრამ მოულოდნელობა ის იყო, რაც ანალიზიდან
გავიგეთ, გოგო პასუხისმგებელს ხდის დედას თავისი პენისის ნაკ-
ლოვანებისათვის და მას ამ წყენინობას არ პატიობს.

როგორც უკვე იცით დედაკაცს ჩვენ მივაწერთ ასევე კასტრა-
ციის კომპლექსს. მაგრამ გარკვეული მიზეზით მას არ შეიძლება
იგივე შინაარსი ჰქონდეს, რაც ბიჭთან. აღნიშნულთან კასტრაციის
კომპლექსი აღმოცენდება მას შემდეგ, რაც ის ქალის გენიტალის
შეხედვით იგებს, რომ მის მიერ ასე დიდად შეფასებული ასო არ
ყოფილა აუცილებელი სხეულს თან ახლდეს. მას ახსოვს მუქარები,
რაც ასოსთან საქმიანობას უკავშირდება, მას ესდობა და აქედან
მოფოლებული ვარდება **კასტრაციის შიშის** ზემოქმედების ქვეშ, რო-
მელიც მისი შემდგომი განვითარების ძლიერი მოტივი ხდება, გო-
გოს კასტრაციის კომპლექსიც სხვა გენიტალის შეხედვით იწყება
ის მაშინვე აძრწენს განსხვავებას და – უნდა ვაღიაროთ – მისსავე
მნიშვნელობასაც. გოგო გრძნობს თავს მეტად შევიწროებულად,
ხშირად ამბობს, შეიძლებოდა "რაღაც კიდევ ჰქონოდა" და ვარდება
პენისის შურის მდგომარეობაში, რომელიც წარუშლელ კვალს ტო-
ვებს მის განვითარებასა და ხასიათის ფორმირებაზე, ასევე, ხელ-

საწყელ შემთხვევაში, მძიმე ფსიქიკური დანახარჯით გადალახება.
გოგო რომ პენისის ნაკლოვანების ფაქტს ცნობს, ამით არ უნდა
ნიშნავდეს, რომ ის ამ სურვილს ადვილად ემორჩილება. პირიქით, დიდ-
ხანს აქვს ნატვრა, ასევე რაღაც მიიღოს, ფიქრობს ამ შესაძლებლო-
ბაზე წარმოუდგენლად ხანგრძლივად და იმ დროისათვისაც კი, რო-
ცა ცოდნა რეალობის შესახებ ამ სურვილის განხორციელებას დიდი
ხნით, როგორც მიუღწეველს, თავიდან იშორებს; ანალიზს შეუძლია
აჩვენოს, რომ ნატვრა არაცნობიერებაშია დარჩენილი და ენერგიის
მნიშვნელოვან მუხტს ინახავს. სურვილს, საბოლოოდ მაინც მიიღოს
მეტად სასურველი პენისი, შეუძლია კიდეც წვლილი შეიტანოს
მოტივებში, რომელიც მომწიფებულ ქალს ანალიზისაკენ უბიძგებს,
და რასაც ის შეიძლება მოელოდეს გონივრულად ანალიზიდან. რა-
ც უნარი სრულყოს ინტელექტუალური პროფესია, ხშირად გაიგე-
ბა, როგორც სუბლიმირებული ვარიაცია ამ განდევნილი სურვილისა.

პენისის შურის მნიშვნელობაზე არ შეიძლება დაეჭვება. მოის-
ხსენეთ მაგალითის სახით მამაკაცის უსამართლო მტკიცება, თითქოს
ქალებთან შედარებით ქალების სულიერ ცხოვრებაში უფრო დიდ
როლს თამაშობს შური და ეჭვი. არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს
მოსაზრება მამაკაცებთან არ შეინიშნება, ანდა ვალიაროთ, რომ მათ
ქალებთან სხვა ძირი არ გააჩნიათ, ვიდრე პენისის შურისა, მაგრამ
ჩვენ მიდრეკილნი ვართ, ქალებს მივაწეროთ ეს უკანასკნელი ზე-
გავლენა უფრო მეტად. ზოგიერთი ანალიტიკოსის მიხედვით, ის
პირველი ბიძგი პენისის შურისა ფალურ ფაზაში თავისი მნიშვნე-
ლობით კლებულობს. თქვენ ფიქრობთ, თუ რას ვნახულობთ ქალებ-
თან ამ განწყობის შესახებ, მთავარი საქმეა მეორეული ფორმირება,
რომელიც მოგვიანო კონფლიქტების კითარებაში რეგრესიის გზით,
როგორც ადრეული ინფანტილური წაქეზება წარმოდგება. ესაა
სიღრმის ფსიქოლოგიის ზოგადი პრობლემა. მრავალ პათოლოგიურ
– ან ასევე მხოლოდ არაჩვეულებრივ – ლტოლვის განწყობასთან,
მაგალ., ყველა სექსუალურ აშლილობასთან, საკითხავია, რამდენი
ძალა მიეკუთვნება ადრეინფანტილურ ფიქსირებებს, რამდენი – მოგ-
ვიანო განცდების ზემოქმედებასა და განვითარებას, ამასთან ლაპა-
რაკია თითქმის მუდამ შემავსებელ რიგებზე, როგორც ეს დავუშ-
ვით ნევროზთა ეტიოლოგიის განმარტებისას. ორივე მომენტი ნა-

წილდება ცვლადი ზომით მიზეზებში. ერთ მხარეზე მცირე ნაწილი მეორე მხარეზე დიდი ნაწილით აღდგება. ყველა შემთხვევაში ეს ფანტილი მიმართულების მიმცემია, ყოველთვის არა, მაგრამ მაინც ხშირადაა გადამწყვეტი. სწორედ პენისის შურის შემთხვევაში შე მიძღია გადაჭრით დავიცვა ინფანტილური მომენტის უპირატესობა.

საკუთარი კასტრაციის აღმოჩენა შემობრუნების წერტილია გო გოს განვითარებაში. მისგან მომდინარეობს განვითარების სამი მი მართულება. ერთს მივყავართ სექსუალურ შეკავებამდე ან ნევროზამ დე, მეორეს – ხასიათის ცვლილებამდე მამაკაცური კომპლექსის გაგე ბით, უკანასკნელს საბოლოოდ – ნორმალურ ქალურობამდე. ყველ მათგანზე საკმაოდ ბევრი რამ ვიცით, თუმცა არა ყველაფერი. არს ბითი შინაარსი პირველისა ისაა, რომ პატარა გოგო, რომელიც აქამდე მამაკაცურად ცხოვრობდა და თავისი კლიტორის აგზნებით სიამოვნებას იწვევდა, ამ ქცევას აკავშირებს თავის ხშირ აქტიურ სექსუალურ სურვილებთან, რომელიც დედას ეხება; პენისის შურის ზეგავლენით ის თავის ფალურ სექსუალობას ღუპავს. მრავალჯერ უკეთ მოწყობილ ბიჭებთან შედარებით, დაავადებულნი თვითსიყვარუ ლით, გოგო უკუაგდებს კლიტორით მასტურბაციულ დაკმაყოფილე ბას, უარყოფს დედისადმი სიყვარულს და ამასთან არც თუ იშვიათად განდევნის საერთოდ სექსუალურ მისწრაფებებს. დედისაგან შემობ რუნება მართლაც უცებ ერთი დარტყმით არ ხდება, რადგანაც გოგო თავის კასტრაციას თვლის პირველად ინდივიდუალურ უბედურებად მხოლოდ თანდათანობით აგრძელებს მას სხვა ქალებზეც, საბოლოო ოდ დედაზეც. გოგოს სიყვარული ეხება, ფალურ დედას; აღმოჩენით, რომ დედა კასტრირებულია, შესაძლებელი ხდება მისი, როგორც სიყვარულის ობიექტის, მოსპობა. ასე რომ, ხანგრძლივად დაგროვილი მტრობის მოტივები იმარჯვებს. მაშასადამე, ეს ნიშნავს, რომ უპენისო ბის აღმოჩენით ქალი გოგოს თვალში ისევე უფასურდება, როგორც ბიჭის თვალში და მოგვიანებით ალბათ მამაკაცის თვალში.

ყველამ ვიცით, უპირატესად როგორ ეტიოლოგიურ მნიშვნე ლობას ანიჭებენ ნევროტიკები თავიანთ ონანიას*. ისინი პასუხის მგებელს ხდიან მას ყველა მათი სნეულებისათვის და ჩვენ დიდი

* ონანია ანუ მასტურბაცია – სქესობრივი აქტის გარეშე ხელოვნური გაღიზი ანება სქესობრივი აგზნებისა და სქესობრივი გრძნობის დაკმაყოფილების მიზნით (რედ. შენიშვნა)

ძალისხმევა გვჭირდება დარწმუნებისათვის, რომ ისინი ცდებიან. მაგრამ არსებითად ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ სწორნი არიან. ვისაიდან ონანია არის ბავშვური სექსუალობის აღმსრულებელი ძალაუფლება, რომლის არასწორი განვითარებით ისინი, რა თქმა უნდა, იტანჯებიან. უფრო მეტად ნევროტიკები ბრალს დებენ პა ტერტეტის ონანიას; ხშირად ივიწყებენ ადრეული ბავშვობის ონანი ას, სინამდვილეში მასზე რომ მოდის მახვილი. მე მინდოდა ერ თხელ მჭონოდა შესაძლებლობა თქვენთვის დაწვრილებით გადმომე ცა, თუ რა მნიშვნელოვანი ხდება ადრეული ონანიის ყველა ფაქტი ური ცალკეულობანი გვიანი ნევროზის, ან ცალკეული ხასიათისათ ვის, აღმოჩნდება თუ არა, მშობლები მას ებრძვიან, ყურადღების გარეშე ტოვებენ, თუ თვითონ პერსონი აღწევს მის დათრგუნვას. ყველაფერი ეს წარუხოცელ ქვალს ტოვებს პერსონის განვითარე ბაში. მაგრამ მე, პირიქით, მახარებს, რომ ამის გაკეთება არ მჭირ დება; ეს იქნებოდა ძნელი, ხანგრძლივი ამოცანა და ბოლოს თქვენ ჩამაგდებდით უხერხულ მდგომარეობაში, ვინაიდან ჩემგან მოითხ ოვდით უთუოდ პრაქტიკულ რჩევას, როგორ უნდა მოვქცეულიყა ვით მშობელი, ანდა აღმზრდელი, პატარა ბავშვის ონანიის მიმართ. გოგოს განვითარებაში, როგორც გაჩვენეთ და მაგალითითაც და ვასტურეთ ბავშვი თვითონ იღწვის ონანიისაგან განთავისუფლები სათვის'იგი'-ს მაგრამ ამას ყოველთვის ვერ აღწევს. როცა პენისის შურის ძლიერ იძულებს აღვიძებს კლიტორული ონანიის საპირისპი როდ, და ამ უკანასკნელს მაინც ნებავს უკანდახევა, იწყება მძიმე ბრძოლა განთავისუფლებისათვის, რომელშიც გოგო თითქოსდა ახ ლა თვითონ იღებს დატოვებული დედის როლს და თავის მთელ უკმაყოფილებას გამოთქვამს ნაკლებღირებული კლიტორით საპი რისპირო მისწრაფებაში მასთან დაკმაყოფილების მიმართ. მრავალი წლის შემდეგ, როცა ონანისტური საქმიანობა დიდი ხნის დათრგუ ნულია კიდევ გრძელდება ინტერესი, რომელიც უნდა გავიგოთ როგორც თავდაცვა მუდამ საშიში ცდუნებისაგან. ის ვლინდება იმ პერსონებისადმი სიმპათიაში, რომელნიც მსგავსი სიძნელეების მფლობელნი არიან, ის მოტივია დაჭორწინებისა. დიახ, მას შეუძ ლია განსაზღვროს არჩევანი ცოლქმრობის ან სიყვარულის პარტნი ორობისა. ადრებავშვობის მასტრუბაციის დამთავრება არაა ჭეშმა-

რიტად ადვილი, ან განურჩეველი საქმე.

კლიტორული მასტურბაციის შეწყვეტით აქტიურობის ერთი წ წილი უარიყოფა. პასივობა იმარჯვებს. მისკენ შემობრუნება ხორ ციელდება უპირატესად პასიურ ლტოლვათა წაქეზების დახმარე ბით. შეიცნობთ, რომ განვითარების ასეთი ბიძგი, რომელიც გზიდან იშორებს ფალურ აქტივობას, ამზადებს ქალურობის ნიადაგს. ამას თან, როცა არც თუ ბევრი განდევნის გზით იკარგება, ქალურობა ნორმალურ შედეგს იძლევა. სურვილი, რომლითაც გოგო მამისკენ შემობრუნდება, თავდაპირველად მართლაც პენისის სურვილია, რო მელზეც დედისაგან უარი მიიღო და რომელსაც ახლა მამისაგან მოელის. მაგრამ ქალური სიტუაცია მხოლოდ მაშინ აღდგება, რო ცა სურვილი პენისისა შეინაცვლება ბავშვის ყოლის სურვილით. მაშ, ბავშვი გამოდის პენისის ადგილზე ძველი სიმბოლური ეკვივა ლენტის მიხედვით. მხედველობიდან არ ვუშვებთ, რომ გოგო უკვე ადრე, მშვიდ ფალურ ფაზაში, ოცნებობდა ბავშვზე; ეს იყო აზრი მისი თოჯინებით თამაშისა. მაგრამ ეს თამაში არსებითად არ იყო მისი ქალურობის გამოხატულება, ის ემსახურებოდა დედის იდენ ტიფიკაციას პასივობის აქტივობით შენაცვლების განზრახვით. ის თამაშობდა დედას, თოჯინა კი თვითონ იყო; მას შეეძლო ახლა ბავშვთან ყველაფერი გაეკეთებინა, რასაც დედა ჩვეულებრივ აკე თებდა მასთან. პენისის სურვილის ჩართვით თოჯინა–ბავშვი იქცევა მამის ბავშვად და აქედან დაწყებული მძლავრ ქალურ მიზან სურვილად. ბედნიერება განუზომელია, როცა ბავშვის ეს სურვილი მოგვიანებით ნახულობს რეალურ განხორციელებას, სავსებით გან საკუთრებულს მაშინ, როცა ბავშვი ბიჭუკელაა, რომელსაც აქვს სახურველი პენისი. დაპირისპირებაში "მამის ბავშვი" ხშირად მახ ვილი მოდის ბავშვზე, ხოლო მამა უმახვილოა. ასე ნათდება ძველი მამაკაცური სურვილი პენისის ფლობისა კიდევ დასრულებული ქალურობით. მაგრამ ალბათ ჩვენ უნდა ვაღიაროთ ეს პენისის სურვილი უფრო როგორც განსაკუთრებით ქალურისა.

ბავშვი – პენისის სურვილის გადატანით მამაზე გოგო შედის ოიდიპოს კომპლექსის სიტუაციაში. დედის მიმართ მტრობა, რომე ლიც არ საჭიროებს ხელახლა შექმნას, ახლა დიდად ძლიერდება, რადგანაც დედა იქცევა მოქიშპედ, რომელიც მამისაგან იძენს ყვე

ლაფერს, რასაც გოგო მისგანვე მოითხოვს. გოგოს ოიდიპოსის კომპლექსი ხანგრძლივად გვფარავს ჩვენ პრეოდიპალურ დედასთან მის დაკავშირებას რომ დავაკვირდეთ, რომელიც, მაინც ასე მნიშ ვნელოვანია და ასე ხანგრძლივ ფიქსირებებს ტოვებს. გოგოსთვის ოიდიპოსის სიტუაცია ამოსავალია ხანგრძლივი და ძნელი განვითა რებისა, დასრულების წინასწარი სახეა, დასვენების პოზიციაა, რო მელსაც ასე მალე ვერ ტოვებენ, განსაკუთრებით იქ, სადაც ლატენ ტური დროის დასაწყისი შორს არაა. ოიდიპოსის კომპლექსის კასტრაციის კომპლექსთან მიმართებაში თვალში საცემია სქესთა შორის განსხვავება, რომელიც ალბათ საბედისწეროა. ბიჭის ოდი პოსის კომპლექსი, რომელშიც ის თავის დედას მოითხოვს და მოქიშპე მამის თავიდან მოშორება უნდა, გითარდება, ბუნებრივია, ფალური სექსუალობის ფაზიდან. მაგრამ კასტრაციის შეშინე ბულებს მას ეს განწყობა შეცვალოს. პენისის დაკარგვის საშიშრო ების ზეგავლენის ქვეშ ოიდიპოსის კომპლექსი მიიტოვება, განიდევ ნება, ნორმალურ შემთხვევაში არსებითად იმსხვრევა და მისი შემ კვდრეობა მკაცრ, "ზე–შე"-ში ჩაირთვება. რაც გოგონასთან ხდება, ითქმის ამის საპირისპიროა. კასტრაციის კომპლექსი ამზადებს ოიდიპოსის კომპლექსს ნაცვლად მისი მოსპობისა; პენისის შურის ზეგავლენით გოგო დედასთან დაკავშირებიდან განიდევნება და შე იყვანება ოიდიპოსის სიტუაციაში, როგორც ნავთსაყუდელში. კას ტრაციის შიშის გაუქმებით გამოირიცხება მთავარი მოტივი, რომე ლიც ბიჭს აიძულებს ოიდიპოსის კომპლექსის დაძლევას. გოგო შიში რჩება განუსაზღვრელი ხანგრძლივობით, მხოლოდ მოგვიანე ბით აუქმებს მას და ისიც არასრულფასოვნად. "ზე–შე"-ს ფორმირება უნდა ამ მიმართებებში იტანჯოს, მას არ შეუძლია მიაღწიოს სიძლი ერესა და დამოუკიდებლობას, რომელსაც მას მისი კულტურული მნიშვნელობა ანიჭებს – და ფემინისტები ხალისით ვერ ისმენენ, როცა მიუთითებენ ამ მომენტის ზემოქმედების შესახებ საშუალო ქალურ ხასიათზე.

დავბრუნდეთ უკან: როგორც მეორე შესაძლო რეაქცია ქალუ რი კასტრაციის აღმოჩენისა, მოვიხსენიეთ მამაკაცური ძლიერი კომპლექსის განვითარება. ამით ისაა ნაგულისხმები, რომ გოგო თითქოს წინააღმდეგობას წევს აღიაროს უსიამოვნო ფაქტი, თვით-

ნებურ აღშფოთებაში თავის აქამომდელ მამაკაცურობას კიდევ გ
დაამეტებს, თავის კლიტორულ ქცევაზე მტკიცედ დგას და თავს
საფარს ეძიებს იდენტიფიცირებაში ფალურ დედასთან ან მამასთან
რა შეიძლება იყოს ამ ამოსავლისთვის გადამწყვეტი? სხვას კერ
წარმოვიდგენთ, თუ არა კონსტიტუციონალურ ფაქტორს, აქტიურ
ბის დიდ მოცულობას, რაც, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია მამა
კაცისათვის. პროცესისათვის არსებითი მაინც ისაა, რომ განვითა
რების ამ ადგილზე უარიყოფა პასივობის ბიძგი, რაც გახსნის
ქალურობის შემობრუნებას. უკიდურესი შედეგი ამ მამაკაცურობის
კომპლექსისა ჩანს როგორც ზემოქმედება ობიექტის ირჩევაზე მა
ნიფესტური ჰომოსექსუალების აზრით. თუმცა ანალიზური გამოკ
ვლევა გვასწავლის, რომ ქალური ჰომოსექსუალობა იშვიათად ან
არასდროს, არ აგრძელებს სწორხაზობრივად ინფანტილურ მამაკ
ცობას. ჩანს, ამასვე განეკუთვნება, რომ ასეთი გოგონებიც მცირე
ხნით ობიექტად იღებენ მამას და შედიან ოიდიპოსის სიტუაციაში.
მაგრამ შემდეგ ისინი მამასთან უეჭველი გულგატეხილობის გზით
განიღვენებიან რეგრესიამდე მის ადრეულ მამაკაცურ კომპლექსზე.
ამ გულგატეხილობათა მნიშვნელობა არ უნდა გადაფასდეს; მაი
გვერდი არ აევლებათ ქალურობისათვის მზადმყოფ გოგოსთან. მიუ
ხედავად იმისა, რომ ამჯერად იგივე შედეგი არა აქვთ. კონსტიტუ
ციონალური მომენტის ძალის უპირატესობა უდავოა, მაგრამ ორი
ფაზა ქალური ჰომოსექსუალობის განვითარებაში მშვენივრად აისა
ხება ჰომოსექსუალთა პრაქტიკაში, რომელსაც ასე ხშირად და ასე
ნათლად ისე გაითამაშებენ ერთმანეთში დედა და ბავშვი, როგორც
დაც კაცი და ქალი.

რაც თქვენ აქ მოგიყევით, ესაა, ასე რომ ვთქვათ, ქალის წინა
ისტორია. ესაა უკანასკნელი წლების მონაპოვარი, ის შეიძლება
თქვენთვის საინტერესო იყოს როგორც მოსინჯვა მცირე ანალიტუ
რი სამუშაოსი. ვინაიდან თემა თვითონ ქალია, ჩემს თავს ნებას
ვრთავ, ამჯერად სახელდებით მოვიხსენიო ზოგიერთი ქალი, რო
მელთაც ამ გამოკვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. დრ
რუთ მაკ ბრუნ-სვიკმა (Dr. Ruth Mack Brunswick) პირველმა აღწე
რა ნევროზის შემთხვევა, რომელიც ფიქსირებული დარჩა პრეოდი
პალურ სტადიაზე და ვერ მიაღწია საერთოდ ოიდიპოსის სიტუაცი

ას. მას ჰქონდა ეჭვის პარანოიის ფორმა, რაც თერაპიას ექვემდება
რებოდა. დრ, **ჟან ლამპლ-დე გროტმა** (Dr. Gean Lampl-de Groot)
მიაღწინა ასე საეჭვოდ გამზდარი დედის მიმართ გოგოს ფალური
აქტივობა დაკვირვებებით. დრ, **ელენე დოიჩმა** (Dr. Helene Deutsch)
აჩვენა, რომ ჰომოსექსუალური ქალების სიყვარულის აქტები ალად
გენენ დედა-ბავშვის დამოკიდებულებებს.

განზრახვა არ მქონია მივყოლოდი ქალურობის შემდგომ ქცე
ვას პუბერტეტიდან მოწიფულობამდე. ჩვენი შეხედულებანი ამის
თვის ასევე არასაკმარისია. ზოგიერთ ნიშანს შემდგომ შევხვდარებ.
წინაისტორიასთან დაკავშირებით აქ მინდა მხოლოდ წინ წამოვწიო
ის, რომ ქალურობის გაშლა-განვითარება მოქმედებს აშლილობაზე
მამაკაცური წინადროის ნარჩენი მოვლენების გზით. რეგრესიები იმ
პრეოდიპალური ფაზების ფიქსირებაზე ძალზე ხშირად ხდება. ზო
გიერთ ბიოგრაფიებში გვხვდება განმეორებითი ალტერნატივა იმ
დროისა, როცა უპირატესობას იძენს მამაკაცური ან დედაკაცური.
ის, რასაც მამაკაცები ვუწოდებთ "ქალის გამოცანას" ალბათ მომ
დინარეობს ქალურ ცხოვრებაში ბისექსუალობის გამოსახვიდან. მაგ
რამ ამ გამოკვლევებთან სხვა საკითხი ჩანს მომწიფებული. სექსუ
ალური ცხოვრების ლტოლვის ძალას ჩვენ ვუწოდეთ ლიბიდო.
სექსუალურ ცხოვრებაში ბატონობს მამაკაცი-დედაკაცის პოლარო
ბა; მაშ, შესაძლებელია, ლიბიდოს მიმართება ამ დაპირისპირებაში
მხედველობაში იქნეს მიღებული. საოცარი არ იქნებოდა, თუკი
აღმოჩნდებოდა, რომ ყოველ სექსუალობას თავისი განსაკუთრებუ
ლი ლიბიდო ჰქონოდა. ასე რომ, ლიბიდოს ერთი სახე მამაკაცურ
მიზნებს, ხოლო სხვა ქალურ სექსუალურ ცხოვრებას გაჰყვებოდა.
მაგრამ ასეთი რამ არ არის. არსებობს მხოლოდ ერთი ლიბიდო,
რომელიც ჩაყენებულია როგორც მამაკაცის, ისე ქალის სექსუალუ
რი ფუნქციის სამსახურში. თვითონ ლიბიდოს სქესი არ გააჩნია.
თუკი გვინდა მას ვუწოდოთ აქტივობისა და მამაკაცურობის კონ
ცეფციონალური გათანაბრების მიხედვით მამაკაცური არ უნდა დაგ
ვავიწყდეს, რომ ლიბიდო წარმოადგენს ასევე მისწრაფებას პასიუ
რი მიზნებით. მაინც "ქალური ლიბიდოს" ტერმინს არავითარი გა
მართლება არ გააჩნია. ჩვენი შთაბეჭდილებით ლიბიდოს მეტი იძუ
ლება მიეყენება, თუკი ის ქალური ფუნქციის სამსახურშია ჩაყენებუ

ლი, და რომ – თეოლოგიურად რომ ვთქვათ – ბუნება მის პრეტენზი
ებს ნაკლები ზრუნვით ეკიდება, ვიდრე მამაკაცურის შემთხვევაში
და მას შეიძლება – ისევ თეოლოგიურად მოაზრებული – თავისი სა
ფუძველი მასში ჰქონდეს, რომ ბიოლოგიური მიზნის გატარები
კაცის აგრესიას ენდობა და ქალის თანხმობიდან გარკვეულწილად
დამოუკიდებელია.

ქალის სექსუალური ფრიგიდობა*, რომლის სიხშირე აღასტუ
რებს ამ დაქვეითებას, წარმოადგენს არასაკმარისად გაგებულ უ
ნომენს. ზოგჯერ ფსიქოგენურსა და მაშინ ზემოქმედებისათვის მი
საწვდომს, ზოგჯერაც კონსტიტუციონალურად განპირობებულს,
თვითონ ანატომიური ფაქტორის წვლილს.

დაგპირდით, რომ გაჩვენებთ მოწიფული ქალურობის კიდევ
რამდენიმე თავისებურებას, როგორადაც ისინი ანალიზურ დაკვირ
ვებაში გვეხვდება. ამ მტკიცებას პრეტენზია არა აქვს საშუალო
ჭეშმარიტებაზე მეტი იყოს. ასევე ყოველთვის ადვილი არაა ერთმა
ნეთისაგან განსხვავდეს, თუ რა მიეწერება სექსუალური ფუნქციის
ზეგავლენას და რა სოციალურისას. ჩვენ ქალურობას მივაწერთ
ნარცისიზმის მაღალ დონეს, რაც მისი ობიექტის არჩევაზე ზეგავლე
ნას ახდენს კიდევაც, ასე რომ, ქალის დიდი მოთხოვნილებაა, ვინ
მეს უყვარდეს, ვიდრე ვინმე უყვარდეს. ქალის სხეულებრივი კო
წიაობის თანამონაწილეა პენისის შურის მოქმედებაც. ვინაიდან მის
მისი გაღიზიანებანი უნდა მით უფრო დიდად შეაფასოს, ვითარცა
გვიანი კონპენსაცია თავდაპირველადი სექსუალური ნაკლოვანები
სათვის. სირცხვილს, რომელიც მნიშვნელობს როგორც ქალური
თვისებების განსაკუთრებულობა, მაგრამ შემდგომ უფრო კონვენცი
ონალურია, ვიდრე ამას ვიფიქრებდით, მივაწერთ თავდაპირველად
განზრახვას – დაფაროს გენიტალის დეფექტი. ნუ დავივიწყებთ, რომ
ის ამის შემდეგ სხვა ფუნქციებს იძენს. ფიქრობენ, რომ ქალებს
ცოტა წვლილი აქვთ შეტანილი კულტურის ისტორიის აღმოჩენასა
და შექმნაში, მაგრამ მათ ალბათ მაინც აღმოაჩინეს დაწვნისა და
ქსოვის ტექნიკა. თუ მართლაც ასეა, ცდილობენ ამ ქმედების არაც
ნობიერი მოტივის აღმოჩენას. თვითონ ბუნებამ მოგვცა ნიმუში
მიბაძვისათვის, როცა სქესის მომწიფებასთან ერთად სასქესო ორ

* ფრიგიდობა – ემოციური სიცივე (რედ. შენიშვნა).

განები ბალნით იფარება. ნაბიჯი, რაც კიდევ უნდა გადადგმული
ყო, იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთთან დაემაგრებინათ ბოჭკო
ები, რომლებიც სხეულის კანშია და ერთმანეთთან გადახლართუ
ლია. თუკი თქვენ ამ აზრს უკუაგდებთ როგორც ფანტასტიკურს და
პენისის ნაკლოვანების ზემოქმედებას ქალურობის ფორმირებაზე
ჩაითვლით fixe idee*-ად, ბუნებრივია, ვიქნები განიარაღებული.

ქალის ობიექტის არჩევის პირობები საკმაოდ ხშირად სოცია
ური მიმართებებით ძნელად საცნობი ხდება. როცა კი ის საკუ
არ თავს თავისუფლად აჩვენებს, ხორციელდება მამაკაცის ნარ
ცისტული იდეალის მიხედვით, რისი გახდომის სურვილიც გოგოს
აქვს. თუკი გოგო რჩება მამასთან დაკავშირებული, მაშასადამე,
ოიდიპოსის კომპლექსში, მაშინ ის მომავალი ქმრის არჩევანს ახ
ლებს მამის ტიპის მიხედვით. ვინაიდან დედიდან მამისაკენ მობრუ
ებისას დედასთან რჩება მტრობა ამბივალენტურ გრძნობასთან და
მოკიდებულებისა, ასეთ არჩევანს უნდა ბედნიერი ქორწინება მოჰ
ყოლოდა, მაგრამ ძალზე ხშირია შედეგი, რომელიც ამბივალენტუ
რი კონფლიქტის ასეთ დამთავრებას საერთოდ ემუქრება. დატოვე
ული მტრობა მოსდევს პოზიტიურ დაკავშირებას და ვრცელდება
ახალ ობიექტზე; ქმარი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მამის
შემკვიდრეა, დროის გავლის შემდეგ იღებს დედის შემკვიდრეობა
საც. ადვილად შეიძლება მოხდეს, რომ ქალის ცხოვრების მეორე
ნახევარი საგსე იყოს დავით მისი ქმრის წინააღმდეგ, როგორც
უფრო ხანმოკლე პირველი ნახევარი – დედის წინააღმდეგ აჯანყე
ბით. მას შემდეგ, რაც რეაქცია ამოიწურება, მეორე ქორწინებას
შეუძლია უფრო ადვილად, იყოს დამაკმაყოფილებელი. ქალის არსე
ბის სხვა ცვლილება, რისთვისაც ჯერ კიდევ მზად არ არიან შეყ
ვარებულნი, შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც ოჯახში ჩნდება
პირველი ბავშვი. საკუთარი დედობის შთაბეჭდილების ქვეშ შეიძ
ლება გაცოცხლდეს იდენტიფიცირება საკუთარ დედასთან, რომლის
წინააღმდეგაც იყო ქალი დაქორწინებამდე; ახლა კი მასში არსე
ბულ მთელ ლიბიდოს თავისთვის ისაკუთრებს; ასე რომ, ქორწინე
ბის განმეორების იძულება აღადგენს შვობელთა უბედურ ქორწინე
ბას. ძველ მომენტს პენისის ნაკლოვანებისას თავისი ძალა ჯერ

* ფიქსირებული იდეა (რედ. შენიშვნა).

კიდევ რომ არ დაუკარგავს, ჩანს ახალგაზრდა დედის სხვადასხვა რეაქციებში ვაჟის ან ქალიშვილის დაბადებისას. მხოლოდ ვაჟთან დამოკიდებულება აძლევს დედას შეუზღუდავ დაკმაყოფილებას; ესაა საერთოდ სრულყოფილი, ადამიანურ დამოკიდებულებათაგან, ამბივალენტობისაგან ყველაზე უფრო თავისუფალი მიმართება. დედას შეუძლია ვაჟიშვილზე გადაიტანოს პატივმოყვარეობა, რომელიც თვითონ უნდა დაეთრგუნა და მისგან ელოდოს ყველაფრის დაკმაყოფილებას, რაც მასშია დარჩენილი თავისი მამაკაცური კომპლექსებიდან, თვით ქორწინება მანამ არაა უზრუნველყოფილი, სანამ ქალი არ მიაღწევს თავისი ქმრის გადაქცევას თავის ბავშვად და არ შეძლებს მის მიმართ დედობის გამოჩენას.

ქალის დედასთან იდენტიფიკაციაში დასტურდება ორი ეტაპი: პრეოდიპალური, რომელიც ემყარება დედასთან ნახ დამოკიდებულებას და მის ნიშუშად აღებას და მოგვიანო, ოიდიპოსის კომპლექსიდან გამომდინარე, რომელიც დედას გზიდან იშორებს და მას მამით შეანაცვლებს. ორივესაგან ბევრი რამ რჩება მომავლისათვის. უფლება აქვთ თქვან – განვითარების მსვლელობაში არც ერთი არ დაიძლევა საკმაოდ. მაგრამ ალერსიანი პრეოდიპალური დაკავშირების ფაზა გადამწყვეტია ქალის მომავლისათვის. მაში მზადდება იმ თვისებათა შეძენა, რომლითაც ის მოგვიანებით სექსუალურ ფუნქციაში თავის როლს აკმაყოფილებს და მისი არაღიარებული სოციალური ქმედება სადაო ხდება. ამ იდენტიფიცირებაში ის იძენს ასევე მამაკაცისაკენ მიზიდულობის უნარს, რომელიც დედასთან მის ოდიპალურ დაკავშირებას ტრფობაში გადაზრდის. შემდეგში ასე ხშირად მხოლოდ ვაჟი რომ იძენს იმას, რისთვისაც გარე უწევდა აგიტაციას საკუთარ თავს. შთაბეჭდილება გვრჩება, რომ კაცისა და ქალის სიყვარული არის ცალცალკე ფაზების ფსიქოლოგიური დიფერენციაცია.

ქალთან რომ ნაკლებად დასტურდება სამართლიანობა, ალბათ დაკავშირებულია მის სულიერ ცხოვრებაში შურის სიჭარბეზე, რიდან სამართლიანობის მოთხოვნა შურის გადამუშავებაა, რაც ქმნის პირობას, რომელშიც ის ვითარდება. ქალების შესახებ ისიც ვთქვით, რომ მათი სოციალური ინტერესები სუსტია და მათი უნარი ლტოლვათა სუბლიმაციისა – მცირეა, ვიდრე მამაკაცებისა.

პირველი გამოდის ალბათ დისოციალური ბუნებიდან, რომელიც ყველა სექსუალური დამოკიდებულებისათვის უეჭველად ვარგისია. შეყვარებულნი ერთმანეთთან ნახულობენ კმაყოფილებას და ოჯახიც უპირისპირდება ფართო კავშირების მიღებას. სუბლიმაციის ვარგისობა ექვემდებარება დიდ ინდივიდუალურ რხევას. ამის საპირისპიროდ არ შემიძლია არ მოვიხსენიო ერთი შთაბეჭდილება, რომელსაც შუდამ ვიღებთ ანალიზური საქმიანობიდან. დაახლოებით ოცდაათი წლის მამაკაცი გამოიყურება ახალგაზრდულად, უფრო მოუმწიფებელ ინდივიდად, რომლისაგანაც მოველით, რომ განვითარების შესაძლებლობებს, რომელსაც მას ანალიზი უყენებს, კარგად მოიმარჯვებს. იმავე ასაკის ქალი კი ხშირად გვაშინებს თავისი ფსიქიკური მდგრადობითა და შეუცვლელობით. მის ლიბიდოს მიღებული აქვს საბოლოო პოზიციები და ჩანს არ გააჩნია, უნარი, სხვისთვის იქნეს გამოყენებული. შემდგომი განვითარების გზები მოჭრილია. თითქოს ისეა, რომ უკვე დაბრუნებული მთელი პროცესი ამაერიდან დარჩენილი იყოს ზეგავლენის გარეშე. დიახ, თითქოს ძნელ განვითარებას ქალურობისადმი ამოწურული ჰქონდეს პენისის შესაძლებლობანი. ჩვენ, თერაპევტები, ვწუხვართ ამ საქმის თაობაზე. თუმცა ჩვენ თვითონ ვახერხებთ ბოლო მოვუღოთ ტანჯვას ნევროტული კონფლიქტის დამთავრებით.

ესაა ყველაფერი, რაც ქალურობის შესახებ თქვენთვის მჭონდა სათქმელი. ეს, რა თქმა უნდა, არასრულყოფილი და ფრაგმენტულია, ყოველთვის სასიამოვნოდ არ ჟღერს, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ ქალი მხოლოდ იმდენად ალვწერეთ, რამდენადაც მისი არსება თავისივე სექსუალური ფუნქციით განისაზღვრება. ეს გავლენა, მართალია, ძალზე შორს მიდის, მაგრამ მხედველობაში გვაქვს, რომ ცალკეული ქალი ასევე შეიძლება იყოს მამაკაცური არსება. თუკი გვინდა მეტი ვიცოდეთ ქალურობის შესახებ, მაშინ დაკითხეთ თქვენი საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება, ან მიმართეთ პოეტებს, ანდა დაელოდეთ, სანამ მეცნიერება შეძლებდა თქვენთვის უფრო ღრმა და უკეთესად დაკავშირებული ცნობების მოცემას.

34-ე ლექცია

განმარტებანი. გამოკვლევანი. ორიენტაციები

ქალბატონებო და ბატონებო! უფლება მომეცით ერთხელაც ასე რომ ვთქვათ, თქვენ წინაშე მშრალად ვილაპარაკო საგნებზე, რომელთაც ძალზე მცირე თეორიული მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ თქვენთან მაინც ახლოსაა, რამდენადაც თქვენ ფსიქოანალიზისადმი მეგობრულად ხართ განწყობილი. განვიხილოთ შემთხვევა: თავისუფალ დროს აიღეთ გერმანული, ინგლისური ან ამერიკული რომანი, რომელშიც ველოდებით მოცემული იქნება ადამიანებისა და დღევანდელ მდგომარეობათა დახასიათება. რამდენიმე გვერდის შემდეგ კონტაქტი ამას კიდევაც რომ არ მოითხოვდეს, თქვენ აწყდებით ფსიქოანალიზისა და იქვე სხვის შესახებაც პირველ გამონათქვამებს. არ იფიქროთ, რომ საქმე ეხება ტექსტში სიღრმის ფსიქოლოგიის გამოყენებას პირების, ანდა მათი მოქმედებების უკეთ გასაგებად. რა თქმა უნდა, არის სერიოზული ნაწარმოებებიც, რომლებშიც ეს მართლაც ნამდვილადაა ნაცადი. არა, უმრავლეს შემთხვევაში ესაა ირონიული შენიშვნები, რომლითაც რომანის ავტორს უნდა თავისი ნაკითხობა, ანდა ინტელექტუალური უპირატესობა აჩვენოს. ავტორისაგან ასევე ყოველთვის ვერ ველებულობთ შთაბეჭდილებას, რომ ის ნამდვილად იცნობს მას, რაზედაც აზრს გამოთქვამს, ანდა დასვენებისათვის მიდიხართ მეგობრულ კომპანიაში; ეს მხოლოდ არა ვენაში. ცოტა ხნის შემდეგ იწყება საუბარი ფსიქოანალიზზე, თქვენ ისმენთ ყველაზე განსხვავებული ადამიანების მსჯელობას ხშირად შეუმცდარი დარწმუნებულობის ტონით. ეს მსჯელობა ჩვეულებრივ უგულებელმყოფელია, ხშირად დამამცირებელიც – სულ მცირე, მაინც ირონიაა. თუ თქვენ ასეთი არაურთხილი ხართ ალმოაჩინოთ, რომ რაღაცას გებულობთ საგნის შესახებ, რომ ყველაფერი თავზე დაგატყდებათ, მოითხოვთ ცნობებსა და ახსნებს, თქვენვე ცოტა ხანში დარწმუნდებით, რომ ყველა ეს

ასეთი მსჯელობები ყოველი ინფორმაციის წინაშე იმსხვრევა, რომ არც ერთს ამ მოწინააღმდეგეთაგან ეს მკაცრი ანალიზური წიგნი ხელში არ ჭერია, ამის მიუხედავად პირველი წინააღმდეგობის შეხვედრისას მაინც გვერდი აუქცია ახალი მასალისათვის.

ფსიქოანალიზის შესავლიდან ალბათ ელოდებით მითითებასაც იმაზე, თუ რომელი არგუმენტები გამოვიყენოთ ანალიზის შესახებ ახალი შეცდომების სწორად დასმისათვის, რომელი წიგნები გამოიყენოთ უკეთესი ინფორმაციისათვის, ანდა თვითონ რომელ მაგალითებს უნდა მოეუხმოთ ღისკუსიაში ლექციებიდან ან გამოცდილებიდან, რომ შეცვალოს საზოგადოების განწყობა. მაგრამ მაინც ვხედავ არაფერი გააკეთოთ ასეთის; ეს საჭირო არაა. საერთოდ საუკეთესო ცოდნა გაქვთ. თუკი მეტი შესაძლებელი არაა, შემოიფარგლეთ ამის თქმით, რამდენადაც თქვენ ორიენტირებული ხართ, უქრობთ, რომ ფსიქოანალიზი ცოდნის განსაკუთრებული ნაწილია, ძალზე ძნელად გასაგები და შესაფასებელი, რომ ის ძალზე სერიოზულ საგნებს ეხება, ასე რომ, თავშესაქცევად არ გამოდგება, და რომ საზოგადოებრივ გასართობად სხვა სათამაშო უნდა მოძებნილიყო. ბუნებრივია, ასევე არ უნდა მონაწილეობდეთ ინტერპრეტაციის მცდელობაში, როცა წინდაუხედავი ადამიანები თავიანთ სიზმრებს ყვებიან და ასევე ეწინააღმდეგებიან ცდას განკურნების ანგარიშით ანალიზის სასარგებლოდ აგიტაცია გასწიონ. მაგრამ გებადებათ კითხვა – რატომაა, რომ ეს ხალხი წიგნებსაც წერს და საუბარსაც მართავს, ასე არაკორექტულად იქცევიან და იქვე დაუმვებთ, რომ ეს არა მარტო ხალხთანაა, არამედ ასევე ფსიქოანალიზთან. ამასაც ვფიქრობ, რაც თქვენ ლიტერატურაში და საზოგადოებაში გიპირისპირდებათ როგორც ცრურწმენა, ესაა ადრეული მსჯელობის ზემოქმედება – სახელდობრ მსჯელობისა, რომელსაც ოფიციალური მეცნიერების წარმომადგენლები ახალგაზრდა ფსიქოანალიზზე გამოთქვამდნენ. მე უკვე ერთხელ, ისტორიულ გადმოცემაში, ამის შესახებ სინანული გამოვთქვი და მას აღარ გავიმეორებ – ალბათ მაშინაც უკვე საკმაოდ გადავაჭარბე – მაგრამ ნამდვილად არ ყოფილა არც ლოგიკის, არც ზრდილობისა და კარგი გემოვნების დამახინჯება, რაც ფსიქოანალიზის მეცნიერულ მოწინააღმდეგეებს მაშინ არ ენებებინოთ. ეს იყო სიტუაცია, როგორიც

შუასაუკუნეებში ხორციელდებოდა, როცა დამნაშავე ან პოლიტიკური მოწინააღმდეგე სამარცხვინო ბოძთან იდგა ბრბოს მკაცრი მეთვალყურეობის ბედის ანაბარა მიტოვებული. ალბათ თქვენთვის ცხადი არაა, თუ როგორ ვრცელდება უხეშობა ჩვენს საზოგადოებაში და ადამიანებს რა ნება ეძლევათ უმსგავსოებისა, მაშინ როცა გრძნობენ საკუთარ თავს მასის ნაწილად და პიროვნული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებულად. იმ დროს, დასაწყისში, თითქის მარტოდმარტომ დავინახე, რომ პოლემიკას პერსპექტივა არა აქვს, რომ ასევე უაზროა ჩივილი და მოწოდება საუკეთესო გონებისაღმი, ვინაიდან არ იპოვებოდა ინსტანცია, რომელიც საჩივარს მიიღებდა წაველი სხვა გზით; მივმართე ფსიქოანალიზის პირველ გამოყენებას, როცა მასის ქცევა ავხსენი როგორც იგივე წინააღმდეგობის გაწევის ფენომენი, რომელსაც მე ცალკეულ პაციენტებთან ვებრძოდი; იმავდროულად თავს ვიკავებდი პოლემიკისაგან, ამან ზეგავლენა იქონია ჩემს აწინდელ მომხრეებზე, როცა თანდათანობით შეძლეს ერთდნენ იმავე მიმართულებას. მეთოდი კარგი იყო, გატაცება, რომლითაც მაშინ ანალიზი კეთდებოდა, მას შემდეგ შეწყდა. მაგრამ როგორც დატოვებული რწმენა ცრურწმენის სახით განაგრძობს არსებობას, მეცნიერების მიერ უარყოფილი თეორია რჩება როგორც ხალხის თვალსაზრისი. ასევე გრძელდება დღეს ის საწყისი აკრძალვა ფსიქოანალიზისა მეცნიერული წრეების მხრიდან ირონიულად უგულვებელმყოფელ წიგნის მწერალ ან საუბრის მოყვარულთა მიერ. თქვენ ეს მეტად ადარ გაგიკვირდებათ.

ალბათ არ ელოდებით, ახლა მოისმინოთ სასიხარულო ცნობა, რომ ანალიზის თაობაზე ბრძოლა დამთავრდა და მისი მეცნიერებად აღიარება დასრულდა უნივერსიტეტში მისი, როგორც სასწავლო საგნის, დაშვებით. ლაპარაკი არაა, რომ ის გრძელდება უფრო ცივილიზებული ფორმებით. სიახლეა ისიც, რომ მეცნიერულ საზოგადოებაში ანალიზის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის შეიქმნა ბუფერული ფენა, ხალხი, რომლებიც ანალიზში რაღაცას მნიშვნელობის მქონედ აცხადებენ, თანაც სასიამოვნო შენიშვნით აღიარებენ, რისთვისაც სხვას უარყოფენ.

რითაა განსაზღვრული ეს არჩევანი, არაა ადვილი მისახვედრი. ჩანს, ბრალი სიმპათიაა. ერთი ბიძგს იღებს სექსუალობიდან, მეორე

– არაცნობიერიდან; განსაკუთრებით არაპოპულარული ჩანს სიმბოლიკის ფაქტი. რომ ფსიქოანალიზის შენობა, თუმცა არამზა, დღეს მაინც წარმოდგენს ერთიანობას, რომლიდანაც არა ყოველს ნებისიერად შეუძლია მისგან ელემენტის ამოგლეჯა, ჩანს ამ ეკლექტიკოსებისათვის მხედველობაში არ მიიღება. არც ერთ ამ ნახევრად თუ მეოთხედით მომხრეთაგან არ მრჩება შთაბეჭდილება, რომ მათი უარყოფა დაფუძნებული იყოს გამოცდილებაზე. ზოგიერთი გამოჩენილი ადამიანიც ამ კატეგორიას განეკუთვნება. მათ, რა თქმა უნდა, მიეტევებათ იმ ვითარების გამო, რომ მათი დრო და ინტერესი სხვა საქმეებს ხმარდება, სახელდობრ იმათ, რის დაუფლებაშიც ასეთ წარმატებას მიაღწიო. მათ მსჯელობებს გვერდი ვერ უნდა ავუაროთ ნაცვლად იმისა, რომ გადაჭრით დაიჭირო პარტიული პოზიცია. ერთ დიდ ადამიანთან ერთხელ მივაღწიე შეხედულების სწრაფ შეცვლას. ეს იყო მსოფლიოში ცნობილი კრიტიკოსი, რომელიც დროის სულიერ მიმდინარეობას მისდევდა კეთილგანწყობილი გაგებითა და ბასრი წინასწარმეტყველური ხედვით. მე ის გავიცანი მაშინ, როცა გადაბივჯებული ჰქონდა ოთხმოც წელს, მაგრამ მისი საუბარი ჯერ კიდევ მომხიბვლელი იყო. ადვილად მიხვდებით, ვისაც ვგულისხმობ. მე არ დამიწყია ლაპარაკი ფსიქოანალიზზე. მან თვითონ გააკეთა ეს, როცა მორიდებით თქვა: "მე მხოლოდ ლიტერატორი ვარ, თქვენ კი – ბუნებისმეტყველი და ალმომჩენი. მაგრამ მინდა ერთი გითხრათ: "არასოდეს არ მქონია დედაჩემისადმი სექსუალური გრძნობები". მე მივუგე: "თქვენ ამის გაცნობიერება არ გჭირდებათ, ზრდადასრულებულთათვის ესენი არაცნობიერი პროცესებია". "აჰა, თქვენ ასე ფიქრობთ", – თქვა მან შვებით და ხელი ჩამომართვა. ჩვენ ვსაუბრობდით კიდევ რამდენიმე საათს საუკეთესო ურთიერთგაგებით. მოგვიანებით შეეცადა, რომ დარჩენილი სიცოცხლის მოკლე დროში ის მრავალგზის თავაზიანად იხსენიებდა ანალიზს და სიამოვნებით იყენებდა მისთვის ახალ სიტყვას – "განდეგა".

ცნობილი გამონათქვამი მოგვიწოდებს, მტრებისაგან ვისწავლოთო. ვაღიარებ, რომ ეს მე არასდროს მიქნია, მაგრამ მაინც ყოფილა, რომ თქვენთვის ყურადსაღები იქნებოდა, თუკი მე თქვენთან ერთად წინასწარ შეგამოწმებდი ყველა ამ საყვედურსა და შეპასუხებას, რაც მის საპირისპიროდ წამოაყენეს ფსიქოანალიზის

მოწინააღმდეგეებმა და შემდეგ ასე ადვილად აღმოჩენილ უსამართლობასა და შეცდომებს დაუპირისპირებდი ლოგიკას. მაგრამ "on second thought"* ვუთხარი ჩემს თავს, ეს სრულიადაც არ იქნებოდა საინტერესო, არამედ იქნებოდა დამქანცველი და არასაჭირო და სწორედ ის, რასაც მე ამ წლებში გულმოდგინედ უარვყოფდი. მაპატიეთ, თუკი ამ გზას არ გავყვები და ჩვენი ე წ მეცნიერული მოწინააღმდეგეების მსჯელობებს არ შევეხები. მაინც თითქმის მუდამ მსჯელობა პირებზე, რომელთა ერთადერთი უსარგებლობა ობიექტურობაა, რომლითაც ისინი ფსიქოანალიზის გამოცდილებიდან შორს დგომით თავს იცავენ. მაგრამ ვიცი, რომ ასე ადვილად თავის დაღწევის ნებას არ მომცემთ სხვა შემთხვევებში. თქვენ მისაყვედურებთ: მაინც არის მრავალი პირი, რომელთაც თქვენი უკანასკნელი შენიშვნა არ ეხებათ. ესენი ანალიზურ გამოცდილებას არ უხვევენ გვერდს, პაციენტებს აანალიზებენ, თვითონაც ალბათ ანალიზი ჩაუტარდათ, დროთა განმავლობაში თქვენი თანამშრომლები იყვნენ, მაინც მივიდნენ სხვა გაგებამდე და თეორიამდე, რის გამოც თქვენ გამოგეყვენ და შექმნეს ფსიქოანალიზის დამოუკიდებელი სკოლები. თქვენ უნდა მოგვცეთ განმარტება ანალიზის ისტორიაში მისგან ასე ხშირად გამოყოფის შესაძლებლობისა და მნიშვნელობის შესახებ.

დიახ, მე მინდა ამ საკითხს შევეხო და ახლავე მოგახსენებთ, ვინაიდან ეს ნაკლებად ეხება ანალიზის გაგებას, ვიდრე თქვენ ელოდებით. ვიცი, პირველ რიგში ფიქრობთ **ადლერის** ინდივიდუალფსიქოლოგიაზე, რომელიც, მაგალითად, ამერიკაში განხილულია როგორც ჩვენი ფსიქოანალიზის სწორფასოვანი გვერდითი ხაზი და წესზომიერად მასთან ერთად ახსენებენ. სინამდვილეში ფსიქოანალიზთან მას ძალზე ცოტა ესაქმება, მაგრამ გარკვეული ისტორიული ვითარებისდა შედეგად წარმართავს პარაზიტულ არსებობას მის ხარჯზე. მის დამფუძნებლებს ეხებათ ის პირობები, რომლებიც ჩვენ ამ ჯგუფის მოწინააღმდეგეებისათვის დავუშვით, მხოლოდ მცირე ზომით. თვითონ სახელწოდებაა შეუფერებელი, ჩანს პროდუქტია მძიმე მდგომარეობისა. ჩვენ შეგვიძლია მისი გამართლებული გამოყენება როგორც საპირისპირო მასის ფსიქოლოგიისა. ასე

* განმეორებით (რედ. შენიშვნა)

ვე, რასაც ჩვენ ვეწევით უპირატესად და უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ინდივიდის ფსიქოლოგიაა. ადლერის ინდივიდუალფსიქოლოგიის ობიექტურ კრიტიკას დღეს არ შევეხები, ის ამ შესავლის ვეგმაში, არ ზის, ასევე, მე ის უკვე ერთხელ განვიხილე და საკლები საფუძველი მაქვს მასში რაიმე შევცალო. მის მიერ გამოწვეული შთაბეჭდილების ილუსტრაციისათვის მინდა ანალიზის წინადროიდან პატარა შემთხვევა მოვიყვანო.

მორავიის პატარა ქალაქის ახლოს, სადაც დავიბადე და ის სამი წლისამ დავტოვე, არის ჩვეულებრივი კურორტი ლამაზად ჩაფლული მწვანეში. გიმნაზიაში სწავლის პერიოდში იქ არდადეგებზე მრავალჯერ ვიყავი. დაახლოებით ორი ათწლეულის შემდეგ ახლო ნათესავის ავადმყოფობამ საბაბი მომცა ეს ადგილი ისევ მენახა. ჩემი ნათესავის დახმარების აღმოჩენ მკურნალ ექიმთან საუბრისას გავეცანი ასევე მის დამოკიდებულებას, საფიქრებელია, სლოვაკ გლეხებთან, რომლებიც ზამთარში მისი ერთადერთი კლიენტები იყვნენ. ის მოვკვა, რომ ექიმის საქმიანობა შემდეგნაირად მიმდინარეობდა: მიღების საათებში პაციენტები შემოდიან მის ოთახში და რიგში ეწყობიან. ერთიმეორის შემდეგ წამოიწევენ წინ და ყვებიან თავიანთ სატკივარზე – წელის ან მუცლის ტკივილზე, ან სასუსტეზე მუხლებში და ა. შ. შემდეგ ის სინჯავს მათ და ორიენტაციის შემდეგ უსვამს დიაგნოზს, ყველა შემთხვევაში ერთსა და იგივეს. მან მითარგმნა ეს სიტყვა, რაც ნიშნავს – "მოჯადოებას". გაკვირვებულმა შევეკითხე, გლეხები თუ რეაგირებენ მასზე, რომ ის ყველა ავადმყოფთან ერთსა და იგივე მდგომარეობას სახულობს "არა", მიპასუხა მან, ისინი ამით მეტად კმაყოფილნი არიან; ჰკითხე ის, რასაც მოელოდნენ. ყოველი მათგანი, რომელიც რიგში უკან იწევს, სხვის ინტერპრეტაციას იძლევა ჟესტითა და მიმიკით: "დიახ, ისაა ის, ვინც იგებს". მაშინ რას ვიფიქრებდი, თუ ანალოგიურ სიტუაციას ისევ შევხვდებოდი.

თუ, სახელდობრ, ვინმე ჰომოსექსუალია ან ნეკროფილი, შეშინებული ისტერიკი, დახშული იძულების ნევროტიკი, ან აგრესიული შიზოიდი, ყველა ამ შემთხვევაში ადლერის მიმართულების ინდივიდუალფსიქოლოგია, მდგომარეობის წამყვან მოტივად თვლის საკუთარი თავისადმი მნიშვნელობის გაწევას, თავისი ნაკლებღირებუ-

ლების ზეკომპენსაციას, ზემოთ დარჩენას, ქალურიდან მამაკაცურის მიღწევას. მსგავსი რამ გვსმენია ახალგაზრდა კლინიკოსის, როცა ერთხელ ისტერიის შემთხვევა ასე წარმოგვიდგინეს: ისტერიები ქმნიან თავიანთ სიმპტომებს, რათა საკუთარი თავი საისტერესო გახადონ, ყურადღება მიიპყრონ. როგორ შეორდება ქალი სიბრძნე, მაგრამ ეს ფსიქოლოგია მაშინ უკვე გვეწვენებოდა, რომ ისტერიის გამოცანას ვერ წყვეტდა, მაგ., რჩებოდა აუხსნელი, თუ რატომ არ მოიხმარდნენ ავადმყოფები სხვა საშუალებას თავიანთი განზრახვის მიღწევისათვის. ინდივიდუალფსიქოლოგების ამ მოძღვრებაში, ბუნებრივია, რაღაც სწორი უნდა იყოს, ნაწილი – მთელი სათვის. თვითშენახვის ლტოლვა ცდილობს, ყოველი სიტუაცია თავისთვის სასარგებლოდ აქციოს. შე-ც ავადმყოფობას უპირატესობად შემოაბრუნებს. ამას ფსიქოანალიზში უწოდებენ "შეორეულ ავადმყოფობის მიღებას". რა თქმა უნდა, როცა ვფიქრობთ მახსოვრობის, არაცნობიერი სასჯელის მოთხოვნილების და ნევროტული თვითვნების ფაქტებზე, რომლებიც თვითშენახვისადმი დაპირისპირებულ ლტოლვებს აღძრავენ, ასევე ვცდებით იმ ბანალური ჭეშმარიტების ზოგად მნიშვნელობაზე, რომელზედაცაა აგებული ინდივიდუალურფსიქოლოგიის სისტემატიზირებული მეცნიერული მასალა. მაგრამ დიდი მასებისათვის ფრიად სასურველია ასეთი მოძღვრება, რომელიც არ ალიარებს სირთულეებს, არ შემოჰყავს არც ერთი ახალი, ძნელად გასაგები ცნება, არაფერი იცის არაცნობიერის შესახებ, სექსუალობის ყველა მძიმე პრობლემას ერთი დარტყმით უკუაგდებს და შემოიფარგლება ინტრიგების აღმოჩენით, რომლითაც უნდა ცხოვრება მოხერხებული გახადოს. ვინაიდან თვითონ მასებია მოხერხებული, ახსნისათვის არ მოითხოვს ერთ საფუძველზე მეტს, მეცნიერებას არ უმადლის მის მრავალფეროვნების ვრცელობას, ამიტომ მისი გადაწყვეტანი მარტივია და პრობლემებიც ამოწურული. მხედველობაში მიიღეთ, როგორ ძლიერ უპირისპირდება ინდივიდუალ-ფსიქოლოგია ამ მოთხოვნებს; მოვიგონოთ "ჯონშტაინიდან":

"აზრი რომ არ ყოფილიყო ასე მომაჯადოებლად გონიერი,
შეეცდებოდნენ, მისთვის ეწოდებინათ ძალზე სულელური".

სპეციალისტების კრიტიკა, ასე უმოწყალოდ მიმართული ფსი-

ქოანალიზის წინააღმდეგ, ინდივიდუალფსიქოლოგიას შეეხო საერთოდ ხავერდოვანი ხელთათმანებით. თუმცა ამერიკაში მოხდა ამბავი, როდ ერთმა პატივცემულმა ფსიქიატრმა ადლერის წინააღმდეგ გამოაქვეყნა სტატია სათაურით "Enough"*, რომელშიც მან ენერგიულად გამოხატა მოწყენილობა ინდივიდუალფსიქოლოგიის "განმეორების იძულების" თაობაზე. თუკი სხვა უფრო თავაზიანად მოიქცა, ამისთვის ბევრი გააკეთა ანალიზის წინააღმდეგ მტრობამ.

ფსიქოანალიზიდან გამოყოფილი სხვა სკოლების შესახებ არ ჭირდება ბევრის თქმა. გამოყოფა არ გამოიყენება ფსიქოანალიზის ჭეშმარიტი შინაარსის არც სასარგებლოდ და არც საწინააღმდეგოდ. იფიქრეთ ძლიერ აფექტურ მომენტებზე, რომლებიც მრავალს გულისხმაში აგდებს, ჩაერთოს თუ დაექვემდებაროს, და, მასთან უფრო დიდ სიძნელეზე, რომელსაც სამართლიანად ხაზს უსვამს გამონათქვამი quod capita tot sensus**. როცა აზრთა სხვადასხვაობა გარკვეულ ზომას სცილდება, მიზანშეწონილია გამოყოფა და აქედან დაწყებული განსხვავებული გზებით სვლა, განსაკუთრებით მაშინ, როცა თეორიულ განსხვავებულობას თან სდევს პრაქტიკული მოქმედების შეცვლა. დავუშვათ, მაგალ., რომ ანალიტიკოსი პიროვნული წარსულის ზეგავლენას უგულვებელყოფს და ნევროზის მიზეზს ეძიებს განსაკუთრებით აწმყოს მოტივებსა და მომავალზე მიმართულ მოლოდინში. მაშინ ასევე უგულვებელიყოფა ბავშვობის ანალიზი, საერთოდ სხვა ტექნიკა გამოიყენება და ბავშვობის ანალიზიდან შედეგების გამოვარდნა უნდა ანაზღაურდეს მისი ყურადსაღები ზეგავლენის ამაღლებით და ცხოვრების განსაზღვრულ მიზნებზე პირდაპირ მითითებით. ჩვენ, სხვები, მაშინ ვიტყვით: ეს შეიძლება იყოს სიბრძნის სკოლა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – ანალიზი. ანდა სხვანი შეიძლება იმ შეხედულებისა იყვნენ, რომ დაბადების დროის შიშის განცდა ჩანასახია ყველა გვიანდელი ნევროტული აშლილობისა. მაშინ შეიძლება მას გამართლებულად მოეჩვენოს, რომ ანალიზი შეიზღუდოს შედეგის შთაბეჭდილებით და თერაპევტულ შედეგს საძ, ოთხთვიანი მკურნალობა დავუთმოთ. ამჩნევთ, რომ ორი შაგალითი ავირჩიე, რომლებიც ამოდიან დიამეტ-

* საზრისი (რედ. შენ.)

** რასაც კვრძნობ, მასზე ჟყოქრობ (რედ. შენ.)

რალურად საპირისპირო დაშვებიდან. ესაა თითქმის ზოგადი ბუნება ამ "გამოყოფილი მოძრობისა" – ყოველი მათგანი ფსიქოანალიზის მოტივთა სიმდიდრის ნაწილს ამტკიცებს და ამ ფლობის საფუძველზე, როგორიცაა ძლიერებისაკენ ლტოლვა, ეთიკური კონფლიქტი, დედა, გენიტალები და ა. შ. საკუთარ თავს დამოუკიდებლად ხდის. თუკი გეჩვენებათ, რომ ასეთ გამოყოფები ფსიქოანალიზის ისტორიაში დღეს უფრო ხშირია, ვიდრე სხვა სულიერ მოძრაობებთან, მაშინ არ ვიცი, თქვენ მართალი ხართ თუ არა. თუკი ეს ასეა, მაშინ უნდა ფსიქოანალიზში არსებული შინაგანი მიმართება თეორიულ შეხედულებებსა და თერაპევტულ მოქმედებებს შორის ამის თვის გახადონ პასუხისმგებელი. მარტოდმარტო შეხედულებათა განსხვავებულობანი ხანგრძლივად გადაიტანება. უყვართ ჩვენ, ფსიქოანალიტიკოსებს, გვისაყვედურონ არატოლერანტობა. ერთადერთი გამოვლინება ამ საძაგელი თვისებისა მათი მხრით იყო სწორედ გამოყოფა სხვაგვარად მოაზროვნეთაგან. სხვა შემთხვევაში მათ ცუდს არაფერს დაუშავებდნენ. პირიქით, ისინი ქუდბედიანები იქნენ. მას შემდეგ უკეთესადაც გრძნობდნენ თავს, რადგანაც ამ განშორებით, ჩვეულებრივ, განთავისუფლდნენ ტვირთისაგან, რომლის ქვეშაც ჩვენ სუნთქვა გვეკვრის – ბავშვობის სექსუალობის ზიზღისაგან თუ სიმბოლიკის სასაცილოობისაგან – და გარესამყარო მიიჩნიეს სანახევროდ პატიოსნად, ჩვენთან, ჩამორჩენილებთან შედარებით. მათ თავიანთი თავი გამორიცხეს თვითონ, ყოველგვარ გამონაკლისებამდეც კი.

ტოლერანტობის სახელით კიდევ რა პრეტენზიებს აცხადებენ? იმას, რომ თუკი ვინმე ჩვენთვის მცდარად მიჩნეულ შეხედულებას გამოთქვამს, მას ვეუბნებით: "მადლობელი ვართ, რომ ეს წინააღმდეგობა გამოვთქვით, ჩვენ გვიცავთ თვითმოწონების საშიშროებისაგან და შესაძლებლობას გვაძლევთ დავუმტკიცოთ ამერიკელებს, რომ ნამდვილად ვართ "broadminded"*, როგორადაც ამას თქვენ მუდამ ისურვებდით. ჩვენ თუმცა არც ერთი სიტყვა არ გვწამს თქვენი ნათქვამისა, მაგრამ ეს არაფერია. ალბათ თქვენც ისეც სწორი ხართ, როგორც ჩვენ. საერთოდ ვის შეუძლია იცოდეს, ვინაა მართალი? ნება მოგვეცით, მიუხედავად დაპირისპირებისა,

* ფართო ჰორიზონტის მქონე (რედ. შენიშვ.).

თქვენი თვალსაზრისები ლიტერატურით წარმოვადგინოთ. ვიმედოვნებთ, თავაზიანად გამოგვესარჩლებით იმისათვის, რასაც თქვენ უკუაგდებდით. "ცხადია ეს იქნება მომავალში ტრადიცია მეცნიერულ მუშაობაში, თუკი **ანშტაინის** რელატივობა ბოროტად გამოიყენება. სწორია, წინასწარ ჯერ კიდევ ასე შორს არ წავსულვართ. ჩვენ შემოვიფარგლებით ძველი მანერით, რომ მხოლოდ ჩვენი საკუთარი დარწმუნებულობა წარმოვადგინოთ, შეცდომის საშიშროება შევაჩეროთ, ვინაიდან მისგან თავის დაცვა არ შეუძლიათ და უარყოფენ მას, რაც გვიპირისპირდება. ის უფლება, რომ ჩვენი შეხედულებანი შევცვალოთ, თუკი გვწამს, რომ უკეთესი მოვნახეთ, ფსიქოანალიზში მრავალგზის გამოვიყენეთ.

ერთ-ერთი პირველი გამოყენება ფსიქოანალიზისა იყო ის, რომ ის გვასწავლიდა თანამედროვეობაში გამოვლენილი მოწინააღმდეგე მხარის გაგებას, ვინაიდან ფსიქოანალიზს ვეწეოდით. ობიექტური ბუნების სხვა გამოყენებები პრეტენზიას აცხადებს საერთო ინტერესზე. დიახ ჩვენი თავდაპირველი განზრახვა იყო ადამიანის სულიერი ცხოვრების აშლილობათა გაგება, ვინაიდან ღირშესანიშნავმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ აქ გაგება და განკურნება თითქმის ემთხვევიან ერთმანეთს, რომ გაკაფულ გზას ერთიდან მეორესთან მიეყავართ. ეს იყო ჩვენი ღიდი ხნის ერთადერთ მიზანი. შემდეგ დავადგინეთ რა ახლო კავშირი, – შინაგანი იგივეობა პათოლოგიურსა და ეგრეთ წოდებულ ნორმალურ პროცესებს შორის, ფსიქოანალიზი იქცა სიღრმის ფსიქოლოგად და ვინაიდან ფსიქოლოგიის დახმარების გარეშე გაუგებარია ადამიანის ქმედება და შემოქმედება, აქედან გამომდინარეობს ფსიქოანალიზის გამოყენება ცოდნის მრავალ დარგში, განსაკუთრებით გონისმეცნიერებაში, რაც თავისთავად წამოიჭრებოდა ხოლმე და მოითხოვდა დამუშავებას. სამწუხაროდ, ეს ამოცანები აწყდებოდა წინააღმდეგობებს, რომლებიც საქმის ვითარებით დაფუძნებული, დღესაც ჯერ კიდევ არაა დაძლეული. ასეთი გამოყენება გულისხმობს პროფესიულ ცოდნას, რომელსაც ანალიტიკოსი არ ფლობს, ხოლო მათ, ვინც პროფესიულ ცოდნას ფლობს, სპეციალისტებმა, ანალიზის შესახებ არაფერი იციან და, ალბათ, არც არაფერი იციდნენ. აქედან ვღებულობთ, რომ ანალიტიკოსები, როგორც დილეტანტები, შეტად თუ ნაკლებად შე-

იარალებულნი, ხშირად სიჩქარეში, ძალების მობილიზაციით, შეიჭრნენ ცოდნის სფეროში, როგორიცაა: მითოლოგია, კულტურის ისტორია, ეთნოლოგია, რელიგიის მეცნიერება და ა. შ. აქ დაფუძნებულმა მკლევარებმა ისინი განსაჯეს, როგორც საერთოდ ოკუპანტები, დამპყრობნი, უპირველეს ყოვლისა, უარყვეს მათი მეთოდებიც და შედეგებიც, რამდენადაც ჟურადღებას იმსახურებდნენ. მაგრამ ეს დამოკიდებულებანი მუდამ უმჯობესდება, ყველა სფეროში იხრდება ფსიქოანალიზის შემსწავლელთა რიცხვი, რათა ის თავიანთ სპეციალურ საგანში გამოიყენონ, როგორც კოლონიზატებმა პიონერები შეცვალონ. აქ გელოდებით ახლა თვალსაზრისების მდიდარ მოსავალს, ანალიზის გამოყენება ასევე მუდამაა მათი დადასტურება. იქ, სადაც მეცნიერული მუშაობა შორსაა პრაქტიკული დადასტურებისაგან, იქ ასევე ნაკლებ შედეგს იძლევა შეხედულებათა გაცხარებული ბრძოლა.

ვგრძნობ ცდუნება ძლიერია, რომ ფსიქოანალიზის ყოველმხრივ გამოყენების გზით მე თქვენ შეგიყვანოთ გონის მეცნიერებაში. არის საგნები, რომლებიც ყველა ადამიანისათვის საინტერესოა და არასდროს არ უნდათ გაიგონონ არაფერი არანორმალურობისა და ავადმყოფობის შესახებ. ეს იქნებოდა დამსახურებული დასვენება. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს გაგვიყვანდა ისეც იმ მოხსენების ჩარჩოებს მიღმა და, სიმართლე გითხრათ, ამ ამოცანას ვერ ავწევდი. ზოგიერთ სფეროში თუმცა თვითონ გადავდგი პირველი ნაბიჯები, მაგრამ დღეს მას აღარ მიმოვიხილავ ვრცლად, ბევრი უნდა მესწავლა, რათა დავუფლებოდი მას, რითაც დავიწყე. თქვენს შორის მათ, ვინც ჩემი უარყოფით გულგატეხილია, შეუძლიათ ზარალი აინაზღაურონ ჩვენი ჟურნალით "Imago", რომელიც განკუთვნილია ანალიზის არასამედიცინო გამოყენებისათვის.

მხოლოდ ერთ თემას ადვილად არ შემიძლია ჩავუარო გვერდი, არა იმიტომ, რომ განსაკუთრებით ბევრი ვიცი, ან თვითონ რაიმე გამიკეთებია მის შესახებ. პირიქით, მისით ძლივს თუ დავსაქმებულვარ. მაგრამ ესაა უკიდურესად მნიშვნელოვანი, მომავლისათვის საიმედო, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ანალიზი ეწევა. მე ვგულისხმობ ფსიქოანალიზის გამოყენებას პედაგოგიკაში, მომავალი თაობის აღზრდაში. მოხარული ვარ გითხრათ, რომ ჩემმა

ქალიშვილმა **ანა ფროიდმა** აღნიშნული სამუშაო ცხოვრების ამოცანად დაისახა, ჩემი ხარვეზი შეავსო. გზა, რომელმაც ამ გაძოყუებამდე მიგვიყვანა, ერთი თვალის გადავლებით ადვილია. როცა ჩვენ ზრდადასრულებული ნევროტიკის მკურნალობისას სიმპტომების განპირობებულობას ვაგნებთ, წესზომიერად დავდივართ ადრეულ ბავშვობამდე. გვიანი ეტიოლოგიის ცოდნა არაა საკმარისი არც მისი გაგებისათვის, არც თერაპიული ეფექტისათვის. ასე ვსაჭიროებთ ბავშვობის ასაკის ფსიქიკური თავისებურებების გაცნობას და ვეგებულობთ მრავალ რაიმეს, რაც, თუ არა ანალიზით, სხვაგვარად გამოცდილებაში არ მიიღება. ასევე შეიძლება ბავშვობის შესახებ მრავალი ზოგადი შეხედულების დაზუსტება. ჩვენ დავადგინეთ, რომ ბავშვობის პირველი წლები (ხუთ წლამდე) განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მრავალი საფუძვლის გამო. პირველი, ვინაიდან ის შეიცავს სექსუალობის ადრეულ გაღვიძებას, რომელიც სექსუალური ცხოვრებისათვის მომწიფების დროისათვის გადამწყვეტ იმპულსს ტოვებს. მეორე, ვინაიდან ამ დროის შთაბეჭდილება ხვდება არამზა და სუსტ "მე"-ს, რომელზედაც ის ტრავმების სახით მოქმედებს. "მე"-ს შეუძლია საკუთარი თავი აფექტური შეტევებისაგან, რომლებსაც ის წარმოშობს არა სხვანაირად თუ არა განდევნით, დაიცვას და ამგვარად იძენს ბავშვობის ასაკში მოგვიანო დაავადებისა და ფუნქციობის აშლილობის ყველა დისპოზიციას. გავიგეთ ბავშვობის სიძნელეები, რომ ბავშვმა დროის მოკლე მონაკვეთში უნდა კულტურის განვითარების შედეგები შეითვისოს, რომელიც გადაჭიმულია ათიათასობით წლებზე, ლტოლვას დაეუფლოს და სოციალურად შეეგუოს, ყოველ შემთხვევაში, შეითვისოს ორთავეს პირველი ნაწილები. ამ ცვლილების მხოლოდ ერთი ნახევრის მიღწევა შეუძლია ბავშვს საკუთარი განვითარებით, მრავალი რამ მან უნდა აღზრდიდან მიიღოს. არ გვიკვირს, თუკი ბავშვი ამ ამოცანას ხშირად მხოლოდ არასრულყოფილად ძლევს. მრავალი ბავშვი ამ ადრეულ დროში განიცდის მდგომარეობებს, რომლებიც უფლება გვაქვს, გავუტოლოთ ნევროზს; მოგვიანებით რა თქმა უნდა, ავადმყოფობა ყველასთან გამოვლინდება. სხვა ბავშვებთან ნევროტული დაავადება არ ელოდება მომწიფების დროს, ის უკვე ამოხეთქავს ბავშვობის ასაკში და მშობლებსა და ექიმებს უჩენს ბევრ თავსატეხს.

საეჭვო არაა ასეთ ბავშვებთან ანალიზური თერაპიის გამოყენება, რომლებიც აჩვენებენ არაორაზროვნად ნევროტულ სიმპტომებს, ან იმყოფებიან არახელსაყრელი ხასიათის განვითარების გზაზე. ანალიზის მოწინააღმდეგეების მიერ გამოთქმული შიში, რომ ბავშვი ზიანდება ანალიზით, უსაფუძვლო აღმოჩნდა. ჩვენი შენაძენი ამ საქმეში ის იყო, რომ შეგვიძლია ცოცხალ ობიექტთან დავადასტუროთ ის, რაც ზრდადასრულებულთან, ასე რომ ვთქვათ, ისტორიული დოკუმენტებიდან გამომდინაეობს. მაგრამ სარგებლიანობა ბავშვებისთვისაც ძალზე სასიხარულო აღმოჩნდა. გამოირკვა, რომ ბავშვი ანალიზური თერაპიისათვის ძალზე ხელსაყრელი ობიექტია. შედეგები ღრმა და ხელშესახებია. ბუნებრივია, ზრდადასრულებულისათვის დამუშავებული მკურნალობის ტექნიკა ბავშვისათვის უნდა შეიცვალოს. ბავშვი ფსიქოლოგიურად სხვა ობიექტია, ვიდრე ზრდადასრულებული; ის ჯერ კიდევ არ ფლობს **ზე-მე**-ს, თავისუფალი ასოციაციის მეთოდს შედეგი არ მოაქვს; გადატანა სხვა როლს თამაშობს, ვინაიდან რეალური მშობლები ჯერ კიდევ მის გვერდით არიან. შინაგანი წინააღმდეგობანი, რასაც ვებრძვით ზრდადასრულებულებთან, ბავშვთან უპირატესად შენაცვლებულია გარეგანი სიძნელეებით. როცა მშობლები ხდებიან წინააღმდეგობების მატარებელნი, მრავალ შემთხვევაში ანალიზის მიზანი ან თვითონ ანალიზი საშიშროების ქვეშ დგება; აქედან გამომდინარე ხშირად საჭიროა ბავშვის ანალიზი დაუკავშირდეს მშობლების ანალიზის ზემოქმედებას. სხვა მხრივ ბავშვის ანალიზის უცილობელი გაძნელები ზრდადასრულებულისაგან ვითარებისდა მიხედვით მცირდება, რომ ზოგიერთ ჩვენ პაციენტებს იმდენად აქვთ შენარჩუნებული ინფანტილური ხასიათის თვისებები, რომ ანალიტიკოსს ისევ ობიექტთან შეგუებით არ შეუძლია ბავშვის ანალიზის გარკვეული ტექნიკა არ მოიხმაროს. თავისთავად გამომდინარეობს ბავშვის ანალიზი ხდება ქალი-ანალიტიკოსების სფერო და ასეთადაც რჩება ის.

შეხედულება, რომ ჩვენი ბავშვების უმრავლესობა თავიანთ განვითარებაში ნევროტულ ფაზას გაივლიან, თავის თავში ატარებს ჰიგიენური მოთხოვნის ჩანასახს. შეიძლება დასვან კითხვა, ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი, ბავშვს დავეხმაროთ ანალიზით მაშინაც კი, როცა ის არ აჩვენებს აშლილობის ნიშანს, როგორც ჯანმრთელობისათვის ზრუნვის ღონისძიება, როგორც დღეს ჯანმრთელ ბავშვს დიფტერიის წინააღმდეგ უცრიან, არ ელოდებიან რა სანამ დიფტერიით დაავადდებოდნენ. ამ საკითხის შესახებ დისკუსიას აკადემიური ინტერესიღა შერჩენია. ნებას მივცემ ჩემს თავს, განვმარტოთ: ჩვენი თანადროულობის დიდი მასისათვის უკვე პროექტი ჩანს როგორც დანაშაული და მშობელთა უმრავლესობის პოზიცია ანალიზის მიმართ ამ დროისათვის, მისი გატარების შესახებ, უარყოფილია. ნევროზულობის ასეთი პროფილაქტიკა, რომელიც ალბათ ძალზე ქმედითი იქნებოდა, გულისხმობს საზოგადოების სრულიად სხვა განწყობილებას. აღზრდაში ფსიქოანალიზის გამოყენების ლოზუნგი ღღეს სხვა რაიმეს მიანიშნებს. ცხადად წარმოვიდგინოთ, თუ რა არის აღზრდის უახლოესი ამოცანა. ბავშვმა უნდა ისწავლოს ლტოლვის ფლობა. შეუძლებელია მას თავისუფლება მივცეთ, რომ შეუზღუდველად მისდიოს ყველა იმპულსს. ეს იქნებოდა მეტად ჭკუის სასწავლებელი ექსპერიმენტი ბავშვთა ფსიქოლოგებისათვის, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მშობლები ვერ იცხოვრებდნენ და თვითონ ბავშვებიც დიდად დაზარალდებოდნენ, რაც გამოვლინდებოდა ნაწილობრივ მაშინვე, სხვა შემთხვევაში – მოგვიანო წლებში. მაშასადამე აღზრდამ, უნდა შეაკავოს, აკრძალოს, დათრგუნოს და ყოველთვის ამაზე უნდა ზრუნავდეს საფუძვლიანად. მაგრამ ანალიზიდან გამოცდილებით ვიცით, რომ სწორედ ლტოლვის ამ დათრგუნვას მოაქვს ნევროტული დაავადება. მოიგონეთ როგორი დაწერილებით გამოვიკვლიეთ, თუ რა გზებით ხდება ეს. აღზრდამ, მაშასადამე, თავისი გზა უნდა ეძიოს თავისუფალი მოქმედების სცილასა და აკრძალვის ხარიბდას შორის. თუკი საერთოდ ამოცანა არაა გადაუწყვეტადი, აღზრდისათვის ოპტიმუმი უნდა იქნეს მონახული – რაც მეტ მიღწევას იძლევა და ნაკლებ გვაზარალებს. ამიტომ ვადგენთ, რამდენის აკრძალვის უფლება გვაქვს, რა დროს და რა საშუალებებით. ასევე უნდა განისაზღვროს, აღზრდითი ზემოქმედების ობიექტების ძალზე განსხვავებული კონსტიტუციონალური საბაბი, ასე რომ, აღმზრდელის იგივეობრივი მოქმედება შეუძლებელია ყველა ბავშვისთვის ერთნაირად კარგი რამ იყოს. შემდეგი მოსაზრება გვასწავლის, რომ აქამდე, აღზრდა თავის ამოცანას ძალზე ცუდად ანხორციელებდა და ბავშვებს დიდ ზიანს აყენებდა.

თუკი აღზრდა ოპტიმუმს ნახავს და თავის ამოცანას იდეალურად გადაწყვეტს, მაშინ შეუძლია იმედი ჰქონდეს, რომ ერთი ფაქტორი დაავადების ეტიოლოგიაში – ბავშვობის აქციდენციელური სიძნელეების ზემოქმედება – მოხსნილია. სხვა ფაქტორი, ურჩი ლტოლვითი კონსტიტუციის ძალა არასგზით არ ჩამოიცილება. თუკი გაეცნობარებთ ამ მძიმე ამოცანებს, რომლებიც აღმზრდელის წინაშე ისმის – ბავშვის კონსტიტუციური თავისებურებების შემეცნება, მკურნალი სიმპტომით იმის მიხვედრა, რაც მის არამზა სულიერ ცხოვრებაში აისახება – მას სიყვარულის სწორი საზომი უნაწილდება და მაღალ ავტორიტეტის ზემოქმედი ნაწილი უნარჩუნდება; ასედაც ამბობენ ერთადერთი მიზანშეწონილი მომზადება აღმზრდელის პროფესიისათვის საფუძვლიანი ფსიქოანალიზური სწავლაა. ყველაზე უკეთესია, როცა აღმზრდელი თვითონ ანდენს ანალიზს საკუთარ თავზე, ვინაიდან საკუთარ თავთან გამოცდილების მიღების გარეშე ანალიზს მაინც ვერ გაიშინაგნებს. მასწავლებელთა და აღმზრდელთა ანალიზი ჩანს ქმედით პროფილაქტიკურ ღონისძიებად, ვიდრე თვითონ ბავშვებისა, ასევე მათ ჩატარებას ნაკლები სიძნელეები უნდა რისპირდება.

სხვათა შორის, უნდა გავიაზროთ არაპირდაპირი მოთხოვნა ანალიზის გზით ბავშვის აღზრდის თაობაზე, რომელსაც მომავალში შეიძლება დიდი ზემოქმედება მოჰყვეს. მშობლები, რომლებმაც თვითონ ანალიზი განიცადეს და მას დიდად უმადლიან, მათ შორის საკუთარი აღზრდის შეცდომის ჩაწვდომას, ბავშვებს უკეთესი გარემოებით ექცევიან და მათ მრავალ ისეთ რაიმეს არიდებენ, რაც თვითონ მათთან არ იყო აშორებული. პარალელურად ანალიტიკოსთა აღზრდაზე ზემოქმედების მცდელობისა არის სხვა გამოკვლევებიც მიუსაფართა მიმართ კრიმინალობის აღმოცენებისა და აღკვეთის შესახებ. აქაც მხოლოდ კარებს გაგიღებთ და გაჩვენებთ ოთახს, მაგრამ შიგ არ შეგიყვანთ. ვიცი, თუკი ინტერესი ფსიქოანალიზისადმი ერთგული რჩება, ამ საგნების შესახებ მრავალ ახალსა და ღირებულს გაიგონებთ. მაგრამ მე არ შემიძლია აღზრდის თემა დავტოვო, თუ არ გავიხსენე გარკვეული თვალსაზრისი. რა თქმა უნდა, სამართლიანად აღინიშნა, რომ ყოველი აღზრდა პარტიულადაა წარმართული, მიისწრაფის ბავშვი ჩართოს არსებულ საზოგადოებრივ წყობილებაში იმისდა მიხედველობაში მიულებლად თავისთავად რა ღირებულებისაა, ან როგორ მყარია იგი. თუკი მავანი დარწმუნებულია ჩვენი თანამედროვე სოციალური წყობილების ნაკლოვანებაში, არაა გამართლებული, ფსიქოანალიზურად წარმართული აღზრდა კიდევ მის სამსახურში ჩააყენოს. მას უნდა დავუსახოთ სხვა, მაღალი მიზანი, რაც განთავისუფლებულია გაბატონებული სოციალური მოთხოვნებისაგან. მაგრამ, ვფიქრობ, ეს არგუმენტი აქ უადგილოა. მოთხოვნა აჭარბებს ანალიზის ფუნქციის გამართლებას. მკურნალი, რომელიც პნევმონიის მკურნალობისთვისაა მოწვეული, იმაზე არ იწუხებს თავს, არის თუ არა ავადმყოფი წესიერი კაცი, თვითმკვლელი თუ დამნაშავე იმსახურებს სიცოცხლეს, თუ ეს მას უნდა უსურვონ. აღზრდის სხვა დასახული მიზანიც პარტიულია და ანალიტიკოსის საქმე არაა პარტიათა შორის არჩევანი გადაწყვიტოს. მე მთლიანად ვუშვებ მხედველობიდან, რომ ფსიქოანალიზს უარს ეუბნებიან აღზრდის ყოველგვარ ზემოქმედებაზე, თუკი ის არ განიზრახავს არსებულ სოციალურ წყობასთან გაერთიანებას. ფსიქოანალიზური აღზრდა თავის თავზე იღებს არასასურველ პასუხისმგებლობას, როცა აგრძელებს თავისი აღსაზრდელის მეამბოხედ ფორმირებას. ის თავის საქმეს აკეთებს, როცა მას შეძლებისდაგვარად ჯანმრთელსა და შრომის უნარის მქონეს უშვებს. თვითონ მასშია საკმაოდ რევოლუციური მომენტი, რათა დაგვარწმუნოს, რომ მის მიერ აღზრდილი მოგვიანებით ცხოვრებაში არ დადგება აგრესიისა და ჩაგვრის მხარეზე. იმასაც ვფიქრობ, რევოლუციონერი ბავშვები არასგზით არ არიან სასურველნი.

ქალბატონებო და ბატონებო! თქვენთვის რამდენიმე სიტყვა მაქვს სათქმელი ფსიქოანალიზის, როგორც თერაპიის, შესახებ. თეორიულად მასზე თხუთმეტი წლის წინათ მოგახსენეთ და დღესაც სხვაგვარად მისი ფორმულირება არ შემიძლია. ამ დროის განმავლობაში, დაგროვილ გამოცდილებაზეც უნდა ითქვას. იცით, რომ ფსიქოანალიზი აღმოცენდა თერაპიის სახით და შემდეგ მასვე შორს გასცილდა, თუმცა მშობლიური ნიადაგი არ უარუყვია და მისი გალრმავებისა და შემდგომი განვითარებისათვის მუდამ იყო დაკავშირებული ავადმყოფთა წრესთან. ჩვენი თეორიის განვითარების მიღწევა არ შეგვეძლო სხვანაირად თუ არა ხშირ შთაბეჭდილებებზე

დაყრდნობით წარუმატებლობანი, რაც ჩვენ, როგორც თერაპევტებმა, განვიცადეთ, ჩვენს წინაშე ისევ და ისევ სვამენ ახალ ამოცანებს; რეალური ცხოვრების მოთხოვნები ეფექტური დაცვაა სპეციალიზაციაში გადაზრდის წინააღმდეგ, რომელსაც მაინც ჯერ კიდევ არ შეგვიძლია დავაღწიოთ თავი. რა საშუალებებით და გზებით ეხმარება ფსიქოანალიზი ავადმყოფებს, ეს უკვე ადრე განვმარტეთ. დღეს გვინდა ვიკითხოთ, რას აღწევს ის.

ალბათ იცით, მე არასდროს არ ვიყავი თერაპევტი ენთუზიასტი; ნუ გეშინიათ, მე ამ მოხსენებას რეკლამისათვის ბოროტად არ ვიყენებ. მე უფრო ნაკლებს ვლაპარაკობ. იმ დროისათვის, როცა ჯერ კიდევ ერთადერთი ანალიტიკოსი ვიყავი, პირებიდან, რომლებიც ჩემი საქმისადმი ვითომც მეგობრულად იყვნენ განწყობილნი, მესმოდა: ეს ყველაფერი ძალზე კარგია და გონებამახვილური, მაგრამ მაჩვენეთ ერთი შემთხვევა, ანალიზით რომ მოგერჩინოთო. ეს იყო ფორმულათა შორის ერთი, რომელიც დროთა განმავლობაში ფუნქციაში გამოიყო, რათა მოუხერხებელი სიახლე გვერდზე გადაედო. ის დღეს ისევე მოძველებულია, როგორც სხვა მრავალი განკურნებული პაციენტების მადლობის წერილების გროვა ანალიტიკოსის პორტფელშია. ამით ანალოგია არ ამოიწურება. სხვაობა გვერდით ფსიქოანალიზიც თერაპიაა. მას აქვს ტრიუმფიცა და ჩავარდნებიც, სიძნელეები, შეზღუდულობანი, ინდიკაციები. გარკვეულ დროს გაისმოდა ანალიზის წინააღმდეგ ბრალდება – როგორც თერაპია სერიოზულად არაა მხედველობაში მისაღები, ვინაიდან ის ვერ ბედავს მისი შედეგების სტატისტიკის გამოქვეყნებასო. ამის შემდეგ დოქტორ **მაქს ეიტინგონმა** (Max Eitingon) მიერ ბერლინში დაფუძნებულმა ფსიქოანალიზურმა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა მისი ერთი ათწლეულის შესახებ მკურნალობის შედეგების ანგარიში. ანგარიში არ იძლევა არც იმის საფუძველს, რომ დავიკვეხნოთ, არც იმისას, რომ შეგვრცხვეს. მაგრამ ასეთი სტატისტიკები საერთოდ არაა ყურადსაღები, დამუშავებული მასალა ისეთი ჰეტეროგენულია, რომ მხოლოდ დიდი რიცხვებია ყურადსაღები. უკეთესს ვიზამთ, თუ ცალკეულ გამოცდილებას მივმართავთ. აქ შემიძლია ვთქვა – არ ვფიქრობ, რომ ჩვენი განკურნების შედეგები **ლურდის** (Lurd) შედეგად მივიღოთ. არსებობს მრავალი ადამიანი, რომელთაც

სწამთ წმინდა ქალწულის საკვირველება. ასევე, როგორც არცნობიერის არსებობა. მივუბრუნდეთ მიწიერ კონკურენტებს, მაშინ ფსიქოანალიზურ თეორიას ფსიქოთერაპიის სხვა მეთოდები დაუპირისპირდებიან. ნევროტულ მდგომარეობათა ორგანულ ფიზიკალურ მკურნალობას დღეს არც კი მოიხსენიებენ. ფსიქოანალიზი, როგორც ფსიქოთერაპევტული მეთოდი, მათ არ გამორიცხავს. თეორიაში დადასტურებულია, რომ ფსიქოთერაპევტი წოდებულ ანალიზს თავის ავადმყოფთან გამოიყენებს სხვა სამკურნალო მეთოდების გვერდით შემთხვევის თავისებურებისა და გარე მიმართებათა ხელსაყრელობა–არახელსაყრელობის მიხედვით. სინამდვილეში ტექნიკა, რომელიც გვაიძულებს სამკურნალო საქმიანობის სპეციალიზაციას. ასევე ერთმანეთისაგან უნდა გამოყოფილიყო ქირურგია და ორთოპედია. ფსიქოანალიზური საქმიანობა უფრო ძნელია და მოთხოვნი, ის სათვალესავით აღვილი მოსასხამი არაა კითხვისას რომ ეიკეთებთ და სეირნობისას ვიხსნით. როგორც წესი ფსიქოანალიზს არ ჰყავს ექიმი. ფსიქოთერაპევტები, რომლებიც ანალიზსაც მოიხმარენ შემთხვევისდა მიხედვით, ჩემი გაგებით, არ დგანან საიმედო ანალიტურ ნიადაგზე; ისინი ანალიზს მთლიანად არ იღებენ, არამედ მას აფალბებენ, ალბათ "გააუსნებოვნებენ". ისინი არ შეიძლება ჩაითვალონ ანალიტიკოსებად. ვფიქრობ, ეს სავალალო მდგომარეობაა. მაგრამ სამკურნალო საქმიანობამი თანამოქმედება ანალიტიკოსისა ფსიქოთერაპევტთან, რომელიც ამ სფეროში სხვა მეთოდებით შემოიფარგლება, სავსებით მიზანშეწონილია.

ფსიქოთერაპიის სხვა მეთოდებთან შედარებით ფსიქოანალიზი უძლიერესია. ასევე სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ის ძნელია და ბევრი დროის მომთხოვნი. მსუბუქი შემთხვევებისათვის მას არ იყენებენ. შესატყვის შემთხვევებში მისით შეიძლება აშლილობათა თავიდან აცილება, იმ ცვლილებათა გამოწვევა, რომელთა შესახებ ანალიზამდე ვერც კი ვიფიქრებდით. მაგრამ მას აქვს თავისი ძალზე მგრძნობიარე ზღუდეებიც. თერაპევტული პატივმოყვარეობა ზოგიერთი ჩემი მოძმისა დიდად ცდილობდა დაბრკოლებათა გვერდის ავლას ისე, რომ ყოველი ნევროტული აშლილობანი ფსიქოანალიზით განეკურნებინათ. ისინი შეეცადნენ ანალიზური მუშაობა შემცირებული ხანგრძლივობით წარემართათ, გაეტანა ისე

აუმაღლებინათ, რომ ის ყოველი წინააღმდეგობის გაწევაზე უპირატესად წარმოედგინათ, განკურნების მიღწევისათვის ზეგავლენის სხვა საზღვები მასთან შეაერთეს. ეს მცდელობები, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ, ვფიქრობ, ამაოა. მას საშიშროებაც ახლავს თან, რომ თვითონ ანალიზიდან იდევნებიან და უკიდეგანო ექსპერიმენტირებაში ვარდებიან. მოლოდინი ყოველგვარი ნევროტულის განკურნებისა, ესაა იმ მოყვარულთა რწმენიდან მომდინარე, რომ ნევროზები რალაც სავსებით ზედმეტია, რასაც საერთოდ არსებობის უფლება არ გააჩნია. სინამდვილეში ისინი მძიმე, კონსტიტუციურად ფიქსირებული აფექტაციებია, რომლებიც იშვიათად თუ შემოიფარგლებიან ზოგიერთი ამოზეთქვით, უფრო ხშირად ცხოვრების ხანგრძლივ პერიოდებში ან მთელი ცხოვრების მანძილზეა თანმსდევი. ანალიზური გამოცდილება, რომელზედაც შეიძლება შორსმწვდომი ზემოქმედების მოხდენა, თუკი გაძლიერდება ავადმყოფობის ისტორიული მიზეზები და დამხმარე აქციდენციალური მომენტები. თერაპიულ პრაქტიკაში ჩვენ ბიძგს გვაძლევს კონსტიტუციური ფაქტორების უარყოფისათვის: ჩვენ მას არავითარ ზიანს არ ვაყენებთ, თეორიაში ის მუდამ უნდა გვახსოვდეს, უკვე ერთიანი მიუდგომლობა ფსიქოზებისა ანალიზური თერაპიისათვის, მიუხედავად ნევროზებთან მათი ახლო ნათესაობისა, ჩვენი პრეტენზიები უნდა შემოიფარგლოს ნევროზებით. ფსიქოანალიზის თერაპევტული ქმედითიანობა ვიწროვდება რიგი მნიშვნელოვანი და სუსტი მოქმედებით. ბავშვთან, სადაც უდიდესი შედეგების მიღწევას ვიმედოვნებდით, არის მშობელთა სიტუაციის გარეგანი სიძნელეები, რომლებიც მაინც ბავშვის ყოფიერებას განეკუთვნებიან. ზრდადასრულებულებთან ესაა პირველ რიგში ორი მომენტი: ფსიქიკური გამოხატვებისა და დაავადების ფორმა ყველაფერ იმასთან ერთად, რაც ფარავს ღრმა განსაზღვრულობებს. პირველ მომენტს არასამარცხვინოდ ხშირად ვერ ამჩნევენ. რა დიდიც არ უნდა იყოს სულიერი ცხოვრების პლასტიკურობა და ასევე ძველ მდგომარეობათა გაცოცხლების შესაძლებლობა, ყველაფრის ისევ გაცოცხლება არ ხდება, ზოგიერთი ცვლილება საბოლოო ჩანს, შეესატყვისებიან წარსულის პროცესების ჭრილობის ნაწიბურებს. სხვა შემთხვევებში იძენენ სულიერი ცხოვრების საერთო გაქვავებულობის შთაბეჭდილებას; ფსიქიკური პროცესები, რომლებიც ძალიან კარგად შეიძლებოდა სხვა გზებით წარმართულიყვნენ, ჩანან უუნაროდ, დატოვონ ძველი გზები. მაგრამ ალბათ ესაა იგივე, რაც წინანდელი, თუმცა სხვაგვარად დანახული. ძალზე ხშირად გრძნობენ, რომ ცვლილების მოსახდენად თერაპიას აკლია მხოლოდ საჭირო მამოძრავებელი ძალა. განსაზღვრული დამოკიდებულება, ლტოლვის რალაც კომპონენტებია, ზედმეტად ძლიერი, შედარებით საპირისპირო ძალებთან, რომლებიც შეიძლება სრულიად მობილური გავხადოთ. ზოგადად ეს ასეა ფსიქოზებთან. ჩვენ მას ვგებულობთ იმდენად, რამდენადაც კარგად ვიცით, სად უნდა დაიდოს ბერკეტი, მაგრამ მას არ შეუძლია ტვირთის ამოძრავება. აქ დაკავშირებულია მომავლის იმედიც, რომ ჰარმონიათა მოქმედების ცოდნა – იცით რაცაა ეს, ჩვენ საშუალებას გვაძლევს, რომ დაავადებას რაოდენობითი ფაქტორებით წარმატებით ვებრძოლოთ, მაგრამ დღეს მისგან შორს ვართ. ვიცი, რომ არასაიმედობა ყველა ამ დამოკიდებულებაში იძლევა განუწყვეტელ ბიძგს ანალიზისა და განსაკუთრებით გადატანის ტექნიკის სრულყოფისათვის. განსაკუთრებით ანალიზში დამწყებნი წარუმატებლობის შემთხვევაში ეჭვობენ, ამაში ბრალი უნდა მიუძღოდეს შემთხვევის თავისებურებას თუ თერაპიული მეთოდის მოუქნელ გამოყენებას. მაგრამ მე უკვე ვთქვი, არ ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით წარმართული მუშაობით ბევრი რაიმეს მიღწევა შეგვეძლოს. ანალიზური წარმატების, სხვა შეზღუდვები დაავადების ფორმებითაა მოცემული. უკვე იცით, რომ ანალიზური თერაპიის გამოყენების სფეროა გადატანის ნევროზები, ფობიები, ისტერიები, იძულების ნევროზები, გარდა ამისა, ხასიათის ანომალიებიც, რომლებიც ვითარდებიან ასეთი დაავადების ადგილზე. ყველაფერი, რაც სხვაგვარადაა, ნარცისტული, ფსიქოტური მდგომარეობანი. მეტად თუ ნაკლებად შეუფერებელია. დიახაც, სავსებით კანონიერი იქნებოდა ასეთ შემთხვევების წარუმატებლობისაგან თავი დაგვეცვა ზუსტი გამორიცხვით. ასეთი წინდახედულობით ანალიზის სტატისტიკოსები მიიღებდნენ დიდ გაუმჯობესებას. მაგრამ ამას ახლავს დაბრკოლება. ჩვენი დიაგნოზები ძალზე ხშირად მხოლოდ უკანა რიცხვით დაისმის, ისაა მსგავსი შოტლანდიის მეფის ჯადოქრობის ნიმუშისა, რის შესახებაც ვიქტორ ჰიუგოსთან ამოვიკითხე. ეს მეფე

ამტკიცებდა, რომ ფლობს ჯადოქრის გამოცნობის უტყუარ მეთოდს და მიუშვებდა გამოსაცნობს მდუღარე ქვაბთან დასამდურლად და შემდეგ სინჯავდა წვნიანს. მხოლოდ ამის შემდეგ ამბობდა – ის ჯადოქარი იყო, თუ არა. მსგავსადაა ჩვენთანაც, მხოლოდ ერთი განსხვავებით – ჩვენ დაზარალებულნი ვრჩებით. ჩვენ სამკურნალო პაციენტებს, თუ ასევე, განათლების მისაღებად მოსულ კანდიდატებს არ ვაფასებთ, სანამ მათ რამდენიმე კვირისა ან თვის მანძილზე ანალიზურად არ შევისწავლით. ფაქტიურად ჩვენ ვყიდულობთ შავ კუთხეში მოსათავსებელ კატას. პაციენტს თან მოაქვს განუსაზღვრელი, ხანგრძლივი ავადმყოფობა, რომელიც არ ექვემდებარება საიმედო დიაგნოზის დასმას. ამ გამოსაცდელი დროის შემდეგ შეიძლება გაირკვეს, რომ საქმე გვაქვს არაშესატყვის შემთხვევასთან. კანდიდატებს ვუშვებთ, პაციენტებს კიდევ გარკვეული დროის განმავლობაში ვსინჯავთ, სანამ მათ ხელსაყრელი კუთხით არ დავინახავთ. პაციენტი შურს იძიებს იმით, რომ ის ჩვენი წარუმატებლობის სიას ადიდებს. გაშვებული კანდიდატი, თუკი ის პარანოიკია, ამასობაში თვითონ წერს ფსიქოანალიზურ წიგნებს, როგორც ხედავთ, ჩვენი სიფრთხილე უნაყოფოა.

ვშიშობ აღნიშნული გადმოცემა თქვენს ინტერესს შორდება, მაგრამ კიდევ უფრო მეტად შემაწუხებდა, თუკი თქვენ იფიქრებდით, რომ ჩემი განზრახვაა, თქვენი ყურადღება ფსიქოანალიზის, როგორც თერაპიისა, დავაქვეითო. მე ალბათ ნამდვილად უხერხულად დავიწყე. მე მინდოდა, საბელდობრ, საპირისპირო რამ, ანალიზის თერაპიული შეზღუდულობა მის აუცილებლობაზე მითითებით გამემართლებინა. იმავე განზრახვით მივემართები სხვა წერტილისაკენ, საყვედურისაკენ, რომ ანალიზური მკურნალობა არათანაბრად დიდ დროს მოითხოვს. ამაზე უნდა ითქვას, რომ ფსიქიკური ცვლილებები ხდება სწორედ რომ ნელა; თუკი ის სწრაფად, უცებ მოხდებოდა, ეს იქნებოდა ცუდის მანიშნებელი. სწორია, რომ ძველ ნევროზის მკურნალობა სულ ცოტა გრძელდება რამდენიმე წელს, მაგრამ წარმატების შემთხვევაში ისმის კითხვა, თუ რამდენ ხანს გრძელდებოდა ავადმყოფობა, ალბათ ყოველი წლის მკურნალობაში იგულისხმება ათწლეული, ე. ი. ავადმყოფობა, როგორც ამას ხშირად ვხედავთ უმკურნალო ავადმყოფებთან, მთლიანად არასდროს

არ ქრება. ზოგიერთ შემთხვევაში საფუძველი გვაქვს, ანალიზს მივმართოთ მრავალი წლის შემდეგაც. ცხოვრებამ ახალ შემთხვევებზე ახალი ავადმყოფური რეაქციები განავითარა, ხოლო შუა პერიოდში ჩვენი პაციენტი ჯანსაღი იყო. პირველმა ანალიზმა სწორედ რომ არა ყველა მისი პათოლოგიური დისპოზიციები გამოავლინა და, ბუნებრივია, ანალიზი გაგრძელდა მას შემდეგაც, რაც შედეგი მიღწეულ იქნა. ასევე არსებობენ მძიმედ დაზიანებული ადამიანები მთელი ცხოვრების განმავლობაში ანალიზური ზედამხედველობის ქვეშ რომ არიან და დროდადრო ისევ ანალიზს მიმართავენ, მაგრამ ეს პირები საერთოდ სხვაგვარად ვერ არსებობენ და კმაყოფილნი უნდა ვიყოთ, რომ ამ ფრაქციული და რეკურირებული მკურნალობით შეიძლება მათი ფეხზე დაყენება. ხასიათის დარღვევები ასევე საჭიროებენ ხანგრძლივ მკურნალობას, მაგრამ ხშირად ის წარმატებულია და იკითხავთ იცნობთ თუ არა სხვა თერაპიას, რომლითაც შეიძლებოდა ამ ამოცანის გადაჭრაც? თერაპევტულ პატივმოყვარეობას შეუძლია უკმაყოფილოდ იგრძნოს თავი აღნიშნული მონაცემებით; მხოლოდ ტებერკულიოზისა და მჭამელას (Lupus) მაგალითზე ვისწავლეთ, რომ შედეგს მაშინ შეიძლება მივაღწიოთ, როცა თერაპია ავადმყოფობის ბუნებას შეესატყვისება.

გეუბნებოდით, რომ ფსიქოანალიზმა დაიწყო როგორც თერაპიამ, მაგრამ მინდოდა თქვენი ინტერესი გამეღვივებინა არა მხოლოდ თერაპიისათვის, არამედ მისი ჭეშმარიტი შინაარსის გამო, იმ განმარტების გამო, რასაც ის გვაძლევს ჩვენ იმის შესახებ, რაც ადამიანს ყველაზე ხშირად ემართება, მისი საკუთარი არსებისა და იმ კავშირების გამო, რომელსაც აღმოაჩენს თავის სხვადასხვა საქმიანობათა შორის. როგორც თერაპია, ის ერთერთია სხვათა შორის, და თქმა უნდა, prima inter pares*. მას რომ არ ჰქონოდა თერაპევტული ღირებულება, არ ექნებოდა ავადმყოფებთან აღიარება და არ განვითარდებოდა ოცდაათ წელზე მეტი ხნის მანძილზე.

* სწორთა შორის პირველი (რედ. შენიშვნ.).

35-ე ლექცია
მსოფლმხედველობის შესახებ

ქალბატონებო და ბატონებო! ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის დროს დაკავებული ვიყავით მცირედი ყოველდღიური ზრუნვით, თითქოს ეს ჩვენს უბრალო საკუთარ სახლს ეხებოდა. ახლა გვინდა თამამი სტარტი ავიღოთ და გავბედოთ კითხვაზე პასუხის გაცემა, რომელიც მრავალგზის სხვა კუთხით იყო დასმული – შევყავართ თუ არა ფსიქოანალიზს გარკვეულ მსოფლმხედველობამდე და თუკი შევყავართ, რომელთან.

მსოფლმხედველობა (Weltanschauung), ვშიშობ, სპეციფიკური გერმანული ცნებაა, რომლის უცხო ენაზე თარგმნა სიძნელეებს ქმნის, თუკი შევეცდებით მის დეფინიციას, ის მოგეჩვენებათ ალბათ უხეიროდ; ვფიქრობ, რომ მსოფლმხედველობაში არის ინტელექტუალური კონსტრუქცია, რომელიც ჩვენი ფოფიერების ყველა პრობლემას ერთიანად წყვეტს ზემდგომი დაშვებიდან, რომელშიაც ამის შესატყვისად არც ერთი საკითხი არ რჩება გადაუწყვეტელი და ყველაფერი, რასაც ჩვენი ინტერესი ეხება, განსაზღვრულ ადგილს იჭერს. ადვილი გასაგებია, რომ ასეთი მსოფლმხედველობის ქონა განეკუთვნება ადამიანთა იდეალურ სურვილებს. მასზე რწმენით შეიძლება ცხოვრებაში დაჯერებულად იგრძნო თავი, იცოდე, რას უნდა ესწრაფოდე, თუ როგორ შეგეძლოს მიზანშეწონილად გამოიყენო საკუთარი აფექტები და ინტერესები.

თუკი ესაა მსოფლმხედველობის ბუნება, პასუხი ფსიქოანალიზისათვის მეტად ადვილდება. სპეციალური მეცნიერებისათვის, როგორიცაა ფსიქოლოგიის შტო (სიღრმის ფსიქოლოგია ანუ არაცნობიერის ფსიქოლოგია), სავსებით შეუფერებელია მსოფლმხედველობის შექმნა. მან ის უნდა აიღოს მეცნიერებისაგან. მაგრამ მეცნიერული მსოფლმხედველობა უკვე შესამჩნევად შორდება ჩვენს დეფინიციას. სამყაროს ახსნის ერთიანობას თუმცა ისიც ღებულობს,

მაგრამ მხოლოდ როგორც პროგრამას, რომლის განხორციელება მომავალშია გადაწეული. სხვაგვარად ის გამოირჩევა ნეგატიური ქარაქტერისტიკებით; ამ დროისათვის არსებული ცოდნით შემოფარგლული და გარკვეული მისთვის უცხო ელემენტების მკაცრი უარყოფით. ის ამტკიცებს, რომ არ არსებობს არავითარი სხვა წყარო სამყაროს ცოდნისა, თუ არა ინტელექტუალური დამუშავება გულმოდგინედ შემოწმებული დაკვირვებისა, მაშასადამე, რასაც კვლევა-ძიებას უწოდებენ; ამასთან – არავითარი ცოდნა მიღებული გამოცხადებისაგან, ინტუიციისაგან ან წინათგრძნობისაგან (Diviuation). ჩანს, რომ ეს გაგება გასულ უკანასკნელ საუკუნეში საერთო აღიარებასთან ახლო იყო. ჩვენს საუკუნეს ერგო წილად აღნიშნულისადმი მეტადრურად წინააღმდეგობის გაწევა; ასეთი მსოფლმხედველობა ისეთივე მწირია, როგორც უნუგეშო, რომ არაფერი ვთქვათ ადამიანის გონის პრეტენზირებაზე და სულის მოთხოვნილებებზე.

ამ წინააღმდეგობის უკუგდება არ შეიძლება საკმაოდ ენერგიულად, ის სავსებით უსაფუძვლოა, ვინაიდან გონი და სული ზუსტად ისევე წარმოადგენენ მეცნიერული კვლევის ობიექტებს, როგორც ადამიანისათვის რომელიღაც უცხო ნივთები. ფსიქოანალიზს, განსაკუთრებული უფლება აქვს სიტყვა თქვას მეცნიერული მსოფლმხედველობის თაობაზე, ვინაიდან მას ვერ უსაყვედურებენ, რომ ის უგულვებელყოფდეს სამყაროს სურათში სულიერს. მისი წვლილი მეცნიერებაში სწორედ კვლევა-ძიების გაფართოებაა სულიერის სფეროში. ასეთი ფსიქოანალოგიის გარეშე, რა თქმა უნდა, მეცნიერება ძალზე არასრულყოფილი იქნებოდა. თუკი მიმართავენ ადამიანის (და ცხოველის) ინტელექტუალური და ემოციური ფუნქციების კვლევა-ძიებას მეცნიერებაში, მაშინ აღმოჩნდება, რომ არაფერი იცვლება მეცნიერების საერთო განწყობაში, – ცოდნის არც ახალი წყაროები, არც მეთოდები კვლევისა. ინტუიცია და წინათგრძნობა იქნებოდნენ ასეთნი, თუკი იარსებებდნენ, მაგრამ მათ მშვიდად მიაკუთვნებენ ილუზიებს, სურვილების წაქეზებათა აღსრულებას. ასევე აღვილად შეიცნობა, რომ ის მოთხოვნები მსოფლმხედველობისა მხოლოდ აფექტურადაა დაფუძნებული. მეცნიერება გვამცნობს, რომ ადამიანის სულიერი ცხოვრება ასეთ მოთხოვნებს ქმნის, მზადაა მისი წყაროები შეამოწმოს, მაგრამ მცირეოდენი საბაბიც კი არ

გააჩნია ის აღიაროს გამართლებულად. პირიქით, მოგვაგონებს, რომ ყველაფერი რაც ილუზიაა, ამგვარი აფექტური მოთხოვნის შედეგია და გულმოდგინედ გაითიშება ცოდნისაგან.

ეს არანაირად არ ნიშნავს, რომ აღნიშნული სურვილები აკრძალულად გვერდზე გადავდოთ, ანდა ადამიანთა ცხოვრებისათვის მათი ღირებულება დავაკანონოთ. მზად არიან მიუთითონ, თუ მაინც განხორციელებამ ხელოვნების, რელიგიის სისტემებში და ფილოსოფიაში რა მიღწევები შექმნა; მაგრამ მაინც არ უნდა გავუშვათ მხედველობიდან, რომ არაკანონიერი და ფრიად მიზანშეუწონელი იქნებოდა დაგვეშვა ამ მოთხოვნათა გადატანა შემეცნების სფეროში, ვინაიდან ამით იხსნება გზა ინდივიდუალური თუ მასობრივი ფსიქოზის სფეროში მისასვლელი და ამ მისწრაფებებს სინამდვილისადმი მიმართული, ღირებული ენერგია ვრთმევათ, რათა, რამდენადაც შესაძლებელია, მისით სურვილები და მოთხოვნილებანი დავაკმაყოფილდეს.

მეცნიერების თვალსაზრისით უცილობელია აქ კრიტიკა ვაწარმოოთ და უარყოფასა და უკუგდებას მივმართოთ. შეუწყნარებელია ვთქვათ, რომ მეცნიერება ადამიანის გონის მოქმედების სფეროა, ხოლო რელიგია და ფილოსოფია სხვა რამ, ოდნავ მისი ტოლფასი და ყოველი ადამიანის წინაშე თავისუფალი არჩევანია, თუ საიდან მოიტანოს რწმენა და საით წარმართოს თავისი მრწამსი. ასეთი თვალსაზრისი განსაკუთრებით კეთილშობილურია, ტოლერანტულია, მომცველია და თავისუფალია უგულო ცრურწმენებისაგან. სამწუხაროდ, ის მტკიცე არაა, მონაწილეა სავსებით არამეცნიერული მსოფლმხედველობის ყველა ნაკლოვანებისა და პრაქტიკულად მისი თანასწორია. სწორედ, რომ ასეა – ჭეშმარიტება არ შეიძლება იყოს ტოლერანტული, ის არ უშვებს არავითარ კომპრომისებსა და შეზღუდვებს, ადამიანური საქმიანობის კვლევა-ძიება ყველა სფეროში მას განიხილავს როგორც თავის საკუთარს და ულმობელად კრიტიკულად ეკიდება, თუკი, სხვა ძალას უნდა თავისთვის მისგან რაღაც მიისაკუთროს.

სამი ძალიდან, რომლებიც, მეცნიერებას ედავება, საბოლოოდ მარტო რელიგიაა მისი სერიოზული მტერი. ხელოვნება თითქმის მუდამ სათნო და ქველმოქმედია, ის სხვა არაფერია, თუ არა ილუზია, გარდა პირთა მცირე რიცხვისა, რომლებიც, როგორც ამბობენ, ხელოვნებისაგან შეპყრობილნი არიან, ვერ ბედავენ რეალობის სამეფოში ძალაუფლების გადამეტებას. ფილოსოფია მეცნიერების საპირისპირო არაა. თვითონ მას თავი უჭირავს როგორც მეცნიერებას, ნაწილობრივ მსგავსი მეთოდებით მუშაობს; მაგრამ მას შორდება, როცა ილუზიაშია, გვაძლევს სამყაროს უწყვეტ და გამართულ სურათს, რომელიც მაინც ჩვენი ცოდნის ყოველ ახალ ნაბიჯთან უნდა დაიმსხვრეს. ფილოსოფია მეთოდურად ამაში ცდება, რომ გადააფასებს ხოლმე ჩვენი ლოგიკური ოპერაციების შემეცნებით ღირებულებას და აღიარებს კიდევ ცოდნის სხვა წყაროს, ინტუიციას, და საკმაოდ ხშირად ფიქრობენ, რომ არაა პოეტის (ჰ. ჰაინეს) ირონია უმართებულო, როცა ის ფილოსოფიაზე ამბობს:

თავისი ღამის ქუდითა და საძილე კიტელის ძონძებით
სამყაროს წყობის ნახვრეტებს აკერებს.

მაგრამ ფილოსოფია ვერ ახდენს უშუალო ზეგავლენას ადამიანთა დიდ რაოდენობაზე. მისი ინტერესი, რომელიც ვრცელდება თვითონ ინტელექტუალისტების თხელი ზედაფენის მცირე რიცხვზე, სხვებისათვის ძლივს თუ არის მისაწვდომი. ამისდა საპირისპიროდ რელიგია უზარმაზარი ძალაა, რომლის განკარგულებაშია ადამიანთა უძლიერესი ემოციები. ცნობილია, რომ ის ადრე ყველაფერს მოიცავდა, რაც კი რაიმე როლს თამაშობდა ადამიანის ცხოვრებაში სულიერობის სახით, რომ ის მეცნიერების ადგილს იჭერდა, როცა ჯერ კიდევ არ იყო მეცნიერება და რომ მან შეუდარებელი თანმიმდევრობითა და შეკრულობით შექმნა მსოფლმხედველობა, რომელიც, თუმცა შეგვძრავს, მაგრამ დღესაც განაგრძობს არსებობას.

თუკი გვინდა გავაცნობიეროთ რელიგიის დიდებული არსი, მაშინ უნდა საკმარისი იყოს იმის ჩვენება, თუ რით იგებს ის ადამიანებს. რელიგია მათ განუმარტავს სამყაროს წარმოშობასა და აღმოცენებას, ცხოვრების ცვალებადობის შემთხვევაში ის არწმუნებს მათ მფარველობაში და საბოლოო ბედნიერებაში, წარმართავს მათ შეხედულებებსა და მოქმედებებს მითითებათა გზით, რომელიც მთელი ავტორიტეტით წარუდგება მათ. მაშ, რელიგია ასრულებს სამ ფუნქციას: პირველი ფუნქციით ის აკმაყოფილებს ადამიანური ცოდნის წყურვილს, იმასვე აკეთებს, რასაც საკუთარი საშუალებებით

გააკეთებდა მეცნიერება და აქ ამასთან მეტოქეობაშია; მეორე ფუნქციას ის უმაღლის მის უდიდეს ზეგავლენას. როცა ის ცხოვრების საშიშროებათა და ცვალებადობათა შემთხვევების წინაშე ადამიანთა შიშს აშოშმინებს, კეთილ დასასრულში, გვაჯერებს, უბედურებაში ნუგეშსა გვცემს; მეცნიერებას ეს არ შეუძლია. თუმცა მეცნიერება გვასწავლის, თუ როგორ უნდა ავირიდოთ საშიშროებანი, ზოგიერთ ავადმყოფობას შეიძლება შედეგიანადაც შევებრძოლოთ; ამდენად, მეტად არასამართლიანი იქნებოდა ეჭვის ქვეშ დაგვეყენებინა, არის თუ არა მეცნიერება ადამიანის მძლავრი დამხმარე, მაგრამ მრავალ ვითარებაში მან მაინც უნდა გადასცეს ადამიანი ავადმყოფობას და მხოლოდ მისადმი დაქვემდებარება ურჩიოს; მისი მესამე ფუნქციით, როცა ის მითითებებს იძლევა, აკრძალვებსა და შეზღუდვებს გამოსცემს, ყველაზე უფრო შორდება მეცნიერებას, ვინაიდან უკანასკნელი კმაყოფილდება იმით, რომ იკვლიოს და დაადგინოს. მისი გამოყენებიდან გამომდინარეობს, რა თქმა უნდა, ცხოვრებაში ქცევებისათვის წესები და რჩევები, პირობები იგივეა, რასაც რელიგია გვთავაზობს, მაგრამ სხვა დასაბუთებით. რელიგიის ამ სამი შინაარსის თავმოყრით სავსებით ცხადი არაა, რა, უნდა ესაქმებოდეს სამყაროს წარმოშობის შესახებ ახსნა-განმარტებას განსაზღვრულ ეთიკურ მითითებათა მოთხოვნებთან? დაცვისა და სიკეთის ქმნის გარანტია შინაგანადაა დაკავშირებული ეთიკურ მოთხოვნებთან, ისინი ჯილდოა ამ მცნებათა განხორციელებისათვის; ვინც მათ ექვემდებარება, იმედი აქვს მადლისა, ხოლო გაუგონრებს სასჯელი ელოდებათ. თუმცა მეცნიერებასთანაც რაღაც ამის მსგავსია, ვინც მის გამოყენებას უგულვებელყოფს, ფიქრობს, რომ დაზარალდება.

რელიგიაში ზნეობრივი დამოძღვრის, ნუგეშისცემისა და მოთხოვნის ხაოცარი თანაარსებობა მაშინ გაიგება, თუკი მის გენეტურ ანალიზს მივმართავთ, აღნიშნული უნდა ამოდიოდეს ერთობლიობის საოცარი მომენტიდან, სამყაროს აღმოცენების მოძღვრებიდან, ვინიდან რატომ უნდა ყოფილიყო კოსმოგონია რელიგიური სისტემის კანონზომიერი შემადგენელი ნაწილი? მაშ, მოძღვრება ასეთია, რომ სამყარო ადამიანის მსგავსი, მაგრამ ყველა ნაწილში – ძალაში, სიმრძნეში, ვნების სიძლიერეში – აღმატებული არსების, იდეალიზირებული ზეადამიანის მიერაა შექმნილი. ცხოველები, როგორც სამყაროს შემქმნელნი, მიუთითებენ ტოტემიზმის გავლენაზე, რომელსაც მოგვიანებით, ყოველ შემთხვევაში, შენიშვნის სახით შევეხებით. საინტერესოა, რომ სამყაროს შემქმნელი ყოველთვის ერთია იქაც, სადაც მრავალი ღმერთია აღიარებული. ასევე, რომ უპირატესად ის მამაკაცია, თუმცა ქალი ღმერთების მითითებაცაა. და სხვა მითოლოგიები სამყაროს შექმნას სწორედ ამით წყეტენ, რომ მამაკაცი ღმერთი ქალ ღმერთს, რომელიც ურჩხულამდეა დადაბლებული, გზიდან იშორებს. აქ ცალკეული საინტერესო პრობლემებია დაკავშირებული, მაგრამ უნდა ვიჩქაროთ. შემდგომი გზა ჩვენთვის იდვილად გამოიყოფა, ვინაიდან ეს შემქმნელი ღმერთი პირდაპირ მამად იწოდება. ფსიქოანალიზი ასკვნის, რომ ეს ნამდვილად მამაა ისე დიდებული, როგორც ის ერთხელ პატარა ბავშვს მოეჩვენა. რელიგიური ადამიანი სამყაროს შექმნას წარმოიდგენს ისე, როგორადაც საკუთარი თავის წარმოშობას.

მაშინ ადვილად აიხსნება მანუგეშებლად დარწმუნებისა და მკაცრი ეთიკური მოთხოვნების ერთობლიობა კოსმოგონიასთან. რადგანაც იგივე პირი, რომელსაც ბავშვი თავის არსებობას უმადლის, მამა (უფრო სწორედ, მამისაგან და დედისაგან შედგენილი მშობლის ინსტანცია) იცავს და პატრონობს სუსტ, უმწეო, გარე სამყაროდან მომლოდინე ყველა საშიშროებათა განმცდელ ბავშვს; მისი მფარველობის ქვეშ თავს საიმედოდ გრძნობს. მოზრდილად ქცეულმა ადამიანმა იცის, რომ თუმცა დიდ ძალებს ფლობს, მაგრამ მისეული გაგება საშიშროებისა იკვეთება და კანონიერად ასკვნის, რომ ის სამყაროსთან დაპირისპირებაში მუდამ ისევ ბავშვია. ახლაც არ შეუძლია უარი თქვას დაცვაზე, რომელსაც ის ბავშვობისას მოუხმობდა. მან დიდი ხანია ისიც გაიგო, რომ მამამისი არის ძალაუფლებაში მეტად შემზღუდველი, არაყველა უპირატესობით აღჭურვილი არსება, ამიტომ უბრუნდება ის მოგონების სურათს მის მიერ ბავშვობის დროს ასე გადაფასებული მამისას, აჰყავს ღვთაებამდე და აწმყოში და რეალობაში გადმოჰყავს. ამ მოგონების სურათის აფექტური სიძლიერე და თავისი თავის დაცვის მოთხოვნის გაგრძელება ერთმანეთთან კავშირში ატარებენ რწმენას ღმერთისადმი.

ამ რელიგიური პროგრამის მესამე მთავარი პუნქტიც, ეთიკური მოთხოვნა, ბუნებრივად ჩართულია ბავშვობის სიტუაციაში. მოგა-

გონებათ ი. კანტის ცნობილ გამონათქვამს, რომელიც მოჭეთილ
ცასა და გულში ზნეობრივ კანონს ასახელებს ერთი ამოსუნთქვით
რა უცხოდაც არ უნდა გეჩვენებოდეს ეს დაპირისპირება – რა ესაქ
მება ციურ სხეულს საკითხთან, ადამიანის შვილს სხვა უყვარს თუ
მას ჰკლავს? – ის მაინც ეხება დიდ ფსიქოლოგიურ ჭეშმარიტებას
იგივე მამა (მშობლის ინსტანცია), რომელიც ბავშვს სიცოცხლეს
ანიჭებს და ცხოვრების საშიშროებათაგან იცავს, ასევე ასწავლის
მას, თუ რისი კეთების უფლება აქვს და რა არ უნდა აკეთოს.
მიუთითებს, რომ უნდა შეზღუდოს თავისი ლტოლვითი სურვილები,
იცოდეს, რაც ელოდება მშობლებისა და და-ძმების პატივისცემის
სამაგიეროდ, თუკი მას უნდა იყოს ოჯახის წრის მომთმენელი და
სასიამოვნო წევრი და მოგვიანებით წევრი უფრო დიდი კავშირები
სა. სიყვარულის ჯილდოსა და დასჯის სისტემის გზით ბავშვი
აღიზრდება სოციალური მოვალეობის ცოდნით, იმოძღვრება, რომ
მისი ცხოვრების საიმედობა დამოკიდებულია იმაზე, რომ მშობლებ
სა და შემდეგ სხვებსაც ის უფრო უყვართ და მისი მათდამი
სიყვარული სწამთ. შემდეგ ყველა ეს დამოკიდებულება ადამიანს
უცვლელად რელიგიაში გადააქვს. მშობლების აკრძალვები და მოთ
ხოვნები მის გულში არსებობას განაგრძობენ ზნეობრივი სინდისის
სახით. ჯილდოსა და სასჯელის იგივე სისტემის დახმარებით ღმერ
თი მართავს ადამიანთა სამყაროს; ეთიკურ მოთხოვნათა შესრულე
ბაზეა დამოკიდებული, თუ დაცვისა და ბედნიერების დაკმაყოფილე
ბის რომელი საზომი მიესადაგება ერთეულს; ღმერთის სიყვარულის
და იმის ცნობიერებას, რომ ღმერთსაც უყვარხარ ეფუძნება იმედი,
რითაც შეიარაღებულნი ვართ როგორც გარესამყაროს, ისე ადამი
ანთა თანაგარემოს საშიშროებათა წინააღმდეგ. ბოლოს ლოცვაში
ვიცავთ პირდაპირ გავლენას ღვთიურ ნებაზე და ამით – ღვთიურ
ჟოვლისშემძლეობაში მონაწილეობას.

ვიცი, მოსმენისას მრავალი კითხვა გაგიჩნდებოდათ, რომელზეც
დაც პასუხს სიამოვნებით მოისმენდით. აქ ახლა არ შემიძლია ამის
გაკეთება, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ვერცერთი დეტალური
გამოკვლევა ჩვენს დებულებას ვერ შეარყევს – რომ რელიგიური
მსოფლმხედველობა დეტერმინირებულია ჩვენი ბავშვობის სიტუა
ციით. უფრო საოცარია, რომ მას, მიუხედავად მისი ინფანტილური

ბუნებისა, მაინც ჰყავს წინამორბედი. უეჭველია, იყო ხანა ურელი
გოდ, ღმერთების გარეშე, მას ანიმიზმს უწოდებენ. მაშინაც სამყა
რო გადავსებული იყო ადამიანის მსგავსი სულიერი არსებებით
ღმონებს რომ გუწოდებთ. გარესამყაროს ყველა ობიექტი იყო მათი
ადგილსამყოფელი ანდა, ალბათ, მათი იდენტური, მაგრამ არ არსე
ბობდა ზეძალა, რომელსაც ყველა ისინი შეექმნა და, ასევე, შემ
დგომ მათზე მფლობელობით შეძლებდა მათთვის მიემართა დაცვისა
და დახმარებისათვის. ანიმიზმის დემონები ადამიანებისაგან ზშირად
მტრულად მოიაზრებოდა, მაგრამ ჩანს, რომ ადამიანს მაშინ მაინც
უფრო მეტი ნდობა ჰქონდა მისდამი, ვიდრე მოგვიანებით. მართლაც,
მარადჟამს ამ ბოროტი სულების შიშის ქვეშ იყო, მაგრამ თავს
იცავდა მათგან გარკვეული მოქმედებებით, რომელთაც მიაწერდა
მისგან მათი გაწდევნის ძალას. გარდა ამისა, არც თავს თვლიდა
უმწეოდ, თუკი ბუნებას მართავდა თხოვნით, მაგ., წვიმა უნდოდა
მოსულიყო, მაშინ მიმართავდა ლოცვით არა ამინდის ღმერთს, არა
მედ ჯადოსნობას, რომლისგანაც ელოდა პირდაპირ ზემოქმედებას
ბუნებაზე, რაღაც წვიმის მსგავსს აკეთებდა. გარემოს ძალების
წინააღმდეგ ბრძოლაში მისი პირველი იარაღი იყო მაგია, – პირვე
ლი წინამორბედი ჩვენი დღევანდელი ტექნიკისა, ჩვენ ვუშვებთ,
რომ მაგიისადმი ნდობა გამოიყვანება საკუთარი ინტელექტუალური
ოპერაციების გადაფასებიდან, "აზრების ყოვლადძლიერების" რწმე
ნიდან, რასაც ვხვდებით იძულების მაჩვენებელ ჩვენს ნევროტიკებ
თან. შეგეძლო წარმოგვედგინა, რომ იმდროინდელი, ადამიანები გან
საკუთრებით ამაყობდნენ ენობრივი შენაძენებით, რომელსაც უნდა
მოჰყოლოდა აზროვნების დიდი გაადვილება, ისინი სიტყვას ანიჭებ
დნენ ჯადოსნურ ძალას. ეს თვისება მოგვიანებით, რელიგიამ გადა
იღო. თქვა ღმერთმა; "იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი". თუმცა
მაგიური მოქმედების ფაქტი აჩვენებს, რომ ანიმისტური ადამიანი
არ ტოვებს საკუთარ თავს უბრალოდ თავისი სურვილის ძალის
ამარა. ის, პირიქით, შედეგს ელის იმ აქტის განხორციელებით,
რომელსაც ბუნება მიბაძავდა. თუკი მას სურდა წვიმა, თვითონ
წყალს გადაისხამდა; თუკი მას ნებავდა ნიადაგისათვის ნაყოფიერე
ბა ებოძებინა, მინდორში აწყობდა სქესობრივი ცხოვრების სანახა
ობას, თქვენ იცით, თუ რა ძნელად ქრება რაიმე, რაც ერთხელ

ქალბატონებო და ბატონებო! რამდენადაც თვითონ თქვენ აქ იმ მეცნიერული მსოფლმხედველობის მომხრე ხართ, რომელსაც თავს ესხმიან ამ კრიტიკით, ღრმად არ იქნებით შეცბუნებული. კაიზერის ავსტრიაში ერთხელაც ითქვა სიტყვა, რომელიც აქ მინდა მოვიგონო, ხანში შესულმა მამაკაცმა ერთხელ დაუყვირა მისთვის არასახიამოვნო პარტიის დეპუტაციას: ეს აღარაა ჩვეულებრივი ოპოზიცია, ესაა ამბოხი ოპოზიციაო. მსგავსად ნახავთ, საეკლესიო მეცნიერების წინააღმდეგ, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ ამოხსნა სამყაროს გამოცანა, არამართებულად და მტრულად გადამეტებულია. დიდი მიღწევებისათვის მას აქამდე ნამდვილად ზედმეტად მცირე დრო ჰქონდა. მეცნიერება მეტად ახალგაზრდაა, გვიან განვითარებული, ადამიანური საქმიანობაა. საკმარისია რამდენიმე თარიღა ავიღოთ: დაახლოებით 300 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კეპლერმა პლანეტების მოძრაობის კონონზომიერება აღმოაჩინა. ნიუტონმა სინათლის სხივი დაშალა ფერებად და წამოაყენა მოძღვრება სიმძიმის ძალის შესახებ. მთავრდებოდა 1727 წელი, მაშასადამე, 200 წელზე ცოტა მეტი, რაც საფრანგეთის რევოლუციამდე რამდენიმე ხნით ადრე **ლავუაზიემ** აღმოაჩინა ჟანგბადი. ადამიანის ყოფიერება ძალზე მოკლეა კაცობრიობის განვითარების ხანგრძლივობასთან შედარებით. შეიძლება დღეს ძალზე მოხუცი ვიყო, მაგრამ დაბადებული ვიყავი, როცა **ჩ. დარვინმა** გამოაქვეყნა ნაშრომი სახეთა წარმოშობის თეორიაზე. იმავე წელს, 1859-ში დაიბადა რადიუმის აღმომჩენი პიერ **კიური** და თუ შემდგომ უკან დავბრუნდებით, ზუსტი ბუნებისმეტყველების საწყისებთან – ბერძნებთან, **არქიმედესთან, არისტარხთან** სამოსიდან (250 წლით ქრისტეს დაბადებამდე) კოპერნიკის წინამორბედთან, ანდა თვითონ ასტრონომიის პირველ საწყისებთან – ბაბილონელებთან, მაშინ დროის მონაკვეთის მხოლოდ მცირე ნაწილი დაიფარება, ვინაიდან ანთროპოლოგია ადამიანის განვითარებისათვის თავის მაიმუნის მსგავსი საწყისი ფორმიდან დროს გვართმევს და, და თქმა უნდა, მოიცავს ასი ათას წელზე მეტს. ნუ დაგვავიწყდება, რომ უკანასკნელმა საუკუნემ ახალ აღმოჩენათა სიმრავლე, დიდი მეცნიერული წინსვლის ისეთი დაჩქარება მოიტანა, რომ ყველა საფუძველი გვაქვს მეცნიერების მომავალს იმედის თვალით შევყურებდეთ. სხვებსაც უნდა მივცეთ გარკვეული უფლება.

ბა. ასეთია სწორედ მეცნიერების გზა – ნელი სვლა, მოსინჯვა, სიძნელე. ამაში არაფერია სადავო და შესაცვლელი. საკვირველი არაა, რომ ადამიანები მეორე მხრიდან არიან უკმაყოფილონი; ისინი განებივრებულნი არიან იმით, რომ გამოცხადებისას ყველაფერი უფრო ადვილად ხდება. მეცნიერული მუშაობის წინსვლა სავსებით ანალოგიურია ანალიზისა. მუშაობისას არის მოლოდინები, მაგრამ ისინი უნდა უკუვაგდოთ. ძალე შეიმჩნევა დაკვირვების გზით აქა და იქ რალაც სიახლე, უპირველეს ყოვლისა ის, რომ მოძენტები არ ეთანხმებიან ერთმანეთს. წამოაყენებენ ვარაუდს, ქმნიან დამხმარე კონსტრუქციებს, რომლებსაც უკანვე წაიღებენ, თუკი ისინი არ მართლდებიან. საჭიროა დიდი იძულებით მხედველობიდან არ გამოგვრჩეს ახალი, მოულოდნელი მომენტები. და ბოლოს ამად დირს მთელი დანახარჯი, გაბნეული მიგნებანი ერთდებიან, ვეცნობით სულიერი პროცესის მთელ მონაკვეთს, ამოცანა ამოწურულია და თავისუფლდება სხვისთვის. მხოლოდ ის დაბმარება, რასაც კვლევა-ძიებისას უქსპერიმენტი აღწევს, ანალიზში ზედმეტია.

მეცნიერების იმ კრიტიკაშიც ზოგი მომენტი გადამეტებულია. არაა სწორი, რომ ის ბრმად არამყარად მონაცვლეობს ერთი ცდიდან მეორეზე, ერთ შეცდომას მეორეთი ცვლის. როგორც წესი, ის მუშაობს ხელოვანივით თიხის მოდელთან, რასაც შიშველი მონახაზიდან დაუღალავად ცვლის, მას აწებებს და ჩამოჭრის, სანამ არ მიაღწევს დანახულ ან წარმოდგენილ ობიექტთან დაკმაყოფილებულ მსგავსებას. ყოველ შემთხვევაში ძველ და მომწიფებულ მეცნიერებებთან უკვე დღეს არსებობს სოლიდური ფუნდამენტი, რომელიც მოდიფიცირდება და ფართოვდება, მაგრამ მეტად ალარ იცვლება. ასე უკეთურად არ გამოიყურება მეცნიერული საქმიანობა.

და ბოლოს, რას უნდა ისახავდეს მიზნად მეცნიერების ეს დაბეჯითებითი ცილისწამება? მიუხედავად, თისი დღევანდელი არასრულყოფილებისა და სიძნელეებისა, ჩვენთვის ის რჩება როგორც აუცილებელი და არაფრით სხვით არ შეიცვლება. მას აქვს უნარი არნახული სრულყოფისა, ის არაა რელიგიური მსოფლმხედველობა. უკანასკნელი ყველა არსებით მომენტში მზაა; თუკი ის შეცდომა იქნებოდა, მუდამ ასეთად დარჩებოდა. მეცნიერების დაპატარავებას არ შეუძლია რაიმე შეცვალოს იმ ფაქტში, რომ ის ცდილობს

ფსიქიკური გამოსახულებით შეიძინება. არც ის გაგიკვირდებათ, რომ ანიმიზმის მრავალი გამოვლენა დღევანდლამდეა შემორჩენილი, უფრო ხშირად როგორც ე.წ. ცრურწმენანი რელიგიისა. მაგრამ კიდევ მეტი, – არ შეგიძლიათ უარყოთ მსჯელობა, რომ ჩვენმა ფილოსოფიამ შეიმოინახა ანიმისტური აზროვნების წესის არსებითი თვისებები, სიტყვის ჯადოს გადაფასება, რწმენა, რომ სამყაროში რეალური პროცესები იმ გზით მიდიან, რომლითაც ჩვენი აზროვნება მათ მიუთითებს. ეს იქნებოდა, რა თქმა უნდა, ანიმიზმი მაგიურ მოქმედებათა გარეშე. სხვა მხრივ უფლება გვაქვს მოველოდეთ, რომ იმ დროში უკვე იყო რაღაცნაირი ეთიკის, ერთმანეთთან არსებობის ურთიერთობის მითითებანი, მაგრამ არაფერი ვიცით იმაზე, რომ ისინი შინაგანადაა დაკავშირებული ანიმისტურ რწმენასთან. ალბათ ისინი იყო ძალთა დამოკიდებულებისა და პრაქტიკული მოთხოვნილებების უშუალო გამოსახვა.

რაც აიძულებს ანიმიზმიდან რელიგიაზე გადასვლას, დასტურ ღირსია შესწავლისა, მაგრამ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, დღესაც კიდევ როგორი სიბნელითაა მოცული ადამიანის სულის განვითარების ისტორიის პირველყოფილი დრო. ვფიქრობ, რელიგიის პირველი გამოვლენის ფორმა საკვირველი ტოტემიზმი იყო, ცხოველთა სადმი თაყვანისცემა, რომლის შედეგად, აღმოცენდა აგრეთვე პირველი ეთიკური აკრძალვები, ტაბუები. თავის დროზე წიგნში "ტოტემი და ტაბუ" ვარაუდი გამოვთქვი, რომელსაც ეს ცვლილება დაჰყავს ადამიანის ოჯახურ დმოკიდებულებათა დარღვევაზე. მთავარი მიღწევა რელიგიისა ანიმიზმთან შედარებით ძევს დემონური შიშის ფსიქიკურ დაკავშირებაში. მაინც წინა დროის გადმონაშთის სახით ბოროტი სული ადგილს იჭერს რელიგიის სისტემაში.

აღნიშნული იყო რელიგიური მსოფლმხედველობის წინა ისტორია. ახლა კი მივმართავთ მას, რაც მოხდა მას შემდეგ და ახლაც ხდება ჩვენს თვალწინ. მეცნიერული სული, რაც ძლიერდება ბუნების პროცესებზე დაკვირვებით, დროთა მსვლელობაში რელიგიას, როგორც ადამიანურ ფენომენს, მიმართავდა და მას კრიტიკულად განიხილავდა. უკანასკნელს არ შეეძლო მისი გაძლება. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო მისი საოცარი მონაყოლი, რომელიც იწვევდა გაკვირვებასა და დაურწმუნებლობას, ვინაიდან ეწინააღმდეგებოდა

ელაფერს, რაც კი გვასწავლა ფსიზელმა დაკვირვებამ და რაც ცხადად განიცდის ადამიანის ფანტაზიის მოქმედების გავლენას. რელიგიის მოძღვრება არსებული ქვეყნის ახსნის თაობაზე უარიყოფა, ვინაიდან ის ამჟღავნებდა უცოდინარობას ძველი დროის დაღს. რომ ატარებდა და რაც ვიცოდით ბუნების კანონების ფრიად საუძვლიანი ცოდნის წყალობით, რომ ქვეყნიერება უნდა გაჩენილიყო ჩასახვის ანდა შემოქმედების აქტების გზით, ცალკეული ადამიანის გაჩენის ანალოგიურად, მეტად აღარ ჩანდა უახლოეს, თავისთავად გასაგებ დაშვებად მის შემდეგ, რაც აზროვნებამ აღმოაჩინა. არაცოცხალ ბუნებასა და ცოცხალ, სულით სავსე არსებას შორის, რითაც შეუძლებელი, გახდა საწყისი ანიმიზმის თვალსაზრისის დაცვა. არ უნდა გამოგვრჩეს არც განსხვავებულ რელიგიურ სისტემათა შედარებითი შესწავლის გავლენა და მათი ურთიერთსაპირისპირო გამორიცხვისა და მათივე ინტოლერანტობის შთაბეჭდილება.

ამ წინასწარი ვარჯიშით გაძლიერებულმა მეცნიერულმა სულმა საბოლოოდ შეიძინა გამბედაობა გამოეცადა რელიგიური მსოფლმხედველობის მნიშვნელოვანი და აფექტურად ღირებული მოშენტები. ყოველთვის შეეძლოთ დაენახათ, მაგრამ მხოლოდ მოგვიანოდ გაბედეს გამოეთქვათ, რომ რელიგიის მტკიცებანიც, რომელიც ადამიანს ჰპირდება დაცვასა და ბედნიერებას, თუკი ის შეასრულებს გარკვეულ ეთიკურ მოთხოვნებს, ნაკლებ სარწმუნოა, არც ის მართლდება, რომ სამყაროში არის ძალა, რომელიც მშობლიური მზრუნველობით ერთეულის კეთილდღეობას იცავს და ყველაფერი, რაც კი მას ეხება, ბედნიერად მთავრდება. პირიქით, ადამიანთა ბედი არ ერთიანდება არც სამყაროს სიკეთის, არც – ნაწილობრივ მისი საპირისპირო – სამყაროს სამართლიანობის დაშვებით. მიწისძვრები, წყალდიდობა, ცეცხლი არ განარჩევენ კეთილს, ღვთისმოშიშსა და ავკაცს, ან არამორწმუნეს. ასევე, სადაც არაცოცხალი ბუნება მხედველობაში არ მიიღება და ამდენად, ცალკეული ადამიანის ბედი დამოკიდებულია სხვა ადამიანებთან მიმართებებზე, არაა კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც სიკეთე დაჯილდოვდება და ბოროტება დაისჯება. პირიქით, საკმაოდ ხშირად სამყაროშია მოძალადეობა, ეშმაკობა, დაუნდობლობა და აღარაა ღვთისმოსაობა. ბნელი, უგრძნობი და უგულო ძალები განსაზღვრავენ ადამიანის ბედს.

ჯილდოსა და სასჯელის სისტემა, რასაც რელიგიამ მიაწერა სამყაროში ბატონობა, არ არსებობს. აქ ისევაა საბაბი ანიმიზმის რელიგიაში გადარჩენილი განსულიერების მომენტის უარყოფისა.

რელიგიური მსოფლმხედველობის უკანასკნელი კრიტიკა ფსიქოანალიზმა მოგვცა, როცა მან რელიგიის საწყისად ბავშვური უსუსურობა ჩათვალა და მისი შინაარსები გამოიყვანა მოწყვეტილი, ცხოვრებაში გაგრძელებული ბავშვობისდროინდელი სურვილებისა და მოთხოვნილებებისაგან. ეს არ ნიშნავს პირდაპირ რელიგიის უკუგდებას, მაგრამ ეს იყო მაინც მის შესახებ ჩვენი ცოდნის საჭირო ერთი მონაკვეთის დასრულება და, ყოველ შემთხვევაში, ერთ მომენტში წინააღმდეგობა, ვინაიდან თვითონ რელიგია ღვთიურ წარმოშობას თავისთვის იყენებს. ის ამაში მაინც სწორია, თუკი ღმერთის შესახებ ჩვენს ინტერპრეტაციას გავითვალისწინებთ.

რელიგიური მსოფლმხედველობის შესახებ მეცნიერების დამჯამებელი მსჯელობა ასეთია: მაშინ, როცა ცალკეული რელიგიები ერთმანეთთან დავობენ იმაზე, თუ რომელია ჭეშმარიტი, ვფიქრობთ, უფლება გვაქვს საერთოდ რელიგიის ჭეშმარიტების შინაარსის უარყოფისა. რელიგია ცდაა, შეგრძნებათა სამყაროა, რომელშიც ჩასძული ვართ დავძლიოთ სურვილის სამყაროს საშუალებით, ის, რაც ჩვენში ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური აუცილებლობის შედეგადაა განვითარებული. მაგრამ შეიძლება რელიგიამ ამას კარი მიაღწიოს. მისი მოძღვრება იმ დროის დაღს ატარებს, რომელშიც თვით აღმოცენდა – კაცობრიობის უცოდინარი ბავშვობის დროისას. მისი ნუგეშისცემა არ იმსახურებს ნდობას, გამოცდილება გვასწავლის: სამყარო არაა ბავშვის ოთახი, ეთიკური მოთხოვნები, რომლებიც რელიგიას ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, პირიქით, მოითხოვენ სხვა დასაბუთებას, ვინაიდან ისინი ადამიანის საზოგადოებისათვის შეუნაცვლებელნი არიან და საშიშია მათი დაკავშირდეს რელიგიურ მიმნდობლობას. თუკი შევეცდებით რელიგიის ჩაყენებას კაცობრიობის განვითარების ფერხულში, ის გამოჩნდება არა როგორც ხანგრძლივი შენაძენი, არამედ ნევროზის სახისპირო რამ, რომელიც ერთეულმა კულტურულმა ადამიანმა გადაიტანა ბავშვობიდან მომწიფებამდე განვლილ გზაზე.

ბუნებრივია, უფლება გაქვთ კრიტიკულად მიუდგეთ ჩემს გადმოცემას. ამაში თვითონ მე შეგიწყობთ ხელს. რაც გითხარით რელიგიური მსოფლმხედველობის თანდათანობით დაცემაზე, რა თქმა უნდა, არასრულყოფილი იყო შემჭიდროებულად გადმოცემის გამო, ცალკეულ პროცესთა თანმიმდევრობა არ იყო სავსებით სწორად მითითებული. მეცნიერული სულის გაღვიძებისას განსხვავებულ ძალთა თანამოქმედებას ვერ გავყევით. ყურადღების გარეთ დაგვრჩა ის ცვლილებებიც, თვითონ რელიგიურ მსოფლმხედველობაში მათი უცილობელი ბატონობის დროს და შემდეგ გამაცოცხლებელი კრიტიკის ზემოქმედებისას რომ განხორციელდა. ბოლოს ჩემი განხილვა მკაცრად აღებული დასავლეთის ხალხების რელიგიის ერთადერთ ფორმაზე შემოვიფარგლეთ. ასე რომ ვთქვათ, მე ჩემთვის ფანტომი შევქმნი დაჩქარების, შესაძლო შთამბეჭდავი დემონსტრაციის მიზნით. ნუ შევეხებით კითხვას, ჩემი ცოდნა საერთოდ საკმარისია თუ არა იმისათვის, რომ ის უკეთესი და სრულყოფილი გახდეს. ვიცი, ყველაფერი გითხარით, შეგიძლიათ სხვაგან ნახოთ, უკეთესადაც ნახოთ, მასში არაფერია სიახლე. გამოვთქვამ რწმენას, რომ რელიგიის პრობლემების მასალის გულმოდგინე დამუშავება ჩვენს შედეგებს ვერ შეარყევს.

იცით, რომ მეცნიერული სულის ბრძოლა რელიგიური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ დამთავრებული არაა. ჩვენ თვალწინ ის ახლაც მიმდინარეობს. ფსოქოანალიზი პოლემიკის იარაღად ნაკლებად გამოიყენება, მაგრამ მაინც უარს არ ვამბობ ამ ბრძოლას გავეცნოთ. ამასთან, ალბათ ჩვენ მივაღწევთ მსოფლმხედველობებისადმი ჩვენი პოზიციის შემდგომ გარკვევას. დაინახავთ, თუ რა ადვილად უკუიგდება რელიგიის მომხრეების მიერ წამოყენებული ზოგიერთი არგუმენტი, სხვები კი შეიძლება არ უარიყოფოდეს.

პირველი შეპასუხება, რაც მოგვესმის, გვაუწყებს: ესაა მეცნიერების კადნიერება თავის კვლევის საგნად გამოაცხადოს რელიგია, ვინაიდან ეს იქნებოდა რაღაც სუვერენული, ყოველ ადამიანურ აზროვნებაზე აღმატებული რამ, რომელიც ჭკვიანურ კრიტიკასთან ახლოს არ მოდის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეცნიერების კომპეტენციაში არ შედის რელიგიის შეფასება. თუმცა მეცნიერება საკმაოდ ვარგისი და დაფასების ღირსი იქნებოდა, რამდენადაც

შემოიფარგლებოდა თავისი სფეროთი, მაგრამ რელიგია არაა მისი კვლევის საგანი, ვინაიდან, აქ არაფერი აქვს საძიებელი. ამ უსაშველოდ უარყოფით არ კმაყოფილდებიან და სვამენ კითხვას: რას ემყარება სხვებს შორის ადამიანური საქმის განსაკუთრებულობის პრეტენზია – მასზე პასუხს ღებულობენ – თუკი საერთოდ პასუხის ღირსი გახდებიან, უფლება არ გვაქვს რელიგიის ადამიანური საზომით გაზომვისა, ვინაიდან ის ღვთიური წარმოშობისაა და ჩვენ გვეძლევა სულის გამოცხადებით ის, რისი წვდომაც არ შეუძლია ადამიანის არსებას. უნდა ეფიქრათ, რომ არაფერია უფრო ადვილი, ვიდრე ამ არგუმენტის უკუგდება. ეს ხომ ცხადი petitio principi-ა – begging the questions* – ამის უკეთესი გამომხატველი არ მეგულება. სწორედ საკითხავია, არსებობს თუ არა ღვთაებრივი სული, ან მისი გამოცხადება და ალბათ არაა საკითხის გადაწყვეტა, როცა ამბობენ, რომ არ შეიძლება ამის კითხვა, ვინაიდან უფლება არა გვაქვს ეჭვის ქვეშ დავაყენოთ ღვთაება – აქ ისევეა, როგორც ანალიზური მუშაობისას. თუკი ჩვეულებრივ საზრიანი პაციენტი განსაზღვრულ მოთხოვნას განსაკუთრებული სულელური დასაბუთებით უარყოფს, მაშინ ეს ლოგიკური სისუსტე თავდებია წინააღმდეგობის განსაკუთრებით ძლიერი მოტივის არსებობისა, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ აფექტური ბუნებისა, გრძნობასთან დაკავშირებული.

შეიძლება სხვა პასუხიც მიგვეცა, რომელშიც ასეთი მოტივი გამოჩნდებოდა: უფლება არა გვაქვს რელიგია განვიხილოთ კრიტიკულად, ვინაიდან ის გამოხატავს უღრმეს გრძნობებს; განსაკუთრებით ჩვენთვის ის ქვეყანას ასატანსა და ცხოვრებას ადამიანისათვის ღირსეულს ხდის. პასუხი არაა საჭირო. იქ, სადაც რელიგიის შეცნობა არა მარტი სადავოდაა გამხდარი, არამედ ფურადღება საქმის სხვა ვითარებაზეა მიპყრობილი. ხაზს უსვამენ, რომ მსჯელობა სრულიადაც არ ეხება რელიგიის სფეროში მეცნიერული სულის გავრცელებას არამედ, პირიქით – რელიგიის უფლების გადამეტების შესახებ მეცნიერული აზროვნების სფეროს, რაც მუდამჟამს შეიძლება იყოს რელიგიის ღირებულება და მნიშვნელობა. ესაა ის, რომ მას უფლება არ აქვს აზროვნება შეზღუდოს, მაშასადამე, არც იმის უფლება აქვს, რომ თავისი თავი ამორთოს აზროვნების სფეროდან.

---

* შეკითხვა თხოვნა (რედ. შენიშვნა).

თავისი არსით მეცნიერული აზროვნება არაა განსხვავებული ნორმალური აზროვნებისაგან, რომელსაც ჩვენ ყველანი, მორწმუნენიც და, ურწმუნონიც, ვიყენებთ ცხოვრებაში ჩვენი საქმეების შესრულებისას. მხოლოდ ზოგიერთი მისწრაფების დროს ის იღებს განსაკუთრებულ სახეს, რომ ინტერესდება იმ საგნების მიმართ, რომელთაც არ გააჩნიათ უშუალო, ხელშესახები საჭიროება, ცდილობს გულმოდგინედ შორს დაიჭიროს ინდივიდუალური ფაქტორები და აფექტური ზემოქმედებანი, ამოწმებს გრძნობად აღქმებს, რის საფუძველზე თავის დასკვნებს აგებს, უფრო მკაცრად ამოწმებს მათ საიმედობას, ქმნის ისეთ ახალ აღქმებს, რომლებიც ჩვეულებრივი საშუალებებით არ მიიღწევა და განაცალკევებს ამ ახალი გამოცდილების პირობებს ნებსით ვარიაციულ ცდებში. ის ისწრაფვის მიაღწიოს რეალობასთან დამთხვევას, ე.ი. იმასთან, რაც ჩვენს გარეთ, ჩვენგან დამოუკიდებლადაა და, როგორც გამოცდილებამ გვასწავლა, მნიშვნელოვანწილად ჩვენი სურვილების ასრულების ანდა განუხორციელობისათვისაა. ამ დამთხვევას რეალურ გარესამყაროსთან ვუწოდებთ ჭეშმარიტებას. ის მეცნიერული მუშაობის მიზნად რჩება მაშინაც კი, როცა მის პრაქტიკულ ღირებულებას მხედველობის გარეთ ვტოვებთ. როცა რელიგია ამტკიცებს, რომ მას შეუძლია მეცნიერების შენაცვლება, ვინაიდან ისაა კეთილისმყოფელი და ამაღლებული, ამდენად, ასევე, ჭეშმარიტიც უნდა იყოსო, ეს მართლაც გადამეტებაა, რომელიც ზოგადი ინტერესის გამო უნდა უკუაგდოს, ძლიერი მოთხოვნაა ადამიანის მიმართ, რომელმაც ისწავლა თავისი ჩვეულებრივი საქმიანობა გამოცდილების წესების მიხედვით და რეალობის პატივისცემის ნიშნით წარმართოს, სწორედ თავისი ყველაზე ინტიმური ინტერესების აღსრულება გადაიტანოს ინსტანციაზე, რომელიც რაციონალური აზროვნებისაგან განთავისუფლებას თავის უპირატესობად აცხადებს. რაც შეეხება დაცვას, რასაც პირდება რელიგია მორწმუნეებს, ვფიქრობ, არავის ჩვენგანს არ უნდა იმ მანქანაში ჩავჯდომა, რომლის მძღოლი აცხადებს, რომ ის ქუჩაში მოძრაობს შეუცდომლად, მოძრაობის წესებით, თავისი მაღალი გაქანების ფანტაზიის იმპულსების მიხედვით.

აზროვნების აკრძალვა, რომელიც რელიგიას თვითშენახვის სამსახურიდან გამოჰყავს, საშიშია როგორც ცალკეული, ისე ადამია-

ნის საზოგადოებისთვისაც. ანალიზური გამოცდილება გვასწავლის, რომ ასეთ აკრძალვას, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ვე შემოფარგლულია განსაზღვრული სფეროთი, მიდრეკილება აქვს გაფართოვდეს და შემდეგ მიზეზად იქცეს პერსონის ცხოვრების ყაიდის მძიმე დაბრკოლებებისათვის. ამ შედეგს დავაკვირდეთ ასევე ქალურ სქესთან, როგორც შედეგი აკრძალვისა, მხოლოდ აზროვნების სფეროში თავისი სექსუალობით მანიპულაციისა. აზროვნების რელიგიური შეკავების მავნეობა შეიძლება აჩვენოს წარსული ღირ ის თითქმის ყველა გამოჩენილი ინდივიდის ცხოვრების ისტორიის აღწერამ. სხვა მხრივ ინტელექტი – ანდა ვუწოდოთ მას ჩვენთვის კარგად ცნობილი სახელი გონება – განეკუთვნება იმ ძალებს, რო მელთაგანაც მოველით ყველაზე უფრო მეტად გამაერთიანებელ ზეგავლენას ადამიანებზე, ვინც ასე ძნელად თუ არიან ერთმანეთ თან და, ამდენად, ძლივს თუ არიან მართვადნი. წარმოიდგინეთ, რა შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის საზოგადოება, თუკი მის თითო ეულ წევრს ექნებოდა მხოლოდ საკუთარი გაძრავლების ტაბუები და თავისი განსაკუთრებული ზომისა და წონის ერთეული. ჩვენი მომავლის საუკეთესო იმედია, რომ ინტელექტი – მეცნიერული სუ ლი, გონება – ადამიანის სულიერ ცხოვრებაში დიქტატურას მიი წევს მომავალში. გონების არსი თავდებია იმისა, რომ ის არ დაუშ ვებს, ადამიანის ემოციებმა და მისგან განსაზღვრულმა მოვლენებმა დაიკავონ გონების კუთვნილი ადგილი. მაგრამ გონების ასეთი ბა ტონობის საერთო იძულება აღმოჩნდება ადამიანთა შორის ძლიერი გამაერთიანებელი კავშირი, სხვა გაერთიანებების საწყისი. რაც რე ლიგიის აზროვნების აკრძალვის მსგავსად ასეთ განვითარებას უპირისპირდება, საშიშროებაა კაცობრიობის მომავლისათვის.

შეიძლება იკითხონ, რატომ არ შეწყვეტს რელიგია მისთვის არაპერსონალურ დავას, როცა აშკარად აცხადებს: "სწორია, მე თქვენთვის იმის მიცემა არ შემიძლია, რასაც ჩვეულებრივ ჭეშმარი ტებას უწოდებენ; ამისთვის თქვენ მეცნიერებას უნდა მიმართოთ. მაგრამ რაც მოგეცით, შეუდარებლად მშვენიერია, მანუგეშებელი და ამაღლებულია ყველაფერ იმაზე, რაც შეგიძლიათ მიიღოთ მეც ნიერებისაგან. და ამიტომაც გეუბნებით, რელიგია ჭეშმარიტებაა სხვა, მაღალი აზრით". პასუხი ადვილი საპოვნია. რელიგიას არ

შეუძლია ამის აღიარება, ვინაიდან ამით მასაზე ყოველგვარ გავლე ნას დაჰკარგავდა. ჩვეულებრივი ადამიანი ჭეშმარიტებას იცნობს მხოლოდ სიტყვის ზოგადი მნიშვნელობით. რა უნდა იყოს უფრო მაღალი და უმაღლესი ჭეშმარიტება, მას არ შეუძლია წარმოიდგი ნოს. მას ჭეშმარიტება ეჩვენება ისევე ნაკლები ხარისხის მქონედ, როგორც სიკვდილი და არ შეუძლია მშვენიერებიდან ჭეშმარიტება ში ნახტომის გაკეთება. ალბათ ჩემთან ერთად ფიქრობთ, რომ სწორადაც იქცევა.

ბრძოლა არ დამთავრებულა. რელიგიური მსოფლმხედველობის მომხრეები იქცევიან ძველი დებულების მიხედვით: დაცვის საუკე თესო საშუალება თავდასხმაა. ისინი კითხულობენ: ვინ არის ეს მეცნიერება, რომელიც ჩვენი რელიგიის გაუფასურების პრეტენზი ას აცხადებს, რომელსაც მილიონობით ადამიანისათვის ათასწლეუ ლის მანძილზე სიკეთე და ნუგეში უთესია? რას მიალწია მან თავის მხრივ? შემდეგ, რას შეგვიძლია მისგან მოველოდეთ? საკუთარი აღიარებით მას არ გააჩნია უნარი მოგვანიჭოს ნუგეში და ამაღლე ბა. უარვყოთ ეს, თუმცა ეს არაა აღვილი. მაგრამ რა არის თვითონ მისი მოძღვრება, შეუძლია გვითხრას, თუ როგორ წარმოიშვა სამ ყარო და რა ბედი ელის მას? შეუძლია მას უკვე შეკავშირებული სამყაროს სურათი დაგვიხატოს, გვაჩვენოს, თუ რას ეკუთვნიან სიცოცხლის აუხსნელი ფენომენები, თუ როგორ შეუძლიათ სულიე რ ძალებს ინერტულ მატერიაზე ზემოქმედება? თუკი მას ეს შეუძ ლია, ჩვენი პატივისცემა არ მოაკლდება. მაგრამ არაფერი ამათგან, არც ერთი ამ სახის პრობლემა მას ჯერ კიდევ არ გადაუჭრია. ის გვთავაზობს მოჩვენებითი შემეცნების ფრაგმენტებს, რომლებიც ერ თმანეთს არ ემთხვევიან, პროცესის მსვლელობაში აგროვებს წეს ჩვეულებათა დაკვირვებებს, რომელთაც ალნიშნავს კანონზომიერე ობის საჩელით და მათ სახიფათო ინტერპრეტაციას იძლევა. სანდო ობის რა მცირე ხარისხს ანიჭებს თავის შედეგებს! ყველაფერი, რასაც ის გვასწავლის, მხოლოდ წინასწარი მნიშვნელობის მქონეა; რაც დღეს უმაღლეს სიბრძნემდე აჰყავთ, ხვალ უკუიგდება და პრობლემები ისევ მხოლოდ სხვით შეინაცვლება. მაშინ უკანასკნელ შეცდომას ეწოდება ჭეშმარიტება, და ამ ჭეშმარიტებას უნდა მსხვერპლად შევწიროთ ჩვენი უმაღლესი კეთილდღეობა!

რეალურ გარესამყაროსთან ჩვენ დამოკიდებულებას თავი გაართვას მაშინ, როცა რელიგია ილუზიაა და მისი სიძლიერე საპირისპირო მიიმართება ჩვენი ლტოლვითი სურვილების წინააღმდეგ.

მე ვალდებული ვარ კიდევ სხვა მსოფლმხედველობები გაცნო, რომლებიც უპირისპირდებიან მეცნიერულს. ამას მე უხალისოდ ვაკეთებ, ვინაიდან ვიცი, რომ მათი შეფასება ჩემი კომპეტენცია არაა. შემდგომი ჩემი შენიშვნები მიიღეთ ამ აღიარების მიხედვილების ქვეშ და თუკი თქვენი ინტერესები გაიღვიძებს, უკეთესი რჩევა ეძიეთ სხვა მხრიდან.

პირველ ადგილზე აქ დასახელებულია სხვადასხვა ფილოსოფიური სისტემები, რომლებმაც გაბედეს დაეხატათ სამყაროს სურათი, როგორც აისახებოდა უმთავრესად სამყაროსადმი ზურგშექცეულ მოაზროვნეთა ცნობიერებაში. ფილოსოფიისა და მისი მეთოდების ზოგადი დახასიათების მოცემას უკვე შევეცადე, ცალკეული სისტემების შეფასებისათვის კი შეუფერებელი გახლავართ, როგორც არცთუ იშვიათად, ვინმე სხვა. მივმართოთ ორ სხვა მოვლენას, რომელთა გვრდის აუცილებლად ჩვენს დროში არ შეიძლება. ერთი ამ მსოფლმხედველობათაგან თითქოსდა პოლიტიკური ანარქიზმის საპირისპიროა, ალბათ გამოსხივებაა მისგან. ასეთი ინტელექტუალური ნიჰილისტები, რა თქმა უნდა, უწინაც იყვნენ, მაგრამ ახლა თანამედროვე ფიზიკის ფარდობითობის თეორია ჩანს თავში აქეთ ავარდნილი. თუმცა ისინი ამოდიან მეცნიერებიდან, მაგრამ მას იგებენ როგორც თვითმოსპობის, თვითმკვლელობის ბიძგს, ამოცანად ისახავენ თვითონ საკუთარი თავი გზიდან მოიშოროს მათი პრეტენზიებისადმი დაპირისპირებით. ამასთან ხშირად ვლებულობთ შთაბეჭდილებას, რომ ეს ნიჰილიზმი იყოს მხოლოდ დროებითი განწყობა, რომელიცაა ამ ამოცანის განხორციელებამდე შენარჩუნებული. თუკი მეცნიერებას გზიდან ჩამოვიშორებთ, მაშინ თავისუფალ ადგილზე შეიძლება რომელიღაც მისტიციზმი ან ისევ ძველი რელიგიური მსოფლმხედველობა გავრცელდეს. ანარქისტული მოძღვრების მიხედვით, საერთოდ არ არსებობს ჭეშმარიტება, გარესამყაროს შემეცნება. რასაც ჩვენ მეცნიერულ ჭეშმარიტებად ვთვლით, მხოლოდ პროდუქტია ჩვენი საკუთარი მოთხოვნილებისა, როგორც დაც ვლინდება ცვალებად გარეგან პირობებში, მაშ, ის ისევ ილუ

ზიაა. არსებითად იმას ვნახულობთ, რაც გვჭირდება, მხოლოდ მას ვხედავთ, რაც გვინდა დავინახოთ. სხვაგვარად არ შეგვიძლია, ვინაიდან ჭეშმარიტების კრიტერიუმი, გარესამყაროსთან შესატყვისობა, გამორიცხულია, მართლაც სულერთია, რომელ "შეხედულებას მივემხრობით. ყველა ერთნაირად ჭეშმარიტია და ერთნაირად მცდარი და არავის არ აქვს უფლება, სხვა ვინმე შეცდომაში ამხილოს.

შემეცნების თეორიულად წარმართული სულისათვის შეიძლება ცდუნება იყოს, შეუამოწმოთ რა გზით, რა სოფიზმებით აღწევენ ანარქისტები გამოტყუონ მეცნიერებას ასეთი საბოლოო შედეგები. უნდა სიტუაციებს შევეხოთ მსგავსად იმისა, როგორც ეს ცნობილი მაგალითიდან გამომდინარეობს. კრეტელი ამბობს – ყველა კრეტელი მატყუარაა და ა. შ. მე არ მსიამოვნებს და არც უნარი მაქვს აქ უფრო ღრმად შევიჭრე. შემიძლია მხოლოდ ვთქვა, რომ ანარქისტული მოძღვრება ჟღერს ასე დამაჯერებლად მანამ, სანამ ის ეხება აბსტრაქტულ საგნებზე შეხედულებებს. პრაქტიკულ ცხოვრებაში პირველი ნაბიჯისთანავე ის გამოუსადეგარი ხდება. აი, ადამიანთა მოქმედება წარიმართება მათივე შეხედულებებით, ცოდნით და მაშინ ეს იგივე მეცნიერული სულია, რომელიც ატომის აგებულებისა, ანდა ადამიანის წარმოშობის შესახებ სპეკულირებს და რომელიც გამძლე ხიდის კონსტრუქციას მოხაზავს. ნამდვილად რომ სულ ერთი ყოფილიყო, რასაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ ყოფილიყო ცოდნა, რომელიც ჩვენ შეხედულებათა შორის სინამდვილისადმი შესატყვისობით გამოირჩევა, მაშინ უფლება გვექნებოდა ხიდები გვეშენებინა კარტონიდანაც და ქვებიდანაც, ავადმყოფისათვის გაგვეკეთებინა დეციგრამ მორფიუმი ნაცვლად ცენტიგრამისა, ნარკოზად გამოგვეყენებინა ამაცრემლებელი აირი ეთერის მაგივრად, მაგრამ ასევე ინტელექტუალური ანარქისტები მათი თეორიის პრაქტიკულ გამოყენებას ენერგიულად უარყოფენ.

სხვა მოწინააღმდეგე უფრო სერიოზულად უნდა მივიჩნიოთ. ამ შემთხვევაში ვწუხვარ ჩემი ორიენტაციის არასაკმარისობაზე. ვფიქრობ, თქვენ ჩემზე მეტი იცით, დიდი ხანია პოზიცია გარკვეული გაქვთ მარქსიზმის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ. კ. მარქსის გამოკვლევებმა საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურების შესახებ და ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში მეურნეობის სხვადასხვა

ფორმების ზეგავლენამ ჩვენს დროში უდავო ავტორიტეტი მოიპო-
ყა. მე, ბუნებრივია, არ ვიცი ცალკეულ შემთხვევაში ის სწორია,
თუ მცდარი. მესმის, რომ სხვებთანაც, უკეთ ინფორმირებულებთან,
ადვილი არაა ამის გარჩევა. კ. **მარქსის** თეორიაში ჩემთვის უცხო
დებულებანი: რომ საზოგადოების ფორმების განვითარება ბუნების
ისტორიული პროცესია, ანდა რომ სოციალურ ფენათა ცვლილებე-
ბი დიალექტიკური პროცესის გზით ერთმანეთისაგან გამოიყვანება
სრულიადაც არ ვარ დარწმუნებული, რომ მტკიცებებს სწორად
ვგებულობ, ისინი ჟღერენ ასევე არა "მატერიალისტურად", არამედ
უფრო იმ ბნელი ჰეგელის ფილოსოფიის ნალექად, რომლის სკოლა
მარქსმაც გაიარა. მე არ ვიცი, როგორ შემიძლია განვთავისუფლდე
ჩემი სამოყვარულო შეხედულებისაგან, რომელიც ძირჩვეულია კლას-
თა წარმოშობა ისტორიაში დაიყვანოს ბრძოლაზე, რომელიც სხვა-
მცირედისთვის ისტორიის დასაბამიდან ადამიანთა განსხვავებულ
ურდოებს შორის. სოციალური განსხვავებულობანი, ვფიქრობ, თავ-
დაპირველად იყო ტომობრივი ან რასობრივი განსხვავებულობა
ფსიქოლოგიური ფაქტორები, როგორიცაა კონსტიტუციური აგრე-
სიის სიამოვნების რაოდენობა, ასევე ურდოს შორის ორგანიზაციის
სიმტკიცე, და პატერიალური, როგორიცაა უკეთესი იარაღის ფლო-
ბა, წყვეტენ გამარჯვებას. თანაცხოვრების იმავე ნიადაგზე გამარ-
ჯვებულები იქცნენ ბატონებად, დამარცხებულები – მონებად. ამას-
თან არაფერია ბუნების კანონის ან ცნებათა ტრანსფორმაციის აღ-
მოსაჩენი, პირიქით, ზეგავლენა არაა ცხადი, რომელსაც ბუნების
ძალთა პროგრესული დაუფლება ადამიანთა სოციალურ დამოკიდე-
ბულებაზე ახდენს მაშინ, როცა ახლადძიებულ სიძლიერის ძალას
საშუალებას მუდამ იყენებენ თავიანთი აგრესიის სამსახურშიც ერ-
თმანეთის საწინააღმდეგოდ. მეტალის, ბრინჯაოს, რკინის შემოტა-
ნამ დაასრულა მთელი კულტურული ეპოქები და მათი სოციალური
ინსტიტუტები. მე ნამდვილად ვფიქრობ, რომ დენთმა, ცეცხლმსრო-
ლელმა იარაღმა მოსპო რაინდობა და არისტოკრატია და რომ უკვე
წაგებული ომის წინ რუსული დესპოტიზმი განწირული იყო, ვინა-
იდან ევროპის შიგნით გაბატონებულ გვარებში არც ერთ ახლოს-
თესაურ გამრავალებას არ შეეძლო წარმოეშვა მეფის შთამომავლო-
ბა, რომელიც წინაღუდგებოდა დინამიტის აფეთქების ძალას.

დიახ, ალბათ მივათვლით თანამედროვე მსოფლიო ომთან და-
კავშირებულ მეურნეობრივ კრიზისს, ასევე მხოლოდ უკანასკნელ
დიდებულ გამარჯვებას ბუნებაზე, საჰაერო სივრცის დაპყრობას. ეს
არ ჟღერს სავსებით დამაჯერებლად, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში,
კავშირის პირველი წევრები ნათლადაა შესამეცნებელი. ინგლისის
პოლიტიკა ემყარებოდა უშიშროებას, რომლის თავდები მისი გარ-
შემოვლებული ზღვის სანაპიროა. იმ მომენტში, როცა Bleriot-მა
თვითმფრინავით სრუტეს გადაუფრინა, დაირღვა ეს დამცველი იზო-
ლაცია და იმ საღამოს, როცა მშვიდობიან დროში ვარჯიშის მიზ-
ნით გერმანელმა Zeppelin-მა ლონდონის თავზე წრე მოხაზა, ომი
გერმანიის წინააღმდეგ გადაწყვეტილი იყო* არ უნდა დაგვავიწყ-
დეს წყალქვეშა ნავის მუქარაც.

თითქმის მრცხვენია ასეთ ჩნიშვნელოვან და რთულ თემას
თქვენს წინაშე არც თუ საკმარისი შენიშვნებით რომ განვიხილავ;
ისიც ვიცი, თქვენთვის არაფერი სიახლე რომ არ მითქვამს. ჩემთვის
მხოლოდ მნიშვნელოვანია ყურადღება მიგაქცევინოთ იმაზე, რომ
ადამიანის დამოკიდებულება ბუნების დაუფლებაზე, რომლისაგანაც
იღებს იარაღს თავისიანების წინააღმდეგ, აუცილებლობით ზემოქ-
მედებას უნდა ახდენდეს ეკონომიკურ წყობაზეც. ჩვენ დავშორდით
მსოფლმხედველობის პრობლემას, მაგრამ მალე ისევ დავუბრუნდე-
ბით მას. მარქსიზმის სიძლიერე, ცხადია, მდგომარეობს არა ისტო-
რიის მისეულ გაგებასა და მასზე დაფუძნებულ მომავლის წინას-
წარმეტყველებაში, არამედ გამჭრიახ დასაბუთებაში ადამიანთა ეკო-
ნომიკურ ურთიერთობათა მაიძულებელ გავლენაზე მათ ინტელექტუ-
ალურ, ეთიკურ და მხატვრულ განწყობებზე. კავშირებისა და დამო-
კიდებულებათა მთელი რიგი იქნა აღმოჩენილი, რომლებსაც მანამ-
დე თითქმის სავსებით ვერ ხედავდნენ. მაგრამ არ შეიძლება დავუშ-
ვათ, რომ ეკონომიკური მოტივები ერთადერთია, რომლებიც განსაზ-
ღვრავენ ადამიანთა ქცევას საზოგადოებაში. უკვე უეჭველი ფაქტი,
რომ განსხვავებული პირები, რასები, ხალხები სხვანაირად იქცევიან
იგივე ეკონომიკურ პირობებში, გამორიცხავს მარტოოდენ ეკონომი-
კურ მომენტების ბატონობას. გაუგებარია საერთოდ, როგორ გადა-
დიან ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე, სადაც ლაპარაკია ცოცხალი

* ეს ჩემთვის ცნობილი გახდა ომის პირველ წელს სარწმუნო წყაროდან.

ადამიანის არსების რეაქციებზე, ვინაიდან ასეთები არა მხოლოდ მონაწილენი არიან ეკონომიკური მიმართებების წარმოქმნაში, არამედ მათი ბატონობის ქვეშ ადამიანებს არ შეუძლიათ სხვაგვარად, თუ არა თავიანთი თავდაპირველადი ლტოლვები აამოქმედონ, რომ გორიცაა მათი თვითშენახვის ლტოლვა, აგრესიის სიამოვნება, სიყვარულის მოთხოვნილება, ბრმა სწრაფვა სიამოვნების მიღებისა და უსიამოვნებისაგან განრიდებისა. ადრეულ გამოკვლევაში ჩვენ ასევე **შე–მე**-ს მნიშვნელოვანი პრეტენზიები წამოვუყენეთ, ტრადიცია და იდეალური წარმონაქმნები წარსულისა წარმოვადგინეთ და ახალი ეკონომიკური სიტუაციიდან იმპულსებს გარკვეული დროის მანძილზე წინააღმდეგობა გაეწია. და ბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანთა მასებზე, რომლებიც ექვემდებარებიან ეკონომიკურ საჭიროებებს, მოდის ასევე კულტურის განვითარება (ცივილიზაციის – ვიტყოდით ჩვენ), რომელზედაც, რა თქმა უნდა, ყველა სხვა ფაქტორი ზემოქმედებს, მაგრამ იგი თავის საწყისში ალბათ ორგანული პროცესის დარად მათგან დამოუკიდებელია და კარგად შეუძლია თავის მხრივ სხვა მომენტებზე ზემოქმედება. ის გადაწევს ლტოლვის მიზნებს და იმას აღწევს, რომ ადამიანები მასზე წინააღმდეგებიან, რაც მათთვის აქამდე ასატანი იყო; ისიც ჩანს, რომ მისი არსებითი მომენტია მეცნიერული სულის პროგრესული გაძლიერება. თუკი ვინმე შეძლებდა ცალკეულ შემთხვევაში დაასაბუთებინა, თუ რა სახეს მიიღებდა ეს განსხვავებული მომენტები ზოგადი ადამიანური ლტოლვითი მიდრეკილებანი, მათი რასიული ვარიაციები და მათი კულტურული გარდაქმნები სოციალური წყობის, სპეციალურ საქმიანობითა და წარმოების შესაძლებლობათა პირობებში ერთმანეთის შემაკავებლად და მომთხოვნად, თუკი ვინმე შეძლებდა მიეღწია ამისათვის, მაშინ ის მოგვცემდა მარქსიზმის შევსებას ნამდვილი საზოგადოებრივი მეცნიერების სფეროში. ვინაიდან სოციოლოგიაც, რომლის თემაა საზოგადოებაში ადამიანის ქცევა, სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა გამოყენებითი ფსიქოლოგია. მკაცრად აღებული არსებობს მხოლოდ ორი მეცნიერება: ფსიქოლოგია, წმინდა და გამოყენებითი, და ბუნებისმეტყველება.

ეკონომიკურ დამოკიდებულებათა ფაროთო მნიშვნელობაში ახალებური გაგება აღმოჩნდა მაცდუნებელი, რომლის შეცვლა ისტო-

რიული განვითარება არაა, არამედ მიმდინარეობს რევოლუციური ჩარევით. რუსული ბოლშევიზმის სახით თავის განხორციელებაში თეორიულმა მარქსიზმმა მიიღო მსოფლმხედველობის ენერგია, დახშულობა და განსაკუთრებულობა, მაგრამ იმავდროულად ასევე საშიში მსგავსება იმასთან, რასაც ებრძვის. თავდაპირველად თვითონაც მეცნიერებამ, თავის განხორციელებაში დაშენებულმა მეცნიერებასა და ტექნიკაზე, შექმნა ახრის აკრძალვა, რომელიც ისევე ულმობელია, როგორიც თავისი დროის რელიგიის აკრძალვა. კრიტიკული კვლევა მარქსისტული თეორიისა აკრძალულია. ეჭვი მის სისწორეში ისე ისჯება როგორც ოდესღაც კათოლიკური ეკლესიისაგან ერესი. მარქსის ნაწარმოებებმა, როგორც წყარომ გამოცხადებისა, დაიკავეს ბიბლიისა და ყურანის ადგილი, თუმცა, იმ ძველი წმინდა წიგნების მსგავსად, არ უნდა იყვნენ თავისუფალი წინააღმდეგობათა და ბუნდოვანებათაგან.

მართალია, პრაქტიკულმა მარქსიზმმა ყველა იდეალისტურ სისტემასა და ილუზიას უმოწყალოდ გაუსწორა ანგარიში, მაგრამ თვითონაც განავითარა ილუზიები, რომლებიც წინანდელებთან შედარებით არც თუ ნაკლებად საეჭვოა და დაუსაბუთებელი. ის იმედოვნებს რამდენიმე თაობის განმავლობაში ადამიანურ ბუნების ისე შეცვლას, რომ ახალ საზოგადოებრივ წყობილებაში გვეჩვენება თითქმის წინააღმდეგობისაგან თავისუფალი ადამიანთა თანაცხოვრება, რომელიც თავის თავზე აიღებს იძულების გარეშე შრომით ამოცანებს. ამასთან საზოგადოებისათვის აუცილებელ ლტოლვით შეზღუდვებს სხვაგან გადაიტანს და მართავს აგრესიულ მიდრეკილებებს, რომელიც ყოველ ადამიანურ საზოგადოებას ემუქრება გარედან, იცავს მდიდრების მიმართ ღარიბების მტრობას, მანამდე მბრძანებლებისაგან სუსტების მტრობა რომ იყო. მაგრამ ადამიანის ბუნების ასეთი გარდაქმნა ძალზე დაუჯერებელია. ენთუზიაზმი, რომლითაც მასები დღეს მიჰყვებიან ბოლშევიკურ ინიციატივას, სანამ ახალი წყობილება ჩამოუყალიბებელია და გარეგანი საშიშროების წინაშე დგას, არ იძლევა მომავლისათვის არავითარ უშიშროებას, რომელშიც ის იქნებოდა აშენებული და უსაფრთხო. სავსებით რელიგიის მსგავსად ბოლშევიზმი თავის მორწმუნეებს თანამედროვე ცხოვრებაში ტანჯვასა და გაჭირვებას უნაზღაურებს უკე-

თესი მერმისის დაპირებით, რომელშიაც აღარ იქნება დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება. ეს სამოთხე, რა თქმა უნდა, ამქვეყნიური უნდა იყოს, დადამიწაზე აშენებული და არც თუ შორეულ დროში დამყარებული. მაგრამ მოვიგონოთ იუდეველებიც, რომელთა რელიგია არ იცნობს იმქვეყნიურ ცხოვრებას და დედამიწაზე ელოდება მესიას მოსვლას. ქრისტიანულ შუასაუკუნეებსაც მრავალგზის სწამდა, რომ ღვთაური სამყარო ახლოა.

არაა საეჭვო, ამ საყვედურებზე თუ როგორი იქნება ბოლშევიზმის პასუხი. ის იტყვის: სანამ ადამიანები თავისი ბუნებით ჯერ კიდევ არ გარდაქმნილან, უნდა გამოვიყენოთ საშუალებანი, რომლებიც დღეს მასზე მოქმედებენ. აღზრდაში უნდა გამოვიყენოთ იძულება, აზროვნების აკრძალვა, ძალა სისხლის დაღვრამდე, და თუ ვინმეში ეს ილუზიები არ აღმოცენდა, ვერ შეურიგდა ამ იძულებას, მას შეუძლია იძედით ითხოვოს, მისთვის ეთქვათ მაინც, სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა მოქცეულიყო. ამით კი მოვისპობოდით არ ვიცი რა ვურჩიო. შეგნებული მაქვს, რომ ამ ექსპერიმენტის პირობები მე და ჩემნაირებს აკაენებს ეს გააკეთოს, მაგრამ ჩვენ არ ვართ ერთადერთნი, რომელთაც ეს ეხებათ. არიან საქმის ადამიანები, შეურყეველნი თავიანთ რწმენაში, დაუეჭვებელნი, ყრუნი სხვათა ტანჯვის მიმართ თავიანთი განზრახვების განხორციელებისას. ასეთ ადამიანებს გუმადლით, რომ ახლა რუსეთში ნამდვილად ხორციელდება დიდებული ცდა ასეთი ახალი წყობილებისა. ამ დროს, როცა დიდი ერები აცხადებენ, რომ თავიანთ განკურნებას ისინი ელოდებიან მხოლოდ ქრისტიანულ შემგუებლობაზე დგომით, რუსეთში გადატრიალებაა – მიუხედავად ყოველი არამანუგეშებელი ცალკეული ნიშნებისა – იგი მაინც მაცნეა საუკეთესო მომავლისა. სამწუხაროდ არც ჩვენი ეჭვიდან და არც სხვათა ფანატური რწმენიდან არაა იმის ნიშანი, თუ როგორ დამთავრდება ეს ცდა. მომავალი გვასწავლის, ალბათ გვიჩვენებს, რომ ცდა ნაადრევი იყო, რომ სოციალური წყობილების რადიკალურ შეცვლას ნაკლებად აქვს პერსპექტივა შედეგზე, სანამ ახალი აღმოჩენები აამაღლებდეს ჩვენს ბატონობას ბუნების ძალებზე და ამით მიიღწეოდეს ჩვენი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გაადვილება. მხოლოდ მაშინ შეიძლება შესაძლებელი გახდეს, რომ ახალი საზოგადოებრივი წყობილება

არა მხოლოდ მასების მატერიალურ საჭიროებას დააკმაყოფილებს, არამედ ასევე აამაღლებს ინდივიდების კულტურულ მოთხოვნებს, სიძნელეებს, რომლებსაც, მოუთოკავი ადამიანური ბუნება ყოველი სახის სოციალურ გაერთიანებებს უმზადებს, რა თქმა უნდა, შემდეგ ჩვენ ასევე უსაზღვროდ დიდი ხნის მანძილზე შევებრძოლებით.

ბატონებო და ქალბატონებო! ნება მომეცით დავასკვნა, რაც სათქმელი მქონდა მსოფლმხედველობის საკითხთან ფსიქოანალიზის მიმართების შესახებ. ვფიქრობ ფსიქოანალიზს არ აქვს უნარი, შექმნას თავის განსაკუთრებული მსოფლმხედველობა. ის მას საჭიროებს; ფსიქოანალიზი მეცნიერებაა და მას შეუძლია მეცნიერული მსოფლმხედველობას შეუერთდეს. აღნიშნული არ იმსახურებს მყვირალა სახელს, ვინაიდან ის ყველაფერს ვერ განსჭვრეტს, ის ზედმეტად უსასრულოა, არ აცხადებს პრეტენზიას შეკრულობაზე და სისტემატურობაზე. მეცნიერული აზროვნება ჯერ კიდევ ძალზე ნორჩია ადამიანებში, ჯერ კიდევ არ შეუძლია დიდი პრობლემების გადაჭრა. მეცნიერებაზე დაშენებულ მსოფლმხედველობას, გარდა რეალურ გარესამყაროზე ხაზგასმისა, აქვს არსებითად ნეგატიური თვისებები, როგორიცაა ჭეშმარიტებისადმი მოკრძალებულობა, ილუზიათა უკუგდება. ჩვენს იმ თანამოძმეებს, ვინც საგანთა ამ მდგომარეობით უკმაყოფილოა, ვინც მეტს მოითხოვს წამიერი დამშვიდებისათვის, შეუძლიათ თავიანთი თავი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენონ, რომ ჩვენ მათ არ ვაწყენინოთ, მაგრამ არც ის შეგვიძლია, რომ მათ დავეხმაროთ, ყოველ შემთხვევაში, სხვაგვარადაც ვერ ვიაზროვნებთ.

ფსიქოანალიზის ნარკვევი
(1938-39)
ნაწილი პირველი
ფსიქიკურის ბუნება

პირველი თავი
ფსიქიკურის აპარატი

ფსიქოანალიზი უშვებს წინაპირობას, რომელიც ფილოსოფიური აზროვნებისათვის დღესაც სადავოა, თუმცა მისი გამართლება მისსავე შედეგებშია მოცემული. იმის შესახებ, რასაც ჩვენ ფსიქიკას (სულიერ ცხოვრებას) ვუწოდებთ, ჩვენთვის ცნობილია ორი რამ ჯერ ერთი, სხეულებრივი ორგანო და მისი მოქმედების არე ტვინი (ნერვული სისტემა); მეორეც, ჩვენი ცნობიერების აქტი, რომლებიც უშუალოდ გვეძლევიან და ვერავითარი აღწერით უფრო შინაგნად ვერ გახდებიან. ყველაფერი მათ შორის ჩვენთვის უცნობია, პირდაპირი დამოკიდებულება ცოდნის ამ ბოლო წერტილებს შორის არ არის მოცემული. ასეთი რამ კიდევაც რომ იყოს, უკეთეს შემთხვევაში ეს იქნებოდა ცნობიერების პროცესების ზუსტი ლოკალიზაცია და ამ უკანასკნელთა გაგებისათვის იგი ვერაფერს შემოგვთავაზებდა.

ჩვენი ორივე დაშვება ცოდნის ამ ბოლოებს ანუ საწყისებს უკავშირდება. პირველი ეხება ლოკალიზაციას. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ სულიერი ცხოვრება ფუნქციაა იმ აპარატისა, რომელსაც მივაწერთ განფენილობას და მრავალ ნაწილთაგან შედგენილობას, თანაც წარმოვიდგენთ ტელესკოპის, მიკროსკოპისა და მისთანათა მსგავსად, ასეთი წარმოდგენის თანმიმდევრული აგება მეცნიერული სიახლეა, მიუხედავად უკვე ნაცადი მიახლოებისა.

აღნიშნული ფსიქიკური აპარატის ცოდნამდე მიგვიყვანა აღამიანური არსების ინდივიდუალური განვითარების შესწავლამ. ამ უკ

ველეს ფსიქიკურ პროვინციასა თუ ინსტანციას ვუწოდებთ იგი-ს. მისი შინაარსი ყველაფერია, რაც მემკვიდრეობითაა მიღებული, დაბადებიდანვე თანმოტანილია. კონსტიტუციონალურად განსაზღვრულია, მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა, სხეულის ორგანიზაციიდან მომდინარე ლტოლვებია, რომლებიც აქ პირველად თავიანთ ფორმებში ჩვენთვის უცნობ ფსიქიკურ გამოხატულებას ნახულობენ*.

ჩვენი გარემომცველი რეალური სამყაროს ზემოქმედებით იგი-ს ერთმა ნაწილმა განსაკუთრებული განვითარება განიცადა. თავდაპირველად ქერქის ფენამ, გამღიზიანებლის მიმღები ორგანოებითა და გაღიზიანების დაცვითი ორგანიზაციით აღჭურვილმა, შექმნა განსაკუთრებული ორგანიზაცია, რომელიც ამიერიდან შუამავლობს იგი-სა და გარესამყაროს შორის. ჩვენი სულიერი ცხოვრების აღნიშნულ სფეროს ვუწოდებთ მე-ს.

მე-ს მთავარი მახასიათებლები: გრძნობად აღქმასა და კუნთურ აქტივობას შორის წარმოქმნილი დამოკიდებულების შედეგად მე-ს განკარგულებაშია ნებისმიერი მოძრაობანი. მისი ამოცანაა თვითდაკვირვება; ამას კი მე თავად ანხორციელებს, რომლის დროსაც გამღიზიანებლებს გარედან ეცნობა, მათ შესახებ გამოცდილებას აგროვებს (მეხსიერებაში), ზეინტენსიურ გამღიზიანებლებს თავს არიდებს (მათგან გაქცევით), ზომიერ გამღიზიანებლებს სვდება (შეგუებით) და ბოლოს სწავლობს, თუ მიზანმიმართულად უკეთესობისკენ როგორ შეცვალოს გარესამყარო (აქტივობა); შინაგანად იგი-ს საპირისპიროდ, იმით, რომ ლტოლვათა პრეტენზიებზე ბატონობას აღწევს, **მე** წყვეტს, შეიძლება თუ არა მათი დაკმაყოფილება, ან ეს დაკმაყოფილება შეიძლება თუ არა გადაიწიოს გარესამყაროში ხელსაყრელ დროსა და ვითარებაში, ან საერთოდ დაითრგუნოს მათი აგზნებანი. **მე** ქცევას მართავს მასში არსებული ან მასშივე შეტანილ გამღიზიანებელთა დაძაბულობებზე ყურადღების მიქცევით. გამღიზიანებელთა ინტენსივობის ზრდა შეიგრძნობა საერთოდ როგორც **უსიამოვნება**, მათი შემცირება კი – როგორც **სიამოვნება**. ალბათ ამ გაღიზიანებათა არა აბსოლუტურ სიდიდეში, არამედ მათ

* ფსიქიკური აპარატის აღნიშნული უძველესი ნაწილი უმნიშვნელოვანესად რჩება მთელი ცხოვრების მანძილზე. ფსიქოანალიზის კვლევითი მუშაობაც მისით დაიწყო.

ცვლილებათა რიტმშია რაღაც, რაც შეიგრძნობა სიამოვნებად და უსიამოვნებად. მე მიისწრაფის სიამოვნებისაკენ, განერიდება უსიამოვნებას. მოსალოდნელ განჭვრეტილი უსიამოვნების ზრდას პასუხი გაეცემა **შიშის სიგნალით**; მისი მიზეზი (ის გარედან თუ შიგნიდან გვემუქრება), იწოდება **საშიშროებად**. დროდადრო მე წყვეტს კავშირს გარესამყაროსთან და ეშვება ძილის მდგომარეობამდე, რომელშიაც ის თავის ორგანიზაციას მნიშვნელოვნად ცვლის. ძილის მდგომარეობიდან უნდა დავასკვნათ, რომ ეს ორგანიზაცია შედგება სულიერი ენერგიის განსაკუთრებული განაწილებისაგან.

ხანგრძლივი ბავშვობის პერიოდის ნაღექი მაშინ, როცა ქმნადი ადამიანი ცხოვრობს თავის მშობლებთან დამოკიდებულებაში, წარმოქმნის თავის **მე**-ში განსაკუთრებულ ინსტანციას, რომელშიაც მშობელთა ზემოქმედება განაგრძობს არსებობას, მან მიიღო **ზე-მე**-ს სახელწოდება. რამდენადაც ეს **ზე-მე** გამოიყოფა **მე**-საგან და მას უპირისპირდება, ის მესამე ძალად იქცევა, რომელსაც **მე**-მ ანგარიში უნდა გაუწიოს.

მე-ს მოქმედება მაშინაა სწორი, როცა ის ერთდროულად აკმაყოფილებს **ოი**-ს, **ზე-მე**-სა და რეალობის მოთხოვნებს, მაშასადამე, მათ პრეტენზიებს ერთმანეთთან ათანხმებს. **მე**-სა და ზე-მე-ს შორის დამოკიდებულების წვრილმანები მთლიანად გასაგები ხდება, თუკი მას დავიყვანთ ბავშვის მშობლებთან დამოკიდებულებაზე. მშობელთა ზეგავლენაში მოქმედებს, ბუნებრივია, არა მხოლოდ მშობელთა პიროვნული არსება, არამედ მათ მიერ გადმოცემული ოჯახის, რასისა და ხალხის ტრადიციებიც, ასევე მათ მიერ წარმოლგენილი შესატყვისი სოციალური გარემოს მოთხოვნები. ამგვარადვე **ზე-მე** ინდივიდუალური განვითარების მსვლელობაში იძენს მშობელთა მოვიანო გამგრძელებლისა და შემცვლელის მნიშვნელობას, როგორც აღმზრდელი, საზოგადოებრივი ნიმუში, საზოგადოებაში აღიარებული იდეალი. როგორც ჩანს, **ოი** და **ზე-მე**, ფუნდამენტურ სხვაობათა მიუხედავად, ამჟღავნებენ მსგავსებასაც: ისინი წარმოადგენენ წარსულის ზეგავლენას, **ოი** განსაზღვრულია თანშობილით, **ზე-მე** არსებითად – სხვისგან გადმოღებულით, ხოლო **მე** – უმთავრესად თვითონ განცდილით, მაშ, აქციდენტალურითა და აქტუალურით.

ფსიქიკური აპარატის ზოგადი სქემა მნიშვნელობის მქონეა ასევე უმაღლესი, ადამიანთან სულიერად მსგავსი ცხოველებისათვისაც. **ზე-მე** ყველგანაა დასაშვები, სადაც კი ადამიანის მსგავსად მოცემულია ბავშვური დამოკიდებულების გრძელი გზა. გაყოფა **მე**-სი და **ოი**-სა აუცილებლად უნდა დავუშვათ.

აქედან გამომდინარე, ცხოველთა ფსიქოლოგია მიზნად ისახავს ამოცანის გადაჭრას, რომელსაც ის ჯერ არ შეხებია.

მეცრამეტე თავი

მოკვდრობა ლტოლვის შესახებ

ოი-ს ძალა გამოხატავს ცალკეულ არსებათა სიცოცხლის თავდაპირველ მიზანს. ეს კი მდგომარეობს თანდაყოლილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. **ოი**-ს არ შეიძლება მიეწეროს განზრახვა – სიცოცხლის შენარჩუნებისა და საშიშროებისაგან შიშის საშუალებით თავის დაცვისა; აღნიშნული **მე**-ს ამოცანაა, რომელიც აგრეთვე ხელსაყრელ და უშიშარ დაკმაყოფილებას პოულობს გარესამყაროსადმი ანგარიშის გაწევით. **ზე-მე**-ს შეუძლია ახლა მოთხოვნილებები რეალობად აქციოს, მაგრამ მის მთავარ ფუნქციად რჩება დაკმაყოფილებათა შეზღუდვა.

ძალებს, რომლებსაც **ოი**-ს მოთხოვნილებათა დაძაბულობის უკან ვუშვებთ, ვუწოდებთ **ლტოლვებს**. ისინი სულიერ ცხოვრებაში წარმომადგენლობენ სხეულებრივ მოთხოვნებს. ყოველი აქტივობის უკანასკნელი მიზეზი კონსერვატული ბუნებისაა; ყოველი მდგომარეობიდან, რომელსაც ამა თუ იმ არსებამ მიაღწია, წარმოსდგება მისწრაფება ამ მდგომარეობის ხელახალი აღდგენისა მაშინვე, როგორც კი ის აღიკვეთება. შეიძლება განსხვავდეს ლტოლვების განუსაზღვრელი რაოდენობა თუნდაც ჩვეულებრივ საქმიანობაში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია შესაძლებლობა, დაიყვანება თუ არა ყველა ეს მრავალნაირი ლტოლვა ზოგიერთ ძირითად ლტოლვაზე. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ლტოლვები მიზანს იცვლიან (გადაწევის საშუალებით), რომ მათ ასევე შეუძლიათ ერთმანეთის შენაცვლება, რომლის დროს ერთი ლტოლვის ენერგია სხვაზე გადადის, უკანასკნელი პროცესი ჯერ კიდევ კარგად არაა გაგებული. ხანგრძლივი

მერყეობის შემდეგ გადავწყვიტეთ დაგვეშვა მხოლოდ ორი ძირითადი ლტოლვა – **ეროსი** და **დესტრუქციის ლტოლვა** (თვითდამკვიდრებისა და გვარისდამკვიდრების ლტოლვების დაპირისპირება, ისევე როგორც **მე**-სიყვარულის და **ობიექტ**-სიყვარულისა, თავსდებიან ეროსის ფარგლებში). პირველის მიზანია სულ უფრო დიდი ერთიანობის აღდგენა და მისი ამგვარად შენარჩუნება, მაშასადამე, დაკავშირება. საპირისპიროდ მეორის მიზანია კავშირების დარღვევა და ამგვარად ნივთების მოსპობა. დესტრუქციული ლტოლვისას შეგვიძლია ვიფიქროთ იმაზე, რომ მისი საბოლოო მიზანია ცოცხალი არსების არაორგანულ მდგომარეობაში გადაყვანა. ამიტომ მას ასევე ვუწოდებთ **სიკვდილის ლტოლვას**. როცა ჩვენ ვუშვებთ, რომ სიცოცხლე არაცოცხალზე გვიანდელია და მისგანაა აღმოცენებული. სიკვდილის ლტოლვა ემორჩილება ხსენებულ ფორმულას, რომ ლტოლვა მიისწრაფის ადრინდელი მდგომარეობის დაბრუნებისაკენ. ეროსის (ანუ სიყვარულის ლტოლვის) მიმართ ამგვარ რაიმეს ვერ გავატარებთ. ვერ დავუშვებდით რომ ცოცხალი სუბსტანცია ერთიანობა იყოს, რომელიც შემდგომ განადგურდა და ახლა მიისწრაფვის კვლავ გაერთიანებისაკენ*.

ბიოლოგიურ ფუნქციებში ორივე ძირითადი ლტოლვა ერთმანეთის საპირისპიროდ მოქმედებს ან ერთმანეთთან კომბინირებს. ჭამის აქტი განადგურებაა მასთან შეერთების საბოლოო მიზნით; სექსუალური აქტი აგრესიაა უშინაგანესი შეერთების განზრახვით. ორივე ძირითადი ლტოლვის აღნიშნული განსხვავებული მოქმედებიდან მომდინარეობს ცხოვრების მოვლენების მთელი სიჭრელე. სიცოცხლის სფეროს გარეთ ჩვენი ორი ძირითადი ლტოლვის ანალოგიას მივყავართ არაორგანულში გაბატონებული მიზიდულობისა და განზიდულობის დაპირისპირებულთა წყვილთან**.

ლტოლვათა შერეულ მდგომარეობაში მომდინარე ცვლილებებს თუ ძალზე ხელშესახები შედეგები სექსუალური აგრესიის ზედმეტად გაძლიერებას სიყვარულიდან მივყავართ დამახინჯებული სქ

* პოეზიაში არის მსგავსი ფანტაზიები, ცოცხალი სუბსტანციის ისტორიიდან ჩვენთვის შესატყვისი არაფერი არაა ცნობილი.

** ძირითადი ძალების ანუ ლტოლვების შესახებ გადმოცემულ აზრს, რომელსაც ანალიტიკოსები მკაცრად ეწინააღმდეგებიან, ჯერ კიდევ კარგად იცნობდა ფილოსოფოსი ემპედოკლე (აკრაგადან).

სობრივი აქტით გამოწვეულ სიკვდილამდე, ხოლო აგრესიული ფაქტორის მკვეთრი დაცემა აქცევს ადამიანს მხდალად ან იმპოტენტად.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ესა თუ ის ძირითადი ლტოლვა შემოფარგლული იყოს ერთი სულიერი სფეროთი. ის ყველგან გვხვდება. დასაწყისი; მდგომარეობა ჩვენ იმ სახით წარმოგვიდგენია, რომ ეროსის განკარგულებაში მყოფი მთელი ენერგია, რასაც ამიერიდან ჩვენ **ლიბიდოს** ვუწოდებთ, არსებობს ჯერ კიდევ არადიფერენცირებულად **მე**-სა და **ობ**-ში და ემსახურება იმავდროულად არსებული დესტრუქციის მიდრეკილების განეიტრალებას (დესტრუქციის ლტოლვის ენერგიისათვის ჩვენ არ გაგვაჩნია ლიბიდოს ანალოგიური ტერმინი). მოგვიანებით ჩვენთვის შედარებით ადვილი იქნება მივყვეთ ლიბიდოს ბედს, დესტრუქციის ლტოლვათა შემთხვევაში კი ეს უფრო ძნელი გასაკეთებელი იქნება.

სანამ ეს ლტოლვა, როგორც სიკვდილის ლტოლვა, ჩვენს შიგნით მოქმედებს, მანამ ის უტყვია; ის მხოლოდ მაშინ გვევლინება, როცა დესტრუქციის ლტოლვის სახით გარეთ მიიმართება. ამის აუცილებლობა საჭიროა ინდივიდის შესანარჩუნებლად. კუნთების სისტემა ემსახურება აღნიშნულ გადართვას. **ზე-მე**-ს ჩართვით **მე**-ს შიგნით ფიქსირდება აგრესიული ლტოლვის მნიშვნელოვანი რაოდენობა და ის აქ მოქმედებს ინდივიდის გამანადგურებლად; ის ჰიგიენურ საშიშროებათაგანია, რომელსაც ადამიანი თავის თავზე იღებს კულტურის განვითარებისათვის. აგრესიისაგან თავის შეკავება საზიანოა ჯანმრთელობისათვის, ზემოქმედებს დამავადებლად. დათრგუნული აგრესიის გადასვლა თვითგანადგურებაში აგრესიის მიმართვით საკუთარი პიროვნების წინააღმდეგ, ხშირად ვლინდება პერსონის გაავებაში, როცა იგი თმას იგლეჯს, სახეში მუშტებს იშენს; ამასთან აშკარაა, რომ ეს ქცევა სხვისთვის უფროა განკუთვნილი. თვითგანადგურების ნაწილი ყოველ ვითარებაში რჩება სუბიექტის შიგნით, სანამ საბოლოოდ არ მოკლავს ინდივიდს. ალბათ ეს მაშინ ხდება, როცა მისი ლიბიდო გადაზარჯულია ან უსარგებლოდაა ფიქსირებული. ზოგადად შეიძლება დავუშვათ, რომ ინდივიდი კვდება მისი შინაგანი კონფლიქტებით; გვარი, – პირიქით, – უშეღეგო ბრძოლით გარესამყაროს წინააღმდეგ, როცა ის იმგვარად იცვლება, რომ მის მიერ შეძენილი შეგუებანი არასაკმარისია.

ძნელია რაიმე ითქვას ლიბიდოს მოქმედებაზე **ოი**-ში და **ზე**-**შე**-ში. ყველაფერი, რაც კი მის შესახებ ვიცით, ეხება **შე**-ს, რომელშიც თავიდანვე მის განკარგულებაში მყოფი ლიბიდოს მთელი რაოდენობაა დაგროვილი. ამ მდგომარეობას ვუწოდებთ აბსოლუტურ პირველად **ნარცისმს**. ეს მანამდეა შენარჩუნებული, სანამ **შე** დაიწყებდეს ობიექტების წარმოდგენათა დამუხტვას ლიბიდოთი, ნარცისტული ლიბიდოს გარდაქმნას **ობიექტის ლიბიდოდ**. მთელი ცხოვრების მანძილზე **შე** რჩება დიდ რეზერვუარად, საიდანაც ობიექტებზე იგზავნება და რომელშიც ისევ უკან ბრუნდება ლიბიდოს მუხტები, როგორც ამას აკეთებს პროტოპლაზმის სხეული თავისი ფსევდოპოდიებით. მხოლოდ სრული სიყვარულის მდგომარეობაში გადაიტანება ლიბიდოს ძირითადი რაოდენობა ობიექტზე, ასე რომ ვთქვათ, ობიექტი იკავებს **შე**-ს ადგილს. ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მახასიათებელია ლიბიდოს მოძრაობა, იოლად გადასვლა ერთი ობიექტიდან მეორეზე. ამის საპირისპიროა გარკვეულ ობიექტებზე **ლიბიდოს** უკ-სირება, რაც ხშირად მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება.

უეჭველია, რომ ლიბიდოს აქვს სომატური წყაროები, რომ ის სხვადასხვა ორგანოებიდან და სხეულის სხვადასხვა ადგილიდან მიედინება **შე**-ში. ყველაზე ცხადად ეს ლიბიდოს იმ ნაწილში ჩანს, რომელიც საკუთარი ლტოლვითი მიზნის მიხედვით აღინიშნება როგორც სექსუალური აგზნება. სხეულის გამოჩენილ ადგილებს, საიდანაც ეს ლიბიდო მომდინარეობს, ეწოდება **ეროგენული ზონები**. მაგრამ არსებითად მთელი სხეული ასეთი ეროგენული ზონაა, მაშასადამე, ყველაზე საუკეთესო, რაც ვიცით ეროსზე, მის მაჩვენებელზე, ლიბიდოზე, მიღებულია სექსუალური ფუნქციის შესწავლით, რომელიც გავრცელებული გაგებით, (მაგრამ არა ჩვენს თეორიაში), ფარავს ეროსს. შეგვეძლო წარმოდგენა შეგვექმნა იმის შესახებ, თუ სექსუალური მისწრაფება, რომელიც იმითაა განსაზღვრული, რომ ჩვენს ცხოვრებაზე გადამწყვეტი ზემოქმედება მოახდინოს, როგორი თანდათანობით ვითარდება მრავალი დამატებითი ლტოლვების ერთმანეთზე თანაშიმდევრულობიდან, რომლებიც გან საზღვრულ ეროგენულ ზონებს წარმომადგენლობენ.

მესამე თავი

სექსუალური წუნდებების განმეორება

გავრცელებული გაგების მიხედვით, ადამიანის სექსუალური ცხოვრება არსებითად წარმოადგენს მისწრაფებას საკუთარი სასქესო ორგანოები კონტაქტში შეიყვანოს სხვა სქესის პერსონის სასქესო ორგანოებთან. ამ უცხო სხეულის კოცნა, ჟურება და შეხება თანმხლები მოვლენებია, ან მოქმედების შესავალია. ეს მისწრაფება უნდა დაწყებულიყო პუბერტეტის, მაშასადამე, სქესობრივი მომწიფების ასაკთან ერთად და მომსახურებოდა გამრავლებას. რა თქმა უნდა, ცნობილი იყო გარკვეული ფაქტები, რომლებიც ამ გაგების ვიწრო ჩარჩოში ვერ თავსდებოდა. 1) უცნაურია, რომ არიან ისეთი პირები, რომლებსაც იზიდავენ საკუთარი სქესის ინდივიდები და მათი სასქესო ორგანოები; 2) ასევე უცნაურია იმ ადამიანების არსებობა, რომელთა ვნებიანი ლტოლვები სავსებით მსგავსია სექსუალურისა, მაგრამ ამ პირთა სქესის ნაწილების ანდა მათი ნორმალური გამოყენება სრულიადაც არ ხდება, ასეთ ადამიანებს უწოდებენ პერვერსულებს, 3) და ბოლოს გასაოცარია, რომ ზოგიერთი გადაგვარებულად ჩათვლილი ბავშვი ძალზე ადრეულად იჩენს ინტერესს საკუთარი სასქესო ორგანოებისადმი და მათი აგზნების ნიშნებისადმი.

გასაგებია, რომ ფსიქოანალიზმა გამოიწვია სენსაცია და წინააღმდეგობა, როცა ის ნაწილობრივ ამ სამ უგულვებელყოფილ ფაქტთან დაკავშირებით დაუპირისპირდა სექსუალობის შესახებ ყველა პოპულარულ შეხედულებას. მისი მთავარი შედეგები შემდეგია:

ა) სექსუალური ცხოვრება იწყება არა პუბერტეტით, არამედ უმალ დაბადებისთანავე გამოკვეთილი გამოვლინებით;

ბ) აუცილებელია მკაცრად გაითიშოს ცნებები: სექსუალური და სქესობრივი. პირველი ფართო ცნებაა და მოიცავს მრავალ მოქმედებას, რომელთაც სქესობრივ ორგანოებთან არაფერი აქვთ საერთო;

გ) სექსუალური ცხოვრება მოიცავს სიამოვნების მიღების ფუნქციას სხეულის ზონებიდან, რომლებიც დამატებით ჩაყენებული არიან გამრავლების სამსახურში, ეს ორი ფუნქცია ხშირად ერთმანეთს არ ფარავს.

ძირითადი ინტერესი მიმართულია, ბუნებრივია, პირველ, ყველაზე მოულოდნელ მტკიცებაზე. აღმოჩნდა, რომ ადრეული ბავშვო-

ბის ასაკში არსებობს სხეულებრივი მოქმედების ისეთი ნიშნები, რომელსაც მხოლოდ ძველი ცრურწმენის თანახმად ვერ დავარქმევთ სექსუალურს და რომლებიც დაკავშირებული არიან ფსიქიკურ ფენომენებთან, რასაც მოგვიანებით ვხვდებით ზრდადასრულებულთა სასიყვარულო ცხოვრებაში, – ესაა, მაგალითად, ფიქსირება გარკვეულ ობიექტზე, ეჭვიანობა და ა. შ. აღმოჩნდა, რომ ადრეულ ბავშვობაში გამოვლენილი ეს ფენომენები კანონზომიერად ვითარდებიან, გაივლიან ასევე გეგმაზომიერ ზეაღსვლის პროცესს, მეხუთე წლის ბოლოსათვის აღწევენ მაღალ დონეს, რასაც შემდეგ მოსდევს შესვენება. ამ დროს წინსვლა შეჩერებულია, ბევრი რამ დაივიწყებას ეძლევა, მაგრამ უფრო გვიან ხელახლა ამოქმედდება ეგრეთწოდებული ლატენტური დროის გავლის შემდეგ სექსუალური ცხოვრება პუბერტეტით გრძელდება, შეიძლება ითქვას, რომ ის აყვავებას განიცდის, აქ ჩვენ ვაწყდებით სექსუალური ცხოვრების **ორდროიანობის წარმოქმნის** ფაქტს, რომელიც მხოლოდ ადამიანისათვისაა დამახასიათებელი და, როგორც ეტყობა, დიდად მნიშვნელოვანია ადამიანად ჩამოყალიბებისათვის*. არც თუ უმნიშვნელოა ის ფაქტი, რომ, ადრეული სექსუალობის პროცესების შედეგები უნაშთოდ ეწირება **ინფანტილურ ამნეზიას**. ჩვენი შეხედულებანი ნევროზის ეტიოლოგიის შესახებ და ჩვენი ანალიზური თერაპიის ტექნიკა ამ გაგებას უკავშირდება. ამ ადრეულ განვითარების პროცესებზე დაკვირვება გვაძლევს საბუთს სხვა მტკიცებებისათვისაც.

პირველი ორგანო, რომელიც გვეკლინება როგორც ეროგენული ზონა და დაბადებიდანვე ლიბიდოსეულ პრეტენზიას უყენებს სულს, არის პირი. ყველა ფსიქიკური მოქმედება ისეა მომართული, რომ, უპირველეს ყოვლისა, ამ ზონის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. ბუნებრივია, აღნიშნული, პირველ რიგში, ემსახურება თვითდაკვიდრებას კვებით, მაგრამ ფიზიოლოგია არ უნდა ავურიოთ ფსიქო-

* იხ. ვარაუდი, რომ ადამიანი წარმომობილია ძუძუმწოვრისაგან, რომელიც ხუთი წლისა აღწევს სქესობრივ სიმწიფეს. გვარზე რომელიღაც დიდმა გარეგანმა ზემოქმედებამ ხელი შეუშალა სექსუალობის სწორხაზობრივ განვითარებას. შესაძლოა ამასთანაა დაკავშირებული ადამიანის უაღრესად თავისებური სექსუალური ცხოვრების სხვა გარდაქმნები. მაგალითად, ლიბიდოს პერიოდულობის მოხსნა და შენსტრუაციის როლი სქესთა დამოკიდებულებაში.

ლოგიაში. ბავშვის დაჟინებულ წოვაში თავიდანვე თავს იჩენს დაკმაყოფილების მოთხოვნილება, რომელიც – თუმცა საჭმლის მიღებიდან მომდინარეა და მისგან გამოწვეული – მაინც კვებისაგან დამოუკიდებლად მიისწრაფის სიამოვნების მიღებისაკენ და ამიტომ უფლება გვაქვს ვუწოდოთ და უნდა ვუწოდოთ კიდეცაც მას **სექსუალური**.

უკვე ამ ორალური ფაზის დროს კბილების ამოჭრასთან ერთად იზოლირებულად აღმოცენდება სადისტური იმპულსები. ეს იმპულსები უფრო ძლიერდება მეორე ფაზაში, რომელსაც ვუწოდებთ სადისტურ–ანალურს, ვინაიდან აქ აგრესიაში და ამ ექსკრეციის ფუნქციაში ხდება დაკმაყოფილება. ჩვენ უფლება გვაქვს, აგრესიული მისწრაფებანი ლიბიდოს სფეროში მოვათავსოთ იმ გაგებაზე, რომ სადიზმი ესაა წმინდა ლიბიდოზური ლტოლვის შერევა ასევე წმინდა დესტრუქციულ მისწრაფებასთან, ესაა შერევა, რომელიც აქედან მოყოლებული აღარ ისპობა*.

მესამეა ეგრეთწოდებული ფალური ფაზა, რომელიც, თითქოსდა როგორც წინამორბედი, სექსუალური ცხოვრების საბოლოო გაფორმების ტოლფასია. აღსანიშნავია, რომ აქ ორი სქესის სასქესო ორგანოები კი არ თამაშობენ როლს, არამედ მხოლოდ მამაკაცისა (ფალოსი). ქალის სასქესო ორგანო დიდხანს რჩება უცნობი. ბავშვი ცდილობს სექსუალური პროცესების გაგებას, მოწიწებითაა კლოაკის თეორიის მიმართ, რომელსაც გენეტურად თავისი გამართლება აქვს**.

ადრეული ბავშვობის სექსუალობა ფალურ ფაზაში აღწევს მაღალ დონეს და უახლოვდება მის დაცემას. ამ დროიდან დაწყებული ბიჭსა და გოგოს განსხვავებული ბედი აქვს. ორივე იწყებს ინტელექტუალური საქმიანობის ჩაყენებას სექსუალური კვლევა–ძიების სამსახურში, ორივე ამოდის პენისის საერთო არსებობის დაშვები-

* ისმის საკითხი: წმინდა დესტრუქციულ ლტოლვათა აგზნების დაკმაყოფილება შეიძლება თუ არა განიცდებოდეს სიამოვნებად, თუ არსებობს წმინდა ლიბიდოზური დამატების გარეშე. მე–ში დარჩენილი სიკვდილის ლტოლვის დაკმაყოფილება ჩანს არ შეიცავს სიამოვნების შეგრძნებას, თუმცა მაზოხიზმი სავსებით ანალოგიურ შენარევს წარმოადგენს, როგორც სადიზმი.

** ადრეული გაგინალური აგზნებები ძრავალგზის ამტკიცებენ, რომ დასაშვებია საქმე გვქონდეს კლიტორის აგზნებასთან, მაშ პენისის ანალოგიურ ორგანოსთან, რაც ამართლებს ფაზის სახელს "ფალური".

დან. მაგრამ ახლა სქესთა გზები იყრება. ბიჭი შედის ოიდიპოსის ფაზაში, იწყებს ხელით სასქესო ასოზე მანიპულირებას, ამაღე დროს წარმოსახვაში წარმოადგენს რაიმე სექსუალურ ქმედებას დედასთან, სანამ კასტრაციის საშიშროებისა და დედაკაცის უპენისობის შეხედვის თანამოქმედებით განიცდის თავისი ცხოვრების დიდ ტრავმას, რომელიც შედის ლატენურ დროში ყველა მისი შედეგებით გოგო განიცდის, ამაო მცდელობით, ბიჭისადმი მიბაძვის, თავისი პენისის ნაკლოვანების ანდა უკეთ მისი კლიტორის ნაკლებღირებულების გაგებას ხასიათის განვითარების ხანგრძლივი შედეგებით, ამ პირველი მეტოქეობის იმედის გაცრუების შედეგად ხშირად ხდება პირველი შემობრუნება სექსუალური ცხოვრებისაგან საერთოდ.

გაუგებრობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს სამი ფაზა ერთმანეთისაგან წმინდად გამოიყოფა: ერთი ემატება მეორეს, ისინი ერთმანეთს ზედ ედებიან, ერთმანეთის გვერდით არიან. ადრეულ ფაზებში ცალკეული პარციალური ლტოლვები გამოდიან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სიამოვნების მიღებისათვის. ფალურ ფაზაში იწყება ორგანიზაციის საწყისები, რომლებიც სხვა მისწრაფებებს უქვემდებარებს სასქესო ორგანოების პრიმატობას, რაც ნიშნავს საერთო სიამოვნების მისწრაფების ჩართვის დასაწყისს სექსუალურ ფუნქციაში. სრული ორგანიზაცია მიიღწევა პუბერტეტით მეოთხე გენიტალურ ფაზაში. მაშინ იქმნება მდგომარეობა, რომელშიაც 1. ზოგიერთი ადრეული მუხტი ლიბიდოსი შენარჩუნებულია, 2. სხვები სექსუალურ ფუნქციაში ჩაერთვება როგორც მომამზადებელი, ხელშემწყობი აქტები, რომელთა დაკმაყოფილება იძლევა ე. წ. წინასიამოვნებას, 3. კიდევ სხვა მისწრაფებები ორგანიზაციიდან ამოერთვებიან ან საერთოდ ითრგუნებიან (განიდევნებიან) ანდა სხვა გამოყენებას ნახულობენ მე-ში, ქმნიან ხასიათის თვისებებს, განიცდიან სუბლიმაციებს მიზანთა შეცვლით.

ეს პროცესი ყოველთვის უზადოდ არ ხორციელდება. შეკავებანი განვითარებაში ვლინდება სექსუალური ცხოვრების მრავალნაირ აშლილობათა სახით. არიან ლიბიდოს ფიქსაციები ადრეული ფაზების მდგომარეობაზე, რომელთა ნორმალური სექსუალური მიზნისაგან დამოუკიდებელი მისწრაფება აღინიშნება **პერვერსიით**. განვითარების ამგვარი შეკავება, მაგალითად, ჰომოსექსუალობაა, როცა ის გამოვლენილია. ანალიზი აჩვენებს, რომ ჰომოსექსუალური დაკავ

შირება ობიექტთან ყველა შემთხვევაშია შენარჩუნებული და უფრო ბევრ შემთხვევაში **ლატენტურადაა** დარჩენილი. დამოკიდებულება იმითაა გართულებული, რომ, როგორც წესი, ნორმალური გამოსავლის აღდგენისათვის საჭირო პროცესები არ ხორციელდება პარციალურად, ხორციელდება ისე, რომ საბოლოო ფორმა დამოკიდებული რჩება ამ **რაოდენობრივ** მსმართებაზე. თუმცა მიიღწევა გენიტალური ორგანიზაცია, მაგრამ ის შესუსტებულია ლიბიდოს ნაწილში, რომელიც, არ მონაწილეობდა და ფიქსირებული დარჩა პრეგენიტალურ ობიექტზე და მიზნებზე. ეს შესუსტება ვლინდება ლიბიდოს მიდრეკილებაში, გენიტალური დაუკმაყოფილებლობის ან რეალური სიძნელეების შემთხვევაში დაუბრუნდეს ადრეულ პრეგენიტალერ დამუხტვის პროცესს (**რეგრესია**).

სექსუალური ფუნქციების შესწავლის დროს შეგვეძლო წინასწარ დაგვეშვა, უფრო სწორად, მიგვეღო ორი დებულება, რომლებიც მოგვიანებით კვლევის ყველა სფეროსათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდება. პირველი დებულების თანახმად, ნორმალური და არანორმალური მოვლენები, რომელთაც ვაკვირდებით, ე. ი. ფენომენოლოგია მოითხოვს დინამიკისა და ეკონომიკის თვალსაზრისით (ჩვენ შემთხვევაში ლიბიდოს რაოდენობრივი დაყოფა) აღწერას. მეორე დებულების მიხედვით, შესასწავლ დარღვევათა ეტიოლოგია განვითარების ისტორიაში, მაშასადამე, ინდივიდის განვითარების ადრეულ ხანაში უნდა მოიძებნოს.

მეოთხე თავი

ფსიქიკური თვისებები

ჩვენ აღვწერეთ ფსიქიკური აპარატის აგებულება, მასში მოქმედი ენერგიები ან ძალები და გამორჩეულ მაგალითზე მიყოლით – ეს ენერგიები, უმთავრესად ლიბიდო, როგორ ორგანიზდება სახის შენარჩუნებისათვის მომსაბურე ფიზიოლოგიურ ფუნქციად. ამასთან არაფერი ყოფილა ისეთი, რაც ფსიქიკურის სავსებით თავისებურ ხასიათს შეცვლიდა, ბუნებრივია, გარდა ემპირიული ფაქტისა, რომ ეს აპარატი და ენერგიები საფუძვლად ედებიან ფუნქციებს, რასაც ჩვენ სულიერ ცხოვრებას ვუწოდებთ. ჩვენ მივმართავთ მას, რაც ამ

ფსიქიკურისათვის ერთადერთი მახასიათებელია, დიახ, ძალზე გავრცელებული გაგების მიხედვით, სხვების გამოკლებით მას ემთხვევა.

ამ გამოკვლევის ამოსავალია შეუდარებელი, ყოველ ახსნასა და აღწერას დაუსაჭიროებელი ფაქტი ცნობიერებისა. ლაპარაკობენ რა ცნობიერებაზე, საკუთარი გამოცდილებიდან იციან უშუალოდ, რა იგულისხმება მასში*. მეცნიერების შიგნითაც და მის გარეთაც მრავალს აკმაყოფილებს დაშვება, რომ ცნობიერება მხოლოდ ფსიქიკურია და მაშინ ფსიქოლოგიაში სხვა არაფერი არ რჩება გასაკეთებელი, თუ არა ფსიქიკურის ფენომენოლოგიის ფარგლებში აღქმების, გრძნობების, აზროვნების პროცესების და ნებისყოფის აქტების განსხვავება. მაგრამ ეს ცნობიერი პროცესები საერთო თანხმობით არ ქმნიან უწყვეტ, თავის თავში დახშულ რიგს, ასე, რომ, სხვა არაფერი რჩება, თუ არა ფსიქიკურის ფიზიკური ან სომატური თანმხლები პროცესების დაშვება, რომელთაც უნდა ჰქონდეთ უფრო დიდი სრულყოფილება, ვიდრე ფსიქიკურ რიგს, ვინაიდან ზოგიერთ მათგანს ცნობიერი პარალელური პროცესი ახლავს, სხვებს კი არა. ბუნებრივია, ჩნდება აზრი, ფსიქოლოგიაში მახვილი დაესვას სომატურ პროცესებს, მათში საკუთრივ ფსიქიკური ვალიაროთ და ცნობიერი პროცესებისათვის ვეძიოთ სხვა აღიარება. ამას უპირისპირდება როგორც მრავალი ფილოსოფოსი, ისე ბევრი სხვაც და არაცნობიერ ფსიქიკურს აცხადებენ უაზრობად.

სწორედ ესაა ის, რაც უნდა ფსიქოანალიზმა გააკეთოს და ესაა მისი მეორე ფუნდამენტური დაშვება. ის აცხადებს მოჩვენებით სომატურ თანმხლებ პროცესებს საკუთრივ ფსიქიკურად, ამასთან, უპირველეს ყოვლისა, უარყოფს ცნობიერების თვისებას, ამაში ის მარტო არაა. ზოგიერთმა მოაზროვნემ, როგორიცაა მაგალ., თ. ლიპსი, იგივე გამოთქვა იმავე სიტყვებით, ხოლო საერთო უკმაყოფილებამ ფსიქიკურის გამოყენებული გაგებისა შედეგად ის მოიტანა, რომ არაცნობიერის ცნებამ მოითხოვა ფსიქოლოგიურის აზროვნებაში მაინც უფრო სასწრაფო აღდგენა, თუმცა ისე განუსაზღვრელი და მიუწვდომელი წესით, რომ მას არავითარი გავლენა არ შეეძლო

* უკიდურესი მიმართულება, როგორიცაა ამერიკაში წარმოშობილი ბიჰევიორიზმი, ვარაუდობს ისეთი ფსიქოლოგიის აგებას, რომელიც ამ ძირითად ფაქტზე უარს ამბობს.

მოეხდინა მეცნიერებაზე.

ახლა ჩანს, ფსიქოანალიზსა და ფილოსოფიას შორის დაყოფაში ლაპარაკი რომ იყო მხოლოდ დეფინიციის წერილმან საკითხზე, თუ ფსიქიკის სახელი რომელ რიგს მიენიჭებოდა. სინამდვილეში ეს ნაბიჯი ფრიად მნიშვნელოვანი გახდა. მაშინ, როცა ცნობიერების ფსიქოლოგიაში არასდროს არ გასულან იმ წყვეტილი, ცხადია, სხვა ადგილზე დამოკიდებულ რიგიდან, მეორე გაგებამ, რომ ფსიქიკა თავისთავად არაცნობიერია – დაუშვა ფსიქოლოგიის ბუნებისმეტყველებად ფორმირება, როგორც ყოველი სხვა მეცნიერებისა. პროცესები, რომლებსაც ის სწავლობს, თავისთვის ისე შეუმეცნებელია, როგორც ქიმიურისა ანდა ფიზიკალურის შემსწავლელი სხვა მეცნიერებათა პროცესები. მაგრამ შესაძლებელი კანონების დადგენა, რომელსაც ისინი ემორჩილებიან, მათ უროიერთსაპირისპირო მიმართებათა და დამოკიდებულებათა უწყვეტლივ შორს გაყოლა, მაშასადამე, ყურადსაღებია ის, რასაც აღნიშნავენ როგორც ბუნების მოკლენების შესატყვისი სფეროს გაგებას. ამასთან არ შეიძლება გერდი ავუაროთ ახალ დაშვებებსა და ახალი ცნებების შექმნას, მაგრამ ესენი არაა ჩვენი გაჭირვების უპატივცემულობის მაჩვენებელი, არამედ უნდა შეფასდეს, როგორც მეცნიერების გამდიდრება, რომელთაც პრეტენზია აქვთ იმავე მიახლოებით მნიშვნელობაზე, როგორც შესატყვის ინტელექტუალურ დამხმარე კონსტრუქციებს ბუნებათმეტყველებაში, ელოდებიან მათ ცვლილებებს, შესწორებებს და ზუსტ განსაზღვრას დაგროვილი და შემოწმებული გამოცდილებით. შემდეგ ასევე ჩვენს მოლოდინს მთლიანად შეესატყვისება ძირითადი ცნებები ახალი მეცნიერებისა; მისი პრინციპები (ლტოლვა, ნერვული ენერგია და სხვა) დიდი ხნით განუსაზღვრელნი რჩებიან ისევე როგორადაც პრინციპები ძველი მეცნიერებებისა (ძალა, მასა, მიზიდულობა).

ყველა მეცნიერება ემყარება დაკვირვებასა და გამოცდილებას, რასაც აშუალებს ჩვენი ფსიქიკური აპარატი. მაგრამ ვინაიდან ჩვენს მეცნიერებას თვითონ ეს აპარატი აქვს ობიექტად, ანალოგია აქ მთავრდება. ჩვენ დაკვირვებებს ვახდენთ იგივე აღქმის აპარატის საშუალებით სწორედ ფსიქიკურში ხარვეზების დახმარებით მაშინ, როცა, ვაუსებთ გამოტოვებულს ახლო დასკვნებითა და მას ცნობი-

ერ მასალად ვთარგმნით. ასე აღვადგენთ თითქოსდა ცნობიერ შე-
მაკავებელ რიგს არაცნობიერი ფსიქიკურიდან. ამ დასკვნების დაკვ-
შირებაზე ეფუძნება ჩვენი ფსიქიკური მეცნიერების შეფარდებითი
საიმედობა. ვინც ამ საბუშაოს ჩაულრმავდება, ნახავს, რომ ჩვენი
ტექნიკა ყველა კრიტიკას უძლებს.

ამ მუშაობისას თვალში საცემია განსხვავებანი, რომელთაც
აღვნიშნავთ ფსიქიკური თვისებებით. რასაც ცნობიერს ვუწოდებთ,
არ ვსაჭიროებთ იმის დახასიათებას, ის იგივეა, რაც ფილოსოფოსე-
ბისა და საერთო შეხედულების ცნობიერება. ყველა სხვა ფსიქიკუ-
რი ჩვენთვის არაცნობიერია. მასთან მალე მივალთ, ამ არაცნობიერ-
ში მნიშვნელოვანი დაყოფა რომ დავუშვათ. ზოგიერთი პროცესი
ადვილად ცნობიერდება და მეტი არაფერია. ძალისხმევის გარეშე
შეუძლიათ ისევე ცნობიერი გახდნენ, როგორც ამბობენ, შეიძლება
მათი რეპროდუცირება ანდა მოგონება. ამასთან მიგვანიშნებს, რომ
ცნობიერება საერთოდ მხოლოდ ფრიად წარმავალი მდგომარეობაა.
რაც ცნობიერია, ის ისეთია მხოლოდ ერთ მომენტში. თუკი ჩვენი
აღქმები მას ვერ ადასტურებენ, მაშინ ისაა მხოლოდ მოჩვენებითი
წინააღმდეგობა; ესეცაა, გამღიზიანებელი აღქმას შეიძლება დიდი
ხნით აღიზიანებდეს ისე, რომ აღქმას შეეძლოს განმეორება. აღნიშ-
ნული მთელი საქმის ვითარება, ნათელია ჩვენი აზროვნების პროცე-
სების ცნობიერ აღქმასთან, რომლებიც თუმცა აგრეთვე ჩერდება,
მაგრამ კარგად შეუძლია წამიერადაც მოხდეს. მთელ არაცნობიერს,
რომელიც ასე იქცევა – ადვილად შეუძლია არაცნობიერი მდგომარე-
ობის შეცვლა ცნობიერებით, ამიტომ ვუწოდებთ უფრო ცნობიერე-
ბის უნარის მქონეს ანუ **წინაცნობიერს**. გამოცდილებამ გვასწავლა,
რომ ძლივს, თუ არსებობს ფსიქიკური პროცესი კიდევ ასეთი რთუ-
ლი სახისა, რომელსაც ზოგჯერ არ შეძლებოდა წინაცნობიერად
დარჩენა, თუმცა, როგორც ჩვენ ვამბობთ ხოლმე, ის, როგორც წესი,
ცნობიერებაში შეიჭრება.

სხვა ფსიქიკურ პროცესებს, შინაარსებს არ გააჩნიათ ასე იო-
ლი მისადგომი გაცნობიერებასთან, არამედ აღწერილი სახით მათ-
ზე უნდა დაკვირვება, მივხვდეთ და ცნობიერი გამოსახულებით
გადაითარგმნოს. ამათთვის შემონახული გვაქვს სახელწოდება სა-
კუთრივ არაცნობიერისა. მაშ, ფსიქიკურ პროცესებს მივაწერეთ

სამი თვისება: ისინი არიან ცნობიერნი, წინაცნობიერნი, ან არაცნო-
ბიერნი. ამ თვისებათა მატარებელ შინაარსთა დაყოფა სამ კლასად
არც აბსოლუტურია და არც უწყვეტი. ის, რაც წინაცნობიერია,
როგორც ვხედავთ, იქცევა, ჩვენი ხელშეწყობის გარეშე, ცნობიე-
რად. არაცნობიერს შეუძლია ჩვენი ძალისხმევით ცნობიერი გახ-
დეს. ამასთან შევიგრძნობთ, რომ ჩვენ ძალზე ძლიერი წინააღმდე-
გობანი გადავლახეთ, როცა ამ ცდას სხვა ინდივიდთან ვახდენთ,
უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ, რომ მისი აღქმის ხარვეზის
ცნობიერი შევსება, კონსტრუქცია, რომელსაც მას ვაძლევთ, ჯერ
კიდევ არ ნიშნავს, რომ მასთან შესატყვისი არაცნობიერი შინაარსი
ცნობიერად ვაქციეთ, არამედ ეს შინაარსი, უპირველეს ყოვლისა,
მასთან ორგვარადაა ფიქსირებული, ერთხელ მის მიერ მიღებული
ცნობიერი რეკონსტრუქციით და, გარდა ამისა, თავის პირვანდელ
არაცნობიერ მდგომარეობაში. ჩვენი მუდმივი მცდელობა შემდეგ
აღწევს უპირატესად იმას, რომ ეს არაცნობიერი მასთან თვითონ
ცნობიერი ხდება, რითაც ორივე ფიქსაცია ერთმანეთს ემთხვევა.
ჩვენი ძალისხმევის ზომა, რაც ფასდება გაცნობიერების მიმართ
წინააღმდეგობის გაწევის მიხედვით ცალკეულ შემთხვევაში გან-
სხვავებული სიდიდისაა. მაგალ., რაც ანალიზური მკურნალობისას
ჩვენი ძალისხმევის შედეგია, სპონტანურადაც შეიძლება მოხდეს;
ჩვეულებრივ არაცნობიერ შინაარსს შეუძლია წინაცნობიერად გა-
დაიქცეს და შემდეგ ცნობიერად იქცეს, როგორც ეს ხდება დიდი
რაოდენობით ფსიქიკურ მდგომარეობაში, ამრიგად ვასკვნით, რომ
განსაზღვრულ შინაგან წინააღმდეგობათათვის დახმარების გაწევა
ნორმალურობის პირობაა. აქედან გამომდინარე, წესზომიერად ხდე-
ბა წინააღმდეგობათა ასეთი შესუსტება არაცნობიერი შინაარსის
შემოჭრით ძილის მდგომარეობაში, რითაც აღსდგება სიზმრის წარ-
მოქმნის პირობა, პირიქით, წინაცნობიერ შინაარსს შეუძლია დრო-
ებით მიუწვდომლად, წინააღმდეგობათა გზით ჩაირაზოს, როგორც
ესაა დროებით დავიწყების (გამოვარდნის) შემთხვევაში, ანდა წი-
ნაცნობიერი აზრი მან თვითონ დროებით არაცნობიერ მდგომარეო-
ბაში გადაიტანოს, რაც ენამახვილობის პირობად ჩანს. დავინახავთ,
რომ ასეთი წინაცნობიერი შინაარსების (ანდა პროცესების) უკუგა-
დაქცევა არაცნობიერ მდგომარეობად დიდ როლს თამაშობს ნევრო-

ტული დარღვევების განპირობებულობათათვის.

იმ ზოგადი და გამარტივებული გადმოცემით უფრო უსაზღვრო არეც-დარევის წყაროდ ჩანს, ვიდრე განმარტებად მოძღვრება ფსიქიკურის სამი თვისების შესახებ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის თვითონ არაეითარი თეორია არაა, არამედ წარმოადგენს პირველ ანგარიშის მოხსენებას ჩვენ დაკვირვებათა ფაქტებზე, რომ ის, რამდენადაც შესაძლებელია, ხელს კიდებს ამ ფაქტებს და არაფერის ახსნას არ ცდილობს, და რომ მის მიერ აღმოჩენილ გართულებებს შეუძლია განსაკუთრებული სიძნელეები, რასაც ჩვენი გამოკვლევა ებრძვის, გასაგები გახადოს. მაგრამ ალბათ ამ მოძღვრებასაც უფრო ახლოს მივყავართ, როცა მივსდევთ დამოკიდებულებებს, რომლებიც აღმოჩნდება ფსიქიკურ თვისებებსა და ჩვენ მიერ დაშვებული ფსიქიკური აპარატის ინსტანციებს ანუ პროვინციებს შორის. მართლაც ეს დამოკიდებულებანიც ყველაზე ნაკლებადაა მარტივი.

გაცნობიერება, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია აღქმებთან, რომელთაც ჩვენი გრძნობის ორგანოები იღებენ გარექვეყნიდან, ესაა, მაშ, ტოპიკური განხილვისათვის ის ფენომენი, რომელიც **შე**-ს ტვინის გარეგან ფენაში ხდება. ჩვენ ვლებულობთ, რა თქმა უნდა, ცნობიერ ცნობებსაც შიგასხეულიდან, გრძნობებს, რომლებიც ჩვენს სულიერ ცხოვრებაზე კიდეცაც მბრძანებლურად ზემოქმედებენ, როგორც გარეგანი აღქმები და გარკვეულ პირობებში ასწავლიან გრძნობის ორგანოებს გრძნობებს, ტკივილის შეგრძნებებს, გარდა სპეციფიკური აღქმებისა. მაგრამ ვინაიდან ამ შეგრძნებათა მიმართ, როგორც ისინი ცნობიერი აღქმებისაგან განსხვავებით იწოდებიან, ზუსტად ასევე ორგანოთა დაბოლოებიდან მომდინარეობენ და ჩვენს ისინი გვესმის როგორც დაგრძელება, ამოსაყარი ტვინის ქერქისა, შეგვიძლია ზემო მტკიცება შევინარჩუნოთ. განსხვავება მხოლოდ ის იქნებოდა, რომ შეგრძნებათა და გრძნობათა ორგანოს დაბოლოებისათვის თვითონ სხეული იქნებოდა გარესამყაროს შემნაცვლებელი.

საქმის ვითარება მარტივი იქნებოდა, თუკი დავუშვებდით, რომ ცნობიერი პროცესები **შე**-ს პერიფერიასთანაა, **შე**-ში ყველა დანარჩენი არაცნობიერია. შესაძლებელია, ასე იყოს ნამდვილად ცხოველებთან, ადამიანებთან მას სირთულე ემატება, რომლითაც შინაგან პროცესებს **შე**-ში შეუძლიათ მიიღონ ცნობიერების თვისება. ენის

ფუნქციის საქმეა **შე**-ს შინაარსები მტკიცედ დააკავშიროს ვიზუალურ, განსაკუთრებით აკუსტიკურ აღქმებთან. აქედან გამომდინარე, ტვინის ქერქის აღმქმელ პერიფერიას შეუძლია შიგნიდანაც აღეგზნოს დიდი მოცულობით. შინაგანი პროცესები, როგორიცაა წარმოდგენათა მიმდინარეობა და აზროვნების პროცესები, შეიძლება ცნობიერი გახდნენ და საჭიროა განსაკუთრებული მოწყობილობა, რომელიც ორივე შესაძლებლობას განასხვავებს – ე. წ. **რეალობის შემოწმება**. განტოლება აღქმა–რეალობა (გარესამყარო) ძალადაკარგულია. შეცდომები, რომლებიც ამჟამად ადვილად ხდება, სიზმარში წესზომიერად იწოდებიან **ჰალუცინაციებად**.

უპირველეს ყოვლისა, აზროვნების პროცესების მომცველ **შე**-ს, შინაგანს, აქვს წინაცნობიერის თვისება; ეს **შე**-სათვისაა დამახასიათებელი, მხოლოდ მას მიეწერება. სწორი არ იქნებოდა, ენის მოვონების კვლების დაკავშირება წინაცნობიერი მდგომარეობის პირობად ქცეულიყო, პირიქით, ეს დამოუკიდებელია მისგან, თუმცა ენის პირობა საიმედო დასკვნას გვთავაზობს პროცესის წინაცნობიერი ბუნებისათვის. წინაცნობიერი მდგომარეობა, ერთი მხრივ, თავისი მისადგომით ცნობიერებისადმი, მეორე მხრივ, გამოხატული თავისი დაკავშირებით ენის ნარჩენებთან, მაინც რაღაც განსაკუთრებულია, რომლის ბუნება არ ამოიწურება ამ ორი ხასიათით. ამის დამასაბუთებელია ის, რომ დიდი ნაწილი **შე**-სი, უპირველეს ყოვლისა, **ზე–შე**-სი, რომლის წინაცნობიერ ბუნებაში არ შეიძლება დაეჭვება, მაინც რჩება უპირატესად არაცნობიერი, ფენომენოლოგიური მნიშვნელობით. არ ვიცით, რატომ უნდა იყოს ასე, წინაცნობიერის ნამდვილი ბუნების პრობლემას მოგვიანებით შევეხებით.

ოგო-ში გაბატონებული თვისება არაცნობიერია. **ოგო** და არაცნობიერი შინაგანად ისევე ეკუთვნიან ერთმანეთს, როგორადაც **შე** და წინაცნობიერი. დიახ, დამოკიდებულება აქ უფრო განსაკუთრებულია. პერსონისა და მის ფსიქიკური აპარატის განვითარების ისტორიაზე თვალის გადაყრა საფუძველს გვაძლევს **ოგო**-ში დავადგინოთ მნიშვნელოვანი განსხვავება. თავდაპირველად ყველაფერი იყო **ოგო**. **შე** განვითარებულია **ოგო**-დან მასზე გარესამყაროს ხანგრძლივი ზეგავლენის გზით. ძნელი განვითარების განმავლობაში **ოგო**-ს გარკვეული შინაარსები გარდაიქმნა წინაცნობიერ მდგომარეობად და,

ამგვარად, **მე**-ში მოთავსდა. სხვები **ოგი**-ში უცვლელად დარჩა როგორც მისი ძნელად მისასვლელი გული. მაგრამ ამ განვითარების დროს ნორჩმა და სუსტმა **მე**-მ განსაზღვრული, უკვე მიღებული შინაარსები, უკანვე ისევ არაცნობიერ მდგომარეობაში გადაიყვანა, უარი თქვა მათზე და ზოგიერთი ახალი შთაბეჭდილების მიმართ, რაც შეეძლო მიეღო, ასევე მოიქცა; ასე რომ, აღნიშნულ უკუგდებულთ მხოლოდ **ოგი**-ში შეეძლოთ კვალის დატოვება. **ოგი**-ს ამ უკანასკნელ ნაწილს, მისი აღმოცენების მხედველობაში მიღებით, ვუწოდებთ განდევნილს. ძალიან ცოტას ნიშნავს, რომ არ შეგვიძლია **ოგი**-ში ორივე კატეგორიის მუდამ მკაცრად განსხვავება. ისინი დაახლოებით ემთხვევიან დაყოფას: თავიდანვე მოტანილზე და **მე**-ს განვითარების დროს შეძენილზე.

მაგრამ თუკი ჩვენ გადავწყვეტთ ფსიქიკური აპარატის ტოპიკური დანაწევრება **მე**-დ და **ოგი**-დ, რომელთა პარალელურად მოდის წინაცნობიერ და არაცნობიერ თვისებათა განსხვავება და ამ თვისებას მხოლოდ როგორც ნიშანს და არა როგორც მის არსს ვთვლით, მაშინ რაში მდგომარეობს ბუნება, რომელიც **ოგი**-ში არაცნობიერის თვისებით, ხოლო **მე**-ში წინაცნობიერის თვისებით ვლინდება და რა განაპირობებს მათ შორის განსხვავებას?

ახალი ამის შესახებ არაფერი ვიცით და ამ არცოდნის ღრმა და ბნელი საფუძვლიდან არ გამოიყოფა საკმაოდ ჭეშმარიტი ჩვენი მწირი შეხედულებანი. აქ ვუახლოვდებით საკუთრივ ჯერ კიდევ აღმოუჩენელ გამოცანას ფსიქიკურისას. ვუშვებთ, როგორც სხვა ბუნებათმეცნიერებებიდან მივეჩვიეთ, რომ სულიერ ცხოვრებაში მოქმედებს ენერგიის სახე, მაგრამ არ გაგვაჩნია არავითარი დასაყრდენი მის ცოდნას მივუახლოვდეთ სხვა ენერგიის ფორმებთან მიახლოების გზით. ვფიქრობთ, შეგიმეცნეთ, რომ ნერვული ანდა ფსიქიკური ენერგია ორი ფორმით არსებობს – ერთი ძალად მოძრავია და მეორე უფრო შებოჭილი; ვლაპარაკობთ შინაარსების დამუხტვაზე და ზედამუხტვაზე და ვბედავთ ვარაუდი წამოვაყენოთ, რომ "ზედამუხტვა" ალადგენს სხვადასხვა პროცესების სინთეზის სახეს, რომელთანაც თავისუფალი ენერგია გარდაიქმნება შებოჭილად. შორს არ წავსულვართ, მაინც ვიცავდით შეხედულებას, რომ განსხვავებაც არაცნობიერი მდგომარეობისა წინაცნობიერისაგან ძევს ასეთ

დინამიკურ მიმართებებში, რისგანაც გამოიყვანება გაგება, რომ ერთი შეიძლება სპონტანურად ანდა ჩვენი თანამოქმედებით სხვაში გადავიდეს.

ყველი ამ არასაიმედობის უკან დგას ახალი ფაქტი, რომლის აღმოჩენას ვუმადლით ფსიქოანალიზურ კვლევას. დავადასტურეთ, რომ პროცესები არაცნობიერში ან **ოგი**-ში სხვა კანონებს ემორჩილებიან, ვიდრე წინაცნობიერის პროცესები **მე**-ში. ჩვენ ამ კანონებს მის მთლიანობაში ვუწოდებთ **პირველად პროცესს** საპირისპიროდ მეორადი პროცესისა, რომელიც წინაცნობიერში, **მე**-ში მიმდინარეობებს აწესრიგებს. დაბოლოს ფსიქიკური თვისებების შესწავლა მაინც არ აღმოჩნდა უნაყოფო.

მეხუთე თავი

განმარტება სიზმრის ინტერპრეტაციისათვის

ნორმალურ, სტაბილურ მდგომარეობათა გამოკვლევა, რომლებშიაც **მე**-ს საზღვრები **ოგი**-ს მიმართ წინააღმდეგობათა (განმუხტვათა) გზითაა დაცული, დარჩენილია შეურყევლად და **ზე-მე** არ სხვაობს **მე**-საგან, ვინაიდან ორივენი ერთსულოვნად მუშაობენ, ასეთი გამოკვლევა ნაკლებ განმარტებას მოგვიტანს. და მოგვეთხოვება, მხოლოდდამხოლოდ კონფლიქტისა და მოწოდების მდგომარეობებია, როცა არაცნობიერი **ოგი**-ს შინაარს პერსპექტივა აქვს შემოიჭრას **მე**-ში, ცნობიერებაში და ამ შემოჭრის წინააღმდეგ **მე** ახლებურად იცავს თავს. ამ პირობებში შეგვიძლია დავაკვირდეთ, რაც ჩვენს მონაცემებს ორივე პარტნიორის შესახებ ადასტურებს თუ შეასწორებს. მაგრამ ასეთი მდგომარეობა ღამის ძილია და ამიტომაცაა ძილში ფსიქიკური საქმიანობა, რასაც ჩვენ სიზმრის სახით აღვიქვამთ, ხელსაყრელი შესწავლის ობიექტი. ამასთან ჩვენ უარვყოფთ ხშირად მოსმენილ საყვედურსაც, რომ ნორმალურ სულიერ ცხოვრებას ვაგებდეთ პათოლოგიური მონაცემების მიხედვით. რამდენადაც სიზმარი ნორმალური ადამიანის ცხოვრებაში რეგულარულად ხდება, ამდენად მისი ბუნება შეიძლება განსხვავდებოდეს ცხადი ცხოვრების პროდუქტებისაგან. როგორც საერთოდაა ცნობილი, სიზმარი შეიძლება დახლართული, გაუგებარი, მართლაც

რომ უაზრო იყოს, მისი მონაცემები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს რეალობის შესახებ მთელ ჩვენ ცოდნას; და ჩვენ ვიქცევით სულით ავადმყოფებივით, როცა, სიზმრის მიმდინარეობაში სიზმრის შინაარსებს ვანიჭებთ ობიექტურ რეალობას.

სიზმრის გაგების ("ინტერპრეტაცია") გზას მაშინ დავადგებით, როცა დავუშვებთ, რომ მას, რასაც სიზმრის სახით ვიგონებთ გაღვიძების შემდეგ, არაა სიზმრის ნამდვილი პროცესი, არამედ მხოლოდ ფასადია, რომლის უკანაც ისაა დამალული. ესაა განსხვავება **სიზმრის მანიფესტურ** შინაარსსა და სიზმრის **ლატენტურ** აზრებს შორის; პროცესს, რომელიც უფლებას გვაძლევს უკანასკნელიდან გამოვიყვანოთ პირველი, ვუწოდებთ **სიზმრის მუშაობას**. კარგ მაგალითზე სიზმრის მუშაობის ანალიზი გვასწავლის, თუ **იგი**-დან, არაცნობიერი მასალა (რაც თავდაპირველადია და განდევნილი), **მე**-ს რაღაც ეხვევა თავს, წინაცნობიერად იქცევა და **მე**-ს შეწინააღმდეგებით განიცდის იმ ცვლილებებს, რასაც ვიცნობთ **სიზმრის დამახინჯების სახით**. არ არსებობს სიზმრის ბუნება, რომელიც ამ გზით არ განიმარტებოდეს.

ჩვენ იმით ვიწყებთ, რომ არსებობს ორნაირი შემთხვევა სიზმრის ფორმირებისათვის. ან სიზმრის დროს ჩვეულებრივ დათრგუნული ლტოლვის აგზნება (არაცნობიერი სურვილი ძალას ნახულობს, რომ **მე**-ში მნიშვნელობდეს), ანდა ცხადი ცხოვრებიდან შემორჩენილი მისწრაფება, წინაცნობიერ აზრთა სვლა ყველა მასთან დაკავშირებული კონფლიქტის აგზნებებით ძილში ძლიერდება არაცნობიერი ელემენტით. მაშასადამე, გვაქვს სიზმრები წარმოშობილი **იგი**-საგან და **მე**-საგან. სიზმრის ფორმირების მექანიზმი ორივე შემთხვევისათვის ერთნაირია, დინამიკური პირობებიც იგივეა, **მე** ადასტურებს გუიანდელ აღმოჩენას **იგი**-დან იმით, რომ ის ზოგჯერ თავის ფუნქციებს განაწყობს დაუბრუნდეს ადრეულ მდგომარეობას. ეს კონკრეტულად მაშინ ხდება, როცა **მე** თავის დამოკიდებულებას გარესამყაროსთან წყვეტს, საკუთარ მოქმედებას შეგრძნებათა ორგანოებიდან უკან წევს. შეგვიძლია სწორად ვთქვათ, ლტოლვა აღმოცენდება დაბადებით, რათა დაბრუნდეს შეწყვეტილ "საშვილოსნო ცხოვრებაში", ძილის ლტოლვაში. ძილი ასეთი დაბრუნებაა დედის საშოში, ვინაიდან ფხიზელი **მე** ფლობს მოძრაობის

შესაძლებლობას, ეს ფუნქცია ძილის მდგომარეობაში პარალიზდება და ამით შეკავებათა კარგა ნაწილი, რომელიც არაცნობიერ **იგი**-ს ეკისრება, ზედმეტი ხდება. ამ საწინააღმდეგო დამუხტვების მოხსნილობა ანდა მისი შესუსტება **იგი**-ს აძლევს წამიერ უწყინარ თავისუფლებას. სიზმრის შექმნაში არაცნობიერი **იგი**-ს მონაწილეობის დასაბუთება მრავალნაირია და მაიძულებელი ბუნებისა: ა) სიზმრის მეხსიერება გაცილებით მეტის მომცველია, ვიდრე ფხიზელი მდგომარეობის მეხსიერება. სიზმარს მოაქვს მოგონებები, რომლებიც სიზმრის მნახველს დავიწყებული აქვს, სიფხიზლეში ისინი მისთვის მიუწვდომელნი იყვნენ. ბ) სიზმარი ქმნის ენობრივი სიმბოლოების შეუზღუდველ გამოყენებას, რომელთა მნიშვნელობას სიზმრის მნახველი ხშირად არც იცნობს. შეგვიძლია მათი მნიშვნელობა დავადასტუროთ ჩვენი გამოცდილების გზით. ისინი ალბათ მომდინარეობენ ენის განვითარების ადრეული ფაზებიდან. გ) სიზმრის მეხსიერება აღადგენს ძალზე ხშირად სიზმრის მნახველის ადრეული ბავშვობის შთაბეჭდილებებს, რომელთა შესახებ დარწმუნებით შეგვიძლია ვამტკიცოთ არა მხოლოდ ის, რომ ისინი დავიწყებულია, არამედ, რომ ისინი განდევნით არაცნობიერნი გახდნენ. ამას ემყარება ხშირად აუცილებელი დახმარება სიზმრის მნახველისა – ადრეული დროის სიზმრის რეკონსტრუქცია, რასაც ვიყენებთ ნევროზების ანალიზურ მკურნალობაში, დ) გარდა ამისა, სიზმარი შინაარსებს აღმოაჩენს, რომლებიც არც მოწიფულობის დროიდან და არც სიზმრის მნახველის დავიწყებული ბავშვობიდან არ წარმოსდგებიან. ისინი უნდა განვიხილოთ როგორც არქაული მემკვიდრეობის ნაწილი, რომელიც ბავშვს თან მოაქვს წინაპართა განცდების ზეგავლენით საკუთარ გამოცდილებამდე. ამ ფილოგენტური მასალის მსგავსს ვნახულობთ კაცობრიობის უძველეს თხზულებებში და მათ შემორჩენილ ჩვეულებებში. ასე იქცევა სიზმარი ადამიანური წინაისტორიის არაუგულვებელსაყოფელ წყაროდ.

რასაც სიზმარი აკეთებს ჩვენი გაგებისათვის, ფასდაუდებელი არის იმ ვითარებით, რომ არაცნობიერ მასალას, როცა ის **მე**-ში შემოიჭრება, თან მოაქვს საკუთარი მუშაობის წესი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ წინაცნობიერი აზრები, რომელშიც ის გამოვლინდა, ისე გადამუშავდება სიზმრის მუშაობის მსვლელობაში, თითქოს

ის ყოფილიყოს **ოგი**-ს არაცნობიერი ნაწილი და სიზმრის ფორმირების სხვა შემთხვევებში – წინაცნობიერი აზრები, რომლებმაც არაცნობიერი ლტოლვითი აგზნების გაძლიერება მოიტანეს, ის არაცნობიერ მდგომარეობამდე დააქვეითეს. მხოლოდ ამ გზით ვღებულობთ გამოცდილებაში, თუ რომელია არაცნობიერში მიმდინარეობის კანონები და რით განსხვავდებიან ისინი ფხიზელ აზროვნებაში ჩვენთვის ცნობილი წესებისაგან. სიზმრის მუშაობაში არსებითად არის წინაცნობიერი აზროვნების პროცესების არაცნობიერი დამუშავების შემთხვევა. მოვიტანოთ შედარება ისტორიიდან: დამპყრობელი მართავს დაპყრობილ ქვეყანას არა იმ საშუალების მიხედვით, რომელიც იქ დახვდა, არამედ საკუთარის მიხედვით. მაგრამ უეჭველია, რომ სიზმრის მუშაობის შედეგი კომპრომისია. არაცნობიერი მასალის მსაჭიროებელ განწყობაში და ხშირად ძალზე მიუწვდომელ მცდელობებში – მთლიანს მიეცეს **მე**-სადმი დასაშვები ფორმა (მეორადი დამუშავება) – შესამჩნევია ჯერ კიდევ არაპარალიზებული **მე** – ორგანიზაციის ზეგავლენა. შედარებაში ესაა დაპყრობილის ხანგრძლივი წინააღმდეგობის გაწევის გამოხატვა.

არაცნობიერში მიმდინარეობის კანონებმა, რომლებიც ამ სახით ელინდებიან, საკმაოა ახსნას ბევრი რამ ისეთი, რაც სიზმართას უცხოა. უპირველეს ყოვლისა, ესაა თვალშისაცემი ტენდენცია **შეკუმშვისაკენ**, მიდრეკილება, ელემენტებისაგან შექმნას ახალი ერთიანობები, რომლებიც გვქონდა აზროვნებაში, უეჭველად, გამოცალკევებულად. ამის მიხედვით ხშირად მანიფესტური სიზმრის ერთადერთი ელემენტი შეენაცვლება სიზმრის ლატენტური აზრების მთელ რაოდენობას, თითქოს ის ყოფილიყოს საერთო ქარაგმა. საერთოდ მანიფესტური სიზმრის მოცულობა განსაკუთრებით შემცირებულია იმ მდიდარ მასალასთან შედარებით, რისგანაც ის წარმოსდგება. მეორე, წინანდელისაგან არა სავსებით დამოუკიდებელი, თვისება სიზმრის მუშაობისა ესაა ფსიქიკურ ინტენსივობათა (და მუხტვათა) **გადაწევის** სიადვილე ერთი ელემენტიდან სხვაზე; ასე რომ, ხშირად მანიფესტურ სიზმარში ერთი ელემენტი ჩანს როგორც უნათლესი და ამის შესატყვისად უმნიშვნელოვანესი, რომელიც სიზმრის აზრებში მეორეხარისხოვანი იყო და შებრუნებულად, სიზმრის მუშაობის არსებითი ელემენტები მანიფესტურ სიზმარში

გამოდიან მხოლოდ უმნიშვნელო მითითებებით. გარდა ამისა, სიზმრად სიზმრის მუშაობას აკმაყოფილებს დაუნახავი ზოგადობანი, რათა ერთი ელემენტი ყველა შემდგომი ოპერაციისათვის სხვით შეიცვალოს. ადვილადაა გასაგები, როგორ შეიძლება გაძნელდეს შემჭიდროებისა და გადაწევის ამ მექანიზმებით სიზმრის ინტერპრეტაცია და მიმართების აღმოჩენა, რომელიცაა მანიფესტურ სიზმარს და სიზმრის ლატენტურ აზრებს შორის. შემჭიდროებისა და გადაწევის ამ ორიენტაციის მოწმობიდან ჩვენ თეორიას გამოჰყავს დასკვნა, რომ არაცნობიერ "**ოგი**"-ში ენერგია იმყოფება თავისუფალი მოძრაობის მდგომარეობაში და რომ "**ოგი**"-სთან აგზნების რაოდენობების გადატანის შესაძლებლობა უფრო მეტია, ვიდრე ყველა სხვასთან*, და ის გამოიყენებს ორივე თავისებურებას "**ოგი**"-სადმი მიწერილი პირველადი პროცესის დასახასიათებლად.

სიზმრის მუშაობის შესწავლით გავეცანით კიდევ მრავალ სხვა როგორც უცხო, ისე მნიშვნელოვან განსაკუთრებულობას არაცნობიერის პროცესებისას, რომელთაგანაც აქ მხოლოდ მცირედი უნდა მოვიხსენიოთ. ლოგიკის გადამწყვეტი კანონები არაცნობიერში არ მნიშვნელობენ; შეიძლება კიდევაც ითქვას, რომ ესაა ულოგიკობის სამეფო. არაცნობიერში მისწრაფებანი საპირისპირო მიზნებით ერთადაა, ისე რომ, მოთხოვნილება არ წონასწორდება, ან ისინი ერთმანეთზე საერთოდ არ ზემოქმედებენ, ანდა თუკი ზემოქმედებენ, გადაწყვეტა კი არ ხდება, არამედ წარმოიქმნება კომპრომისი, რომელიც უაზრობად იქცევა, ვინაიდან ის შეიცავს ერთმანეთისადმი აუტანელ დეტალებს. ამასთან ახლოსაა ის, რომ საპირისპირონი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან, არამედ იქცევიან როგორც იდენტურნი ისე, რომ მანიფესტურ სიზმარში ყოველი ელემენტი შეიძლება ნიშნავდეს საპირისპიროს. ზოგიერთმა ენის მკვლევარმა ნახა, რომ უძველეს ენებში ისეთი დაპირისპირებანი, როგორიცაა ძლიერი–სუსტი, მალალი–ღრმა, თავდაპირველად ერთი და იმავე ძირით იყო გამოხატული, სანამ ორი განსხვავებული მოდიფიკაცია უძველესი სიტყვისა ორივე მნიშვნელობას ერთმანეთისაგან განა-

* ანალოგია იქნებოდა, რომ უხტეროფიცერმა, რომელმაც ახლახან მიიღო საყვედური უფროსისაგან, უხმოდ თავისი რისხვა დაატეხოს თავს უდანაშაულო რივითს.

ცალკეებდა. საწყისი ორმნიშვნელობის ნარჩენები შემორჩენილი უნდა იყოს კიდევ ისეთ განვითარებულ ენაში, როგორიცაა ლათინური –altus; (ძაღალი და ღრმა), sacer (წმინდა–დაწყევლილი) და ა. შ მანიფესტურ სიზმარსა და მის უკან მდგომ ლატენტურ შინაარსს შორის კომპლიკაციისა და მრავალმნიშვნელობის მიმართებათა დროს, ბუნებრივია, მართებულად ვიკითხოთ, საერთოდ რა გზით მივდივართ იქამდე, რომ ერთიდან გამოვიყვანოთ მეორე მაშინ, როცა მხოლოდ და მხოლოდ, მითითებაა მიხვედრაზე, რომელიც მანიფესტურ სიზმარში მოვლენილ სიმბოლოების თარგმნაზეა დაფუძნებული. შეიძლება გაცნობოთ, რომ ეს ამოცანა დამაკმაყოფილებლად წყდება ყველაზე ხშირ შემთხვევაში, მაგრამ მხოლოდ ასოციაციების დახმარებით, რომლებსაც თვითონ სიზმრის მნახველი აწვდის მანიფესტური სიზმრის ელემენტებს. ყოველი სხვა მეთოდი ნებისთია და არა სანდო. სიზმრის მნახველის ასოციაციებს ალმოაჩენს შუაწყვრები, რომელთაც ჩავსვამთ წყვეტილებს შორის და მისი დახმარებით აღვადგენთ სიზმრის ლატენტურ შინაარსს, ე. ი. შეგვიძლია სიზმრის "ინტერპრეტაცია". გასაკვირი არაა, თუკი ამ სიზმრის მუშაობის საპირისპირო ინტერპრეტაციის მუშაობას შემთხვევისდა მიხედვით მთელი სანდოობით ვერ ვაღწევთ.

გვრჩება ვთქვათ კიდევ დინამიკური ახსნის თაობაზე, თუ მძინარე "მე" საერთოდ რატომ იდებს თავზე სიზმრის მუშაობის ამოცანას. საბედნიეროდ ეს აღვილი სანახავია. ყოველი ფორმირებადი სიზმარი არაცნობიერის დახმარებით პრეტენზიას აცხადებს "მე"–სთან ლტოლვის დაკმაყოფილებაზე, თუკი ის "ოდი"–დან მოდის: კონფლიქტის გადაჭრისათვის, ეჭვის მოხსნისათვის, განზრახვის ალდგენისათვის, თუკი ის მომდინარეობს ფხიზელ ცხოვრებაში წინაცნობიერი მოქმედების ნარჩენისაგან. მძინარე "მე" განწყობილია ძლივს გაგრძელებისათვის, ამ პრეტენზიას შეიგრძნობს დარღვევის სახით და ცდილობს ამ დარღვების აცილებას. ამას "მე" აღწევს მოჩვენებითი დათმობის აქტით, როცა ის მოთხოვნას უპირისპირებს ამ ვითარებაში უცნებ **სურვილის ასრულებას** და მას ამგვარად აუქმებს. მოთხოვნის შენაცვლება სურვილის ასრულებით სიზმრის მუშაობის არსებითი მიღწევაა. ალბათ ზედმეტი არ იქნება, აღნიშნული განვმარტოთ სამ მარტივ მაგალითზე: შიმშილის, სიწანტისა და სექსუალური მოთხოვნილების სიზმრების მაგალითზე. სიზმრის მნახველთან სიზმარი მას მოახსენებს დანაყრებაზე, მას ესიზმრება დიდებული სადილი და განაგრძობს ძილს. ბუნებრივია, მას ჰქონდა არჩევანი ჭამისა ან ძილის გაგრძელებისა. მან უკანასკნელი გადაწყვიტა და შიმშილი დაიკმაყოფილა სიზმრით. ყოველ შემთხვევაში მცირე დროით; შიმშილი რომ გაგრძელებულიყო სუბიექტს მაინც უნდა გაღვიძებოდა. სხვა შემთხვევა: მძინარემ უნდა გაიღვიძოს, რათა განსაზღვრულ დროს კლინიკაში იყოს, მაგრამ ის ძილს აგრძელებს და ნახულობს სიზმარს, რომ ის უკვე კლინიკაშია როგორც პაციენტი, რომელიც, რა თქმა უნდა, არ საჭიროებს მისი საწოლის დატოვებას. ანდა ღამე აღიგზნება აკრძალული ობიექტით – მეგობრის მეუღლე – ტკბობის წყურვილი. მას ესიზმრება სექსუალური ურთიერთობა, რა თქმა უნდა, არა იმ პირთან, არამედ სხვასთან, რომელსაც იგივე სახელი ჰქვია, თუმცა ის თვითონ მისთვის სულერთია. ანდა მისი წინააღმდეგობის გაწევა იმით ვლინდება, რომ შეყვარებული საერთოდ ანონიმური რჩება.

ბუნებრივია, არა ყველა შემთხვევაა ასე მარტივი, განსაკუთრებით სიზმრებში, რომლებიც მომდინარეობენ აღუსრულებელი დღის ნარჩენებისაგან და ძილის მდგომარეობაში მხოლოდ არაცნობიერი გაძლიერება ეშატებათ; ხშირად ადვილი არაა აღმოაჩინო არაცნობიერი ლტოლვის ძალა და აჩვენო მისი სურვილის ასრულება. მაგრამ უფლება გვაქვს დავუშვათ, რომ ის მუდამაა. დებულება, რომ სიზმარი სურვილის ასრულებაა, გვაეჭვებს თუკი გავიხსენებთ, რომ მრავალ სიზმარს აქვს პირდაპირ აუტანელი შინაარსი. ან თვითონ იწვევენ შიშით გაღვიძებას, რომ არაფერი ვთქვათ ხშირ სიზმრებზე განსაზღვრული გრძნობითი ტონის გარეშე. მაგრამ შიშის სიზმრის შეპასუხებას ანალიზი წინ ვერ აღუდგება. უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ, რომ სიზმარი ყველა შემთხვევაში კონფლიქტის შედეგია, კომპრომისული წარმონაქმნის სახეა. ის, რაც არაცნობიერი "ოდი"–სათვის დაკმაყოფილებაა, შეიძლება სწორედ ამიტომ "მე"–სათვის შიშის საბაბი იყოს.

სიზმრის მუშაობის მიმდინარეობის შესაბამისად ერთხელ არაცნობიერი უკეთ ტარდება, მეორე ჯერ კი "მე" უფრო ენერგიულად აკრძალება. შიშის სიზმრები ხშირად ისეთებია, რომელთა შინაარ-

სმა განიცადა ნაკლები განწყობა, არაცნობიერის პრეტენზია თუკი მეტად დიდი ხდება ისე, რომ მძინარე "მე"-ს არ შეუძლია არსებული საშუალებებით მისი უკუგდება, მაშინ შეწყდება ძილის სურვილი და მძინარე უბრუნდება ცხად ცხოვრებას. ანგარიში ეწევა მთლიან გამოცდილებას, როცა ლაპარაკობენ, რომ სიზმარი ყოველთვისაა მცდელობა – ძილის შეშლა უკუიგდოს სურვილის აღსრულებით, მაშასადამე, ისაა ძილის დამცველი. ეს ცდა შეიძლება მეტად თუ ნაკლებად მიიღწიოს, შეიძლება ასევე მას ვერ მიაღწიოს, მაშინ მძინარე იღვიძებს, როგორც ჩანს, ამ სიზმრით გაღვიძებული. ღამის დარაჯსაც, რომელმაც უნდა დაიცვას პატარა ქალაქის ძილი გარკვეულ ვითარებაში სხვა არაფერი რჩება, თუ არა ხმაური ატეხოს და მძინარე მოქალაქენი გამოალვიძოს.

აღნიშნულ განმარტებათა დასკვნად მოგვყავს ცნობა, რომელიც ამართლებს ჩვენს ხანგრძლივ შეჩერებას სიზმრის ინტერპრეტაციის პრობლემასთან. მიეღეთ, რომ არაცნობიერი მექანიზმები, რაც შევიმეცნეთ სიზმრის მუშაობის შესწავლით და რამაც სიზმრის ფორმირება აგვიხსნა, იგივე მექანიზმებია საიდუმლოებით მოცული სიმპტომის წარმოქმნის გაგებისათვისაც რომ გვეხმარება, ნევროზებისა და ფსიქოზების გზით ჩვენს ინტერესს რომ იწვევს. ასეთმა დამთხვევამ დიდი იმედები უნდა აღგვიძრას.

მეორე ნაწილი
პრაქტიკული ამოცანა

მეექვსე თავი
ფსიქოანალიზური ტექნიკა

სიზმარი ფსიქოზია ყველა თავისი შეუსაბამობით, ფანტომური წარმონაქმნებით, შეგრძნებათა შეცდომებით. ფსიქოზი, მართალია, მცირე დროით უწყინარი, თვითონ საჭირო ფუნქცია აქვს რა მინდობილი, პერსონის თანხმობით წარმართული, მთავრდება მისი ნებისყოფის აქტით. მაგრამ მაინც ფსიქოზია – თვითონ ასე ღრმადძიძღანარე ცელილება სულიერი ცხოვრებისა რომ შებრუნდება – შეიძლება ადგილი დაუთმოს ნორმალურად ფუნქციობას. გაბედულებაა, იმედი გქონდეს, რომ შესაძლებელი უნდა იყოს ავრეთვე სულიერი ცხოვრების საშინელი სპონტანური დაავადებანი ჩვენ ზეგავლენას ექვემდებარებოდეს და განიკურნებოდეს?

ჩვენ უკვე ზოგი რამ მოსამზადებელი ვიცით ამ საქმის წარმართვისათვის. ჩვენი დაშვებით **მე**-ს ამოცანაა დააკმაყოფილოს რეალობის, **ოგი**-სა და **ზე-მე**-ს სამი დამოკიდებულების პრეტენზიები და ამასთან თავისი ორგანიზაციაც შეინარჩუნოს, მისი თვითმყოფობა დაიცვას. უძნელესი მოთხოვნა წაეყენებული მე-სადმი ალბათ ოგი-ს ლტოლვათა მოთხოვნების დაქვეითებაა, რისთვისაც საჭიროა საპირისპირო დამუხტვის დიდი დანახარჯი. მაგრამ შეიძლება **ზე-მე**-ს პრეტენზიაც ისე ძლიერი და ისე ულმობელი გახდეს, რომ მე თავისი სხვა ამოცანების მიმართ პარალიზებული იყოს. ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს, რომ ეკონომიკურ კონფლიქტებში, რომელიც აქაა, **ოგი** და **ზე-მე** ხშირად საერთო საქმეს წარმართავენ შეზღუდული **მე**-ს წინააღმდეგ, რომელსაც უნდა თავისი ნორმის შენარჩუნება რეალობასთან. პირველი ორი ძალზე ძლიერი ხდება, აღწევენ **მე**-ს ორგანიზაციის დაშლასა და შეცვლას, ასე რომ, მისი სწორი დამოკიდებულება რეალობასთან ირღვევა ან თვითონაც ის-

პობა, ჩვენ ეს სიზმრის მაგალითზე ვნახეთ. თუკი **მე** მოწყვეტა გარესამყაროს რეალობიდან, შინასამყაროს ზემოქმედებით ფსიქოზში ეშვება.

ამ შეხედულებებზე ვამყარებთ მკურნალობის გეგმას. მე დასუსტებულია შინაგანი კონფლიქტით, ჩვენ მასთან დასახმარებლად უნდა მივიდეთ. საქმე ისეა, როგორც საბოქალაქო ომში მოკავშირის დახმარებით გარედან რომ უნდა გადაწყდეს. მკურნალმა-ანალიტიკოსმა და ავადმყოფის დასუსტებულმა **მე**-მ რეალურ გარესამყაროზე დაყრდნობით უნდა შექმნან ერთი პარტია მტრის წინააღმდეგ – **ოე**-ს ლტოლვის პრეტენზიებისა და **ზე-მე**-ს სინდისის პრეტენზიების წინააღმდეგ. ხელშეკრულებას ვდებთ ერთმანეთთან, ავადმყოფი მე გეპირდება სრულ გულწრფელობას, ე.ი. ყველა მასალის ჩვენს განკარგულებაში გადმოცემას, რომელსაც მას საკუთარი თვითაღქმა თავაზობს, ჩვენ მას ვაძლევთ უმკაცრესი საიდუმლოების გარანტიას და ჩვენს გამოცდილებას არაცნობიერის ზეგავლენის მქონე მასალის ინტერპრეტაციით ვაყენებთ მის სამსახურში. ჩვენმა ცოდნამ უნდა გაასწოროს მისი არცოდნა, მის **მე**-ს უნდა დაუბრუნოს ბატონობა სულიერი ცხოვრების დაკარგულ სფეროზე აღნიშნულ ხელშეკრულებაში მდგომარეობს ანალიზური სიტუაცია.

უკვე ამ ნაბიჯით ჩვენ გველოდება პირველი იმედის გაცრუება, პირველი გაფრთხილება ზომიერებისაკენ. ავადმყოფის **მე** უნდა ღირებული მოკავშირე იყოს ჩვენი ერთობლივი მუშაობისა, მან, მიუხედავად ყველა შეცდომებისა, მტრული ძალების მხრიდან უნდა შეინარჩუნოს გარკვეული ზომა სოლიდარობისა, კეთილგონიერება სინამდვილის მოთხოვნათათვის. მაგრამ ამას არ უნდა ველოდეთ ფსიქოტიკის **მე**-საგან, აღნიშნულს არ შეუძლია ამგვარი ხელშეკრულება დაიცვას, მას დაეთანხმოს. ძალიან მალე გადაფასდება ჩვენი პერსონა და ჩვენი მისადმი შეთავაზებული დახმარება, რომელიც მისთვის უკვე აღარაფერს ნიშნავს. ასე ვრწმუნდებით, რომ ჩვენ უნდა უარვყოთ ფსიქოტიკებთან ჩვენი მკურნალობის გეგმის გამოცდა, ან უარვყოთ დროებით მხოლოდ, სანამ სხვა, მისთვის გამოსადეგი გეგმა მოინახებოდეს.

მაგრამ არის ფსიქიკურად დაავადებულთა სხვა კლასიც, რომლებიც, ცხადია, ფსიქოტიკებთან ძალზე ახლო დგანან – ესაა დიდი

რაოდენობა მძიმედ დაავადებული ნევროტიკებისა. ავადმყოფობის პირობები, ისე როგორც პათოგენური მექანიზმი, მათთან იგივე უნდა იყოს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ძალზე მსგავსი. მაგრამ მათმა **მე**-მ ურყევად აჩვენა, რომ ნაკლებად დეზორგანიზებულია. ბევრ მათგანს კიდევ შეეძლო რეალური ცხოვრება, მიუხედავად ყველა მათი სიძნელეებისა და მათგან გამოწვეული უკმარისობებისა. ეს ნევროტიკები მზად არიან ჩვენი დახმარების მიღებისათვის. გვინდა ჩვენი ინტერესი შემოვფარგლოთ მათზე და შევეცდებით ვაჩვენოთ რამდენად და რა გზებით შეგვიძლია მათი, "განკურნება".

მაშასადამე, ნევროტიკებთან ვდებთ ხელშეკრულებას – სრული გულწრფელობა მკაცრი საიდუმლოების სანაცვლოდ. ეს ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ვისწრაფოდეთ დავიკავოთ აღსარების მიღების ადგილი, მაგრამ განსხვავება დიდია, ვინაიდან ჩვენ გვინდა მისგან მოვისმინოთ არა მხოლოდ ის, თუ რა იცის მან და რას მალავს, არამედ ის ჩვენ ასევე უნდა მოგვიყვეს იმასაც, რაც არ იცის. ამ განზრახვით მას, ვთავაზობთ იმის მიახლოების განმარტებას, რასაც გულწრფელობისას ვგებულობთ. ჩვენ მას ვაცალდებულებთ ანალიზურ **ძირითად წესს** – მომავალში თავის ქცევას უნდა ფლობდეს ჩვენს მიმართ. მან ჩვენ უნდა გაგვიზიაროს არა მხოლოდ ის, რასაც განზრახვითა და სიამოვნებით გვეტყვის, რასაც როგორც აღსარებას, შემსუბუქება მოაქვს, არამედ აგრეთვე ყველაფერი სხვა, რაც მას საკუთარი თვითდაკვირვება თავაზობს, ყველაფერი, რაც მას თავში მოდის მაშინაც, როცა მისი თქმა **არასასიამოვნოა**, რაც მას ასე ეჩვენება **უმნიშვნელოდ** ან **უაზროდაც** კი. თუ ამას ახერხებს ამ ინსტრუქციის მიხედვით თავის თვითკრიტიკას გამორიცხავს, მაშინ მას ჩვენთან მოაქვს მასალის სისავსე, აზრები, უცებ გაელვებული აზრები, მოგონებანი, რომლებიც უკვე არაცნობიერის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან, ხშირად მათი პირდაპირი ნაშიერია და ჩვენც იმ მდგომარეობაში გვაყენებენ, მასთან განდევნილი არაცნობიერი გამოვიცნოთ და თანაც ჩვენი ცნობებით მისი **მე**-ს ცოდნა თავისი არაცნობიერის შესახებ გაფართოვდეს.

მაგრამ ამისგან შორსაა, **მე**-ს როლი იმით აშოიწუროს, რომ პასიურმა გამგონემ ჩვენს მიერ მოთხოვნილი მასალა მოგვცეს და მისი ჩვენეული თარგმნა სარწმუნოდ მიიღოს, ხდება რალაც სხვა,

ზოგიერთი რამ, რასაც ჩვენც განვჭვრეტთ და სხვაც, თუმცა გაცნობების გამომწვევია. აღსანიშნავია, რომ პაციენტი აქ არ ჩერდება – ანალიტიკოსი განიხილავს რეალობის სინათლეში როგორც დამხმარე და მრჩეველი, რომელსაც, გარდა ამისა, მისი შრომისათვის აჯილდოვებს და რომელიც თვითონ სიამოვნებით კმაყოფილდება რთული მთის პირობებში მეგზურის როლის შესრულებით, არამედ მასში ხედავს დაბრუნებას – რეინკარნაციას – მნიშვნელოვანი პერსონისას მისი ბავშვობის დროიდან, წარსულიდან და ამიტომაცაა, რომ გრძნობები და რეაქციები მასზე გადააქვს, რომლებიც უეჭველია ამ ნიმუშს მნიშვნელობას ანიჭებს. გადატანის აღნიშნული ფაქტი აღმოჩნდება ხან როგორც გაუთვალისწინებელი მნიშვნელობის მოძრავი, ერთი მხრით, შეუნაცვლელი ღირებულების დამხმარე საშუალება, ხოლო მეორე მხრით, სერიოზულ საშიშროებათა წყარო. ეს გადატანა **ამბივალენტურია**; ის მოიცავს პოზიტიურ, ნაზ, ასევე უარყოფით, მტრულ განწყობებს ანალიტიკოსის მიმართ, რომლებიც დაისმის, როგორც წესი, ერთ–ერთი მშობლის – მამის ან დედის – ადგილზე. სანამ ის პოზიტიურია, გვიწევს საუკეთესო სამსახურს, ცვლის მთელ ანალიტურ სიტუაციას, გვერდზე გადადებს რაციონალურ განზრახვას, რომ იყოს ჯანმრთელი და ვნებათაგან თავისუფალი, ამის ადგილზე გამოდის განზრახვა – მოეწონოს ანალიტიკოსს, დაიმსახუროს მისი აღტაცება და სიყვარული. ის ხდება პაციენტის თანაშრომის საკუთრივ მამოძრავებელი, სუსტი **მე** იქცევა ძლიერად, მისი ზემოქმედების ქვეშ ანხორციელებს მიღწევებს, რომლებიც სხვაგვარად მისთვის შეუძლებელი იქნებოდა, თავის სიმპტომებს არეგულირებს, მოჩვენებითად ხდება ჯანმრთელი მხოლოდ ანალიტიკოსის გულისათვის ანალიტიკოსს შეუძლია დარცხვენით უპასუხოს, რომ მან წამოიწყო ძნელი ოპერაცია იმის წარმოდგენის გარეშე, თუ თვითონ რომელ განსაკუთრებულ ძალის მასალას გამოიყენებს.

გარდა ამის, გადატანის დამოკიდებულებას ორი სხვა უპირატესობაც აქვს. სვამს რა პაციენტი ანალიტიკოსს თავისი მამის (ან დედის) ადგილზე, მას ანიჭებს კიდევაც ძალას, რომელიც თავის **ზე–მე**–ს მის **მე**–ზე ავლენს, ვინაიდან ეს მშობლები სწორედ რომ **ზე–მე**–ს საწყისია. ახალ **ზე–მე**–ს ეძლევა შემთხვევა ნევროტიკის ხელახალი აღზრდისა, შეუძლია გაასწოროს ის შეცდომები მშობლებმა მის აღზრდაში რომ დაუშვეს, აქ შემოდის, რა თქმა უნდა, გაფრთხილება, რომელიც ახალ ზეგავლენას არ გამოიყენებს ბოროტად. რა დიდიც არ უნდა იყოს ცდუნება ანალიტიკოსისათვის გახდეს სხვისი მასწავლებელი, მისაბაძი და იდეალი, შექმნას ადამიანი თავისი ნიმუშის მიხედვით, მას მაშინაც უფლება არა აქვს დაივიწყოს, რომ ეს არაა მისი ამოცანა ანალიზურ დამოკიდებულებაში. დიახაც, ის თავისი ამოცანისადმი არ იქნება ერთგული, თუკი თავისი მიდრეკილებიდან მოწყდება; მაშინ ის გაიმეორებს მშობელთა შეცდომას – ბავშვის დამოუკიდებლობის თავისი ზეგავლენით დათრგუნვას, მხოლოდ შეანაცვლებს ადრეულ დამოკიდებულებას ახლით. ანალიტიკოსმა ყველა მცდელობისას უნდა გააუმჯობესოს და აღზარდოს, პაციენტის თავისებურებას პატივი უნდა სცეს. ზეგავლენის ზომა, რომელსაც ის აკანონებს, განისაზღვრება პაციენტში განვითარების შეკავების ხარისხით, ზოგიერთი ნევროტიკი იმდენად ინფანტილურადაა დარჩენილი, რომ მას ანალიზის დროს უნდა მოვექცეთ ბავშვივით.

გადატანის სხვა უპირატესობა კიდევ ისაცაა, რომ პაციენტი ჩვენ პლასტიკური სიცხადით გვიჩვენებს თავისი ცხოვრების ისტორიის მნიშვნელოვან ნაწილს, რომლის შესახებ ის ალბათ სხვაგვარად მხოლოდ არასაკმარის ცნობას მოგვაწვდიდა, ის თითქოს ჩვენ თვალწინ მოქმედებს, ნაცვლად იმისა, რომ მოგვიყვეს.

ახლა რაც შეეხება დამოკიდებულების სხვა მხარეს. ვინაიდან გადატანა აღადგენს მშობლებთან დამოკიდებულებას, გადმოიღებს მათ ამბივალენტობასაც. თავს ვერ დააღწევ იმას, რომ ერთ დღეს ანალიტიკოსის მიმართ პოზიტიური განწყობა იცვლება ნეგატიურით, მტრულით. ჩვეულებრივ ესეც წარსულის გამეორებაა. მამის მიმართ მოქნილობა (როცა ლაპარაკია მის შესახებ), მისადმი კეთილმოსურნეობა ფესვს იდგამს ეროტულ, მის პერსონზე მიმართულ სურვილში. ერთხელაც ეს პრეტენზია გადატანაშიაც შეაღწევს და დაჟინებით მოითხოვს დაკმაყოფილებას. ანალიზურ სიტუაციაში ის მხოლოდ უარყოფას აწყდება. რეალური სექსუალური დამოკიდებულება პაციენტსა და ანალიტიკოსს შორის გამორიცხულია. ასევე დაკმაყოფილების ფაქიზი ხერხები, როგორიცაა უპირატესობის მინიჭება, ინტიმურობა და ა. შ. ანალიტიკოსმა მხოლოდ

მცირე ზომით უნდა გაიღოს. ამგვარი უყურადღებობა საბაბია გარდაქმნისათვის, ალბათ იგივე ხდებოდა პაციენტის ბავშვობაში.

მკურნალობის შედეგები, რომლებიც გვაქვს პოზიტიური გადატანის ბატონობის შემთხვევაში, ეჭვს აღძრავენ, რომ ისინი შთაგონებისეული ბუნებისანი არიან. თუკი ნეგატიური გადატანა იმარჯვებს, მაშინ ეჭვი იფანტება. შიშით შევნიშნავთ, რომ ყველა ძალისხმევა და შრომა ამაო იყო აქამდე. დიახ, ის, რაც პაციენტის მყარი ინტელექტუალური შენაძენია – ფსიქოანალიზის მისეული გაგება, ნდობა მისი ზემოქმედების მიმართ უცებ ქრება. ის ბავშვივით იქცევა, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი აზროვნება. გულუბრყვილოდ უყურებს მას, ვისაც, და არავის სხვას, ეკუთვნის მისი სიყვარული. ცხადია, გადატანის ამ მდგომარეობათა საშიშროება იმაშია, რომ პაციენტი თავის ბუნებას ვერ ცნობს და ის ნაცვლად წარსულის ასახვისა, ახალ, რეალურ განცდებს იღებს, გრძნობს რა ძლიერ ეროტულ მოთხოვნილებას, რომელიც იმალება პოზიტიური გადატანის უკან, ფიქრობს, რომ შეყვარებულია ვნებიანად; მასზე ზემოქმედებს რა გადატანა, იქცევა შეურაცხყოფილად და უგულებელყოფილად, მტრობით ეზიზღება ანალიტიკოსი და მზადაა შეწყვიტოს ანალიზი. უკიდურეს ორთავე შემთხვევაში მას ავიწყდება ხელშეკრულება, რომელიც მიიღო მკურნალობის დაწყების დროს, და ის საერთო მუშაობის გაგრძელებისათვის უვარგისი ხდება. ანალიტიკოსის ამოცანაა, ყოველთვის მოწყვიტოს პაციენტი საშიშ ილუზიას, მას მუდამ ჟამს ისევ და ისევ აჩვენოს, რომ რასაც ის თვლის ახალ, რეალურ ცხოვრებად, მარტოოდენ წარსულის ასახვაა. ამით ცდილობს პაციენტი არ აღმოჩნდეს მდგომარეობაში, რომელიც მას ხდის მიუწვდომელს ყველა დამამტკიცებელი სამუშაოებისადმი და მისთვის ხრუნავენ, რომ უკიდურეს სიმაღლეს არ მიაღწიოს არც შეყვარებამ და არც მტრობამ. ეს კეთდება, რომ მას ადრიდანვე ამ შესაძლებლობათათვის ამზადებენ და რომელთა პირველ ნიშანს უყურადღებოდ არ ტოვებენ. გადატანის მართებაზე ასეთი მზრუნველობა უნდა ასაზღაურდეს უჩვად, თუკი ეს მიიღწევა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, პაციენტს ვასწავლოთ გადატანის ფენომენის ნამდვილი ბუნება, მაშინ მის წინააღმდეგობას ხელიდან ვაგდებინებთ ძლიერ იარაღს საშიშროების გადაქცევით სასარ

გებლოდ. ვინაიდან, პაციენტმა რაც გადატანის ფორმებში განიცადა, აღარ ავიწყდება, ამიტომაც, ამას მისთვის ძლიერ დამარწმუნებელი ძალა აქვს, ვიდრე ყველაფერ სხვა სახით მიღებულს.

ძალზე არასასურველია, როდესაც პაციენტი გადატანის მიღმა აქტიურობს ნაცვლად მოგონებისა. ჩვენი მიზნებისათვის იდეალური ქცევა იქნებოდა, თუკი პაციენტი მკურნალობის გარეთ შეძლებისდაგვარად ნორმალურად მოიქცეოდა და მის არანორმალურ რეაქციებს მხოლოდ გადატანაში გამოავლენდა.

ჩვენი გზა – დასუსტებული **შე**-ს გამაგრება – გამომდინარეობს პაციენტის თვითშემეცნების გაფართოებიდან. ვიცით, ეს ყველაფერი არაა, მაგრამ იგი პირველი ნაბიჯია; ასეთი ცოდნის დანაკლისი მისათვის ნიშნავს ხიძლიერისა და ზეგავლენის დაკარგვას; ისაა უახლოესი ხელშესახები ნიშანი იმისა, რომ **იგი**-სა და **ჩე-შე**-ს მოთხოვნების მხრიდან მე შევიწროებულიცაა და წინააღმდეგობას ხვდება. ამგვარად, პირველი მომენტი ჩვენი დახმარებისა ჩვენი მხრიდან ინტელექტუალური მუშაობაა და ამ თანამუშაობაში პაციენტის მოწვეულია. ვიცით, რომ ამ პირველმა მოქმედებამ უნდა გაგვიკაფოს გზა სხვა უფრო ძნელი ამოცანისაკენ. მის დინამიკურ ნაწილს შესავლის დროსაც მხედველობიდან არ ვუშვებთ. ჩვენი სამუშაოსათვის მასალას ვღებულობთ განსხვავებული წყაროებიდან, მისგან, რასაც პაციენტი ჩვენ თავისი შეტყობინებებითა და თავისუფალი ასოციაციებით გადმოგვცემს, რასაც გვიჩვენებს თავის გადატანებში, რასაც ვასკვნით მისი სიზმრების ინტერპრეტაციიდან, რასაც გასცემს მისი **შეცდომითი ნაქმობანი**. მთელი ეს მასალა გვეხმარება იმის კონსტრუქციაში, რაც ძასთან გარდასულია და დავიწყებული, როგორც იმის შესახებაც, რაც ახლა მასში მიმდინარეობს და მას კი ეს არ ესმის. ამასთან არასდროს არ ვუშვებთ მხედველობიდან, რომ ჩვენი ცოდნა და მისი ცოდნა მკაცრად განვასხვავოთ. ჩვენ თავს ვარიდებთ, რომ მას იმწამსვე გავუზიაროთ ის, რასაც ხშირად ძალზე ადრე ვხვდებით, ანდა ყველაფერი გავუზიაროთ, რაც გვწამს, რომ მიუხვდით. ჩვენ განვსჯით გულდასმით, თუ როდის უნდა გავუზიაროთ ჩვენი კონსტრუქციები თანამონაწილეს, ველოდებით მომენტს, რომელიც ხელსაყრელად გვეჩვენება, რაც ყოველთვის ადვილი გადასაწყვეტი არაა. როგორც წესი, ვაყოვნებთ კონსტრუქ-

ციის შეტყობინებას, **ახსნა-განმარტებას**, სანამ ის თვითონ მას იმდენად არ მიუახლოვდება, რომ მხოლოდ ერთი ნაბიჯილა რჩება, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი სინთეზისათვის. სხვაგვარად თუ მოვიქცევით, მას მივაწვდით ჩვენ ინტერპრეტაციას მანამ, სანამ ამის თვის მომზადებულია, მაშინ შეტყობინება რჩება უშედეგო ან ის ვვვს წინააღმდეგობის გაწევის სწრაფ ამოხეთქვას, რომელიც მუშაობის გაგრძელებას აძნელებს ან მას კითხვის ქვეშ აყენებს. თუკი ყველაფერი რიგიანად მომზადდება, მაშინ ხშირად ვაღწევთ იმას, რომ პაციენტები ჩვენს კონსტრუქციებს უშუალოდ ადასტურებს და დავიწყებულ შინაგან ან გარეგან პროცესს თვითონ მოიგონებს. რაც უფრო ფარავს კონსტრუქცია დავიწყებულ წვრილმანებს, მით უფრო ადვილია პაციენტის დათანხმება, ჩვენი ცოდნა ამ ნაწილში მისივე ცოდნა ხდება.

წინააღმდეგობის გაწევის მოხსენიებით მივადექით ჩვენი ამოცანის მეორე, მნიშვნელოვან ნაწილს. უკვე გვსმენია, რომ **მე** თაკს იცავს არაცნობიერი და განდევნილი **ოგი**-დან შემოჭრილი არასურველი ელემენტებისაგან საპირისპირო დამუხტვით, რომელიც უმწიკვლობა პირობაა მისი ნორმალური ფუნქციობისა. რაც უფრო დათრგუნვილად გრძნობს თავს **მე**, მით უფრო დაძაბულად შეუპყრია, თითქოსდა შეშინებული ამ საპირისპირო დამუხტვით, რათა თავისი ნარჩენი დაიცვას შემდგომი შემოტევისაგან. მაგრამ ეს დაცვითი ტენდენცია სრულიადაც არ ეთანხმება ჩვენი მკურნალობის მიზნებს. პირიქით, გვინდა ჩვენი დახმარების საიმედობით **მე** მაძაცი გაბედეს, შეტევა გაბედოს, რათა დაკარგული ისევ დაიბრუნოს. ამასთან ჩვენ, გვრძნობთ ამ ერთმანეთის გამომრიცხავი დამუხტვების სიძლიერეს როგორც **წინააღმდეგობის გაწევას** ჩვენი მუშაობის საპირისპიროდ. **მე** ძრწუნდება ასეთი ოპერაციების წინაშე, რომლებიც საშიშრად ჩანან და უსიამოვნებით გვემუქრებიან; **მე** მუდამ უნდა გულმოდგინე და დაწყნარებული იყოს, რათა უარი არ გვითხრას. ეს წინააღმდეგობის გაწევა, რომელიც მთელი მკურნალობის მანძილზე გრძელდება და მუშაობის ყოველ ახალ მომენტში განახლდება, იწოდება, არა მთლად კორექტულად, **განდევნის წინააღმდეგობის გაწევად**. კლასიკად მოვისმენთ, რომ ეს არაა ერთადერთი, რაც მოგველის. საინტერესოა, რომ ამ სიტუაციაში გარ-

კვეულწილად შებრუნებულია პარტიული წარმონაქმნი, ვინაიდან **მე** იფხორება ჩვენი ინიციატივის წინააღმდეგ, ხოლო არაცნობიერი, წინათ ჩვენი მოწინააღმდეგე, – გვეხმარება, რადგანაც მას აქვს ბუნებრივი "ამომგდები ძალა", ის არაფერს ისეთს არ მოითხოვს გარდა იმისა, რომ მისმა სახლვრებმა **მე**-ში და ცნობიერამდე შეაღწიოს. მასში მიმდინარე ბრძოლა ხდება ჩვენი ხელმძღვანელობის ქვეშ და ჩვენი დახმარებით, როცა ჩვენს განზრახვას ვაღწევთ და **მე**-ს შეუძლია თავისი წინააღმდეგობის გაწევის დაძლევა. სულერთია ბრძოლა რომელ ამოსავალს იღებს, მას იქითკენ მივყავართ, რომ მე აქამდე უარყოფილი ლტოლვის პრეტენზიას ახლებური გამოცდით მიიღებს, თუ ის მას ისევ, ამჯერად საბოლოოდ, უკუაგდებს. ორივე შემთხვევაში აშორებულია ხანგრძლივი საშიშროება, **მე**-ს მოცულობა განიერებულია და ძვირადღირებული ხარჯები ზედმეტი ხდება.

წინააღმდეგობის გაწევის გადალახვა ჩვენი მუშაობის ნაწილია, რომელიც დიდ დროსა და უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. მაგრამ ღირს კიდეც, ვინაიდან მას მოაქვს სასარგებლო შეცვლა **მე**-სი, რომელსაც ვღებულობთ გადატანის შედეგისდა დამოუკიდებლად და ცხოვრებაში გამოსადეგია. იმავდროულად ისევე ვმუშაობთ იმ **მე**-ს შეცვლის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ალდგა არაცნობიერის ზეგავლენით, ვინაიდან, როცა კი ჩვენ **მე**-ში არაცნობიერის ნაშიერს ვადასტურებთ, მივუთითებთ მათ არაკანონიერ წარმოშობაზე და **მე**-ს ბიძგი აქვს მათი თავიდან მოშორებისათვის. ვიხსენებთ, ჩვენი ხელშეკრულებითი დახმარების საქმის წინაპირობათაგანია, რომ **მე**-ს ასეთმა შეცვლამ არაცნობიერი ელემენტის შემოჭრით არ გადააჭარბოს გარეეულ ზომას.

რაც უფრო შორს მიდის ჩვენი მუშაობა და ჩვენი თვალსაზრისი რაც უფრო ღრმად ფორმირდება ნეიროტიკის სულიერი ცხოვრების შესახებ, მით უფრო ცხადად აგვეკვიატება ორი ახალი მომენტის ცოდნა, რომელიც, როგორც წინააღმდეგობის გაწევის წყაროები, მოითხოვს უდიდეს ყურადღებას. ავადმყოფისათვის ორივე საკმაოდ უცნობია, ხელშეკრულების დადების დამთავრებისას ორივე განუხილავია; ისინი არც პაციენტის **მე**-დან მოდიან, ისინი შეიძლება გავაერთიანოთ საერთო სახელწოდებით: ავადმყოფობის

ან ვნების მოთხოვნილება, თუმცა ისინი განსხვავებული წარმოშობისა, მაგრამ მონათესავე ბუნებისანი არიან. ამ მომენტებიდან პირველია ბრალის გრძნობა ანუ ბრალის ცნობიერება, როგორც ეს წოდებულია ფაქტზე ყურადღების მიქცევის გარეშე. მას ავადმყოფი ვერ გრძნობს და ვერც იმეცნებს. ეტყობა ესაა წინააღმდეგობის გაწევის წილი, რასაც ასრულებს განსაკუთრებით მტკიცედ და მძვინვარედ ქცეული **ზე–შე**. ინდივიდი არ უნდა გახდეს ჯანმრთელი, დარჩეს ავადმყოფად, ვინაიდან ის არაფერ უკეთესს არ იმსახურებს. აღნიშნული წინააღმდეგობის გაწევა, კერძოდ, ჩვენს ინტელექტუალურ მუშაობას არ უშლის ხელს, მაგრამ მას ხდის არაზე გავლენის მქონედ; ხშირად ის უშვებს, რომ ნევროტული ავადმყოფობის ერთ ფორმას თავიდან ვიშორებთ, მაგრამ იქვე მზადაა, მას შეუნაცვლოს სხვა, ვითარებისდა მიხედვით სომატური დაავადება. ბრალის ცნობიერება ასევე მოგვიხსნის ზოგჯერ გამოჯანმრთელებაზე მუშაობას ანდა მძიმე, ნევროზების გაუმჯობესებას რეალური კატასტროფებით. სახელდობრ, საქმე იმაშია, რომ მავანი საცოდავია, სულერთია რანაირად. უჩივარო მორჩილება, რითაც ასეთი პერსონები ხშირად თავიანთ მძიმე ხვედრს გადაიტანენ ხოლმე, ფრიად საკვირველია, მაგრამ ასევე გამცემი. წინააღმდეგობის გაწევის მოგერიებაში უნდა შემოვიფარგლოთ მისი გაცნობიერებით და მტრული **ზე–შე**–ს თანდათანობითი დაშლის ცდით.

უჭრო ძნელია წინააღმეგობის არსებობის დამტკიცება, რომელთანაც შებრძოლება განსაკუთრებით არ შეგვიძლია. ნევროტიკებს შორის არიან პერსონები, რომლებთანაც, ყველა მათი რეაქციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გაჭიდის, რომ თვითშენახვის ლტოლვამ პირდაპირ განიცადა შერყვნა. მოჩანს, რომ ის სხვა არაფრისაკენ არ მიისწრაფვის, თუ არა თვითვნების და თვითგანადგურებისაკენ. ალბათ, ამ ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე, ის პერსონები, რომელთა ბოლო თვითმკვლელობაა. ჩვენ ვუშვებთთ, რომ მათთან მოხდა ლტოლვათა შორსმწვდომი აღრევა, რომლის შედეგადაც დიდი რაოდენობანი შიგნით მიმართული დესტრუქციის ლტოლვისა განთავისუფლდნენ. ასეთი პაციენტები აუტანლად თვლიან აღდგენას ჩვენი მკურნალობის გზით, ისინი წინააღმდეგობას უწევენ მას ყველა საშუალებით. მაგრამ ვალიარებთ, რომ ეს ერთი შემთხვევაა, რომ-

ლის ახსნის ბედნიერება ჯერ არ გვრგებია.

ერთხელ კიდევ გადავხედოთ სიტუაციას, რომელშიც ჩვენ ცდით – დავხმარებოდით ნევროტულ **მე**–ს – ვმოქმედებდით. აღნიშნულ **მე**–ს აღარ შეუძლია განახორციელოს ამოცანა, რომელსაც მას უყენებს გარესამყარო აღამიანური საზოგადოების ჩართვით. ის ვერ ფლობს მთელ თავის გამოცდილებას, მისი მოგონებების სალაროს დიდი ნაწილი დაკარგულია. მისი აქტივობა შეკავებულია **ზე**–**მე**–ს მკაცრი აკრძალვით. მისი ენერგია იხარჯება ამაო ცდაში **ოგო**–ს პრეტენზიების მოგერიებისათვის. გარდა ამისა, **ოგო**–ს მუდმივი შემოჭრის შედეგად თავის ორგანიზაციაში, მე ზიანდება, ითიშება, აღარაა წესრიგიანი სინთეზი, იკუწება ურთიერთსაწინააღმდეგო მისწრაფებებით, დაუმთავრებელი კონფლიქტებით, გადაუწყვეტი ეჭვებით. პაციენტის დასუსტებულ **მე**–ს, უპირველეს ყოვლისა, მოსწყვილეობას ვალებინებთ წმინდა ინტელექტუალური ინტერპრეტაციის შუშაობაში, რომელიც ესწრაფვის მის სულიერ მფლობელობაში ხარეზების წინასწარ აშოვნებას, შესაძლებლობას გვაძლევს გადავიტანოთ მისი **ზე**–**მე**–ს ავტორიტეტი, აგვანთებს **ოგი**–ს ყოველი ცალკეული ბრძოლის მიღებისათვის და შეგვაძლებინებს წინააღმდეგობათა დაძლევას, რომლებიც ამისაგან გამომდინარეობენ. იმავდროულად ისევ აღვადგენთ წესრიგს მის **მე**–ში, როცა ჩვენ არაცნობიერიდან შემოჭრილ შინაარსებსა და მისწრაფებებს კვალში მივყვებით და მას წარმოშობაზე დავყვანით კრიტიკას ვამხელთ. ჩვენ ვემსახურებით პაციენტს სხვადასხვა ფუნქციით როგორც ავტორიტეტი და მშობელთა შემნაცვლებელი, როგორც მასწავლებელი და აღმზრდელი; მისთვის საუკეთესო საქმეს ვაკეთებთ, როცა ჩვენ, როგორც ანალიტიკოსი, მის **მე**–ში ფსიქიკური პროცესები ნორმალურ დონეზე აგვყავს, არაცნობიერად ქცეული და განდევნილი გადაგვყავს წინაცნობიერში და ამით **მე**–ს ისევ თავისთავადს ვხდით. პაციენტის მხრიდან ჩვენთვის მოქმედებს რამდენიმე რაციონალური მომენტი, როგორიცაა მისი დასწულებით მოტივირებული მოთხოვნილება გამოჯანმრთელებაზე და ინტელექტუალური ინტერესი, რომელსაც მასთან ვაღვიძებთ ფსიქოანალიზის მოძღვრების აღმოჩენებისათვის, მეტი ძლიერი ძალებით კი – პოზიტიური გადატანა, რითაც ის ჩვენ გვიპირისპირდება. სხვა მხრივ გვებრძვის, ჩვენ წინააღმდეგ იბ-

რძვის ნეგატიური გადატანა, მე-ს განდევნის წინააღმდეგობა, ე. ი. მისი უსიამოვნება მასზე დაკისრებული რთული სამუშაოთი, ბრალის გრძნობა ზე-მე-სადმი დამოკიდებულებიდან და ავადმყოფობის მოთხოვნილება მისი ლტოლვის ეკონომიკის დრმა ცვლილებიდან. უკანასკნელი ორი ფაქტორის მონაწილეობაზეა დამოკიდებული ჩვენს შემთხვევას თუ ვუწოდებთ იოლსა და მძიმეს. ამასთან დამოუკიდებლად შეიმეცნება რამდენიმე სხვა მომენტი, რომლებიც, როგორც ხელსაყრელი თუ არახელსაყრელი მხედველობაშია მისაღებად ცნობილი ფსიქიკური სიზანტე ლიბიდოს ძნელადმოძრაობა, რომელსაც არ სურს დატოვოს მისი ფიქსირებანი, ჩვენთვის შეიძლება სრულყოფილი არ იყოს. პერსონის უნარი ლტოლვათა სუბლიმაციისა, თამაშობს დიდ როლს, ასევე – მისი უნარი როგორც უხეში ლტოლვის ცხოვრებაზე ამაღლებისა, დაბოლოს – მისი ინტელექტუალური ფუნქციების შეფარდებითი ძალაც. ჩვენ არ ვცდებით, არამედ საკმაოდ გასაგებად მიგვაჩნია დასკვნის გამოტანაც, რომ საბოლოო გამოსავალი ბრძოლისა, რასაც მივიღებთ, დამოკიდებულია რაოდენობრივ მიმართებაზე, ენერგიის ჯამზე, რისი მობილიზაციაც შეგვძლით პაციენტთან ჩვენს სასარგებლოდ შედარებით იმ ძალების ენერგიების ჯამთან, რომლებიც ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებენ.

აქ ისევ ღმერთი ძლიერის მხარეზეა, რა თქმა უნდა, გამარჯვებას ყოველთვის ვერ ვაღწევთ, მაგრამ მაინც შეგვიძლია უმრავლეს შემთხვევაში გავიგოთ, თუ რატომ ვერ გავიმარჯვეთ. ვინც ჩვენ გადმოცემებს მხოლოდ თერაპევტული ინტერესით მიჰყვება, ალბათ აღნიშნულ ცნობიერებას არადჩასაგდებად ზურგს შეაქცევს, მაგრამ აქ ჩვენ მივმართავთ თერაპიას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ვმუშაობთ ფსიქოლოგიური საშუალებებით. ამჯერად სხვა არაფერი გაგვაჩნია. მომავალი გვასწავლის განსაკუთრებული ქიმიური მასალით პირდაპირი ზემოქმედება მოვახდინოთ ენერგიათა სიდიდესა და მათ, განაწილებაზე სულიერ აპარატში. ალბათ არის ჯერ კიდევ გაუთვალისწინებელი სხვა შესაძლებლობანი თერაპიისა; წინასწარ სხვა არაფერია შესაძლებელი ჩვენს განკარგულებაში, თუ არა ფსიქოანალიზური ტექნიკა და ამიტომ, მიუხედავად მისი შეზღუდულობისა, ის არ უნდა იქნეს უგულვებელყოფილი.

მეშვიდე თავი

ფსიქოანალიზური მუშაობის მიზანდასახვა

მოვიპოვეთ ზოგადი ცოდნა ფსიქიკური აპარატის შესახებ; მისი ნაწილების, ორგანოების ინსტანციებისა, რისგანაც ის შესდგება; ძალებისა, რომლებიც მასში მოქმედებენ; ფუნქციებისა, რომლებიც მის ნაწილებს აკისრიათ. ნევროზები და ფსიქოზები ის მდგომარეობებია, რომლებშიც აპარატის ფუნქციების აშლილობა ვლინდება. შესწავლის ობიექტად ავირჩიეთ ნევროზები, ვინაიდან მარტო ისინია მისაწვდომი ჩვენი ჩარევის ფსიქოლოგიური მეთოდებისათვის. მათზე ზემოქმედების მცდელობის განმავლობაში ვაგროვებთ დაკვირვებებს, რომლებიც გვაძლევს მათი წარმოშობისა და აღმოცენების წესის სურათს.

ჩვენს გაღმოცემას გვინდა წაუმძღვაროთ ერთერთი ძირითადი შედეგი. ნევროზებს არ აქვთ, როგორც ეს, მაგალ, ინფექციურ დაავადებებშია, ავადმყოფობის სპეციალური მიზეზები. უნაყოფო იქნებოდა, მათთან გვეძებნა ავადმყოფობის ამგზნებები. ისინი თანდათანობითი გადასვლებით დაკავშირებულია ეგრეთწოდებულ ნორმასთან და, მეორე მხრივ, არ არსებობს ნორმალურად აღიარებული მდგომარეობა, რომელშიაც ნაწვენები არ იყოს ნევროტულ ოვისებებზე მითითება. ნევროტიკებს, აქვთ დაახლოებით იგივე უნარები, როგორც სხვა ადამიანებს, განიცდიან იგივეს, მათ სხვა ამოცანები არა აქვთ შესასრულებელი. მაშ, რატომ ცხოვრობენ ისინი ასე ცუდად და ძნელად, ამასთან იტანჯებიან უსიამოვნების შეგრძნებებით, შიშით და ტკივილებით?

ამ კითხვაზე ასე ვუპასუხებთ: ესაა რამდენობრივი დისჰარმონიები, რომლებიც განსაზღვრავენ ნევროტიკების ტანჯვასა და უკმარისობას. აღამიანის სულიერი ცხოვრების ყველა ფორმირების მიზეზი უნდა ვეძებოთ თანმოტანილ დისპოზიციებსა და აქციდენციელურ განცდებს შორის ურთიერთზემოქმედებაში. შეიძლება განსაზღვრული ლტოლვა იყოს ზედმეტად სუსტი ან ზედმეტად ძლიერი, განსაზღვრული უნარი დაკნინდეს, ანდა ცხოვრებაში არასაკმარისად განვითარდეს, მეორე მხრით, გარეგან შთაბეჭდილებებს და განცდებს შეუძლიათ ცალკეული ადამიანის წინაშე დააყენონ სხვადასხვა სიძლიერის მოთხოვნები და რაც ერთის კონსტიტუციას

შეუძლია დაძლიოს, სხვისთვის შეიძლება ზედმეტად ძნელი ამოცანა აღმოჩნდეს. რაოდენობრივი განსხვავებულობანი განაპირობებენ ამოსავლის განსხვავებულობას.

მალე მივხვდებით, რომ ეს ახსნა არაა დამაკმაყოფილებელი. ის ძალზე ზოგადია, ხსნის ზედმეტად ბევრს. მითითებულ ეტიოლოგიას მნიშვნელობა აქვს სულიერი დაავადების ყველა შემთხვევისათვის, უბედურებისა და პარალიზებისათვის, მაგრამ არა ყველა ასეთი მდგომარეობა შეიძლება იწოდოს ნევროტულად. ნევროზებს სპეციფიკური ბუნება აქვთ, ისინი განსაკუთრებული სახის უბედურებაა. მაინც უნდა დავეყრდნოთ მათთვის სპეციფიკური მიზეზების პოვნას, ანდა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ სულიერი ცხოვრების დაძლევის ამოცანათა შორის რამდენიმეა, რომელთაგანაც ის განსაკუთრებით ადვილად იმსხვრევა, ასე რომ, ძალზე საოცარი ნევროტული ფენომენების განსაკუთრებულობა ხშირად მათგან გამოიყვანება ჩვენ წინა მტკიცებათა შეუცვლელად. თუკი სწორია, ნევროზები ნორმას არაფერ არსებითში არ შორდებიან, მაშინ მათი შესწავლა მოგვცემს ამ ნორმის ცოდნისათვის მნიშვნელოვან შინაარსს. ამასთან ალბათ აღმოვაჩენთ ნორმალური ორგანიზაციის "სუსტ წერტილებს".

ჩვენი ზემო ვარაუდი დასტურდება. ანალიზური გამოცდილება გვასწავლის, რომ ნამდვილად არსებობს ლტოლვის მოთხოვნა, რომლის დაძლევა ხშირად ვერ ხერხდება, ანდა მხოლოდ არასრულყოფილად მიიღწევა და არის აგრეთვე ცხოვრების დრო, რომელიც ნევროზის აღმოცენებისათვის მხედველობაშია მისაღები. განსაკუთრებით ან უპირატესად ორივე მომენტი – ლტოლვის ბუნება და ცხოვრების დრო – მოითხოვს ცალ-ცალკე განხილვას, თუმცა ერთმანეთთან საკმაოდ არიან დაკავშირებულნი.

ცხოვრების დროის როლის თაობაზე შეგვიძლია საკმაოდ დაშარწმუნებლად ვთქვათ, რომ ნევროზები მხოლოდ პირველი ბავშვობის დროს (6 წლამდე) შეიძინება, თუმცა მისი სიმპტომები შეიძლება მხოლოდ უფრო მოგვიანებით გამოვლინდეს. ბავშვობის ნევროზები ან მოკლე დროში გამოვლინდებიან, ანდა შეუმჩნეველი დარჩებიან. გვიანდელი ნევროტული დაავადება ყველა შემთხვევაში უკავშირდება ბავშვობის დროის დასაწყისს. ეგრეთწოდებული

ტრავმატული ნევროზები (გამოწვეული ძლიერი შიშით, ძლიერი სომატური შერყევით, როგორიცაა სარკინიგზო კატასტროფა, ჩამარხვები და მისთანანი) ალბათ აქედან გამონაკლისია; მათი დამოკიდებულება ინფანტილურ პირობებზე აქამდე გამოკვლეული არაა. ბავშვობის პირველი პერიოდის ეტიოლოგიური უპირატესობა ადვილად საბუთდება. როგორც ვიცით, ნევროზები შე-ს აფექციებია და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ შე, სანამ ის სუსტი, არამზა და წინააღმდეგობის გაწევის უუნაროა, ამოცანათა გადაჭრის დროს იმსხვრევა, თუმცა მოგვიანებით მას შეეძლო მათი ადვილად დაძლევა. (ლტოლვის მოთხოვნები შიგნიდან, ისე, როგორც აგზნებები გარესამყაროდან, მოქმედებენ როგორც "ტრამვები", განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ უპირისპირდება გარკვეული დისპოზიციები). უმწეო შე მათგან თავს იცავს გაქცევის ცდით (**განდევნები**), რომლებიც მოგვიანებით აღმოჩნდება არამიზანშეწონილი და ქმნის შემდგომი განვითარებისათვის ხანგრძლივ შეფერხებებს. პირველი განცდებით შე-სათვის მიყენებული ზიანი გვეჩვენება შეუდარებლად დიდად, მაგრამ ანალოგიისათვის საკმარისია გავითვალისწინოთ მხოლოდ ეფექტის განსხვავებულობა, როდესაც, როგორც ეს Roux-ის ცდებშია, ნემსის ჩხვლეტას მივყავართ დაყოფის პროცესში მყოფი ჩანასახის უჯრედების გროვამდე, ნაცვლად ზრდადასრულებული ცხოველისა, რომელიც მოგვიანებით მისგან ვითარდება. ადამიანის ვერც ერთი ინდივიდი თავს ვერ დაიხსნის ასეთი ტრამვატული განცდებისაგან. შე-ს ეს საეჭვო რეაქციები ალბათ აუცილებელია სხვა მიზნის მისაღწევად, რომელიც იმავ ცხოვრების დროშია ჩადებული. პატარა პრიმიტივი მოკლე დროში უნდა გახდეს ცივილიზებული ადამიანის ბავშვი, საშინლად გრძელი ნაწილი ადამიანური კულტურის განვითარებისა თითქმის შესამჩნევად შეამჭიდროვოს. ეს შესაძლებელია მემკვიდრეობითი დისპოზიციით, თითქმის კერასდროს თავისუფლდება აღზრდისა და მშობელთა გავლენისაგან, რომელიც, როგორც ზე-შე-ს წინამორბედი, შე-ს აქტივობას ზღუდავს აკრძალვებით, სასჯელით და ხელს უწყობს ან აიძულებს განდევნის საქმეს. ნევროზების პირობათა შორის არ უნდა დაგვავიწყდეს კულტურის გავლენაც. ბარბაროსებისათვის, ვაღიარებ, ადვილია ჯანმრთელად ყოფნა, ხოლო კულტურული ადამიანისათვის ეს ძნელი

ამოცანაა. ძლიერი, შეკავებული მე-ს სურვილი შესაძლებელია გავიგოთ, როგორც ამას თანამდევი დრო გვიჩვენებს, კულტურისადმი მტრული ღრმა აზრით. და რამდენედაც კულტურის მოთხოვნები ოჯახში აღზრდის გზით მყარდება, ჩვენ ასევე ადამიანის ბუნების ეს ბიოლოგიური ხასიათი, ბავშვური დამოკიდებულების გაგრძელებული პერიოდი, ნერვოზების ეტიოლოგიაში ვივარაუდოთ.

რაც შეეხება სხვა მომენტს, ლტოლვის სპეციფიკურ მომენტს, აქ აღმოვაჩენთ საინტერესო დისონანსს თეორიასა და გამოცდილებას შორის. თეორიულად არაფერი ეწინააღმდეგება იმის დაშვებას, რომ ყოველი რაგინდარა ლტოლვას შეუძლია საბაბი გახდეს მსგავსი განდევნებისა მათი შედეგებითურთ; მაგრამ ჩვენი დაკვირვება რეგულარულად გვიჩვენებს, თუ რამდენად შეგვიძლია შევაფასოთ ის, რომ აგზნებები, რომელთაც პათოლოგიური როლი მიეწერებათ, წარმოსდგებიან სექსუალური ცხოვრების პარციალური ლტოლვებისაგან. ნევროზების სიმპტომები, შეგვეძლო გვეთქვა მუდამაა ან შენაცვლებითი დაკმაყოფილება. რომელიღაც სექსუალური სწრაფვისა, ან ცდა მათი დათრგუნვისა, როგორც წესი ორივეს კომპრომისი, როგორადაც ისინი ხორციელდებიან დაპირისპირებულთა შორის არაცნობიერისათვის მნიშვნელობის მქონე კანონების მიხედვით. ამჟამად ჩვენი თეორია ნაკლოვანია. გადაწყვეტა იმით რთულდება, რომ სექსუალური ცხოვრების მრავალი ლტოლვა წმინდა ეროტული ბუნებისა არ არის, არამედ წარმოსდგებიან ეროტულის დესტრუქციის ლტოლვის ნაწილებთან შედულებისაგან. საეჭვო არაა, რომ ლტოლვები, რომლებიც ფიზიოლოგიურად როგორც სექსუალობა ცხადდება მნიშვნელოვან, მოულოდნელად დიდ როლს თამაშობენ ნევროზების განპირობებულობაში. მაგრამ არის თუ არა ეს როლი განსაკუთრებული, ჯერ ეს გადაუჭრელია. აგრეთვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ არცერთი სხვა ფუნქცია კულტურის განვითარების მსვლელობაში არ განიცდის ისეთ ენერგიულ და შორსმწვდომ გადახრას, როგორც სწორედ სექსუალური. თეორია კმაყოფილდება რამდენიმე მითითებით, რომელიც ღრმა კავშირს ავლენს: რომ ბავშვობის პირველი პერიოდი, როცა დიფერენცირება იწყება ოგ-დან მე-სი, დროა ადრეული სექსუალური გაფურჩქვნისა, რომელიც ამთავრებს ლატენტურ პერიოდს; რომ არა შემთხვევითი, თუკი ეს მნიშვნელოვანი წინა პერიოდი მოგვიანებით ინფანტილურ ამნეზიაში ეშვება; და ბოლოს მოიხსენიება ბიოლოგიური ცვლილებები სექსუალურ ცხოვრებაში როგორც ორდროიანი წარმონაქმნი ფუნქციისა, პერიოდულობის დაკარგვა სექსუალურ აგზნებულობაში და ცვლილება დამოკიდებულებაში ქალის მენსტრუაციისა მამაკაცის აგზნებულობასთან, რომ ეს სიახლე სექსუალობაში ფრიად მნიშვნელოვანი უნდა იყოს განვითარებისათვის ცხოველიდან ადამიანამდე. მომავალი მეცნიერების ამოცანაა ამჟამად ჯერ კიდევ იზოლირებული მონაცემები ახალი თვალსაზრისით გააერთიანოს. აქ ხარვეზის მაჩვენებელი ბიოლოგიაა და არა ფსიქოლოგია. ალბათ არ ვცდებით როცა ვამბობთ, რომ მე-ს ორგანიზაციაში სუსტი ადგილი ძევს სექსუალურ ფუნქციასთან მის დამოკიდებულებაში, თვითშენახვისა და გვარის შენახვის ბიოლოგიური დაპირისპირება თითქოს აქ ქმნის ფსიქოლოგიურ გამოხატულებას.

ანალიზურმა გამოცდილებამ თუ დაგვარწმუნა ხშირად გაგონილი მტკიცების სისწორეში, რომ ფსიქოლოგიურად ბავშვი არის მამა მოწიფულისა და მისი პირველი წლის განცდები უბადლო მნიშვნელობისაა მისი მთელი მოგვიანო ცხოვრებისათვის, მაშინ ჩვენთვის განსაკუთრებული ინტერესი ექნება იმას, რომ რაღაც არსებობს, რაღაც აღინიშნება, როგორც ამ ბავშვობის პერიოდის ცენტრალური განცდა. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ყურადღება ექცევა გარკვეული ზეგავლენის მოხდენის ეფექტებს, რომლებიც ყველა ბავშვს არ ეხება, თუმცა ისინი საკმაოდ ხშირად გვხვდება, როგორიცაა მოწიფულის მიერ ბავშვის სექსუალურად ბოროტად გამოყენება, მათი შეცდენა ცოტათი უფროსი ბავშვების მიერ (დაძმა) და საკმაოდ მოულოდნელად მათი მღელვარება მოზრდილთა (მშობლები) შორის სექსუალური ურთიერთობის მოსმენით ან ხილვით იმ დროს, როცა მათ არც ინტერესი და არც გაგება ასეთი შთაბეჭდილებისა არ აქვთ და არც უნარი გააჩნიათ მოგვიანებით მათი მოგონებისა. ადვილია დაადგინო, რა ზომით იღვიძებს ბავშვის სექსუალური მიმღებლობა ასეთი განცდებით და მისი საკუთარი სექსუალური მისწრაფებანი რა ზომით შეუკავდება განსაზღვრული გზებით, რომლის მიტოვება მას არ შეუძლია. როდესაც ეს შთაბეჭდილებანი ბრუნდებიან ან უმალ ან მაშინვე, როგორც მოგონება,

განდევნა მოიხსნება, ვინაიდან განდევნა ქმნის ნევროტული იძულების პირობას, რომელიც მე-სათვის მოგვიანებით შეუძლებელს ხდის შეინარჩუნოს სექსუალური ფუნქცია და ალბათ ბიძგს იძლევა, რომ მე-მ მას ხანგრძლივად ზურგი შეაქციოს. უკანასკნელ რეაქციას შეღეგად მოსდევს ნევროზი; როცა ის არაა, ვითარდება მრავალსახეირი გაუკუღმართება, ანდა სრული დაუმორჩილებლობა უსაზღვროდ მნიშვნელოვანი ფუნქციებისა არა მხოლოდ გამრავლებისათვის, არამედ მთელი ცხოვრების ფორმირებისათვისაც.

როგორი ჭკუის სასწავლებელი შეიძლება იყოს ასეთი შეთხვევები, ჩვენი დიდი ინტერესი მიმართულია იმ სიტუაციის ზეგავლენისაკენ, რომელსაც ყოველი ბავშვი განიცდის და აუცილებლობით გამოიყვანება ბავშვზე გახანგრძლივებული ზრუნვისა და მშობლებთან თანაცხოვრების მომენტიდან. მე ვგულისხმობ ე. წ. ოიდიპოსის კომპლექსს, რადგანაც მის არსებით შინაარსს მივყავართ მეფე ოიდიპოსის შესახებ ბერძნულ თქმულებასთან, რომელიც საბედნიეროდ შემოგვინახა დიდმა დრამატურგმა. ბერძენი გმირი ჰკლავს საკუთარ მამას და ცოლად ირთავს დედას. ის, რომ ოიდიპოსი ამას შეგნებულად აკეთებს, როცა არ იცნობს არცერთ თავის მშობელს, ანალიზური საქმის ვითარებიდან გადახვევაა, რომელსაც ჩვენ ადვილად ვიგებთ და, დიახაც, რომ მას აუცილებლად ვთვლით.

აქ განცალკევებით უნდა აღვწეროთ ბიჭისა და გოგოს – მამაკაცისა და ქალის – განვითარება, რადგანაც სქესთა განსხვავება იძენს პირველ ფსიქოლოგიურ გამოხატულებას. ჩვენ წინაშე დიდ გამოცანად დგას სქესთა ორგანოების ბიოლოგიური ფაქტი, უკანასკნელი ზღვარი ჩვენი ცოდნისათვის სხვა რაიმეზე ყოველგვარი დაყვანის საწინააღმდეგოდ. ამ პრობლემის ახსნისათვის ფსიქოანალიზს არაფერი გააჩნია. ის, როგორც ჩანს, მთლიანად ბიოლოგიას განეკუთვნება. სულიერ ცხოვრებაში ვპოულობთ იმ დიდი დაპირისპირების ასახვას, რომელთა ინტერპრეტაცია ძნელდება დიდი ხნის წინათ მიხვედრილი ფაქტით, რომ ცალკეული არსება არ შემოიფარგლება ერთი სქესის რეაქციებით, არამედ გარკვეული ადგილი ეთმობა მუდამ მის საპირისპიროსაც, სწორედ ისე, როგორც თავისი სხეულის განვითარებული ორგანოების გვერდით ასევე სუსტ, ხშირად უსარგებლოდ ქცეულ რუდიმენტებს ატარებს მეორისას. სულიერ ცხოვრებაში მამაკაცურის განსასხვავებლად ქალურისაგან ვიყენებთ, როგორც ჩანს, არასაკმაოდ ემპირიულ და კონვენციონალურ გათანაბრებას. ყველაფერს, რაც ძლიერია და აქტიური, გუწოდებთ მამაკაცურს, ხოლო სუსტსა და პასიურს – ქალურს. ეს და ფსიქოლოგიური ბისექსუალობის ფაქტი ამძიმებს ყველა ჩვენს ცნობებს, აძნელებს მათ აღწერას.

ბავშვის პირველი ეროტული ობიექტი მკვებავი დედის მკერდია, სიყვარული აღმოცენდება კვების მოთხოვნილების დაუკმაყოფილებასთან შეხებით. დასაწყისში მკერდს, რა თქმა უნდა, ბავშვი საკუთარი სხეულისაგან არ ანსხვავებს; თუკი ის სხეულისაგან გამოყოფილია, "გარეთ" უნდა მოთავსდეს, ვინაიდან ხშირად ის ბავშვის მიერ არ შეინიშნება, თავდაპირველად იძენს როგორც "ობიექტი" ნარცისტული ლიბიდოს მუხტს. ეს პირველი ობიექტი მოგვიანებით სრულიქმნება დედის პერსონად, რომელიც არა მარტო კვებავს, არამედ ზრუნავს კიდევაც და ზოგიერთ სხვა, როგორც სასიამოვნო, ისე არასასიამოვნო, სხეულის შეგრძნებებს იწვევს ბავშვთან. სხეულის მოვლაში დედა ბავშვის პირველი მაცთუნებელი ხდება. აღნიშნულ მიმართებებში ფესვს იდგამს ერთადერთი, შეუდარებელი, მთელი ცხოვრების მანძილზე უცვლელად დაღგენილი მნიშვნელობა დედისა როგორც სიყვარულის პირველი და ძლიერი ობიექტისა, როგორც ნიმუში ყველა გვიანდელი სასიყვარულო დამოკიდებულებისა ორივე სქესთან. ამასთან ისეთი ძლიერი უპირატესობა აქვს ფილოგენტურ დაფუძნებას პიროვნულ აქციდენციალურ განცდაზე, რომ არ ანსხვავებს ბავშვმა ნამდვილად მკერდი მოწოვა, თუ ბოთლით გამოიკვება და არ შეეძლო დამტკბარიყო დედის ზრუნვის სინაზით. მისი განვითარება ორივე შემთხვევაში ერთნაირი გზით მიდის, ალბათ უკანასკნელში გვიანდელი წყურვილი უფრო იზრდება. რა ხანგრძლივადაც არ უნდა იკვებებოდეს ბავშვი დედის მკერდით, ის მუდამ რწმუნდება გადაჭვევიდან, რომ ეს დრო ზედმეტად მოკლე და მცირე იყო.

ეს შესავალი ზედმეტი არაა, მას შეუძლია ოიდიპოსის კომპლექსის ინტენსივობის ცნობიერება გაამძაფროს, როდესაც ბიჭი (ორიდან სამ წლამდე) შედის ლიბიდოს განვითარების ფალური ფაზაში, იღებს სიამოვნებით სავსე შეგრძნებებს თავისი სასქესო ორ-

განოსგან. შან იცის, სურვილის მიხედვით ეს გააკეთოს ხელით გაღიზიანების გზით, ის ხდება დედის საყვარელი არსება. მას სურს დედის სხეულს ფლობდეს იმ ფორმებით, რასაც ის მიხვდა სექსუალურ ცხოვრებაზე დაკვირვებითა და წარმოდგენით, ცდილობს მის შეცდენას, როცა მას თავის მამაკაცის სასქესო ორგანოს აჩვენებს, რომლითაც ამაყობს. ერთ სიტყვით, ადრეგაღვიძებული მამაკაცობით ცდილობს მამას შეენაცვლოს, რომელიც ამის გარეშეც აქამდე მისი საშური ნიშუში იყო ჩვეულებრივი სიძლიერისა (რომელსაც მასთან ალიქვამს და ავტორიტეტის წყალობით (რომლითაც მას მოსავს, მისი მამა ახლა მეტოქეა, რომელიც მას გზაზე ელობება და შეუძლია მისი გზიდან ჩამოშორება; თუკი მამის არყოფნის დროს მას შეეძლო დედის სარეცლის გაყოფა, საიდანაც მამის დაბრუნების შემდეგ ის ისევ განიდევნება, მისთვის ეს ნიშნავს მამის არყოფნისას დაკმაყოფილებასა და მამის გამოჩენისას იმედის გაცრუების ღრმა განცდებს. ესაა ოიდიპოსის კომპლექსის შინაარსი, რომელიც ბერძნულმა თქმულებამ ბავშვის ფანტაზიური სამყაროდან გადმოიტანა მოჩვენებით რეალობაში. ჩვენს კულტურულ ურთიერთობებში მას, როგორც წესი, საშიში ბოლო აქვს.

დედას კარგად ესმის, რომ ბიჭის აგზნებანი მის საკუთარ პერსონს ეხება. ის ერთხელადაც დაუფიქრდება იმას, რომ სწორი არ იქნება ბიჭის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ფიქრობს სწორად მოიქცევა, თუკი ის მას შესთავაზებს მისივე ორგანოს მანუალური საქმიანობისათვის. აკრძალვას ნაკლები სარგებლობა მოაქვს, ქმნის კი სულ დიდი თვითდაკმაყოფილების მოდიფიკაციას. ბოლოს დედა მიმართავს მკაცრ საშუალებას, ემუქრება, რომ მას წაართმევს ნივთს, რითაც მას წინააღმდეგობებს უწევს. ჩვეულებრივ დედა გადაიტანს მუქარის ასრულებას მამაზე, რათა ის უფრო საშინელი და დამაჯერებელი გახადოს: რომ ის ამას ეტყვის მამას, რომელიც მას ასოს მოაჭრის. ეს მუქარა საკვირველად მხოლოდ მაშინ ზემოქმედებს, როცა სრულდება წინა და შემდგომი პირობა. ბიჭებს თავისთავად ეს ეჩვენებათ ზედმეტად წარმოუდგენლად, რომ ასეთი რამ შესაძლებელია მოხდეს. მაგრამ, როდესაც ამ მუქარის დროს მას შეუძლია მოიგონოს დედაკაცის ასო, ან ამის შემდეგ მოკლე ხნის განმავლობაში ასეთ ასოს შეხედავს, ასოს, რომელიც

მას როგორც ყველაზე უფრო ძვირფასი ნაწილი აკლია, მაშინ ის ფიქრობს მოსმენილის სერიოზულობაზე და განიცდის თავისი ახალგაზრდული ცხოვრების უძლიერეს ტრავმას, როცა კი ვარდება ხოლმე კასტრაციის კომპლექსის ზეგავლენის ქვეშ*.

კასტრაციის მუქარა მრავალფროვანია და თვალუწვდენელი. ის ეხება ბიჭის ყველა დამოკიდებულებას მამასთან და დედასთან, შემდეგში კაცთან და ქალთან საერთოდ. ხშირ შემთხვევაში ბავშვის მამაკაცობა ამ პირველ შენჯღრევას ვერ უმკლავდება. საკუთარი სასქესო ასოს გადარჩენისათვის ის მეტი თუ ნაკლები სრულყოფილებით უარს ამბობს დედის ფლობაზე. ხშირად მისი სქესობრივი ცხოვრება სამუდამოდ რჩება აკრძალვით დაშძიმებული. როდესაც მასთან ძლიერი, როგორც ვამბობთ, – ქალური კომპონენტია, – ეს (კომპონენტი – ვ. კ.) მამაკაცურის შემცირების ხარჯზე ძლიერდება; ის აღმოჩნდება მამის მიმართ პასიურ განწყობაში, რასაც ის დედას მიაწერს. თუმცა მუქარის შედეგად მასტურბაციას წყვეტს, მაგრამ არ წყვეტს მის თანმხლებ წარმოსახვას. აღნიშნულზე, პირიქით, მეტად ხრუნავს, ვიდრე წინათ, ვინაიდან ის ახლა მასთან დარჩენილი ერთადერთი ფორმაა სექსუალური დაკმაყოფილებისა; და ამგვარად, წარმოსახვებში ის თუმცა კვლ კიდევ მამასთანაა, მაგრამ ასევე იმავდროულად და ალბათ უპირატესად დედასთანაა ინდენტიფიცირებული. აღნიშნული ადრეული ონანიზმის ფანტაზიების ყლორტები და გარდაქმნის პროდუქტები ცდილობენ შეალწიონ მის გვიანდელ **შე**-ში და მონაწილეობენ მისი ხასიათის ჩამოყალიბებაში. მისი ქალურობის ასეთი მოთხოვნისაგან დამოუკიდებლად შიში მამის წინაშე და სიძულვილი მის მიმართ ძლიერდება. ბიჭის

* არც ოიდიპოსის თქმულებაშია გამოტოვებული კასტრაცია, რადგანაც დარჩავება, რითაც ოიდიპოსი საკუთარ თავს სჯის თავისი დანაშაულის გამჟღავნებით, საზმრების მოწმობით, კასტრაციის სიმბოლური შენაცვლებაა. რომ მუქარის განსაკუთრებული საშიშროების თანამონაწილეა ფილოგენეტური მოგონებას კვალი პრეისტორიული ოჯახის ღრმა წარხულიდან, ვინაიდან გამორიცხული არაა ეჭვიანი მამა ნამდვილად აჭრიდა ასოს ვაჟიშვილს, როცა კი ის მისთვის მომაბეზრებელი სდებოდა როგორც მეტოქე. უძველესი ჩვეულება ზომიერებისა, კასტრაციის სხვა სიმბოლური შეშნაცვლებელი, უნდა გავიგოთ როგორც მაძის ნების ქვეშ დამონების გამოხატვა. (იხ. პრიმატივების პუბერტეტის რიტუალები). თუ როგორ ფორმირდება ხუმოალწერილი მიმდინარეობა ხალხებთან და კულტურებში, რომლებიც ბავშვის მასტურბაციას არ თრგუნავს, ჯერ კიდეც არაა გამოკვლეული.

მამაკაცურობისაგან უკან დახევა თითქოსდა ჩანს მამისადმი დაუმორჩილებლობაში, რომელიც მისი ადამიანური საზოგადოების მოვიანო ქცევაში იძულებით შეიძინება. დედასთან ეროტული ფიქსირების ნარჩენი ხშირად განაპირობებს მასზე ძლიერ მიჯაჭვულობას, რომელიც მოგვიანებით გრძელდება, როგორც თვინიერი დამოკიდებულება ქალის მიმართ. ის მეტად ველარ ბედავს დედის სიყვარულს, მაგრამ მას არ შეუძლია რისკის გაწევა, დედას ის არ უყვარდეს, ვინაიდან ის საფრთხეშია, დედამ არ გასცეს მამის წინაშე და კასტრაცია არ დაიმსახუროს. მთლიანი განცდა ყველა მისი წინაპირობითა და შედეგებით, რომელთაგანაც ჩვენ მხოლოდ ნაწილი შევარჩიეთ, უკიდურესად ენერგიულად განიდევნება და, როგორც ამას არაცნობიერი იგი–ს კანონები უშვებს, ყველა ერთმანეთთან დაპირისპირებული გრძნობათა აგზნებები და რეაქციები, რომლებიც მაშინ აქტივირდებიან, არაცნობიერში რჩებიან და მზად არიან პუბერტეტის შემდგომი მე–ს განვითარება დაარღვიონ. როცა სომატური პროცესი სექსუალური მოძრაობებისა ძველ, ფაქტიურად დაძლეულ, ლიბიდოს ფიქსაციებს ახლებურად აცოცხლებს, სექსუალური ცხოვრება შეკავებული აღმოჩნდება, არაერთიან, ერთმანეთთან დაპირისპირებულ მისწრაფებებად იშლება.

რა თქმა უნდა, კასტრაციის სამიშროების გაძლიერებას ბიჭის ჩანასახოვან სექსუალურ ცხოვრებაში მუდამ თან არ სდევს ეს სამიში შედეგები. ის ისევ დამოკიდებულია რაოდენობრივ მიმართებებზე, თუ რა ზიანი მიეყენება მას და რამდენადაა მისგან დაცული ყოველი შემთხვევა, რაშიაც მოსჩანს ბავშვობის წლების ძირითადი განცდა – უდიდესი პრობლემაა ადრეული ასაკისა და უძლიერესი წყარო გვიანდელი უკმარობისა – ისე საფუძვლიანად ეძლევა დავიწყებას, რომ ანალიზურ მუშაობაში მათი რეკონსტრუქცია აწყდება ხოლმე შეურიგებელ ეჭვს ზრდადასრულებულის მხრიდან. დიახაც, გადახრა ისე შორს მიდის, რომ ყოველი მოხსენიება აკრძალული საგნისა დუმილს იწვევს და იშვიათ გონებრივ დაბრმავებაში მასზე უახლოეს მოგონებებს ვერ გამჩნევთ. შეიძლება შეგვედაოს, რომ ოიდიპოს მეფის შესახებ თქმულებას არაფერი ესაქმება ანალიზის კონსტრუქციასთან, ეს სრულიად სხვა შემთხვევაა, ვინაიდან ოიდიპოსმა არ იცის, რომ ის, ვინც მან მოკლა, მამამისია,

ხოლო დედამისია, ვინც ცოლად შეირთო. ამასთან ვერ ამჩნევენ, რომ ასეთი დამახინჯება დაუშვებელია, თუ პოეტური გაფორმება მასალისა გაანალიზდება და რომ ის არაფერ უცხოს არ შეიცავს, არამედ თემაში მოცემულ მომენტებს მარჯვედ იყენებს. ოიდიპოსის უცოდინარობაზე არაცნობიერის მართებული გადმოცემაა, რომელშიაც ჩაძირული. მოწიფულთა მთელი განცდა და ორაკულის ბედისწერის დაწოლა, რომელიც გმირს აქცევს უდანაშაულოდ ან ასეთად უნდა აქციოს ის, ბედის გარდუვალობის აღიარებაა, რომ ყველა ვაჟიშვილს მისჯილი აქვს ოიდიპოსის კომპლექსის გადატანა. სხვა შემთხვევაში ფსიქოანალიზის მხრიდან ყურადღება მიექცა იმას, თუ რა აღვილად წყდება პოეზიის სხვა გმირის გამოცანა, შექსპირის მიერ ასახული მერყეკი ჰამლეტისა ოიდიპოსის კომპლექსზე მითითებით, ვინაიდან პრინცი სხვისი დასჯის ამოცანის წინაშე მარცხდება, რაც იმალება საკუთარი ოიდიპოსის სურვილის შინაარსით; ლიტერატურული სამყაროს საერთო უცოდინარობა აჩვენებს, თუ როგორ იყო მზად ადამიანთა მასები, თავიანთი ინფანტილური განდევნები შეენარჩუნებინათ*.

ფსიქოანალიზის გამოჩენამდე საუკუნეზე მეტი ხნით ადრე ფრანგმა დიდრომ დაადასტურა ოიდიპოსის კომპლექსის მნიშვნელობა, როცა მან უძველეს დროსა და კულტურას შორის განსხვავება გამოთქვა წინადადებაში: "თავის თავის ანაბრად მიტოვებულია პატარა, ველური ადამიანი, რომელმაც შეინარჩუნა მთელი თავისი სისულელე და თავის თავში გააერთიანა ჩვილი ბავშვის გონება და ოცდაათი წლის ადამიანის მძაფრი გატაცებები, კისერს მოუგრეხს მამამისს და დაწვება დედასთან; მე გბედავ ვთქვა, ფსიქოანალიზს რომ არავითარი სხვა მიღწევა არ განადიდებდეს, ვიდრე განდევნილი ოიდიპოსის კომპლექსის აღმოჩენა, მხოლოდ აღნიშნული მიანიჭებდა მას პრეტენზიას ჩამდგარიყო კაცობრიობის ახალ შენაძენთა რიგში.

კასტრაციის კომპლექსის ზემოქმედება პატარა გოგონებთან უფრო ერთგვაროვანია, მაგრამ მაინც არანაკლებ ღრმა. გოგონას,

* უილიამ შექსპირის სახელი მეტად საგარაუდოა, რომ ფსევდონიმია, რომლის უკანაც იმალება დიდი უცნობი, ადამიანი, რომელზედაც ფიქრობენ, რომ იგი ავტორია შექსპირის პოეტური შემოქმედებისა Edvard de Vere of Oxford; მან ჯერ კიდევ ბავშვობისას დაჰკარგა საყვარელი და მოძიბვლელი მამა და დედამაც დატოვა, მეუღლის გარდაცვალებიდან სულ მალე გათხოვდა.

ბუნებრივია, არ ეშინია, რომ პენისს დიჰკარგავს. მან იმაზე უნდა მოახდინოს რეაგირება, რომ მას ის არ გააჩნია. თავიდანვე მას შურს ბიჭებისა, რომ მათ პენისი აქვთ. შეიძლება ითქვას გოგონას მთელი განვითარება ხორციელდება პენისზე შურის ნიშნით. უპირველეს ყოვლისა გოგონა მიმართავს ამაო ცდას მიბაძოს ბიჭს, ხოლო – მოგვიანებით, წარმატებულ ცდას აანაზღაუროს თავისი დეფექტი, რასაც შეუძლია ის მიიყვანოს საბოლოოდ ნორმალურ ქალურ განწყობასთან. თუკი გოგონა ფალურ ფაზაში შეეცდება ბიჭის მსგავსად სასქესო ასოს ხელით გაღიზიანებით სიამოვნების მიღებას, ხშირად იგი ვერ კმაყოფილდება და პენისისადმი უკმარისობის განაჩენი ვრცელდება მთელ მის პერსონაზე. როგორც წესი, მალე შეწყდება მასტურბაცია, ვინაიდან მას ძძის ან ბავშვობის მეგობრის უპირატესობაზე მოგონება აღარ უნდა და საერთოდ ზურგს აქცევს სექსუალობას.

როცა პატარა ქალი თავის პირველ სურვილზე მტკიცედ დგას – ბიჭი გახდეს, მაშინ ის ექსტრემალურ შემთხვევაში ხდება გამოვლენილი ჰომოსექსუალი, სხვანაირად, მის გვიანდელ ცხოვრებაში ვლინდება გამოკვეთილი მამაკაცური თვისებები, მამაკაცური სპეციალობის არჩევა და მისთანები. სხვა გზას მიეყვართ საყვარელი დედისაგან მოშორებისაგან, რომელსაც ქალიშვილი, პენისზე შურის გავლენის ქვეშ მყოფი არ პატიობს, რომ მან ის ასე ნაკლული გააჩინა ამ ქვეყანაზე. ის ზიზღით შეპყრობილი ტოვებს დედას და მას ცვლის სხვა პერსონით, მამით, ვითარცა სიყვარულის ობიექტით. როცა იკარგება სიყვარულის ობიექტი, მაშინ უახლოესი რეაქცია ისაა, რომ ხდება სიყვარულის ობიექტთან გაიგივება და ის თითქოს იდენტიფიკაციით შიგნიდან შეენაცვლება მას. აღნიშნული მექანიზმი ეხმარება პატარა გოგოს. დედასთან გაიგივებას შეუძლია შეცვალოს დედასთან კავშირი. ქალიშვილი საკუთარ თავს სვამს დედის ადგილზე, როგორც ამას მუდამ აკეთებდა თამაშის დროს. მას უნდა დედა შეცვალოს მამით და შეიძულებს მანამდე საყვარელ დედას ორნაირი მოტივებით: როგორც ეჭვით, ისე უმოქმედო პენისით. განაწყენებულ გოგონას, მის ახალ დამოკიდებულებას მამასთან შინაარსად აქვს სურვილი – ჰქონდეს მისი პენისი, რომელიც აპოგეას აღწევს სხვა სურვილში – მისგან შეეძინოს ბავშვი. ბავშვის

ყოლის სურვილი დაისმის პენისის სურვილის ადგილზე, ანდა, ყოველ შემთხვევაში, მისგან გამოიყოფა.

საინტერესოა, რომ ქალის შემთხვევაში დამოკიდებულება ოიდიპოსისა და კასტრაციის კომპლექსებს შორის სულ სხვანაირია, საკუთრივ საპირისპიროდაა ჩამოყალიბებული, ვიდრე მამაკაცთან. უკანასკნელთან, როგორც გვსმენია, კასტრაციის მუქარა ბოლოს უღებს ოიდიპოსის კომპლექსს, ხოლო ქალთან, საპირისპიროდ, პენისის ნაკლოვანების ზემოქმედებით ის ოიდიპოსის კომპლექსში გადადის. ქალისთვის ის ნაკლებ საზიანოა, თუკი ის მის ქალურ ოიდიპოსის განწყობაში (მისთვის შემოგვთავაზებს წინადადება – მას ეწოდოს "ელექტროკომპლექსი") რჩება. შემდეგ ის ძეუღლედ ირჩევს მამის თვისებების მქონე არსებას და მზადაა მისი ავტორიტეტი აღიაროს. მისი დაუმცხრალი სურვილი პენისის ფლობისა შეიძლება დაკმაყოფილდეს მაშინ, როცა ის მოახერხებს ორგანოსადმი სიყვარულის შევსებას მისი მატარებელის სიყვარულით, როგორც ეს თავის დროზე მოხდა დედის მკერდიდან დედის პერსონაზე გადასვლით.

თუკი ამოვალთ ანალიტიკოსის გამოცდილებიდან, რომელი ფსიქიკური ფორმაცია აღმოჩნდა პაციენტთან ყველაზე ნაკლებად შემოქმედი, პასუხი ასეთი იქნება: ქალთან ესაა პენისის სურვილი, მამაკაცთან – საკუთარი სქესისადმი ქალური განწყობა, რომლის წინააღმდეგარია პენისის დაკარგვა.

მესამე ნაწილი
თეორიული მონაპოვარი

მერვე თავი
ფსიქიკური აპარატი და გარეშეზემოქმედება

ბუნებრივია, პირველ თავში მოტანილი ყველა ზოგადი შეხედულება და დაშვება მოპოვებულია ძნელ და მოთმინებითი სპეციალური კვლევა-ძიებით, რომლის შესახებაც მაგალითი მოვიყვანეთ წინამდებარე განყოფილებაში. შეიძლება შეგვიტყუოს გადაზედვამ, ასეთი მუშაობით ჩვენი ცოდნა როგორ გამდიდრდა და რა გზები გაიხსნა შემდგომი წინსვლისათვის. თავს უფლება მივეცით საჭიროების შემთხვევაში გავსულიყავით ფსიქოლოგიური მეცნიერების საზღვრებს მიღმა. ჩვენ მიერ გამოკვლეული ფენომენები მარტო ფსიქოლოგიას არ ეკუთვნის, ასევე მათ აქვთ ორგანულ-ბიოლოგიური მხარე და ამისდა შესატყვისად ჩვენს ძალისხმევაში ფსიქოანალიზის აგებისათვის ასევე მრავალი მნიშვნელოვანი ბიოლოგიური მონაპოვარი მიგვიღეთ და ახალი ბიოლოგიური დაშვებებიც არ უარგვიყვია.

უპირველეს ყოვლისა, რაც ფსიქოლოგიას შეეხება: ვაღიარეთ, რომ ფსიქიკური ნორმის შემოსაზღვრა არანორმისაგან მეცნიერულად განუხორციელებელია. ასე რომ, მიუხედავად პრაქტიკული მნიშვნელობისა, აღნიშნული განსხვავება მხოლოდ კონვენციონალური ღირებულებისაა. ამით ჩვენ დავასაბუთეთ უფლება, რომ ნორმალური სულიერი ცხოვრება გავიგოთ მისივე აშლილობით, რაც არ იქნებოდა ნებადართული, თუკი ამ ავადმყოფურ მდგომარეობებს – ნევროზებსა და ფსიქოზებს – ექნებოდათ სპეციფიკური, უცხო სხეულების დარი ზემოქმედი მიზეზები.

წარმავალი, უბრალო, საჭირო ფუნქციის სულიერი აშლილობის შესწავლამ ძილის დროს მოგვცა გასაღები პერმანენტული და სიცოცხლისათვის მავნე სულიერ დაავადებათა გაგებისათვის. ვბე-

დავ ვამტკიცო, რომ ცნობიერების ფსიქოლოგია ნორმალური სულიერი ფუნქციის გაგებისათვის უფრო ხელსაყრელი არაა, ვიდრე სიზმრის გაგებისათვის. მხოლოდ მის განკარგულებაში მყოფი ცნობიერი თვითაღქმის მონაცემები ყველგან უკმარისი აღმოჩნდა, რათა სულიერი პროცესების სისავსე გადახლართულობა განგვეჭვრიტა, მისი კავშირები აღმოგვეჩინა და ამგვარად მათი აშლილობის პირობები შეგვემეცნებინა.

ჩვენი დაშვება სიურცეში განფენილი, მიზანშეწონილად შედგენილი, სიცოცხლის მოთხოვნილებით განვითარებული ფსიქიკური აპარატი, რომელიც მხოლოდ განსაზღვრულ ადგილზე გარკვეულ პირობებში ცნობიერების ფენომენებს აღმოაცენებს, ჩვენ იმ მდგომარეობაში გვაყენებს, რომ ფსიქოლოგია ავაგოთ ყოველი სხვა ბუნებისმეტყველების მსგავს საფუძველზე, მაგალ., როგორიცაა ფიზიკა, აქაც და იქაც ამოცანა იხსა, რომ ჩვენი აღქმისათვის პირდაპირ მოცემული კვლევის ობიექტის თვისებებს (რომელობებს) უკან სხვა აღმოვაჩინოთ, რაც ჩვენი გრძნობის ორგანოთა განსაკუთრებული მიმღებლობისაგან დამოუკიდებლად ნავარაუდებ საქმის ვითარებას უკეთ უახლოვდება. თვითონ მას, ვიმეღოვნებთ, ვერ მივაღწევთ, რადგანაც ვხედავთ, ყველაფერი, რაც კი ახლებურად დავასკვნით, მაინც იხევ ჩვენი აღქმის ენაზე უნდა ვთარგმნოთ, რომლისგანაც განთავისუფლება არ შეგვიძლია. ესაა სწორედ ბუნება და შეზღუდულობა ჩვენი მეცნიერებისა. ესაა ის, რასაც ასე ვიტყოდით ფიზიკაში: "რომ შეგვძლებოდა ნათლად დანახვა, დავადასტურებდით, რომ მოჩვენებითად მყარი სხეულები გარკვეული ფორმის, სიდიდისა და საპირისპირო განლაგების ნაწილებისაგან შედგებიან". ამასთან ვცდილობთ ჩვენი შეგრძნების ორგანოთა მიღწევის უნარიანობა ხელოვნური დამხმარე საშუალებებით უკიდურესად ავამაღლოთ. მაგრამ უნდა ვეღოდოთ, რომ ყველა ასეთი ძალისხმევა საბოლოო შედეგში არაფერს ცვლის, რეალური მუდამ "შეუმეცნებელი" რჩება. მონაპოვარი, რასაც ავლენს მეცნიერული მუშაობა ჩვენს პირველად გრძნობად აღქმებთან, არის გარესამყაროში არსებული კავშირებისა და დამოკიდებულების წვდომა, რომლებიც ჩვენი აზროვნების შინასამყაროში როგორღაც საიმედოდ რეპროდუცირდება ან აისახება; მათი ცოდნა ჩვენ ხელს გვიწყობს, რაღაც

"გავიგოთ" გარესამყაროში, გავითვალისწინოთ და შეძლებისდაგვარად შევცვალოთ იგი. სავსებით მსგავსად ვიქცევით ფსიქოანალიზში. მოვნახეთ ტექნიკური საშუალებები, რათა ამოგვეცნო ჩვენი ცნობიერების ფენომენების ბარვეზები და მათ მოვიხმართ ისე, როგორც ფიზიკოსი ექსპერიმენტს. ამ გზით ვასკვნით პროცესებზე, რომლებიც თავისთავად "შეუმეცნებელია", ვრთავთ მათ ჩვენთვის ცნობიერში და როცა, მაგალ., ვამბობთ, რომ აქ არაცნობიერი მოგონება ჩაერია საქმეშიო, ეს სწორედ რომ ნიშნავს: აქ ჩვენთვის რაღაც სრულიად მიუწვდომელი მოხდა, რაც ცნობიერებაში რომ შემოსულიყო, შეგვეძლო აგვეწერა ასე და ამგვარად.

რა უფლებითა და სარწმუნოობის ხარისხით ვიღებთ ასეთ სცენებსა და ინტერპრეტაციებს, ეს, ბუნებრივია, ცალკეულ შემთხვევაში ექვემდებარება კრიტიკას და ვერ უარვყოფთ, რომ გადაწყვეტას ხშირად სიძნელეები ახლავს, რომელსაც ანალიტიკოსები არ ეთანხმებიან ზოგ შემთხვევაში. ამისათვის პასუხისმგებელია ამოცანის სიახლე, მაშასადამე, კვალიფიკაციის რასრულყოფილება, მაგრამ ასევე – საგანთან დაკავშირებული განსაკუთრებული მომენტი, ვინაიდან ფსიქოლოგიაში არა ყოველთვის, როგორც ეს ფიზიკაშია, ისეთ საგანზეა მსჯელობა, რომელსაც შეეძლოს მხოლოდ ცივი მეცნიერული ინტერესების გაღვიძება. დიდად არ უნდა გავიკვირდეს, როცა ანალიტიკოსი ქალი, რომელიც საკმაოდ არაა დარწმუნებული საკუთარი პენისისადმი სურვილის სიძლიერეში, ამ მომენტს ასევე მის პაციენტებთან შესატყვისად არ აფასებდეს. მაგრამ პიროვნული გაწონასწორებიდან ასეთი შეცდომები საბოლოოდ ბევრს არაფერს ნიშნავს. თუკი წავიკითხავთ ძველ სახელმძღვანელოს მიკროსკოპის შესახებ, გაგიკვირდება, რა განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებდენ ამ ინსტრუმენტზე დამკვირვებლის პიროვნებას, რაც მაშინ ჯერ კიდევ ახალი ტექნიკა იყო, დღეს კი ყველაფერ ამაზე ლაპარაკი აღარაა.

ამოცანად არ ვისახავთ, აქ მოვხაზოთ ფსიქიკური აპარატისა და მისი ნაქმობების სრულყოფილი სურათი, ვითარება ხელს გვიშლის. ფსიქოანალიზს დრო არ დადგომია, ყველა ფუნქცია ერთნაირად შეისწავლოს. ამიტომ ვკმაყოფილდებით შესავალ განყოფილებაში მითითებულის დაწვრილებითი განმეორებით. მაშასადამე, ჩვენი არსების გულს ქმნის ბნელი **ოგი**, რომელიც გარექვეყნიერებასთან პირდაპირ არ აშყარებს ურთიერთობას და ასევე, რამდენადაც ვიცით, მხოლოდ სხვა ინსტანციის გაშუალებით არის მისაწვდომი. **ოგი**-ში მოქმედებენ ორგანული ლტოლვები, რომლებიც თვითონ შედგენილი არიან ცვალებადი ზომით ორი საწყისი ძალის შერევით (ეროსი და დესტრუქცია) და მათ ორგანოებთან და ორგანოთა სისტემებთან მიმართების მეშვეობით ერთმანეთისაგან დიფერენცირდებიან. ამ ლტოლვათა ერთადერთი მისწრაფება დაკმაყოფილებაა, რომელიც მოსალოდნელია განხორციელდეს ორგანოებში განსაზღვრული ცვლილებების შედეგად გარესამყაროს ობიექტების დახმარებით. მაგრამ ლტოლვათა დაუყოვნებელ და უცერემონიო დაკმაყოფილებას, როგორადაც ამას მოითხოვს **ოგი**, ხშირად მიეყაყარო გარესამყაროსთან საშიშ კონფლიქტებამდე და დალუპვამდეც კი. **ოგი** არ იცნობს ზრუნვას შემდგომი არსებობის უზრუნველყოფისათვის, არ იცნობს შიშს, ან, უკეთ რომ ვთქვათ თუმცა მას შეუძლია შიშის შეგრძნების ელემენტების განვითარება, მაგრამ არა მათი გამოყენება. პროცესები, რომლებიც შესაძლებელია იყონ **ოგი**-ში სუპონირებულ ფსიქიკურ ელემენტებთან და მათ შორის (პირველადი პროცესი), დიდად განსხვავდებიან იმათგან, რომლებიც ცნობილია ჩვენს ინტელექტუალურ და გრძნობის ცხოვრებაში ცნობიერი აღქმის გზით, ასევე მათთვის არ მნიშვნელობს ლოგიკის კრიტიკული შეზღუდვა, რომელიც ამ პროცესების ერთ ნაწილს, როგორც მიუღებელს უარყოფს და აუქმებს.

გარექვეყნიდან მოკვეთილ **ოგი**-ს საკუთარი აღქმის სამყარო აქვს. ის განსაკუთრებული სიმძაფრით გრძნობს გარკვეულ ცვლილებებს თავის შინაგანობაში, განსაკუთრებით – თავისი ლტოლვების მოთხოვნილების დაძაბულობის რხევებს, რომლებიც სიამოვნება–უსიამოვნების რიგის შეგრძნებათა სახით ცნობიერდებიან. რა თქმა უნდა, ძნელია მიეთითოს რა გზითა და რომელი სენსიბილური ორგანოების დახმარებით ხდება აღნიშნული აღქმა. მაგრამ დადგენილია, რომ თვითაღქმები – ზოგადი გრძნობები და სიამოვნება–უსიამოვნების შეგრძნებები – დესპოტური ძალით ბატონობს. **ოგი** ემორჩილება უდრეკი სიამოვნების პრინციპს, მაგრამ არა მარტო **ოგი**. ჩანს, რომ ასევე სხვა ფსიქიკური ინსტანციების – საქმიანობა

სიამოვნების პრინციპს მხოლოდ ცვლის, მაგრამ ვერ სპობს. ეს რაულად დიდი მნიშვნელობისაა დღესდღეობით ჯერ კიდევ გაუცე მელი პასუხი კითხვაზე – როდის და როგორაა შესაძლებელი საერთოდ სიამოვნების პრინციპის გადალახვა. მოსაზრებას, რომ სიამოვნების პრინციპი მოითხოვს მოთხოვნილებათა დაძაბულობის დაქვეითებას, არსებითად ალბათ მოსპობას (**ნირვანა**), მივყავართ სიამოვნების პრინციპის ორი საწყისი ძალის – ეროსისა და სიკვდილის ლტოლვის – ჯერ კიდევ შეუფასებელ მიმართებასთან.

მეორე ფსიქიკური ინსტანცია, რომელსაც ყველაზე უკეთ კონობთ და რომელშიც ჩვენ თვითონ საკუთარ თავს ვიმეცნებთ ყველაზე ადრეულ წ. **მე**, განვითარებულია **ეს**-ს ქერქის ფენიდან, რომელიც გაძლიზიანებლის მიღებისა და გამღიზიანებლის შენარჩუნების მექანიზმით პირდაპირ კონტაქტშია გარე სამყაროსთან (**რეალობა**) ფაქტი, რომელიც, ცნობიერი აღქმების მხრიდან უფრო მეტსა და მეტ სფეროებს და ეს-ის ღრმა ფენებს უქვემდებარებს თავის გავლენას, ამყარებს სწორედ გარეჭვეყანასთან დამოკიდებულებაში თავისი წარმომავლობის წარუშლელ დაღს (როგორიცაა, მაგალ., made in Germany). მისი ფსიქოლოგიური ნაქმობა იმაში მდგომარეობს, რომ მას **ეს**-ში მიმდინარე პროცესები მაღალ დინამიკურ დონეზე აჰყავს (მაგალ., თავისუფლად მოძრავ ენერგიას აქცევს და კავშირებად, როგორც ეს შეესატყვისება წინაცნობიერ მდგომარეობას). მისი კონსტრუქციული ნაქმობა იმაშია, რომ ლტოლვის მოთხოვნასა და დაკმაყოფილების მოქმედებას შორის რთავს აზროვნებას, რომელიც აწმყოში ორიენტაციის მიხედვით და ადრეული გამოცდილების გამოყენების გზით ცდილობს მიაგნოს განზრახული საქმის შედეგს.

ამ გზით მე წყვეტს, განხორციელდეს თუ გადაწიოს დაკმაყოფილების ცდა, ანდა ლტოლვის მოთხოვნა, როგორც საშიში, ხომ არ უნდა დათრგუნოს (**რეალობის პრინციპი**). როგორც იგი განსაკუთრებით ისწრაფვის სიამოვნების მიღებისაკენ, ისე **მე** ანგარიშს უწევს საიმედობას. **მე** ამოცანად ისახავს თვითშენახვას, რომელსაც იგი უგულებელყოფს. იგი სარგებლობს შიშის შეგრძნებებით როგორც სიგნალით, რომელიც აჩვენებს მისი ინტეგრირებისათვის მუქარის მქონე საშიშროებას. რადგან მოგონების კვლები ისევე

შეიძლება გახდეს ცნობიერი, როგორც აღქმები, განსაკუთრებით ასოციაციის გზით ენის ნალექებთან, ამის გამო აქ ვლინდება აღრევის შესაძლებლობა, რომელიც მიგვიყვანდა რეალობის უარყოფამდე. აღნიშნულისაგან **მე** თავს იცავს **რეალობის გამოცდის** მექანიზმით, რასაც შეუძლია სიზმარში განვითარდეს ძილის მდგომარეობის პირობების მიხედვით. საშიშროებები ემუქრებიან **მე**-ს, რომელსაც უნდა მძლავრი მექანიკური ძალების გარშემო დამკვიდრება, – პირველ რიგში გარერეალობის მხრიდან, მაგრამ არა მხოლოდ მისგან. საკუთარი იგი წყაროა მსგავსი საშიშროებისა, სახელდობრ, ორი განსხვავებული მოტივით: ჯერ ერთი, ლტოლვის ზეძლიერ ძალებს შეუძლიათ ისევე მიაყენონ ზიანი **მე**-ს, როგორადაც გარესამყაროს ზეძლიერმა "გამღიზიანებლებმა". თუმცა მათ არ შეუძლათ მისი მოსპობა, მაგრამ შეუძლიათ მისი საკუთარი დინამიკური ორგანიზაციის დაშლა ისე, რომ, **მე** კვლავ იქცევა **ეს**-ს ნაწილად. მეორეც, გამოცდილება ასწავლის **მე**-ს, რომ მოუთმენელ ლტოლვის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას თან სდევს საშიშროება გარესამყაროში, ასე რომ, ამგვარი ხახის ლტოლვის პრეტენზია თვითონვე იქცევა საშიშროებად. მაშასადამე, **მე** იბრძვის ორ ფრონტზე. ის იცავს თავის არსებობას როგორც გარესამყაროს მხრიდან. ის იყენებს დაცვის ერთნაირ მეთოდს ორივეს წინააღმდეგ, მაგრამ შინაგანი მტრისაგან დაცვა განსაკუთრებით არასაკმარისია. საწყისი იდენტობისა და მოგვიანებით უშინაგანესი თანაცხოვრების შედეგად ის ძნელად აღწევს თავს შინაგანი საშიშროებისაგან. ესენი რჩებიან მუქარის ხახით მაშინაც კი, როდესაც დროებით სუსტდება მუქარები.

გავიგეთ, რომ სუსტი და ჩამოუყალიბებელი **მე** ბავშვობის პირველ პერიოდში ხანგრძლივად ზიანდება მასში არსებული იმ დაძაბულობებით, რომლებიც მას ეძლევა, რათა თავი დაიცვას ცხოვრების იმ დროისათვის დამახასიათებელი საშიშროებისაგან, იმათგან, გარესამყაროდან რომ გვემუქრება, რომელთაგანაც ბავშვს იცავს მშობელთა ზრუნვა. ამ თავდაცვას ის გამოისყიდის **სიყვარულის დაკარგვის** შიშით, რომელსაც მას გაუმზადებდა გარესამყაროს საშიშროება. ეს მომენტი გადამწყვეტ გავლენას ახდენს კონფლიქტის წყაროზე, როცა კი ბიჭი ოიდიპოსის კონფლიქტის სიტუაცი-

აში ვარდება. კასტრაციით განმტკიცდება უხსოვარ დროიდან გამ ლიერებული საშიშროება მისი ნარცისმისა. ორივე ზეგავლენის ერთდროული მოქმედებით – აქტუალური რეალური საშიშროება და მოგონებული, ფილოგენეტურად დაფუძნებული საშიშროება – და მორჩილებული ბავშვი მიმართავს თავის დაცვის მცდელობას – გა დეცნებს, რომლებიც მოცემული მომენტისათვის მიზანშეწონილია, მაგრამ მაინც ფსიქოლოგიურად არასაკმარისია იმღენად, რამდენა დაც სექსუალური ცხოვრების გვიანი კვლავ გამოცოცხლება წინა დელ უარყოფილ ლტოლვის მოთხოვნებს აძლიერებს. მაშინ ბი ოლოგიურმა განხილვამ უნდა აგვიხსნას, რომ მე მარცხს განიცდის ამოცანის მიმართ დაძლიოს ადრეული დროის სექსუალური აგზნე ბები, როცა ლიბიდოს განვითარების საპირისპიროდ ის აშისათვის მომწიფებულია. მე-ს განვითარების ამ ჩამორჩენაში ვიგებთ ნევრო ზის არსებით პირობას და ლოგიკური ვიქნებით, თუკი ვიტყვით, რომ ნევროზს თავიდან ავიშორებთ, თუკი ბავშვურ მე-ს ამ ამოცა ნას ჩამოვაშორებთ, მაშ, ბავშვის სექსუალურ ცხოვრებას თავისუ ფალი დაკმაყოფილების საშუალებას მივცემთ, როგორც ესაა ბევრ პრიმიტივთან. შესაძლებელია, ნევროზული დაავადების ეტიოლოგია უფრო რთული იყოს, ვიდრე აქაა გადმოცემული. მაშინ ჩვენ, ყველა შემთხვევაში, ეტიოლოგიური კვანძის არსებითი ნაწილი გაგვითა ლისწინებია. არ უნდა დაგვავიწყდეს არც ფილოგენეტური ზეგავლე ნა, რომელიც ოგი-ში რაღაცნაირადაა შემოსეული, ჩვენთვის უკ კიდევ მიუწვდომელი ფორმებით და, უეჭველია, ადრეულ დროში მე-ზე მოქმედებს უფრო ძლიერად, ვიდრე მოგვიანებით. სხვა მხრივ ვფიქრობთ, ბუნდოვნად გვესახება თვალსაზრისი, რომ ასე ადრეუ ლად გამოცდილი სექსუალური ლტოლვის შეზღუდულობა, ასე გაბედული დგომა ახალგაზრდა მე-სი გარესამყაროს მზარეზე სავა რისპიროდ შინასამყაროსი, როგორც ეს ჩნდება ბავშვობის დროს სექსუალობის აკრძალვით, არ შეიძლება დარჩეს უშედეგოდ იმი ვიდის მოგვიანო კულტურის მზაობისათვის. პირდაპირი დაკმაყოფი ლებისაგან განდევნილი ლტოლვის მოთხოვნილებანი საჭიროებენ ახალი გზების გაკვალვას, რომელსაც მივყავართ შენაცვლებით და მაყოფილებამდე და შეუძლიათ ამ არაპირდაპირ გზაზე გახდნენ დესექსუალურნი, სუსტდება რა მათი საწყის ლტოლვით მიზნებთან

კავშირი. ამით წინასწარ ვამტკიცებთ, რომ მრავალი დიდი და შეფასებული კულტურის სფერო მიღებულია სექსუალობის ფასად, სექსუალური ლტოლვითი ძალების შეზღუდვით.

თუკი აქამდე მუდამ ისევ ხაზი უნდა გაგვესვა, რომ მე თავის აღმოცენებას ისევ როგორც მნიშვნელოვან მის შენაძენ ხასიათს გარესამყაროსთან დამოკიდებულებას უმადლის, ახლა მზად ვართ დავუშვათ, რომ მე-ს ავადმყოფური მდგომარეობანი, რომლებშიაც მე ხშირად ოგი-ს უახლოვდება, დაფუძნებულია აღნიშნულ გარე სამყაროსთან დამოკიდებულების მოხსნით თუ დასუსტებით. ამას კარგად ეთანხმება ის, რასაც გვასწავლის კლინიკური გამოცდილე ბა. საბაბი ფსიქოზის ამოხეთქვისა ისაა, რომ ან სინამდვილე იქცე ვა აუტანლად მტკივნეულად, ან ლტოლვები განსაკუთრებულად ძლიერდებიან მას შემდეგ, რაც ოგი-სა და გარესამყაროს მოწინააღ მდეგე მოთხოვნები მე-სთან მსგავს ზემოქმედებას აღწევენ. ფსიქო ზის პრობლემა იქნებოდა მარტივი და ნათელი, თუ რეალობიდან მე-ს გამოყოფა უნაშთოდ გატარდებოდა. მაგრამ ეს მხოლოდ იშვი ათად ხდება, ალბათ არასოდეს. თვითონ მდგომარეობათა შესახებ, რომლებიც გარესამყაროს სინამდვილიდან ისე არიან დაშორებულ ნი, როგორც ჰალუცინატორული დახლართულობანი (Amentia), ვი გებთ ავადმყოფობის შეტყობინების გზით მათი გამოჯანმრთელების შემდეგ, რომ იმ დროს მათი სულის კუნჭულში, როგორადაც იხსნი ამბობენ, ნორმალური პერსონია ჩამალული, რომელიც ავადმყოფო ბის მოჩვენებას, როგორც არამონაწილე დამკვირებელი, თავისთა ვად არაფრად არ ჩაითვლის. არ ვიცი, გვაქვს თუ არა უფლება დავუშვათ, რომ ის ასეა საერთოდ, მაგრამ შეიძლება ივივე მოგახ სენოთ სხვა ნაკლებად შეტევითად მიმდინარე ფსიქოზების შესახებ. მაგონდება ქრონიკული პარანოიას ერთი შემთხვევა, როცა ავად მყოფი ყოველი ეჭვიანობის შეტევის შემდეგ ანალიტიკოსს აცნობ და სიზმარს ზუსტი, ბოდვისაგან სავსებით თავისუფალი გადმოცე მით. აღმოჩნდა საინტერესო დაპირისპირება – მაშინ, როცა ჩვენ ნევროტიკის სიზმრებიდან ვიგებთ მისი ცხადი ცხოვრებისადმი უცხო ეჭვს, ამ ფსიქოტიკებთან დღის განმავლობაში გაბატონებულ ბოდვას სიზმრით ვიგებთ. ალბათ, უფლება გვეძლევა დავუშვათ ზოგადი მნიშვნელობის დებულება – ყველა ასეთ შემთხვევაში რაც

კი ხდება, ყოველი მათგანი ფსიქიკური გახლეჩაა. იქმნება ორი ფსიქიკური განწყობა ნაცვლად ერთადერთისა: ერთი რეალობას ითვალისწინებს, ნორმალურია, ხოლო მეორე, ლტოლვის გავლენის ქვეშ მყოფი, მე-ს აშორებს რეალობას. ორივე ერთმანეთის გვერდითაა. ამოსავალი დამოკიდებულია მათ შეფარდებით ძალაზე. უსინასკნელი თუ უფრო ძლიერია, ან ძლიერდება, ამით მოცემულია ფსიქოზის პირობა. დამოკიდებულება თუკი შებრუნდება, მაშინ გვექნება ბოდვითი დაავადების მოჩვენებითი განკურნება. სინამდვილეში ის მხოლოდ არაცნობიერში ბრუნდება, როგორადაც ამას ვასკვნით ასევე უამრავი დაკვირვებიდან; ბოდვა დიდი ხნით არსებობდა, სანამ ის მანიფესტურად გარეთ გამოიჭრებოდა.

თვალსაზრისისათვის, რომელიც ყველა ფსიქოზთან მე-ს გახლეჩას უშვებს, შეიძლებოდა ამდენი ყურადღება არ დაგვეთმო, რომ არა ნევროზების მსგავსი სხვა მდგომარეობები, რომლებიც საბოლოოდ მათი შესატყვისნი აღმოჩნდნენ. ამაში მარწმუნებს, უპირველეს ყოვლისა, ფეტიშიზმის შემთხვევები. ეს არანორმალურობა, რომელიც პერვერსიებს* მიეწერება, ცნობილია იმით ფუძნდება, რომ თითქმის ყოველთვის მამაკაცი პაციენტი არ აღიარებს ქალის უპენისობას, რაც მასთვის დიდად არასასურველია როგორც საკუთარი კასტრაციის შესაძლებლობის არგუმენტი. ამიტომ ის უარყოფს საკუთარ გრძნობად აღქმას, რომელმაც ქალის გენიტალიებში აჩვენა პენისის ნაკლოვანება და მამაკაცი იმგვარად დადგა საპირისპირო რწმენაზე. უარყოფილი აღქმა მთლიანად მაინც არ რჩება ზეგავლენის გარეშე. ვინაიდან მას მაინც არ გააჩნია გამბედაობა ამტკიცოს, რომ მან ნამდვილად დაინახა პენისი, ის რაღაც სულ სხვას ავლებს ხელს, სხეულის ნაწილს ან საგანს და მას ანიჭებს პენისის როლს, რომლის შეუმჩნეველობა არ სურს. ხშირად ესაა რაღაც, რაც მაშინ ქალის გენიტალიების ცქერისას ნამდვილად დაინახა ან ისეთი რაღაც, რაც ვარგისია პენისის სიმბოლური შენაცვლებისათვის. არ იქნებოდა კანონიერი ფეტიშის ფორმირებასთან ამ პროცესისათვის გვეწოდებინა მე-ს გახლეჩა. ესაა კომპრომისის წარმოქმნა გადაწევის დახმარებით, რომელიც ჩვენთვის სიზმრიდანაა ცნობილი. მაგრამ ჩვენი დაკვირვებანი უფრო მეტს

* აშლილობანი (რედ. შენიშვნა).

გვიჩვენებენ. ფეტიშის შექმნა მოსდევს განზრახვას – კასტრაციის დარღვევის შესაძლებლობის დასაბუთებას, ასე რომ, შეიძლება კასტრაციის შიშიდან თავის დაღწევა. თუკი ქალს აქვს პენისი სხვა ცოცხალი არსებების მსგავსად, მაშინ საკუთარი პენისის შემდგომი ფლობისათვის არ უნდა ვკანკალებდეთ; ეხვდებით ფეტიშისტებს, რომელთაც განვითარებული აქვთ კასტრაციის შიში, ასევე – არაფეტიშისტებს და მათზეც ამგვარადვე ვიძლევით რეაქციას. მათ ქცევაში გამოხატულია ერთდროულად ორი საპირისპირო წანაძღვარი. ერთი მხრით, ისინი უარყოფენ აღქმის ფაქტს, რომ მათ ქალის გენიტალიაში არ დაუნახავთ პენისი, მეორე მხრით, აღიარებენ ქალის პენისის ნაკლოვანებას და მისგან გამოჰყავთ სწორი დასკვნები. ორივე ეს განწყობა ერთმანეთის გვერდითაა მთელი ცხოვრების მანძილზე და ერთმანეთზე არ ახდენენ საპირისპირო გაკლენას. ესაა ის, რასაც მე-ს გახლეჩა ეწოდება. აღნიშნული საქმის ვითარება ასევე გვაგებინებს, რომ ფეტიშიზმი ხშირად მხოლოდ დამატებით ვითარდება. ფეტიშიზმი ბატონობს არა განსაკუთრებით ობიექტის არჩევაზე, არამედ აღგზნებას ტოვებს მეტად თუ ნაკლებად დიდი მოცულობით ნორმალური სექსუალური ქცევისათვის. არც ის გადაიწევს ზოგჯერ მოკრძალებულ როლზე ანდა უბრალო მითითებაზე. მე-ს გამოყოფას გარესამყაროს რეალობიდან ფეტიშისტები სრულყოფილად ვერასდროს ვერ აღწევენ.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ფეტიშიზმი წარმოადგენს გამონაკლის შემთხვევას მე-ს გახლეჩის მიმართ, არამედ ის მისთვის მხოლოდ შესწავლის განსაკუთრებით ხელსაყრელი ობიექტია. გუბრუნდებით მონაცემებს, რომ ბავშვის მე რეალური სამყაროს ბატონობის ქვეშ არასასიამოვნო ლტოლვის მოთხოვნებს იკმაყოფილებს ე. წ. განდევნებით. ახლა ჩვენ მას ვავსებთ შემდეგი დებულებით, რომ ცხოვრების იმავე პერიოდში მე საკმაოდ ხშირად იმ მდგომარეობაშია, თავი დაიცვას გარესამყაროს აუტანლად განცდილი მოთხოვნისაგან, რაც აღქმების უარყოფით ხდება, რომლებიც ცოდნას გვაძლევენ რეალობის ამ პრეტენზიის შესახებ. ასეთი უარყოფები ძალზე ხშირად ხდება არა მხოლოდ ფეტიშისტებთან, მაგრამ იქ, სადაც მათი შესწავლის შესაძლებლობა გვაქვს, აღმოჩნდება როგორც სანახევრო ღონისძიება, არასრულყოფითი ცდა რეალობიდან

გამოყოფისა. უარის თქმა ყოველთვის შეივსება ხოლმე აღიარებით, მუდამ აღსდგება ორი საპირისპირო, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი განწყობა, რომელიც ქმნის **შე**-ს გახლეჩის პირობას. წარმატება ისევ და ისევ დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მათგანი უფრო დიდ ინტენსივობას იღებს თავის თავზე.

შე-ს გახლეჩის აქ აღწერილი ფაქტები არ არიან ისე ახალი და უცხონი, როგორც ისინი უპირატესად ჩანან. განსაზღვრული ქცევის მიმართ რომ ორი განსხვავებული განწყობაა პიროვნების სულიერ ცხოვრებაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და დაპირისპირებული, ესაა ნევროზის საერთო ბუნება, მხოლოდ ერთი **შე**-ს ეკუთვნის, ხოლო საპირისპირო – განდევნილ **ოგი**-ს. ორივე შემთხვევის განსხვავება არსებითად ტოპიკური ანუ სტრუქტურულია და მუდამ ადვილი არაა განაცალკევო ერთეულ შემთხვევაში ორი შესაძლებლიდან რომელთან გვაქვს საქმე. ორთავეს მნიშვნელოვანი ერთიანობა შემდეგში ძევს: რასაც **შე** მუდამ ითვალისწინებს საკუთარი თავის დაცვის მისწრაფებისას –ნამდვილ გარესამყაროს ნაწილს უარყოფს და თუ უარს ეუბნება შინასამყაროს ლტოლვის მოთხოვნას – არასდროს არაა შედეგით სრულფოფილი, მთლიანი, მისგან მუდამ გამომდინარეობს ორი დაპირისპირებული განწყობა, რომელთაგან ასევე ქვემდებარეს, უფრო სუსტს მიეყევართ ფსიქიკურ შედეგებამდე. დასკვნაში მხოლოდ მივუთითებთ მასზე, თუ ყველა ამ პროცესიდან რაოდენ ცოტაა ჩვენთვის ცნობილი ცნობიერი აღქმით.

მეცხრე თავი

შინაგანი სამყარო

რთული თანაარსებობის ცოდნისათვის სხვა გზა არ გაგვაჩნია, თუ არა აღწერის თანმიმდევრობა და ამიტომაა, რომ ყველა ჩვენი გადმოცემა, უპირველეს ყოვლისა, ცოდავს ცალმხრივი გამარტივებით; ველოდებით, რომ იგი შეივსება, მას დაემატება რაიმე და შესწორდება კიდეც.

წარმოდგენა **შე**-სი, რომელიც **ოგი**-სა და გარესამყაროს შორის შუამავლობს და რომელიც ერთი მათგანის ლტოლვით პრეტენზიებს იღებს თავის თავზე დაკმაყოფილებისათვის, სხვასთან ქმნის აღქმებს, რომელთაც ის მოგონებების საზით მოიხმარს; **შე** ზრუნავს რა საკუთარ თვითშენახვაზე, ორივე მხრიდან იცავს თავს ზეძლიერი მოთხოვნებისაგან, ამასთან ყველა თავისი გადაწყვეტილება წარმართულია მოდიფიცირებული სიამოვნების პრინციპის მითითებით. აღნიშნული წარმოდგენა ვრცელდება უშუალოდ **შე**-ს ბავშვობის პირველი პერიოდის ბოლომდე (5 წლამდე). ამ დროს ხდება მნიშვნელოვანი ცვლილება. გარესამყაროს ერთი ნაწილი, კითარცა ობიექტი, უკიდურეს შემთხვევაში ნაწილობრივ წყვეტს არსებობას და ამის ნაცვლად (იდენტიფიცირებით) შედის **შე**-ში, მაშასადამე, ხდება შინაგანი სამყაროს შემადგენელი ნაწილი. ეს ახალი ფსიქიკური ინსტანცია აგრძელებს იმ ფუნქციას, რომელთაც სხვა პერსონები გარესამყაროზე ახდენდნენ. ის აკვირდება **შე**-ს, მას აძლევს ბრძანებებს, წარმართავს და ემუქრება სასჯელით მშობლებივით, რომელთა ადგილიც დაიკავა. ამ ინსტანციას ჩვენ ვუწოდებთ **ზე-შე**-ს, შევიგრძნობთ მის საშარ-ოლებრივ ფუნქციებს როგორც ჩვენს სინდისს. აღსანიშნავია, რომ ხშირად **ზე-შე** ანვითარებს სიმკაცრეს, რომელსაც რეალური მშობლები ნიშუშადაც არ იძლეოდნენ. ასევე, **შე** არა მხოლოდ თავისი საქმეების გამოა პასუხისმგებელი, არამედ ასევე მისთვის ცნობიერი აზრებისა და განუხორციელებელი განზრახვებისათვისაც. უნდა გვახსოვდეს, რომ ოიდიპოსის თქმულების გმირიც თავისი საქმეების გამო თავს დამნაშავედ გრძნობს და ხდება თვითდასჯის მსხვერპლი, თუმცა ორაკულის იძულება მაინც მას ჩვენსა და მის საკუთარ მსჯელობაში უდანაშაულოდ თვლის. ფაქტიურად **ზე-შე** ოიდიპოსის კომპლექსის მემკვიდრეობაა და მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ მოქმედებს. მისი მეტისმეტი სიმკაცრე ამიტომ არ მოსდევს რეალურ ნიშუშს, არამედ შეესატყვისება თავდაცვის სიძლიერეს, რომელიც იხარჯება ოიდიპოსის კომპლექსის ცდუნების წინააღმდეგ. ამ საქმის ვითარების წარმოდგენას საფუძვლად ედება ფილოსოფოსთა და მორწმუნეთა მტკიცება, რომ მორალური საზრისი ადამიანს აღზრდით კი არ მიეცემა, ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეიძინება მის მიერ, არამედ მასში უმაღლესი ინსტანციიდან ჩაინერგება.

სანამ **შე** ურთიერთთანხმობით მუშაობს **ზე-შე**-სთან, ოლი არაა განსხვავდეს მათი გამოვლინებანი. მაგრამ მათ შორის დაძაბულობანი და დაშორებანი ნათლად შეიმჩნევა. სინდისის ქენჯნა ზუსტად

შეესატყვისება ბავშვის შიშს სივერაულის დაკარგვის წინაშე, რომელსაც მორალური ინსტანცია შეენაცვლა. მეორე მხრივ, თუკი მე წარმატებით წინააღუდგება ცდუნებას რამე გააკეთოს, რაც ზე-მე-სათვის საძრახისია, საკუთარ თვითგრძნობაში ამაღლებულია და ამაყობს კიდევაც ამით, თითქოს რაიმე შეეძინა ღირებული, თუმცა ზე-მე ქცეულია შიგასამყაროს ნაწილად, ის მე-სთვის აგრძელებს გარესამყაროს როლის თამაშს. ის გამოდის მთელი მომდევნო ცხოვრების დროისათვის ინდივიდის ბავშვობის ზეგავლენად, მშობლების მხრიდან ბავშვების ზრუნვად, აღზრდად და დამოკიდებულებად, ბავშვობის დროდ, რომელიც ადამიანებთან ოჯახებში თანაცხოვრებით ასეა გახანგრძლივებული. და ამათ მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ პიროვნულ თვისებებს მშობლებისას, არამედ ყველაფერს, რასაც თვითონ მათზე განმსაზღვრელად უმოქმედია, სოციალური მდგომარეობის მიდრეკილებებსა და მოთხოვნებს, რომელშიაც ისინი ცხოვრობენ, რასის ტრადიციებსა და უნარებს, რომელთაგანაც ისინი წარმოსდგებიან.

უპირატესობა თუ მიენიჭება ზოგად განმარტებებსა და მკაცრ გამიჯვნას, შეიძლება ითქვას, რომ გარესამყარო, რომელშიაც იმყოფება მშობლებისაგან გამოყოფილი ინდივიდი, წარმომადგენლობს აწმყო ძალას, ასევე ოგი-ს მისი თანშობილი ტენდენციებით, ორგანულ წარსულს და მოგვიანებით ჩართულ ზე-მე-ს, უპირველესად ყოვლისა – კულტურულ წარსულს, რომელიც ბავშვმა უნდა თითქოს ხელახლა განიცადოს, როგორც ადრეული ასაკის ხანმოკლე წლები. ასეთი განზოგადებანი ადვილი შესაძლებელია საერთოდ სწორი არც იყოს. ნაწილი კულტურული შენაძენისა, რა თქმა უნდა, ტოვებს ნალექს ოგი-ში, მხოლოდ მრავალი რამ, რაც მოაქვს ზე-მე-ში, აღვიძებს ოგი-ში გამოძახილს. ზოგიერთ რაიმეს, რასაც თავში ახლად განიცდის, გაძლიერებულ ზემოქმედებას უმორჩილებს, ვინაიდან ის უძველეს ფილოგენეტურ განცდას იმეორებს. ("რაც შენ გაქვს შენი მამებიდან მემკვიდრეობით გადმოცემული, შეიძინე, რათა ფლობდე მას"). ასე იკავებს ზე-მე შუამავლის სახეს ოგი-სა და გარესამყაროს შორის. ის თავის თავში აერთიანებს აწმყოსა და წარსულის ზემოქმედებას. ზე-მე-ს შემოტანის მაგალითიდან კარგად ჩანს, თუ როგორ გადაიტანება აწმყო წარსულში...

შინაარსი

წინასიტყვაობა 3
1. ფროიდის ფსიქოანალიზური მეთოდი (1904) 5
2. ფსიქიკური მკურნალობა (სულის მკურნალობა) (1905) 12
3. ფსიქოთერაპიის შესახებ (1905) 34
4. ინტერესი ფსიქოანალიზისადმი (1913) 47
5. ფსიქოანალიზის სიძნელე (1917) 74
6. ფსიქოანალიზის მოკლე ნარკვევი (1923) 83
7. მე და იგი (1923) 105
8. წინააღმდეგობანი ფსიქოანალიზის მიმართ (1924) 151
9. თვითგადმოცემა (1924) 162
10. ფსიქოანალიზის შესავალი ლექციების ახალი სერია (1932) 227
11. ფსიქოანალიზის ნარკვევი (1939) 408